ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8

1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

373

გამოცემის ოცდამეთერთმეტე წელი

8

აგვისტო

1988

თბილისი

სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და ჟურნალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

პ ო ე ზ ი ა დ ა პ რ ო ზ ა

3. იორამ ქემერტელიძე — ლექსები.
7. ზურაბ კანდელაკი — ბევრი რამ ხდება, ჰორაციო... მოთხრობა. დასაწყისი
28. მარიკა კობეტრიძე — ლექსები.
29. ელგუჯა ჯიქია — ლექსები
31. მამუკა დოლიძე — მოთხრობები
49. ჯანსულ კორძაია — ლექსები
53. მზია ბედიაშვილი — ასე მგონია, შინა ვარ. დასაწყისი.
72. ნანა ბურგენიძე — ლექსები
74. გია ფოცხვერია — აღსარება. მოთხრობა.
82. პაატა ბერეკაშვილი — ლექსები.
84. გრიგოლ რუხაია — მოთხრობები
90. სანდრო ბერიძე — ლექსები
92. გიორგი გიგაური — ლექსები
94. თამარ ხოჰოლავა — ლექსები
95. იაკობ კაპიაშვილი — ბელურები. მოთხრობა.

ა ხ ა ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

99. კამბარალ ბოგულოვი — ლექსები. თარგმნა ბაღათერ არაბულმა

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

101. ბოდერძი ბოდერძიშვილი — ისევ ფერეიდანი...

კ უ ბ ლ ი კ ა ც ი ა

111. არჩილ ჯორჯაძე — დიმიტრი ყიფიანმ. დასასრული

წ ე რ ი ლ ე ბ ი

130. ქეთევან გიორგობიანი — წამების გზა შეცდომიდან მონანიებამდე
135. ომარ ბოჩელაშვილი — რა სჯობს ლექსისთვის...
138. ლევან ბრეგაძე — „შენც წახდი, მეც წამახდინე“
144. გრანი ქავთარია — ქართული ნაოსნობა
148. მანანა პატარაია — პირველი რეცენზიები ქართულ თეატრზე

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა მ ე ც ნ ი ე რ ი „ ც ი ს კ ა რ ზ ი “

152. დავით კაიხაძე — ვენეცია—ოსმალეთის ომი და საქართველო

159. ქ რ ო ნ ი კ ა

მთავარი რედაქტორი
ჯანსულ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გიული ალხაზიშვილი
თეიმურ ბეკიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გიული გუგეჭკორი
გურამ გეგეშიძე
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოლაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მეფუნა კახიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ შანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხეიძეშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
ბოგი ფურეთელი
გიორგი ჭანტურია
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იორამ ქემერტელიძე

ძილისპირული

აჭრელებულა ცის სანაპირო
ვარდისფერი და იისფერი
წვრილი კენჭებით...

ვწევარ ცის პირას,
მოვარდისფრო და მოიისფრო
კენჭებზე ვწევარ...
ვიწვი უალოდ
ვარდისფერ და იისფერ ბუღით
და სხეულში მეღვენთება
ნეტარება — ვარდისფერის და
იისფერის..

ბურანში ვგრძნობ, რომ
ვკარგავ სხეულს
და ვუერთდები
ცას — უფერო,
ოდნავ მოლურჯო,
ძლივს შესამჩნევი მოლურჯო ალით...

არ მინდა ძილი....
მენანება დათმობა მთვარის,
ალუბლის თეთრი ყვავილების
და თეთრი ზამთრის...

ნეტავ სიზმარში თუ მაინც გნახავ
ულამაზესო ქვეყნიერებავ,
შვილო — თავზე უფრო ძვირფასო!

ვინ მოგეფეროთ?
ვინ გადაგისვათ ხელი ალერსით
მწვანე, ხასხასა მდელოს ქოჩორზე
და თმაზე, შვილო...

ო, მეშინია დაძინების...
ხომ შეიძლება
ვერც სიზმრად გნახოთ
და ვერც მოვბრუნდე...

ან სად წავიდე უსხეულო,
უტანფეხო,
უთვალებო და უმკლავებო —
მარტო სული ჰაეროვანი —
ოდნავ მოლურჯო,
მოიისფრო-მოლურჯო ალი.

იძინე, სულო...
ვერ გადახვალ ჟამთა დინებას,
მშვიდად, წყნარად იძინე, სულო..
სხვას ჩააბარე შენი სიზმრები,
იხაროს შენმა დანატოვარმა!
და, ვით ფარვანამ,
იტრიალე იმათ გარშემო
ძლივს შესამჩნევი მოიისფრო-
მოლურჯო ალით...

აჭრელებულა ცის სანაპირო...

●

თანდათანობით,
თანდათანობით,
თანდათანობით
დავშორდები
შთამომავლობას...

წავალ სივრცეში როგორც ნათება, —
მოკაშკაშე და მოვარვარე...
თანდათანობით,
თანდათანობით,

თანდათანობით
მინელდება
ნათება ჩემი,
მიიბჟუტება და მიილევა
თანდათანობით,
თანდათანობით,
თანდათანობით,
ვიდრე ბოლოს
სულ არ გაქრება...

ს.ა.ქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჰა, გათავდა...
აღარცა ჩანს
ნათება ჩემი...
თვალს მივეფარე
შთამომავალთა ხილვადობიდან...

უკან მომყვება
უამრავი შთამომავალი —
შვილები, შვილიშვილები თუ
შვილთაშვილები...
ზოგი მათგანი
ჯერ კიდევ ჩანს, ალბათ, მიწიდან
თუ მოჩახჩახე,
თუ მკრთალ ნათებად...
იბჟუტებიან, ილვიან თანდათანობით...
თანდათანობით,
თანდათანობით,
თანდათანობით
იკარგებიან
შთამომავალთა ხილვადობიდან...

არ მინდა, უკან მივიხედო...
ან როგორ შევძლებ, —
გავარვარებულ კოსმიურ ბუღში
თავაწყვეტილი
ზესიჩქარით
მივექანები
და ტკაცა-ტკუცი გაუდის ირგვლივ
ნაპერწკლებს,
როგორც ოდესღაც ბუხარს
სიზმარეული მახსოვრობის
რომელიღაც საუკუნეში...

არ მინდა,
უკან მოვიხედო....
არ მინდა, ვნახო შვილი,
რომელიც
ორ ნაბიჯზე
მომყვება კვალში —
გავარვარებულ კოსმიურ ბუღში —
და ტკაცა-ტკუცი გაუდის ირგვლივ
ნაპერწკლებს,
როგორც ოდესღაც ბუხარს
სიზმარეული მახსოვრობის
რომელიღაც საუკუნეში...

მე მხედავს იგი...
მე არ ჩავმქრალვარ...
მე აღარ ვჩანვარ მხოლოდ
მიწიდან,
რადგან გავედი, კარგახანია,
იქ დარჩენილ შთამომავალთა
ხილვადობიდან...

ჩემი სიჩქარე განიზომება
ახლა სინათლის წელიწადებით!
საით მივქრიავარ?
ვის ემატება შუქი ჩემი?
ან ვის სჭირდება
ის ენერგია,
რომლითაც ასე ვარ დამუხტული?
ვის?
ამ უსაზღვრო მოიისფრო-მოლურჯო
სივრცეს.
სად ფიორისაც კი არა ვარ
მეათასედიც!
სად თვით ძალასაც არა აქვს ძალა
და სიჩქარესაც არ აქვს სიჩქარე!
არც ფორმას — ფორმა!
არც წონას — წონა!
არც გზას — ბოლო...
მხოლოდ ერთი რამ, ერთადერთი
არსებობს აზრი!
აზრი — გარდაქმნის და გარდასახვის,
ნეტარება — უსხეულობა!..

გატყორცნილი ვარ მშობელ მიწიდან—
ანთებული, ალებული...
თავბრუდამხვევად,
უსასრულოდ მივექანები
დაუსაბამო,
მოიისფერო-მოლურჯო სივრცით,
რათა გავლიო უსასრულო უსასრულობა
და მივემატო, ვისაც მოვაკლდი —
ბუმერანგივით დავუბრუნდე
მშობლიურ მიწას...

მომყევი, შვილო, ამ უსასრულო
მოიისფრო-მოლურჯო ზღვაში,
რათა გალიო უსასრულო უსასრულობა
და მიემატო, ვისაც მოაკლდი...

. . . . . .

თურმე —
ვერასდროს ვეღარ ვნახავთ
ერთიმეორეს!
შენ სხვა დროს მოხვალ,
მე კიდევ — სხვა დროს..
შენ მე აღარ გემახსოვრები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე? მე რას ვიზამ?
მე გაგიხსენებ?
???

. . . . . .

ყველაფერი კი...
დაიწყება თურმე თავიდან...
თანდათანობით,
თანდათანობით,
თანდათანობით
გარდასაქმნელად,
ფერის საცვლელად
და ისევ უკან დასაბრუნებლად
მიწაზე.
სადაც
ყველაფერი
იწყება
ჩვენით,
მაგრამ უჩვენოდ თავდება თურმე
კვლავდასაწყებად,
მაგრამ თურმე... უერთმანეთოდ.

●

თუ შეგიძლია,
საკუთარ თავზე
ამაღლდე თუნდაც
მილიმეტრის
მეათასედით,
ისე, ვით ალვის კენწეროზე
ბოლო ფოთოლი —
მოგეჩვენება, რომ შენა ხარ
უფრო ლამაზი,
უფრო დიადი და მაღალი...
შენ — მთლიანად,
მთელი ალვისხე...

ერთი ფოთლით მაღალი ალვა
ქვეყნიერებას გადაჰყურებს
ერთი ფოთლით უფრო მაღლიდან...

თუ შეგიძლია,
შეინარჩუნო
წონასწორობა და თავმდაბლობა
და ქვედმაღლურად არ უცქერდე
უმდაბლესს — თუნდაც
მილიმეტრის მეათასედით,
ისე, ვით ალვის კენწეროდან
ბოლო ფოთოლი —
ვერ იგრძნობ, მაგრამ
შენ იქნები უფრო ლამაზი,
უფრო მაღალი და დიადი...
შენ — მთლიანად,
მთელი ალვისხე...

დაცვივდნენ წლები,
როგორც ფოთლები.
და კენწეროზე შერჩა მხოლოდ
ბოლო ფოთოლი,
ვით ბოლო წელი
შენი სიცოცხლის...
ამ ფოთლის ზევით
ცა არის მხოლოდ,
ძირს, დაბლა — მიწა —
უამრავი თავისიანი...

ერთი ფოთოლით მაღალი ალვა
ქვეყნიერებას გადაჰყურებს
ერთი ფოთლით უფრო მაღლიდან...

თოჯინა

თათია პაჭკორიას

მამამ გოგონას
თოჯინა უყიდა, —
გოგონას გაუხარდა,
მამამაც გაიხარა...
მთელ ღამეს —
ჭინკები
ოცრებოდნენ
ბუხრიდან,
ბუქნავდნენ.
ღახტოდნენ
ჰაიჰარად...

მთელ ღამეს თოჯინა
ლოგინში ეწვინა,
და მაინც —
შფოთავდა
გოგონა
ძილში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღისითაც.
        დღისითაც
        მეტწილად
ღღლიით დაყავდა
        ჭინკების
        შიშით...

ვინც კი მოდიოდა,
        ყველას ანახებდა
პატარა გოგონა
პატარა თოჯინას. —
წამოაყენებდი —
        თვალებს გაახელდა,
აწვენდი —
        ხუჭავდა მორჩილად...

და ამასობაში,
და ამასობაში, —
ვინ იცის, რომელმა —
იმან თუ ამან, —
ამ რია-რიაში
და თამაშობაში
ჭინკებმა
        გოგონას
        მოპარეს
        მამა..

და უცებ —
        დაქალდა
        გოგონა-ბავშვი,
და უცებ —
        გაქრა
თოჯინაც
სახლიდან...
მამა არ ბრუნდება
        საღამოს
        სახლში,
დედაც —
        მარტო დარჩა,
        დაქვრივდა...

შორს კი, —
        წლების იქით,
        ხელების ფოთარით —
თუ ზღვა-ზღვა,
თუ ღრე-ღრე,
თუ ტრამალ-ტრამალ —
დადის თოჯინა
და გულამომჯდარი
        დაეძებს
        იმ პატარა გოგონას
        მამას...

დუმილი

დუმილი — თანხმობის ნიშანი!
თანხმობა — მორჩილება!
წავლენ და წამოვლენ ქვიშანიც!..
ქვიშანიც
        მიჰყვებიან
        დინებას
კენჭებად —
        წვრილებად თუ
        მსხვილებად...

დუმილი — თანაგრძნობის ნიშანი!
თანაგრძნობა — მორჩილება!
წავლენ და წამოვლენ ქვიშანი, —
ქვიშანიც
        მიჰყვებიან
        დინებას
ხვინჭებად —
        მსხვილებად და
        წვრილებად...

დუმილი — სიკვდილის ნიშანი!
სიკვდილი — მორჩილება!
ქვიშანი! —
        ისევ ისევ
        ქვიშანი —
ხვინჭებად —
        წვრილებად და
        მსხვილებად...

დუმილი — ქცეული კუმირად,
სულ მორჩილება და
მორჩილება...
მტრობად,
მეგობრობად,
დუმილად,
        განქორწინებად თუ
        ქორწინებად...

ძნელია წუთისოფელს მოცილება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გემრი რამ ხდება, ჰორაციო...

მოთხრობა

1

ღამე იყო, მართალია, მთვარიანი, ნათელი, მაგრამ მთვარიანი ღამეც ხომ ღამეა და ღამით კი, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, ადამიანს უნდა ეძინოს, ქუჩაში ტყუილუბრალოდ არ უნდა დადიოდეს და, მით უფრო, იპოდრომის ცარიელ მინდორს არამც და არამც ახლოს არ უნდა გაეკაროს! ილიკომ დაივიწყა ეს ჭეშმარიტება და ახლა, მთვარის ნათელით მოტყუებული, დამხვდურების მიერ გზაგადაჭრილი, სწორედ იპოდრომის მინდვრის შუაგულში იდგა და ნანობდა — რამ წამომიყვანა ამ გზით, რაღა ამ შუაღამეს მომინდა მოკლეზე სიარულიო! — და მიუხედავად იმისა, რომ დამხვდურებს არც შეუგინებიათ, არც უხეშად მიუმართავთ, პირიქით, როგორა ხარო, ზრდილობიანად მოიკითხეს, მაინც, საოცრად უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა.

„ნუთუ ისინი არიან?! ისინი?!“— გაიფიქრა და გულიც უმალ ბაგაბუგით შეეხმიანა.

„ისინი!.. ისინი!.. ნუთუ?!.“ — ეს სიტყვები გაბატონდნენ მის გონებაში, დაიმორჩილეს, აზროვნების უნარი დააკარგვინეს და ამიტომ, ვერა და ვერა, ვერაფრით მოახერხა, დამხვდურებისთვის სულ უბრალო, ასეთ დროს თითქმის აუცილებელი კითხვის მიცემა — ვინა ხართ და რა გნებავთო? — უკვე ჭირის ოფლში ცურავდა, თუმცა, სულ რაღაც წამები, დიდი-დიდი ნახევარი წუთი თუ იქნებოდა გასული იმათი გამოჩენიდან: ასეა, პირველი, მოულოდნელი შიშია ყველაზე დამზაფრავი, პირველი წამები, როდესაც შიში ვეებერთელა ხდება, თითქოსდა უძლეველი, ყველაფრის მომრევი. შიშს დიდი თვალები აქვს, ძალიან დიდი, მოულოდნელ შიშს კი, დიდზე დიდი, მაგრამ, საბედნიეროდ, სხვა რამეც არსებობს მისი საწინააღმდეგო, მისი მომრევი და თუ კაცი გამოუსწორებელი ლაჩარი არ არის, ნელ-ნელა თრგუნავს ამ საშინელი პირველი წამების შიშს, ასე რომ აღმერთებენ ისინი, ღამის მოყვარულები. ეს სხვა რამე, იმედია — თავის გადარჩენის, წინააღმდეგობის დაძლევის, თვალის ახელის, უკეთესი მომავლის, უკვდავებისაც, თქვენ წარმოიდგინეთ, და, ვინ იცის, რისი არა! თუმცა ხანდახან, ყველაფერი თავის მოტყუებაა, სხვა არაფერი, მაგრამ რას იზამ, ესაა შიშის საწინააღმდეგო, თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი საშუალება მაინც, ადამიანს გამბედაობას რომ მატებს, რაღაც მოქმედებისკენ უბიძგებს, წყალწაღებულიც კი ბავსს ეჭიდება, თორემ ისე... ვინ უწყის?-. ეჰ, ადამიანი იმედით ცოცხლობს, იმედით!.. ჰოდა, ილიკომ, სწორედ ეს იმედი დაუპირისპირა იმათი გამოჩენით გამოწვეულ, ამ საშინელ, გონების დამბინდველ შიშს.

„ხომ შეიძლება მთვრალები იყვნენ, ან, ქურდები, ჩვეულებრივი ქურდები, ავაზაკები! ხომ შეიძლება? — ისევ ამოქმედდა წამიერად დამბლად ქცეული მისი ტვინი — ისინი ჯერ არ მომაკითხავდნენ!.. ისინი არ იქნებიან!..

არა... არა... როგორ შეიძლება ყველაფერზე ცუდის ფიქრი, როგორ?!“ — არწმუნებდა თავის თავს და ოდნავ დამშვიდდა კიდეც, აქეთ-იქით მიმოიხედა, შეიძლება ვინმე იყვეს ახლომახლოო. — ბოლოს და ბოლოს ქურდებთან შეხვედრაც არაა სასიამოვნო! რა თქმა უნდა, ირგვლივ არავინ იყო! მერე, იმათაც შეავლო თვალი, დამხვდურებს — ისინი წყნარად იდგნენ, ხელები ჯიბეებში ეწყოთ და ჯერ არაფრით ამჟღავნებდნენ თავიანთ ცუდ ზრახვებს. ერთი მათგანი დანარჩენებზე უფრო მაღალი, ოდნავ წინ იდგა. ილიკო კარგად ხედავდა მთვარის შუქით განათებულ მის სახეს, მგონი სადღაც ნანახი ჰყავდა. „იმ მაღალსა ჰგავს, სამთითასო“ — გაიფიქრა და მისი სახელის გახსენებას შეეცადა. პირველად სწორედ მან შეაჩერა, გამარჯობაც მანვე უთხრა — ის არის თუ არა? თუ ის არის... მაშინ... — ო, რა საოცარ ამბებს ყვებოდნენ მასზე! სახელიც გაახსენდა, იმ სამთითა მაღალს ბუხუტი ერქვა. ისევ უმატა გულმა ბაგაბუგს, ისევ დაასხა ოფლმა, გავიქცევიო ერთი კი გაიფიქრა, მაგრამ როგორ მოეხერხებინა გაქცევა? ან სად გაქცეოდა, ან რამდენი უნდა ერბინა?! და მიხვდა ილიკო, რომ თუ მართლა ისინი იყვნენ და თუ მართლა მას ელოდნენ, უკვე აღარაფერი იხსნიდა! მაგრამ ერთხელ გაღვიძებული იმედი არ ასვენებდა — იქნებ ვინმე გამოჩნდესო, — და როდესაც ეს აზრიც უარყო — თუნდაც გამოჩნდეს ვინმე, განა გაბედავს დახმარებასო, — მაშინ, სულ პატარა, უკანასკნელ იმედს ჩაებღაუჭა, გაახსენდა, რომ ერთ დროს კარგად ჩხუბობდა, ჰოდა, თუ როგორმე მოახერხებდა მათი ყურადღების მოდუნებას, მერე უკვე მისი მუშტები იტყოდნენ სათქმელს, თუმცა, ძალიან კი გაუჭირდებოდა. ალკოჰოლისა და ნიკოტინის წყალობით, ილიკოს აღარ გააჩნდა ადრინდელი ძალა და მოქნილობა, ოთხი-ხუთი წლის წინ სხვა იყო, მაშინ გიყვარდეს, ამათ დღეს დააყრიდა, წამი რომ წამია, წამითაც კი არ დაფიქრდებოდა, პირდაპირ გადავიდოდა საქმეზე, ახლა, კი? ახლა უნდა დაფიქრებულიყო, თავისი შესაძლებლობა შეეფასებინა, იმათიც, ყველაფერი აეწონ-დაეწონა — ერთი დარტყმით თუ რომელიმე მათგანს გათიშავდა, მერე შეიძლება დანარჩენებისთვისაც გაეძლო, ეჰ, კედელი რომ მაინც ყოფილიყო ახლომახლო, კედელთან დადგებოდა და უკნიდან ვერ მოუვლიდნენ, მაგრამ სად იყო კედელი, კედელი შორს იყო, ძალიან შორს! — ვერაფერს გავხდები შუა მინდორშიო, და ისევ გაიგონა ილიკომ საკუთარი გულის ძგერა. ო, რა უსაშველოდ გაჭიმა ეს წამები! რაღაც უნდა ეღონა, თორემ ისინი დაასწრებდნენ, ამდენს არ მოიცდიდნენ. ასეთ დროს კი, მოსწრებაზეა საქმე, ვინ ვის!

— მაპატიეთ, ვერ გიცანით... ვინ ბრძანდებით? — ძლივს გადადგა ნაბიჯი ილიკომ, უფრო ახლოს მივიდა, ხელის გასარტყმელ მანძილზე, თან აკანკალებული ხმის დამორჩილებას ცდილობდა.

— არ გვიცნობ და არც არის საჭირო რომ გვიცნობდე- — მაღალმა უპასუხა, ახლა უკვე აღარ იყო მისი ხმა ადრინდელივით ზრდილობიანი, უფრო უხეში გახდა, მკაცრი.

ილიკომ ინსტინქტურად ჯიბეში ჩაიყო ხელი, ეს წლობით გამომუშავებული რეფლექსი იყო, აღელვების ჟამს, ხელი თავისით მიდიოდა იქითკენ, სადაც სიგარეტი ეგულებოდა. სწორედ ხელის ამ მოძრაობამ გააფუჭა ყველაფერი, მაღალმა სხვა რამე გაიფიქრა, სწრაფად სწვდა მაჯაში და სიგარეტის ამოღება არ დააცადა, ჯიბეშივე გაუშეშა ხელი. სამი თითის ძალა იგრძნო ილიკომ — ის არის, ის, ბუხუტიო! — რა გეგმა, რის დასწრება, ყველაფერი იფუშებოდა, ინიციატივას უკვე ისინი ფლობდნენ, თუმცა რაღა უკვე, განა თავიდანვე ასე არ იყო, განა სულ ასე არ არისო და მწარედ გაეღიმა, — სირაქლემა ვარ, სირაქლემაო.

— აბა, აბა, ეგეთებს მოეშვი! — მკაცრად გააფრთხილა მაღალმა და ძა-

ლით ამოაღებინა ხელი ჯიბიდან, ოღონდ სამი თითი არ გაუშვია, ისევ ისე მაგრად უჭერდა მაჯაში.

— მორჩი რა, ნუ გიყვარს ამდენი ლაილაი! — უთხრა მაღალს მეორემ და ილიკოსკენ წამოვიდა, ეტყობა საქმის დამთავრება ეჩქარებოდა.

მაღალმა თავისუფალი ხელით შეაჩერა.

— მოიცა ერვანდ, ხომ უნდა გაიგოს ამ პატიოსანნია კაცმა, რა გვინდა მისგან.

— ჰო, რა გინდათ ჩემგან, რა?! — შეეკითხა მაღალს ილიკო, ოღონდ ხმა ვერ მოზომა, შიშნარევი ყვირილი გამოუვიდა.

—ნუ ყვირი!.. მაინც ვერავინ გაიგებს! — ეს უკვე მესამე იყო, — რა და. უნდა გაგლახოთ! ჯერ მიგბეგვავთ და თუ ჭკუას ვერ ისწავლი, მაშინ! — და ორი თითი გამოაქანა ილიკოს თვალებისკენ. ილიკო არ განძრეულა, ვერც მოასწრებდა, მაგრამ მესამემ, თვითონვე, ზედ წამწამებთან შეაჩერა სამოქმედოთ გამზადებული ის ორი თითი. იმ თითებში დაგროვილი ბოღმა შეიგრძნო ილიკომ, ო, როგორ ეხვეწებოდნენ თავიანთ პატრონს, მიგვიშვი, ნება მოგვეცი, ამოგვაჩიჩქნიე, ამოგვაკორტნიე ეს მეოცნებე თვალებიო! მაგრამ ჟამი თვალების ამოჩიჩქნისა ჯერ არ იყო დამდგარი და იდგა ილიკო მათ წინ, სრულიად უმწეო, ნებაწართმეული, დამორჩილებული, უხეშ, ტლანქ ძალას დამორჩილებული. რა უნდა ექნა, უკვე ალყაში იყო მოქცეული, ეს სამნი აქეთ-იქიდან ამოსდგომოდნენ, ორნიც უკან იდგნენ, ოდნავ მოშორებით, ამტომ გადაწყვიტა, ხმას არ ამოვიღებ, მოიდეს რაც მოსახდენიაო, ან კი, რა აზრი ჰქონდა ხმის ამოღებას, ბოდიშს ხომ არ მოუხდიდა და გინდ მოეხადა, შეხვეწნოდა, მაპატიეთ მეტს აღარ ვიზამო, ვინ აპატიებდა? თუმცა, რისი პატიება უნდა ეთხოვა? ან, საერთოდ, რა ჰქონდა საპატიებელი?!

მაგრამ ხომ უნდა სცოდნოდა რატომ უნდა გაელახათ?!

და, მიუხედავად იმისა, რომ ილიკოს გადაწყვეტილი ჰქონდა, ხმას არ ამოვიღებო, მაინც წამოსცდა — რატომ?

— რატომ? ოოო... ეს უკვე სხვა ლაპარაკია!.. იმიტომ, ჩემო კარგო, რომ... — და სამთითამ თავისი მარწუხებიდან გაუთავისუფლა მაჯა, სამაგიეროდ, იმწამსვე ის სამი თითი ყურში ჩაავლო და მაგრად აუწია, ზუსტად ისე, დანაშაულისთვის პატარა ბავშვებს რომ უწევენ გაკაპასებული შინაბერა მასწავლებლები. — იმიტომ, ჩემო კარგო, რომ, რასაც სკოლაში გასწავლიან, კარგად უნდა დაიხსომო, ძალიან კარგად! — და უფრო მტკივნეულად მოჰქაჩა ყური. — მასწავლებელს ხომ აუწევია ყური შენთვის, ჰა?.. მერე ხომ გშინებია იმ მასწავლებლის, ვინც ყურს გიწევდა?.. ხომ გშინებია, ჰა?.. მითხარი, მერე ხომ სწავლობდი მის გაკვეთილს, სწავლობდი?!. სწავლობდი?! — უკვე ჩაჰყვიროდა სამთითა და უფრო მწარედ უწევდა ყურს. — ახლა რასაც გეტყვი, კარგად დაიმახსოვრე. ყურსაც იმიტომ გიწევ, რომ არასოდეს დაგავიწყდეს! ანდაზები უნდა გახსოვდეს და უნდა შეგეძლოს მათი გამოყენება! ჰოდა, ასე, რატომ დაივიწყე მშვენიერი, ძველი ანდაზა — შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო! ხომ გასწავლეს სკოლაში, ხომ გასწავლეს?!

ო, რა ამაზრზენი „ლ“ ჰქონდა, ერუანტელის მომგვრელი-

— ხომ გასწავლეს სკოლაში, ხომ გასწავლეს, მიპასუხე! — ისევ ჩასძახოდა სამთითა და ილიკოსგან პასუხს მოითხოვდა. ისევ ის „ლ“, ის იყო კიდევ უფრო რომ აშკირებდა — ვინ, ვინ მასწავლის ჭკუასო, — ამან უფრო აატკივა თითქმის ახეული ყური, გააცოფა, განდევნა თავის გადარჩენის ინსტინქტი, უსტუკვო მორჩილებას რომ ითხოვდა მისგან — რა უფლება აქვთ! რა! ვინ, ვინ მისცათ ეს უფლებაო?! — და ილიკომ ყველასათვის, პირველ რიგში კი, თავის თავისთვის მოულოდნელად, ისეთი ძალით გაარტყა მარჯვენა სამთითას ყბაში, რომ ანდაზების მოყვარული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ მომჩვარულ ტომარას დაემსგავსა და უგრძნობლად გაიშოტა. ის ორნი, იქვე მდგომნი, დაბნეულები სამთითასაკენ დაიხარნენ. ილიკომ ამით ისარგებლა, ერთ-ერთ მათგანს წიხლი ჩასცხო ცხვირ-პირში და გაიქცა. ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ სანამ დანარჩენები გონს მოეგნენ, ილიკო დაახლოებით ოცდაათი მეტრით მაინც იყო მათგან დაშორებული, მაყურებელთა ტრიბუნისაკენ გარბოდა, იქ ეგულებოდა თავშესაფარი — იქვე მაყურებელთა ტრიბუნის გვარდი. მთავრობის ლოჟა იყო, იქ უნდა შეესწრო ილიკოს, ბოლოს და ბოლოს შეანგრევდა დაკეტილ კარს, იქ ტელეფონიც იყო, შეიძლება დარეკაც მოეხერხებინა და, რაც მთავარია, რატომღაც იმედი ჰქონდა, იქ ვერ შემოგდებენ შემოსვლას მდევრებიო! როგორმე უნდა მიეღწია იქამდე, როგორმე!

პირველად ორნი მოვიდნენ აზრზე, შორიახლოს რომ იდგნენ, ისინი, უმალ დაეძვრეს დამალული რკინის ჯოხები და გაქცეულს გამოუდგნენ. მერე მესამეც გამოერკვა და ის ორ მდევარს შეუერთდა. ილიკო კი, უკვე სარბენი ბილიკების გამყოფ ბუჩქებს გადაევლო, სულ ცოტაღა რჩებოდა, ათიოდე მეტრი ფხვიერი მიწა, შემდეგ რკინის პატარა მესერი, კიბე და...

...და როცა, ის-ის იყო, რკინის მესერთან უნდა მიერბინა, იქვე ლოჟის გვერდით, თავლიდან, ვიღაცამ ცხენი გამოაჭენა და ილიკოს იმ მხსნელი ლოჟისკენ მიმავალი გზა გადაუჭრა. ისევ მოექცა ალყაში, უკან ისინი იყვნენ, დაბოღმილები, რკინის ჯოხებს აზუზუნებდნენ, წინ ცხენოსანი, მთრახიანი, ზღაპარსა ჰგავდა — წინ წახვალ, დაიღუპები, უკან? უკანაც დაიღუპები, მარჯვნივ? მარცხნივ? საით? საით უნდა წასულიყო?!. მერე თითქოს რაღაცამ ისევ იელვა მის გონებაში, ისევ ჩაებღაუჭა სულელური ფიქრს, — იქნებ-იქნებო! — და გაიქცა, მაინც გაიქცა! ცხენის სარბენ ბილიკზე, წრეზე! ნუთუ ფიქრობდა, რომ ცხენს გაექცეოდა?!

ოჰ, ეს იმედი, ისევ იმედი!

ცხენოსანი კი არ ჩქარობდა გამოდევნებას. ის მდევრებიც გაიჩერა ხელის აწევით, სად გაიქცევა, დე. ირბინოსო და ცხენი მხოლოდ მაშინ მიუშვა, როცა ილიკო უკვე კარგა მანძილით იყო მისგან დაშორებული. მსწრაფლ დაეწია ვითომ გაქცეულს, დაეწია და ნელი ჩორთით მიჰყვა შორიახლო, თან მთრახი აატყლაშუნა, ნაღდად იცოდა, ვერსად წაუვიდოდა, ეცინებოდა — რამდენს, ნეტა კიდევ რამდენს ირბენსო?

ეჰ, ილიკო კი... ახლაც არ ეშვებოდა მას იმედი, დაღლილ-დაქანცულს, აქოშინებულს, ოცნებისაკენ უბიძგებდა და ლამის ენა გადმოგდებული, წიქარას ნატრობდა ძლიერ, სავარცხელსაც და სალეს ქვასაც...

...და მირბოდა ილიკო ისევ, ცხენის სუნთქვას გაურბოდა, მათრახის ტყლაშუნს გაურბოდა, შიშის მომგვრელს, მაგრამ მაინც ესმოდა ტყლაშუნი, ესმოდა, სულ თან სდევდა და ისევ მირბოდა... მირბოდა... ის კი, ცხენზე ამაყად მჯდომი, რადგან მათრახი ეჭირა ხელში, როგორც კი შეამჩნევდა, რომ ილიკო სულის მოსათქმელად ჩერდებოდა, მაშინვე სულ ახლოს მიდიოდა მასთან ცხენით და ისევ ისე, ძაან ბოროტად, ატყლაშუნებდა თავის დიდ მათრახს... და ილიკოც კვლავ გარბოდა, კვლავ გაურბოდა ცხენის სუნთქვას და მათრახის ტყლაშუნს. ასე, ასე დაუსრულებლად უნდა ერბინა, უნდა ერბინა, სხვა გზა არ იყო და უკვირდა — როგორ, რანაირად დავრბივარ ამდენს, გული მაინც რატომ არ მისკდებაო.

ამასობაში, სამთითაც მოვიდა გონს, ფეხზე წამოდგა, აქეთ-იქით მიმოიხედა და იქვე, ის დალანდა, ერვანდი, სისხლს იწშენდდა, იფურთხებოდა. ერვანდმა დაინახა თუ არა ფეხზე წამომდგარი სამთითა — ოჰ, მე შენიო... — გაუბედა, სამთითა ხომ მათი უფროსი იყო— სულ შენი ლაილაის ბრალია, მაგრამ

არა უშავს, ახლა მიყუროს მე მაგანო!— და სამთითას ახლაღა გაახსენდა ილიკო — ვერ გაიქცაო! — გაუხარდა და, ერვანდთან ერთად, დანარჩენებისაკენ წალასლასდა, რკინის ჯოხებით ხელდამშვენებულები რომ იდგნენ და კაცისა და ცხენის შეჯიბრის დამთავრებას ელოდებოდნენ, ხომ უნდა დამთავრებულიყო ეს შეჯიბრი ბოლოს და ბოლოს.

და დამთავრდა კიდეც... ილიკოს აღარ შეეძლო უკვე სირბილი, სასომიხდილი, ძალაგამოცლილი იდგა, ერთი, სულ პატარა ნაბიჯის გადადგმის თავიც აღარა ჰქონდა და მოსახდენის მოხდენას ელოდებოდა. აი, ახლა, რაღაც ერთ წამში, მათრახის მწველი ძალა უნდა ეგრძნო სხეულზე და მერე... მერე უკვე სხვა იქნებოდა განმგებელი მისი სიცოცხლის, გონების, გრძნობის, ყველაფრისა! წამიღა აშორებდა ამ საშინელ მერეს. მაგრამ გავიდა წამი, ერთი, ორი, სამი!.. შემდეგ კიდევ ერთი და კიდევ ორი, ალბათ ხუთიც, ათიც, მეტი არა. ო, რა გრძელია ეს წამები მოლოდინისა! უკვე დრო იყო, მერეს დრო იყო! — რატომ არ მესმის ცხენის სუნთქვაო? — და უეცრად! — ნუთუ ნუთუო?! — ისევ ნუთუ! ნუთუ ისევ ეჯდა სულში რაღაც იმედი, ალბათ, ეჯდა. რადგან ფეხზე ძლივს მდგომმა, მაინც გაიფიქრა, იქნებ ვაჯობე ცხენს, იქნებ ისიც ჩემსავითაა, სასომიხდილი, ძალგამოცლილი!.. ნუთუო?! — და ნელა, ძალიან ნელა შემობრუნდა, შემობრუნდა და... ეჰ, რა იცოდა, რომ იმ ცხენის მჯობი ცხენიც კი ძნელად მოიძებნებოდა იპოდრომზე — ადგილზე ცეკვავდა ცხენი, მხედრის ნიშანს ელოდებოდა. რომ ფრთები გამოესხა და არ გაეშვა წინ არავინ, პირველი, მხოლოდ პირველი ყოფილიყო, ყოველთვის, ყველგან! ისევ მოატყუა წყეულმა ნუთუმ! უაზრობა იყო, სისულელე, წრეზე სირბილი. ვერ გაასწრებდა, ვერ აჯობებდა. პირველობის მოყვარულებს, ცხენს კი არა, კაცსაც, კოჭლ კაცსაც ვერ აჯობებდა! მიხვდა ამას და მუხლები მოეკვეთა, ჩაიჩოქა, არა, პატიებებს სათხოვნად არ დაუჩოქებია, ფეხებზე ველარ იკავებდნენ, დაღლილობისგან მოეკვეთა მუხლები და დაჩოქილმა თავი გაიმხნევა — დავიჩოქე, ჯერ ხომ არ წავქცეულვარო! — არადა, როგორ უნდოდა ჩაწოლილიყო მოხნულ მიწაში, სახე ჩაეფლო, ჩაემალა, გამშრალი პირი გამოევსო ამ შავი მიწით — ალბათ, გრილი იქნება ახლა მიწა, ნამიც ექნება შერჩენილი, ოდნავ, სიღრმეში, რა კარგია ახლა წყალიო! — და დაავიწყდა თითქოს მდევრები, გახურებული სხეულის გაგრილება უნდოდა მხოლოდ, გამშრალი პირის გასველებაც ნამიანი მიწით, სხვა არაფერი და ჩაჩოქილი წაიხარა, ხელები ჩაფლო მოხნულ მიწაში და ნელ-ნელა წინ გააცურა, ვიღაცას შორიდან რომ დაენახა, ვარჯიშობსო, იფიქრებდა. და ის-ის იყო უნდა ჩაწოლილიყო გრილ მიწაში, რომ უცბად მონაყოლი გაახსენდა — დასახვრეტებს პირქვე აწვენდნენ და მერე კეფაში ესროდნენო! — და შეეშინდა — არა, არა, მუხლებზე დგომა მირჩევნიაო! — და ისევ ისე, მუხლებზე დადგა.

ცხენზე მჯდომმა კი, ხელში ამაყად აათამაშა დიდი მათრახი — აბა, რა ეგონაო! — უხაროდა, ძალიან უხაროდა დაჩოქილი კაცის დანახვა. ილიკომ სწორედ ამ დროს შეავლო მზერა, მაინც ვიცოდე ნეტა, ვინ ზის ცხენზეო, და დაინახა, კმაყოფილი, მაძღარი სახე დაინახა, მთვარის შუქზეც კარგად მოჩანდა მისი ღიმილი — ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემოო! — ესღა მოასწრო, ცხენი უკვე მისკენ მოქროდა, კი არ მოქროდა, მოფრინავდა, ნაპერწკლებს ჰყრიდა ნესტოებიდან და გაიტყლაშუნა ისევ მათრახმა, გაიტყლაშუნა და... მერე ისინიც მოცვივდნენ, სამთითა და დანარჩენები, ურტყეს და ურტყეს გონდაკარგულს, არც რკინის ჯოხი დაუკლიათ, არც წიხლები და, ალბათ, ხელში ჩააკვდებოდათ, რომ თვით იმას არ შეეჩერებინა გახელებულნი, სისხლმოწყურებულები. — თქვენ აღარ გინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ, ახლა მეო! — და ცხენი მიაგდო ზედ წაქცეულს, ცხენის ფლოქვებით უნდოდა მისი საბოლოოდ მისიკვდილება. ასე ფიქრობდა — ყველამ იცის, რომ უყვარდა ცხენი, იპოდრომიო, ჰოდა იტყვიან, ცხენმა გადმოაგდო და მერე ზედ შედგა ფლოქვებითო, ტყუილია? ჰა-ჰა-ჰა! რაღა თქმა უნდა, ტყუილია, მტკნარი სიცრუე — რა მოხდა მერე, მაინც ყველას დავაჯერებთ, აუცილებლად დავაჯერებთ, ცხენმა გადმოაგდო და გადაქელაო! — მაგრამ არა ქნა ცხენმა, არ ჩაარტყა წიხლი წაქცეულს, მათრახიც დაჰკრა, უბრძანა კიდეც, შეეხვეწა, არაფერი გამოუვიდა, გაჯიქდა ცხენი, არა და არა, არ იკადრა წაქცეულის, იმათგან უკვე ჩაწიხლულის კიდავ ჩაწიხვლა!

წმინდა სისხლისა იყო და ალბათ იმიტომ!

2

გაკვირვებული ილიკო აქეთ-იქით იყურებოდა, ვერაფრით მიმხვდარიყო, თუ სად იმყოფებოდა. წამოდგომა დაეპირა, მაგრამ განძრევისთანავე ისეთმა საშინელმა ტკივილმა დაუარა მთელ სხეულში, რომ გონება დაკარგა. როცა ისევ მოვიდა გონზე, უკვე ფრთხილობდა, იმ საშინელი ტკივილის გამეორებისა ეშინოდა. — რა ხდება, სადა ვარ, რატომ მტკივა ასე ყველაფერიო? — შემდეგ რაღაც ხმა ჩაესმა, თუხთუხისა და ბუყბუყის მსგავსი, ჭაობის ბუყბუყს ჰგავსო, — გაიფიქრა თუ არა ეს, იმწუთას, მწარე, დაგუბული სუნი ეძგერა ცხვირ-პირში, სუნთქვა შეუკრა და ლამის დაახრჩო. — ვაიმე, მკვდარი ხომ არა ვარო?! — მაგრამ ეს აზრი უმალ უარყო, მკვდარი რომ ვიყო, ალბათ, სუნს ვერ ვიგრძნობდი, ვერც ამ საშინელ ტკივილსო, მაშ, სადა ვარ, სად? — თვალებს გახელაც კი ტკივილს გვრიდა, მაინც დაატანა თავს ძალა, ოდნავ წამოიწია და ფრთხილად, გაუნძრევლად მიმოავლო თვალი იქაურობას. პირველი, რაც დაინახა, თუნუქის ღუმელი იყო, ღუმელზე თითქმის ღუმელისოდენა ქვაბი იდგა, იმ ქვაბიდან მოდიოდა ბუყბუყის ხმა და ის მწარე სუნიც. იქვე ღუმელთან კი ხის სამფეხა სკამზე, ნავთის ლამპა ბჟუტავდა, ეს იყო და ეს, მეტი ვერაფერი დაინახა, სისუსტისაგან თვალები დაეხილა და თითქმის უგრძნობლად მიესვენა ბალიშზე. ეტყობოდა, რომ ვიღაცის ქოხში იწვა, უკვირდა, ქოხს რა უნდა თბილისშიო, მაგრამ გასაკვირი არა იყო რა, ნამდვილად ქოხში იმყოფებოდა, ალიზით შეთითხნილ, პატარა ქოხში. — ნეტა რა დროაო? — და ისევ მიმოიხედა ირგვლივ, სარკმელს ეძებდა, უფრო მეტად გაუკვირდა სარკმელი რომ ვერ აღმოაჩინა, სარკმელის გარეშე გომურიც ხომ არ არსებობსო და ოდნავ ძალა მოიკრიბა თუ არა, გულდაგული დაუწყო თვალიერება კედლებს, ახლა თითქოს უკეთესად არჩევდა ყველაფერს, ერთხელ რომ შემოუარა თვალებით კედლებს, დაისვენა და ისევ, ხელმეორედ დაიწყო, ამჯერად გაუმართლა, ძონძებით შენიღბული პატარა სარკმელი აღმოაჩინა, გაუხარდა, იმედი მიეცა, სარკმელის მიღმა, სუფთა ჰაერის მაცოცხლებელი ძალა შეიგრძნო. მერე კარიც დაინახა, ჩვეულებრივი ხის კარი, უფრო გაიხარა, რადგან კარი არსებობს, აქედან გასვლაც შესაძლებელი იქნება და ამ მწარე, დაგუბული სუნის განდევნაცო. ნელ-ნელა მოდიოდა აზრზე, ბუნდოვნად გაახსენდა ჩხუბი, ცხენი... მაგრამ სად? როდის? რისთვის? ღუმელს გახედა — მაშ ახლა ზამთარია? ნუთუ ზამთარია?! მაშინ ხომ... როგორ? რანაირად... მაშინ ზაფხული იყო! ზაფხული!.. ახლაც ზაფხული იქნება, მაგრამ თუ ზაფხულია, ღუმელში ცეცხლი რატომ გიზგიზებს? ზაფხულში ხომ ისედაც ცხელა, აუტანელი სიცხე რატომ არ არისო? — მერე, მის გონებაში, უეცრად ამოტივტივდა ძალიან ცუდი, გახსენებისთვისაც კი შემაძრწუნებელი ამბავი! ნეტა როგორ გადარჩა? — ან გადავრჩი კიო?! — სად არის? ვისთან?! ამ დროს კარმა გაიჭრიალა და გარედან შემოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენილმა სინათლის სხივმა კინაღამ დააბრმავა. ბედად, კარი სწრაფად მიიხურა და ილიკომ, შეჩვეულ ნახევრად სიბნელეში, ღუმელთან მდგომი, ტყაპუჭმოსხმული კაცი დაინახა. კაცმა ჯიბიდან ბალახების ბღუჯა ამოიღო და ქვაბში ჩაყარა, მერე, დიდი ვაივაგლახით გადმოდგა ქვაბი, რკინის ორი ჯოხით ღუმელში ნაკვერცხალი გამოჩხრიკა, მაშასავით ჩაავლო ეს ჯოხები გავარვარებულ ნაკვერცხალს, რამდენჯერმე შეუბერა სული და ქვაბში ჩააგდო, თან რაღაცას ბუტბუტებდა, დროდადრო, თითქოს ლოცულობსო, მაღლა მიაპყრობდა ხოლმე მზერას, მერე კი, ბუტბუტით, ისევ ქვაბისკენ იხრებოდა.

— ნუთუ მეჩვენება ყველაფერიო, — გაიფიქრა ილიკომ და იმ კაცს დააკვირდა. ვერავის მიამსგავსა. — მეჩვენებაო, — ისევ გაიფიქრა და თვალი, კაცს რომ ხელში ეჭირა, იმ რკინის ჯოხებისაკენ გაექცა. ეცნო ეს ჯოხები, მერე, თითქოს მათრახის ტყლაშუნიც ჩაესმა — მაგრამ მაშინ ზაფხული იყო, ნამდვილად ზაფხული, პერანგი მეცვა, ამ კაცს კი, ტყაპუჭი აქვს წამოსხმული, ნუთუ ამდენი ხანი გავიდაო?.. — თითქოს ყველაფერი აღადგინა გონებაში. მხოლოდ ზამთარი და ზაფხული ვერ შეუთავსა ერთმანეთს, მართლაც საოცარია, როგორ გადარჩა?.. მერე, ძალიან შეეშინდა, ხერხემალი ხომ არა მაქვს გადამტვრეული, აბა, რატომ ვერ ვინძრეევო. შეშინებულმა ჯერ თითები აამოძრავა, შემდეგ ხელებიც ოდნავ გაანძრია, ახლა, მთავარი ფეხები იყო, ფეხებიც დაემორჩილნენ მის ნება-სურვილს, მაშ ნამდვილად გადავრჩენილვარო და ისევ დაეპირა წამოდგომა, ისევ ისეთმა საშინელმა ტკივილმა დაუარა, ისევ დაუბნელდა თვალთ, მაგრამ ამჯერად, ვაის დაძახება მოასწრო, მშველელი ეგულებოდა, და, ალბათ, იმიტომ.

თვალი რომ გაახილა, ის კაცი ადგა თავზე, ხელში კოვზი ეჭირა, დაიხარა და კოვზი პირთან მიუტანა — დალეიო — კი უთხრა. მაგრამ ილიკოს არ დაელოდა, თვითონ ჩაასხა პირში ლაც სითხე. ილიკო დაიჯღანა, სითხე ძალიან უგემური იყო, მწარე.

— მწარეა, არა? — გაუღიმა კაცმა. — ბალღამივითაა, ხომ? — ილიკომ თანხმობის ნიშნად ოდნავ დაუქნია თავი. — დიდებულია!.. მშვენიერია!.. შესანიშნავია! — შესძახა კაცმა და პატარა ბიჭივით შეიკუნტრუშა.

— შესანიშნავია! მშვენიერია! დიდებულია! — აღტაცებული იმეორებდა ერთსა და იმავეს და ისე ამაყად დააბიჯებდა ერთი ბეწო ქოხში, ხელმწიფე გეგონებოდათ. მერე, უეცრად შეჩერდა და თითქოს უხილავ მოწინააღმდეგეს მიმართავსო, დაიყვირა:

— ვინ თქვა, რომ მკვდრების გაცოცხლება არ შეიძლება?! ვინ?! — და ხელი ილიკოსაკენ გაიშვირა, — აი მაგალითი! აი, მაგალითი, ბატონებო!.. — მერე, ეტყობა, თავისივე საქციელისა შერცხვა, ხელი დაბლა დაუშვა და მორცხვად თავდახრილი, ილიკოს მიუახლოვდა. — ჩემო კარგო, მოსალოცადა გვაქვს საქმე, მოსალოცად! — ხელი ნაზად დაადო შუბლზე, ოდნავ მიუალერსა და აწეწილი თმა გაუსწორა. — შეგრძნებები დაგიბრუნდა და, აქედან გამომდინარე, გარე სამყაროს აღქმაც! ესაა მთავარი! ხომ გაგიგია, რადგან აღვიქვამ, ესე იგი, ვარსებობ, ვცოცხლობ! მე ხომ ვიცოდი, რომ შეიძლებოდა! მე ხომ პატარაობიდანვე მწამდა რომ მკვდრების გაცოცხლება შეიძლება! ამ რწმენამ გაგაცოცხლა! შენ ხომ უკვე მკვდარი იყავი!..

— როგორ? რანაირად? — უნდოდა ეკითხა ილიკოს, მაგრამ ვერ მოახერხა, ეშინოდა, ვაითუ, ხმა ვერ ამოვიღოო, რამდენჯერ მოსვლია, როდესაც საჭირო იყო, აუცილებლად საჭირო იყო რაღაცის თქმა, სწორედ მაშინ ვერ იღებდა ხმას.

— მოიცადე, გენაცვალე, ჯერ არა, სულ ცოტა ხანს მაგრამ, სულ ცოტა ხანს მოითმინე... ახლა კიდევ დაგალევინებ ამ ბალღამს, ოღონდ ახლა ჭიქით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალეგ უკანასკნელ ჭიქას და ყველაფერი გაგვლის, ყველაფერი ცუდიც დაგავწყდება,. დამშვიდდები და მაშინ, რაც გინდა. მკითხე, ოღონდ გაფრთხილებ. ყველა კითხვაზე ვერ გიპასუხებ და არ გაგიკვირდეს... ისე კი, დროა, უკვე, იცოდე, რომ საერთოდ, არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს!... ჰორაციო, ბევრი რამ ხდება ამ ქვეყანაზე... — და უეცრად ნაპოლეონის პოზა მიიღო, — აი მშვინიერი სიკვდილი!.. ეს სიტყვები ვთქვი, ჩემო კარგო, მიწაში ჩამხობილი რომ დაგინახე. ბოლკონსკის მიგამსგავსე რატომღაც! Viola une belle mort!* — წარმოთქვა სუფთა ფრანგულით და ილიკოს ისე მიაჩერდა, თითქოს მართლა ბონაპარტე იყო და მის წინ კი, სასიკვდილოდ დაჭრილი, დროშაჩახუტებული თავადი ანდრეი ეგდო.

ილიკო ისევ გაურკვევლობის ბურანში იმყოფებოდა, თუმცა უკვე ყველაფერს ნათლად აღიქვამდა, კაცსაც ნაპოლეონის პოზაში, ქოხსაც, თუნუქის ღუმელსაც, ნავთის ლამპასაც, მწარე, დაგუბულ სუნსაც, მაგრამ ყველაფერი ეს, თითქოს სივრცეში იყო გაფანტული, კავშირი არა ჰქონდა ერთმანეთთან, ყველაფერი ცალ-ცალკე არსებობდა, შემაკავშირებელი რგოლის გარეშე. კაციც თითქოს სხვა სამყაროდან იყო მოსული, უცნაური, კეთილი, კარგი კაცი! იმან გადაარჩინა? მაგრამ როგორ? რანაირად? რატომ? განა ჩვენ დროში კიდევ არსებობენ ასეთები?! თუ ის სხვა საუკუნიდანაა მოსული? მაშინ ხომ, ეს ყველაფერი სინამდვილე არ იქნება, ყველაფერი სიზმარი იქნება ან თუ სიზმარი არა, მაშინ?! და ცდილობდა ილიკო როგორმე მოეძებნა ჯაჭვიდან ამოვარდნილი რგოლი, ძალიან უნდოდა მისი პოვნა, რადგან, ეტყობა, ის დაკარგული რგოლი იყო სწორედ მთავარი და თუ მას იპოვიდა, ყველაფერი დალაგდებოდა, თავის ადგილზე დადგებოდა! მაგრამ შეიძლება ადრე გაუწყდა ჯაჭვი, ადრე დაკარგა ის რგოლი, მთავარი რგოლი და ახლა, ალბ. როგორ იპოვიდა?

სად, როდის დაკარგა ის რგოლი?!

კაცმა თითქოს ილიკოს ფიქრებში შეაღწია და წყნარად, დაყვავებით უთხრა — დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა დრომ... არა, ასეა, არა? დაწყნარდი ჩემო კარგო, ნუ წვალობ, დაკარგულის პოვნას დრო უნდა! ყველაფერს თავისი დრო აქვს!

„ჰო, ყველაფერს თავისი დრო აქვს!— გულში გაიმეორა ილიკომ. — წყეული დრო!.. წყეულმა დრომ... მერე?.. მერე როგორაა?.. — იხსენებდა და ვერ გაეხსენებინა. — რად მარგუნა... ვის?.. მე რად მარგუნა... სწორია! — უხაროდა რომ რაღაც მაინც ახსენდებოდა. — მისი შეკვრა... თუ შეკავშირება?.. შეკვრა თუ შეკავშირება?..“

— შენ, ალბათ, გაინტერესებს, როგორ, რანაირად გადაგარჩინე, არა? მე არა, მე არ გადამრჩენიხარ. მიწამ გადაგარჩინა, დალოცვილმა, საოცარმა მიწამ! როდესაც ისინი გაიქცნენ, შენ თითქმის მკვდარი იყავი... მართალია, მე ბოლკონსკის მიგამსგავსე, მაგრამ სინამდვილეში, მაპატიე, არ გეწყინოს და... მანქანის ქვეშ ჩავარდნილ უპატრონო ძაღლივით ეგდე... რა უნდა მექნა? წამალი მე არ მქონდა და გინდ მქონოდა, განა წამალი რამეს გიშველიდა? ჰოდა, ბალახები გამახსენდა, ვიცოდი, იპოდრომის მინდორზე ისეთი ბალახი ხარობდა, ყველანაირ ჭრილობასა და იარას რომ არჩენდა, ცხენები მყავდა ნანახი, ფეხებნაიარევნი და ავადმყოფები სულ იმ ბალახს ეტანებოდნენ, ჯანმრთელები კი ახლოც არ ეკარებოდნენ, ხომ იცი, ჭკვიანზე ჭკვიანია ცხენი! თანაც ინსტინქტი!.. ცხოველის უტყუარი ალღო! მე მჯერა მისი! და არც შევმცდარვარ!... ბალახებით მოგარჩინე, ამ სასწაულთმოქმედი ბალახებით! და კიდევ, ჩემო კარგო, ცხენმა დაგინდო, იმას რომ ჩაეწიხლე, ვერავითარი ბალახი ვერ გიშველიდა, ო, რა ცხენია, რომ იცოდე, ულამაზესი!.. მერე, სახელს არ იკითხავ? პეტროპოლი-

* აი მშვენიერი სიკვდილი!

სი, ხომ კარგად ყღერს? პეტროპოლი-სი!!. კარგად დაიხსომე ეს სახელი, ჯერ პატარაა, ორი წლისაა მხოლოდ, შეიძ-ლება როდესმე მასაც დასჭირდეს შენი შველა, რა ვიცით, ხალხნი ვართ, ყველა-ფერი ხდება... არა, მაინც უკეთილშობილესი არსებაა ცხენი! — და კიდევ ბევრი რამე თქვა ცხოველების, კერძოდ კი, ცხენების კეთილშობილებაზე, მათ უტ-ყუარ ალღოზე, პეტროპოლისზეც ელა-პარაკა, მისი მშობლების სახელებიც უთხრა, მეჯინიბეებისაგან გაუგია ყველ-აფერი, დიდ იმედებს ამყარებენ იმ ცხენზე, სეზონის ყველა პრიზი უნდა მოიგოსო. მერე ხალხური მედიცინის შესახებ ილაპარაკა, საქართველოში ყოველთვის იყო განვითარებული ხალ-ხური მედიცინა, იმიტომ რომ ჩვენში, ძალიან ბევრი სასწაულთმოქმედი ბა-ლახიაო, დიდებულია ჩვენი მიწა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ქართველები ჩვენი ბალახ-ბულახითაც გავიტანთ თავსო.

უსმენდა ილიკო ამ უცნაურ კაცს და ნელ-ნელა მშვიდდებოდა, გრძნობდა, რომ ყველაფერი ცუდი უკან დარჩა, უკვე აღარაფერი აღარ სტკიოდა, მაგ-რამ განძრევისა მაინც ეშინოდა, ტკივი-ლი დიდხანს, ძალიან დიდხანს გამახ-სოვრებს თავსო და ტკივილზე ფიქრმა ისევ გაახსენა ისინი. ახლა უკვე თით-ქმის ყველაფერი აღადგინა მეხსიერე-ბაში. — ნუთუ ველოდი მათ? ნუთუ დარწმუნებული ვიყავი, რომ აუცი-ლებლად მომაკითხავდნენ? რატომ?! მე ხომ არაფერი დამიშავებია! ან იქნებ... იქნებ ვცდები, იქნებ სულ სხვა რამეა საჭირო, იქნებ სიმართლე მართლა მათ მხარეზეა, მაშინ ხომ... ღმერთო! რო-დის, როდის გაწყდა ჯაჭვი, რატომ ვერ გავიგე, რატომ დავრჩი გარიყულიო, რატომ?! რატომ?! — იმიტომ, ჩემო კარგო, რომ, რასაც სკოლაში გასწავ-ლიან, კარგად უნდა დაიხსომო, ძალიან კარგად! — ჩაესმა ყურში ანდაზების მოყვარულის ხმა, — რატომ დაივიწყე მშვენიერი, ძველი ანდაზა, შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო! — ისევ აეწვა, ასტკივდა ყური, ხელით მოისინჯა, აგლეჯილი ხომ არა მაქვსო, ყური ადგილზე ჰქონდა, მოიკიდა ხელი თუ არა, ტკივილმაც გაუარა და უეცრ-ად შეამჩნია, რომ ხელი აემოძრავებინა; ჯერ შეეშინდა, ყურთანვე გააშეშა ხელი, მერე, ფრთხილად დაუშვა დაბ-ლა, გაუხარდა, მორჩა, აღარაფერი მტკივო და მეორე ხელითაც იგივე მოძრაობა გაიმეორა, წამოიწია, წამოჯ-და, ფეხებიც მოღუნა, ტკივილის მსგავ-სიც კი არ უგრძვნია; ვაშას დაძახება უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა, ადრეა, მერეც მოვასწრებ ვაშას დაძახებასო.— ხომ გასწავლეს სკოლაში, ხომ გასწავ-ლეს?! — ისევ ჩაესმა ანდაზების მოყ-ვარულის ხმა, ოღონდ ყურს, უკვე არავინ უწევდა, პირიქით, თითქოს ვი-ღაცა თავზე ხელს უსვამდა, ეფერებო-და.

— ხომ გასწავლეს სკოლაში, ხომ გასწავლეს, მიპასუხე?

ისევ ის საშინელი „ლ“, ამაზრზენი, ერუანტელის მომგვრელი.

— მთავარი, მთავარი კინაღამ დამა-ვიწყდა! — განდევნა ანდაზების მოყ-ვარული, კაცის ხმამ. — მთავარი ის იყო, რომ მე არ ვიცოდი, თუ რო-მელ ბალახს გააჩნდა ის სასწაულთმოქ-მედი ძალა! — კაცს სიცილი აუტყდა, გულიანად იცინოდა, თითქმის ხარხა-რებდა, ბოლოს, როგორც იქნა, მოით-ქვა სული. — მე აქ ვფილოსოფოსობ-დი, ბალახების სასწაულთმოქმედ ძალა-ზე ვლაპარაკობდი, მაგრამ მთავარი არ გითხარი, ყველა ბალახს არ გააჩნია სას-წაულთმოქმედი ძალა, გესმის?! მე არ ვიცოდი რომელი ბალახი გამომადგებო-და და ამიტომ ყველა ერთად დავგლი-ჯე, ბღუჯა-ბღუჯა და ასე, მთლიანი კო-ნა მიგისვ-მოგისვი ჭრილობებზე, პირ-შიც ჩაგტენე, გაყნოსიე... ასევე ბღუჯა-ბღუჯა ვყრიდი ქვაბში, ვხარშავდი და გასმევდი, ვიცოდი, დარწმუნებული ვი-ყავი, გიშველიდა, რადგან მწამდა და მწამს, რომ უამრავში, ბევრ უსარგებ-ლოსთან ერთად, აუცილებლად კარგიც არსებობს! ხომ გესმის?.. ირიბი ნათ-

ქვამი მიყვარს ხანდახან! — და ისევ გაიცინა, მერე ქვაბთან მივიდა, ჭიქა ნახარშით გაავსო და ილიკოს მიაწოდა. ილიკო, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ თამამად ამოძრავებდა ხელს, ახლა რატომღაც ვერ ბედავდა ხელის გაწვდენას, — ნუ გეშინია, გამომართვიო, — უთხრა კაცმა და ჭიქა ლამის ძალით შეაჩეჩა ხელში. — დალიე, ყლუპ-ყლუპით დალიე, ეს უკანასკნელი ჭიქაა, იცოდე, დალევ ამას და მორჩა, უკვე აღარაფერი გეტკინება, ასეა, ჩემო კარგო, აბა მიდი, მიდიო, — და ილიკოც ნელა, სვენებ-სვენებით შეუდგა ამ საოცარი, მწარე ნახარშის სმას.

კაცმა კარი გამოაღო და გარედან ქოხში მზის სხივი შემოიჭრა, თამაშ-თამაშით შემოფრინდა, მიუალერსა, მოეფერა ილიკოს, როგორც მაშინ ეალერსებოდა ხოლმე, ბავშვობისას. ეამა ახლაც, ბავშვობისდროინდელივით, მაინც დახუჭა თვალები, რადგან შეჩვევა სჭირდებოდა შეუჩვეველს, მერე ოდნავ გაახილა და ისევ დახუჭა, ბოლომდე არა, ახლა მოჭუტა მხოლოდ, შემდეგ ისევ გაახილა და ისევ მოჭუტა, დახუჭობანას თამაშობდა თითქოს და აჰყვა თამაშში მზის ნათელი, სულ რაღაც წამით, ისიც ღრუბელს ეფარებოდა და ქოხი ისევ წყვდიადში ეფლობოდა, წამით, სულ ერთი წამით, მაგრამ ეს ერთი წამიც კი ცუდი იყო, ძალიან ცუდი, შიშისმომგვრელი, ნუთუ ისევ, ნუთუ ისევო, ასწრებდა შეშინებას ილიკოს გული და უფრო ცუდის გაფიქრებას აღარ აცდიდა მას მზის სხივი, დამალული, ღრუბლის საფარიდან გამოდიოდა და ისევ ისე, ღია კარიდან ქოხში შემოდიოდა, ორჯერ გაეთამაშა ასე ილიკოს და მერე აღარ დაემალა, შეეცოდა, დარჩა მასთან და ლაღობდა ანცი ბავშვივით, აქეთ-იქით აწყდებოდა, ქოხის კედლებს ეჯახებოდა და იქიდან ასხლეტილი, მთელ ქოხს ეფინებოდა, ანათებდა, ათბობდა ირგვლივ ყველაფერს, ილიკო კი, მადლობის ნიშნად, ფართოდ გაღებულ თვალებს აგებებდა შემოჭრილ მაცოცხლებელ ძალას ნათელისას და ახსენდებოდა, ის დრო ახსენდებოდა, როდესაც ახალგამოღვიძებულს, ბავშვური, ღრმა ძილიდან გამოღვიძებულს, თავზე ასე დასთამაშებდა, ასე ეფერებოდა მის ოთახში შემოჭრილი, ის, მაშინდელი სხივი მზისა, ასე რომ ჰგავდა ახლანდელს, ამას, თუმცა დრო, რა დრო იყო გასული! „მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა“!.. ო, როგორ მოუნდა წამოიხტარიყო და სკოლისაკენ გაქცეულიყო, რა მოხდა მერე, გაკვეთილი თუ არა აქვს მომზადებული! დიდი ამბავი, ორიანს დაუწერს მასწავლებელი, სხვა ხომ არაფერი, შეიძლება ორიანიც არც დაუწეროს, შეიძლება არც გაიძახონ, ჰო, ახლა არაფერია ეს, ახლა არ არის დიდი ამბავი, თორემ მაშინ, ეჰ, ნეტა კი ღირდა ამისთვის, იმ, მზესთან თამაშით მიღებული სიხარულის გაცუდება?! ან სხვა რამით, ვითომ უფრო დიდით, მნიშვნელოვანით?! რა კარგი იქნება, რომ მოხდეს სასწაული, კიდევ ერთხელ გაეთამაშოს მზის სხივს, მერე მადლობა გადაუხადოს, წამოხტეს და... „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი“... და დაინახა პატარა ბიჭი, ერთი ციდა, სკოლისაკენ სირბილით მიმავალი, დაინახა და გაუღიმა თავის თავს, თავის ბავშვობას... ნეტა იმ დროს!.. იღიმებოდა ოცნებაში გადავარდნილი ილიკო და კაცც, მისი ღიმილით გახარებული, უღიმოდა, — აბა, შენ იცი, უკანასკნელი ყლუპი დაგრჩაო, მწარე იქნება ეგ ბოლო ყლუპი, მაგრამ არა უშავს, ნუ გეშინია, დალიე, აუცილებლად დალიე, ყოჩაღ, ყოჩაღო! — წინასწარ შეაქო ილიკო და ილიკომაც არ გაუმტყუნა, ჭიქა ბოლომდე გამოსცალა. მართლაც მწარე იყო ის ბოლო ყლუპი, მაგრამ სიმწარე უცბად გაუნელა კაცის ღიმილმა, საოცრად თბილმა და ილიკომაც ასევე თბილად გაუღიმა, მადლობის ნიშნად შეაგება ღიმილს ღიმილი — სადა ვარო, — შეეკითხა. — ისევ იქ, იპოდრომთანო,— უპასუხა კაცმა და რადგან ილიკოს ეს პასუხი ბევრს არაფერს ეუბნებოდა,

უფრო დაწვრილებით აუხსნა ყველაფერი.

— იპოდრომის ზემოთ პატარა ტყეა, ალბათ, იცი, ჰოდა, იმ ტყის პირას, ადრე, ზოგიერთ სოფელმონატრებულ თბილისელს, ბაღ-ბოსტნები ჰქონდა, ბაღ-ბოსტნებს კი, მოგეხსენება, ყარაული სჭირდება, აბა, ქურდებს ხომ არ გაატანს კაცი თავის ნაჯაფარს, ყარაულს კი, წესით და რიგით, თავშესაფარი უნდა, ამიტომ, ჩემი აზრით, ეს ქოხი, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, სწორედ ყარაულისთვის იყო განკუთვნილი. ახლაა აქ ყველაფერი გაუბედურებული და გაპარტახებული, თორემ უწინ, ამბობენ, ედემის ბაღს ჰგავდა აქაურობაო, რატომ მიაგდეს ყველაფერი ასე უპატრონოდ არ ვიცი, ალბათ, ნამდვილი ქალაქელები გახდნენ და იმიტომ, თუმც, ვინ იცის, იქნებ სხვა მიზეზიცაა... ასეა თუ ისე, ამით მე არაფერი წამიგია, პირიქით, თავშესაფარი ვიპოვე, როდესაც სიმარტოვე და სიმშვიდე მომინდება, აქ მოვდივარ, ვარ ჩემთვის წყნარად და ვფიქრობ... ვფიქრობ...

და კაცი, რომელსაც აქამდე სევდის ნატამალიც კი არ ეტყობოდა, მოულოდნელად დასევდიანდა, წელში მოიხარა, დაპატარავდა კიდეც და თითის წვერებზე შემდგარი, თითქოს ვიღაცას უნდა მიეპაროსო, კართან მივიდა, აქეთ-იქით მიმოიხედა, მერე კარი ფრთხილად მიხურა და ასევე ფრთხილი, შემპარავი ნაბიჯით მიუახლოვდა ილიკოს; ეტყობოდა, რაღაცის თქმა უნდოდა, საიდუმლოს გამხელა სწადდა, მაგრამ ჭოჭმანობდა, ვერ ბედავდა. ბოლოს, იმის შემდეგ, რაც კვლავ მოაველო თვალი ქოხს და ძონძებით საგულდაგულოდ შენიღბულ სარკმელშიც გაიჭყიტა, ძალიან ჩუმად, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— ჩემთვის ხომ ფიქრი არ შეიძლება! აკრძალული მაქვს!.. იქ... თორემ!... — და ხელებით, გაუგებარი, უცნაური მოძრაობა გააკეთა.

ილიკოს უნდოდა ეკითხა, ფიქრი რა შუაშია, თუ იფიქრებ, მერე რაო, მაგრამ ვერ მოასწრო. კაცმა ერთი ამ... ოხრა, მერე, თითქოს დიდი ტვირთი მოიცილაო, წელში გაიმართა და სულ სხვანაირი, თამამი ნაბიჯით მივიდა კართან, კარი გააღო და ქოხში ისევ დაბრუნა დროებით გაძევებული მზის ნათელი; დაბრუნა და იმ წუთიერი, ეტყობა, მაინც რაღაცის შიშით გამოწვეული აღელვებისა, აღარაფერი ეტყობოდა. ილიკოს, მართალია, ძალიან აინტერესებდა გაეგო, მისი გუნება-განწყობილების ასე სწრაფი ცვლილების მიზეზი, მაგრამ მიხვდა, რომ ახლა არაფრის კითხვა არ შეიძლებოდა, უფლება არ ჰქონდა, თავისი ცნობისმოყვარეობის გამო. ისევ აეფორიაქებინა და ისევ ის, შიშით მოცული განწყობილება დაებრუნებინა მისთვის, თანაც კაცი, კვლავ იმედისმომცემად, თბილად უღიმოდა და თითქოს თავისი ღიმილით ეუბნებოდა, ემუდარებოდა, ახლა არა, ახლა ნუ მკითხავ, მოვა დრო და ყველაფერს გაიგებ, თვითონ მიხვდები, ახლა კი არ შემეკითხო, არაფერი მკითხო, თორემ გაჭრება ეს ღიმილიო! ის ღიმილი კი, ძალიან ბევრ რამეს ნიშნავდა ილიკოსთვის!

— უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო, ასე არ ამბობენ? — მოულოდნელად შეეკითხა კაცი ილიკოს. — ასე ამბობენ! — თვითონვე გასცა პასუხი თავის შეკითხვას და განაგრძო: — ჰოდა, აი უპატრონო ეკლესია... ეშმაკისა კი რა მოგახსენო, ეშმაკს ვერ ნახავ, ჩემო კარგო, ისე, წესით, თუ ამ ქოხს ეკლესიად მივიჩნევთ, ეშმაკი მე უნდა ვიყო, მაგრამ ეშმაკი და ქაჯი არასოდეს მხიბლავდა და რომ მართლა ნამდვილი ეშმაკად არ გადავქცეულიყავი, ან, ყოველ შემთხვევაში, ეშმაკად არ მეგრძნო თავი, ამ გავერანებული, ყოფილი ბაღ-ბოსტნების ყარაულობა ვიკისრე... შენ, ალბათ, გაგეცინება, აქაურობას რომ ნახავ, რაა

ზურაბ კანდელაკი

ბევრი რამ ხდება, ჰორაციო...

საქ. სსრ კ. მარ. სახ. სსბ. რესპ. ბიბლიოთეკა

აქ საყარაულო, ვინ რა უნდა მოიპაროსო, მართალი იქნები, მართლა არაფერია მოსაპარი. მაგრამ მე მაინც ვასრულებ ჩემს მოვალეობას, იმიტომ რომ მე, სხვისი, ისე, ტყუილუბრალოდ არაფერი მინდა!.. გაიგე? და თანაც ძალიან არ მიყვარს, ვერ ვიტან ამ გამოთქმას, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო! ფუი!.. განა აუცილებელია ყველაფერ უპატრონოს ეშმაკები ეპატრონებოდნენ?! არა! არა და არა! არ არის აუცილებელი!.. მაგრამ ეს ოხერი ეშმაკები და ქაჯები ძაან რომ მომრავლდნენ?! რა ვუყოთ მათ? რა და... ერთი გამოსავალია მხოლოდ, უპატრონო ეკლესიას პატრონი უნდა გამოუჩნდეს, მომვლელი, ბოლოს და ბოლოს, ყარაული მაინც, რომ ჩარაზოს, მაგრად ჩაკეტოს ყველა კარი, რომ არსაიდან შემოაღწიოს არც ერთმა ქაჯ-ეშმაკმა, არც დიდმა და არც პატარამ! მიხვდი, ალბათ, მარტო ეკლესიას არა ვგულისხმობ, თორემ ეკლესიაში ქაჯსა და ეშმაკს რა უნდა, თუნდაც უპატრონოში!.. მაშ ასე, მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენს წინაშე დგას ყარაული, რომელსაც უფლება აქვს, თავისი შრომის საფასურად, ღამე გაათიოს ყარაულისთვის განკუთვნილ ქოხში, შენც ამიტომ შეგაფარებინე თავი აქ, ისე თამამად... თოფიცა მაქვს და სასტვენიც, მართალია, თოფი არ ისვრის, მაგრამ სასტვენი, სამაგიეროდ, სასტვენი ისეთია რომ... — და იმის დასამტკიცებლად, რომ ნამდვილად ასრულებდა ყარაულის მოვალეობას, ჯიბიდან სასტვენი ამოიღო და გაბმით დაუსტვინა. გამყივანი ხმა ჰქონდა სასტვენს, ისეთივე უსიამოვნო, როგორც ყველა სასტვენს, მაგრამ ილიკოს არ მოეჩვენა ასე, პირიქით, ესიამოვნა და იმწამსვე მიხვდა რატომღაც, — ეს, ის სასტვენი იყო! ხმაც, კაცის ხმაც, ის ხმა იყო! კაცმა სასტვენი ისევ ჯიბეში ჩაიდო და კვლავ შეწყვეტილ საუბარს დაუბრუნდა — ფაცხაცაა აქ, თონეც, ისინიც ბაღ-ბოსტნებივით გავერანებული იყოო, მე ყველაფერი შევაკეთე და ახლა აქ მშვენიერი საქეიფო ადგილია. თუმცა, ჩემი თქმა რად გინდა,

ცოტა ხანში შენივე თვალით ნახავ ყველაფერსო, — მაგრამ ილიკოს უკვე აღარ ესმოდა მისი ლაპარაკი, არა, იმიტომ არა, რომ მისი მოსმენა არ უნდოდა, არ აინტერესებდა, არა, ახლა უფრო სიამოვნებდა მისი ღუღუნა ხმა, უსმენდა კიდეც. მაგრამ აზრს ვერ გებულობდა, რადგან მხოლოდ სასტვენის ხმაზე ფიქრობდა და ცდილობდა როგორმე გაეხსენებინა ის სიტყვები, უკანასკნელად რომ ჩაესმა ყურში, მიწაში ჩამხობილს, სისხლში მცურავს, უკანასკნელი დარტყმის, უკანასკნელი წამის მოლოდინში, იმ სიტყვების გახსენებას ცდილობდა და ბოლოს გაიხსენა, როგორც იქნა, ჯერ სასტვენის გაბმული ხმა, მერე კი, მერე, ოჰ, თქვე მამაძაღლებოო! ჰო, ზუსტად ასე, მამაძაღლებოო! და კიდევ... კიდევ, გამაგრდი, ბიჭო, გამაგრდიო! დიახ, ეს, ერთი შეხედვით უცნაური კაცი იყო მისი მხსნელი, გადამრჩენი! რითი უნდა გადაეხადა ილიკოს მისთვის მადლობა, რა უნდა ეთქვა ისეთი, რა სიტყვები უნდა მოეძებნა, რომ მთლიანად გამოეხატა მის სულში აბობოქრებული მადლიერების დიდი გრძნობა?! არა, სიტყვები უძლურნი იყვნენ, ისინი ვერ მოახერხებდნენ ყველაფრის თქმას, არადა, ეს გრძნობა არ ისვენებდა, სულიდან გადმოღვრას ლამობდა და ვერაფერი რომ ვერ მოახერხა, ბურთივით დამრგვალდა და ილიკოს ყელში გაეჩხირა. ახლა ილიკო კრინტსაც ვერ დასძრავდა, ის, ყელში ბურთივით გაჩხერილი გრძნობა არ მისცემდა უფლებას გაეყალბებინა ნამდვილი, რადგან არის ცხოვრებაში ხანდახან ისეთი წუთები, როდესაც ყველაფერი ნაღდი და ნამდვილია, აი, მაშინ, არ შეიძლება ხმის ამოღება, არამც და არამც! ის ბურთი კი, ყელში გაჩხერილი ბურთი, ნელ-ნელა დაიშალა, ცრემლებად იქცა, მადლიერების დიდ ცრემლებად და თავშესაფარი ილიკოს თვალებში პოვა. კაცი ვერ ამჩნევდა ილიკოს და-

ნამულ თვალებს, ან ამჩნევდა და ისე იქცეოდა, რომ ვითომ ვერ ამჩნევდა. ასე იყო თუ იმე, ის ისევ ლაპარაკობდა, მიწის მოვლაზე, მის დამუშავებაზე, ღვინის დაყენებაზე და, ვინ იცის, რაზე არა, იქნებ ბევრი ლაპარაკი უყვარდა? იქნებ მართლა ჰქონდა ფიქრი აკრძალული, იქ. და ახლა ოიხებდა გულს, ვინ იცის? ვინ რას გაიგებს ადამიანისას! — თუ ასეა, თუ მართლა დიდი ხნის დაგროვილს ამოთქვამსო, მაშინ მისთვის ყველაზე დიდი სიკეთე ჩემი სიჩუმეაო, — ფიქრობდა ილიკო და როგორც ხატს, ისე მისჩერებოდა თავის მხსნელს. და მხოლოდ მერე, როდესაც კაცმა ბოლომდე თქვა თავისი სათქმელი, ილიკომ ძლივს მოახერხა, არა, მადლობის თქმა არა, მადლობას მზერით უხდიდა, სიტყვებით კი, ვიცი, ყველაფერი ვიცი, ამის თქმა მოახერხა ძლივს, მაგრამ კაცმა ყურადღება არ მიაქცია მის ნათქვამს და მაშინ ილიკომ ის სიტყვები გაახსენა, თვითონ რომ გაუელვა გონებაში ახლახან, — ხომ თქვენ იყავით...: გამაგრდიო... გამაგრდი, ბიჭო! თქვენ იყავით, არა? — კაცმა ვითომ ვერ გაიგო, არ უპასუხა, — ჟორჟი მქვიაო, — და ილიკოს ხელი გაუწოდა. მე ილიკოო, უნდოდა ეთქვა ილიკოს, მაგრამ ჟორჟმა (ამიერიდან კაცს ამ სახელით მოვიხსენებთ. მართალია, უცნაური სახელია, არაქართული, მაგრამ ასე ჰქვია და, ჩვენც სხვა გზა არა გვაქვს.) დაასწრო— ვიცი, ვიცი. შენი სახელი, ყველაფერი ვიცი შენს შესახებო, დიდხანს ბოდავდი და ბოდვაში ყველაფერი თქვი, რა უნდა მექნა, შენი მარტო დატოვება არ შეიძლებოდა და ამიტომ ყველა შენი საიდუმლოს უნებური მცოდნე გავხდიო, — და ჟორჟმა დამნაშავესავით დახარა თავი. — არა უშავს, რა მოხდა მერე... — დაამშვიდა ილიკომ. —თქვენ ყველაფრის უფლება გაქვთ! თქვე მამაძაღლებო!.. თქვენ იყავით, ნამდვილად თქვენ!.. სასტვენსაც თქვენ ჩაჰბერეთ!.. — ჟორჟს გაეღიმა — მეო, თუმცა... მე ვიყავი და თანაც არ ვიყავი... მე შენ ვარ და შენ კი, მეო!.. — ილიკო ვერაფერს მიხვდა, — ჰო, მე შენ ვარ და შენ კი, მეო! — ისევ ჩაესმა ყურში და ისე გაშტერებული მიაჩერდა ჟორჟს, რომ მისი გამოსახულება ჯერ გაორდა, მერე ბურუსით დაიფარა და ნელ-ნელა ჩაეფლო, ჩაიკარგა ამ ბურუსში. — ნუთუ ისევ დამეწყოო, ნუთუ ისევ... ისევ!.. ისევ მოჩვენებები?! ნუთუ ისევ არ მომასვენებენ, ისევ გამიჩენენ საფიქრებელს, თუ ასეა, აღარ მინდა, აღარაფერი აღარ მინდა, მერჩივნა, მოვმკვდარიყავი, არაარობად გადავქცეულიყავი, აღარაფერი რომ არ მეგრძნო, ტკივილი რომ არ მეგრძნო არასოდეს, არც სხეულისა და, რაც მთავარია, არც ტვინისა, ახლა კი... ნუთუ ისევ უნდა ვეწამოო, ნუთუ ისევ? — ილიკო ჩემო! — გამოარკვია, ცუდი ფიქრები მოაცილა ჟორჟის ხმამ, თანაც ილიკომ, გაშტერებული თვალები დაახამხამა და წამსვე გაქრა ბურუსი, გაიფანტა, აღარსად იყო, ჟორჟი კი, ისევ ისეთი, ჩვეულებრივი, რეალური, ადრინდელ ადგილზე იდგა და იღიმებოდა. — ილიკო ჩემო! ჯერ ერთი, გთხოვ, თქვენობით ნუ მომმართავ, და მეორე, ნუ გეშინია და ნუ გიკვირს, რომ იტანჯები... აბა რა, უნდა ეწამო, ჩემო კარგო, ხომ იცი რატომ? — და თვალებში მიაჩერდა, პასუხს ელოდა. — ნუთუ ვერ ხვდები? — და პასუხი რომ ვერ მიიღო, თვითონვე უპასუხა თავის შეკითხვას, — იმიტომ რომ ფიქრობ, ძვირფასო!.. აზროვნებ... ამიტომ, თუ გინდა რომ არ ეწამო, არ დაიტანჯო ტვინის ტკივილით, ნურასოდეს ნურაფერზე დაფიქრდები, თორემ თუ ერთხელ მაინც დაფიქრდი, მერე მორჩა, გათავებული ამბავია, საშველი აღარ გექნება, გაწამდები, ასეა და, რას იზამ... ფიქრს კი რა იწვევს? — ისევ შეეკითხა, ოღონდ ახლა პასუხს არ დაელოდა, თითქოს წინასწარ გრძნობდა პასუხს მაინც ვერ მივიღებო, — რა და, ერთი კითხვა, ერთი შეხედვით უბრალო, უმნიშვნელო, მაგრამ, მე თუ მკითხავ, დინამიტივით ფეთქებადია ეს, ერთსი-

ტყვად თქმული, ვითომ უბრალო, ჩვეულებრივი, ხუთი ასოსგან შემდგარი კითხვა. მიხვდი თუ არა, რას ვგულისხმობ? — პასუხს ისევ არ დაელოდა, — ალბათ ვერა, ვერ მიხვდებოდი, იმიტომ რომ შენ ახლა სულ სხვა რამეზე ფიქრობ, გგონია, რომ რაღაც ძალიან რთულზე გეკითხები, არადა, ხშირად, ძალიან ხშირად, ვხმარობთ ჩვენ ამ სიტყვას... ბევრს ბავშვობიდან არ ასვენებს ეს შეკითხვა... რა და... რა და... რატომ? რატომ?! ჩემო ძვირფასო, ჯერ ყოფითი რატომ, ცხოვრებისეული, მერე კი.. მერე სულ რთულდება ეს „რატომები“: რატომ შემიყვარდა, რატომ არ ვუყვარვარ? რატომ კვდება ადამიანი?.. რატომ?! რატომ ამბობენ უნიჭოზე ნიჭიერიაო? რატომ ქადაგებს მორალს უსინდისო? რატომ მომრავლდნენ ასე „ქაჯები“? და თუ კიდევ გაგრძელებ, ძალიან შორს წახვალ, ძალიან და ბოლოს მიხვალ საბედისწერო შეკითხვამდე, რატომ გავჩნდი ამ ქვეყანაზე, რატომო?! აი, ამიტომ ჩემი ნება რომ იყოს, სულ მოვსპობდი ამ სიტყვას, ამოვძირკვავდი, კანონის ძალით ავკრძალავდი!.. ზედმეტი სიტყვაა, ხელის შემშლელი, ცუდი ფიქრების გამომწვევი, არა, სჯობია, საერთოდ რომ არ იკითხო რატომო, არც ბავშვობაში, არც მერე, არასოდეს არ იკითხო! ბევრი ხომ ახერხებს ცხოვრებას ამ სულელური კითხვის გარეშე, რა, არ არიან ბედნიერები? შენ კი, მთელი ცხოვრება რატომ, რატომო, ამიტომაც ტყუილი იმედი ნუ გექნება, არასოდეს არ აგცდება ფიქრით ტკივილი!.. ეჰ, თავიდანვე რომ გცოდნოდა, რამდენი რამე მოსდევს ამ რატომებს, ალბათ, არასოდეს იტყოდი ამ წყეულ სიტყვას, იტყოდი კი არა, გაფიქრებასაც ვერ გაბედავდი, თუმცა შენი ბრალიც არ არის, ამას ნიჭი სჭირდება, თანდაყოლილი დიდი ნიჭი, შენ კი ეგ ნიჭი არ დაგყოლია... საუბედუროდ, არც მე, თორემ ნიჭიერი რომ ვიყო, აქ რა მინდოდა, ვიქნებოდი მეც იმათ გვერდით, ვიცხოვრებდი გულარხეინად, როგორც ისინი ცხოვრობენ, ნიჭიერები, თუმცა იმასაც გეტყვი, რომ ეგენი ძაან მომრავლდნენ, ადგილები თითქმის შევსებული აქვთ და ეგრე ადვილად თავის რიგებში უკვე არავის ღებულობენ... ისე კი, იმასაც ამბობენ, ყველას თავისი დრო აქვს მიცემულიო... ხომ გაგიგია, ერთი დროო... გრძლად გამომივიდა, არა? — თითქოს ბოდიშს იხდისო ისე შეეკითხა ილიკოს. — ჰო, ბევრი ლაპარაკი დამჩემდა, რადგან იქ... — და აღარ გააგრძელა, ამოისუნთქა, ნავთის ლამპა, რომელიც ახლა აშკარად უაზროდ ბჟუტავდა, ჩააქრო, იატაზე დადგა და სამფეხა სკამზე ჩამოჯდა. დაღლა დაეტყო, იმდენი ემოცია დახარჯა, ისეთი სწრაფი ტემპით ლაპარაკობდა, რომ ახალგაზრდაც დაიღლებოდა, ჟორჟზე კი ვერავინ იტყოდა ახალგაზრდაო, თუმცა არც მოხუცი ეთქმოდა. ილიკოს, ფიქრის საწინააღმდეგო ასეთი აგიტაციისა და რატომების ამდენი დაწყეველის მიუხედავად, ისევ მიეძალა ფიქრები, ისევ ფიქრობდა! ისევ რატომ?! რატომო?! რატომ გაწყდა ჯაჭვი? რატომ დავრჩი გარიყულიო? რატომ?! მერე ჟორჟს შეხედა და მისი ნათქვამი გაახსენდა, მე შენ და შენ კი მეო! რატომ მე შენ და შენ კი მეო? ახლა ამაზე დაფიქრდა. ჟორჟი თითქოს მის ფიქრებში შეიჭრა —ეს იმიტომ, რომ ადამიანი არ ცხოვრობს ერთ დროში, ჩვენ წარსულშიც ვარსებობთ, არა, ჩვენი ცხოვრების წარსულში კი არა, ჩვენ ბავშვობაში კი არა, არამედ იმ წარსულში, რომელშიც არ გვიცხოვრია, ჩვენ დაბადებამდე დიდი ხნით ადრე, მრავალი საუკუნის წინ! — ჟორჟი ისევ აღეგზნო, ისევ იფეთქა ემოციამ და დაღლილობისა უკვე აღარაფერი ეტყობოდა. — შენ არსებობდი, მეც ვარსებობდი, ფიზიკურად არა, რა თქმა უნდა, იყო ვიღაც შენნაირი, შენი სულის მატარებელი, შენბედიანი, თუ შენ ხარ მისბედიანი, ალბათ, ეს უფრო სწორი იქნება... აი, ამიტომა ვარ შენთან, ამიტომ მჯერა ყველაფრი-

სა. შენი სიმღერისაც მჯერა, ისიც მჯერა, არავინ რომ არ სჯეროდა!.. იმ თოვლსანთლიანი ველისა მჯერა!.. ყველაფერი მჯერა!.. იმიტომ რომ, მე და შენ ერთნი ვართ!.. ასევე იქნება მომავალში, მომავალშიც იარსებებს, ან, ვინ იცის, უკვე არსებობს ვიღაც შენსულიანი და შენბედნარი. ჰოდა, იმას რამე რომ გაუჭირდება, მაშინ შენ მიხვალ მასთან, ისევე როგორც ახლა მე ვიმყოფები შენს გვერდთ და ასე გაგრძელდება დაუსრულებლად... უნდა გაგრძელდეს დაუსრულებლად!..

ილიკოს მოულოდნელად ისევ შეუტია ტკივილმა, დაიკვნესა, ვაი დედაო! რამდენი ხანია არ უთქვამს ეს ორი სიტყვა, არადა, რა ძალა ჰქონია! იმწუთსავე იგრძნო შვება. ჟორჟი ფიქრებში იყო წასული, თავის თეორიაზე ფიქრობდა, მოსწონდა საკუთარი აზრები, ილიკოს კვნესამ გამოარკვია — კიდევ გტკივიო? — ილიკომ ხელით ანიშნა, ისე რაო. ჟორჟმა დაამშვიდა, — ნუ გეშინია, მეტი აღარ აგტკივდებაო... ამას კი აღნიშვნა უნდა, შენ რომ გიყვარს ისე, ჭიქა ღვინით!.. თორემ დავიწყეთ აქ ფილოსოფოსობა, ფილოსოფიისთვის გვცალია ჩვენ? მე ახლა წავალ და ყველაფერს მოვამზადებ, იცი რა ღვინო მაქვს? ნამდვილი ყურძნის წვენია!.. თანაც კიდევ რაღაც-რაღაცები გვექნება... ახლავე დავბრუნდები, ნუ გეშინია, უკვე კარგადა ხარ, ცოტა კიდევ მოითმინე და მერე... მერე ჩიტივით იფრენ! ოღონდ ცუდ ფიქრებს თავი ანებე, კარგზე იფიქრე!.. აბა, შენ იცი!

ჟორჟი სწრაფად გავიდა და კარი გაიხურა, ისევ ჩამობნელდა ქოხში, ახლა უფრო მეტად, რადგან ნავთის მბჟუტავი ლამპა ჩამქრალიყო და მხოლოდ კარის ღრიჯოდან აღწევდა დღის სინათლე. — არ წახვიდეო, — უნდოდა ეთქვა ილიკოს, შეეშინდა, ვაითუ, ჟორჟი აღარ დაბრუნდესო, — მარტო არ დამტოვოო, — მაგრამ ვერ უთხრა, ახლავე მოვალო, აბა, შენ იციო, ისე მხნედ უთხრა, იმედიანად, რომ სირცხვილი იყო ეჭვი შეჰპარვოდა მის სიტყვებში, თანაც ღვინოც მოუნდა. ძალიან მოუნდა, ნეტა რა დრო გავიდა. რაც ღვინო არ დაულევია? რა დრო გავიდა იმ საშინელი ღამის შემდეგ? ოოქოს ღვინის გემოც კი დავიწყდა. ისევ ისე თუ მესიამოვნება. როგორც ადრეო? ენის წვერზე რაღაცა იგრძნო. სასიამოვნო, ერუანტელისმომგვრელი და როგორც წინათ. ახლაც მთელი მისი არსება მოიცვა საოცარმა მოლოდინმა. დალევ ამ სითხეს და გადაეშვები სადღაც შორს, სულ სხვაგან, სხვა სამყაროში, ნეტა სად? ნუთუ შეიძლება სადმე, სხვა სამყაროში გადასვლა? — ნეტა კიდევ თუ შეეძლებ, ვნახოთ საინტერესოაო — და ჟორჟის მოლოდინში ილიკოს ისეთი მღელვარება დაეუფლა, რომ ყველაფერი ცუდი გადავიწყა. — ბავშვობისდროინდელ ლოდინით ღელვას ჰგავსო — მაგრამ მაშინ, როდესაც რაღაცას ან ვიღაცას ელოდა, ვთქვათ, ფეხბურთზე რომ უნდა წაეყვანათ და მის წასაყვანად მოსვლას კი აგვიანებდნენ, ადგილზე ვერ ჩერდებოდა. აქეთ-იქით დარბოდა, ხან ფანჯარას აწყდებოდა. ხან კართან მიირბენდა და, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა აუცილებლად წაიყვანდნენ, არ დატოვებდნენ, მაინც ელოდა და ეს ღელვა, ეტყობა, მოძრაობაში ოდნავ ცხრებოდა, ნელდებოდა. მოლოდინის მოძრაობას უწოდებდა ამას მერე და ეს თვისება ბოლომდე გაჰყვა, არ შეეძლო წყნარად ლოდინი, არაფრისა, სულ უმნიშვნელო რამისაც კი. ახლა მოძრაობა არ შეეძლო და ამიტომ მღელვარება, მოლოდინის მღელვარება, ორმაგად მძაფრი იყო, — არა უშავსო, — თავი გაიმხნევა, — ალბათ, არ მატყუებს ჟორჟი, ხომ მითხრა, ჩიტივით იფრენო, ჯანდაბას, თუ ვერ ვიფრენ, წამოდგომას ხომ მაინც შევძლებო, — და რადგან სხვა გზა არ ჰქონდა, მოლოდინის მოძრაობის ნაცვლად, ფიქრებს მოუხმო საშველად, მაგრამ კვლავ ცუდი ფიქრები მიეძალნენ, შიშისმომგვრელი, ისევ ჟორჟმა

უშველა. მისი თხოვნა გაახსენდა, კარგზე ფიქრეო და თავს ძალა დაატანა... უკან დაბრუნდა ფიქრებით... — ეჰ, რა მშვენივრად დაიწყო ყველაფერი, რა კარგად!

მართლაც...

3

...მართლაც, ყველაფერი კარგად დაიწყო. მთელი ღამე მღერიდა სიზმარში, ტენორის ყველა ცნობილი არია იმღერა, ისე კარგად რომ, ყველა სუნთქვაშეკრული უსმენდა, თვით იტალიელებიც კი და, თქვენ წარმოიდგინეთ, დიდი ენრიკოც ვერ მალავდა აღტაცებას!.. დიდად გაბედნიერებულს გაეღვიძა, რა კარგი სიზმარი იყოო და სიზმრის გაგრძელება მოუნდა, მაგრამ ველარ დაიძინა, ველარ დაუბრუნდა სიზმარს. მაინც ვცდი, ეგებ ცხადშიც ვიმღეროო და მოულოდნელად „სი“ აიღო, სუფთა „სი“! პირდაპირ ნემსის ყუნწში გააძვრინა. ამან გაათამამა, ახლა რადამესსს არიას ვიმღერებო. მომზადა, ღრმად ჩაისუნთქა და... ეჰ, არაფერი გამოუვიდა, მელოდიაც კი ვერ გაიხსენა, მხოლოდ არიის პირველი სიტყვები მოადგა პირზე „ო, მშვენიერო აიდა!“, ისიც ქართულად, რუსულადაც წაიღღინა „О милая Аида“ და მორჩა, ველარაფრით წავიდა წინ, სიზმარში კი იტალიურად იმღერა, და მერე როგორ! რა ბრწყინვალედ! და რადგან ძალიან უნდოდა სიზმრის გაგრძელება, ახლა კანიოს შეჰბედა, შეიძლება ეს მაინც გამომივიდესო, მაგრამ კანიოსაც ვერაფერი მოუხერხა, აქაც მხოლოდ „იცინე ჯამბაზო“, თანაც ისეთი ყალბი ბგერები გამოსტყორცნა ფილტვებიდან, ოდნავ სმენიან მელომანს რომ მოესმინა, უცილობლად შოკში ჩავარდებოდა. — აი, ესეც შენი სიზმარი! ოცნება და სინამდვილე! მაგრამ სუფთა „სი“ როგორ ავიღეო? — და თავის თავზე გაეცინა — მართლაც რა საშინლად იცის სიზმარმა გამოყოლა, როცა ძალიან გინდა სიზმარში ნანახი ცხადშიც გაგრძელდეს, ალბათ, ასეა, ალბათ „სიც“ ვერ ავიღე, ან როგორ უნდა ავიღო, როდესაც არასოდეს მიმღერია, უბრალო სიმღერაც კიო, სიცილმა თითქოს გამოიფხიზლა, სიზმრიდან გამოიყვანა და რეალურს. ყოველდღიურ საფიქრალ-საზრუნავს დაუბრუნა. საფიქრალ-საზრუნავი კი, ისევე, როგორც თბილისელთა უმრავლესობას, ერთი ჰქონდა. რა ეღონა, რითი დაეცვა თავი აუტანელი სიცხისაგან. მართლაც, უკვე დილიდანვე ძალიან ცხელოდა. სანამ სიზმართან იყო, ამას ვერ გრძნობდა. ახლა კი, სიზმრიდან დაბრუნებულს, სიცხე ისეთი ძალით ეძგერა, რომ აიძულა რაიმე ეღონა თავის დასაცავად. ფანჯრები ჩაკეტა და ოთახი ფარდებით ჩააბნელა. მაცივარი გამოაღო, იქ კიდევ იყო დარჩენილი ორი ბოთლი ლუდი, ერთი ბოთლის გახსნა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, მერე უფრო დამჭირდებაო და გადაწყვიტა მთელ დღეს სახლში დარჩენილიყო. სულერთია ამ სიცხეში ვერაფერს გავაკეთებო და ვინაიდან გრძელი დღე ჰქონდა მოსაკლავი, ისევ ლოგინს მიაშურა, თვალები დახუჭა, ძილი დააპირა, არაფერი გამოუვიდა. სიზმარი გაახსენდა ისევ და ისევ გაეცინა თავის თავზე, მოვინდომე რალა მომღერლობაო, მაგრამ გასაოცარი იყო, დასცინოდა თავის თავს და სიმღერა კი მაინც უნდოდა! ეტყობა, სიზმარში, სიმღერის დროს განცდილი ისევ მასში იყო, ის გრძნობა, ის ალმაფრენა არ სტოვებდა, სადღაც, გონებისთვის ჯერ კიდევ შეუცნობელ სამყაროში უპირებდა წაყვანას და რომ არ წაჰყოლოდა ამ გაურკვეველ სამყაროში, ამიტომ მოიშველია სიცილი, მაგრამ ნაძალადევი გამოდგა ეს სიცილი, ნაძალადევი კი რას უშველიდა? ან რაში სჭირდებოდა ასეთი შველა?! ვერც უშველა, ისევ აწვალებდა რაღაც, რაღაც საოცრად მოითხოვდა მისი სულიდან გადმოღვრას! რა იყო ეს? ცივი შხაპი მიიღო, ეგებ კიდევ ძილ-ღვიძილში ვარ და იქნებ როგორმე გამოვფიზიზლდეო, შხაპმაც ვერ გამოარკვია, თუმცა სასიამოვნოდ გაგრილა, მაგრამ ახლა, ეს არ იყო მთავარი, რადგან ყველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის აუტანელი სიცხე, მისთვის თითქმის აღარ არსებობდა, სულ სხვა რამე აინტერესებდა! ვერც ისაუზმა, ლუკმა ყელში არ გადასდიოდა. ზუსტად ისეთი შეგრძნება ჰქონდა, დიდი სიხარულის ან დიდი მწუხარების დროს რომ აქვს ადამიანს. ჰოდა, იგრძნო, რომ რაღაც იბუდებდა მასში. სიზმრის გამომწვევი თუ სიზმრით გამოწვეული ეს გრძნობა? რაღაცას ჰპირდებოდა, ოღონდ რას? დიდ სიხარულს? ან შეიძლება დიდ მწუხარებას? ვინ უწყის?.. ერთი რამ ცხადი იყო, რაღაც უნდა შეცვლილიყო, მის სულის სიღრმეში ჩამალულ ამ გრძნობას უნდა დაენგრია ყველაფერი ადრინდელი, უნდა მოესპო, უნდა გამოეფხიზლებინა, უკვე ყველაფრის დამყოლ არსებად გადაქცეული! — ვითომ? — ეჭვი შეეპარა საკუთარ თავში — ვითომ კი. არა, აუცილებლად ასე იქნება, აუცილებლადო! — და მოულოდნელად დაინახა ის, რაც მხოლოდ მის ოცნებაში არსებობდა, დაინახა ის, რის დანახვასაც დიდი ხანია ლამობდა, რაც აწვალებდა, რასაც შინაგანად გრძნობდა, ხედავდა, მაგრამ ვერ გამოეხატა, ვერ გამოეთქვა სათქმელი, რადგან ფორმას ვერ გრძნობდა, ვერ პოულობდა. ყველაფერი აქეთ-იქით იყო მიმოფანტული, როგორც გაწყვეტილი მძივის ძალიან წვრილი მარცვლები და ვერ ახერხებდა ამ მარცვლების ისევ ერთ მძივად აკინძვას. ძნელი საქმე იყო, ძალიან ძნელი და ხელი ჩაიქნია, ვერ შევძლებ, უკვე ვეღარ შევძლებო, თუმცა ხანდახან ასეც ფიქრობდა — ვერ შევძლებ კი არა, ვერ შემაძლებინებენო! ამ დროს თავისი თავის ღალატს აპირებდა, რაიმე იოლ მასალას ავიღებ, ჩვეულებრივს, მომგებიანს, ყველას რომ მოეწონება, არავის რომ არ შეაწუხებს, არც შეაშინებსო. მაგრამ სურვილი სურვილად რჩებოდა, ეტყობა, ის თავისი ოცნება არ აძლევდა ღალატის უფლებას და, მიუხედავად საღი აზრის კარნახისა, თავი დაანებე მაგ ოცნებას, გააგდე, მოიცილეო, მაინც ვერ აგდებდა, ვერ იცილებდა, ან როგორ უნდა მოეცილებინა, ის ოცნება ხომ ურჩი იყო, ურჩზე ურჩი, თანაც ეშმაკი და როცა თავის უუნარობით ძაან გაბრაზებული, მაინც უპირებდა თავის ცნობიერებიდან საბოლოოდ გაძევებას, გაეშმაკებული ოცნება თავს იკატუნებდა: ჰო, მართალი ხარ, მე წავალ, დავიკარგები და შენ რაც გინდა, ის გააკეთეო, მაგრამ არ მიდიოდა, ატყუებდა, ინაბებოდა მხოლოდ, იმალებოდა, მისი სულის სიღრმეში იჯდა გატრუნული და ასე, ხან ეშმაკობით, ხან კი ურჩობით იცავდა თავს საღი აზრის შემოტევებისგან. მაგრამ რამდენ ხანს გაძლებდა ასე? და მართლაც, ბოლოს ისე დაასუსტა ამ შემოტევებმა, რომ სულ უკან დაიხია, მივარდნილ, ტვინის პატარა კუნჭულში გამაგრდა და მხოლოდღა თავის გადარჩენაზე ფიქრობდა, მაგრამ ძალიან უჭირდა, სულს ღაფავდა და იშვიათად, ისიც მხოლოდ ალკოჰოლით აღგზნებული ამღუავნებდა სიცოცხლის ნიშანწყალს. რაღა თქმა უნდა, უკვე აღარ იყო იმედი, რომ როდესმე მაინც შეძლებდა არათუ ამ ჩანაფიქრის განხორციელებას, არამედ საერთოდ რამის გაკეთებას. ახლა კი, სრულიად მოულოდნელად, თითქოს საბოლოოდ იმედდაკარგულმა, უეცრად შეიგრძნო, მთლიანობაში დაინახა გაფანტული და ეს ჯადოსნურ მალამოსავით დაეფინა სულთმობრძავ, უკვე არა ოცნებას, არამედ პატარა სურვილსღა. ამ მალამომ წამოაყენა, შთაბერა ძალა და სურვილი ისევ აქცია ოცნებად, ოცნებამ იმედიც გააღვიძა და გაღვიძებულ, ოცნებით გათამამებულ იმედს სხვა რაღა უნდოდა, ძველებურად გაინავარდა, აქეთ-იქით ეცა, მის ძარღვებში შეაღწია, გული აუფორიაქა, აუძგერა და იქიდან ტვინსაც მისწვდა, მიდით, მიდით ამუშავდით, ნუ გეშინიათ, თუ არ გამაგდებთ და თქვენთან დამტოვებთ, — გულსა და ტვინს ეუბნებოდა, — ყველაფერს შევძლებთო და გულმა, სას-

წრაფოდ, სანთლებით მოფენილ ველისაკენ გასწია. — აი დასაწყისი!..

...და თვალწინ წარმოუდგა უზარმაზარი, უკიდეგანო ველი, მიწიდან ამოზრდილი, უამრავი სხვადასხვა ზომის სანთლებით მოფიფქული, თითქოს სიზმარში ნანახი... ამ უკიდეგანო, სანთლებით მოფიფქულ ველზე და... კიდევ თოვლზე... ოღონდ თოვლი იისფერი უნდა იყოს, აუცილებლად იისფერი... ჰო, იისფერთოვლსანთლიანი უკიდეგანო სამყარო და სადღაც შორს, ცაში... ცას აკრული ღვთისმშობლის ხატი და ის, დაჩოქილი, სანთლით ხელში... ის! დიდი!! დიდზე დიდი!!! და ჩურჩული, ვედრება „დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!“ — მხოლოდ ჩურჩული... მხოლოდ ვედრება... და ისევ იისფერი თოვლი... ისევ სანთლები და საოცარი ხმოვანება სანთლების ტკრციალისა და კიდევ სურნელება, სანთლების გამაბრუებელი სურნელება. მერე კი... ნელ-ნელა ჩაქრა, ჩაიწვა, ჩამოიღვენთა ყველა სანთელი და ჩამოწვა ირგვლივ წყვდიადი. წყვდიადში კი, ძლივსღა მოსჩანდა, უკვე თითქმის ბოლომდე ჩამწვარი მისი სანთელი, ობოლი სანთელი.

და ისევ ვედრება, ისევ მუდარა...

„იგი ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით“...

და შორს, სადღაც ძალიან შორს, იქნებ ცაში, გაისმა რაღაც საოცარი ხმა, სიმღერის ხმა, გალობის ხმა!..

„ფრთებით დაიფარე — ამას გევედრები“...

და ჩამოვიდა ციდან ის მელოდია, მოძებნა, ვინც უნდა მოეძებნა, მოძებნა და წყვდიადში მეორე სანთელიც აკიაფდა, აკიაფდა და იმ მბეუტავ სანთელსაც შთაბერა სული... და წამოვიდნენ ერთმანეთისკენ, ერთმანეთის ნათელით გაცისკროვნებულები...

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე“...

და გალობდა ცაში ყველა ანგელოზი...

„თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ!“

შემდეგ?.. შემდეგ... „ყველაფერი ... ალში ჩაქრა სანთელი“...

და ისევ იისფერი თოვლი...

„როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი! როგორმე ქარმა თუ მიმატოვა“...

და ის, მუხლმოდრეკილი, ის!! დაობლებული, ჩამქრალი სანთლით, მოხუცებული, უკვე წვერმოშვებული, სხვებისთვის თითქოს გატეხილი, ავადყოფი, ზოგისთვის ლოთიც, სინამდვილეში კი, უკვდავებასთან ნაზიარები, უკვე ცაში ფეხშედგმული!..

და ისევ ჩურჩული, ისევ ვედრება...

„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!..“

იმედი ბობოქრობდა.

ნუთუ სიზმარმა გამოიწვია ყველაფერი და იმ სიმღერამო, მაგრამ თვითონ სიზმარი რის შედეგად წარმოიშვა? ან სიმღერა? მუსიკა ადრეც შველოდა, უიმედოს, მარტოდ დარჩენილს, ალბათ, ახლაც ასეთ და აღარ ჩაუღრმავდა, მადლობა გადაუხადა მუსიკას და მადლობის ნიშნად ისევ სცადა ემღერა სიზმარში ნამღერი. ისევ რადამესი, და როგორც ცოტა ხნით ადრე, ახლაც გაეცინა საკუთარ თავზე, თუმცა ახლა თავი გაიმართლა, არ არსებობს ადამიანი, სრულიად უსმენოც კი, რომ მარტოდ დარჩენილმა სიმღერა არ სცადოსო, ეს იმიტომ, რომ სიმღერა ყველაზე მეტად გამოხატავს სულის აღტყინებას, აღმაფრენას და კიდევ რაღაც შეუცნობი ძალა იმალება სიმღერაში, წინასწარმეტყველური, რომელიც თითქოს წინ უსწრებს სულ სხვა გრძნობის გაჩენას და რომელზედაც ადამიანს ჯერ წარმოდგენაც არა აქვს, მაგრამ, ეტყობა, რომ ბედისწერით მისთვისაა გამიზნულიო. აი, რატომ ამღერდება ხანდახან ადამიანი მოულოდნელად, ისე, უმიზეზოდ კარგ ხასიათზე დადგომა რომ ჰქვია, მეც, ალბათ, ამიტომ ავმღერდიო და გაიფიქრა თუ არა ეს, გამოუვიდა, ოღონდ გულში, „ო, მშვენიერო აიდა!“, ძალიან კარგად, თითქმის სიზმარში ნამღერივით. ხმამაღლა არც კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცდია, შინაგანად მიეცა სიმღერას. მთელი არსებით, შემდეგ ხოზეს არიაზე გადავიდა, შეუჩერებლად, „ხედავ როგორ ვინახავ შენგან ნაჩუქარ ყვავილს“ და დიდი სიყვარულის გამომხატველმა დიდმა მუსიკამ ყველაფერს მიახვედრა.

სამი დღის წინ მომხდარი გაახსენდა, თავისი იმღამინდელი გრძნობები, თავისი სიტყვები, იმ ღამეს რომ უმტკიცებდა საკუთარ თავს, ჩემი წილი ქალიაო და მერე, დილით ყველაფერი სიმთვრალეს რომ გადააბრალა. რა სულელი ყოფილა, ორი დღე ფიქრობდა, რა ვქნა, როგორ დავაღწიო თავი ამ ამბავსო, ეშინოდა, მისი შეხვედრისა ეშინოდა, რადგან ჩვეულებრივ, შემთხვევით ამბად ჩათვალა ყველაფერი და იმის შიში ჰქონდა, ვაითუ, ის ასე არ ფიქრობსო, მაშინ ხომ კიდევ მომიხდება გავლა-გამოვლა, ახსნა, მოტყუება და მსგავსი რაღაცებიო, ორი დღე ფიქრობდა ამაზე, ორი დღე შიშობდა, მესამე დღეს შიშმა გაუარა, უკვე მორჩა, ჩაიარა ყველაფერმა, ყოველთვის პირველი ორი დღეა საშიშო და ახლა, როცა ყველაფერი დამთავრებული ეგონა, სიმღერამ იმისი გამჭვირვალე, ზღვისფერი თვალები გაახსენა, გაახსენა და საოცრად მოუნდა ისევ დაენახა, ისევ ეგრძნო მისი ღიმილის, ყველაფრის დამთრგუნველი ღიმილის ძალა, რომლის არსებობასაც მხოლოდ ახლა მიხვდა. აი, საიდან მოდის ჩემი სიმღერა, აი, რა ძლიერი მოკავშირე ჰყოლია ჩემს იმედს, აი, რატომ ბობოქრობდა ასეო და იმედმა გახსენებაზე, კიდევ შეაჯღრია ერთი ორჯერ, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო! იმედით გათამამებულს, გამხნევებულ-გახარებულს ისევ მოუნდა სიმღერა, ღრმად ჩაისუნთქა და...

4

— ახლა კი ადექი, სუფრა გაშლილია, ისეთი რამეებია, შენ რომ ძალიან გიყვარს... ადექი, ადექი! — ჟორჟი ადგა თავზე, კეთილი ღიმილით უღიმოდა, ხელში დოქი ეჭირა. ილიკომ უმწეოდ შეხედა, როგორ, როგორ ავდგე, ვაითუ, ისევ ისე ამტკივდეს ყველაფერიო. ჟორჟმა კიდევ ერთხელ უთხრა, ნუ გეშინია, ადექიო, და რადგან ილიკო მაინც ვერ ბედავდა წამოდგომას, მაშინ კარგი, ღვინით გაგბანო, წამიკითხია, რომ ბალახებით მკურნალობის შემდეგ, ღვინით განბანაა საჭირო, ეს ღვინით სავსე დოქიც ამიტომ მოვიტანეო, ჟორჟმა დოქი მაღლა შემართა, დიდი დოქი იყო, დაახლოებით ხუთი ლიტრი ჩაგიდოდა, — აბა, თვალები დახუჭე, თვალებში არ ჩაგივიდეს, თორემ აგწვავს, ნუ გეშინია, დახუჭე! კიდევ მაქვს ღვინო, მაგაზე არ იფიქრო... ღვინოს ჯანიდან გამოაქვს ყველანაირი სენი და, რაც მთავარია, ამ სენით გამოწვეული შიშიო, ასე სწერია ძველ წიგნებში, მე კი არ მომიგონია, მე, უბრალოდ, ჩემი სიტყვებით გადმოგცემ იქ დაწერილს.. აბა, დახუჭე თვალები! — თვალების დახუჭვა რაღა საჭიროაო, გაიფიქრა ილიკომ და მოულოდნელად რაღაცის შეეშინდა, თვითონაც ვერ მიხვდა, ახლა რისი უნდა შინებოდა?!. ო, ეს შიში! თანდაყოლილი, თანშეზრდილი შიში!.. და დიდიხნის წინანდელი გაახსენდა, ნურავის ენდობი, არავინ არაფერი გათქმევინოსო... მერე ძველი, ფურცლებგაცრეცილი წიგნი მოაგონდა, მაშინ აკრძალული, ღამე რომ კითხულობდა, ჩუმად, კარგი წიგნი, ძალიან კარგი, როგორ უკვირდა, არსენა ხომ თავადებს ებრძოდა და რატომო?! შერცხვა ილიკოს, თავის თავისა შერცხვა, ყოველთვის ასე იყო, როცა შიში მოულოდნელად ახსენებდა თავს, რცხვენოდა და ბრაზდებოდა თავის თავზე, იმათზეც, ვინც ეუბნებოდა, შეეშვი, თავი დაანებე, თორემ ყველაფერს გაიფუჭებ, ნიჭიერი კაცი ხაო და მომავალი წინა გაქვსო. ისინი მასზე უფროსები იყვნენ, მათ უფრო მეტად ჰქონდათ გამჯდარი მაშინდელი შიში, რადგან თვითონ იყვნენ მომსწრენი

იმ საშინელი, ამაზრზენი ამბებისა, მან კი, მონაყოლით იცოდა და მხოლოდ, ზოგიერთი ბავშვობისდროინდელი უმნიშვნელო ამბავი ახსენდებოდა... ვითომ უმნიშვნელო?.. როგორ ეხვეწებოდა საწყალი დედა ბაბუას: ჩუმად, ჩუმად, დაგავიწყდა, იქ ვინ ცხოვრობსო? და შეშინებული, დარაბებს ხურავდა, იქ კი, მეორე ეზოში, მათი ფანჯარა რომ გადიოდა, ვიღაც, „ის“ ცხოვრობდა, ო, როგორ აინტერესებდა ვინ იყო ის კაცი, რანაირი, მის შვილს იცნობდა, ერთი მსუქანი, სოფლიდან ჩამოსული, ზონზხოხა ბიჭი იყო, მერე ის კაციც დაინახა, საშინელი ვინმე ეგონა, რატომღაც სათვალიანი წარმოედგინა, ის კი, ჩვეულებრივი, ლოყებღაჟღაჟა კაცი იყო, სათვალე, ალბათ, არასოდეს დასჭირვებია და არც საშინელებისა ეტყობოდა რამე, მაგრამ მისი მაინც ეშინოდათ, რადგან ის, „იქ“ მუშაობდა, თუმცა როგორც ამბობდნენ, უბრალო „ოხრანიკი“ იყო. ეტყობა, ბაბუასაც ეშინოდა მისი, როდესაც დედა იმ კაცს ახსენებდა, ის, ნირწამხდარი ჩამოჯდებოდა ხოლმე ტახტზე, — რა ვიცი, ყველაფერი ხდებაო, — ამბობდა და იმ დღეს, რა შეკითხვაც არ უნდა მიეცა მისთვის პატარა ილიკოს, არაფერზე პასუხობდა, იჯდა თავისთვის ტახტზე ფიქრებში წასული და მერე ცხელ ჩაის რომ დალევდა, თავზე ხელს მოუთათუნებდა მხოლოდ და მიდიოდა... ეს იყო და ეს, მეტი არაფერი, მას სხვა არაფერი ახსოვდა, მაგრამ, ალბათ, ესეც საკმარისი იყო, იმ ფარული, სულში გამჯდარი შიშის დასაბადებლად და თუმცა იმათზე ძალიან ბრაზდებოდა, იმ შიშგამოვლილებზე, ყველაფერს რომ შიშის თვალით უყურებდნენ, ყველაფრისა რომ ეშინოდათ, მაგრამ თვითონაც, მერე, როცა ემოციები იძინებდნენ, როცა გონების თვალით აწონ-დაწონიდა ყველაფერს, გულის სიღრმეში ეთანხმებოდა მათ და თავს ანებებდა, იცილებდა თავიდან საეჭვო აზრებს, იმათთვის საეჭვოს, თორემ ისე, იმ აზრებში არაფერი იყო ცუდი, არაფერი! რადგან, ბოროტებისა [illegible] აღმდეგ იყო მიმართული, ცუდი ხალხის, პირფერების, მძრომიალეების, პატივმოყვარეების, უსამშობლოების, წამგლეჯების, ქაჯების, იმათ წინააღმდეგ, შავთელსა და ჩახრუხაძეს რომ უპირებდნენ დაჭერას! რა იყო აქ საეჭვო?! მაშ, რატომ, რატომ უშლიდნენ ხელს ზოგიერთები? რისი ეშინოდათ? ან თვითონ მას, რისი ეშინოდა? რატომ არ იბრძოდა?! ნუთუ ის, მათი ფანჯარა რომ გადიოდა, იმ ეზოში მცხოვრები კაცი იყო დამნაშავე? ან იქნებ სხვა რამ? იქნებ თავის თავში უნდა ეძებნა მიზეზი? იქნებ თვითონ იყო ბუნებით მშიშარა, თუმცა ვინც კი იცნობდა, მშიშრობას ვერავინ დასწამებდა. მაშ რატომ ეუფლებოდა ხანდახან, მოულოდნელი, უმიზეზო შიში? ფიქრობდა ყველაფერ ამაზე ილიკო და თვალების დახუჭვას არ აპირებდა, მაგრამ თურმე ჟორჟს გაბრაზებაც სცოდნია და გაბრაზდა კიდეც:—გაშრა ყელი, რაღას უცდი, დახუჭე თვალებიო! — მკაცრად უთხრა, თითქმის დაუყვირა. შერცხვა ილიკოს, დაემორჩილა თავის მხსნელს და როგორც კი თვალები დახუჭა, ჟორჟმა ზედ ღვინით სავსე დოქი დააცალა. — ახლა გაახილე თვალები და ადექი, ნუ გეშინია, ადექიო! — ადრინდელივით თბილად გაუღიმა და ხელი გაუწოდა, ადგომაში მოგეხმარებიო, ხელი ხელში ჩასჭიდა და რაც შეეძლო, რა ძალაც გააჩნდა, იმ ძალით მოსწია. ილიკოც მიჰყვა და აი სასწაული, წამოდგა და არაფერი სტკენია! გახარებულს, ჟორჟისთვის უნდოდა ეთქვა, სასწაული თუ გინდა, აი ეს არისო, მაგრამ მოულოდნელად სიცილი აუტყდა, თავის თავზე იცინოდა, ალბათ, რა სასაცილო ვარ ღვინით დამბალიო, მართლაც გალუმპული იყო, — როგორ გავშრეო, — სიცილით იკითხა. ჟორჟმა ხელი ჩასჭიდა— წამოდი, გარეთ ისეთი მზეა, ორ წუთში გაგაშრობსო. — გაკვირვებულმა ილიკომ ღუმელს შეხედა, მერე ჟორჟს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიცილი შეწყვიტა, ისევ ვერ შეუთავსა ერთმანეთს ღუმელი და ზაფხულის მზე. — მაშ ახლა ზაფხულია? — იკითხა დაეჭვებულმა. — ჰო, ზაფხულია, ჩემო კარგო, აბა რა! ზუსტად ორი კვირა გავიდა იმ დღის შემდეგო, — უპასუხა ჟორჟმა. — ეს ღუმელიო?.. — და ჟორჟმა აღარ გაგრძელებინა — მართლა უცნაური კაცი ყოფილხარ, ნახარში? ნახარში რაზე უნდა მომემზადებინა, ჰა?.. გაზი და ელექტროობა არ გაგვაჩნია, ბოდიში, ჩემო კარგოო, — და ახლა მას აუტყდა სიცილი, ილიკო თითქმის მიხვდა ყველაფერს და ისევ გაეცინა, ორივენი იცინოდნენ, უხაროდათ და იმიტომ იცინოდნენ. — წამო, წამოო, — ხელი ჩაავლო ილიკოს და ასე სიცილ-სიცილით გავიდნენ გარეთ. ზაფხულის თაკარა მზე აცხუნებდა, უცბად აორთქლდა სისველე. — ჰო-ჰო-ჰო, რა პურმარილი გველოდებაო, — სიამოვნებისაგან ხელებს იფშვნეტდა ჟორჟი და იქვე, სულ ახლოს ილიკომ პატარა ფაცხა დაინახა, დაინახა და თონეში ახლად გამომცხვარი პურის სურნელებამ ისე გააბრუა, რომ კინაღამ წაიქცა. ჟორჟმა ხელი შეაშველა — არა უშავს, ასე იცისო. — გაშლილ სუფრას უახლოვდებოდნენ, ყველის სურნელებაც იგრძნო, თუშური ყველის, სხვა დროს, ვინ იცის, მაგრამ ახლა საოცრად გემრიელი, ხასხასა მწვანემ, ახლად დაკრეფილი ოხრახუშის და ქინძის სიმწვანემ თვალი მოსჭრა და ჭარხლისფერმა კომბოსტოს მწნილმა კი, სულ კბილები აუკაწკაწა. — ნუთუ ეს ყველაფერი ნამდვილია, ნამდვილიო? — ჟორჟი კარგი დიასახლისივით დაფუსფუსებდა — ახლავე ცხელი ეჭადიც გვექნება და შენ რომ გიყვარს. ისეთი ლობიოც, ნიგზიანი, ამოლესილი და მერე თითო შუშა კახური რომ! დავცალით, მწვადიც შემოგვემატება, წალამზე შემწვარი, აბა! — ილიკო გაოგნებული იდგა, მერე როცა მაგიდას მიუჯდა, მაშინაც გაოგნებული იყო, საიდან, საიდან ეს ყველაფერიო? როგორ? რანაირად? დავუშვათ, ყველაფერი ნაყიდია, ან საიდანმე მოტანილი, მაგრამ ეს კახური შოთი? ხელს ვერაფერს ჰკიდებდა, ვაითუ მხოლოდ ჩემს წარმოსახვაშია ყველაფერი და ხელს რომ შევახებ, შეიძლება იმ წუთში გაქრესო, — ოჰ, ეს ოხერი წარმოსახვა, ნუთუ არასოდეს არ უნდა მოასვენოს ადამიანიო?!

მაშინ ათი წლის იყო.

— დედა, როდის წავალთ აქედან, როდის?

— მალე, შვილო, მალე, ძალიან მალე.

საავადმყოფოში იწვა, ყოფილ სასამართლოს ქუჩაზე, ბავშვთა საავადმყოფოში.

— დედა, მალე წავალთ აქედან?

— მალე, გენაცვალე, მალე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა კობერიძე

ფიქრები ტვერის ბულვართან

დიდი ხანია დაგვიწყეს ამ ქუჩაზე
მდგარმა ხეებმა,
დიდი ხანია აღარ გელის შავი მოაჯირი,
დიდი ხანია, რაც ბებერი, ხის თეთრი
დათვი,
იმ წუთსღა ლეჭავს, უსასრულობაში
რომ გაიყინა.
აქ აღარავის სჭირდება ხელების ჰაერში
გაშეშება,
აქ არც არ მოსვლა სჭირდება არავის.
მხოლოდ და მხოლოდ საღამოობით
მოირბენენ ხოლმე
პატარა და სასაცილო პოეტები
და შესცქერიან, შაოსან ღრუბლებს,
უსუსური მორჩილებით რომ
მიაცილებენ
მბრძანებელი ქარის გამხდარ ცხედარს.

ციკლიდან — „ფერილები მამას"

ნაცრისფერ ტილოს ახატია თეთრი
ქოფაკი,
გრილი ცხვირით და ჩამოფლარტულ,
დამღიან ყურით.
მიიზლაზნება წელიწადი, ჩემი ყოფა კი
უგემურია, როგორც წყალში ჩამბალი
პური.

გარეთ ბუნების მეფედ ახლა უკვე
მარტია,
ჩემს ოთახში კი ზამთრის სუსხი
ბინადრობს ისევ.

ვდგები, მოვისხამ სიმარტოვეს —
ყვითელ მანტიას
და ჯალათ აპრილს ვუწვდი ამ ჩემს
გაძვალულ კისერს.

ღამდება, მოვა ქარიშხალი შავი
კარეტით,
სიზმრებს დაუფრთხობს ჩრდილოეთის
გატრუნულ ველებს.
მე კი მგონია, რომ ისკუპებს თეთრი
ქოფაკი
და გაგილოკავს თამბაქოთი დასევდილ
ხელებს.

●

ო. ხ-ს

ერთხელაც იქნება,
შენსკენ გამოწვდილი ჩემი ხელის
მტევანი
გადაიქცევა თეთრ ოლიად
და დაჰკივლებს შენს სულს —
— ოკეანეებში გზააბნეულ მოხუც
მეზღვაურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილხვედრი ნული

ეს ვარსკვლავებიც
ნულებივით ამბობენ არას.
ვინ ახსნის რებუსს,
შემოქმედის ხელით დანაწერს,
როს ყოველივეს იდუმალი ბურუსი
ფარავს
და წვდომის წყურვილს
კაცთა ცოდნა ოდნავ არ ავსებს.
კვლავ წილხვედრ ნულზე ვეხეტები
მარადი ბავშვი.
ეე და ეს ვერხვი
ჩვენ-ჩვენს ასაკს როცა მოვილევთ
გზას გავუყვებით
ძოკვდავთათვის უცნობს და საშიშს,
სად შემაზრზენი სიმყუდროვით
დუმს ყოველივე. .
და მერე ცეცხლი
სპირალივით იჭრება ცაში
და მერე სული სპირალივით
სხეულს ჭიგოს
ცილდება.
ჰასუხს კვლავ ჯიუტად მოელის ბავშვი,
ვავიწყებთ ტაშით,
რომ ხვალვე არ ამოხსნას თვითონ.
და ეით პირველი,
დედამიწის ეული მკვიდრი
ჰეც იმდაგვარი გაოცებით გავცქერ
სამყაროს,
ხორცში ჩამჯდარი ხორცი ხედავს.
ბალახის მიკვირს,
არ ავიწყდება
კვლავ თავისი ჯიში ახაროს...
და უსუსური ჭიანჭველის მიჩნდება
შიში,
ქრება სურვილი,
ბრძადყოფილმა რაიმე ვწერო...
ტონეულები მატყუარად ჩაგვჩარეს
პირში.
ბეფარებულებს
ვარსკვლავეთის იდუმალ ჩეროს.

ერთხელ ახედე

ერთხელ ახედე
დედამიწას შორ ვარსკვლავიდან,
ერთხელ ახედე
მოფრიალეს ვარსკვლავთ რებუსში,
მერე დაეშვი
და ცხოვრება იწყე ახლიდან
უთვალავ ფერით ღვთის ნაბოძებ
ამ სასწაულში.
რის ცოდვის მიწა,
ჩვენ ვაქციეთ იგი ცოდვილად,
კვლავ ძმათა სისხლზე
გვიცურდება ფეხი ნიადაგ,
ვდგავართ ტალახში
და არ ვიცით
რისთვის მოვდივართ
ან რისთვის ვიშვით
მოაზროვნე ადამიანად.
არ დაიჯერო!
გატყუებენ!
გასხამენ თავსლაფს!
ვინ ზეციერობს
დაფრიალებ სივრცეში როცა.
რად უნდა აყვე
ავადმყოფის სომარ დაფდაფს
ან მონის უღელს
შეაგებო ქედი და ლოცვა.
ჩვენი პლანეტაც
სიშორიდან წერტილად მოჩანს,
ზეციერებად გვნათლავს ვიღაც
და დარდს იქარვებს,
მიქრის,
მივქრივართ,
ვარსკვლავეთის ზეიმურ როკვას
ადევნებია დედამიწის ფრენის სიჩქარე—
ვიღაც ძმის სახლთან
ჩაფრენია იმედით სასხლეტს
და ღილაკებზე
უშეშდება თვალები ლაჩარს...
ერთხელ ახედე დედამიწას
იმ სიშორიდან,
ინ სიშორიდან
სატახტოთა საზღვრები არ ჩანს.

მოლოდინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი საუკუნეა ელოდები
და ჩვენც მოვედით
და ბავშვობაც გამოვიარეთ
და მხსნელივით შევხედეთ ერთურთს
მოწყენილები
ახლა ერთად გავყურებთ შარას.

მონატრება

როგორც ტურისტი,
გაგებული უცხო შარაზე
გადაქანცული მგზავრობით და შთაბეჭდილებით
მოინატრებს მშობლიურ კუთხეს
ისე მომწყურდი,
ხალხურო ლექსო.

●

გავუშვათ თავიანთ ქალაქებში
დატყვევებული ტყის ბინადარნი,
ჩვენი შვილების „გასაცნობიერებლად“
ბალიებში რომ გამოვეტეთ
და შევაგუეთ
მყრალ ლუშსა და უსაქმოდ წოლას...
მე მირჩევნია,
კბილებიან, მძიმე ხაფანგში
გადაღრღნილი,
სისხლიანი თათი ვუჩვენო
და ვუთხრა
— შვილო,
ესაა მგელი.

ცისფერი სამიზნე

ტიციან ტაბიძის ხსოვნას

დაატარებდი მუდამ სამიზნედ
წითელ მიხაკს და
ცისფერ ოცნებას,
შენი ორპირის გაშლილ ნაპირებს
ეტყობა ბრაზი და გაოცება.
მიხაკი მკერდზე ჩააქრო ტყვიამ.
ხარჯიხვის რქაზე იწვი სანთელო,
(იდგნენ ცისფერი სამიზნეები
აფარებულნი
სხვა საქართველოს).
შუბლი შეახე
შუბლზე ილიას,
სამშობლოს სუნთქვას მიაყურადე.
შენ წიწამური
არ გაგივლია,
წამოგეწივნენ წიწამურამდე.

თოვს

თოვს.
თოვლის ჩურჩულს დავუგდებ ყურს.
ფიფქები
თბილად ეცემა გულს.
ერდოზე
ძაღლი თავისთვის ყეფს.
თეთრი ქათიბი უხდება მოებს.
თოვს.

და ველოდები

ვბერდები,
ჯერაც ვერ ვნახე მამა.
ისევ მიმიღე შენს ერთ ნაწილად.
რა ვქნა
მტრის კარზე თუ ვერ დამტოვა,
მხდალმა მშობელმა თუ ვერ გამწირა.
მე პაატა ვარ,
ავობს აბასი,
მალე მახვილით სამშობლოს მოსრავს...
ვდგევარ მოსისხლის მაღალ დარბაზში
და ველოდები
გიორგის მოსვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარღვნა

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ბოლო ხანებში საოცრად მწყალობს ბედი. როგორც იქნა, მოვიპოვე ნანატრი საგზური! გარდა ამისა, მეორე ფრონტზეც გამიმართლა. „ვაზ"-იდან დარეკა ვინმე ხუტამ და მამცნო, რომ რიგმა მომიწია და ხვალ დღის ბოლომდე უნდა გამომეყვანა მანქანა. წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, როცა მეორე დღეს ახალთ-ახალი „06" მოვიგრიალე ჭიშკართან, მაგრამ აღარ დამცალდა ჩემს გემოზე ჯირითი, იმავე საღამოს გადიოდა ჩვენი მატარებელი...

მთელი ღამე მესიზმრებოდა თეთრად გაქათქათებული ავტომობილი, ვგრძნობდი ფერშეუმშრალი დეტალების სუნს. დილით უკვე ბათუმში ვიყავით, წვიმიანი დღე დაგვხვდა და ქალაქის ქუჩებში ნისლი დაცურავდა. ზღვა ამღვრეული იყო,— ნაპირთან ნაცრისფერი, სიღრმეში მუქი მწვანე, უფრო შორს კი შავი. ზღვაში შეჭრილ ბაქანთან იდგა უზარმაზარი გემი. ქაღალდები იქვე, ნავსადგურში გავიფორმეთ და გემბანზე ავედით, ხომალდი თითქოს ჩვენს ამოსვლას უცდიდაო, ნაპირს მოსწყდა და უკუსვლით ზღვაში გავიდა. თოლიების ყვირილი აითქვიფა ქარით მოტანილ ხმებში, შემდეგ ყოველივე ზღვის მდუმარებამ შთანთქა. თვალი იკარგებოდა მის უნაპირო სილურჯეში. ვერ ვგრძნობდი გემის სვლას, თუმცა სამანქანო განყოფილების გუგუნი, გემბანის შეზანზარება, მექანიზმის ჯურღმულებში ჩამძვრალი მეზღვაურები — ეს ყოველივე იმას მოწმობდა, რომ სრული სვლით მივცურავდით უხილავი ნაპირებისკენ. ერთმანეთის გაცნობა ვერც კი მოვასწარით, რომ ზღვა შეავიწროვდა და ბოსფორის სრუტეში სტამბოლი გამოჩნდა. ორ კონტინენტზე გაშენებული ქალაქი მზის კორიანტელში იდგა. მის ოქროსფერ გუმბათებს ეჭირათ გავარვარებული ცის თაღი. გემი ნელ-ნელა შემობრუნდა და სარკესავით მოლაპლაპე სრუტეში შეცურდა. სარკის სიღრმეში მთელი ნავსადგური ყირამალა მოჩანდა. თავდაყირა დაბაჯებდნენ ფართოშარვლიანი კაცები, ჩადრმოხვეული ქალები, იყო ერთი აურ-ზაური, ყაყანი, ყვირილი...

ღამე გავდიოდით, ამიტომ მაშინვე ქალაქის დასათვალიერებლად გავსწიეთ. მანქანა გავაჩერეთ და ცენტრისკენ გავემგზავრეთ. ძველი ბაზრის ნაგრეგვები გვსურდა გვენახა, სადაც ოდესღაც ტყვეებით ვაჭრობდნენ. მანქანამ ქუჩაბანდებით მოფენილ გორაკთან მიგვიყვანა. მძღოლმა შემოგვაბრუნა და პატარა მეჩეთი დაგვანახა. მეჩეთი სახურავების ბორცვიდან იყო ამოზრდილი და ქალაქს გადასცქეროდა. დილის ლოცვა მიდიოდა და აივანზე მოლა იყო გადმომდგარი. ქარი ჩადგა. ჰაერი დაიწმინდა. ახლა მთელი სანაპირო ცხადად მოჩანდა: გამჭვირვალე, ჰაერივით უხილავი ზღვა, ცაში დაკიდული, მზის სხივებზე მოქანავე ხომალდები. მოლამ, როგორც იქნა, დაამთავრა ლოცვა და მეჩეთის კარი გაიღო. ტაძრის სიმდიდრემ და მოხატულობამ არ მიიპყრო ჩემი ყურადღება, თვალი მარცხნივ გამექცა, კონქის სიღრმეში, რომელიც იხსნებოდა და ვიწრო ქუჩაში გადიოდა.

— ეგ ნაკრძალია, — მითხრეს. — მანდ შესასვლელად ნებართვაა საჭირო. ნებართვის ასაღებად მოლას მივადე-

ქი, რომელმაც ყურადღებით ამხედ-დამხედა:

— ქართველი ხარ?

თავი დავუქნიე. წამოდგა და იმ ქუ-ჩამდე მიმაცილა... „ქართველებისთვის გზა ხსნილიაო“, გამიღიმა და ხელი მკრა.

გადავაბიჯე თუ არა მეჩეთის იატაკი-დან ქვაფენილზე, ბენზინის სუნი მეცა და თავბრუ დამეხვა; იქვე ავტომობილს მიეყრდენი, სული მოვითქვი, შემდეგ ბარბაცით გავყევი ბაღებში ჩაფლულ ქუჩას. აქეთ-იქით მაღაზიები მომდევდ-ნენ; ზოგი ჩაბნელებული, დარაბებდა-ხურული, ზოგიც ღია, რეკლამებით მო-ციმციმე. ქუჩის ბოლოს კიბე ადიოდა შადრევნებში გახვეული სასახლისკენ. წამით შეეჩერდი. „ხომ არ დავბრუნ-დე?“ გამიელვა; არ მომეწონა ეს უკაცრიელი ქუჩა; სწორედ ამ დროს ჩემ წინ მანქანა დამუხრუჭდა, ახალგაზრდა ქალ-მა კარი გამიღო და გვერდით მომისვა. ქალის თავდაჯერებამ ყოველგვარი ეჭ-ვი გაფანტა და მასთან სიამოვნების მოლოდინში გავიტრუნე. გავიარეთ შადრევნების ხეივანი, ავუხვიეთ ბაღში და სასახლის ჭიშკართან აღმოვჩნდით. ის იყო ქალს ხელი მოვხვიე, რომ ჭიშკ-რიდან ვიღაცეები გამოცვივდნენ, მან-ქანიდან გადმომათრიეს და სასახლეში შემიყვანეს.

—ქართველი ხარ?—გაიღიმა ჩალმა-მოხვეულმა მოხუცმა და ბრძანა: — გა-საყიდად მოამზადეთ!

ვულკანივით ამოფრქვეული ხმა სად-ღაც, ყელში გამეჭედა; ცრემლი მომაწ-ვა. ტკივილისაგან გონება დამებინდა. ტანზე ჯაჭვი შემომახვიეს და ბაზარში გამიყვანეს. ეს ძველი ქალაქის უბანი იყო. მეჩეთიდან დაწყებული, პატარა გორაკზე იშლებოდა და ქვევით ჩადი-ოდა.

საშინელი სიცხე იდგა ბაზარში. მზით გაჟღენთილი ჰაერი ზღვასავით ლივ-ლივებდა. უამრავი ხალხი ტრიალებდა ირგვლივ. უმეტესობა ტურისტები იყ-ვნენ. ფართოფარფლებიანი ქუდები და მზის ქოლგები შეუწყვეტელ ნაკადად მიედინებოდა დახლის წინ. უეცრად ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დავინახე, ბა-თუმში რომ შემოუერთდა ჩვენს ჯგუფს...

— ბატონო ანდრო! — დავუღრიაა-ლე, — ქალბატონო ნელი!

ქალმა ქოლგის ქვემოდან ამომხედა, მარაო გაშალა, პირზე აიფარა და ქმარს გადაუჩურჩულა...

— ეს მამუკა არ არის?

— მე ვარ! მე! — დავიყვირე, მაგრამ პირბადემ ჩემი სიტყვები გაურკვეველ ბგერებად აქცია...

— ამ ბიჭს სახელი არა აქვს. მისი ნო-მერი და სერია კი არის VI — ТИ № 732684 — დავთრიდან ამოიკითხა ვაჭარმა.

— სადაურია? — დაინტერესდა ქალი.

— ქართველი, — იყო პასუხი.

ცრემლი გადმომიგორდა თვალიდან. პირი ამეწვა...

— ახსენით ბადე! — მოითხოვა ქალმა.

— ყიდულობთ? — თავი გააქნია ვა-ჭარმა. — ზედ ბეჭედი არტყია. თუ პი-რი გავუხსენი, მერე ველარ გავასაღებ...

— ნამდვილად ის არის, — ქმარს იდაყვი წაჰკრა ცოლმა. — იყიდე!

კაცმა უარის ნიშნად თავი გააქნია, — „კაპიკებს გვაძლევენ და ისიც წყალში გადავყაროთო? თუ ეს ყმაწვილი ჩვენი თანამგზავრია, მას უეჭველად დააბრუ-ნებენ, უჩვენოდაც გაარკვევენ ყველა-ფერსო“.

ქალმა ერთი წაიქვითინა, ცხვირსახო-ცით ცრემლი მოიწმინდა და გზა გააგ-რძელა.

საღამომდე გამყიდეს. ავტომობილე-ბის სარემონტო ფირმამ შემისყიდა. მზე იწურებოდა, ფირმის წარმომადგენელი რომ დაგვადგა თავზე. კარგად ჩაცმუ-ლი, თმადატკეპნილი ახალგაზრდა კაცი იყო. ჩემთვის გაუგებარ ენაზე დიდ-ხანს ილაპარაკეს, ეტყობა, ვაჭრობდნენ;

შემდეგ კაცმა ყურადღებით ამათვალ-ჩამათვალიერა, პირი გამიხსნა და კბილები გამისინჯა.

ყველაფერი რომ გააფორმეს, ახალგაზრდა კაცმა მანქანიდან შამპანური და ორი ჭიქა გადმოიღო; საცობი ხმაურით გახსნა, მუსიკა ჩართო, ჭიქები შეავსო და საქმის კეთილად დაგვირგვინება დალოცა.

მანქანის საბარგულში ჩამაგდეს. წარმოდგენა არ მქონდა, საით მიმაქროლებდნენ. რბილი მანქანა აკვანივით მარწევდა და დაღლილობამ თავისი ქნა — ჩამეძინა...

ღამე გავიღვიძე. სანაპიროზე ვიდექით. წყვდიადში ჩანთქმული, ვარსკვლავებად მოციმციმე ზღვა ჩუმად ეხეთქებოდა მანქანის თვლებს. წინ, სრულ სიბნელეში ხომალდი ანათებდა. ეს ჩვენი ხომალდი იყო, გემბანზე ჩვენი ხალხი იდგა.

თმადატკეპნილმა კაცმა საბარგულიდან გადმომსვა, ბორკილი შემხსნა და მითხრა:

— დღეიდან ჩვენი აგენტი ხარ. მანქანა იქნება შენი მთავარი საქმე. ახლა კი შეგიძლია დაბრუნდე.

ავტომობილი გაქრა. ზღვაში შევედი და პირდაპირ გემისკენ გავცურე. ძლივს მივაღწიე იქამდე, ღუზას ჩამოვეკიდე. ასაძრომად ძალა აღარ მეყო და ჯაჭვთან ერთად ამწიეს...

მეორე დილით ჯგუფის ხელმძღვანელმა ახსნა-განმარტებისთვის თავის ოთახში დამიბარა:

— სად ბრძანდებოდით გუშინ, ვაჟბატონო? — შესვლისთანავე დამეძგერა.

გულახდილად მოვყევი ყველაფერი, რაც თავს გადამხდა.

— მონად გაგყიდეს? — ეჭვით თავი გააქნია და ღიმილი გადაიკრა სახეზე.

— მოწმეები მყავს, — ვუთხარი.— სთხოვეთ იმ ცოლ-ქმარს, ბათუმში რომ ამოვიდნენ.

გამოცხადდა მხოლოდ კაცი. შემხედა თუ არა, თვალი ამარიდა და უტიფრად განაცხადა: გუშინ ბაზარში საერთოდ არ შემიდგამს ფეხი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველაფერი სიცხის ბრალია, — გამიღიმა ხელმძღვანელმა. — შეჩვეულნი არა ვართ უდაბნოს სიმხურვალეს.

გავიდა დღე და ნელ-ნელა მოვედი გონს. საათობით უკვე აღარ ვფიქრობდი იმ სამარცხვინო ტყვეობაზე. ზღვამ ფერი იცვალა, ჰაერი გაიყღენთა ყვავილთა სუნით, რომელიც უხილავი ნაპირებიდან მოჰქონდა ქარს.

მეორე დილით, ინათა თუ არა, ზღვის კიდეზე ვენეცია გამოჩნდა. პირდაპირ სან-მარკოს მოედანს მივადექით. ნუთუ ეს ყველაფერი სიცხადე იყო? მზის ცეცხლში გახვეული ტაძარი, ცას მიბჯენილი გუმბათებით; აქეთ დოჟების სასახლე, სენატის ბიბლიოთეკა, კვნესის ხიდი; შორს, ლაგუნის სიღრმეში კი ფარარის ეკლესია.

ეს ყველაფერი დაუნაწევრებლად მედგა თვალწინ. გადავდგი თუ არა კუნძულზე ფეხი, ქალაქი ჩემს შესახვედრად შემობრუნდა, გაიხსნა უთვალავი არხებითა და საცალფეხო ქუჩაბანდებით. მე თითქოს არ ვინძრეოდი: ირგვლივ ვენეცია ბრუნავდა, ათასნაირად მაწონებდა თავს, ხან სარეცხით მოფენილი ეზოებით ჩამიქროლებდა, ხან რომელიმე ტაძარს გამიხსნიდა თვალწინ...

ფარარის ეკლესიაში თითქმის არავინ იყო. ტიციანის სავსე, ცოცხალი ფერები შუქს ასხივებდა და მთელ ინტერიერს ანათებდა. ვერ გავუძელი ამ შთაბეჭდილებას, გარეთ გამოვედი და საფლავის ქვაზე ჩამოვჯექი. სულს ძლივს ვითქვამდი. გული გამალებით მიცემდა. მარიამის ცადაპყრობილი თვალები არ მშორდებოდა, უკან მითრევდა და აქ რაღაცამ იელვა ბალახში. სწრაფად დავწვდი, დავაცქერდი... მოტორის ფილტრი აღმოჩნდა! საშინლად გამაღიზიანა ამ აღმოჩენამ. ბუნდოვნად ამოტივ-

---

მამუკა დოლიძე
მოთხრობები

ტივდა მეხსიერებაში სტამბოლის ბაზარი, თმადატკეპნილი კაცი, მისი უფერული თვალები, არაფრისმეტყველი სახე, სარკესავით მოლაპლაპე ავტომობილი... ფილტრს ფეხი ამოვარტყი და წყალში ჩავაგდე.

მთელი დღე დავეხეტებოდი ქალაქში, მაგრამ გემოს ვეღარ ვატანდი ვერაფერს. სურათები, რომლებზეც ამდენი მიფიქრია, ერთი ხელის გაწვდენაზე ეკიდა, მაგრამ მე შორს ვიყავი მათგან, სხვაგან დაცურავდა ჩემი გონება. დოკების სასახლესთან, სან-მარკოს მოედანზე ჯგუფს დავეწიე. გიდი ტაძრის ვიტრაჟებთან იდგა და რაღაცას გატაცებით ყვებოდა. უეცრად თხრობა შეწყვიტა და მე მომაჩერდა. ვიგრძენი, რომ რაღაც უნდა მეთქვა და უნებურად ვკითხე:

— ქალაქში მანქანები არ მოძრაობენ?

ჯგუფი გაშრა. უხერხული სიჩუმე ცოლ-ქმარმა დაარღვია. ჯერ ქალმა ჩაილიმა, შემდეგ კაცმა გაიცინა, ბოლოს მთელი ჯგუფი ახარხარდა.

შემოვბრუნდი და იქაურობას სწრაფედ გავეცალე. გიდმა ერთი კი დამიყვირა, მაგრამ ვერ მომბრუნა, რადგან მათ კი არ გვურბოდი, ჩემი გზით მივდიოდი. უნდა გამეგო, საიდან მოხვდა ეკლესიის ბაღში მოტორის ფილტრი და საერთოდ, გამერკვია თავისუფალი ვიყავი თუ არა.

ერთ საათში ლაგუნას გავცდი და პირველივე ბილიკს დავედექი. თვითონ არ ვიცოდი, საით მივდიოდი, მხოლოდ ეჭვი, რომ ამ სიმშვიდესა და სილამაზეში რაღაც საიდუმლო იყო დამარხული, მიმარბენინებდა უგზო-უკვლოდ. მიწა ნელ-ნელა ქვიშად იქცა, მზემ საშინლად დაიცხუნა და ზღვის ქალაქი, ჩემი ცხოვრების ნატვრა, უკან დარჩა, დაპატარავდა და გაქრა.

უდაბნო გაიშალა. უღელტეხილმა უკან დაიხია. მარცხნივ, ჰორიზონტიდან ბეტონის ქალაქი ამოიზარდა. თითქოს სხვა სამყაროს კედელმა ზღვარი დაუდო უსასრულო სივრცეს. კედლის წინ ქვიტკირის შენობა გამოჩნდა. ჯიშკართან მაზუთში მოთხვრილ კაცს ვეკითხენა.

„სენიორ“! — შევაჯანჯღარე მოხუცი და გამოწვდილ ხელში ფული ჩავუმუქნე.

მოხუცმა ხელი გადასწია და ჭიშკარს ჯაჭვი ახსნა.

ავტოპროფილაქტიკაში მოვხვდი. ბოქსების წინ ასფალტის მოედანი მანქანათა ჟანგმოდებული დეტალებით იყო მოფენილი.

— მამუკა ბრძანდებით? — ბნელი ბოქსიდან თავი გამოჰყო თმადატკეპნილმა კაცმა. — კარგია, რომ თვითონ მოგვაგენით.

მინდოდა მეთქვა, რომ არც კი მიძებნია ისინი, რომ შემთხვევით მოვხვდი აქ, მაგრამ უცნობმა დამასწრო და გასაქცევად მიბრუნებულს, ხელი მტაცა:

— მოსვლა თქვენი ნება იყო, წასვლა კი — ჩვენი!

ცოტა ხნის შემდეგ უკვე ორმოში, მანქანის ქვეშ ვიდექი და უცნობი მიხსნიდა:

— ეს ამორტიზატორია, ეს გიტარა, ეს ზეთის ფილტრი, აქ გადაცემათა კოლოფი ზის, იქ ჯაჭვია დაჭიმული.

— გამიშვით! — დავიჩურჩულე.

— მე მგონი, საკუთარი სურვილით მოხვედი აქ, — გამიღიმა და განაგრძო. — საერთოდ, ვენეციაში ცუდად არის მანქანების საქმე. ჰაერი კატალიზატორულად სუფთაა. პროფილაქტიკა ძლივს, ისიც ცენტრიდან მოშორებით გავხსენინ.

— რა გინდათ ჩემგან? — ვკითხე.

— ჯგუფს უნდა ჩამოშორდე და საქმეს მოკიდო ხელი, — მითხრა.

სიტყვებზე უფრო მისმა თავდაჯერებამ გამაცოფა. ბევრი აღარ მიფიქრია, გავქანდი და თავი ცხვირ-პირში ვგლიჯე. თმადატკეპნილი კაცი გადაქანდა და უკან, ზეთის გუბეში ჩაჯდა.

— საით? — მოასწრო და ხელი მტაცა. — იცოდე, სხვა დროს აღარ მეცლება, მოტორის დაშლას ვეღარ გასწავლი.

ერთი გაბრძოლებაც და ორმოდან ამოვხტი, ჭიშკარში გავძვერი და ლაგუნისკენ გავიქეცი.

მეორე დღეს ფლორენციაში გავემგზავრეთ. დედამიწის ზურგზე არსად მეგულებოდა ფერებისა და ფორმების ასეთი სიუხვე! საღებავები ვერ ეტეოდნენ ნახატების ჩარჩოებში და მთელ ქალაქს მოსდებოდნენ — მის ქუჩებს, სახურავებს, დახურულ ეზოებსა და გაფაქიზებულ ცას, რომლის ფსკერზე ზღვის კენჭებივით ელავდნენ მკრთალი ვარსკვლავები. მეგონა, აქ მივაღწევდი თავისუფლებას, გავექცეოდი ყოველგვარ მოლოდინს. თავიდან ასეც მოხდა. როცა უთენია დავეშვით კოშკების, გუმბათებისა და სახურავების ფერად ხალიჩაზე, როცა ეს ხალიჩა ქუჩებად დაიქსაქსა, როცა ღვთისმშობლის ათასნაირმა მზერამ და ღიმილმა გაანათა საგამოფენო დარბაზები, ვიგრძენი, რომ დრო გაჩერდა. დღე შეუმჩნევლად გავიდა, ბინდის მზემ წითელი ფერი გამოსტაცა ცას. დამიბრუნდა ადრე განცდილი სიმსუბუქე. ეს სიმსუბუქე ერთხელ ვიგრძენი, გამთენიისას, როცა გამიმართლა და ბინდისფერი ალიონი ტილოზე გადავიტანე, მაგრამ პეიზაჟი დაუმთავრებელი დამრჩა, მზე ამოვიდა და დაიკარგა ცის უხილავ მოძრაობას ადევნებული ფერი.

სასტუმროში დავბრუნდი. კი არ გავრბოდი, სიმსუბუქით სავსე, ლამის მივფრინავდი ჩემი ოთახისაკენ. მეშინოდა, არ ჩამოვარდნილიყო ღამე და არ ჩამქრალიყო ანაზდად გაჩენილი განცდა, რომელშიც იმ შეწყვეტილი პეიზაჟის გაგრძელება იყო ჩაქსოვილი. არ ვიცოდი, მაგრამ ვგრძნობდი, რა უნდა დამეხატა, ერთმანეთში როგორ განმეზავებინა ნათელი და ბნელი საღებავები, მაგრამ უეცრად..

უეცრად ჩემი ოთახიდან ჩურჩული მომესმა. კარს ავეწებე და ჭუჭრუტანას ყური მივადე: ვინ უნდა ყოფილიყო აქ, ამ ჩაკეტილ, დარაბებადახურულ ოთახში? ალბათ, მომეჩვენა, თავი დავიმშვიდე და გასაღები გადავატრიალე...

ჩემს ლოგინზე თმადატკეპნილი კაცი იწვა. ფეხები ბალიშზე შემოეწყო. ერთი ხელი თავქვეშ ედო, მეორეთი სიგარას ექაჩებოდა. აქეთ, საწერ მაგიდაზე მაზუთში მოთხვრილი გოლითი იყო ჩამომჯდარი; ჩემს ჩანახატებს ქექავდა.

— რამდენი უნდა გვალოდინოთ, ვაუბატონო? — წამოწევა არც კი იცადრა თმადატკეპნილმა. — თქვენი ექსკურსია რახანია დამთავრდა.

თვალი გავუსწორე. მთავარია, ნერვებს არ ავყვე და მშვიდად, აყალმაყალის გარეშე გავარკვიო, ვინ ბრძანდებიან, რა პრეტენზიები აქვთ ჩემთან.

— მე ხუტა გახლავართ, კარბიურატორის ოსტატი, — ჩემს ფიქრებს უპასუხა თმადატკეპნილმა კაცმა. — ეს კიდევ მიულერია, ჩემი შეგირდი. რატომ არ მუშაობთ? რაც ხელშეკრულება გავაფორმეთ, არაფერი გაგიკეთებიათ, თუ ასე გაგრძელდა, მანქანების მრეცხავად დაგაქვეითებთ.

— ახლა რა თანამდებობა მიკავია? — დაუფარავი ირონიით ვკითხე.

— ახლა? — ხუტამ ამოიხვნეშა, უკანა ჯიბიდან დაფლეთილი წიგნაკი ამოიღო და ასოებს თითი ჩააყოლა, გადაშალა.

— ახლა თქვენ ირიცხებით კარბიურატორების განყოფილებაში...

— უღრმესად მადლობელი ვარ, — გავუღიმე. — მიბრძანდით აქედან...

— კი მაგრამ, ლექცია? — გაიოცა ხუტამ. — დღეს ხომ ჟიკლერებში სულის ჩაბერვა უნდა გასწავლოთ...

— მიბრძანდით აქედან! — ბოთლს წამოვავლე ხელი, მაგრამ მოქნევა ვერ მოვასწარი, რომ თავს მიულერი დამეცა, ხელი გადამიგრიხა და სკამის ზურგს მიმაჯაჭვა.

— ტუმბო! — იღრიალა ხუტამ. საიდანღაც ტუმბო დააძრეს, რეზინის მილი ყურში გამირჭეს. ხუტამ პირზე რაღაც სასტვენის მსგავსი მომადო.

— ჩაბერე! — მიულერი ტუმბოს დააწვა. ლოყები დამებერა, თავი ლამის

გამისკდა, ვეღარ მოვითმინე და სული გამოვუშვი; ჟიკლერმა დაუსტვინა, შემდეგ მისი ხვრელიდან ტყვიასავით გამოხტა ტალახის ნამცეცი.

— მიშველეთ! — ამოვიხრიალე.

— დაიმახსოვრე? — შემაჯანჯღარა ხუტამ. — როცა ბენზინი გაეჭედება, ჟიკლერს სული უნდა ჩაბერო...

— შეიძლება? — კარი გაიღო და ოთახში ქალბატონმა ნელიმ შემოიხედა.

„უკაცრავად, ხელი შეგიშალეთო“ — გაბრუნება იფიქრა, მაგრამ ხუტამ ათასნაირი ბოდიშებითა და რევერანსებით მოაბრუნა, მეც კი ვერ შევნიშნე, ისე სწრაფად შემოსნა ბორკილი და მიულერთან ერთად, პირდაპირ ფანჯრიდან ისკუპა.

— ო, რა შესანიშნავი იყო დავითი! — ამოიოხრა ნელიმ. — არა ხართ გაგიჟებული?

გაგიჟებული ვიყავი, ოღონდ დავითისაგან არა.

— უნატიფესი აღნაგობა აქვს, თავი კი ზომაზე დიდი, მაგრამ გენიოსის ხელში ეს ნაკლი კი არა, ღირსებაა!

ახლა ის ზუსტად ისე შემომცქეროდა, როგორც სტამბოლის ბაზარში, როცა ქმარს ეხვეწებოდა, „იყიდეო“.

— ქალბატონო ნელი! — გადავწყვიტე მასთან გულახდილი ვყოფილიყავი. — ერთი რამ უნდა გითხრათ.

— ვიცი, ვიცი, — ტუჩებზე თითი ამაფარა ქალმა. — არ გვინდა სიტყვები, დროს ნუ ვკარგავთ.

წამოდგა. გასაღები გადაატრიალა და თმა გაიშალა...

მეორე დღეს ფლორენციის საკონსულოდან მოწვევა მოგვივიდა. აქაური ბიზნესმენი ქალაქგარეთ, თავის აგარაკზე გვეპატიჟებოდა. ის თურმე ოდესღაც ყოფილა საქართველოში და მას მერე ჩვენზე შეყვარებული, თავისი გრძნობის გამოხატვის არც ერთ შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან. ახლაც ინათა თუ არა, თავისი ავტომობილით მოგვადგა, აგვიტეხა ყვირილი, პიპინი... შემდეგ ხელების ქნევითა და განუწყვეტელი ლაპარაკით დერეფანში შეშოიჭრა, ადმინისტრაცია დააფრთხო, შეგვლო სასტუმრო ფეხზე დააყენა, მოკლედ, მანამ არ მოისვენა, სანამ ნომრებიდან არ გამოგვრეკა.

კარგა ხანს ვიტრიალეთ ქალაქში. მასპინძელი განუწყვეტლივ ეღურტულებდა, თითოეული შენობის, ყოველი ქვის დანიშნულებასა და მნიშვნელობას გვიხსნიდა. ორსართულიან ხიდზე გადმოგვყარა ავტობუსიდან. მაღაზიები, ოქრომჭედელთა დუქნები, სამხატვრო სალონები, ფეხით მოგვატარა, შემდეგ აგვიყვანა სამრეკლოზე, ბეწვის ხიდით გადაგვიყვანა ტაძრის გუმბათზე, საიდანაც მთელი ქალაქის ხედი იხსნებოდა. უფიცის გალერეა, პიტი, სამხატვრო აკადემიის გამოფენა, ეს ყველაფერი სათამაშო სახლებად იქცა და ლამის ხელისგულზე დალაგდა. არ ვიცი, რა ძალამ შემომბრუნა და ქალაქის მიღმა, დაბურული ტყისკენ გამახედა, მაგრამ ამ ტყეზე არ შეჩერებულა ჩემი მზერა, იგი გასცდა შავმომწვანო ზოლს და თვალსაწიერზე აღმართულ სახლების მასივს დაეცა. ეს იმ დასახლებას ჰგავდა, ვენეციის გარეთ რომ დავლანდე; ზუსტად ის უსახური, ერთფეროვანი კედელი, ჩემთვის უცნობი ქალაქის გალავანი...

— იქ რა მოჩანს? — ვკითხე.

— ეგ ღრუბელია. — თვალები მოჭუტა მან, — მთებიდან იცის ხოლმე ჩამოწოლა. აბა ახლა დავბრუნდეთ, თორემ დაღამებამდე ვერ ჩავალთ.

ქვევით ჩამოვედით. ჰაერი არაჩვეულებრივად მშრალი და გამჭვირვალე იყო, რის გამოც ტაძრების, პალატებისა და კოშკების კონტურები გრაფიკულ სიმკვეთრესა და სიცხადეს იძენდნენ. ეს შთაბეჭდილება გააძლიერა მედიჩების პალატამ, რომელიც თითქოს სამგლოვიარო არშიაში იყო ჩასმული, შავი მარმარილოს კარნიზებით. მედიჩების აკლდამას მიქელანჯელოს ქანდაკება დარაჯობდა. შევცქეროდი შუქჩრდილებით მოთამაშე გრანიტის სახეს, სევდიან მოგონებებში დანთქმულს. სა-

ხის უხეში ფაქტურა ოღროჩოღროდ ირეკლავდა შუქს და მის ირგვლივ ნისლის შარავანდედს, განსხეულებული ფიქრის ატმოსფეროს ქმნიდა.

მხარზე ხელის შეხებამ გამომაფხიზლა. თავს ბიზნესმენი მადგა. მის იოდისფერ სათვალის მინებში ირეკლებოდა სადგურის შენობა და სან-ლორენცოს ტაძარი. ტაძრის ვებერთელა გუმბათი მოტორის ხუფივით იყო ამობრუნებული. აღარ შეეჩერებულვართ აქ, ისევ ავტობუსში ავედით და მდინარე არნოს სათავეებისაკენ დავიძარით. გზაში მანქანა გაგვიფუჭდა და უცნაური სურვილი გამიჩნდა: მანქანისქვეშ შევმძვრალიყავი და მძღოლთან ერთად, მექეკა მისი ჟანგიანი დეტალები. მალე ყველაფერი მოგვარდა და სწრაფად გავარღვიეთ ქალაქის რკალი, აღმართს შევუდექით. დაბლობში დამცხრალი მდინარე, რიყის ქვებზე რომ ღაფავდა სულს, უცებ აქაფდა, აჩქეფდა. ხეობის კიდეს ადევნებული ულამაზესი გზა ტყეში გაიკლაკნა. პეიზაჟი შეიცვალა. ჰაერი დაიბინდა ბამბასავით დაგლეჯილი ნისლით.

მალე წინ, ტყის პირას ტბა აელვარდა. ტბის აქეთა ნაპირზე სახლი იდგა. სუფრა ქვევით, ფაცხაში იყო გაშლილი. მთელი ღამე გავათენეთ. ღვინომ დაქანცულობა მომიხსნა, გამთენიისას მასპინძელმა სუფრიდან წამოგვყარა და თავის სამფლობელოს დასათვალიერებლად გაგვრეკა.

ათასფერად მოელვარე ტყე, მისი თავბრუდამახვეველი სურნელება, ტბის ლამაზი ნაპირი, ეს ყველაფერი სიმშვიდედ და სიჩუმედ იქცა და გარს შემომერტყა. ხმები თანდათან მშორდებოდა, იფანტებოდა, ვცდილობდი, არაფერზე არ მეფიქრა, უბრალოდ, ყური დამეგდო ამ სავსე სიჩუმისათვის, გაჟღენთილს მდინარის ჩხრიალით, ფოთლების სუნთქვით, ჩემი გულისძგერით. თვალი დავხუჭე და ყური მიწას მივადე. მომეჩვენა, რომ სადღაც, მიწის სიღრმეში მოტორი გუგუნებდა! საშველი აღარ იყო, ისევ უნდა ავყოლოდი ჩემდაუნებურად გაჩენილ ფიქრებს. სწორედ ამ დროს ზურგს უკან ხმა მომესმა. მასპინძელი ყვირილითა და ხელების ქნევით მომიახლოვდა. რის ვაი-ვაგლახით გამაგებინა, რომ ყველაზე საპატიო სტუმარი მე ვიყავი და უჩემოდ ფეხს აღარ გაადგამდა არსად.

— რით დავიმსახურე ასეთი პატივი?

— ვკითხე.

— ო, თქვენზე ლეგენდები დადის! — აღტაცებით შესძახა. — ამბობენ, რომ თქვენისთანა ოსტატი საუკუნეში ერთხელ იბადება.

— მე მხატვარი ვარ! — დავუღრიალე. — დაიმახსოვრეთ ერთხელ და სამუდამოდ თქვენც და იმანაც, ვინც ჩემზე ჭორებს ავრცელებს!

— ნუ მორცხვობთ! — გამიღიმა, — ჩვენ ხომ ვიცით, რომ მხატვრობა მხოლოდ ნიღაბია, თქვენი ნამდვილი გატაცება კი ავტომობილია...

— არ მინდა! — ისევ ავყვირდი.

— მხოლოდ მოტორს მოუსმინეთ და მითხარით, რა გავასწორო, დანარჩენს მე გავაკეთებ...

ამ სიტყვებით მან ბუჩქები გადაქექა და იქედან უზარმაზარი, სარკესავით მოლაპლაპე ავტომობილი გადმოაგორა

— ცუდად ექაჩება, — მითხრა. — ვერ გავიგე სარქველების ბრალია, თუ კარბიურატორის...

მანქანა აგუგუნდა. მისი ხმა მაგიურად მოქმედებდა ჩემზე. გონს რომ მოვედი, უკვე მოტორში ვიყავი ჩამძვრალი და გაფაციცებით ყურს ვუგდებდი სარქველებს...

— გამანაწილებელია ჩაშლილი, — ამოვყვინთე და უეცრად მის სახეზე ღიმილი დავიჭირე.

— დამცინით?- — ავყვირდი.

— როგორ გეკადრებათ! — იწყინა მან და ჯიბეში კონვერტით ფული ჩამიდო.

თავი ვეღარ შევიკავე: ყბამონგრეული ბიზნესმენი უკვე ძირს ეგდო. მანქანაში ჩავბტი, გაზი მივეცი და პირველივე ხეს შევეჯახე. დარტყმისაგან

ფანჯარა გავამტვრიე და ქვევით, მდინარისაკენ ჩავგორდი.

ახლა ეს ყველაფერი უკან დარჩა. უკან დარჩა დამქანცველი მგზავრობა უბრიის ველზეც. მთები უკან იხევენ. ალპიური ზონა იცვლება ბალებსა და ვენახებში ჩაფლული პეიზაჟებით. გზა შეუმჩნევლად სწორდება და შორს, ლურჯი ცის ფონზე რომის ნანგრევები მოჩანს.

კოლიზეუმთან დიდხანს ვიდექი. ვგრძნობდი, რომ დრო იწურებოდა, რომ უძვირფასეს წუთებსა და წამებს ვაკლებდი სხვა ნაგებობებს, მაგრამ ამ თავზარდამცემი შთაბეჭდილებით მონუსხულს, განძრევა კი არა, ხმის ამოღებაც აღარ შემძლო. ცის თეთრი ფურცელი ცერად იყო გადახაზული სამიარუსიანი ნანგრევით. სავსებით დავმშვიდდი. მოვიშორე სტამბოლიდან ადევნებული ტყვეობის განცდა. აღარაფერი არსებობდა ამ დიდებული ნანგრევების იქეთ. ისეთი უძრაობა და სიჩუმე მეფობდა, თითქოს ყველანი ძველ, გაყვითლებულ ფოტოზე ვიყავით აღბეჭდილნი.

— გრანდიოზულია, არა? — გამიღიმა ნელმ და ბლოკნოტში გამწარებულმა წერა დაიწყო. შემდეგ მოკიდა ხელი თავის გამოლენჩებულ ქმარს და ტრიუმფალური თაღისკენ წაათრია.

კოლიზეუმიდან დიოსკურთა კოლონები გავიარეთ და ფორუმის ნანგრევებთან აღმოვჩნდით. აქ იყო რომის რესპუბლიკის საკრებულო. მზე ათასნაირად აფერადებდა მის ყამით ამოჭმულ სვეტებს და მათ შორის აბლაბუდებად გაბმულ სხივებში გრძელმოსასხამიანი ლანდები თრთოდნენ.

ვენეციის მოედნიდან პანთეონს მივადექით. პანთეონის ფასადს მიშენებული იყო მრგვალთაღიანი, მასიური შენობა. სასახლეს თითქოს ზურგზე ჰქონდა აკიდებული მძიმე, მოუბეშავი მინაშენი, მაგრამ სიმძიმისა და მასიურობის განცდა გაქრა, როგორც კი პანთეონში შევედით. ჰაეროვანი, უთხელესი ჩუქურთმებით ნაქსოვი კედლები, ზედ მსუბუქად დასვენებული გუმბათი, რომლის ღრმულებსა და თაღებს ათასფერად თამაშობდა ახდილი ჭერიდან დაცემული შუქი. რაწამს შუქის ჩანჩქერში მოვხვდი, მომეჩვენა, რომ ეს უზარმაზარი ინტერიერი სხივ-ჩრდილთა თამაშით შეიქმნა და მხოლოდ ჩემთვის არსებობდა, ჩემს ირგვლივ დატრიალდა. ვარსკვლავებით მოჭედილი გუმბათი. შუაში მომწყვდეული მზე, ჰაეროვანი კედლები, უსასრულო სიშორის განცდა, თითქოს შენობაში კი არა, უფრო ვრცელსა და ღია სამყაროში მოვხვდი, სადაც ერთდროულად სუფევდა დღეცა და ღამეც.

სწორედ ეს ნათელი სიშორე, ეს ღია სივრცე აკლდა ჩემს პეიზაჟებს. ამიტომ დიდხანს ვიდექი პანთეონის ცენტრში, ღრმად ვიბეჭდავდი მის სიმსუბუქეს და ჰაეროვნებას. მის შუქჩრდილთა მიმოქცევას, მაგრამ ისევ დაიკარგა სიმსუბუქის განცდა, პატარა საგანმა მიიპყრო ჩემი ყურადღება, საითაც არ შევბრუნდი, მაინც თვალში მეცა. ავიღე. ბენზინის ტუმბოს თავი აღმოჩნდა! ნახმარი და გაცვეთილი, მაზუთში მოთხვრილი, თუმცა, ვინ იცის, თუ ოდნავ გაქლიბავ და მოარგებ, შეიძლება გამოდგეს კიდეც. გამწარებულმა მოვისროლე ნაპოვნი. ჭერს ავხედე. შუქი გადათამაშდა. ვარსკვლავები ჩაქრა. პანთეონის გუმბათი ბენზინის ტუმბოს უზარმაზარ თავს დამსგავსა...

ფაბრიციუსის ხიდამდე ვირბინე. შემდეგ ზევით, კაპიტოლიუმისკენ ავუხვიე. სენატორთა პალატას შემოვუარე და ქანდაკებასთან გავჩერდი. ჩემს წინ მზის შუქზე ელვარებდა წმინდა პეტრეს ტაძარი. ტაძრის იქით, ვატიკანის სამეფოში, ბუნდოვნად ციმციმებდა სიქსტის კაპელა — მიქელანჯელოს მოხატულობა, რაფაელის სტანცები.. ნუთუ ეს ყველაფერი აქ იყო, ერთი ხელის გაწვდენაზე?..

ტაძარში უამრავი ხალხი ტრიალებდა. გუმბათზე ასასვლელად რიგი იდგა. აღმავალი გვირაბი ნელ-ნელა ისრუტავდა ლოდინის ძაფზე მძივივით ასხმულ

ხალხს. პირველი აღმართი ძნელი არ იყო, შემდეგ კი თითქმის შვეულ კიბეზე მივფორთხავდით. ბევრი ჩამოგვშორდა. გუმბათის ქვედა ფრთაზე რამდენიმე ავედით. მე აქაც არ შევჩერებულვარ და ზევით, ზედ სახურავის წვერზე ავმვერი. აქედან მთელი ქალაქი მოსჩანდა. ანტიკური რომის ნანგრევები, პალატინი, პანთეონი, აკროპოლი, ფაბრიციუსის ხიდი, სან-პაოლო, ესპანური მოედანი, სიქსტის კაპელა... შორს კი ცისფერი მთები... ისევ დამიბრუნდა პანთეონში ნაპოვნი თავისუფლების განცდა, გუმბათიდან მოწყვეტის სურვილი, მაგრამ ამჯერად ციდან მოტორის გუგუნმა დამირღვია ფიქრი, ახედვა ვერ მოვასწარი, რომ ჯაჭვის მარწუხებში მოვექეცი, სახურავს მოვწყდი და ზევით გავფრინდი.

ვერტმფრენში ორნი ისხდნენ: თმადატკეპნილი კაცი და მისი შეგირდი, მიულერი.

— რატომ გვიჩივით? — გამიღიმა ხუტამ და უბიდან გაკეცილი წერილი ამოიღო, ლამის ცხვირზე ამაკრა:

„ავტომობილთა ფირმის დირექტორს...

თქვენო აღმატებულებავ! თავს უფლებას ვაძლევ შეგახსენოთ, რომ მე თანახმად სავაჭრო კონტრაქტისა №726, ა/წ. პირველი რამაზანის დასასრულიდან (სტამბოლის კალენდრით). ვირიცხები თქვენს მუშა-მოსამსახურეთა რიგებში. უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი წარმომადგენლები უხეშად მექცევიან. არ მაძლევენ შედევრებით ტკბობის საშუალებას, მოსახლეობაში მიყრიან ხმებს, რასაც ჯერ-ჯერობით არ ვიმსახურებ.

გავკადნიერდები და ზემოთქმულს დავამატებ, რომ მათი სწავლების მეთოდი ფრიად მოძველებულია. M-37 ტიპის კარბიურატორი, რომლის დაშლასაც ისინი მასწავლიან. საერთაშორისო სტანდარტებს აღარ შეესაბამება. ასე რომ ვფიქრობ, თქვენს ადმინისტრაციას გადახალისება სჭირდება. გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩემი კანდიდატურაც. სიხარულით მოვახმარ ჩემს ცოდნას, ნიჭსა და ენერგიას თქვენი (ჩვენი!) ფირმის პროგრესისა და კეთილდღეობის საქმეს. უღრმესი პატივისცემით...

7 ივლისი, რომი.“

თვალს ვერ დავუჯერე! ნაწერი და ხელმოწერა ჩემი იყო! საჩივარი მე დამიწერია, მაგრამ, როდის? გუშინ მთელი დღე დაქოქილივით დავრბოდი. საღამოს ნელომ და ბატონმა ანდრომ დამპატიჟეს რესტორანში. მახსოვს, ჯერ დავლიეთ, მერე ვცეკვავდით, მერე ვიღაცას ვეჩხუბეთ, მერე სადღაც მოვხვდით, ბოლოს რის ვაი-ვაგლახით მივაღწიე ლოგინს, დავეგდე და რაღაც წებოვან, სულისშემხუთველ გარემოში ჩავიძირე...

— მერე აღარაფერი გახსოვს? — შეგაჯანჯღარა ხუტამ.

როგორ არა! მთელი ღამე რაღაც წერილს ვადგენდი. თითქოს გამოვბოდიალდი კიდევაც და ჩემი ნაცოდვილარი ფოსტის ყუთში ჩავაგდე, მაგრამ ეს, ხომ მხოლოდ სიზმარი იყო!

— სიზმარს გაჩვენებ! — იკივლა ხუტამ. — ჩემი ადგილი გინდა დაიკავო?

ძლივს გამომღლიტეს მისი ხელიდან. შეგირდის ჯანი და სიმარჯვე რომ არა, იქვე მიმახრჩობდა. რკინასავით მძიმე, მხუთავი ტორები ჰქონდა.

— არ გინდა, ხუტა! არ გინდა! — გადამეფარა მიულერი. — ვერ ხედავ, ინტრიგანია. შარი არ მოგვდოს.

—კარგი, — უცებ დამშვიდდა ხუტა. — იმას მაინც არ ვათქმევინებ, სუფრათების ნახვას მიკრძალავსო.

ხუტას ბრძანებით, ვერტმფრენი პატარა მოედანზე დაჯდა. აქედან, როგორც გავიგე, შეიძლებოდა დორიის გალერეაში მოხვედრა, რომელიც აქაური ბარონის საკუთრება იყო. ეს გამოფენა ველასკესის პორტრეტით გახლდათ ცნობილი! ამ პორტრეტის ასლი თავად მქონდა გაკეთებული და სახლში, საწოლის თავთან მეკიდა.

ხუტა ოღროჩოღრო ქუჩებში მიგვიძღოდა, უფრო ყნოსვით იკვლევდა გზას. აქაურებსაც წარმოდგენა არ ჰქონდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალერეის ზუსტ მდებარეობაზე. მისი პოვნა რუკითა და ნუმერაციით შეუძლებელი იყო, შეიძლებოდა მხოლოდ მისი უცაბედი აღმოჩენა, რომელიმე შესახვევში, რომელიმე ეზოს ან შენობის უკან.

ამაოდ ვიხეტიალეთ. ჯერ ხუტა მიგვიძღოდა წინ. შემდეგ მეგზურობა მე ვიკისრე, მაგრამ ალღო ვერ ავუღე აქაურობას. თვალმა არჩევანის უნარი დაკარგა, გაქრა ის შეუცდომელი წინათგრძნობა, რაც ზუსტად პოულობდა საჭირო ფერსა და ფორმას, ხედავდა მიზნისკენ წარმართულ გზას.

— დაბრუნდეთ, სანამ დაბნელდებოდეს, — მივიხედ-მოვიხედე და უეცრად აღმოვაჩინე, რომ მარტო ვიყავი. სწორედ ამ დროს პატარა ბიჭი მომეკლინა. ჩემს დანახვაზე გაიღიმა და მითხრა, რომ გამოფენა აქვე, სულ ახლოს მდებარეობდა და სიამოვნებით მასწავლიდა გზას. ქუჩა გადავჭერით, გვირაბი გავიარეთ და ეზოს მივადექით. ეზოში შუშაბანდიანი სახლი იდგა. წამით შევჩერდი, გზის საპოვნელად მივიხედ-მოვიხედე და სწორედ ამ დროს კარი გაიღო, ვიღაცის ხელმა შენობაში შემათრია.

— პორტრეტის ნახვა გსურთ? — ჩემ წინ ხალათში გახვეული ბარონი იდგა — ზევით მობრძანდით, მეორე სართულზე. ღღეს მიღება არა გვაქვს, მაგრამ თქვენ იმდენი ტანჯვა გამოიარეთ...

ბარონმა ანტრესოლში ამიყვანა. გასაღების ჩხაკუნი, გადატრიალება და თვალწინ რბილ, მოვერცხლისფრო შუქში გახვეული დარბაზი გამოჩნდა. ოთხივე კედელი, იატაკიდან ჭერამდე, სურათებით იყო სავსე, მაგრამ მე ვერც ერთის წინ ვერ გავჩერდი, ვიდრე არ მივაგენი იმას, რასაც ვეძებდი...

ველასკესის შედევრი! როგორც იქნა, ვეღირსე მის ხილვას! მოოქროვილი ჩარჩოდან ბოროტად მიმზერდა მრისხანე მოხუცი. ნახატი АИ-93 ბენზინის მოწითალო კოლორიტში იყო შესრებული. მოხუცს ზეთის ფილტრის ფორმის ქუდი ეხურა თავზე. მისი წითელი მოსასხამი თვალისმომჭრელად ელვარებდა.

— გადასარევია, არა? — თვალები მოჭუტა ბარონმა. — თავზე ქუდი კი არა, ნამდვილი ზეთის ფილტრი ახურავს.

— რა ბრძანეთ? — დავიყვირე და საყელოში ჩავაფრინდი.

— დაწყნარდით, — ხელი მკრა — მე მხოლოდ ის ვთქვი, რასაც თქვენ ფიქრობთ...

— მე მხატვარი ვარ, — ამოვიკნავლე.

— თავს ნუ იტყუებთ, — გამიღიმა. — რას დამავალებთ? — თავი ჩავღუნე.

— ჯერჯერობით არაფერს. დაბრუნდით და გააგრძელეთ თქვენი მოგზაურობა. ჩემი ბრძანება საკუთარი გადაწყვეტილების და სურვილის სახით ჩაისახება თქვენში...

ძლივს გამოვაღწიე იმ უბნიდან. არ ვიცი, ღრუბლებმა დაჩრდილეს ქალაქი, თუ ჩემმა თვალმა დაკარგა ფერის შეგრძნება; ყოველივე შავ-თეთრ კონტურებად იქცა. სიქსტის კაპელაში დიდხანს ვეძებდი მიქელანჯელოს მოხატულობას. ბოლოს ზევით ავედი, რომ ახლოდან მენახა გუმბათზე აღბეჭდილი სამსჯავრო, მაგრამ ვერაფერს ვარჩევდი შავი შტრიხების და ბუნდოვანი ლაქების გარდა. ძლივს ავაგე ამ გაფანტული შტრიხებიდან მამაზეციერის გამოსახულება, მისი მრისხანე სახე, რომელიც... იმ ბარონის სახე აღმოჩნდა! ხოლო მის ირგვლივ, კოსმოსის შავ სივრცეში ავტომობილები ელავდნენ!

თავბრუ დამეხვა. კინაღამ არ გადმოვვარდი ხარაჩოებიდან. სწრაფად დავიწყე დაშვება. ასევე სწრაფად, თითქმის სირბილით დავტოვე კაპელის დარბაზები. მეშინოდა კედლებისკენ გახედვა, რადგან ვგრძნობდი, რომ იქ ნახატების ნაცვლად, ავტონაწილები ეკიდა. ყველაფერი ჩაქრა, ჩაბნელდა. დაიკარგა ის უხილავი შრე, სადაც თვალი ქმნიდა ფერსა და ფორმას; მიწამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიეფმა, ცამ განიძარცვა ჭრელი სამოსი; ქალაქი კი არა, მისი კონტური, ჩონჩხი და სქემა იდგა ირგვლივ. ბეტონის კედლებზე ფანქრით მონიშნული მართკუთხედები! ბენზინის ბოლქვებში გახვეული ქუჩები! ეს სწორედ ის ქალაქი იყო, ვენეციიდან შორს, უდაბნოს თვალსაწიერზე რომ დავლანდე! ღრუბლებში აჭრილი საქარხნო მილებით, ანძებისაგან გახვრეტილი. ცით! ახლა ის გარს მერტყა, მეხვეოდა, მე მისი მკვიდრი ვიყავი, მისი ნაწილი.

მთელი ღამე გავრბოდი. გავურბოდი ბეტონის ქალაქს. ზურგში მეწეოდა მისი ცხელი, ცეცხლად ავარდნილი სუნთქვა. წამით მოვიხედე. უსახური მასივები კალაპოტიდან გადმოდიოდნენ; ავტომობილთა ტალღები ღრიალით მოგორავდა ჩემკენ. გასაქცევად რჩებოდა ვიწრო ხეობა, რომელიც ჯერ თავქვე მიექანებოდა, შემდეგ აღმა ადიოდა და მთის ფერდობს ერწყმოდა. უჩვეულოდ თეთრი, სარკესავით მოლაპლაპე მზე მთის წვერზე იყო შემომჯდარი და თავისი სხივებით ქარგავდა ხეობის სათავეს. მეც ამ სხივებს მივდევდი, კლდიდან კლდეზე მივხტოდი, მაღლა მივიწევდი ანთებული მწვერვალისაკენ, სადაც ვერ აღწევდა ავტომობილთა ლავა. ქვევით დარჩა გუგუნი, მსხვრევა, საყვირის გაბმული ხმა. ყოველი ნაბიჯით იწმინდებოდა ჰაერი, იფანტებოდა ბნელი, უფრო და უფრო აჭერდა მზე. ერთი ამოსუნთქვაც და უკვე მწვერვალზე ვარ, წარღვნას გადარჩენილი. ვდგავარ და შევყურებ მზეს, უცნაურად გათეთრებულს, თითქმის ვერცხლისფერს. მაგრამ ეს რა არის, რა ხდება? მზის ნაცვლად, მწვერვალზე უზარმაზარი ავტომობილი დგას; ალიონის სხივებს ირეკლავს მისი სარკესავით მოლაპლაპე ცხვირი...

ვეღარ გავიგე, გული მიძგერს თუ მოტორი გუგუნებს! მანქანის კარი იღება და იქიდან გაღიმებული ბარონი გადმოდის.

— შენი წერილი აქა მაქვს, — მკერდზე იდებს ხელს, — დადგა დრო, რომ დაგაწინაუროთ. დღეიდან შენ და მანქანა ერთნი იქნებით.

მინდა შემოვბრუნდე, მინდა გავიქცე, ოღონდ არ ვიცი, საით. ნიკელის ელვარება და კაპოტზე მოთამაშე მზე თვალს მჭრის, თავისკენ მიზიდავს... წამიც და, სავარძელში ვეფლობი, საჭე თავისით ტრიალდება და მთას გველეშაპივით შემოხვეულ გზაზე ვეშვები.

დამთავრდა სიზმარი! ირგვლივ ყველაფერი ჩაქრა, ჩაბნელდა! კი არ ჩაბნელდა, ჯოჯოხეთის შავ-მოყვითალო ალში გაეხვია და სოკოსავით ამოზრდილ ღრუბლებს შეერია. ირგვლივ აღარავინ და არაფერია მანქანების გარდა. სხვას ვინ ჩივის, საკუთარი თავის შეგრძნებაც გაქრა! გულის ნაცვლად მკერდში მოტორი აგუგუნდა, ხელები ბერკეტებად იქცნენ, ფეხები პედლებს შეეზარდნენ. გამართლდა ბარონის სიტყვა! მე და მანქანა ერთ არსებად ვიქეცით! ახლა ყველაფერი გარკვეულია! აგერ, ბატონი ანდრო, ვეება ფურგონად ქცეული, ხვნეშითა და სიბრაზით მისდევს ელეგანტურ ნელის, მსუბუქად რომ მისრიალებს და თავის გზაზე ისფერ კვალს სტოვებს. ეგერ ხუტა, მიფლერი, ჩვენი ჯგუფის დანარჩენი წევრები, ერთმანეთს რომ ეჯახებიან, ასწრებენ... ყველანი აქა ვართ სახეშეცვლილნი, ერთ უზარმაზარ ტალღად შერწყმულნი, ერთ დაუოკებელ სიბრაზედ ქცეულნი! ჩვენია მთელი ქალაქი, მისი შემოგარენი, მთელი დედამიწა! ვინ დაგვიდგება წინ? ის გასაცოდავებული, ორფეხა არსებები, მიწაში რომ ძვრებიან და ჩვენს სუნთქვას გაქცეულნი, შენობებს რომ აფარებენ თავს? მოვა დრო და იქაც შევიჭრებით, იმ სასახლეებსაც გარაჟებად ვაქცევთ! ეჭვი ხომ არ გეპარებათ, რომ ეს ცარიელი რახარუხია? ნუთუ კიდევ გაქვთ გადარჩენის იმედი?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

რას გაშტერებულხარ! — მომაძახა ბიდმა და ოდნავ მიბიძგა ხელი.

გონს მოვედი. მივიხედ-მოვიხედე. ისევ იქ, მეჩეთის სიღრმეში ვიდექი ღია კარის წინ. ნახევრად ჩამონგრეული თაღი ცერად ჭრიდა ქუჩას და სამკუთხედ სივრცეს მთლიანად ავსებდა მანქანის მზეზე მოელვარე ცხვირ-ოდნავ დავიქნიე თავი. სახიდან ჩამრავიფერთხე წუთიერი სიზმრის ნაფლეთები, მანქანას ზურგი ვაქციე და უკან მოუხედავად, თითქმის სირბილით დავეშვი სანაპიროსკენ, სადაც გამგზავრების მოლოდინში ტალღებზე თვლემდა მზის აბლაბუდებში გახვეული ხომალდი.

ᲛᲝᲮᲣᲪᲝ

— რამდენჯერ გითხარი, ნუ ჩადიხარ-მეთქი გაზეთებზე! — კაცის ჩახლეჩილი ხმა სადღაც მის ყურთან გაისმა. მოხუცმა ოდნავ დაიქნია თავი, თითქოს ჩამოიფერთხა ეს გულისგამაჯწრავი ხმა და ნელა გასწია ანთებული ქურისაკენ. „მე დაგისხამ, მე! ისევ მოესმა ხმა და ზემოდან ჩამოვარდნილმა ხელმა ინისფერ ცეცხლს ჩაიდანი გამოსტაცა. მოხუცმა ჩაახველა და ჰიქა გაუწოდა ჩაიდანის ცხვირს, საიდანაც ბრაზითა და თუხთუხით იფეთქა ცხელმა ჩანჩქერმა; ჭაღი შუშის კედელზე დაიმსხვრა და მის დამჭნარ ხელს დაეცა. მოხუცმა ხელი უკან წაიღო და ორთქლით დათუთქული თითები პერანგის ბოლოზე შეიმშრალა. ნახევრადსავსე ჭიქა ძირს დაეცა და ზედ მის ფეხებთან აფეთქდა. ისევ აყვირდა ის საზიზღარი ხმა. ქალმა ცოცხი და აქანდაზი შემოიტანა და ნამსხვრევების გატანა დაიწყო. მოხუცი ერთხანს იდგა, შემდეგ ფრთხილად კარისკენ გაჩოჩდა, შუშაბანდში გავიდა და მზეს მიეფიცხა. გაწვიმებას აპირებდა და ღრუბლებს შორის გამოჭყლეტილი მზე თითქოს ემშვიდობებოდა შუშაბანდში მოქცეულ სახეს. საწოლი ოთახიდან ხმაური მოისმა. მოხუცი ნელ-ნელა წამოდგა, ოთახში შევიდა და საბანში გახვეულ ბავშვს შეეხო. ბავშვმა რაღაცა ჩაილაპარაკა და კედლისკენ იბრუნა პირი. მოხუცმა ახლა უფრო ღონივრად შეანჯღრია. ბავშვმა ყვირილი დაიწყო. ყვირილზე სამზარეულოს ფარდა გაიხსნა და ნერვიულმა კაცმა ისევ გამოყო თავი. მოხუცს უკვე აღარაფერი ესმოდა. ქალმა პატარა ბოთლიდან კოვზზე წამალი დაუსხა, ნიკაპში დასწდა, სახე აუწია და წვეთები კბილებს შორის ჩასხა. პიტნის გემო მთელ გულ-მუცელს მოედო.

დრო მძიმედ გადის. მოხუცი ცდილობს ვინმეს დაეხმაროს, მაგრამ ხელის შეშლის მეტს არაფერს აკეთებს. მისი ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი, გაღიზიანებასა და აყალ-მაყალს იწვევს. მოხუცი იმედით შესცქერის შავად მოლაპლაპე ტელეფონის ყუთს, ელოდება როდის დაურეკავენ, როდის მოიკითხავენ— თუ როგორ გრძნობს თავს, ღამე როგორ ეძინა, მაგრამ ტელეფონი დუმს. მოხუცი დიდხანს ზის მდუმარედ, მზე ღრუბლებმა შთანთქა, ფანჯრის მინაზე წვიმა ახმაურდა, შემდეგ გადაიღო და გამოღებული სარკმლიდან გაზაფხულის სურნელება შემოიჭრა ოთახში.

ბინა დაცარიელდა. კაცს მანქანამ მოაკითხა, ქალმა ბავშვი წაიყვანა. ფანჯრის წინა ტოტზე შაშვი შემოსკუპდა და აჭახჭახდა. მოხუცს უნებლიედ ცრემლი გადმოუგორდა თვალებიდან. სადღაც შორს, ეზოს კიდეზე ისევ განათდა ცა და მზემ გამოიხედა დაფლეთილი ღრუბლებიდან. მოხუცმა ტელეფონის მილი აიღო და სვენებ-სვენებით ნომერი აკრიფა... ჯერ დიდხანს არ მოდიოდნენ ტელეფონთან, ბოლოს გაწყდა ზარი. — „ალო! გისმენთ“ — ეს ქალიშვილის ხმაა. „მე ვარ“ ჩიფჩიფებს მო-

ხუცი და ვიდრე დაასწრებენ, აგრძელებს — „იქნებ მოხვიდე? ცუდად ვარ“.

კაცმა რომ თქვას, არც ისე ცუდადაა, უბრალოდ ძილი გაუტყდა და გამთენიისას ოდნავ აჩქარებული ჰქონდა გულისცემა. პოლიკლინიკის ექიმის დასკვნით, ეს იყო ასაკობრივი ცვლილებები. ასე რომ საშიში არაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მარტოობამ მოხუცი ეჭვიანი და ეშმაკი გახადა. მთელი დღე გამოყრუებული იყო. შვილი გვიან საღამოს ბრუნდებოდა სამსახურიდან, რძალი წუთით თუ შემოირბენდა და ისევ გავარდებოდა, შვილიშვილი ჯერ სკოლაში იყო, მერე მუსიკაზე, მერე ინგლისურზე, ბოლოს ეზოში და ყოველდღე ცემა-ტყეპით ამოჰყავდათ შინ. ერთად-ერთი ვინც ხანდახან იცლიდა მისთვის, იყო მისი ქალიშვილი, მაგრამ შორს ცხოვრობდა და ხშირად უჭირდა მოსვლა. ხანდახან მაინც ახერხებდა მის მონახულებას, თუმცა ამ ვიზიტებსაც რაღაც ნაძალადევი, არაბუნებრივი სახე ჰქონდა. ქალს ეცოდებოდა მოხუცი, პატარა ბავშვივით რომ უხაროდა მისი სტუმრობა და ასევე ბავშვივით რომ გამოეტირებოდა ხოლმე, მაგრამ მარტო სიბრალული ვერ აბამდა მათ შორის ურთიერთობის ქსელს. მას მალე ბეზრდებოდა მოხუცთან ლაპარაკი. ის რაც მოხუცს აინტერესებდა, ახალგაზრდას ფეხებზე ეკიდა, ამიტომ საუბარი მალე წყდებოდა და ქალიც რაიმე საქმეს ჰკიდებდა ხელს, რომ ამით მოეხადა თავისი ვალი და გაეყვანა დრო. მიუხედავად ამისა, მოხუცი მაინც ებღაუჭებოდა ამ სუსტსა და ერთფეროვან ურთიერთობას და დილიდანვე იწყებდა რეკვას ან ელოდებოდა ზარს, რომ მის მოლოდინში ისევ მკვდარი წერტილიდან დაძრულიყო დრო.

დღეს ქალიშვილი არ მოვიდა. შეიძლება მოსულიყო კიდევაც, მაგრამ მოხუცმა მოულოდნელად გადაწყვიტა, რომ აღარ დაელოდებოდა მას. გარეთ გაზაფხულის მზე ეალერსებოდა ბაღს. გარეთ უფრო თბილოდა, ვიდრე შინ და მოხუცმაც დატოვა მარტოობის ცივი და მდუმარე კედლები. როცა სადარბაზოდან ეზოში გამოვიდა, წამით იგრძნო როგორ გაუჩერდა გული. სამყარო ფოტოფირზე გადატანილი ნახატივით გაიყინა, მაგრამ სიცოცხლის იდუმალმა ძალამ კვლავ გამოიყვანა უძრაობიდან დრო, ისევ გააცოცხლა ეზო... მეზობელი გაზონზე იდგა და გადმობრუნებულ ბელტებში ბალახის თესლს ყრიდა... „როგორ ბრძანდებით ჩემო ბატონო? —“ მოხუცმა პასუხი არ გასცა, იქნებ ვერც გაიგონა მისი ხმა. თავი არც კი შეუბრუნებია, სვლა გაგრძელა. „ნეტა შენამდე მიმაღწევინაო“ — ამოიოხრა მეზობელმა და გაბოროტებით ჩასცა ბარის პირი მიწას. მოხუცი მაგიდამდე მივიდა და სკამის პირას ჩამოჯდა. დომინოს მოთამაშეებმა თვალი შეავლეს და ისევ გააგრძელეს ქვების ბრახუნი. ჩასუქებულმა ქალმა ზედ ცხვირწინ დაუბერტყა ხალიჩა, შემდეგ ხიდან ხეზე გაბმული სარეცხის ჩამოხსნა დაიწყო. ყველა თავის საქმეს აკეთებდა და მოხუცისთვის არავის ეცალა. თითქოს არც არსებობდა ის, ბავშვები მის ფეხებთან მიწას ჩიჩქნიდნენ, მოზარდებმა ერთი-ორჯერ კინაღამ ბურთი მოარტყეს, ქალმა როგორც იქნა დაწნულ კალათში სარეცხი შეაგროვა და თოკზე შერჩენილი წვეთები თავზე დააბერტყა. ახლადმოსულმა მოთამაშემ მოხუცი ფრთხილად განზე გასწია და მისი ადგილი დაიკავა. ყოველდღიურობის გაცვეთილი ხმები ბუნდოვნად აღწევდნენ მოხუცის ყურს: სადღაც შეშას ჭრიდნენ, სადღაც მანქანას აღმუვლებდნენ. ბავშვების მოყრუებული შეძახილები თითქოს ჰაერში ეკიდა. ეზოს გარეთ კი ქუჩა გუგუნებდა ტრანსპორტისა და გამვლელების ერთმანეთში ათქვეფილი ხმებით. მოხუცმა სკამის მოაჯირს ჩაავლო ხელი, წამოიწია და ნაბიჯი გადადგა. უეცრად ხეს წამოედო, წაიბორძიკა და მუხლებზე დაეცა. დომინოს მოთამაშეებს არც შეუხედავთ მისთვის. მსუქანმა ქალმა წამით იფიქრა მივეშველებიო,

მაგრამ სარეცხის ვეებერთელა კალათი ჰქონდა შემოდგმული თავზე და დაეზარა მისი ჩამოდგმა. ირგვლივ არაფერი იყო ხელმოსაჭიდი. მოხუცი გრძნობდა, რომ დახმარების გარეშე ვეღარ წამოდგებოდა, არადა შუა გზაზე იყო წაქცეული. გრძნობდა მოახლოებული მანქანის ბრაზმორეულ სუნთქვას და ხედავდა მის ვეებერთელა ცხვირს.

ავტომობილმა მკვეთრად დაამუხრუჭა, შემდეგ გზიდან ბორდიურზე აუხვია, ყვავილნარი გადათელა, მოხუცის ირგვლივ ნახევარწრე შემოხაზა და ისევ გზაზე ისკუპა. „სხვა ადგილი ვერ ნახე?“ თავი გამოყო რკინის ნიჟარიდან მატლივით კაცუნამ და შეეგინა. მოხუცმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ხის ტოტს მოებღაუჭა, წამოიწია, მაგრამ ტოტი მოტყდა და მოხუცი ისევ ძირს დაეცა. გული გამალებით უცემდა. ყურებში ედგა მისი ბაგა-ბუგი. გვერდზე ბიჭებმა ჩაურბინეს. ბურთი ჰქონდათ წინ გაგდებული და იმას მისდევდნენ. მოხუცმა თვალი მიადევნა მათ და უეცრად იგრძნო, რომ ვიღაცა შეუდგა მხრებში, ვიღაცამ იღლიაში ჩაავლო ხელი და დაეხმარა წამოდგომაში. მის წინ უცნობი კაცი იდგა.

— ჩემი სახელია მიკი — ქუდი აუწია კაცმა და გაუღიმა. თავდაჯერება და სიმშვიდე იგრძნობოდა ამ ღიმილში, იგრძნობოდა ისიც, რომ კაცს არსად ეჩქარებოდა, რომ ის თითქოს ამოვარდნილი იყო ყოველდღიური ორომტრიალიდან.

— ჩემი სახელია მიკი — ისევ ნელა და დინჯად გაიმეორა კაცმა და მოხუცს ხელკავი გამოსდო.

— აქ ჩამოვჯდეთ.

უცნობმა მოხუცი ფრთხილად დასვა გრძელ სკამზე, თვითონ მოუბოდიშა „ახლავეო“ და დომინოს მოთამაშეებისკენ გასწია. კაცის ყივანა ხმამ გაკვეთა ჰაერი, შემდეგ მოხუცმა დაინახა, როგორ მოხვეტა კაცმა დომინოს ქვები და მაგიდიდან გადაყარა...

მოთამაშეები მუხლებზე დაეცნენ. დომინოს ქვები აკრიფეს, ყუთი დაკეცეს და თამაშის გასაგრძელებლად ეზოს კიდეზე გადაბარგდნენ. ჩასუქებულმა ქალმა სარეცხის კალათი დააგდო და სადარბაზოში მოკურცხლა. კაცი მობრუნდა და მოხუცის გვერდით ჩამოჯდა.

— თქვენ დროს ალბათ სხვანაირი იყო ხალხი — გაუღიმა და სპილოს ძვლის პორტსიგარიდან ერთი ღერი ამოაცოცა.

მოხუცმა ოდნავ დაუქნია თავი და დაიწყო გიმნაზიის დროინდელი ამბების მოყოლა. კაცი ყურადღებით უსმენდა. მოხუცს გაუკვირდა, რომ ამ უცნობს თითქოს მართლაც აინტერესებდა მისი წარსული, ყოველ შემთხვევაში, მონაყოლის მიხედვით წამდაუწუმ ეცვლებოდა სახე; ხან ბრაზით წამოწითლდებოდა, ხანაც უცებ ღიმილი გამოანათებდა მის საავდროდ შეჭმუხნილ წარბებში. მოხუცი განებივრებული არ გახლდათ ასეთი ყურადღებით; ის კარგა ხანია მიეჩვია თავისთვის ლაპარაკს, რადგან არავინ უსმენდა, არავის აინტერესებდა ათასჯერ მონაყოლ-გადამღერებული წარსული, როცა ხორცი აბაზი ღირდა და ქალს უეჭველად ხელზე კოცნიდნენ; ახლა კი, როცა გამოჩნდა თანაგრძნობა, როცა ხარბად იჭერდნენ მის სიტყვებს, მოხუცი უეცრად დაიბნა და დადუმდა. რაღაცა იყო შემაძრწუნებელი ამ უცნობში, მის თავაზიან ღიმილში, მის უცნაურ ცნობისწადილში. „ქურდი ხომ არაა?“ გაუელვა მოხუცს. რის ვაი-ვაგლახით წამოდგა და სახლისკენ გაემართა. „გაგაცილებთო“ დაადევნა კაცმა, მაგრამ პასუხის ნაცვლად მოხუცმა ნაბიჯს აუჩქარა.

„ნაღდად მითვალთვალებს“ გახტა შიშის ნაპერწკალი გულში. „უნდა დაადგინოს, სად ვცხოვრობ“. მოხუცმა კვალის ასაბნევად გზიდან გადაუხვია, ეზო გადაიარა და ქუჩა გადაჭრა, „პური მაინც საყიდელი გვაქვს“, თავი იმართლა და თონეში შეუხვია.

მაღაზიაში ტევა არ იყო. თხუთმეტ წუთში ახალი, სურნელოვანი პური აავსებდა ამ დაცარიელებულ თაროებს, მაგრამ მოხუცს არ შეეძლო რიგში

დგომა და ლოდინი. აკანკალებული ხელით გადასწია დახლი და თონეში შევიდა. „ერთი პური მიეცით!“ გასძახა თეთრხალათიანმა გოგომ თონეში ჩაყუდებულ კაცს. მოხუცი მორჩილად გაჩერდა პურის მოლოდინში და უეცრად სუსტმა გაშრიალებამ მიიქცია მისი ყურადღება. მოხუცი შემობრუნდა და ოთახის ჩაბნელებულ კუთხეს მიაშტერდა. ამ მოძრაობაზე ვიღაცა შეინძრა სიბნელეში. სინათლის ზოლზე გამოცოცდა ჯერ თეთრი, გაქათქათებული ხელი, შემდეგ პროფილი გამოიკვეთა და ბოლოს ნაცნობი სახე დაეკიდა ჩრდილისა და სინათლის ზღურბლზე.

„მე ვარ მიკი“ — გაიღიმა კაცმა და მისკენ გადმოაბიჯა. „ჩემს პურს დაგითმობი“.

მოხუცს თვალთ დაუბნელდა. გონს რომ მოვიდა — ოფლში ცურავდა. თავს უამრავი ხალხი ადგა.

— იწექი, იწექი, არ გაინძრე! დაუყვირა თეთრხალათიანმა გოგომ და ბოთლი მიუტანა ცხვირთან. მკვეთრმა სუნმა საბოლოოდ დაწმინდა სივრცე.

მოხუცმა თავი წამოსწია და ირგვლივ მიმოიხედა. „აქ, ახლო ცხოვრობს“ მოესმა ხმა, შემდეგ ორი ბიჭი შეუდგა გვერდებში და ნელ-ნელა ჩოჩიალ-ჩოჩიალით დაიძრნენ...

კარი ქალიშვილმა გაუღო. მის სახეზე ჯერ არ გამქრალიყო შეშფოთების კვალი. რა არ იფიქრა, სახლში რომ არავინ დახვდა და ახლა მოხუცი რომ ასეთ დღეში დაინახა, შიშის ტალღამ ისევ გადაურბინა სახეზე.

— დაწყნარდით, ქალბატონო, ისეთი არაფერი მომხდარა — გაიღიმა ერთ-ერთმა ბიჭმა. მოხუცი ფრთხილად შეიყვანეს და სავარძელში ჩასვეს. ქალიშვილმა ფეხსაცმელები გახადა და ფლოსტები მოუტანა. შემდეგ წვეთები ჩამოუსხა და ზუსტად ისე აუწია ნიკაპი, ისე ჩაასხა კრიჭაშეკრულ პირში, როგორც ამას მისი რძალი აკეთებდა.

— ყველას გაწვალეყო — სინანულით თავი გაიქნია მოხუცმა და სარკეში თავის გამოსახულებას გაუშტერა თვალი.

— მარტო რატომ გახვედი! — ლამის ტიროდა ქალი და სპირტში გაწურული ცხვირსახოცით უზილავდა სახეს. მოხუცმა სვენებ-სვენებით დაიწყო მოყოლა, თუ რატომ გავიდა გარეთ, როგორ წაიქცა, როგორ წამოაყენეს; თუმცა იმ უცნობ კაცზე კრინტიც არ დაუძრავს. ქალს კი არა, თავისთავს უმალავდა იმ უსიამოვნო შეხვედრას.

ქალი მალე წავიდა. როგორც ყოველთვის, ბოლომდე ვერ გაუძლო მოხუცის მონოლოგს, საქმეები მოიმიზეზა, წამლები სასთუმალთან დაულაგა და „ჭკვიანად იყავო“, კარი გაიხურა. ისევ მომაბეზრებლად გაიჭიმა და თითქმის უგრძნობელი გახდა დრო... მოხუცი მხოლოდ იმას გრძნობდა, თუ როგორ გადაიხარა მზე, როგორ ააცოცდა სხივი მუხლიდან მუცელზე, მუცლიდან ხელზე. ჭიღის ერთ-ერთ პლაფონზე ბუზმა გაიღვიძა, თათები ერთმანეთზე გაილესა, ფრთები გაშალა და ზედ მის ყურთან გაიბზუილა. მოხუცმა თავი ოდნავ დაიქნია, ცხვირზე შემომჯდარ ბუზთან ერთად სიზმარიც ჩამოიფერთხა სახიდან, შემდეგ ძალა მოიკრიბა და ყური მიუგდო სადარბაზოდან შემოჭრილ ხმებს. კედლის მიღმა კიბეზე ვიღაცა ამოდიოდა. ამ ვიღაცას მსუბუქი ნაბიჯი ჰქონდა, ამორიბენდა რამოდენიმე საფეხურს, შემდეგ ჩერდებოდა... „გვარებს კითხულობს“, გაუელვა მოხუცს — „უცხოა“. მოხუცმა საათს შეხედა. წუთის ისარი მარჯვნივ იყო გადახრილი, პატარა ისარი ჰორიზონტალურად იდგა. „ჯერ ადრეა, ჩვენები არ იქნებიან“. ისევ გაუელვა და იმ წამსვე გაბმული ზარიც მოესმა... მოხუცი ნელა წამოდგა და კარისკენ გაჩოჩდა. „ვინ არის?“ იკითხა, მაგრამ პასუხს არ დაუცადა და ურდული გასწია.

სადარბაზოს ნაცრისფერ ფონზე შავი სილუეტი გამოიკვეთა. მოხუცი დიდი მონდომებითა და ყურადღებით მიაცქერდა სტუმარს. სილუეტი წინ წამოვიდა და მოხუცს ლამის დაეჯახა ბნელში. „უკაცრავად“ გაისმა სადღაც განა-

გონი ხმა. „თქვენ მგონი გარდერობის გაყიდვას აპირებთ?“

მოხუცს წარმოდგენა არ ჰქონდა, რომელ გარდერობზე ეკითხებოდნენ. დერეფანში ერთი დაკოჭლებული ტანსაცმლის კარადა იდგა, მაგრამ იმას მუქთად თუ წაიღებდა ვინმე. არადა უცნობი (ახლა უკვე გარკვევით არჩევდა მის გაქთქათებულ სახეს) გაზეთს უტრიალებდა ცხვირწინ, აი აქ, მეოთხე გვერდზე თქვენი განცხადება წერიაო; მოხუცი რახანია ვეღარ კითხულობდა გაზეთს, ის კი არა, „მოამბეს“ ძლივს ადევნებდა თვალყურს, თავის ტკივილი ეწყებოდა და თვალში უორდებოდა. „შეიძლება ვნახო?“ — უცნობმა დერეფანი გაიარა და კაბინეტის კარი შეაღო. „შუშაბანდში ხომ არ გაგიტანიათ?“ უცნობი უკან შემობრუნდა და ლამის ცხვირით შეეჯახა დანჯღრეულ-გადმოფერდილ კარადას.

— რა ლამაზია!—ტაში შემოჰკრა უცნობმა, შემდეგ უბიდან ბლოკნოტი ამოიღო და კარადა ნაჩქარევად ჩაიხატა. „თქვენ მარტო ცხოვრობთ?“... მოხუცმა უარის ნიშნად თავი გააქნია და დაამატა, რომ კარადას არაფრის დიდებით არ შეელეოდა.

— თქვენი ჭირიმე, დამითმეთ! — დაიჩოქა უცნობმა და კალთებზე დაუწყო კოცნა — თქვენს წონა ფულს მოგცემთ, ამის მოსაძებნად მთელი ქვეყანა მოვიარე.

მოხუცი უარზე დადგა. რაღაცით ხომ უნდა გაეყვანა დრო. დრო საღამომდე, დრო მიძინებამდე. თანაც ცდილობდა იმის გახსენებას, თუ სად ჰყავდა ნანახი ეს კაცი, რომელიც ხვეწნიდან მუქარაზე გადავიდა. შემდეგ ისევ მოტყდა და თავის შეცოდება დაიწყო. ისინი ახლა შუშაბანდში ისხდნენ. კაცი თავის გაჭირვებაზე უყვებოდა. მას თურმე ისეთი სამსახური ჰქონდა, რომ უბედურების მეტი არაფერი მოჰქონდა სხვებისათვის, ამიტომაც არ ჰყავდა არავინ და თავის მარტოობას, თავის სიცარიელეს ათასნაირი ნივთებით ავსებდა. მისთვის მნიშვნელოვანი იყო ამ კარადის შეძენა. ახალი ნივთი ცოტახნით მაინც გაუქარვებდა ნაღველს, გაართობდა, დაავიწყებდა მარტოობას. თანაც, მისი აზრით, ეს უნიკალური კარადა იყო, „როკოკოს“ სტილის უძველესი ეგზემპლიარი, რომლის არსებობა მხოლოდ ყურმოკვრით იცოდა.

მოხუცს უკვირდა, რომ ეს ლამაზი, ენერგიით სავსე კაცი ისევე მიტოვებული აღმოჩნდა, როგორც თვითონ, უკვე გამოფიტული და ძალაგამოცლილი არსება. ეს ყველაფერი გაიფიქრა, მაგრამ არ სთქვა, თუმცა სტუმარმა თითქოს ამოიცნო მისი ფიქრი და დაუწყო იმის მტკიცება, რომ ისინი ერთნი იყვნენ, რომ ყველასგან გარიყულებს, მხოლოდ ერთმანეთით თუ შეეძლოთ არსებობა. აქ მოხუცმა გაიხსენა, თუ სად ჰყავდა ნანახი ეს კაცი, ცხადად გაიხსენა იმ უსიამოვნო ნაცნობობის ყოველი დეტალი. სტუმარმა მაშინვე იგრძნო, რომ გაიხსენეს, რომ ნიღაბი ახადეს, წამით ხმა ჩაიწყვიტა. შემდეგ გაიღიმა და თავის მართლების ნაცვლად ისევ შეტევაზე გადასვლა ამჯობინა.

— მართალი ბრძანდებით! — თავი დაუკრა და გაგრძელა — მე სწორედ ის გახლავართ, ვიზედაც ფიქრობთ. არ მინდოდა თქვენი შეშინება, მაგრამ რაკი გამიხსენეთ, გავბედავ და გკითხავთ: რატომ გამირბიხართ?

— თავი დამანებეთ! — მოხუცის ხმა სადღაც სიღრმიდან ამოსკდა. — არ ვყიდი კარადას!

— კარადა რა შუაშია, მე თქვენთან მოვედი. — წამოდგა კაცი.

— მიშველეთ! — იყვირა მოხუცმა.

— ვერავინ გაიგებს! — სტუმარმა ფანჯარა მიხურა — ჩვენ უდაბნოში ვცხოვრობთ... ეს მწვანე ეზო, ეს ქალაქი, ეს სიცოცხლე მხოლოდ სიზმარია.

— მიშველეთ! — ჩუმად, თავისთვის გაიმეორა მოხუცმა.

ამ დროს ღია კარიდან უშველებელი ნაგაზი შემოვარდა. ეს იყო მეზობლის დოგი, რომელსაც მოხუცი ჩუმ-ჩუმად ხორცის ნაჭრებს უნახავდა და აჭმევდა. დოგმა ერთი შეუღრინა სტუმარს, შემ-

დეგ მოხუცს კალთაში თავი ჩაუდო და ხელი აულოკა.

— რა მშვენიერი ცუგა გყოლიათ, ჩემო ბატონო — ნაძალადევად, სიმწრით გაიღიმა სტუმარმა და კედელ-კედელ აკრული, გასასვლელისაკენ დაიძრა. კარებში უკანასკნელად შემოტრიალდა და თქვა:

— გარეთ ხომ არ გამობრძანდებით, მშვენიერი ამინდია...

დოგმა ისევ შეუყეფა და მოხუცი რომ არა, გასაგლეჯად დაეძგერებოდა უცნობს; თუმცა ის უკვე კიბეზე ჩარბოდა. მხოლოდ ერთხელ შეჩერდა. „კიდევ შევხვდებითო“ — და სადარბაზოს წყვდიადში დაყვინთა.

*

საღამოს შვილი ადრე დაბრუნდა სამსახურიდან. მოხუცს წამდაუწუმ ავიწყდებოდა თავისი ერთადერთი ვაჟის სახელი. ასევე ბურუსით იყო მოცული ქალისა და ბავშვის სახელებიც. მოულოდნელად თუ გადაეწმინდებოდა მეხსიერება, წამით თუ გადაიყრებოდნენ დრო-ჟამის ღრუბლები მისი გონების ციდან, მაგრამ დარი ისე ხანმოკლე იყო, რომ მოხუცი ვერ ასწრებდა რაიმეს დანახვასა და დამახსოვრებას. ამიტომ ასე უფრო მშვიდად გრძნობდა თავს. ქალი, კაცი, ბავშვი და ქალიშვილი, მაგრამ იმ საღამოს უამრავი ქალი და კაცი დაგროვდა სასტუმრო ოთახში. მოხუცმა ვერა და ვერ გაარკვია რა ხდებოდა, რას აღნიშნავდნენ. თავისიანებს კუდში სდევდა, ფეხებში ებლანდებოდა, სურდა ამ მშვენიერი საღამოს მონაწილე გამხდარიყო, მაგრამ ხელის შეშლის მეტს არაფერს აკეთებდა. ისედაც ვიწრო სამზარეულოში მისი შემოსვლისა და მოუხერხებელი ჩოჩიალის შემდეგ გასანძრევი ადგილი აღარ რჩებოდა. სტუმრებთან გავიდოდა და მაშინვე წყდებოდა უცენზურო ანეგდოტების მოყოლა, უხერხული დუმილი ამძიმებდა მისადმი რიდითა თუ მოწიწებით შექმნილ დაძაბულობას, რომლის დარღვევასაც მოხუცი ამაოდ ცდილობდა ამინდზე საუბრით.

საუბარში არავინ აჰყვა, ყველა თავაზიანი ღიმილით იგერიებდა მის შემოტევებს. მოხუცი წამოდგა და თავის ოთახში გავიდა. კარგა ხანს სიბნელეში იჯდა, არავის გახსენებია მისი არსებობა. მხოლოდ ერთხელ რაღაცის მოსაძებნად თავი შემოყო რძალმა და — „დაიძინეო“ — უთხრა.

სტუმრები ნელ-ნელა შეზარხოშდნენ. სასტუმრო ოთახში ქალის წკრიალა ხმამ „წინწყარო“ წამოიწყო. ამ ხმამ გზადაგზა აიკრიფა და შეიერთა დანარჩენი ხმებიც და ლამაზმა, დახვეწილმა სიმღერამ სიბნელე გაანათა, ყოველი კუთხე-კუნჭული ამ ხმოვანებით აივსო. სიმღერამ ფეხზე წამოაყენა მოხუცი. მისი გაცრეცილი მახსოვრობა განათდა შორეთის ბინდში გახვეული სახეებით. მოხუცმა კარის სახელური გადაატრიალა და თვალისმომჭრელ სინათლეზე გადაბიჯა. ერთხანს ვერაფერი გაარჩია, თითქოს არყოფნის წყვდიადიდან ეს წუთია დაიბადაო ნათელ და ხმაურიან სამყაროში. შემდეგ ახალფეხადგმულივით გაბაჯბაჯდა სიმღერისაკენ, სუფრასთან ჩამოჯდა და თავისი სუსტი, გაუბედავი ხმით ბანი მისცა პირველსა და მეორეს. ერთბაშად ყველა დადუმდა. შემდეგ სიჩუმე სადღაც განაგონმა ხმამ დაარღვია, ამ ხმას იმდენი ხავერდი და სიტკბო ჰქონდა, რომ მოხუცმა მსუბუქი გულისრევა იგრძნო.

— შემოსწრებულს გაუმარჯოს! ნება მომეცით შევსვა ამ სათნო მოხუცის სადღეგრძელო!

ნამდვილად ის არის! სტუმრებს შორის გარეული! სწორედ ის, მთელი დღე რომ მოსვენებას არ აძლევდა! მოხუცმა წამოდგომა და გაცლა დააპირა, მაგრამ ვერ მოასწრო. უცნობმა ხელი სტაცა.

— უნდა წამომყვე თქვენებს უკვე მოვურიგდი, თანახმა არიან!

„თანახმა არიან?“ — გაიფიქრა მოხუცმა და გაოცებული მზერა სუფრას მოავლო. ხალხი უკვე არევ-დარეული იყო. უმრავლესობა მიდიოდა. ფორტეპიანოს კლავიშებზე ვიღაცას თავი დაედო და გამაყრუებლად ხვრინავდა. შვი-

ლი სახეგაქვავებული მიშტერებოდა ჭაღს. ქალი სუფრას ალაგებდა. ბავშვი ტახტზე იწვა ტელევიზორის წინ.

— თანახმა არიან, — მის ფიქრებს უპასუხა უცნობმა კაცმა.

მოხუცი რახანიც გრძნობდა ამას, მაგრამ არ იჯერებდა... ახლაც წყალწაღებულივით ეშიდებოდა ხავსს, იმედს იდგამდა გულში, რომ როგორმე კიდევ მიიპყრობდა ამ გაქვავებული ხალხის ყურადღებას;

— თუ ერთმა მაინც გაგიხსენა და მოგხედა, თავს დაგანებებ — გველივით ჩასისინებდა კაცი, — არადა უნდა წამომყვე.

ყველაფრის მიუხედავად მოხუცს საოცრად ეძნელებოდა აქაურობის დატოვება. ჯერ სუფრას ეცა, რომ ჭურჭელი გაეტანა სამზარეულოში, მაგრამ იგრძნო, რომ ქალს მხოლოდ აღიზიანებდა და ხელს უშლიდა, მაშინ ბავშვს წამოადგა თავზე, ისიც ვერ მოსწყვიტა ტელევიზორის ეკრანს. ბოლოს შვილს მიუახლოვდა, მაგრამ აღელვებულმა ვერ მოიფიქრა რა შეიძლებოდა ეთქვა მისთვის და სასწაულის მოლოდინში გაქვავდა.

სასწაული არ მოხდა. შვილი ისევ კედელთან იდგა და სიმთვრალისაგან სახედაკარგული, რაღაცას ლუღლუღებდა. ქალი ისევ დაქოქილი თოჯინასავით ტრიალებდა სუფრასა და სამზარეულოს შორის. ეკრანზე ოფლში გახვითქული ცხენკაცები დასდევდნენ ერთმანეთს. უეცრად შენელდა და გაჩერდა დრო. ოთახი თითქოს სურათად იქცა და ეს ყოველდღიურობიდან ამოგლეჯილი სურათი ნელ-ნელა ჩაბნელდა. უცნობმა ოდნავ ჩაახველა და რაწამს მიიპყრო, მოხუცის ყურადღება, ხელი მოხვია, მიიხუტა.

— ჩვენ წავედით! მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — ნელა და დამარცვლით წარმოთქვა მან.

არავითარი გამოძახილი, თითქოს არც არავის გაუგონია მისი სიტყვები. მხოლოდ შვილმა მოიხედა, დაამთქნარა და თანხმობის ნიშნად ოდნავ დაიქნია თავი.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — გაიმეორა უცნობმა და მოხუცს კარისაკენ უბიძგა .

მათი ოთახიდან გასვლა და ქალის კივილი ერთი იყო. ამ კივილს ბავშვის ტირილიც შეერია. შემდეგ ერთბაშად ჩამოვარდა სიჩუმე და სამარისებური მდუმარება კაცის ჩახლეჩილმა ხმამ დაარღვია:

— რას იზამ, ყველა სიკვდილის შვილები ვართ. განცხადება უნდა შევადგინოთ და სია ჩამოვწეროთ, რომ მამას ღირსეული პატივი ვცეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

...და ის დღე დამრჩა, დამრჩა და...
ჩემში
სამყაროც დარჩა ასე მაღალი,
ის დღე, ივნისის მეწამულ მზეში
შენით და შენგან ნაქანდაკარი,
...და ის დღე დამრჩა, დამრჩა და..
ჩემში
სამყაროც დარჩა ასე მაღალი.

ბოსფორთან

დარჩა სტამბული... წმინდა სოფიით,
ვით მზიურ სივრცის ლურჯ მეტაფორით,
ნაპირს ვშორდები თეთრ „ოლიმპიით“
და ლილისფერად მოდის ბოსფორი,

მე კი... მიმყვება სევდა და შხამი,
სევდა და შხამი —სხვა არაფერი,
იატაგანი და სისხლის ღვარი
ნახევარმთვარით გადანაფერი.

●

რად მეორდება ეჭვი დემონის,
რა იმეორებს მზერას სატანის,
...ხომ ჰყარა კენჭი და ხომ ემონვის
სულს — ბედისწერის იატაგანი?

ხომ გადაიქცა ტკივილად ფიქრი
და უსასტიკეს ფიქრის ღამეში
გამოქანდაკდა პირველი სფინქსი
და აუჯანყდა ხვედრს გილგამეში!

ხომ გააშიშვლა მახვილი რისხვამ,
ხომ აღსდგა რისხვა კაპიუს კართან
და როგორც რომზე მუქაფის მიზღვა
ლეგიონერებს შეება სპარტაკ!

ხომ ამოენთო ის წამი ელდის
და აზრმა — ელდის წამის
პყრობილმა —
ხომ სულ ბოლომდე გაშიფრა ღმერთი
და კაცს მიაგნო კოლოფონელმა!

ხომ გამოსტაცა დრო ყამთა ბრუნვას,
და ხომ შეაღო მეჩეთის კარი,
და ხომ უსმენდა არაბულ ყურანს
ქრისტეს მმოსავი მეუფე დავით!

...რად მეორდება ეჭვი დემონის,
რა იმეორებს მზერას სატანის,
ხომ ჰყარა კენჭი და ხომ ემონვის
სულს — ბედისწერის იატაგანი?

...და ჩვენ შენი სიმაღლიდან

დავით ჩხიკვიშვილის ხსოვნას

ისევ აქ ვართ,
კვლავ აქ ვართ და
უშენოდ ვართ მცხეთაში,
თავზე გვადგას ლურჯი ზეცა
არმაზის და ზედაზნის,

და ხილვაში კვლავ ცოცხლდება
შემოდგომის გზები და...
ისევ დგები იმ ნოემბრის
ღამის მოგონებიდან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ცეცხლი ენთო ბუხრის თვალში,
ცეცხლი ენთო სიტყვაშიც,
ცეცხლი ენთო მაღლა, ჯვარზე
ამოწვერილ ცისკარშიც,

სუფრას ადგას შემოდგომის
შეთენების სურნელი...
და შენ
გახსნილ გულის კარით —
სევდით განუკურნელით

ზეცა გახსენ სვეტიცხოვლის,
ზეცა გახსენ მეცხრე და
ამობრწყინდა მზე ქართული
ტაოსა და მესხეთს და;

გადახსნილი გულის კარით,
როგორც მაღალ განგებით,
ფესვებს მიწვდი დიაოხში
ძველ მეგრული ჰანგების,

და ჩვენ
შენი მწვერვალიდან
ავიცხადეთ სათავე:
რითაც ქართლი უძველესი
ახლაც რჩება ქართლადვე,

და ჩვენ
შენი სიმაღლიდან
შენს ჯვართან და არმაზთან
ჩვენს სიცოცხლეს ჩავწვდით ქართულ
სულის ჯაბადარბაშად...

იმღვრეოდა სავსე მთვარე
ცისკრის პირველ ტატნობით,
ყღერდა ზარი!
უსასრულო
გაფრენის და ნახტომის,

იყო ღამე — გარდუვალი,
ბედისწერის სწორფერი,
ვით ერთ წამში დატეული
მთელი წუთისოფელი,

იყო ღამე — გათანგული
შემოდგომის სურნელით,
გადახსნილი შენ გულით —
სევდით განუკურნელით...

დღეს კვლავ აქ ვართ,
ისევ აქ ვართ,
უშენოდ ვართ მცხეთაში,
თავზე გვადგას ლურჯი ზეცა
არმაზის და ზედაზნის.

ისევ რეკავს ზარი შენი
გახსნილ გულის კარის და...
სანამ ვცოცხლობთ ის მიმწუხრი
მუდამ
მოვა
თავიდან,

და ის ღამეც,
შენ რომ უძღვენ
მცხეთას მზიან ღამედ და,
ის ცისკარიც და იმ პირველ
ცისკრის მკრთალი მთვარეც და,
იმ ნოემბრის ცა — გახსნილი,
იმ ტკივილის ორანიც,
...ფეხზე ვდგებით და ისმევა
შენი მოსაგონარი.

გათუმი

მე კვლავ ვბრუნდები, მაგრამ ვბრუნდები
იმ უფლებით, რომ ახლაც მომელი,
კვლავ მელის შენი იაგუნდები
და ცა — ყველა ცის უარმყოფელი,

და შენს ქუჩებში ჩემი წარსული,
ის სანაპირო, წვიმა და.. ფიქრი...
და გაუხსნელი ის საგანძური —
მობარებული დღეები სიყრმის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არის მოსე!

ეს არის მოსე! მიქელანჯელო
ისევ მოჰყვება ჟამთა დინებას
და დრო, მარად და სულ განსასჯელი,
მხოლოდ მას, მოსეს ემორჩილება.

ემორჩილება მის მაღალ ზრახვებს,
მის მაღალ ფიქრებს, მის მაღალ
ლოცვებს,
როგორ ძალას და სიმშვიდეს აფენს!
რა სიდიადეს!
ეს არის მოსე!

●

გიყვარს!
შენ გიყვარს!
უსაზღვროდ გიყვარს!
დგება სიცხადე და მდუმარება,
და ერთად იხსნის
მირიად ნიღაბს
სამყაროს ყველა იდუმალება.

გიყვარს!
და მოდის შენი აპრილი,
ვით უანკარეს ფერთა მტვიფრავი
და არცერთი შრე ამ სინამდვილის
შენ არ დაგრჩება გაუშიფრავი.

შენ არ დაგრჩება!
ცისფერ აკორდად
ინთება მზე და ხილვა მაღალი,
მშვენიერების ერთი წამყოფაც
შენ არ დაგრჩება დაუნახავი.

გიყვარს!
და ფიქრობ ღმერთზე თამამად
და შენით ცოცხლობს ირგვლივ
ყოველი,
და უსაზღვრობის ერთი კამარაც
შენ არ დაგრჩება მიუწვდომელი.

შენ არ დაგრჩება!
და როგორც ზარი
მარადისობას წვდება ნათელი,
დროის და სივრცის არცერთი ზღვარი
შენ არ დაგრჩება გადულახველი.

გიყვარს!
გვეძახის სიმაღლე ლექსის,
მილიონი მზის ერთად მპოვნელი,
არცერთი სიღრმე სულის და ზეცის
შენ არ დაგრჩება შეუცნობელი

...გიყვარს!
შენ გიყვარს!
უსაზღვროდ გიყვარს!
დგება სიცხადე და მდუმარება,
და ერთად იხსნის
მირიად ნიღაბს
სამყაროს ყველა იდუმალება.

სანამ ჯერ კიდევ

...მაგრამ დღეს უკვე განგაშის ზარით,
უკანასკნელი განგაშის ზარით
გაფრთხილებს შენი შეშლილი დრო და
გაფრთხილებს ზღვართან მისული ჟამი.
და შესდექ!
სანამ წამი, ეს წამი
ემორჩილება სიცოცხლის საზრისს,
სანამ სამყარო ჯერ კიდევ არის,
სანამ ჯერ კიდევ არსებობს აზრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ოცნებებით სავსე ხარ ახლაც,
კვლავ გრძელდები და კვლავ იმ
ფიქრებად,
რაც არ ასრულდა და რაც არ ახდა
და რაც არასდროს არ აგიხდება,

სავსე ხარ! და კვლავ და ისევ ითხოვ
ზეცისგან ღმერთს და სულისგან ტაძარს...
....შენ არ შეგეძლო სხვაგვარად იმ
დროს,
არ შეგიძლია სხვაგვარად ახლაც.

და მაინც

უკვე აღარ თვლი საოცრებებად,
უკვე აღარ თვლი სასწაულებად,
...არც ტკივილებად და იმედებად
და ოცნებებად გაშლილ ბუნებას,

აღარც სისხლიან ჟამთა ქაოსში
ცისკენ აღმართულ თეთრ პირამიდებს,
არც შეცნობილ და ცხად სამყაროში
შენს სიცოცხლეს და შენს სინამდვილეს,

აღარ გაოცებს წვდომა ლოგოსში —
საკუთარ თავის ძებნით და წვდომით,
არც გაკვალული გზები კოსმოსში,
არც მიუწვდომელ ვარსკვლავთა ხომლი,

აღარც უმწვანეს რტოთა შტიხებით
აელვარებულ ალვის შრიალი,
არც უსასრულო გალაკტიკების
ტრიალი, ბრუნვა და ხეტიალი,

ვეღარ გაკვირვებს ფერისცვალება
ზღვის მოქცევისას ცდომილ მნათობის,
ვერც მრუმე ცაზე ფერმკრთალ
ქარვებად
ამოტვიფრული ირმის ნახტომი,

ვერც დაძლეული ჟამი და სივრცე
ვერც ხმები, შორი და მკვეთრი ხმები,
და შენ,
ყველაფერს
საოცრად მტკიცე
და შეუვალი სიმშვიდით ხვდები...
...აღარც შენს ლტოლვას და ოცნებებად
გაფრენილ მერნებს და ფერად აპრილს,
უკვე აღარ თვლი საოცრებებად...
...და მაინც
ელი
სასწაულს
ნამდვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე მგონია, შინა მარ

(ფრაგმენტები ჩემ დას)

„სადღაც კუნძულზე,
აღმოსავლეთ ოკეანეში,
წყლისპირას ვზიავარ თვალცრემლიანი
და პაწაწინა კიბორჩხალას ვეთამაშები“.

ისიკავა ტაკუბოკუ

3 იანვარი. ხუთშაბათი.
ანას

თოვლი მოვიდა, ანა. ჩემი ქაოქაოა სიხარული. შენი საახალწლო მოსალოციც მივიღე დღეს და მასთანაც დავრეკე. პირველად დავრეკე ერთწლიანი სიჩუმის შემდეგ. მეგონა, ახლა რომ ხმა არ გავიე, მოკვდები, რაღაც დამემართება-მეთქი. დაფეთებული გამოვვარდი გარეთ. როგორ თუ სად გავრბოდი. ვითომ არ იცი, სიშორის განკარვების ერთად ნაღიფი ხელოვნება. სანაყინესთან რომ ავტომატი კიდია კუთხეში, იქიდან ველაპარაკე, შენ კი გგონია, ცხოვრებისეულ წვრილმანებში გაუწაფავი ვარ. რა გაცინებს, ყველა ხომ ვერ მოიფიქრებდა ამდენს. სანაყინედან იქამდე, ერთი ამოსუნთქვით გასარბენი გზაა. თუმცა, გასარბენი კი არა, სულ რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოდე, კიბის პირველი საფეხურიდანვე ისეთი გაჩქარებით მიცემს ხოლმე გული, ისეთი გაჩქარებით, ღმერთს მხოლოდ იმასღა ვეხვეწები, არ შემეტყოს, ვერ მიხვდეს მღელვარებისგან სუნთქვა რომ მეკვრის-მეთქი. ბედისწერაც მთლიანად ჩემ მხარესაა და ის რაღა თქმა უნდა, „ვერაფერს“ ვამჩნევს.

მოკრძალების მოციმციმე ეკლესიაში შესულს ვემსგავსები და იქ გატარებული ყოველი წამი, მზით განათებული რჩება ჩემ გულში. უხმოდ ვზივარ მონუსხული, გაუგონრად სულისშემძვრელი განცდებით სავსე და მეჩვენება, ისე უზადოდ მიჭირავს თავი, პირველი კლასის ნაფიც მსაჯულებსაც შეშურდებათ-მეთქი. ცისარტაელას ფერები რომ გადაფდის სახეზე, ვითომც არაფერი. სკამის კიდეზე ჩამომჯდარი, გაურკვეველის, ამოუხსნელის სიახლოვით თავბრუდაბვეული, დავცქერი კალთაზე დაწყობილ ხელებს, მაჯასთან პაწაწინა, მკრთალად მოცისფრო ძარღვი ფეთქავს და მიკვირს, თვალებდახრილიც რომ ვგრძნობ იმ ოდნავ სევდიან, კეთილშობილურ, ცინცხალი გონიერებით ალსავსე მზერას. მზერას, რომელიც მუდამ ულმობელი სიცხადით ხედავს ყველაფერს. ზოგჯერ, ელვასავით წამიერად გამკრთალი სიხარულის სხივით უნათდება სახე. ო, ეს იშვიათად ხდება. აი ისეთი ხალასი სხივით, გვირილებით დაფარული თვალუწვდენელი, კამკამა მინდვრის (ხელის დაკარებაც რომ ვერიდება), ანდა აივნიდან ცისკენ გაციმციმებული საპნის პაწია, მბრწყინავი ბუშტების დანახვისას რომ განათდები.

ის უფრო გაინტერესებს, დღეს რა ველაპარაკე? მოიცა ვეხვეწები, ცოტათი სული მოვითქვა. ერთი შენ ყოფილიყავ ჩემ ადგილას და ნახავდი მერე. თითქო, ეგრე ადვილი იყოს. თავზე გათოვს, დგახარ სუნთქვაშეკრული, ხელში გაყინული უურმილი გიჭირავს და გრძნობ, აუტანლად გრძნობ, შენი გულისცემის ხმა როგორ ერთვის ტელეფონის ყოველ ჩამოკვრას. ეს სასიამოვნო, ენით აუწერელი, დაწყეველილი „ჯოჯოხეთი“ თვითონ უნდა იწვნიო, თორემ ცარიელი სიტყვებით ვერაფერს მიხვდები. ვერ მიხვდები, თუ რა ცეცხლის ფასი ღირს ნერვების მსგავსი ელვარება.

პირველი ზარი! გგონია მიწა გეცლება ფეხქვეშ და გარეგნულად ღირსებაშენარჩუნებული, მაინც დაბნეული ჩანხარ. „თუ ცოტაოდენი იღბალი მაქვს, მდივანი არ მიპასუხებს. თუ ცოტაოდენი იღბალი...“

მეორე ზარი.

— ბატონო!

„ღმერთო, მომეც ძალა ხმის ამოღების. მომეც ძალა...“

— ალო, გისმენთ! — ოდნავ შესაბჩნევმა, ოდნავ მწარე ღიმილმა გადაუარა ტუჩებზე. (ალბათ!)

შემეშინდა, უურმილი არ დაეხეთქებინა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც იცის ხოლმე და პირველივე ფრაზა, რაც ენაზე მომადგა, ხმამაღლა წამოვიძახე, — ახალ წელს გილოცავთ-მეთქი. თუმცა, რაღა ახალი, მესამე დღეა უკვე. (იმწუთში კი ჩავთვალე, რომ საოცრად გულისხმიერი, გამბედავი და ჭკვიანი ვიყავი) გაუბარდა, სად გადაიკარგეო. და უცბად, ოქროს წყალში გავლებული სხივივ ნამცეცებით დაიტენა ყოველი წამი. — სულ შინ ვზიარ! — ვთქვი სულმობრუნებულმა, რამდენადაც შემეძლო უდარდელად და ვიგრძენი, როგორ ჩამომიგორდა ცხელი ცრემლი. უხმოდ გავუძელი.

რა სახაცილოა. ზიხარ ზოგჯერ საკანში გამომწყვდეულივით მარტო და დაკარგული, იმედებსა და სევდას აკიდოსავით ასხამ ფერად ძაფზე და მარცვალი, მარცვალი...

ახლა საღამოა. შევფოფინებ იმ ერთწლიანი სიჩუმის ჯილდოდ ნაჩუქარ პაწაწინა ბედნიერებას აფორიაქებული, თავბრუდახვეული და ელვარე დღესასწაულიდან დაბრუნებულს ვგავარ. ქაფქაფა ფინჯანს საამური სურნელი უდგის. ჭუჭაში უთვალავი, უთვალავი ფიფქი ნარნარებს და სარკმელთან მდგარი, მოქარგული თეთრ ხალათში გაბვეული, უხმოდ ვუკითხავ „თოვლს", ჩემ განუმეორებელსა და მოუხელთებელ მაესტროს. „თოვლი" ჩვენი, ორივეს ბიმნია. და ვინ იცის, კიდევ რამოდენა რამეს მოვუყვები გულში. ჭუჭაში კი უთვალავი, უთვალავი ფიფქი წკრიალებს, მუსიკასავით ხმიანდება და მეჩვენება, რომ ქვეყნიერება ხმოლად ზეციდან მოვლენილი ამ პაწაწინა სასწაულებით და ცამდე ასული ფერადი მოლოდინითაა სავსე. და კიდევ, გულმხურვალე, დეკინებული ლტოლვით აღუსრულებლის აღსრულებისაკენ, სინათლისაკენ...

ძალიან მენატრები.

გკოცნი. ნათია

P. S. საახალწლო მოკითხვა, ყველა შენ მორჩენილსა და ჯერ მოურჩენელ პაციენტს. მოსკოვში, მგონი ახლა როგორ ცივა-ა!!!

19 იანვარი. შაბათი.

ანას

საღამოთი, შინ რომ დავბრუნდი, შენი წერილი დამხვდა. ძალიან გამიხარდა. სად ვიყავი? სახეტიალოდ. ორ კვირაზე მეტია გარეთ არ გამიხედავს და მაშ რა მექნა. ჩემისთანა გამოუსწორებელმა მისტფიკატორმა და გულუბრყვილო ცხოვრების გადამკიდემ, ხეტიალში ხომ მაინც უნდა ჩაკლა ის გაკოტრებული იმედები, წამდაუწუმ ოცნების ზღვარულ, კრიალა კოშკებს რომ გაგებინებს საკუთარი თავისათვის. ამიტომ, სასოწარკვეთამ უწყალოდ რომ არ დაგრეოს ხელი და მოწყენილობისგან სული არ ამოგხდეს, ზოგჯერ შინიდან უნდა გაიქცე. გარეთ გაცილებით რეალური, საღი განსჯის ხმები და გიჟმაყური, ხმაურიანი საღამოების სურნელი ისმის. თუ დაიღლები და ცოტათი შეგეცვდება, „მისს ტროლეიბუსში" ჩაჯდები. [illegible] რა კარგია?! თბილი, ლუდუნა. ზიხარ შენთვის ფანჯარასთან და მისრიალებ. მერე რა, რომ სუსხიანი ქარია და ყინავს. ჭუჭაში მაინც დუთს და გადადუღს, მაინც ჟრიამულობს სიცოცხლე. ხოდა, ზოგი ახლა ზახოს თავის სეირი. იმ ჩემმა სულისშემხუთველმა მოწყენილობამ. რა გენაღვლება, ზიხარ შენთვის კაკაკა ფანჯარასთან თბილად და მისრიალებ. ამ დროს, სულ ადვილი შესაძლებელია, ისეთი ვინმესაც მოკრა თვალი, სიხარულით გული ამოგიფრინდეს. ხმოლოდ წამით მოკრა, მაგრამ გულს მეტი უნდა? მერე ის ნამცეცი სიხარული ასი ათას დარიგად ღღეს გავიწუკებს, გავიწუკებს და მაზადა ხარ, თუგინდ ერთი ამოსუნთქვითი, ეკერესაზე ანდადე. ხო, მანქანაში. ამა პატარა ბიკი კი არაა, ამ ქარსა და ყინვაში ისე იაროს, თავზეხელაღებულმა. ფეხით გავლა ყველაზე უფრო შემოდგომით, ოქტომბრის დამდეგს უყვარს. ზღვიდან ახლად დაბრუნებულს, ნამზეურს, გალალებულს. მაშინ თბილისმაც ხომ ისეთი ნაზად მათრობელი, ისეთი განსაცვიფრებლად ოქროსფერი ღღეები იცის. აჭა-იქ წვიმას გამოურევს... კიდევ, მანქანის უკანა სალონში ჯდომა უყვარს და ფორთოხალი. რა „ნუთუ მარილა", აგიტუდა ნეტავ. დამაცადე, ნუ მაწყვეტინებ. რამდენჯერ მინატრია, მარიოკოს მეფის ასული მაინც ვიყო-მეთქი. სისულელეა? არაფერიც. რა ვქნა, თუკი ჩემი გემოვნება და სურვილები ამ გტალილუსულ ცხოვრებაში, ერთი ბეწოთიც კი არ ესადაგება ქცევის საყოველთაოდ დადგენილ ნორმებს. ო. ეს ეთიკეტის გაუგონარი დარღვევაა? ვიცი, ვიცი. ალბათ, ამიტომაც არავინ არაფერს მაპატიებს ხოლმე. (ვერ ვიტან შეღავათებს!) და სამწუხაროდ, სხვა არაფერი არ შემიძლია. მაშინ, მაშინ დამაბიან, ანდა ციხეში ჩამამწყვდიეთ მეამბოხე რევოლუციონერივით. დარდი ნუ გაქვთ, ისტორია თქვენ გაგამართლებთ. და გამუდმებით მოუთხრობთ ყველას, ღელვით გათანგულ გოგოს ტლანქ ცოდვებს.

ნეტავი გაჩვენა ანა, ნეტავი გაჩვენა და მერე ასე აღარ ილაპარაკებ. რა და, როგორ ზის ხოლმე მანქანაში უკან. ჭკუაზე შეიშლები.

ისეთი სუფთა,
ისეთი კარგი,
ისეთი მარტოსელი...

გინდა, რომ იტირო. გინდა, რომ გაიქცე, ყველას ჯიბრით მიეფერო, გულში ჩაიკრა. პატარა, მიუსაფარ, უთვისტომო, ანცი ბიჭივით. — ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ, ჩემო ძვირფასნო! — მისი გულისთვის, თუგინდ მდუღარეში ჩაყოფ ხელს და თხემით ტერფამდე, სულ ცხელი ნაღველითა ხარ სავსე.

ვდგავარ ახლა მკრთალად განათებულ სარკეთაან მოქარგულ ფარდაგზე და ვფიქრობ, შაჰის რომელიღაც მზეთუნახავის ხავერდოვან

ხეფექალს ყგაკვარ-მეთქი. რამ მომგონა? ეს წუთია გამოვედი საბაბაზანოდან, რომლის ზღურბლთანაც ჯერ ისევ ამჩნევია ჩემი ხველი ნაფეხურები. ქალქალთა ტუშებით გაწყობილი სიფრიფანა პერანგი და ის ვარდისფერი ქოშები ნაცვია, შენ რომ ჩამოიტანე სტამბოლიდან. შეუშშრალი თმა მხრებზე ნაამფრ სიგრილედ მეფინება და სავარცხელს ლირიკული მოძრაობით ვაზოზინებ თავზე. იქვე, ერთი ხელის გაწვდენაზე — თაფლში მოხლილი ნუშის გულით სავსე ფაიფურის პაწია ვაზა, აღმოსავლური ფუფუნებაა, აბა რაა. ეაგუნდები და შირაზული ვარდებიც რომ მეყოფოს ფერხთით... გარეთ კი სუსხიან ქარს არემარე მიაქვს და შინ შემოგრას ლამობს. ვაზას სამზარეულოში ვინახავ. თმას კორდებალეტის მოცეკვავესავით ვიხვევ კეფაზე და გრძელ, ხაოიან ხალათში ვიკარგები. უკვე სულ სხვა სტილია. მკაცრი, დახვეწილი ხაზები. პომადა? ო, პომადა ძალიან მახარებს. ორმოცდაათისა რომ გავხდები, აუცილებლად წავიხვამ. დიდხანს მომიწევს ლოდინი? არაფერია, მოვითმენ. შეხედე, ხომ ლამაზია, ნახევარ სამეფოდ ღირებული ჩემი ზარის საყურე. განსაკუთრებით ახლა, თმა რომ აკეცილი მაქვს. დაღესტნიდან ოდესღაც გამოჩუქებული ვერცხლია. ლურჯი და ცისფერი მინანქრით მოხეგადებული ვერცხლი. გულით კი მინდოდა, ქართული ყოფილიყო, წარწერით, — „...მოვაჭედინე ღმრთისა მიერ კურთხეულსა ღირსსა ოკროსიმჭანდაკებელსა ბეჭასა, ქრისტე, შეიწყალე!" რა მეტიჩარა ვარ, არა? მაინც ძალიან ლამაზია. გესმის, როგორ წკრიალებს? როგორც კამკამა ნაკადულის ერუანტელი. (ოჰ, ეს უეცარი ასოციაციები!) ჩარგალში რომ ვნახეთ მე და შენ, გახსოვს? ჩარგალშიც და გეგას ზღაპრივით ხეობაშიც. მარცლა ისეთი ცისავით ლურჯი და დილის ნამივით კრიალა იყო იქაურობა, სიხარულით კინაღამ ცუდად გავხდი. მერე უცხოელმა ტურისტებმა სურათი გადაგვიღეს და შუშის უბრალო მძივები გვაჩუქეს. ერთი იქვე გამიწყდა და ნახევარზე მეტი თვლები დამეკარგა. მე ხომ უველაფერს ვკარგავ. უველაფერს! ზოგჯერ ვფიქრობ, რატომ არა ვარ ისეთი კარგი, როგორიც უნდა ვიყო-მეთქი. მთავარია სუფთა ზნეობა, დაუდგრომელი ბუნება, ზრდილობა და პატიოსნება გაგაჩნდეს კაცს, სხვა უფრო დიდი ღირსება, ალბათ აღარაფერიც არ არის, ხოლო ქვეყნად უველა სატანჯველს რომ გიერიდო. მარიფათის ამბავია-მეთქი და ათას ამდენ-უბადს ვფიქრობ ხოლმე. სულ ემოციურობის ზენიტში ვარ? ნუ გეშინია, ჩემი ხსნაც იქნება როდისმე. ამწუთში იცი რა გამიხარდებოდა? ვიჯდე შორეულ სასტუმროში ფანჯარასთან, კალთაზე ფორთოხლები მეყაროს და ზღვის ხმაურს ვუგდებდე ყურს. მეტი არაფერი. კალთაზე ფორთოხლები მეყაროს, ზღვის ხმაურს ვუგდებდე ყურს, ზღვა ხომ სულ მუდამ უსაშველოდ მარტოა... და იქვე კედელთან ვიოლინო იყოს მიყუდებული. მთებზე კი წითელი ნეკერჩხლები ენთოს და მკრთალად, მკრთალად წვიმდეს. წვიმს! წვიმის ხმა აქვს ცამდე ასულ ფერად მოლოდინს, ზარების გუგუნს, უხმო ძახილს, მონატვრებას და მწველ სურვილს, ქარში გაქცევის, შენამდე მოსვლის, შენამდე მოსვლის... აი ხომ ხედავ, კინაღამ ლექსად ჩამოვაყალიბეკე. ტუფილია, სულაც არ მეხატება გულზე სენტიმენტალური ლაყბობა. უველაზე გაცვეთილ ბანალურობასაც რომ მრავლისმეტყველს გახდიან ან ამით თავი მოაკქთ ხოლმე. სადღაც წავიკითხე, მსგავსი „ხარახურა", მეხსიერების შორეულ კუნჭულში უნდა გეეყაროსო კაცს. გონივრული ნათქვამია. და თურმე, რაც უფრო ხშირად შევახსენებთ თავს, — ნუ მოვითხოვთ ცხოვრებისგან უმადლეს საზღვარს, — ალბათ მით უფრო გავიხანგრძლივებთ ხალისიან განწყობას.

ტელევიზორი, როგორც წესი, ჩართული მაქვს. თუმცა, სულაც არ ვიცქერ თავს ყურებით. მერე რა, რომ აქვე ვზივარ სავარძელში მოკუნტული. ნამეცეცა კნუტივით. უკაცრავად, ზღვათა ხელმწიფის ზვიადი ასულივით. ტელევიზორის ყურება დღეს უკვე ქაჯობად ითვლება. მოდა კი მოგეხსენებათ რა დიდი რამ არი. ო, მოდა ოგივე კანონია ბატონებოო! თავს ვიგდებ და ვმატრაბაბობ? უბრალოდ, იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. გაიგეთ, გაიგეთ, რომ ჩვენი, ოთხმოციანი წლების ახალგაზრდობის გული, უკვე მთლიანად ვიდეომ დაიპყრო. ქარაფშუტობა რა შუაშია, ნეტავ. იმდღეს ბაიამ, ატენის ქუჩაზე წამბარძანა ამერიკული ფილმების საყურებლად თავისი მეზობლის დაქალის მეზობელთან. მალე უველას გვექნება? ალბათ. მე კი, ისევ არქივიდან ამოღებულ პრესტიჟიოულ „ვერი ტალპერს" ვაკაკუნებ კრძალვით და ნეტარებით. იცი, ამასწინათ რა მანქანა იყიდებოდა? ვაკეში, საყოფაცხოვრებოს გვერდით, წიგნების მაღაზიაში დაესაკუპებინათ დახლზე. იუგოსლავური. ისეთი პეწიანი რამე, მოფერება მოგინდებოდა. სამ დღეში გაქრა. სტუმრად რომ გახლდით? დიდი არაფერი. დავრეკეთ ზარი. კარი შინაგოსამსახურემ გაგვიღო. ჯერ ჯაჭვზე, რა თქმა უნდა. მერე, „მობრძანდით!"... ო, რუსულად ჩაიბუზღუნა და ჩვენც შევბრძანდით ნამდვილი ქალბატონებივით. ოღონდ, არც ღერბიანი ეტლი გვიცდიდა სადარბაზოსთან პარიკიანი მეეტლეთი და არც სისამარის მუფთები გვეკეთა. შეცივნული ხელები ქუთუკის ჯიბეებში გვეწყო და ვედის ბუმბულით მორთული ვუალიანი პარიზული შლიაპების მაგიერ, სათხილამურე ნაქსოვი ქუდები გვქონდა თვალებზე ჩამოფხატული. მოვინდომე მეც ამ გაუგონარ ორომტრიალში, ნატაშა როსტოვასდროინდელი უნაგალფესი რამეები და სინაზეებთან ჰიდილი. გული არ გაიტეხო, სამაგიეროდ ის ჩვენი სათ-

ხილამურე ქუდები, „კეტლეს“ სახელგანთქმული ფირმისა იყო.

რამოდენა წვრილმან ამბდაუდას გიყვეები, ანა. რედაქცია არც ჭირდება, პირდაპირ ფიქსირება უნდა გაუკეთდეს. მოკლედ ფრაზებს ვაფრქვევ, იტირე. ძალიანაც გართოს ჩემი ექსპანსიური ტიკტიკი? რა კარგია-ა! მე კი მე-; გონა, ავიკელი-მეთქი. მაშ გავაგრძელო?

ბროლი, ხავერდი, მინანქარი, ბაროკო, როკოკო და ათასი მომჭანცველი დავიდარაბა, სულ იქ იყო დაზვავებული. ხანდახან, შეიძლება კარგიც კია ასეთი წამლეკავი ნივთები, თუკი ვინმესთვის ნეტარებას უფრის იგი, მაგრამ მე მაინც სივრცე მირჩევნია. იასამნის პატარა რტო და იაპონური ყოფის კეთილშობილური სისადავე. ნეტავი ვინ მეკითხება ეგეთ რამეებს. მეტი ჩარა! თითქო მთელი ბავშვობა მტკვრის სანაპიროსთან, ძველი თბილისის ხმაურიანსა და ბრელა-ბრულა უბანში კი არ მჭონდეს გატარებული, ფიალა ზორს, აღმოსავლეთით, ფუძიამასთან, — მზესთან ახლოს. გეგონება ყოველწუთს, ოქროსფერი ორკესტრების გუგუნი რომ მოისმის ციდან. დიდი ამბავი, თუკი იქაურობა სიზმარშიც არ მინახავს. ტატამი მომწონს ძალიან. მიდი და იცეკვე, იკოტრიალე რამდენიც გენებოს. თუგინდ ყირაზეც გადადი. აერობიკა! რიტმული ტანვარჯიში! თავაწყვეტილი, მგზნებარე მუსიკა! ლაღად, უფრო ლაღად, რაც შეიძლება, სხარტად და მაეროვნად. ასე, კარგია! რიტმში, რიტმში... დიდებულია! გულისცემა? ასოცი! ეგეც დიდებულია. განაგრძეთ, განაგრძეთ, ტემპში. კიდევ უფრო სწრაფად... ყოჩაღ, კარგია! გულისცემა? ასოცდახუთი! შეუდარებელია! შემდეგ გრილი შხაპი და გრძნობ, მთელ სხეულზე სიმხნევისა და სიჯანსაღის მათრობელი სურნელი რომ გიდის.

თურქული ფიანდაზებით მოფენილ თვალუწვდენელ ჰოლში, ელიტარულ საზოგადოებას მოეყარა თავი და კაწია რიჩარელს უსმენდნენ. ვითომც ელიტარულ, სინამდვილეში განსწავლული, დაბვეწილი მატრაბაზების ნატიფი გუნდი იყო. მარტო ერთი ბიჭი გავდა, ბოროტ მომეწონა, სულ უაკლინ ბისეს გავდა, მირანდეუხტ! კოლორატული სახელია, არა? სიხარულით დავარქმევდი „ჩვენ ზვილს“. მთელი ქალაქი, ალბათ შოკირებული იქნებოდა, გოგოები კი აღტაცებისგან იკივლებდნენ. მე შაქარივით დადნებოდი და ყველა დარდისგან, ყველა დარდისგან დავიფარავდი. ხო. ანტიგონესავით. „მას ეყოლებოდა პაწაწინა, ერთი ციდა თმაგაჩეჩილი დედა. მაგრამ ყველაზე საიმედო მთელი ქვეყნის დედებს შორის. მერე რა, თუ სხვა დედებს დიდი ქალური მკერდი და უშველებელი წინსაფრები აქვთ. მე მაინც მათზე ძლიერი ვიქნებიდი.“ რას არ მოვიგონებ ხოლმე. ფილმი რომ დამთავრდა, ცრუ დრამატიზმით სავსე, არანგირებული ოინბაზობა იყო ადგრძანსნილი მუსიკის თანხლებით, მახპინძელმა ბრძანა, ჭიქა შამპანურზე გაბაღიებთო და „ვეჯუდის“ ხერეხზე ავჭიკავლა. კალიფორნიიდან ჩამოტანილი ალუბლიანი შოკოლადიც მივირთვით და ესპანური ზეთისხილის მარცვლებიც. ყავა მაგარი იყო. სურნელოვანი და ქაფქაფა. მირანდეუხტი, ღმერთივით უკრავდა როიალზე და იმ მოსაწყენ გოგოებს შორის, ციდან მოვლენილს გავდა.

ანა, მე გაბრაზებული ვარ, რატომ? გაიხსენე იმდღევანდელი წერილის პირველი ფრაზა, ნარნარა ქალბატონო. „სიგიჟეა იცხოვრო ისე, როგორც შენ ცხოვრობ“. კეთილი. მაშინ, ერთ ფენომენალურ სიდღეშლის გაგიმხელ. ყურადღება! არავითარი ნერვიული სტრესი და გაგონება: სამი, ორი, ერთი... კადრი! — მალე ჩემი პირველი წიგნი (სხვათაშორის, ბროკაღის ქალალდზე დაბეჭდილი!) გამოვა, „იმპრესიონისტული ნოველები“. გუდში, ხელისგულისოდენა ნოველებს ვეძახი, მოფერებით. აქამდე რამ მოგთმენინა? მინდოდა, სასიამოვნო, თავზარდამცემი მოულოდნელობის ეფექტით გამეგიჟებინე. კარგი, კარგი, ნუ ამიკელი. აი მერე ნახავ, როგორ დედოფლურად ვიცხოვრებთ ორივენი. რა გაცინებს. სულ მალე, მე გავხდები საქველუნოდ გახმაურებული წიგნის ავტორი. დიდი ქართული პროზის უპირველესი ლიდი! (როგორ ეშხიანად ჟღერს, სულ ერუანტელი მივლის.) და ძლიერნი ამა სოფლისანი, ლიტერატურული სამყაროს მიერ აღიარებულსა და ცად აღვლენილს, ვვირგვინოსანი პირების შესაფერ პატივს მომაგებენ კრძალვით. ეს ბოლო, რა კარგ ხასიათზე ვარ. ხელად ელვარე მწერლად გავალაღე თავი. ბედს ვერსად გაექცევი კაცი. ანანო ბებე, თუ გაგიგონია, ანა. თუმცა, ამა საიდან გეცოდინება, ეგ ხომ მე მოვიგონე. არ იცი, ჩემი ამბავი, უცბად მომეგუნება და მოვიგონე. ანანო ჩვენი დიდი ბებიას სახელია, ყოჩაღ! ბებე კიდევ, ჩვენი გვარის საწყისი ბგერები. ასე, რომ წმინდა წყლის ქართულია და ამის შემდეგ სადაც დამჭირდება, ანანო ბებეს დავწერ ხოლმე. შენ ნათია იგულისხმე, კარგი? რაც მართალია, მართალი, უფმური და უცხვირპირო სულაც არა ვარ, მაგრამ როცა უგამოჩინებებულესი მწერალი გავხდები (ვერ წარმოიდგენ, როგორ გამალებით მიცემს გული!), კატეგორიულ უარს ვიტყვი ყოველგვარ საჯარო გამოსვლასა და ტელეკამერაზე. ბიოგრაფიული ცნობების გამოქვეყნებასაც მკაცრად ავუკრძალავ გამომცემლებს. კარგი წიგნი, ნამდვილი წიგნი ყველაზე უკეთ ხომ მოდგამ თვითონ აკეთებს ამ საქმეს. და ბევრ, სხვა დიდ საქმესაც, — მზისოდენა საქმეს. მართალი შეუდარებელ ხასიათზე ვარ. ახალი ამბავი. ასე ყველა ოცნებობს. ბუნებით ხარბი არსებაა ადამიანი და ამიტომ. ხოდა, არც ჩვენ გვაწყენს ცოტაოდენი ნახელი და დიდება. მერე ავდგებით და სულ ერთად შემოვივლით საიმპერატორო ქალაქებს —

ღამღამობით, ძილისწინ ნაოცნებარ, განსაცვიფრებელ ქალაქებს. დავბინავდებით ურუანტელისმომგვრელ, ულამაზეს სასტუმროებში. კოხიმარასაც ვნახავთ, სადაც „მოხუცითა და ზღვით“ უკვდავქმნილი მარტოხელა მეთევზე ცხოვრობდა (ამ დროს, სულ ადვილი შესაძლებელია, სიხარულით ბკუაზე შეიშალოს!) და ბავშვის მახლობლად, ვიმიანი მდგარ სახლსაც... მაგისათვის გამოჩენილ მწერლად გახდომა კი არა, ჩეჩქვივით ფულის ერნაა საჭირო? დამაცადე, გეხვეწები. დილით, ო, დილით კი ნაღელბინან ყავას და ახალი მარწყვითს მურაბას პირდაპირ საწოლში მოგვართმევს, ვინმე ცქრიალა ქალბატონი, წეროტვით მოხატული ფერადი დიფაფის ერთი ციდა ლანგრით. მერე, როცა მოგვეწყინება, ნარნარა თეთრი იახტით გავისეირნებთ ხმელთაშუა ზღვაზე, რივიერას თვალწარმტაცი ოჭროსფერი ნაპირებისაკენ. იმ ჩვენ იახტას, შადრევნებივით კამკამა იალქნები ეკვნეს და სადამოობით კიჩოსთან, პატარა ორკესტრი, „ლურჯი კუნაპი“ დაუკრავს. მეტისმეტად დიდებული და მეფური, არა? გაბსოვს, პირველად რომ ლენინგრადში შადრევნები ვნახეთ, ჩემი სიხარულისა და ფუფუნების განუმეორებელი საგანი, კინაღამ ვიტირე. ო, როგორ ელვარებდნენ და ჭაოქათებდნენ. სადაფისფერი კაპელი ტროდა, თითქო... ხოლო, როცა შენ დაბერუნდებით ხალისიანნი და თავით ფეხებამდე გალალებულნი, ხის პატარა სახლს ავიშენებთ ქალაქგარეთ და სულ იქ ვიქნებით ორივენი. ხეხილნარში ჩაკარგულ, მტრედისფრად შეფეთქილ აივნიან სახლში. მოაჯირზე ცის ვარდი იქნება გადმოცოცებული და წითელი კრამიტის ეორფლიანი სახურავიდან პაწია კვამლი ავა. ბაღსაც ჩვენი ხელით მოვუვლით და ყველაფერსაც. გაზაფხულზე მზით გაჩახჩახებული სარკმლები (ღობესთან, ასკილის ყარიფისფერ ტოტებზე შერჩენილი ცის ნაბი.) და იახამნები გვექნება, შემოდგომით, — ნაირფერი ქრიზანთემები. მართლა ფერადი კვამლის ბოლკვნებს რომ წაადგვანან. ...ცივი დილაა... ბაღის ბილიკზე უკანასკნელ, სველ ფოთლებს მიერეკება, აფრიალებს ქარი.; საწაწკინტელა გუბეებში სიფრიფანა ყინული ჩნდება ღამ-ღამობით. რამდენიმე დღეში, შეიძლება მოთოვოს კიდეც. ბაღის ბილიკზე ფოთლებსაც აფრიალებს ქარი და გრძლად გამწკრივებულ, შეთრთვილულ ქრიზანთემებსაც. ო, არა, ყველას მოკრეფა შეუძლებელია. მერე ყინვა? ხელისგულს ხომ ვერ გადაადაფარებ ამოდენა რტოებს. ფერი კი მისდით და მისდით. არე-მარეც უცბად დაცარიელდა. სადღაც შორს, რკინიგზის ერთიეიცქნა, თეთრ სადგურზე მოულოდნელად შემოყრილი ზარის ხმა ისმის, თითქო. შორეული, შორეული ხმა... ვიოლინოს სიმი რომ გაწყვდება უეცრივ.

ოთახში სითბოა. ფაიფურის ქაოქათა ლარნაკი სველი, კრიალა ქრიზანთემების საამურ სურნელს აფრქვევს. იაგუნდებით მოკრეფილ მაგიდაზე ეოლოს ვარდისფერი მურაბა ანთია დაბალ ჩაის ფინჯნებში ნაზად წკრიალებს ვერცხლი. ღმერთო, რა სიხარულია, რა კარგია, რომ ადამიანებს ერთმანეთი ენატრებთ. ძალიან, ძალიან, ძალიან ენატრებათ... და სულ მგონია, რომელიღაც უკეთილშობილესი გენის წყალობით მგონია, რომ ქვეყნად ყველაზე დიდი ადამიანური ტკივილი და ბედნიერება მოთმენილი სიყვარულია. ხოლო ყველაზე განსაცვიფრებელი — მზე, გახელილი თვალები, იის ამოსვლა, ცრემლი და საერთოდ სიცოცხლე.

ზამთრის ქარბუქიან, გრძელ საღამოებს აგიზგიზებულ ბუხართან გავატარებთ. ყველა სარკმელში გვენთება ბაღი, გულში — კაენშის პაწია აკიდო, და ალმათ, აღარც მემახსოვრება ის სეედიანი ტიტულები, დაბადების დღეს ნაჩუქარ ემილი დიკინსონის ლექსთა კრებულზე რომ წამოწერე ზარშან მოსკოეში. — „ცოტათი თავნება, ცოტათი გაუოკეველ უნათელს გოგოს“-ო და უარესები. გახსოვს? საღამოთი წავიჩხუბეთ და რა აღარ ვუთხარით ერთმანეთს. ვითომ ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებ მაენერებს, გაცოფებული კი მიბაკუნებდი ფეხებს და ბალგანური ხმით გაჰკიოდი, — რად გინდოდა, რად გინდოდა უნიეერსიტეტი და ნატაფი იდეალები, როცა შენგან პირველი კლასის ზნეშმამსახურე დადგებოდა, შენ შემფუორეს ქალს გული ხელში შემომადნაო. აჭაოდა უფროსი ვარო, რაც ენაზე მოგადგა, სულ ხმამაღლა მეძახე. ნადდი თბილისური, პილპილიანნი ლანძღვა-გინება იყო ღმერთმანი. მერე ცოტა წავიტირეთ და ხელად შევრიგდით. ხელფასი ახალი ალებული გკონდა. თავი მოიკალი, „ბერლინში“ უნდა დაგპატიჟო, დაბადების დღე ყოველწუთს კი არა აქვს ადამიანსო. აუ ბიპო, რას ვიგრიალეთ?! მართლა ნამდვილი მსმელებივით გვეპირა თავი. ცეკვითაც გიყვარდეს, გული ვიჯერეთ. ბტრაუსის მგზნებარე ვალსებმა ხომ სულ ბკუაზე შემშალა. თოვდა. ცოიდა, ცოიდა და ამაყი დარდიმანდებივით ვბრუნდებოდით შინ. ბეშმარტი ქართველი დარდიმანდებივით. ედანოვის ქუჩის კუთხეში გავბრივეულდი, ზოოპარკში წავიდეთ-მეთქი. რა დროს ლომები იყო იმ ყინვაში. ოხ, შე პატარა კოლორიტულო ტირანოო. ახალი საფირმო სახელით მთათხავდი. მაშინ „მეთევზის ქოხში“, ან „სლავურ ბაზარში“ შეეიაროთ და წითელი ღვინო გავსინჯოთ-მეთქი, სულ ავიწუკიტე. დილით „ნამთვრალევზე“, მთელი სხეული მიბრუოდა. ჩაი დამალევინე და აერიპორტში გამაცილე. თოვაში მოყოლილ ჩიტს გავხარ, ხელისგულზე რომ დაისვამ და სულის შესაბერადაც ვერ გიიმეტებ, აბა შენ იცი, ბკუაი მოიქეცი, როგორც დაგარიგე ისეო და რა აღარ მითხარი. სწორედ ისეთი რამეები, გულზე რომ არ მეხატება ხოლმე. ძალიან მენატრები ანა და საშინლად მომეწყინა. ერთადერთ ნუგეშად, იმ თავშესაქცევი საღამოების სურნელიდა მრჩე-

ბა და ხანდახან გამონათებულ კრიალა სხივთა ნაცვლები. რაო შენმა ეესცენარიუულმა დიალახლისმა, ისევ ლოთი-ფოთ ვოვასთან ათევს დამეებს? დიდებულია, პრინცესასავით ინებივრებ მთელ ბინაში. ნუ გეშინია, მალე აქეთ გადმოხვალ და უველაფერი კარგად იქნება. მერე, ერთად რომ ვიცხოვრებთ, ასე ალარ შეგვეშინდება მარტოობის, სიყალბის, უგულობის და ათასი დარდის. რა მოხდებოდა, ცხოვრება უამრავი ტუუილებითა და იმედგაცრუებებით კი არ იყოს სავსე, ისე იყოს, რომ ადამიანებს შორის მუდამ არსებობდეს წმინდა, კეთილი, თავისუფალი, მართალი, იმედიანი ურთიერთობა. ერთმანეთს მუდამ ვეფერებოდეთ, ვენდობოდეთ, გვწამდეს. ერთმანეთის გულისთვის ვკრებოდეთ სანთლებიქით, ნუ, ნუ მეტყვი გიხვეწები, რომ ილუზიებია, რომ წარმოუდგენელს ვითხოვ, რომ... ვიღაც ზარს რეკავს, ერთი წუთით.

დოდო იყო. თემომ „ნაპოლეონი" მოიხდომა და მიქსერი მათხოვე, ჩემი ვერ ავამუშავეო. მნახა რა, ეესკრა კლასის კულინარი. საწყალი დოდო. მაგასაც კარგი ხვადგი უზნის შინ. ახლა არ იკითხავ, როგორ მაღალზნეობრივ იდეალებს უფრაილებს მეზობლებს ცხვირწინ დროშასავით. ხომ წარმოგიდგენიათ, ბატონმა თეიმურაზმა, ამ ცინცალი გზნების კაცმა, „ნაპოლეონი" ინება და ვინ იცის, ხვალ კიდევ რას მოიგუნებებს ჩვენი პატარა უბნის დიდი ერუდიტი. ეგებ მაცივარში ჩაციებული ბავარიული ლუდი, ანდა „დანმიილის" სიგარეტის ორიოდ ღერი, ა? მაგისი მოსირისტიანო შვილი პიუონი გამოვა ამა რა იქნება. საბრალოა, გაჩენის დღიდან რუსთაველისა და საბას კეთილხმოვანების მაგიერ, ფულის კეთების უხამს ფილოსოფიაზე გალობა ესმის ღვთისმეტყველებასავით გაბმულად. მერე გაუკვირდებათ, რაკომ არ არის ახალგაზრდა უნატფიესი ზნეობრივი ზრახვებით სავსე. დახვეწილი ჭორიკანა ვარ? მშვენიერია, ამოდენა ბატისტის ცხვირსახოცები რომ გამომიგზავნე ქალბატონო, შენთვის დაგრჩა კიდევ რაიმე. ისეთი ფერად-ფერადები, ისეთი ნირნაირები, ლამისაა ალტაცებისგან ვიკივლო. თეთრს და მწვანეს არ ვიხმარ, შენ შეგინახავ. „მე სახსოვრები რომ მაქვს თქვენგან, მინდოდა უკან მომეერთმია, აი, ინებეთ..." რას იზამ, ბევრიც რომ ეცადო, უკვე ველარ გამომსწორებ. გახსოვს, საახალწლოდ დეიდა ნანულიმ, პაწაწინა ქილით მაუკლის მურაბა რომ გვაჩუქა. უბრალოა არ გეგონოთ, მზეთა-მზეში მოკრეფილიაო. პერგამენტით თავწაკრული, მოლოსჯო ქაშაბურის ისეთი კოხტა ქილა იყო და ისეთი გემრიელი მურაბა, ჩემთვის ალარ გამემეტა და კინაღამ ქილიანად გავაჩუქე. მაინც რა სანახავი ვიქნებოდი. ღმერთო, რა სანახავი. ვრეკავ ზარს. იღება თეთრი კარი. (სარკმლები და ფარდებიც ქათქათა!) — რაშია საქმე, გენაცვალე?! — ვცდილობ მხიარულად, უდარდელად დავიკრა თავი. მღელვარებისგან სუნთქვა რომ მეკვრის, ის ვითომც არაფერი. — რაშია საქმე, გენაცვალე?! — ჯერ სადარბაზოს კედლებს ეწყობა ალუმინად დაუნდობელი ხმა. მერე ხეთა კენწეროებამდე ადის და მთელ ქალაქს ეფინება. რაშია საქმე... რაშია საქმე... რაშია საქმე... და თითქოს მომქცა, გულგრილობის წამით შეხებამ, მერე შენ მკითხე, რა გაოგნებული დადიხარო. იმსანად მართლა ფიქრებაშლილი, გულაძგერებული, საიდუმლო შეთქმულების მედროშესავით სუნთქვაშეკრული დაინახებოდი და გული ისეთი სასიამოვნო ირთოლვით, ელდით მქონდა სავსე, მეშინოდა, არაფერმა გამთვალოს-მეთქი. ხომ არ გეტყოდი, ან კი სული როგორ მიდგა ანუკი-მეთქი.

„...ეჰ, ეგეი ალბათ, ცხვირსახოცებსაც უძვირფასესს ხმარობენ და ოდეკოლონსაც. და მუდამ ღვთაებრივები არიან. მუდამ, მუდამ, მუდამ. საბაბაზანოდან ელექტროსაპარსის გაბმული ზუზუნი ისმის, ადრიან დილას ისე ბუნებრივად რომ გასდევს, როგორც „ფლეიტა ვივალდის კონცერტს". ქაფქაფა ყავა უკვე ფინჯანზეა დასხმული, ხოლო საწოლ ოთახში, ახალთახალი ლურჯი პერანგი და სქლად ნაქსოვი ნაცრისფერი პუულავერია გადაკიდული. გარეთ კი ქარია, ქარი... წვიმებიც უკვე გაფრინდნენ... ტრანზისტორში რაველის პრელუდიას, „ნაღვლიან ჩიტებს" უკრავს ორკესტრი.

... გზები სველ, ფერად ფოთლებს დაუფარავს. სულ წითელ-ყვითლად დაუფარავს. მერე მანქანის ღია სარკმელშიც შეაფრიალებს ქარი პაწაწკინტელა ჭორფლიან ფოთოლს... — გიბერავთ?! — კითხულობს კაცი და მარცხენა ხელი საკეტისკენ მიაქვს. მარჯვენაში სიგარეტი უჭირავს და ცდილობს, კვამლი ქალს ისე აარიდოს, სავე არ გაიქცეს".

ეს ჩემი პიესიდან არის. სალომეს როლიდან. გახსოვს, ხმამაღლა რომ გიკითხავდი. ვფიქრობდი, შედევრი შეექმენი-მეთქი. თუმცა, შენ არასოდეს მთელილი დიდად მოაზროვნე ადამიანად. მითმინე, მითმინე და მერე უცბად დელიკატურად მითხარი, ლიტერატურული ნაგავი და უბადრუკობაა, ტუუილად ნუ იმწარებ სიცოცხლესო. ფაუნთის ღირსია უველაფერი-მეთქი. უფროო ელეგანტურ ფრაზას, კაცი ალბათ ვერ მოიგონებდა. ავდექი და მთელი ჩემი დიდი დრამატურგია უჯრაში ჩავუარე გაცოფებულმა. თავს რომ ვიკლავ ხოლმე, მეტიჩარა არა ვარ-მეთქი, ახლა ერთი ბეწოთიც კი არ ვწოლდები, ისეთი სიამაყით ვაცხადებ — „ჩემი პიესიდან", „სალომეს როლიდან", ისეთი სიამაყით, თითქო ევროპის სამეფო თეატრების და პიტერ ბრუკის სუპერ იმპრესარიოები სულ მე დამდევდნენ კუდში. როგორ ვოცნებობ ანა, ტირილამდე ვოცნებობ, პარიზის მანდოლიდან, უფალელს ციხესიმაგრეში „მაბაბმარატას" ნახვას. სპექტაკლი თურმე მაშინ თავდება, როცა მზის პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვიები აკიაფდება ცაზე. ალბათ, მართლა ჯადოქარია ბრუკი. ყველაზე უკეთილშობილესი ჯადოქარი, მთელი ქვეყნის ჯადოქრებს შორის. ნეტავი კი მეც დამაწერინა ერთი ნამდვილი პიესა. ღმერთო, როგორ გამიხარდებოდა! როგორ, როგორ, როგორ... თქვენისთანა გოგო რომ პიესებს წერდეს, პათოლოგიაა, მსგავსი ჯოჯოხეთურად ძნელი საქმე არ არსებობსო, ერთხელ, ერთმა მსახიობის შვილმა მითხრა. არც მსგავსი მშვენიერი-მეთქი. ქართული დრამატურგიაზე ვსაუბრობდით მაშინ. ნამდვილი ქალბატონნაივთ მომპრთვეს ყავა. ო, არა. ჯერ ქურჭი გავიხადე ჭოლში, სარკესთან. მუქი ლურჯი, წმინდა შალის ქვედაბანი, თივოიკის თეთრი სვიტრი და ზამთრის მოკლეყელიანი ინგლისური ფეხსაცმელები მეცვა. გვერდზე პაწაწინა ღილით იკვრებოდა და ეს მომწონდა ძალიან. ღილით თმა გვარილის შამპუნით დავიბანე და სულ მკრთალად ოკროსფერი ბზინვარება გადამკრავდა. ძველებურ მაგიდასთან დამაბრძანეს ზალაში და ირგვლივ იმოდენა სარკმლები იყო, გეგონებოდა ცაში ხარო. უცებ თავი საშინლად ეულად, მიუსაფრად ვიგრძენი. მაგრამ მალე ისეთი კარგი, ისეთი ადამიანური საუბარი გავბეთ, ხელად მოვშინაურდი. ნამდვილი დამთხვეული ვარ, ანა. კინაღამ ავდექი და უთოთი დამწვარი ხელიც კი ვუჩვენე. უბრალოდ, როგორც მახლობელს, ოჯახის წევრს. გახსოვს, ერთხელ მთელი საღამო სულს რომ მიბერავდი რძეგადასხმულზე.

მეზობელი ოთახიდან ქალის ხმა ისმოდა. ეტყობოდა, სულ იის კონებს აფრქვევდა ბაგეთაგან. მოპირდაპირე სარკმლიდან მანქანების ფერად-ფერადი შენაკადები და დიდი მოედანი მოჩანდა. გაზაფხულის დამდეგს ხავერდივით ანათებენ ხოლმე კოკრები აქა-იქ ვარდისფრად და მაშინ ძალიან მიყვარს იქაურობა. ...ციცხალი დილაა. ახლად მორწყულ ვარდის ფურცლებზე მზის პაწაწინა სხივები ბრწყინავს და ხასხასა ოლნზე მოფანტული კრიალა ბავლები ისეთ საამურ სიგრილეს ჩფენენ, ისეთს. ზევით — გადასარკული ცა. მოდი და ნუ გაივსები სიხარულით. იმ გაზაფხულზე, მთელი მოედანი ვაჩუქე გულში. ვითომ არ იცი, ვისთვისაც „გამემეტებოდა. კიდევ, „იევრეგასთან" შადრევანი და მამადავითის თავზე გაწოლილი ქალთა ღრუბლის ქუთა ვაჩუქე ერთხელ.

სული ამოგართვი, არა? პრობას გაძლევ, ამის შემდეგ ისეთ პატარა, რსეთ საქმიან წერილებს მოგწერ, ინგლისის დეკადოფალი რომ გაუგზავნიდა პარლამენტის სხდომაზე ლორდებს. ღამე მშვიდობისა. მოგიკითხეს ბაიამ და მაიკომ.

გოცენი. ნათია.

P.S. როგორ მინდა შენი ნახვა და გულიანი საუბარი.

7 თებერვალი. ხუთშაბათი. ანას

რომ მთხოვ, ის „ხელისგულისოდენა" ნოველები მომწერეო, ღამეების თვეის ფასად ნარუდუნევი ამოდენა საქმე გინდა, რომ ყირაზე დამაყენებინო? სად შემიძლია, შენი დაუნდობლობის გადატანა! არა, არა. ნუ მეხვეწები. ხედავ, მეც როგორი დაუნდობელი გავხდი. თქვენგან ვისაჯეთ, ბატონო, დიახ, ყვე-ლა-საგან! თუმცა, გულში სულ გავიძახი, მოვეფეროთ, გავეფერთხილდეთ ერთმანეთს, რადგან ცხოვრებას ამდენს ვერ დავავალებთ-მეთქი. ერთხელ, ატირებას აღარაფერი მაკლდა. მივედი ბაიასთან, ყველაფერს იქ ვგლოვობ ხოლმე, და ვეუბნები — ადამიანი, თურმე პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ უნდა იყოს ბედისწერასავით დაუნდობელი-მეთქი. ვიცი, ვის სიტყვებსაც იმეორებო. ბაიასნაირ დახვეწილ ავანტიურისტს, რამეს გამოაპარებ? ერთობ მაღალი რანგის, გამოუსწორებელი არამზადაა. ამერიკის პრეზიდენტის ცოლის, ნენსის მკერავების და პარიკმახერების სახელებიც კი ზეპირად იცის. კაბის ფასონებს ხომ პირდაპირ მარგარეტ ტეტჩერისგან იღებს. ცრუპენტელა, ჭკონია მართლა ვუჯერებთ. ხოდა იმდღეს, სულ ცოფები ყარა. „დაუნდობელი!" იყოს მერე ბატონო, დაუშალა ვინმემ თუ რაზია საქმე. გაანთავისუფლოს კართან მდივანი, სადარბაზოსთან შოფერი, (სხვათაშორის, ჩემ ქმარს მანქანაშიც ტელეფონი უნდა ჰქონდეს-ო.) და ისეირნოს ჩიტივით თავისუფალმა. მე შენ გეტყვი, ნაცნობი და ხმის გამცემი შემოკლდება, ათი კაციდან ცხრანახევარი მაგას ესალმება. თან ჰაერს ჩაყლაპავს, თან დღის რეჟიმს გაიხდის გაცილებით ხაინტერესოს.

სიამოვნებით ჩაგიმტვრევდი ცხვირ-პირს, ერთი ბეწო ნიკეთე არ გაცხია, უბადრუკი აზრები მოგდის, არადური გესმის-მეთქი და რა აღარ ვუთხარი. მაინც თავისას ერეკეებოდა. შენ მყავხარ დიდი გენიოსი და შესწენილი, შენმა მზემ. ნუთუ, არ მოგბეზრდა მაგ ამაღლებულ გუნება-განწყობასთან ლოლიავი და სულის ბერვაო. „მანქანაში თვალი მოვკარი", „ტელევიზორში ვნახე", „თეატრთან შემხვდა"... ნორმალური ხარ?! ნეტავი რაში მჭირდება ეგეთი უაზრო სიყვარული, გეტყუობა დრო გლეჯვაზე გაქვსო. უმჯობესი დედაბერივით ბუზღუნებ-მეთქი. დიახ, მაგისთანა სიყვარულის ფასი კაპიკია, მე სრულყოფილი ბედნიერება მინდა ახლავე, აწწუთში, ცამდე ასული ბედნიერებაო. ძრის მარტოობა! გაუშარჯოს ჯანმაგარ, ჯიბესქელ, ლაღ მამაკაცებსო და სკამზე შემდგარმა, თავსაფარი აიფრიალა თავისუფლების ელვარე დროშასავით. ყველა გოგოს ასე მოწონს და შენ რა გახდი ამისთანა გაურკვეველი ფორმაციისდრონდელიო. ბედისწერას ვურიგდები-მეთქი. ბოლოს და ბოლოს ღმერთმა ქალი და კაცი იმიტომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიჩინა ამქვეყნად, რომ ერთად იყვნენ. ზოგი უნაკლოდ ერგება ერთმანეთს, ზოგი ვერა. ყველაზე ბუნებრივი და ადამიანური ეგ არის, სხვა დანარჩენი ტყუილია, მოგონილია, ლამაზი ზღაპარიაო. — მე შენ არ გიხმენ-მეთქი! — ვთქვი ეურებზე ხელებაფარებულმა. სალი განსჯის ხმა კი, სინანულით შემახსენებდა, რომ სიმართლე ნაწილობრივ ბაიას მხარეს იყო და უხამსობის ნატამალიც არ ერია. შემახსენებდა, რომ სიცოცხლე სასწაულია და ცას გაკიდული ოცნებები არ უყვარს. მე კი მზადა ვარ, გავამართლო ყველაფერი.

ცოვრებასთან შიშველი ხელებით შეჯახება მეტისმეტად მძიმე ხვედრია, ალბათ. მაგრამ, როცა ღიჩსსახსოვარს, წაუშლელს, დაუვიწყებელს აფიმოჩენ... ამ დროს გგონია, რაც ქვეყანაზე სიხარულია, მხოლოდ შენ გეკუთვნის. მერე რა, თუკი იმდენი ნაკლი გაქვს, რომ თითებიც არ გეყოფა ჩამოსათვლელად. მაინც გგონია. ახლა თავზე დატეხილი ეს ღუთაებრივი საქმე? ხო, წერა, — ჩემი სიყვარული! ოღონდ, სიტყვა „სიყვარული", „სიშიშიც" უნდა დაემატოს. ცარიელი ფურცლის დანახვაზე გაკანკალებს. სულ კი ოცნებობ, ნამდვილი ლიტერატორი გახდე. ელვარე ტალანტი. თუმცა, მშვენივრად იცი, სამაგისოდ გუთანივით დაუდგრომელი ძალა რომ უნდა გაგაჩნდეს კაცს. და კიდევ, რომელიღაც პირველყოფილი, პირველხარისხოვანი, თავზარდამცემი ველური ნერვი. მუდამ რომ განათებს, განათებს და გაკრთობს. თან ყოველწყოს მზადა ხარ, შენც ულიდესი ხალისით შეაშველო ხელი ჯვაროს ყანაში მოთამაშე ბავშვებს, უფსკრულში რომ არ გადაიჩეხონ და ნატრობ, ავად არავინ, არავინ გახდეს. რომ აგვიტოს კამკამა ღამეებში, ჭრიჭინობელების განსაცვიფრებელი ორკესტრები უშნაკეცი სიამოვნებაა და ვისაც ქართული საგალობლების ღვთაებრივი ბგერებისთვის დაუგდია ყური, იგი პეპლის მოკვლასაც კი ვერასოდეს შეძლებს ალბათ, არამცოუ კაცის. გიყვიგინ გეცინება ბავშვობისდროინდელ წამლეკავ ოცნებაზე, — პატარა, მოხეტიალე ცირკის პრიმა მოიცეკვავე! რომ მსოფლიო სამალეტო ხელოვნების უკელაზე პრესტიჟული ეურნალი, „დანს მეგაზინიც" პირველ გვერდზე ბეკვადდეს შენ სურათს. (ენძელას ფურცლებს რომ წააგავს ხოლმე, აუცილებლად ისეთი ჰაეროვანი კაბით მოჩრთული პრიმა მოიცეკვავე.) და მაინც, ჩუმჩუმად გშურს ბალეტი ნინო ანანიაშვილის. ისე „შურს", მის ყოველ არაბესკზე გულისწასკვლამდე ეროვანებელი გიყლის. რუსოდან ფეტვიაშვილისაც გშურს და იმ საოცარი ბიეზისაც, წუკანი ოკეანე მარტოდმარტომ რომ გადაცურა მსუბუქი, აფრიანი იახტით. ალბათ პირწავარდნილი ტომ სოიერია და მთლად ბრინჯაოსფერი. სახალისო საქმე? ო, სახალისო საქმე, გიუვარდეს ბლომადაა. რომელი ერთი ჩამოთვალო, — კარგი წიგნი, გული რომ სულ თრთოლავით გეკვნესა, თეატრი, ძველთაძველი ტატები, თავაწყვეტილი ჯაზური რიტმები, უცალლბლად ყირაზე რომ უნდა გადაზვიდე, შენი ქალაქის ქუჩებში ხეტიალი, სუნთქვაშემკვრელი ქროლვა თხლეშორებით, აგიზგიზებული ბუზარი, შორეული, შორეული მოგზაურობა, საკესთან ჯდომა, ხავერდოვან საკოცერტო დარბაზში ყოფნა და წარმოიდგინე, „ბორშჩის" კეთებაც კი. დასაწყისში ლამაზი ფერებია ძალიან. თუმცა, ბევრი ხლაფორთი ჭირდება. აჴ! ლიტერატურული ეურნალის მთავარი რედაქტორი რომ იყო, როგორ ნაწარმოებებს დაბეჭდავდი? სხვათაშორის, საშინელი კითხვა, ვერაგული კითხვაა. ღელავ რომელია, მოსაწევი რომ გგონდეს, ორი ნაფაზით დაიყვანდი ფილტრამდე. მერე რა, რომ „თეთრი კოლეჯი" დაამთავრე. ამნაირ რამეზე პასუხის გაცემა ნამდვილ ავტორიტეტებსაც კი არ ეხატებათ ხოლმე გულზე. თანაც ამი ხელადებით. მითუმეტეს, უფრო საინტერესოა რას გააკეთებდი? კი ბატონო! ადგებოდი და სულ მტკვარში გადაუძახებდი აუტანლად მოძალებულ, ამოდენა იმედისმომცემ შედეგრებს. დიახ, უდიდესი ხალისით გადაუძახებდი. ყოველშემოხვევაში, იმ ქალაქში მაინც, სადაც ოთარ ჭილაძე ცხოვრობს... (ალბათ, ახე უკარავდა თავის ვიოლინიზე პაგანინი!) სადაც, ლეკსს და დედა ენას ძეგლებს უგებენ.

— შორს, ლირიკა! გამოფეზ'ზდი, გამოფეზ'ზდი, გამოფეზ'ზდი! — ოავისებურად ნაზად დაიწყალა ბაიამ და მაგნატოფონი ჩართო, ვიცეკვოოო. თან უცეტ ისეთი გვარიანი ანტარაზე გაკკეთა, ანა ბავლოვა მოგონება იყო. რას იზამ, სიმართლე არ უნდა დავუკარგოთ ადამიანს. როცა სავსებით ნორმალური, ჯანსაღი მოსაზრებები აქვს ცხოვრებაზე. მაინც არ შევეპაუ. ერთი ამ ჭკუის კოლოფს დამიბეღდეთ, ფილოსოფიის დოქტორივითი არაა დარწმუნებული, საკუთარი ფასდაუდებელი დასკვნების ეეშმარიტებაში და ტრიბუნაღაღ აკლია-მეთქი. ავდექი ჯიბრით და რა ადარ მოვუყეევი, ტყუილი, თუ მართალი.

ყველაფერი წუალს გატანებეკი ნუკი გგონია ქალბატონო, არც მთლად ისეა საქმე, შენ რომ გულისსმომ-მეთქი. ჩემი თვალით ვნახე, დაბადების დღეს რომ ედელვაისი ვაჩუქე, (ერთხელ, ალპინისტების კლუბში ვიუავი რუსუდანის ძმასთან და იქ მოვიპარე. შენისთანა საშიში რეციდივისტის დანახვისას სულ ტანში მცრის და ეროანებელი მივლისო, მერე იცინოდა ხოლმე ლაშა, ჩვენება რომ მივეცი საკუთარი სურვილით.) როგორ უდევს შინ, თაროზე წიგნებთან და სულის შესაბერადაც ვერ იმეტებს. ყოველი თვალის გაბელისას ის ედელვაისს ხედავს და მე ვაგონდები-მეთქი. ძალად, გულის გასახეთქად ვუთხარი, თორემ ღმერთმა დამიფაროს იმაზე ფიქრისაგან, ყოველი თვალის გახელისას ვაგონდებოდე. ბაიაც რა ჩიტი დამიჭერებდა?

სასაცილოდაც არ ეყო. როგორი გულუბრყვილო რამა ხარ, შე საწყალო. მეტი საქმე, მეტი დარდი არა აქვს, მართლა ეგრე ემართებოდეს, შენ რომ გგონიაო. ქალს და კაცს თუ ხეტსულური სიახლოვე არ აკავშირებთ, ფეხებზე კიდიათ ერთმანეთი და საერთოდ, რომელი მერლინ მონრო შენ მყავხარ, კაბა არ გადგება ტანზე ნორმალურად, კაცებს ძილ-ღვიძილში ელანდებოდეო. თანაც ყოველი უმცირესი ნიუანსი ისეთ კლასიკურ დონეზე ახსნა, ბრაზით დავიხრჩვე. ელანდებოდე კი არა, თუკი საზოგადოებაში გამოჩენას აპირებ, სამი კილო მაინც უნდა მოიმატოო, დებილი. მონროს თუ არა, რენუარის ოქროსფერ გოგოებს მაინც ვგავარ-მეთქი. არ გამცინებია, ისე ვუთხარი. გიყვარდეს, ამაზე იხარხარა. ცოტათი მართლა გავხარ თმით და ელფერით, ჩაცმულობითაც. განსაკუთრებით იმით, ფორტეპიანოს რომ უკრავენ ოთხი ხელითო. დიდი წუნკალი ვინმეა. მეც კარგი დამოხვეული ვარ. ეგ რაღაც მთქმევინა. თანაც, ბაიასნარი მუზმუზელა არამზადასთან. გგონია, რამეს შეგარჩენს? სიკვდილამდე აღარც დაავიწყდება. ახლა იმას არ იკითხავ, ქალისა და კაცის ურთიერთობებზე როგორი გაუგონრად თამამი, აღვირახსნილი აზრები მოსდის თავში. აშკარად რომ სცილდება ლიტერატურის ყოველგვარ ჩარჩოებსა და ზრდილობის უბრალო წესებს. უცხომ რომ ყური უგდოს, ღვაწლმოსილი კაბა ეგონება. თავისი საქმის დიდი ვირტუოზი და ამომავალი ვარსკვლავი. სინამდვილეში კი ისეთივეა, როგორიც გაჩენის დღეს. თუმცა, წამდაუწუმ აცხადებს სიამაყით, ევას უპირველესი გენი ჩემ სისხლში ბუდობსო. ასი ათასი ევაც რომ ჩაგიისახლდეს, უკვე აღარაფერი გეშველება ოცდახუთს გადაცილებულო უმწიკვლო დედაბერო-მეთქი. შენც მეყოფი, მორთოლვარე გრძნობებით თავბრუდახვეული ჯულიეტაო. დიახ, ჯულიეტაც ვარ, ოფელიაც, ნესტანიც და ნატაშა როსტოვაც-მეთქი. ნუ აიწყვეტო, პირზე ხელს მაფარებს გაბრაზებული და „სხდომის" ბოლო, შემაჯამებელ სიტყვას თვითონ ამბობს. ამა მე სად მოვალ, მის ელვარე ორატორულ ტალანტთან და მგზნებარებასთან. წინასწარ დაწერილი ტექსტის წაკითხვა თუ შეძველი საჯაროდ, ოღონდ თავაუღებლივ, ისიც დიდ ამბად მიმაჩნია. თანაც, ორი კვირა უნდა ვემზადო. საშინლად მეშინია ეგეთი რამეების. ჩემ დღეში კრებზე არ გამოვსულვარ. ერთხელ გაზაფხულზე, მიწის ^ ძახილი შემოგვესმა, თუ რა იყო, ექვსიავ გაკვეთილი გავაცდინეთ და ბეთანიისკენ წავედით. ახლაც თვალწინ მიდგას, დილის მზის სხივებზე გადაქაჯვებული ის არემარე. მეორე დღეს, გიყვარდეს მოგვცხეს.

მეცხრე კლასში ვიყავით მაშინ. სტამფოლის, ტონის, თუ რაღაც ლექსიკონში საჩხრეკი სიტყვა იხმარა ჩვენმა დამრიგებელმა, წესიერად აღარ მახსოვს, მიმცემი ეს ქალბატონი იქნებოდაო, მომიყენა უშედეგათო სანქცია და კომკავშვირის გაფართოებულ კრებაზე გამაფრიალეს. მდივანს ჩუმად ვთხოვე, სიტყვა არ ეთქმევინებინა. შენ ნორმალური ხარო, გაგიყდა. მერე მარტოს აგიხსნი-მეთქი. რაც მე თავის მართლებასა და ახსნა-განმარტებებს ვერ ვიტან. მეზიზღება.

ბაიას შემაჯამებელი გამოსვლა გაინტერესებს? იმდენს ვლაქლაქებ, ეგ სულ გადამავიწყდა. ჩემო ნათოო, რატომღაც ლირიულად, ტკბილად მომმართა, თითქო დებილ ბავშვს ელაპარაკებოდა. დღეს, ნერვიული სტრესებით, ორომტრიალით, პატივმოყვარეობით, კარიერიზმით, იმპოტენტიზმით, ომის შიშით და ათასი უბედურებით გაოგნებულ საუკუნეში, (ხომ ვამბობ, ტრიბუნა აკლია-მეთქი.) ისე ჰარივით გვეჭირდება ბუნებრივი, ადამიანური ურთიერთობები, ცოტათი სასაცილოდაც კი ღღერს ცივი, სალონური დამოკიდებულება, თანაც სიყვარულშიო. ეგეთი ურთიერთობა მოცარტივითაოო. ხო, ასე თქვა, მოცარტივითო. უსმენ უკეთილშობილეს მუსიკას, მაგრამ ცხელი, მღელვარე ქარები არ ქრიან, სუნთქვა არ გეკვრისო. მერე რა, რომ მოცარტი ღმერთია. მასთან მაინც გამუდმებით თოვს, თოვს და იმ კამკამა სიცივეში მარტოდმარტო რჩებიო. სულაც არ ვუდგებ ყურს მაგ მოხდენილ ამდა-უბდას. თუ შნო გაქვს, თქვი რამე პოეტური, თუ არა და ეცადე, სხვა დროს უფრო ღირსეულად იაზროვნო-მეთქი. უიმედოდ ჩაიქნია ხელი. გიიეტის პრობლემა, ბაგონ ზურაბაშვილს ვერ გადაუტარია ბოლომდე, მე რა შემიძლიაო. და საერთოდ, ყველაფერი ჩემს უვარგის გემოვნებას მიაწერა.

სალომის სიმღერა გამახსენდა, ანა. აგიკელი ამ პიესით. გაინტერესებს რომელია, ჭკუას კარგავ ეგეთ რამეებზე. ხო, კარგი. ერთ პატარა სურათს მოგიყვები:

სალომე ავანსცენაზე დგება. მუქი ქვედატანი და მუქი კოფთა აცვია, ბატისტის პაწია, ქაოქთათა საყელოთი და თავზეხელაღებულ ჭუსარზე შეუყვარებულ გიმნაზიელ გოგოს გავს. გამორნდება მთქმელი. არა, სიმღერას რომ დაამთავრებს, მთქმელი მერე შემოდის და ჭიქით წყალს აწვდის. სალომე გრილ ჭიქას ლოყაზე იდებს და კუთხეში ჯდება.

მთქმელი — (დარბაზს). სალომე არასოდეს ეკუთვნოდა იმ „იღბლიან" გოგოებს, პორტში ნაზოვნი დებლიონკებით და უძვირფასესი, რუსული ბეწვის ქურქებით რომ ხვდებოდნენ დიდთოვლობას. კინო და გამოფენები ქვეყანას ერჩია. და კიდევ, თეატრი. უამრავი ლექსი ზეპირად იცოდა და მეგობრები ხუმრობით, ლექსიბოდიას ეძახდნენ.

სალომე — (ოცნებაში წასული.) ო, როგორ საშინლად ვიპრანჭებოდით. საკუთარ სი-

ლამაზეში ღრმად დარწმუნებულნი, ცხვირაწეულები დავიარებოდით და ჩვენი ხნის ბიჭებს ზედაც არ ვუყურებდით.

მთქმელი — სამაგიეროდ, ათასგვარი სულელური გატაცებებით იბრუებდნენ თავს.

სალომე — (დაუოკებელი აღშფოთებით.) „სულელური გატაცებები“! ეგდა გვაკლდა. ჩვენ ყოველთვის ღირსეული, კეთილშობილი კაცები მოგვწონდა. (ნაზად.) ზოგჯერ გვიყვარდა კიდეც...

მთქმელი — აი, ხომ გითხარით! (სალომეს.) მერე, ისინი?..

სალომე — (სევდიანი ღიმილით.) ისინი?! სადმე, შორიდან მოგვრავდით თვალს და მეტი არაფერი. ვუსდიდით დაბადების დღეებს, საზეიმო საღამოებს, იუბილეებს... ჩვენთვის, უბრალოდ, ყვავილებითა და ჭიქა შამპანურით.

მთქმელი — სუფრას, ალბათ მეკობრეებივით შლიდნენ იატაკზე და მუხლის თავზე იდგამდნენ ჭიქას.

სალომე — დიდი ამბავი! სხვათაშორის, დაჭრილი მეკობრეების მოვლაზეც გვიოცნებია, შერვუდის ტყეზეც და ბობოჭარ ქარიშხლებში მოყოლილ კარაველებზეც... (იხსენებს.) სწორედ იმ ზამთარს შევხვდით ძველი ახალ წლის თოვლიან ღამეს ქალაქგარეთ, ტბაზე. გაყინულ შამპანურს მანქანაში ვსვამდით და ვმღეროდით. ერთადერთი ჭიქა გვქონდა და გვინდოდა თუ არ გვინდოდა, მაინც ბოლომდე ვცლიდით. ირგვლივ, სულ თეთრი იყო ყველაფერი. ცაც, მიწაც, ხეებიც. მერე ჩვენი ლურჯი მანქანაც გათეთრდა. შამპანური რომ გაგვითავდა, ცეკვა მაშინ დავიწყეთ. ო, რას ვცეკვავდით იმ დიდებულ თოვლში! და თითქო, ასი ათას სანლილიანი ბალი ეკიდა ცაში...

(შორიდან ძახილი ისმის. სალომეს ეძახიან. დიახ, სალომეს ეძახიან. სალომე ჭირდებათ. სალომე ახსოვთ!.. სიხარულით თავბრუდახვეული გოგო მთქმელს შუბლზე კოცნის და გარბის. მთქმელი მხრებს იჩეჩავს გაკვირვებული.)

მთქმელი — ერთი ბეწო სერიოზულობა არ გააჩნია. დღეს ასე ვინ იქცევა. სალომეზე ვამბობ. ამა წარმოიდგინეთ, ერთ მშვენიერ დილით გაგიღვიძოთ და დაინახოთ, რომ თხემით-ტერფამდე მაღალ-ზნეობრივი, ჭკუით გატენილი, მოხერხებული და გონიერი ქალები სადღაც გამქრალან და ქალაქი, სალომესნაირი დამოზვეული გოგოებით გავსებულა. (პირჯვარს გადაიწერს.) ნუ გაგიკვირდებათ, ძალიან გთხოვთ. ნურც გაბრაზდებით. მაშინ, ალბათ იანვარში აკაციები აყვავდება, აგვისტოში თოვლი მოვა, მტკვარი მეწამული ზღვისკენ წავა და ვინ იცის, კიდევ რა საშინელება არ დაგვატყდება თავს. ღმერთო, დაიფარე, გადაარჩინე ჩვენი პატარა ქალაქი საშინელებათაგან! (პირჯვარის წერით გადის.)

ისმის ფლეიტის ხმა.

ჩვენში დარჩეს და, ეს მთქმელიც კარგი ბაიყუში ვინმეა. ვითომ ვის რა დაუშავდება, ალმურმოყიდებულ აგვისტოში მართლა რომ მოვიდეს თოვლი. ყველაფერს თავისი წესი და რიგი. აქვს? იმასავით ნუ ლაპარაკობ, გეხვეწები. იცი, რამდენჯერ მინატარია, ნეტავი შემეძლოს, მაღალი მთის მწვერვალებიდან მოხვეტო ქათქათა თოვლი და ზაფხულის ცხელ დღეებში, ქალაქის ქვაფენილებზე მოვაპნიო-მეთქი. არც მე ვარ, სალომეზე ნაკლები დამთხვეული? ფრაზებს დაუფიქრდი, ქალბატონო. ამ ბოლო დროს, რაღაც ძალიან შეგიყვარდა მკაცრი მასწავლებლის ტონი. რა მაცინებს და წარმოგიდგინე მერხებშორის მდგარი — ინგლისური შალის ლურჯი ქვედატანი, ბატისტის თეთრი კოფთა, შუაზე გაყოფილი სადად დავარცხნილი თმა და სათვალე. დიდებული კადრია, ღმერთმანი. მე უფრო მომიხდება? ჩვენ ახლა ვხუმრობთ ანა, მაგრამ ხანდახან მაგაზეც მიოცნებია, (საქართველოა, საითაც წახვალ!) მივაღოვებ აქაურობას და სკოლაში ვიმუშავებ-მეთქი. სადმე, მთაში, შორს, შორს. ერთიციდან მოწაფეებთან. წარმოგიდგენია? იქ, ყველანი ერთმანეთს მოვეფერებით. „ბახტრიონს“, „საყურეს“, რუსთაველს წავუკითხავ პატარებს, „მერის“ კეთილხმოვანებას შევაჩვევ, ზამთრის გრძელ ღამეებში ხელსაქმეს ვისწავლი და შვილი რომ მეყოლება, მოქარგულ პერანგებს შევუკერავ-მეთქი. მართლა რომ მყავდეს შვილი, რას შეეთხოვდი? აბა რა ვიცი. სამშობლო და ადამიანები გიყვარდეს-მეთქი, ალბათ. სასაცილო გრძნობების მოზღვავებაა, არა? ვის ეპრიდება დღეს, შენი ფეხისწვერებზე აწეული განწყობილებები და „შვილის ნუკარის ნაამბობის“ კითხვისას დაღვრილი ცრემლი. ვის ეპრიდება, ნეტავ.

უკვე თორმეტი სრულდება. გეძინება, ანა? ასე მგონია, ამაღამ კარნავალივით ფერად სიზმარს ვნახავ, მეგობარსა და ოჯოს თევზზე. გახსოვს, გუბაზი როგორ უთენია გადაიოდა ხოლმე ზღვაში. მერე ყველაზე ლამაზ თევზს ციმციმ მოგვიტანდა და გვეტყოდა, უბრალო არ გეგონოთ თოლიგე, რასაც შესთხოვთ, შეგისრულებთო. ჩვენ კი, ზღვა, მზე და ლაღი უდარდელობა ისე გვახვევდა თავბრუს, როგორც ელვარე დღესასწაული და ყველა სხვა ნატვრა უმნიშვნელოდ გვეჩვენებოდა. ო, როგორი ენით აუწერელი ფუფუნება იყო დილის მზის სხივებზე ათასფრად აკიაფებული ზღვა, კამკამა ცა, ნავსადგურში გემების დაბრუნება... თან, თუ ქათქათა კაპიტანსაც მოვკრავდით თვალს. ყოველდღე დავდიოდით ბამბუკების ჩრდილში ჩა-

კარგულ კოპწია საყავეში და ხალისით მივირთმევდით ღრუბელივით ფუმფუულა, მარწყვის ვარდისფერ ნაყინს. საყავედან, მოაჯირზე გადმოცოცებული სურო მოჩანდა. და კიდევ, მაგნოლიების ხეივნის ბოლოში, ხელისგულისოდენა ტბაზე მონარნარე გედები. საათობით ვსეირნობდით მსუბუქი, აფრიანი იახტით. მერე სიცხით გათანგულები, ნეტარებით ვწრუპავდით გაყინულ ლუდს, პირდაპირ შეორთქლილი ქილებიდან და ამაზე საამური არა გვეგონა რა. მართლა საუკეთესო ხანა იყო. „როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა შენთან, ჩემო მაგნოლიაა-ა-ა...“ ვიიმე, რა დამთხეეული ვარ. ამ შუადამისას სიმღერის გუნებაზე დავდექი. ამყევი, გეხვეწები. „მაგრამ გული მისი, სხვათა, სხვათა, სხვათა უტყვი გამგონეა-ა-ა-ა...“ ცხელი წყალი ფა-ფუ, წასული. „არ ვახსოვარ ალბათ, არ ვახსოვარ ალბათ, ჩემო მაგნოლია-ა-ა-ა...“ ცივი? ცივიც. სალამოს შხაპი მოხსნილი გვაქვს. რა-რა-რა-რა-რა-რ-ა-ა... მსგავს უნაკლო კანტელიენას თვით იტალიაშიც კი ვერ მოისმენს კაცი. ღამე მშვიდობისა ჩემო ძვირფასო. ბკოცნი და გეფერები. მინდა კვლავ განვიცადო ის უდარდელი დღეები. კრიალა, კრიალა დღეები.

ნათია

25 თებერვალი, ოთხშაბათი. ანას

ეს-ესაა მივიღე შენი წერილი, ანა.

ძალიან გამიხარდა. მე თუ ახალი ამბების მოყოლას გიკეთებ. ერთიბაშად იმოდენა ინფორმაციას ვიძლევი, „ფრანს-პრესის“ საგაზეთო კი თავისუფლად შეძლებდა მეშაობას. მოწყენილი ვარ? ისე, რა, როგორც ყოველთვის. სამ დღეში თებერვალი გავა. სუსხიანი ენგენი კი ჩამოდგა. ვის ახსოვს ჯერ ხეში წყალი, ჩიტი ჩიორა და გაზაფხული. თუმცა, ფილარმონიის წინ, მიწისქვეშა გადასასვლელის კიბესთან პირველ ყოჩივარდებს, გადაზამთრების პირველ ლურჯ ხსივეებს ყიდდნენ უკვე. ორიოდე კვირაში, ალბათ პაწია საყვავილეების ვიტრინებიდანაც გამოიპეკტებიან და წავკისიდან ჩამოტანილსაც შემოგაფეთებენ კონა-კონა.

წუხელ სტუმრები მყავდა. ვინ იქნებოდა, თუ არა ჩემი დახვეწილი, ნატიები, მაღალი წრე, — ბაია, მაიკო, თათია, ნინო და ბაიას ბიძაშვილი ნატული. მუსიკათმცოდნე, მოკლედ, მანაზა ორბელიანის ფეხსადგომი სალფინი. ვიგრილეთ რომელია, სამეფო სუფრა კი არ გვკონდა, გაშლილი? როგორ და მშვენივრად. მჯიოს ძმას, ლენინგრადელი სტუმრები სწვევიან შინ. ღილით, სანამ ისინი გაიღვიძებდნენ, ზურაას დაუკრავს ფეხი და უთენია ფასანაურში წასულა ხინკლის ჩამოსატანად. თავისი სიამაყით, ათას რვაას რომელიღაც წელში გამოშვებული „სუპერ-სტარით“ წასულა. უცხო ხილი გაუხარდებათო. დედამისმა თურმე კინაღამ სისხლი ჩაექცა, სანამ დაბრუნდებოდა. მართლა ცისოდენა გული აქვს ზურას. რაღა ხინკალი ჩამოკონდა, სტუმრები გაეხეირნებინა არაგვის ხეობაში? გაგიოდი, მიიკო ყვებოდა, იმისთანა მოყინული ბზები ყოფილა, იმისთანა მოყინული, ზურამ, ჩიტი თუ გადფრინდებოდა, არ მეგონაო. მერე? არაფერი. მაიკოც ადგა ჩემო ბატონო და იმ ცხრა მთის იქედან მოფრიალებულ ხინკალს, ნარნარად აწაპნა ოცდახუთი. ჩაიცვა პალტო, ჩაჯდა ტაქსში და გულთან მიხუტებული მინანქრის თბილი ქვაბით მომადგა. მერე გოგოებს დავუძახეთ და შეკუბერეთ. მოკლეთ, ჩვენი ძველი, ბუფეტის წინ კოქტეილ-ბოლი მოვაწყეთ, ანა, იტირებ. და გადავწყვიტეთ, კეგელ-ბარიც მოვაწყოთ. როგორ თუ, რა ვსვით. არაყი! ხო, ისიც ფასანაურიდან ჩამოტანილი და ვირტუოზულად მოპარული. ახა ლუქსემბურგის დიდი საბერცოგოდან ჯერ არ გამოუგზავნიათ კრევეტები და ბენედიქტინი. თითო უნცია შეგვხვდა. მეტის თავი ვის ქონდა ნეტავ. ეგეც ორი დღე გვყოფნის, რომ გალეწილი მთვრალები ვიყოთ. ჯოკოხეთური რაღაც გამოდგა. თამადად ბაია ავირჩიეთ. მე ცოტათი გაციებული ვარ და ბაიამ, ჩემი და მაიკო ორბელიანის სადღეგრძელო ერთად შესვა. თან მკაცრად გამაფრთხილა, მარაო არ დაგიპახო ხელშიო. პეწიანად მახვედებს, აბასთუმნელებსაც რომ შეშურდებათ, ისე. არაფერია, გამივლის. ნუ იცი ეგეთი დაფეთება. ძალიანაც რომანტიკული იქნება, ახლა რომ ქლექით გავხდე ავადე. თუმცა, ქერდის კიბო, ანდა სისხლის გათეთრება გაციცლებით უკეთესად ეღირს და უფრო მოდურიცაა. გულისამრევი აზრები მომდის თავში? ხომ გითხარი, დღესაც მთვრალი ვარ-მეთქი. ნოველები? მართლა ძალიან გაინტერესებს? არ გირჩევნია, წიგნი გაჩუქო ავტოგრაფით — „ჩემ ერთგულ მკითხველს“ ანდა რამე უფრო ამაჩუქებელი. კარგი, კარგი. ოღონდ, ერთი პირობით. როგორც კი მოგაწყენება, მითხარი და აღარ მოგწერ ხოლმე. რა მაციებს და, ლამისაა თეო დაგარქვა ზედმეტ სახელად. ხომ ხვდები, რომელ თეოსაც ვგულისხმობ.

ვნახოთ, თუ ბედი ცოტას მაინც გამიღიმებს და მოგეწონება... თუმცა, მწერალმა, ალბათ არასოდეს უნდა აიტკიოს თავი ეგეთ რამეზე ფიქრით. მთავარია, გულწრფელად წერო. აუცილებლად გულწრფელად. ოღონდ, ჯერ ნამდვილი სულიერი ტკივილი, გაუკარვებელი სიდვა უნდა იგემო. თან, მართლა გულით უნდა გიყვარდეს შენი არჩეული საქმე. რადგან უსიყვარულოდ, არაფერი კეთდება ქვეყნად. ვითომ, ახალ ამბავს ვამბობ.

1. ზამთარი. ეტიუდი

„ქარს მოპყოლია და
ლოლუას ჩაპკვრია —
ფართხალებს ნეკერჩხლის წითელი
ფოთოლი“.

იაპაი

ფანჯარასთან ხურმის მაღალი ხე დგას.

ხეზე ყოველ დილით, ერთომ საინტერესო საზოგადოება იყრის თავს. ბეღურები, ყვითელგულა ჩიტები და ზაშვები. ზაშვებს ოქროსფერი ნისკარტები ისე საყვარლად უპრიალებთ ისე, სულ მინდა ხელით შეეხო, მოვეფერო. პაწია, ვარდისფერი ფეფებით დასკუნდებიან ყინვით გასრიალებულ კენწეროებზე და ცელქობ-ცელქობით კენკავენ აქა-იქ შემორჩენილ მწიფე ნაყოფს. თან ალბათ, ათასგვარ ამბებს უყვებიან ერთმანეთს, სკოლელი გოგოებივით. გული მიკვდება იმის გაფიქრებაზე, ერთ მშვენიერ დილით რომ მოფრინდებიან და ნამეცეციც აღარ დახვდებათ.

ბაღის კიდესთან წვრილი, კოპწია ალვები მოჩანს. შემოდგომით, ყვითელფოთლობას სხივებივით რომ ანათებენ ხოლმე გადასარკულ სივრცეში. ალვებს გადაღმა, — გორაკები. შორს გაწოლილ, ჩამოქანქარ ტყეების მოლურჯო-მოიისფრო დაპკრავთ. მთაში, ტბაობა, კარგა ხანია მოთოვა და ფანჯრიდან რომ გავცქერი, იქაურობას სულ თეთრად გაუდის ქთქათი. აქ კი, ბუხარში ისე საამურად გიზგიზებს ცეცხლი, დიდი ქარბუქი მაინც ამოვარდეს-მეთქი, ენატრობ. კიდევ, ასი ათას მიუწვდომელ ფუფუნებას ვნატრობ. ვითომ, ცხრა ზღვის გადაღმიდან, ვერცხლის ეუენების წკრიალით მოფრინდა ოქროსფაფარა ზღაპრული რაში. ლურჯად გათოშილ ჭიშკართან ტორტს სცემს და ათრთოლებული, მეფური ნესტოებიდან სულ ორთქლი გასდის იმ ქარბუქში. „აღმოსავლეთით ამოჩნდა, თვალად ლამაზი ქალი“, ამაჰყვა საყურ-ბეჭედი, უყრიალებდა ქარიო...“ მღერის სარკმელს მომდგარი ჩემი თავფარავნელი უფლისწული და სიხარულით, ლამის გული ამომფრინდეს.

— გიჟმა, როგორც იქნა. ბრავო, პასიანს! ნინიკო, ჩაი არ დავლიოთ, შვილო? რას გასცქერი ნეტავ, მაგ ფანჯარაში.

— ა?!

— ჩაი არ დავლიოთ-მეთქი?

წამოდგება. კარტს აკრეფს. ცეცხლთან მთვლემარე კნუტს შეეხმიანება. მერე სარკმელთან მივა. ცას ახედავს. ეტყობა, ამაღამ დიდი თოვლი მოვაო და საქმიანად იფარფატებს, იქოთქოთებს სამზარეულოსა და ზალას შორის. კარგი გოგო ხარ და ხელი შეაშველე. როგორც იქნება, თავს მოიყრის ჩაის ნარნარა სერვიზს. რამდენი ნატეხი შაქარია, თვალებით გკოხავს და აახმიანებს, აიწკრიალებს ფირუზისფრად ნაჭარგ სუფრაზე დიაფანის ფაიფურს. თან ალუბლის წითლად აელვარებულ მურაბასაც დავაძალებს და ფიქის პაწია, ოქროსფერი ნაგლეფიც ჩაგიტკბარუნებს პირს. გულისთვის უებარიაო. მერე სეედიანად გააყოლებს თვალს თამბაქოს გამჭვირვალე კვამლს და რა კარგები ვიყავით მაშინო, ხმამაღალი ფიქრს დაიწყებს უნებურად. რამოდენა დრო გავიდა, რა კარგი დროო.

საშობაო არდადეგებისას, ნივის სუსხიან საანპიროზე გამოფრთხილებული გოგონებს გუნდი მიდგება თვალწინ. მუსიკალური სასწავლებლის მოწაფეები. რომელიღაც პირველხარისხოვანი სადაფის მსგავსი გოგონები. ღამით რომ სამეფო ორკესტრები ესიზმრებათ და მარინის თეატრის გაბრდღვიალებული, ხავერდოვანი დარბაზები. ვარდისფრად ატკრეცილი ხელები სიასამურის მოუთებში შეუმალავთ და ყველას ისეთი მზესავით მბზინავი თმა და ლაღი გამოხედვა აქვს... თვალს ვარიდებ ულვთოდ დაბერებულ ხელს, დრო და დრო საფერფლესთან რომ მიაქვს ამოლებული.

მერე პეტერბურგიდან შინ დაბრუნება. ცხოვრება თავისი ამაო ორომტრიალით. წლები კი გარბიან. ისე გარბიან, საცაა ბოლოს ჩამოკრავს ზარი.

— ნინიკო, ხსოვნას გაუფრთხილდი, შვილო. მასავით წმინდა, არაფერია ქვეყნად.

კლავესინის თავზე, მინანქრის უნატიფეს სილურჯეში ახალგაზრდა ლამაზი ქალი განაბულა. მუარით გაწყობილი მუქი ხავერდის კაბა აცვია ღრმა დეკოლტეთი. ხელში ფარშევანგებით მოქარგული, სუნამონაპკურები მარაო უჭირავს. „ნიავო“, ოდნავ არხევს საფეთქელთან მოციმციმე ოქროსფერ კულულს...

— ნინიკო!

— ბატონო!

— არ მისმენ?

— როგორ არა..

ისევ კლავესინის თავთან დაკიდული სურათისკენ გამირბის თვალი. — და თავადი, საურმაგ ფალავანდიშვილი, მუხრანის გზაზე მოკლეს ბანდიტებმა სწორედ იმ ზამთარს. ჯვრისწერიდან სამი თვის შემდეგ. სვეტიცხოველში იყო ჩვენი ჯვრისწერა... ენკენისთვის დამდეგს...

ორივენი უჩუმრად გავყურებთ სარკმლის მიღმა მოფარფატე დიდრონ ფიფქებს. ერთი სული მაქვს, როდის შეეხება ციდან მოფრენილ მოულოდნელ, კრიალა სიხარულს. — არ მიყვარს ზამთარი. ამაღამ თუ ასე ითოვა, მთელი ქვეყანა დაიფარება. — იტყვის უცებ და წამოდგება. ფირფიტებით გადაკეთდილ თაროსთან მივა. რაღაცას ეძებს. ეძებს დაენებით, გულმოდგინედ, ნება-ნება. ისე, მხოლოდ მოხუცებს რომ შეუძლიათ. — ვიპოვე! — ჩუმად ჩაიბუტბუტებს ბოლოს თავისთვის. — თურმე აქვე ყოფილა. — მერე, დიდ ჭაღს ანთებს, ცხრამეტსანთლიანს.

— ნინიკო, მოგისმენია „მთვარის სონატა“, თოვლში?!

2. „ჰერი ასწიეთ, დურგლებო!..“

ქუდი ვერ ვიპოვე და რა მექნაო. ტუუილად. მოკალი და თავზე რამე დაახურებინე. გაგონილა, ამაზანიდან გამოსული, ყინვაში სველი თმით გავარდა გარეთ. ერთი ბეწო ჭკუა არა აქვს. თუ, ძალიან გადაუდებელი საქმეზე აგვიანდებოდა? ახლა ისეა, ძლივს სუნთქავს. ამ ხელოსნებმაც ხომ ცალკე ამომართვეს სული. როგორმე დორზე მორჩებოდნენ და ადარ დავეძებ არაფერს. მომბეზრდა, მოხეტიალე ბოშასავით ცხოვრება. — სამზარეულოში, დედა ელავარაკეტა ბებიას. კიდევ კარგი, არ იციან სიცხეც რომ მაქვს. რა მთქმელივნებს. აი მაშინ დაიწყებოდა, თუ დაიწყებოდა ნაირ-ნაირი რიტუალები. ამა, თაფლიანი რძე, ამა, ეოლოს მურაბა, ამა, შალის სამანი და ათასი უბედურება. ხელოსნებისგან რაღა უნდათ ნეტავ. თავიანთ საქმეს მშვენივრად აკეთებენ და ყირაზე სიარულსაც ხომ არ ისწავლიან ამათ გულისათვის. „მოხეტიალე ბოშასავით ცხოვრებაო“-ო, რა კარგად თქვა დედამ. ნეტავი კი მართლა შეგვეძლოს. ალმათ, როგორი ლაღი, ნათელი და მხიარული დღეებით ცხოვრობენ ისინი. ხალისიანი დღეებით. მომთაბარეთა თავისუფალი, დიდებული, წმინდა მოდგმა... ცოტახანს მივწვები და თვალებს დავხუჭავ, ვითომ მძინავს. ვითომ, ვითომ, აფრიკაში ვართ ერთად, ანდა ფილიპინებზე...

— ისევ გიყვარს, შე საწყალო?

— ცას მირჩევნია!

— ნურსად ნუ იტყვი მაინც.

ჩუმად მოვითმენ, უხმოდ.

— კარგი გოგო ხარ.

„კარგი გოგო!?“ კარგი რა არი. უნდა გეთქვა, ზღაპარივით, ფიფქივით, ანდა სულაც, ვერცხლის პაწია ეიუპინი გოგო ხარ-თქო. იცი, როგორ გამეხარდებოდა? სულ ვიწკრიალედი და ვიწკრიალედი.

რა მოხდება, ახლა რომ კარი გაიღოს და შემოვიდეს?! — სიხარულის ელდით, ჭკუაზე შევიშლები. რა მოხდება, ახლა რომ კარი გაიღოს და შემოვიდეს?! — იმწამსვე გავვარდები ხელოსნებთან, საღებავებით აჭრელებულ ხელებს დავუკოცნი და შევეხვეწები — მილორდები, ჰერი, ჰერი ასწიეთ!-მეთქი. მერე? მერე, ამა რომელ გოგოს შეუძლია, თავს ელვასავით დატეხილი ცისოდენა სიხარულის გადატანა, რომ მე შემეძლოს.

ფეხაკრეფით შემოდის დედა. — ნინიკო! ჩასძინებია. — ტუჩებით ოდნავ მეხება შუბლზე. — ეტყობა, სიცხეც აქვს. რა მეშველება, რა მეშველება, რა მეშველება, ნეტავ.

3. ღია სარკმელი. დიალოგი ქართან

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვერას გეტყვი, დავბრუნდები როდის,
არ უწყიან როგორც თვითონ გზები
ბამბისქუდა მაგ ღრუბლებმა ცაში!“

უცნობი ავტორი

— გამარჯობა, ქარო! როდის მოხვედი?

— ეს წუთია.

— ნარბენივით რატომ სუნთქავ?

— მინდოდა, ჩქარა მენახე.

— რა იყო, მოხდა რამე?

— მოხდა!

— !!!

— ნუ გეშინია, ყველაფერს გზაში მოგიყვები. ოლონდ, ჩქარა წამოდი, გეხვეწები.

— წამოვიდე? კი მაგრამ... მოიცა, ასე წამოვიდე? დავივარცხნო მაინც.

— მაგოდენა დრო სად არი. დაგვიანება არ შეიძლება.

— მაშ კარგი... მაშ კარგი, წავიდეთ!

— აი თურმე, როგორი მსუბუქი ყოფილხარ. ზღვის ქაფივით მსუბუქი და ქათქათა... ნუ გეშინია, მომკიდე ხელი... რა გატირებს, როცა ერთად ვართ...

დედა: — ნინიკო, ფანჯარა დახურე, დალეწა აკაურობა. ნინიკო! გარეთ გაფრიალებულ ფარდებს მაინც ვერ ხედავ? ნინიკო! ნი-ნი-კოოოო!...

P. S. მუსიკა გრძელდება.

5 მარტი. სამშაბათი.
ანას

ოი, როგორ გამეყინა ხელები.

დილამშვიდობისა, ანა! ერთი ნამცეცი ჭზეც არსად იყო ცაზე. ნუ გიყვარს, გამოაგნებული მფარველობა. რა გამაციებს ნეტავ. აუცილებელი საქმე რომ არ მჭონოდა, ადრიანად ხომ არ გავიდოდი შინიდან. სად ვიყავი და იების გამყიდველს ვეძებდი ვერის უბანში. მართლა გეუბნები. არქეოლოგიის ინსტიტუტთან ბატონი ვახტანგი შემხვდა. ორივეს გაგვიხარდა. მღელვარე ხომ არაფერი მომხდარაო და მარჯვენა ხელი შემითვალიერა. მაშინაც ასე იცოდა. ორი დღე ლექციაზე რომ არ გამოჩენილიყავ, აუცილებლად ხელებს შეგიმოწმებდა.

სადა ხარო, მკითხა. შინ ვზივარ-მეთქი. გაუკვირდა. ეგ როგორ იქნებაო. ველოდებიმეთქი, გავიცინე. რას კაცოო, დაინტერესდა, როდის დამიძახებენ და მეტყვიან, სად გაგონილა შენისთანა გოგოს შინ ჯდომა, ჩვენთან წამოდი, ძალიან, ძალიან გვეპირდებიო, შინ ვზივართ და ღვთისაგან ველას ველით, არა? მხარზე მომეფერა. მივხედი, სოლიდარობას მიცხადებდა. მერე უცებ მეუბნება, მოდი ნათი და გათბოდე. მე ვიცი, ხელისგულით სატარები დედა იქნე-

---

მზია გედიაშვილი
ასე მგონია, შინა ვარ

ბიო. რატომ ხელისგულით, ერთი ქალი და ცხრა ვაჟი გავზარდო-მეთქი? უკეთესს რას გაკეთებ, ქალის უპირველესი დანიშნულება ეგ არის, სხვა დანარჩენი მოგონილიაო. მოვფიქრებ-მეთქი, შეავირდი. რა ფიქრი გინდა, შეეხედე რამოდენა დაუდგრომელი ყმაწვილებია ირგვლივ, თქვენ უნდა გააბრაწლოთ ქართველი ერი, სხვამ ვინ, მეორეად ასეთი მოწყენილი არ დამენახოო და დიჯრი ნახიჯით გაუყვა უნივერსიტეტისკენ მიმავალ გზას. მონუსხულივით ვიდექი ერთ ადგილზე და თვალით მივაცილებდი დარბაისელ პროფესორს. — დაბრძანდით, მიგიყვანთ! — თარნნიშვილის ეუფიდან ქალაქია ვოლგა გამოსარიალდა და მოხდენილად დამიშუბრუნა ცხვირწინ. „აი, მესმის დაუდგრომელი ყმაწვილი. ყველა ნატვრა მაინც მიხდებოდეს ასე". კინალამ გამეცინა. — დაბრძანდით, მიგიყვანთ! — მშვიდად გამიმეორა თოვნა და კარი გამოაღო. ეტყობა იფიქრა, პირველად ვერ გავიგონე. დიჯრი, მზრუნველი გამოხედვა ჰქონდა, გარეგნობა, დაბეეწილი. ცოტათი შეეკრთი კიდეც. მერე ჩემ თავზე გავბრაზდი, რამ დამამუნჯა-მეთქი და — დიდი მადლობა, ქმარს ველოდები! — ვთქვი მოულოდნელად. ისეთი ღირსებით ვთქვი, პრემიერმინისტრის თანამეცხედრესაც რომ შეშურდებოდა. — რა ბედნიერებაა ასეთი დისტანციური ცოლის ყოლაო, გაიცინა ბიმმა და სხარტად გაქრილდა. წამში უკვე ფილარმონიას იყო გაცდენილი. ერთხელ თამრიკომ რა ინატრა, იცი? ნეტავი ეს ჩვენი ფილარმონია მარწყვის ტორტად გადიქცეოდეს და ყველაზე დიდი ნიჩაბი მე მეკავოს ხელშიო. მერე თვითონ ისწავლა ცხობა და ახლა ლამისაა ქმარ-შვილი სულ „მინანჭარსა" და „ბეზეში" ამოაბრჩოს.

ანა გინდა, ხელისგულზე კი არა, თვალის გუგაზე დასატეკი რაღაც წაგაკითხო. გინდა?

4. ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ᲩᲔᲛ ᲨᲕᲘᲚᲡ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲐ — ᲗᲔᲗᲠᲘᲐ
ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲐ — ᲚᲘᲢᲠᲘᲐ
ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲐ — ᲛᲬᲕᲐᲜᲔ
ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲐ — ᲬᲘᲗᲔᲚᲘ

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ — ᲑᲔᲑᲘᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲘᲡᲐᲛ (?!).

ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲐ — ᲖᲦᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲜᲐᲕᲝᲜᲘ ᲒᲝᲠᲒᲝᲤᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲔᲜᲯᲘ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲒᲣᲚᲘᲡ

ᲙᲕᲘᲠᲐ — ...

P. S. როცა ფერების ცნობას ისწავლი ყველა დღე გააფერადე.

5. ᲡᲐᲚᲐᲛᲘ, ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ!

„რობინ, ჩემო სიხარულო,
ჩემო კარგო თვალისჩინო..."

ოფელიას სიმღერა

ქარია. ივანაზე სარეცხის გასაფენ-ბაგირებიდან ვიღაც გამორბის და მხრებზე მოხურული ბეწვის მოკლე კურტა ორივე ხელით იწევს ნიკაპისკენ. ვიღაც პატარა ონავარი, დილაადრიან თუნუქის ცარიელ ქილას მიაყოლინებს სტვენა-სტვენით. ქარია, ქარი... გულამოვარდნილი მარტი ერიაშუალით მიერეკება თავგზააბნეულ ფიფქებს. თამამი და ყალბად მხიარული მარტი. სარკმელს ვხურავ. „ჩიტუნები კი უდარდელად იკეთებენ ხეზე ბუდეს, ხეზე ბუდეს..." ხმადაბლა ვმღერი და ათრთოლებული თითებით ვიწნავ თმას. წუთის შემდეგ, ქარი მასაც თავის ნებაზე გააფრიალებს. დიდი ამბავი. მომკალითო და ახლა ქუდი ჩამომფუტაგანი. მერე რა მოხდა, თუკი ყურები ცოტათი ამეწვება. სახიამოვნოცაა. წინაკარში ვტრიალებ. ქუთრუკის საყელოს ვისწორებ სარკესთან და კარს ვალებ. ლიფტი რად მინდა. ღმერთო ჩემო, რად მინდა ლიფტი, როცა მეცხრამეტე სართულზე შემიძლია ავირბინო, ოღონდ შენ მეგულებოდე ქვეყნად.

— დილამშვიდობისათ, ქალბატონო თინა!

— იცოცხლე, გენაცვალე! ქარი წაგიღებს, ნინიკო.

— რა ბრძანეთ?

— ქარი, ქარი-მეთქი. გესმის, როგორ ნარბენივით სუნთქავს? შენც ნარბენივით სუნთქავ, ლიფტი არ მუშაობს, ნინიკო?

— როგორ არა.

— აჰ!... გასაგებია. თქვენ ორივენი ერთ რიტმში... ხომ? გაიქეცი, გაიქეცი გენაცვალე. ბედნიერი გოგო იყავი, ბედნიერი და სულ განათებული.

ქალბატონ თინას, რომელიღაც შორეული შუქის მინავლული სხივი უკიაფებს თვალებში და სევდიანად იღიმება სადარბაზოს წინ მდგარი იმ ქაროში. თუმცა, ალბათ აღარაფერი დარჩენია ტკივილისა და სიცარიელის გარდა.

●

დილის ბაზარი თავისი კოლორიტული აურზაურით, ჭოთ-ჭოთით და ჩაუცხრილი ოროტრიალით. ყვავილებით მოვაჭრეებთან შედარებით ხალვათობაა. ამა უკმე დღე იყოს, ღილები თუ შეგრჩა, მადლობა უნდა თქვა. — რა ამბავია, ზამთარ-ზაფხულ ყველაფერს ერთნაირად რომ უკიდებთ ცეცხლს თქვე დალოცვილებო! — სათუთად არჩევს თეთრ მიხაკებს შინდისფერ-პომადიანნი, უზადოდ ჩაცმული ახალგაზრდა ქალი და მარჯვენა, უხელთათმანო ქალქალთა ხელზე, სარდიონისთვლიანი ვერცხლის ბეჭედი უბრწყინავს. — ზოგ, ხანაროსანი რომ არაა და თბილისია, სამხრეთელი კაცის ამბავიც უნდა მოგეხსენებოდეთ ქალბატონო. ამინდს არა აქვს მნიშვნელობა, ჩვენთვის ზამთარ-ზაფხული სულ ერთია... — უამურად იღრიჭება მიკიტანი-

ვით გაბერილი დახლიდარი და ჩემი მიხაკები მკვდარს გაიცოცხლებსო, უტიფრად, საქმიანად ეანგლება ქალს. — Бальван! — უმალ სადად ასკვნის ქალი და უკვანილებს თავ-პირში აურის იმ საშინლად ხეპრე „დიდვაპარს“. — დილის სიფთაზე დამთარსა, მაგის... ბილწად იგინება ცხრასართულიანს, აწყარად ღვაწლმოსილი რეგვენი და მოფანტული მიხაკებს ხელის ერთი მოსმით აგროვებს.

ყოჩივარდებს დახლის ბოლოში ყიდიან. პაწაწკინტელა სველ-სველ კოზებს.

ციდან ხომ არ ჩამოსულხარ, რა დროს იებია ამ ყინვაშიო, ისე შემომბიდვერს ულალთმიანი ახმახი, ლამისაა იმათ მაგივრად ბოდიში მე მოვუხადო გაზაფხულს. ჯერ ისევ სადაფის კრიალა მძივებით მორთულს და უეცარს. ნუთუ, სუნთქვა მაინც არ გესმით?! აბა კარგად დაუგდეთ ყური. გეხვეწენთი დაუგდეთ ყური... მალე ფერად ფიანდაზებს რომ გადმოჩფენს ენებამორეული, საკინძეს ჩამოიწეკეტს და ყველა სულდგმულს შეაფთხრიალებს თავისი ყოველისშემძლე, ძლიერი ნერვით.

ვცდილობ მოზუზუნე ბრბოს ისე ავუქცეო გვერდი, არავინ დამეკახოს. ქუთუკის ღილებს ვიხსნი და ყოჩივარდებიან ხელს უბეში ვმალავ. და ყელიან, თეთრ სვიტრზე განაბული კოზები, უცნაურად უნაზეს ნეტარებას უდრის.

გაჩერებაზე, ტროლეიბუსების გრძელი მწკრივი და კანტი-კუნტი მგზავრები. პიკის საათი ჩავლილია. ფანჯარასთან ვჯდები. (ბავშვობიდან გამოყოლილი ჩვეულება.) თუ ახლა თვალი მოვკარი, რასაც ვინატრებ შემისრულდება. რასაც ვინატრებ... თუ ცოტაოდენი იღბლის ნამეცცი გაგაჩნია... უჭკუო, ჯერ ალბათ არც გაუღვიძია. რა მოხდება, შინ რომ მივუტანო ეს კოზები... ო, სიხარულის ელდით ფეხზე ვეღარ დადგება. დედას გეფიცები, მართლა, ნუ გეშინია. მეტი დარდი არა აქვს. ყოჩივარდებს ვინ ჩივის, გულიანად მაშინ იხარხარებდა, ჩემი იმდღეკვანდელი ვირტუოზული ზრახვები რომ შეეტყო. არა, ზოგჯერ მაინც როგორი მოსწრებული აზრი მოგივა ადამიანს თავში. აფსუს, სწორედ მისი გემოვნების „შესაფერი“ რამე კი იყო. თვალი არ დამიხამხამებია, ისე გმირულად გადავწყვიტე, ფერადი ბურთების შეკვრას გავუგზავნი პაწაწინა ბარათთან ერთად, — „თუ გენებრებით, ბურთები. ცაში ააფრიალეთ სარკმლიდან, სადარბაზოსთან ვიდგები და დავინახავ.“ — მეთქი. ნამდვილი გენი ვარ. და დღეს, ახეთ გულუბრყვილო აღმოფრენებზე მერვეკლასელი გოგოებიც კი აღარ ფიქრობენ, ალბათ, რა სისულელეა. უბრალოდ, დროსაც არ დაკარგავენ. ყველას „ნალდი“, „ჩემი“, „რეალისტური“ აკერია პირზე. ყველა უმადლეს ჰონორარს თხოულობს. და გაუმარჯოს, ყველას!

— ჩაბრძანდებით, ახლა?

— არა, ბატონო, გაგიკვირდებთ!

ჭარი სახეში მეხლება და თითქო ხელის მკრავს გაბრაზებული. გგონია, მერე მოვა და ყველაფერს მოგიყვება?! რა იცის ნეტავ ჭარმა... ესეც ჩვენი „ვატერლოოს“ ხიდი. (გულში წვეთოცნებე ცოტა.) ქვის მოჯირეზე დაყრდნობილი, სამოვე კონას სათითაოდ ვატან მტკვარს. ხო, შენთან ვატან. ჩათვალე, რომ დღევანდელი დღე მოგილოცე, კარგი? გეხვეწები ჩათვალე, რომ ამქვეყნად ყველაზე ძალიან მენატრები, მედარდები და სულ მახსოვხარ, მახსოვხარ, მახსოვხარ...

არც ეგ არ იცის ჭარმა.

და არც ის, ფიფქებთან ერთად, დილაადრიან თან რომ მიაქვს შენი დაბადების დღე, — ჩემი სევდიანი დღესასწაული.

P. S. იმ ღამით, თოვლისფერი ორკესტრი მესიზმრა. სადირიჟორო პულტთან მზე ანათებდა. უჩუმრად მოწვეთავდა პირველი ვიოლინო, შინდის ტოტის სხივისფერი ხემით და მთელ ქვეყანაზე მოჰქონდა სიცოცხლე. სალამი, გაზაფხულ ო!..

18 მარტი. ორშაბათი.

ანას

შენი ავადმყოფობა ვის გაუგონია, ანუკი. ასე მგონია, ექიმები არასიდეს ხდებით-მეთქი ავად. თუ გინდა ჩამოვალ, მოგეფერები და წუთში გაგიგლეს გაციება. ნუ გეშინია, მარტის ბერეიულობის ბრალია ყველაფერი. ყინულის ლოლუებმა ხომ მაინც დაიწყეს წვეთვა. რა კარგია, არა? წეკხარ თვალდახუჭული და უსმენ. თითქო შორს, სადღაც ვიოლინო ტირის... აქ კი სულ ქარებია. ქარები და მზე. ახალი რა უნდა იყოს. თბილისური ჭორები? თბილისს გაზაფხულზე ჭორებისთვის სად სცალია, ნეტავ. სამაგისო სეზონი მაშინ იხსნება, როცა ქრიზანთემებით გადაკეთებულ ქალაქს პირველი სუსხი მოეძალება და გრძელი საღამოები ჩამოდგება ხოლმე. აი მაგ დროისთვის კი გაგიბარია, ცხელ-ცხელი ამბების რიგ-რიგა. ოღონდ, ჩურჩულით, რა თქმა უნდა. ჩურჩულით წკრიალეს მუხლისთავზე ტელეფონი, ჩურჩულით, ნენა-ნენა იფერფლება თამბაქო სამკალეებით დამძიმებულ კიკლუც თითებს შორის. ხელიდან ხელში, ჩურჩულით გადადის ყავის სურნელით მოჭარგული „როზენტალის“ უნატიფესი ფაიფური! და მიუხედავად ასეთი ფენომენალური სიფრთხილისა, მეორე დღეს უკვე მაინც მთელმა დუნიამ იცის სრულიად საიდუმლო „გალობანი სინანულისანს“ ცხრავე ვარიანტი. ვისი ბრალია, თუკი აქ ყველა ერთმანეთის ნაცნობია და მეგობარი. ასე ხშირად და შინაურულად კი, ალბათ არც ერთი ქალაქის ქუჩებში არ ესალმებიან ადამიანები ერთმანეთს, როგორც თბილისში. და შრა კარგია, არა:? ეგეც პაწაწინა იმედივითაა.

შაბათს, მხატვრის სახლში თუშური ფარდაგების გამოფენა გაიხსნა. მე და ბაია ვიყავით. ძალიან მოგვეწონა. მსგავსი სიხარული ადრინდელიც მახსოვს. იმპრესიონისტები რომ გამოფენეს ხელოვნების მუზეუმში. რა ამბავი იყო მაშინ, მოსაწვევების შოვნაზე. მთელი თბილისი ქოთქოთებდა. ბაიას, ჩვენ „მწვანე სინათლეს", რამე გაუჭირდება? გამოფენაზე კი არა, თუ მოინდომა, სამეფო ბალზე შენარნარდება პრინცესასავით. იცის, რომ ცერცვის მარცვლითა და ბუმბულის ოცი ლეიბით არავინ შეუმოწმებს ცისფერსისხლიანობას.

ისეთი მშვენიერი ფარდაგები ვნახეთ, ორი დღეა უჩვეულო ფიზიკურ ნეტარებას განვიცდი. როგორ გითხრა, აი დაახლოებით ისეთს, თბილი აბაზანიდან გამოსული ქალთათა ლოგინში, რომ ჩაწვები და სარიალა მიტკლის გრილ სურნელებაში რომ გიგხვევი. უცნაურია, არა? ანა, წარმოიდგინე წვიმის შემდეგ ცაში გამკრთალ ცისარტყელაზე ფერების ბუნებრივი სიდიადე და უბრალოება. წარმოიდგინე? ზუსტად ისეთი სინათლე, სინატიფე იდგა იმ დარბაზში. თითქო, ხალხური ზღაპრებიდან და საგალობლებიდან გადმოსული უნაკლო, სევდიან მელოდიას უგდებდი ყურს. და კიდევ ასე მეგონა, ქარში ლაღად მფრიალე პეპლებზე, კესანთი გადაცისფრებულ მინდვრებზე, არწივების გრავენვაზე, ქალთათა ღრუბლებზე, კლდეს მოწყვეტილ ენგეზეის წკრიალზე, უბელო ცხენების თქარა-თქურაზე, სხივებზე დამდნარ ყინულის წვეთებზე ოცნება გაგვიმხილეს-მეთქი, თუშის ქდემამოსილმა ქალბატონებმა, თაკარა მინდვრების და წვიმების სურნელი რომ უდიან ალბათ, მზით დამწვარ ხელებზე. ასეთი რამ, აუცილებლად თვითონ უნდა ნახო ან კიდევ, მოთხრობის და ფილმის მოყოლით რომ გამოიდებენ ხოლმე თავს ზოგიერთები. რაც მე მაგას ვერ ვიტანე. ადექი და თუ შნო გაქვს, მოუევი ერთი „კატა წვიმაში", ანდა „ვატერლოოს ხიდი" (ჩვენი დედების ახალგაზრდობისდროინდელი ელდა!) მოუევი როგორი გოგო ხარ. გაგიინელა, კლავესინიდან დაღვრილი მელოდიის გამეორება.

გამოფენიდან თეატრალურ ინსტიტუტში შევიარეთ. ბაიას ქონდა საქმე. შეჩოჩქოლებული გოგოები, ერთ გულგახეთქილ დალაქს ასულიერებდნენ კიბესთან. დავინტერესდით. ხო, ცნობისმოყვარეობა ჩვენი პროფესიული ნაკლია. და ერთად-ერთი? ღმერთმა დაგვიფაროს, კაცს თუ მხოლოდ ერთი ნაკლი გაკვს, ეგეც უკვე თავისთავად დიდი ნაკლია. თუმცა ის გოგო, ტროლეიბუსში გაუქურდავთ. ჩანთა რომ გამიხსნეს გავიგე, მაგრამ პრინციპით ბიჭი იყო და შემრცხვა, ხმა ვერ ამოვიღეო, უყვიროდა ტირილ-ტირილით. მართლა ნამდვილი პრინცი ეოფილა-მეთქი.

დერეფანში ეკას დედა შეგვხვდა. კნიკესენთ მივესალმეთ. იმას კიდევ, ოდნავ არ მოხათრებია. მოგვდგა და სულ ინკვიზიტორული ტონით გვათვალიერა. ნეტავ ნაწილობრივ მაინც დაეკმაყოფილეთ ქალბატონ ტატას დავწერილი გემოვნება. ამოსუნთქვაც აღარ გვაცალა, მთლად ოპერმუშაკის სიზუსტით შეგვკვსო სულიერ-სოციალური მდგომარეობის ანკეტები. იმწუთში გულწრფელად შემეცოდა ეკა. ზედმეტი მანკვა-გრეხვა რომ არ უყვარდეს, „ფილიგრანული გრაციას!" როგორც თვითონ ჰგონია, სულაც არ იქნებოდა ურიგო გოგო, ეკას დედას პირიქით, ჩვენ შევეცოდეთ და სულ შაქარი ითოვა ბაგეთაგან. ეტუოთა, ხანაშვეო პროგრამებს არასოდეს უყურებს ტელევიზორში, თორემ ბაიას გვარს ერთხელ მაინც მოკრავდა თვალს ტიტრებში და ახლა ასე აღარ დაეწვებოდა გული. ბაიამ, ეგრე არ უნდაო და თავისებურად აიწყვიტა. ჩემზე ეუბნება, მთავარ რედაქტორობას უპირებენ. (მეტრთან დამიფაროს!) უფრო დაბალტიტულოვანი საქმისთვის არც თვითონ ემეტება თავი, ამიტომ დროებით უმუშევარია და ჰონორარით ცხოვრობსო. ჰონორარითო, გეგონება, იმ ციცქნა თეატრალურ ქრონიკებში, ერთი ხომალდის საფასურს ვიღებდე. მე კი, ჩეჩქვივით ფული მინდა რომ მჭონდეს, რომ ხან სან-ფრანცისკოში ვიყო, ხან კასაბლანკაში, ხან ნიცაში და ამიტომ კომბინატორობას ვეს-წრაფვი, თუ მოვახერხეო. თქვენ ვის იგდებთო, გაცოფდა გულში ეკას დედა და უცებ გადაგვიხერა. — იცით, ეკას ფინეთის ელჩის ვაუმა სთხოვა ხელი, (მრავლისმეტყველი პაუზა.) „მარიამის" თეატრში, სიბელიუსის კონცერტის პირველ ანტრაკტზე. — რამდენადაც შეეძლო ქედმაღლურად დაუზუსტა და გვაგრძნობინა, რომ მხოლოდ მეორეხარისხოვანი ყურადღების ღირსად გვთვლიდა. ჰმ, შელებილი მანეკენი! მართლა ერთ კონცერტად, მარო მისი ინტონაციის მოსმენა ღირდა. ნეივსპირეთის ეგზოტიკა, მაინც სულ სხვაა გენიაცვალი.

უი, ჩაიდანი უსტვენს. რა ჭაფქაფა-ა! ჩაიზე გპატიჟებ. მოცხარის მურაბა და ახალთამალი ფუნთუშები მაქვს, „ფრანციაში" ნაყიდი ფუნთუშები, შენ რომ გიყვარს. სანამ ჩაი შეგრილდება, ისევ ვიჭორაოთ. როგორ ვიქნები, ანა. მერე რა, რომ გაზაფხული მოვიდა: არსაიდან ხმა, არსით ძახილი... თქვენ კი, ღმერთმა უველას ხელი მოგიმართოთ, ჩემო კარგებო. „აი საკმელას ბალაბი, ეს ნიშნავს ან დამივიწყოო, აგერ კიდევ ქვეყნისაგული, გულიდან არ ამომიღოო..."

იცი, როგორი გაბრაზებული ვარ? აკუტაგავას მოთხრობები დამეკარგა. სახლიდან გაქრა. სულ გადავაკოთე აქაურობა და ვერსად ვერ ვნახე. ახლა არ იკითხავ, სწორედ იმ წიგნში, ვისი სურათი მჭონდა შენახული. გაგიოდი? მაჩუკა რომელია, სულ ასეთი სულისშემძვრელი წარწერებით ამიფერადა, — „ჩემ სიხარულს, ჩემ პაწაწინა სხივს", მოგწონს? რაც მე

წარწერებსა და ავტოგრაფებზე მოზღვავებული გრძნობების კოლიანტელს ვერ ვიტანდ. მაგნარი რამეებს რომ ვკითხულობ, ბრაზი მახრჩობს ხოლმე. კარგი სურათი კი იყო. დავზე-დავდი და ამეტირებოდა. საიდან უნდა მქონოდა ნეტავ, გაზეთიდან ამოვჭერი. თვითონ რომ ეჩუქებინა, რას წამიწერდა? აბა მე რა ვიცი. ალბათ არაფერს. შეიძლება აფრა დაეხატა ზედ, ან გასაფრენად გამზადებული წერო... ანდა სულაც, ანტილოპა. თავი ხშირად დესპოტი ტირანივით რომ უჭირავს, მართლა ეგეთი კი არ არის. ყველაფერს, ყველაფერს საკუთარი გულისცემასავით შეიგრძნობს, დედას გეფიცები. ჩემ ადგილზე, ერთ ნერვსაც კი არ შეგიტოკებდა? ჩემად! სულ ერთია, მაინც ვერ გადამარწმუნებ. ასე შეიძლება ადამიანი გადაიწვას? გაჩუმდი, გეხვეწები გაჩუმდი. რა-ა, პენელოპეს პაწაწკინტელა, ქართული ვარიანტი? მოდი სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. არ შეიძლია მსუბუქი, უდარდელი კილოს შენარჩუნება. რას ბრძანებ ქალბატონო, იგი მუდამ ყველაზე ახალგაზრდაა და ქვეყანაზე არავის, არავის არ გავს. ა-რა-ვის!

უი მართლა, მე და ბაიამ, იცი როგორი შიში ვეკამეთ პარკში. კარუსელზე რა გვინდოდა, ნეტავ. ავირას სურათი გადავიღეთ და მერე წამოსადგომად მივედით. ისეთი ფირმა ამინდი იდგა, შინ ადარ გაგვწია გულმა და ზემოთ, მუხტების ხეივანში ჩამოვსხედით გრძელ სკამზე. კატებივით ვეფიცხებოდით ნაზამთარალ მზეს, მზეს დანაკრტებულნი და თან ათას რამეზე ვლაქლაქებდით ენის გაუჩერებლივ. მერე ჩვენი ცხოვრების ნათელი დღეები (და „შავ-ბნელიც"!) დავითვალეთ. მერე ბაიამ ნაყინი მოისურვა. იქვე, ორ ნაბიჯზე იყიდებოდა დელფინდანატაცულ პაპანი ნიშში. ის იყო, ჭამა უნდა დაგვეწყო, რომ ვიღაც აწოწილი ტიპი დაგვადგა. გაცოცხლებული „მურტალო". იმ ნაძირალას, ხმის ტემბრსა და მანერებზე ეტყობოდა, რაღაც უბედურება ან მოწეული ქონდა, ან შპრიცით შეშხაპუნებული. უცერემონიოდ დაგვადგა თავზე და გვეუბნება, ერთი თხოვნა უნდა შემისრულოთო.

— რაშია საქმე, ბატონო! — დიალოგი ბაიას მიჰყავს.

— მე ახლა, ჩაინიკი ვარ!

— ჩაიდანი! არ შეარჩინა, ამ ჩემმა ქალბატონმაც.

— რრრ-აო? — დაიზზუვვლა უფლისწულივით უზადოდ ჩაცმულმა და მოულოდნელად გასრიალებული დანა შეათამაშა. — გრამატიკულ ანგლობას მოუკვდა თავი. რომ ვამბობ, ჩაინიკი ვარ, ზნაჩიტ ვარ. ზედეტი ბაზარი არ გამაგონოთ. ადექით ახლა და ჩამომახსნით, ძვირფასო ლედი! — მარჯვენა ხელი გულისაკმრევად გაფარჩხა ჰაერში, ვითომც ლულა იყო და გამოციებული თვალები მომაშტერა, ვგრძნობდი, როგორ თანდათან ვფერმკრთალდებოდი. — რაღას უცდით, აი ვდუღჯარ უკვე, ეშმა!... ვიცლები, ჩემი კარგი... ვიცლები... [illegible] ინანა და ძალგამოლეული, მოწყვეტით დაეშვა სკამზე. ერთხანს თვალდახუჭული, გარინდებული იჯდა განძრევას ვერ ვბედავდით. მერე სიმღერა წამოიწყო. „Скоро растрельяет дорогая мама..." უნაკლო სმენა ჰქონდა. ხალტურადო ზოუს შემდეგ, ისევ თავიდან დაიწყო „ჩაიდნობიის" გულისამრევი პანტომიმა. თან თითქო ტირილი გაურია ხმაში — ჩამომახსნით, ჩამომახსნით და მთხოვეთ, რაც გინდათ... მსგავს რეჩიტატივს, ხშირად ხომ ვერ მოისმენ კაცი.

— ჩა-მო-მახ-ხიიით!..

— ახლავე, ოღონდ ჯერ შაჭარს მოვიტანთ!

— უცემ წამოდგა ბაია და მეც მიბიძგა.

— შაჭარს?

— კი, შაჭარს. აი აქვე, წუთში გადავირბენთ გასტრონომში და რამდენიმე ნატეხ შაჭარს მოვიტანთ.

— Прикускам — დაბინდული თვალები გაუნათდასავით და ტაში შემოჰკრა. ისეთი უბადრუკი სანახავი იყო, გაგაჟრიალებდა.

უცბო ენების ინსტიტუტამდე სირბილით მივედით და ბაიას დეიდასთან მოვითქვინთ სული. მანანამ, ახლა თქვენი მარტო გაშვება არ შეიძლება, ერთ ლექციაზე უნდა დამელოდოთო. რაღას ვიზამდით. იმ დღისით ფრანგულადაც გავნათლდით, ქურდულადაც და შინაც ტაქსით მივბრძანდით. ბაიამ ხომ სულ ამიკლო ტრაბახით, როგორ მოხდენილად გაკაცური ის ავაზაკი, რისკი მუდამ დიდებული რამ არის, იცნობს გოგო ცხოვრებასო. შაჭარს რაღას პირდებიდით, შე ორპირო იანუსო-მეთქი. მართლა საინტერესო ფინალი კი იყო.

ჩემი წიგნის საქმე? წლის ბოლოსთვის გამოვა, ალბათ. როგორ მეშინია ანა, როგორ მეშინია, სულ მაკანკალებს. თითქო, მრისხანე ლომებთან შიშველი ხელებით ვიყო ტყეში მარტოდმარტო. შიში მოლოდინი და უძილო ღამე, რამოდენა ფუფუნებაა, არა? მაგრამ იცოდე, აუცილებლად გაიკიფების ის ნათელი დღე... „ჯანდაბას, ძვირფასი ნივთი დაიმსხვრეს. კრამატი ნუ დაილეწება". ახლა? ახლა გული ზვავისოდენა, გაუკარვებელი დარდებითა მაქვს სავსე, ანუკი. გულთან ახლოსაც არ გვიკარო? შორიდან ადვილია. ადვილიც და ფრჩხილისოდენაც, ნეტავ ვინ არის დღეს ეგეთი რამეების ღირსი?

გაჩუმდი! გეხვეწები, გაჩუმდი თორემ ახე მგონია, დოლაბები გადამატარეს-მეთქი. აი, ხომ ხედავ, უკვე შენი სახელობის ლაქაც დამაჩნდა. რა და, ჩემ გულს, მარცნივ წეკნის ლაქები აჩნდება, მარჯვნივ სიხარულისა. პაწაწინა, ჭორფლისოდენა ლაქები. რომ იცოდე, რამოდენა რამეებს იტევს ეს ციცქნა ორსება, ჭკუაზე შეიშლები. ო, არა. პალიმფსესტზე შლიან და წერენ, შლიან და წერენ. ა? წაშლა არ შეიძლება. მგონია თემას გადავუხვევ. ზოგ-

ჯერ მემართება ასე. ენად გავიკრიფები, გავიკრიფები... დღეს ქვეყანა შეღავათებიანი სიყვარულებითაა სავსე? ანა, ღვთის გულისათვის, მე ქვეყანა არა ვარ, იცოდე.

6. გახსენება

„დარჩი ჩვენთან, ნათელ-მარიხო!"
ხალხური

დერეფნის თავში, რკინის რიკულებიან პატარა მოაჯირს დაყრდნობილმა, წამით შეაჩერა კიბეზე ჩამავალი.

— მაშ არ იშლი, მიდიხარ, ჩვენო პატარა ქალბატონო?!

— (მოკრძალებული ღიმილით.) მივდიხარ!

— რომ იცოდე, რამოდენა სიხარული მიგაქვს თან, დარჩებოდი.

— !!!

— ბატონი ნიკა, ოთხმოცისა გახლდათ.

7. ნუ ტირი, მოგვირჩება

კალთაზე ახალთახალი გამოცემა მიდევს.

ისეთი კარგი წიგნია, ისეთი, გული სულ თრთოლვით მევსება. თითქოს, მღელვარე მუსიკას ისმენ. ზეხარ შენთვის სულგანაბული და ისმენ. მერე სურვილი გიჩნდება, ჩურჩულით ილაპარაკო, ფეხისწვერებზე აწიულმა იარო.

— როდემდე უნდა იჯდე მორწმუნესავით, დაწექი ახლავე!

— ნუ მეჩხუბები რა, დედა.

— დროზე, დროზე, ღამეების თევა გინდა სწორედ, სული რომ შეგიბერონ წაიქცევი. აი სინათლეს ვაქრობ, იცოდე.

— მოიცა ერთ წამს. ღამის პერანგი არ ჩავიცვა?

— აბა, დაიცა! პატარასავით სულ უკან უნდა გდიოს ადამიანმა.

— როგორ სალბუნივითაა ეს ინდური ბატისტი.

— ენა გააჩერე და დაიძინე.

დიახ ქალბატონო, დი-ახ! ისე მოვიქცევი, როგორც ნამდვილ, ბეშმარიტ ლედის ეკადრება.

— მეორედ აღარ შემომიყვანო, ნინიკო!

„ნეტავ როგორი ხმა ჰქონდა ეკატერინე ჭავჭავაძეს, ანდა რაზე ოცნებობდა ხოლმე ნეტავ ძილის წინ...." გამომივიდა ჭკუის კოლოფი. ვინ გეკითხება ეგეთ რამეებს. ხომ გითხრეს, ენა გააჩერე და დაიძინეო. აბა, გავაჩერე.

სიზმარი:

ყანისპირი სულ გვირილებით იყო მოფენილი. და კიდევ, წვრილი, ცისფერი ყვავილებით. ირგვლივ კამკამა ცა და თვალუწვდენი მინდვრები მოჩანდა. უფრო შორს — იისფრად ჩაშუქებული ტყეები. მოულოდნელად, ციდან თვითმფრინავი დაეშვა. ჯერ ერთი, მერე მეორე, მესამე, მეათე... ბოლოს მინდორი მთლად გაივსო თვითმფრინავებით.

გოგონა თხუთმეტი წლისა ძლიან იკნარა, სულ ყანა-ყანა ურბენია. იმდენი ურბენია, ფეხები ჩიტივით უფრთხიალებს. ხელს რომ არ იფარებდეს მკერდზე, ფრრრ!... და ისიც წავა, გაფრინდება ცისკენ.

თვითმფრინავის ფრთაზე შემდგარი თეთრფრაკიანი მაესტრო ჯადოქარივით სწევს ჯოხს მაღლა. ო, ასეთი ძლიერი ხელი, არასოდეს უნახავს. — ალბათ, როგორი თბილიაო ამ ხანდო! — ფიქრობს გოგონა და თვალებიდან პაწაწინა ცრემლები სცვივა. ისმის კლავესინის ხმა...

კაცი მკაცრი იყო. მარტოხელა. არასოდეს ეცალა. ერთი ნამეცცი დრო არ ქონდა, არასოდეს. დღე და ღამე საქმეს აკეთებდა. იმოდენა საქმეს, სიცილიც კი გადაავიწყდა. გოგონას უკვირდა, სულ უკვირდა. ითმინა, ითმინა, მაგრამ ბოლოს მაინც ვეღარ გაუძლო და გადაწყვიტა, მივალ, ცხოვრებას ვასწავლი, მხიარულ, ლაღ ცხოვრებასო.

— კიდევ?

— კიდევ?!

— ხო, კიდევ? კიდევ რას ასწავლით, გამოუსწორებელო პატარა „მეცენატო!"

...ვასწავლი, როგორ აიკლოს შინიდან მთელი ქალაქი ტელეფონით, როგორ ევაჭროს გაზაფხულზე იების გაყიდველს, როგორ იცეკვოს მთელი საღამო მუხლჩაუხრელად და იცინოს, იცინოს, იცინოს...

— ეგ სისულელეები არ ჭირდება. სხვა, სხვა რა შეგიძლია?

— მოფერება!

— ენა გააჩერე, თავზედო!

— ასი ათასი კოცნა!

— ენა-მეთქი!

— მაშინ, მაშინ ვაჩუქებ ასი ათას დარდს, უთვალავ ფიფქს, წვიმის წვეთებს, სევდას, სინათლეს, სითბოს, მოლოდინს, ტკივილს, სიხარულს, ერთგულებას... და ყველაფერს ერთად, ერქმეცა რთული სახელი, ცხოვრება. დრო კი გაბდება, სუნთქვასავით შეუმჩნეველი...

— კარგი, კარგი, ოღონდ ენად ნუ გაიკრიფე, ოღონდ ნუ აგვიკელი და რაც გინდა, ის გიქნია, ღრმერთმა ხელი მოგიმართოს.

თვითმფრინავის ფრთაზე შემდგარი თეთრფრაკიანი მაესტრო ჯადოქარივით სწევს ჯოხს მაღლა. ისმის კლავესინის ხმა...

— შეიძლება, ერთი რაღა რომ გთხოვოთ?

— კი გენაცვალე, მთხოვეთ.

— არ გაბრაზდებით?

— არა ბატონო, არც მიფიქრია.

— ძალიან, ძალიან, ძალიან გეხვეწებით...

— ნუ ტირით, ღვთის გულისათვის. დამშვიდდით და ისე მითხარით.

— ძალიან, ძალიან, ძალიან გეხვეწებით, ჩემთვის დაწერეთ მოთხრობა... თუნდაც ერთგვერდიანი...

— მოთხრობა?

— დიახ! ისე გამიხარდება, ისე გამიხარდება, როგორც არავის.

— როგორც არავის?

— ნუ მაწვეტინებთ, თორემ ხმის ვეღარ ამოვიღებ.

— კეთილი, განაგრძეთ.

— გნებავთ, ამ თავთავებზე დაწერეთ, ან წვიმაზე, პაწაწინა კნუტზე, ანდა სულაც ველურ, დამფრთხილ კვიცებსა და ტრამალებზე. ოღონდ, ნუგეშის მომცემი ნუ იქნება. ეგეთ რამეებს რომ ვკითხულობ, სულ ტირილი მინდება ხოლმე. მერე მისახსოვრეთ.

— გისახსოვროთ? თქვენ?!

— ო, როგორ გამიხარდება! როგორ, როგორ, როგორ... აუცილებლად ფოსტით გამომიგზავნეთ. დიდ ქალებს რომ უგზავნიან ხოლმე, ისე. ლამაზ ქალებს.

— მერედა, განა თქვენ ლამაზი ხართ?

— ვიცი, ვიცი, ნუ იცინით. ჭორფლიანი ცხვირი, ნაფოტა კბილები, გაწეწილი თმა... მაგრამ არაფერია, მოვითმენ.

— მოთმენა ვიღამ გასწავლათ ამ ერთი ციდა გოგოს.

— თქვენ!

— მე?! ძალიან გთხოვთ, ავანტიურისტულ ბრალდებებს მოეშვით და საერთოდ, როგორ იქცევით? გგონიათ, რადგან გისმენთ, ყველაფრის ნებას მოგცემთ? სხვათაშორის, თქვენი თანაგრძნობა და მფარველობა არავინ ჭირდება. მე, მითუმეტეს.

— თქვენ... თქვენ... თქვენ...

— დიახ! თქვენ არავინ გეკითხებათ არაფერს. იმის მაგივრად, შინ იჯდეთ და „შვლის ნუკრის ნაამბობს“ კითხულობდეთ, ექსტრაორდინალურ სცენებს მართავთ.

— მანქანაზე, მანქანაზე არამც და არამც არ გადაბეჭდოთ.

— რა ბრძანეთ?

— ხელნაწერი მირჩევნია-მეთქი.

— ღმერთო ჩემო, როგორი თავხედია ეს ბავშვი! არა, მაინც რა საერთო გვაქვს მე და თქვენ, ამოდენა რამეებს რომ ბედავთ.

— ახლა წავალ და სულ მოლოდინით ვიქნები სავსე. მშვიდობით! იცოდეთ, აუცილებლად გამეცით ხმა, თორემ მოვკვდები და მერე ველარავინ გადაგარჩენთ, ველარავინ გიშველით, ველარავინ დაგიფარავთ....

თვითმფრინავის ფრთაზე შემდგარი თეთრფრაკიანი მესტრო ჯადოქარივით სწევს ჯოხს მაღლა. ო. ახეთი ძლიერი ხელი არასოდეს უნახავს. — ალბათ, როგორი თბილია და სანდო! — ფიქრობს გოგონა და თვალებიდან პაწაწინა ცრემლები სცვივა. ისმის კლავესინის ხმა...

— ჩუ ნუ ტირი, მოგორჩება! — ეფერებოდნენ ციდან სხივები ატირებულ გოგოს. გოგო ყურს არ უგდებდა კეთილ სხივებს და მდინარისკენ გარბოდა გულაძგერებული.

დასასრული შემდეგ ნომერში.

ნანა გურგენიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

თქვენი წყალობის არ ჰყავით ღირსად
თქვენ ჩემი გული სევდის მფლობელი,
ცა შორი იყო, შორს იყო მიწაც,
განუკითხავად მსჯიდნენ რომელნიც
და შორეული გახდა ყოველი,
რაც მიწასა და ცას შორის იწვა.

●

ჰგავს დედამიწა სიმარტოვეს
და სიზმარს ზეცა,
ახალი მთვარის დასრულდა
ძერწვა.

●

ყველაფერი იწყებოდა
და [illegible]ადგანაც იწყებოდა,
სულ [illegible]ელოდი...
დასასრ[illegible]ულს.
რადგან ქვეყნად უვადო და,
ულევი [illegible]ა, უძირო და
არ არსე[illegible]ობს არავინ და,
არაფერი...
არასდროს.
ყველაფერი იწყებოდა
და როდესაც მიწყდებოდა,
ის, რაც ჰგავდა...
მარათონს,
მეც დაღლილი მივწვებოდი
ვმთავრდებოდი, ვიწყებოდი
უიღბლო და, უგულო და,
უნდო, და...
უღალატო.
ყველაფერი იწყებოდა
ზოგჯერ ღმერთიც მიწყრებოდა
და ველოდი, სულ ველოდი,
კვლავ ველოდი...
გაზაფხულს.
მაგრამ ქვეყნად უვადო და,
ულევი და, უძირო და
არ არსებობს არავინ და
არაფერი...
არასდროს.
ყველაფერი იწყებოდა...

●

გამოვიგონე ჩემთვის ქვეყანა
ამ ქვეყანაში ქალაქი ერთი.
ქალაქში ქუჩა და შემებრალა
ქვეყანა იგი გარეშე ღმერთის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დავასახლე მე ამ ქალაქში
იგი, რომელიც ღმერთად მეჩვენა
ორი პატარა, უმანკო ბავშვი
და უამრავი თეთრი ენძელა.

მერე შევკაზმე ოცნების რაში
თან გავიყოლე ფუნჯი, ფერები
და ახლა ვცხოვრობ ჩემს ქვეყანაში
გამოგონილი ბედნიერებით.

●

რა გაეწყობა, მე ამ თოვასაც
მხოლოდ და მხოლოდ შენთვის
მოვიყვან,
დიდხანს ვილოცებ, თოვლი მოვა და
მერე წამოვალ მე ამ თოვლიდან.
მერე წამოვალ, მე არ დავრჩები,
შენ კი დარჩები თოვლის ამარა
და ეზო-ეზო თოვლის კაცებით
სულს შემიშფოთებს თეთრი სატანა.
რა გაეწყობა და მეც შენსავით
თოვლის მოყვანის სურვილს ავყვები,
ჩვენში რომ ჩადგეს ვიღაც მესამე,
რომ თოვლი იყოს მისი სახელი,
პირველყოფილი მშვენიერება
შენს წინ რომ წარსდგეს თოვლის
მადონა,
რომ დაგავიწყოს თეთრმა ხელებმა,
ვიღაცამ თოვლში თუ მიგატოვა.
რა გაეწყობა, მე ამ თოვასაც
მხოლოდ და მხოლოდ შენთვის
მოვიყვან,
ამ გაზაფხულზე თოვლი მოვა და
მე წავალ, წავალ, წავალ თოვლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსარება

ცხოვრებაში ხშირად ხდება ისე, რომ ადამიანი პასუხს არ აგებს მოქმედებებზე. ხანდახან ამის მიზეზია ფსიქიკური შეშლილობა, შიზოფრენია. ხანდახან ნარკომანია, ალკოჰოლი, აფექტი, სულიერი სიცარიელე. თუმცა ეს ყველაფერი, არავითარ შემთხვევაში არ გიხსნის პასუხისმგებლობას როგორც საზოგადოების, ასევე საკუთარი სინდისის წინაშე. ბოლო სამ მიზეზს შეიძლება მივაწეროო ჩემი მოქმედება. ვიცი, რომ იურიდიულად ამითი თავის მართლება ძნელია მაგრამ, ამ მიზნით სულაც არ მინდა გესაუბროთ. უბრალოდ, ვიღაცას უნდა გავანდო ყველაფერი ის, რაც გულში მიდევს და ამდენი ხანია გამოსავალს ეძებს, რაც მიცამტვერებს და მიცარიელებს სულს.

ბავშვობა ჩვეულებრივი მქონდა, არც ძალიან განებივრებული და არც მძიმე. ვუყვარდი და მიყვარდნენ მშობლები, ბებიები, ბაბუები, ნათესავები, მეგობრები. მქონდა ბავშვური სიხარულებიც და წყენაც, რომელიც მალე, რამდენიმე წუთში მავიწყდებოდა არასდროს ვიდებდი გულში ბოროტებას, არ გამჩენია სამაგიეროს გადახდის სურვილი. ყველაფერს ლაღი, გულუბრყვილო თვალებით ვუცქერდი.

ზაფხულს ყოველთვის სოფელში ვატარებდი, მოუთმენლად ველოდი ამ დროს. მიყვარდა ჩვენი სახლი, ეზო, ხეხილის ბაღი, მოშრიალე ყანა, დარბაისელი, სათნო ვაზი, სხვადასხვა ბავშვური თამაშობები, მდინარეში ჟუჟუმალაობა, ჩრდილში ჭილოფზე წამოწოლა, მუსაიფი ქვეყნის თუ სოფლის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე, ხილის მოპარვა... თანაც სასაცილოა, თუ ჩემს ეზოს ავირჩევდით, გემოს ვერ ვატანდი, ასეთ დღეში იყო ყოველთვის სხვა „მასპინძელიც". შევესეოდით ხან ატმის, ხან თუთის, ლეღვის, ბლის, ვაშლის, ალუჩის, ტყემლის, კაკლის, მეტადრე კი თხილის ხეებს და ისეთ ბრდღვნას ვუშვებოდით, რომ წამლად ერთ ნაყოფსაც ვერ იპოვიდით, ყოველ დღე ისმოდა უფროსების ჯაჯღანი, ყვირილი, წყევლა-კრულვა, მუქარაც მაგრამ, არავინ გულით არ გვიწყრებოდა, უბრალო პროფილაქტიკას გვიტარებდნენ, თავს ნამეტანი რომ არ გავსულიყავით... საუბარი გამიგრძელდა, სევდა მომაწვა, აღარაფერი კარგი აღარ მეორდება ამ ქვეყანაზე; ერთხელ და სამუდამოდ...

მოკლედ, მეექვსე კლასი რომ დავამთავრე, არდადაგებზე კვლავ სოფელში ჩავედი. მენატრებოდა ყველა: ბებია, ბაბუა, მეზობლები, ნათესავები, ამხანაგები და მეგობრები. მეჩქარებოდა ყველაფერი იმის გაკეთება, რაც ადრე აღგიწერეთ. ვნებიანი თვალებით ვიყურებოდი გარშემო, მოსალოდნელი სიხარულის მოლოდინში. მიხაროდა და მწყუროდა სიცოცხლე.

თავიდან ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა, ისე როგორც წარმომედგინა და მინდოდა. ვთამაშობდით, ვცურაობდით, ვისვენებდით ჩრდილში. დროდადრო უფროსებსაც ვეხმარებოდით. დავდიოდით სამწყემსად. საღამოობით მოვრეკავდით ძროხებს და თბილი ახალმოწველილი რძით ვიწყანარებდით აჩქარებულ გულს. მიყვარდა, როდესაც საკუთარ, მომცრო თოხს დავიკავებდი და ყანაში ან ვენახში წავიდოდით. მეგონა, თითქოს მე რომ

არა, ვერაფერს გახდებოდნენ, თავს ვერ გაართმევდნენ. წყლის „მოზიდვაც“ მეკისრებოდა. დავიკავებდი პატარა თიხის დოქს და ჩაფით ხელში-მომარჯვებულ ბებუაჩემის გვერდით, ამაყად მივებიჯებდი სოფლის ბოლოში კამკამა, ცივ წყაროზე. ასეთ განცხრომაში და „შრომაში“ მიდიოდა იმ ზაფხულის დღეებიც...

ერთი ამბავი უნდა მოგიყვეთ. ისტორია, რომელმაც სხვაგვარად დამანახა ყველაფერი, ბევრი რამ შემიცვალა ცხოვრებაში...

ჩვენს კარის მეზობელს, რაც თავი მახსოვდა, ერთი მეძებარი ძაღლი ჰყავდა, იშვიათი, შავი ფერის „ირლანდიური სეტერი“, სახელად შარიკა.

ალბათ ცოტათი მაინც წარმოგიდგენიათ იმერული სოფელი, თითქმის ყველა უბნებადაა დაყოფილი, რომელთა მაცხოვრებლებიც ნათესავები არიან. თვითონ უბნებშიც გამოყოფილია, შეჯგუფებულია რამოდენიმე სამოსახლო. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ყველას უნდა ვინმე მეზობელიც ჰყავდეს ახლოს და თან სახნავ სათესი მიწების ნაწილი მაინც სახლის გვერდით იყოს განლაგებული. ჩვენს უბანში ვცხოვრობდით ბებუაჩემის, მისი ბიძაშვილის, შარიკას პატრონის და მისი ძმის ოჯახები. კარგი მეზობლობა გვქონდა. ჭირში, ლხინში თუ ჯაფაში ერთად ვიყავით. რა თქმა უნდა, უფროსებს არც ჩვეულებრივი კინკლაობა აკლდათ. ხან რომელიმეს ღორმა ბოსტანი გააჩანაგა, ხან ვინმეს, თხამ ვენახში ჩაიტკბარუნა პირი, ხან კიდევ რა! მაგრამ, ყველაფერს მალე ივიწყებდნენ და მუდამ მზად იყვნენ დახმარების ხელი გამოეწოდათ ან ლხინი გაეზიარებინათ.

შარიკა უზომოდ უყვარდა პატრონს. ჯარში ძაღლის მომთვინიერებელი იყო და როდესაც თავისუფალ დროს გამონახავდა, სულ მის წვრთნას უნდებოდა. ასწავლიდა სხვადასხვა ბრძანებების დამორჩილებას, ნადირობას, ჩხუბში გამოსაყენებელ ილეთებს, სიმაღლეზე ხტომას, კოტრიალს და სხვა საცირკო ნომრებს. შარიკა ტყუილუბრალოდ არავის დაუყეფდა. ბავშვებისათვის ერთხელაც არ შეუღრენია. პატარაობისას ხშირად მომინდომებია მასზე ამხედრება, გაწბილებულს ფეხიც კი ჩამირტყამს, მაგრამ, საცოდავი, წკმუტუნის მეტი არაფერი აღმოხდებოდა. პატრონივით მეერთგულებოდა, მეფერებოდა, მეთამაშებოდა, ერთხელ ხიფათსაც გადამარჩინა. საბანაოდ მივდიოდი მდინარეზე, უეცრად, სოფლის ბოლოში, ერთ-ერთი მეზობლის გერმანული „ავჩარკა“ გამომიხტა ყეფით და ღრენით. შურდულივით გამოექანა ჩემსკენ. დამფრთხალი, სასოწარკვეთილი ვიდექი, ხმის ამოღებასაც ვერ ვბედავდი, არ ვიცოდი რა მექნა, სად გავქცეულიყავი. თავზე რაღაც გადამევლო. ამან უფრო შემაშინა და ღრიალი მოვრთე. ცოტა აზრზე რომ მოვედი, დავინახე, ჩემს ტირილზე გამოსულმა მეზობელმა, „ავჩარკა“ ძლივს გამოჰგლიჯა შარიკას კბილებიდან, საცოდავად გამოიყურებოდა ჩემი შემშინებელი უკუდო და უყურო, დასისხლიანებული პირსახით.

ამ ამბავმა უფრო დაგვამეგობრა. აღარასდროს ვაწვალებდი. პატრონის მოცლამდე სულ ჩემთან ერთად დაყიალობდა. მოვალეობაც იკისრა: ბაღში ხილის მოსაპარად გადამძვრალებს, ყოველთვის ყეფით გვატყობინებდა უფროსების გამოჩენას.

მხოლოდ იმ ზაფხულს რაღაცნაირად შეიცვალა, ნაკლებად მოძრაობდა, იშვიათად ტოვებდა ეზოს. ვეღარც საცირკო წარმოდგენებს მართავდა და აღარც სანადიროდ დაჰყავდათ, მოხუცდა, დანაღვლიანდა შარიკა. თუ ადრე, მითუმეტეს, ჩემი გადარჩენის შემდეგ, ყველა აღფრთოვანებული იყო მისი ერთგულებით, ჭკუით, ყნოსვის უნარით, სიმარდით, ძალით, ეხლა უკვე ხშირად მესმოდა სახლშიც და მეზობლებშიც, რომ ეს ძაღლი ავადაა, მუნი სჭირს, საშიშია ბავშვებისათვის, გადასაგდებია ან მოსაკლავი. არავის ახსოვდა საცირკო წარმოდგენები, ბავშვების სიყვარული,

ჩემი ხსნა... ყველაზე მეტად ბაბუაჩემი და პატრონის ძმა აქტიურობდნენ. ყველაფერი მესმოდა, ვხედავდი მაგრამ ვერ აღვიქვამდი, ვერ დამეჯერებინა, რომ შარიკა აღარ იქნება. მჯეროდა ხალხის სიკეთის, ძახსოვრობის, მადლიერების, ბაბუაჩემის... მეგონა, უბრალოდ იმუქრებოდნენ, როგორც ხეხილის მოპარვისას...

დიდი ვაივაგლახის შემდეგ ვეტერინართან წაიყვანეს. როცა მოვიკითხე, ამიხსნეს ძაღლების საავადმყოფოშია და მალე ჩამოვაო. მხოლოდ შემდგომში გავიგე და მივხვდი, ყველას იმედი ჰქონდა, რომ პატრონი შარიკას უკან აღარ ჩამოიყვანდა, ანდა ექიმები აღარ გამოუშვებდნენ საშიშროების გამო. ერთი კვირის თავზე, კვლავ გავიგონე ნაცნობი ხმა, თითქოს დაბრუნება შემატყობინა, რამდენიმეჯერ მძლავრად დაიყეფა, თავის საყვარელ ადგილას, კაკლის ძირში იყო წამოგორებული. უცებ გამიარა ბუნდოვანმა ეჭვიანობამ, დაკარგვის შიშმა, გავვარდი და მოვეფერეთ ერთმანეთს.

ორი დღის შემდეგ ავად გავხდით მე, პატრონის შვილი და ძმისშვილი. მაღალი სიცხეები მოგვცა, ტანზე წითლად დაგვაყარა. იმ საღამოს საშინელი რამ მოხდა. ძილბურანში ჩხუბის ხმა და ძაღლის წკმუტუნი ჩამესმა. ოთახში არავინ იყო. ბებია ვახშამს ამზადებდა. ფანჯარასთან მივედი და დავინახე შარიკას გარშემო შეჯგუფებული ბაბუაჩემი და მეზობლები. ყველა რაღაცას გაჰყვიროდა. შარიკას პატრონმა ხელი ჩაიქნია და სადღაც წავიდა. მისი ძმა კი სახლში შევარდა, თოფი გამოიტანა, ვაზნების ჩალაგება დაიწყო, თან ხმამაღლა ილანძღებოდა ვიღაცის მისამართით. ვერ მივხვდი რას აპირებდა... არც არავის გაუჩერებია... პირიქით, ყველა თავს უქნევდა... ბაბუაჩემიც... კაცი, რომლის სიკეთეში, გულისხმიერებაში, ლმობიერებაში ეჭვიც არ მეპარებოდა... სროლის ხმა გაისმა, შარიკამ საშინლად ამოიოხრა... თურმე ძაღლებსაც შეუძლიათ წყევლა...

არ ვიცი, რამდენი ხანი ვიდექი გაშტერებული და ენადაბნეული. მერე უცებ ცრად მომეხსნა ავადმყოფობის სისუსტე, კარები გავაღე და ეზოში გავვარდი, ვეცი შარიკას...

არ მჯეროდა... მინდოდა სიცოცხლის ნიშანი შემემჩნია... ყელი გამიშრა... მომცვივდნენ, გაყვანა დამიპირეს. თავი გავინთავისუფლე და ავდექი. თვალებს ვეძებდი, მინდოდა ჩამეხედა და მათში სინანული ამომეკითხა. გულისდაწყვეტა მეგრძნო... ამის მაგივრად დავინახე უბრალო სირცხვილი, ცუდ საქმეზე რომ წაგასწრებენ და... მხოლოდ, შარიკას პატრონი იყურებოდა... ბოროტად, მის გამოხედვაში ამოიკითხებოდა ზიზღი მე და ან ძმა არ მყავს და ყოველთვის მშურდა ვისაც ეს ბედნიერება არგუნა ღმერთმა. იმ დღეს კი... იდგა ორი ძმა. ერთმანეთის მტრები... თითქოს მკვლელს ჰქონდა გასასამართლებელი საბუთი, ბავშვები... მაგრამ პატრონიც ხომ ორი შვილის მამა იყო...

მეორე დღეს ექიმი ჩამოვიდა რაიონიდან და გაგვსინჯა. აღმოჩნდა რომ გაურეცხავი მკვახე ხილით მოვიწამლეთ... შარიკა კი... გესმით? შარიკა კი მოჰკლეს... სამ დღეში მოვჯობინდი და იმდენი ვქენი, თბილისში წამიყვანეს. იმ ამბის შემდეგ სოფელში მხოლოდ ორჯერღა ჩავედი. ბებიას და ბაბუას დაკრძალვაზე.

ამ ისტორიამ ჩემზე ძალიან იმოქმედა. პირველად განვიცადე საყვარელი არსების სიკვდილი. თანაც ძალადობით, ჩემს თვალწინ... პირველად აღვიქვი, ადამიანებში ბოროტი საწყისი, ულმობლობა, სისასტიკე, უმადურობა. შევიცვალე, ყველაფერს ეჭვისთვალით ვუყურებდი, დავკარგე პატიების გრძნობა, აღარ მჯეროდა უანგარო სიკეთის ან, უნებლიე დანაშაულის, ყველას ვებრძოდი, ყველაში პოტენციურ მტერს ვხედავდი, ბოროტს, დაუნდობელს და თვალთმაქცს, მთელ ქვეყანას ომი გამოვუცხადე, მშობლებსაც კი...

მარტო მეგობრების იმედიღა მქონდა, იმიტომ, რომ ისინი ჩემთან ერთად

იზრდებოდნენ, ჩემნაირი ჭრილობები ტკიოდათ, ჩემნაირად ცხოვრობდნენ... შემდგომში მივხვდი, რომ აქაც ხშირად ვტყუოდი, ბევრი ჩვენგანის გზა გაიყო, ბედმა მოგვისროლა სხვადასხვა მხარეს... თუმცა გულიდან არაფერი იშლება...

... ბავშვური გულუბრყვილობა, სიხალისე და სიცოცხლის სიყვარული დავკარგე. გავხდი გულჩათხრობილი, ეჭვიანი, უცხოსთან კონტაქტში ადვილად ვეღარ შევდიოდი. ადვილად კი არა და... ჩხუბს, წყენას დიდი ხნით ვიმახსოვრებდი. დაუნდობლად ვუსწორდებოდი მოწინააღმდეგეს, თითქოს შარიკას ჯავრი მინდოდა ამომეყარა.

დიდი ჯაფა დაადგათ შშობლებს ჩემს დასაწყნარებლად. ნელ-ნელა სიჭაბუკეც შემომეპარა, ჩავები ცხოვრებაში, გამიჩნდა ახალ-ახალი ინტერესები, პრობლემები, ოცნებები: ატესტატი, ინსტიტუტი, ცოლის მოყვანა...

ერთი ბავშვობის მეგობარი მყავს. პირველი კლასიდან ერთად მოვდივართ. საწყალი, დაბადებიდან კუზიანია. გულით კი კეთილი, უბოროტო, თავდადებული. ერთხელ, რაღაც დააშავა. დირექტორმა, მათემატიკას გვასწავლიდა, კლასიდან გააგდო, გასვლისას გადმოგვხედა და გაგვიღიმა. დირექტორი უეცრად ადგილიდან წამოიჭრა და ყვირილი დაუწყო. „შე მახინჯო, დისტროფიკო... გაეთრიე შე რახიტიანო“.

მეათე კლასში ვიყავით, გვეშინოდა ატესტატის გაფუჭების. დირექტორს ვერ ვიტანდით მაგრამ, ვცდილობდით, თავი მოგვეწონებინა, არ გაგვებრაზებინა, ხმა იმიტომაც არ ამოვიღე. თავი ჩავქინდრე, თითქოს ვერც ყვირილი და ვერც მეგობრის პასუხი გავიგე. „მახინჯო“! ჰმ... „ვზიატრინნიკ!“...

სასწავლო წელი ახალდაწყებული იყო და ადვილად გადავიდა სხვა სკოლაში. შემდგომში ხშირად მოდიოდა სანახავად, ჩვენსკენ მოუწევდა გული. ეხლაც უახლოესი მეგობრობა გვაკავშირებს...

იმდენად შემრცხვა ჩემი საქციელის, იმდენად განვიცადე, რომ პირობა დავდე, დირექტორს სისხლს გავუშრობ ბ... თქი...

ყოველ დღე ახალახალ ხრიკებს ვიგონებდი. ვეჩხუბებოდი მასწავლებლების, ბავშვების თანდასწრებით, ვამცირებდი, ვაგინებდი... ერთხელ მანქანა დაგინაღმე მეთქი, ვუთხარი. გაკვეთილების შემდეგ ეზოში დავიმალეთ მე და ჩემი რამდენიმე თავქარიანი მეგობარი. შესულა სამხედრო ოთახში; „მინაისკატელი“ გამოიტანა და მანქანის გასინჯვა დაიწყო. არც კი იცოდა ყველა ლითონზე რომ რეაგირებს. უეცრად წამოვადექით თავზე ფოტოაპარატით, სურათი გადავუღეთ და ხარხარი ავტეხეთ. საცოდავად გამოიყურებოდა საწყალი, იცოდა, მთელს სკოლას მოვდებდით მისი გაბრიყვების ამბავს.

იმ დღესვე, დიდ ფორმატზე დავბეჭდეთ ფოტო. სახაზავ ფურცელზე გვირგვინის მაგვარი რაღაც დავხატე, ქვევით წავაწერე: ჩვენს საყვარელ „საპიორს“ — ამფეთქებლებისაგან. მეორე დღეს მერხს პლასტიკატი ავაძრეთ, ზედ დავდეთ ფიზკულტურის შარვლის და სასკოლო ფორმის პიჯაკისაგან გაკეთებული ფიტული. თავის ადგილას გახეთქილი ჩაჩუტული ბურთი მოვთავსეთ და სამგლოვიარო პროცესიაზე ნებით თუ ძალით, მთელი კლასი გამოვიყვანე. წინ მე მოვუძღვებოდი სურათით ხელში, შემდეგ ჩემი ერთ-ერთი მეგობარი მოდიოდა „ვენოკით“, მის ზურგს უკან კი ცხედარს მოასვენებდნენ, თან სამგლოვიარო მარშიც დავცხეთ... კინაღამ გადაირია, ორი კვირა სამსახურში აღარც გამოსულა, გულის შეტევა დაემართა.

რა არ იღონა, რეკავდა მშობლებთან, ცდილობდა მათი საშუალებით დავეწყნარებინე, მილიციის ინსპექტორიც მომამაგრა. მაგრამ ამან უფრო გამაცოფა, სასტიკად მოვიშხამე ცხოვრება, ოღონდ უკვე ყველაფერს მოწმეების გარეშე ჩავდიოდი, ესე იგი, მხოლოდ ბავშვების თანდასწრებით. ისინი კი... შეეპირდი, თუ არ ჩამომაცილებ, ჩუმად

სადმე დაგხვდები და... იმ ზომამდე მივიდა, თვითონ დამიდგა თავდებად, აღრიცხვიდან მომხსნეს, გამოსწორდაო უთხრა. ინსპექტორი დაარწმუნა, აღარ გაეკარო, დაჭკვიანდა, შენი გამოჩენა, მეთვალყურეობა აღიზიანებსო. მეორე დღეს ყველას თვალწინ მოვუთათუნე ხელი, გამოსწორების გზაზე დგახარ მეთქი, საჩუქრად თავისი პანაშვიდის სურათი ვუბოძე.

ასე მოვუშხამე სიცოცხლე. ბოლო ზარის დღეს, როგორც ჩაფიქრებული მქონდა, ავუხსენი ყველაფერი. თუმცა რა აზრი ჰქონდა...

დაპირება კი შევასრულე, მაგრამ მეც ბევრი რამ დავკარგე. პირველყოვლისა სიყვარული. ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული დირექტორის ნათესავი იყო... ულმობლად მოვექეცი.. სასტიკად... არ დამიკლია არც ლანძღვა, არც დამცირება, დაცინვა. უჩუმრად იტანდა ყველაფერს. ერთი წლის წინათ შემხვდა, გთხოვილა. ბავშვთან ერთად იყო. ჩემი სახელი დაურქმევია... ადამიანი ბუნებით ეგოისტია, ძალიან მინდა დავიჯერო, რომ ჩემს საპატივცემულოდ... იმის გარდა არავინ არასდროს მყვარებია, არც ვინმესთან მქონდა დიდი ხნის კავშირი... შეხვედრისას მივხვდი, ქვეცნობიერად, თუმცა ამაზე არ ვფიქრობდი... გვიანია, გვიანია ამაზე წუხილი, დარდი... გათხოვება მოუხდა, იცით... რა აზრი აქვს...

სტუდენტობამ კვლავ გამომაფხიზლა, თითქოს დამიწყნარა გული. ვცდილობდი კონფლიქტები თავიდან ამეცილებინა, გავრიდებულიყავი...

გამ ჩნდნენ ინსტიტუტის მეგობრებიც. ? ედად ჩემი ძველი და ახალი წრე. ადვილ ად შეერწყმნენ ერთმანეთს. ვსწავლობდით, ვსეირნობდით, ვფლირტაობდით, ვქეიფობდით, დღე-ღამე, ჭირში თუ ლხინში ერთად ვიყავით.

სმა ხშირად გვიწევს. ლოთები არ გვეთქმის, მაგრამ კვირაში ორი სამი დღე ისე მაინც არ გავიდოდა პატარა, ღარიბი, ტკბილი სუფრა რომ არ გაგვეშალა. გვიყვარს ერთმანეთთან ჩახდომა. გულისგახსნა, მოფერება. ... დროს ღვინო და არაყის სმა კი არ გვეტაცებს, ისინი უბრალოდ კატალიზატორებივით არიან, ჩაბუქბუქებული უფრო გამოხატავ გრძნობებს... დიდ წვეულებებს, ქორწილებს და რესტორნებს კი ვერ ვიტან. საშინლად მეცვლება სიმთვრალე... ისე არ გამიგოთ თითქოს თავის გასამართლებლად ვამბობ. უბრალოდ მინდა მიმიხვდეთ...

შეიძლება გეგონოთ თითქოს ამ წლებში გაჭირვება და სულის ტკივილი არ განმიცდია.

ნარკომანია ყოველთვის მეჯავრებოდა, რაღაც შიში გამაჩნდა, წინათგრძნობა მაწუხებდა. ამიტომაც იყო, ჩემთან ამ თემაზე ლაპარაკსაც კი ერიდებიან უეცრად მიფუჭდება ხასიათი, აგრესიული ვხდები, მეჩვენება, თითქოს ყველას უნდა ამ ობობას ქსელში გახვევა... ადრეც ვთქვი, ბევრ მეგობარს დამაცილა ბედმა-მეთქი. არ ვიცი, ვინც ცოცხალია, ჩვენი გაყრა მხოლოდ ფიზიკურად მოხდა თუ სულიერადაც. ამაზე პასუხს ეხლა ვერ გაგცემთ. შეიძლება, თუ ოდესმე კვლავ შევხვდით... ჩემი ოთხი მეგობარი ლენინგრადში იყო დასასვენებლად. ეხლა ვხვდები რატომაც არ წამიყვანეს და გამეპარნენ. ერთ-ერთი „კაიფში" გაიპარა. დანარჩენი სამი კი დააპატიმრეს. ბიჭებს შეეძლოთ პატიმრობა თავიდან აეცილებინათ, ალბათ ერთმანეთის სიყვარულმა, კაცობამ არ მისცა ამის გაკეთების უფლება. როცა შეატყვეს, თვითონ ვეღარაფრით უშველიდნენ, სასტუმროს ადმინისტრატორს შეატყობინეს და სასწრაფო გამოიძახეს. სიჩქარეში ამპულების და შპრიცის გადაყრაც კი არ მოაფიქრდათ, ანდა შეიძლება არც მოისურვეს... სასამართლოზე ვერ მივედი. მთელი დღე სასაფლაოზე გავატარე. დიდხანს შევცქეროდი უდროოდ, უმიზეზოდ დაღუპული მეგობრის უსიცოცხლო, ქვაზე გამოხატულ სურათს. რისი გულისთვის, რა ნახა, რა გააკეთა ცხოვრებაში, რა მოასწრო... რისთვის....

ამ ამბის გარდა კიდევ სამი რამ დამამახსოვრდა, — ჩამრჩა მეხსიერებაში, გამოცამტვერა სული და სხვა ფაქტორებთან ერთად დიდი გავლენა იქონია ჩემს ჩამოყალიბებაში.

ერთ ჩემს მეგობარს რაიონელი გოგონა უყვარდა. გვიხაროდა ჩასვლა ყველამ იცოდა მათი ამბავი. გადაწყვეტილად თვლიდნენ. გაზაფხულის სესიების შემდეგ უნდა ჩასულიყო მშობლებთან ერთად და ოფიციალურად ეთხოვა ხელი. ორი დღით დრე გათხოვდა.. უფრო სწორედ... რომელიღაც წვეულებაზე გამოთვრა ეს სკოლა ახალ დამთავრებული ლაწირაკი და ვიღაცას ჩაუგორდა ლოგინში, იცით ჩვენი წესები, იმ წუთში მოაწერეს ხელი.

ჩასვლას აპირებდა, გიჟს დაემსგავსა, რამდენი ვიბრძოლე, რომ გადამეფიქრებინა. მივაღწიე მაგრამ, მე თვითონ ხშირად გამჩენია სურვილი ჩავსულიყავი და სასტიკი სამაგიერო გადამეხადა, ერთხელ ვაგზლიდანაც დავბრუნდი, ჭკუამ გაჭრა. მოვერიდე კონფლიქტს, უფრო სწორად აღარ მინდოდა ძველებურად გამეფრინა... კარგიც არის. ცოდვები ამცდა, რაღა აზრი აქვს... გეღიმებათ, ალბათ არ განგიცდიათ ასეთი შეურაცხყოფა.

ორი წლის წინ მეგობრის ძმა ჩუმად დაქორწილდა. იცოდა გოგოს მშობლები უარს ეტყოდნენ. ერთი კვირით ნათესავებთან წავიყვანე რაიონში. იქ მყავდნენ დამალული, ადვილად წარმოიდგენთ რა ამბავი დატრიალდა ჩვენს არყოფნაში. მილიციაშიც კი განაცხადეს. მოიტაცაო ძალით. ჩამოვედით თუ არა მოცვივდნენ, ლანძღვა გინებით აიკლეს იქაურობა, შევხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი ვინც იყვნენ. ფულით, ზედმეტი ფულით თავში ავარდნილი ხალხი. ხომ გაგიგიათ, „უნახავმა რა ნახაო“. ამ გაღლეტილს თუ გაჰყვები, კაპიკსაც არ გარჩენს, მშიერი ამოგძვრება სული, მათხოვარს დაემსგავსები, ჩვენი დახმარების იმედი ნუღარ გექნებაო. წამოდი, გაპატიებთ, საქმრომ იცის ყველაფერი. მაგრამ უყვარხარ, ერთ თვეში მეფურ ქორწილს გადაგიხდითო. ადვილად წარმოვიდგინე „საქმრო“ ასეთივე უნახავი, ფულში მოცურავე. მყიდველი სიყვარულის, სილამაზის, ბედნიერების. ელვასავით გვეცა გოგოს გაყოლა. ფულში გაცვალა სათუთი გრძნობა. ვიღაც გაქონილი ღორი ამჯობინა შეყვარებულს...

იმ საბედისწერო დღემდე, ერთი თვით ადრე,ზღვაზე ვიყავი დასასვენებლად. ჩასვლისთანავე ერთი გოგონა გავიცანი. ადვილად დავიყოლიე. დაყოლიება თუ ეთქმის... ერთად ვატარებდით დროს. ყველაფერი ისე მიმდინარეობდა, როგორც ხდება ხოლმე... ძალიან ლამაზი იყო. ბევრი შენატროდა და შურით მიცქერდა.

ერთხელ სამწვადეში შევედით სასადილოდ, ბუზების კორიანტელი იდგა. ყველაფერი თითქოს სუფთად იყო მაგრამ, ასეთ დაწესებულებაში ყოველთვის სპეციფიკური სუნი დგას. მყრალი კი არა, დახუთული, მახრჩობელა. რა გვექნა, ყველგან კილომეტრიანი რიგი იდგა, რესტორანიც არ მუშაობდა. თანაც, ყველა უარყოფითთან ერთად, ერთი დადებითი ის აქვთ, შედარებით გემრიელად ამზადებენ საჭმელს.

მხოლოდ ერთი მაგიდა იყო დაკავებული, ასე ორმოცდახუთი-ორმოცდაათი წლის ჩასუქებული მამაკაცები ისხდნენ. ოფიციანტების საუბარი გავიგე. ვაჟკაცობას, დროსტარების სიყვარულს, ფულის უზომო ფლანგვას უქებდნენ, თან ვჭამდი, თან მოქეიფეებს ვუსმენდი. ცოტახანში ბოდიში თქვენთან, გული ამერია, კინაღამ ვაღებინე... ლილიპუტების ცირკი იყო ჩამოსული. ერთ-ერთი ამტკიცებდა, რომ ორმოცდაათ მანეთად დაიქირავა ლილიპუტი ქალი და... საზიზღარ ფაქტებს ჰყვებოდა. როგორ გახადა, როგორ აიყვანა, მჩატე ყოფილანო ძალიან. თვალები აუტრიალდა როდესაც... ბოლოს დასძინა, ჩემს შვილიშვილზე დიდი კი არ იყო სიმაღლით, ენაცვალოს იმას ბაბუაო.

ერთ-ერთი შემოტრიალდა, შეგვათვალიერა, ჩემი გოგონა რომ დაინახა თვა-

ლები გაუნათდა. წამოდგა, მზარეულს ორი ბოთლი შამპანური გამოართვა, მაგიდაზე დაგვიდგა, ბოდიში მოიხადა და გოგონას გავიყვანო მთხოვა. ცხადია უარი ვუთხარი. გოგონამ იცნო, ცახცახი დააწყებინა, ძალიან შემეცოდა...

ამისთვის ყველაფერი მაქვს გაკეთებული, მეორე დღეს მაჭამა, აღარ მოვიდა „სტრელკაზე". უფროსი კაცი ვარ, დამიჯერე, ამათთან კარგი მოქცევა არ შეიძლება, ამ ბოზის გულისათვის ნუ მაწყენინებ, კი არ წაგართმევ, ერთი წუთით გავიყვან, გაულაწუნებ და დაგიბრუნებ, ნუ გეშინიაო. ყველა აყვა, მამად გეკუთვნის, შენზე დიდი შვილები ჰყავს, ნუ აწყენინებო...

ყველაფერი ამერია. გამახსენდა შარიკას სიკვდილი, დირექტორი, დაღუპული და დაპატიმრებული მეგობრები, მეგობრის საცოლის გათხოვება, უნახავი ღორების ოჯახი, ლილიპუტების ისტორია... გავცოფდი, ვწვდი ბოთლებს და ორივე თავზე გადავამსხვრიე. არ ვიცი, იმის გამო რომ კარატეში ვვარჯიშობდი, თუ არ ელოდნენ ასეთ რამეს, ადვილად ჩავქოლე ყველანი. „ვაჟკაცებით", ოფიციანტებიც და მზარეულიც ირგვლივ ყველაფერი დავლეწე და დავამსხვრიე...

გოგონა დროზე მოეგო გონს. ხელი ჩამავლო, სირბილით ბინისაკენ გამაქანა. ჩაალაგა ჩანთები და პირველ ავტობუსს გამოვყევით. კარგა ხანი გავიდა სანამ აზრზე მოვედი. ყველაფერი კვლავ გამახსენდა, ისევ გავცოფდი და ავენთე, ჩასვლას ვაპირებდი, მონახვას, თუ ცოცხალნი გადამირჩენენ, მოკვლას, მაგრამ არ გამიშვა, ტირილი მორთო, მეფერა, მეხვეწა, ისტერიკა დაემართა, ხალხის ყურადღება მივიქციეთ, შემრცხვა და დავწყნარდი.

იმ საუბედურო დღეს, მეგობარმა წამიყვანა ბიძაშვილის ქორწილში. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. ღვინო იმდენად არ მეკიდებოდა მაგრამ, როდესაც მეჯვარემ, პატარძალი გამოიწვია საცეკვაოდ, აი აქედან დაიწყო ყველაფერი. ვიღაცამ გოგოს მხრიდან შენიშვნა მისცა, ცოტა ფული რატომ მიეცით მუსიკოსებს. ჰმ, ცოტა... ოფიციანტ ცდაათი მანეთი... ჯიბე მოიჩხრიკა, საცოდავად გამოიყურებოდა, სიძეც ჭარხალივით გაწითლდა, ჩუმად ჩაუდო მეგობარს ასმანეთიანი...

შემდეგ, პატარა ბავშვი აცეკვეს. შენიშვნის მიმცემიც შევიდა წრეში. ხელში ასმანეთიანები ეკავა, ხან ბავშვს აჩეჩებდა, ხანაც ჭმუჭნიდა და მუსიკოსებს უგდებდა.

უცებ ავიმღვერი. კვლავ გამახსენდა შარიკა, დირექტორი გათხოვილი გოგმბიო, უნახავი ღორები, ლიპიანი „ვაჟკაცები". მათი ბინძური ისტორიები... ყველა ერთ სახეში გაერთიანდა, კონტროლი დავკარგე, ტორტის საჭრელ დანას ხელი დავავლე და შიგ გულში ვაგგერე, სისხლი თქვენივით შემომესხა...

ის პირველი დღეები დაძრომას რომ ვაპირებდი, შიშის ბრალი იყო. თანაც არ მჯეროდა, ყველაფერი... გათელილი ფრაზაა მაგრამ, ყველაფერი სიზმარი მეგონა. შემდგომში თქვენ თვითონ დარწმუნდით, დღევანდელ დღეს თუ არ ჩამითვლით თავის მართლებად, არასდროს მიცდია დანაშაულის შერბილება. გუშინწინ სანამ თქვენს კაბინეტში შემომიყვანდნენ, მოკლულის ცოლ-შვილი დავინახე, უფრო მწვავედ განვიცადე ყველაფერი. ბავშვების ცრემლიან ზიზღნარევ თვალებს რომ შევხედე, მივხვდი, მათ გულში ბოროტება დავთესე და სად, როდის გადმოანთხევენ, ღმერთმა, უწყის...

ვიგრძენი ბოროტებას არ შეიძლება იგივეთი უპასუხო, უნდა ეცადო ყოველ შემთხვევაში. მე ეს ვერ შევძელი.. მხოლოდ შარიკას სიკვდილის დროს ვიყავი მართალი, კეთილი ადამიანი და თუ იმ „ვაჟკაცებთან" მაინც მიწევდა ჩხუბი, სხვა შემთხვევაში, რაც მოგიყვით ან რაც არ მახსოვს, მე თვითონ მითესია ყველგან ის, რაც მძულდა, რასაც ვებრძოდი...

რითი ვარ შარიკას მკვლელზე უკეთესი. ბავშვების, ხალხის თვალწინ ადამიანი სიცოცხლეს გამოვასალმე. თანაც

სასტიკად, ელვისებურად... ან იმ „ვაჟ-კაცებ'ზე". გოგონა კი დავიცავი, მაგრამ მე თვითონ მასთან ხორციელ, ცხოველურ ვნებებს ვიოკებდი, ყოველგვარი სულიერი სიახლოვის გარეშე. მგელიც კი არ იქცევა ასე, თანაც ამის გარდა, ჩემივე სიყვარული გავთელე, სიცოცხლე მოვუწამლე, ბინძურად ვაგინე და ვუგინე ოჯახი... ან დირექტორი. როგორ სასოწარკვეთილებამდე მივიყვანე. კაჟივით ჯანმრთელი კაცი გულით დაავადმყოფდა...

... ჰმ... ისე პროსპერ მერიმეს მოთხრობას მაგონებს ჩემი აღსარება, ისტორიით კი არა, ხოსემ სიყვარული მოასწრო. კარმენთან ტკბობისა და გაწბილების წუთებიც გაიარა. იცხოვრა. იწვალა და მოკვდა სიყვარულისათვის კი ეს ვერ მოვასწარი. თანაც სანრჩობელა არ მელის... ორივეს ერთი გვაქვს საერთო. ცოდვილები ვართ. დიდი ცოდვილები თუმცა... მე უფრო ბევრი რამ მაწევს სინდისზე... მოთხრობას კი თვით აღსარების ფაქტი მაგონებს, ერთი დეტალის განსხვავებით, თქვენ გამომძიებელი ხართ, მან კი...

კვლავ გთხოვთ, თავის მართლებად ნუ ჩამითვლით. დაკითხვის ოქმსაც იმიტომ არ გაწერინებთ. არც სასამართლოზე ვიტყვი ამას. დამცველსაც კი არ მოვუყვები. ეხლა კი უბრძანეთ გამიყვანონ, მარტო მინდა დარჩენა...

უთოვლოდ გადის ზამთარი შენი

უთოვლოდ გადის ზამთარი შენი,
თეთრი ღრუბლები — ზანტი გედები
ყოველ ახალწელს დაგებედება
და დამშვენდები
იანვრის დილას ლურჯი ცითა და
თეთრი ღრუბლებით.

შენ მეუბნები,
რომ დაგღლის თოვა,
რაც გინდა მთხოვე
ლექსი თუ სული,
ოღონდ მითხარი — შენს თეთრ
ქალაქში
თუ წამოსულა
თოვლი იმგვარად,
როგორაც მაშინ, მოწყენილ ბაღში
ყველა დარდები რომ გაგიქარვა.
რაც გინდა მთხოვე
ლექსი თუ დაღდა,
ახლა
ზამთარში ვიგონებ ყოველს,
რადგანაც თოვლით დაღლილი გნახე,
როცა სულ ბოლოს გამოგეთხოვე.

უთოვლოდ გადის ზამთარი შენი,
მე კი ის თოვლი ისე მინდება,
როგორც ამ ქარებს თეთრი გედების
გაელვარება და დამშვიდება.

●

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ჭალას ჩიტი მომკვდარიყო,
დარდებს ვეღარ ინელებენ
მგლოვიარე ფრინველები...

თოვლიც იყო, ქარიც იყო,
შაშვი გლოვად დამდგარიყო,
შაშვის გლოვა მენატრება —
უკანასკნელ მენესტრელის.

ჭალას სინანული დადის,
როგორც ჩქამი დაღლილ დათვის,
ჭალას დიდი თოვლი მოდის,
ჭალა სინანულით ბოდავს...

უამრავი გადის წლები,
ისეც ხდება,
ასეც ხდება
და ნელ-ნელა მავიწყდება
დათოვლილი ბილიკები —
ჩემი ყრმობის ნაზი დები.

ზღაპრად იყო, ზღაპრად იყო,
კაცი ზამთარს გადაჰყრიყო,
მგლოვიარე ასულები
თოვლის ცეკვას ასრულებენ...

თოვლიც იყო, ქარიც იყო,
ჭალას შაშვი გამქრალიყო,
შაშვის გლოვა მენატრება —
უკანასკნელ მენესტრელის...

მოდი, გაშლილი შენი ფარდაგი...

მოდი, გაშლილი შენი ფარდაგი
მოვფინოთ მარტის ლილო-ჭრილოთი,
ითქოს ზღაპარი დადის კარდაკარ,
ამ ზღაპარს ისეთ კრძალვით ელოდი,
რომ დაგექანცა ფრთები პაწია,
რადგან ქარდაქარ
ქროდნენ ხანდახან
და ეხლა მარტმა რომ მოაწია,

როცა ჭალაში მოჰკლეს ზამთარი —
გათეთრებული ბერი უნებო,
როცა სერავენ თოვლის სამთავროს
ოქროსხმლიანი ბედუინები,

შენ გაზაფხულის სიმძლავრე გაკრთობს.
ისე სავსე ხარ რძითა და მზითა,
რომ ეგ თვალები სისავსეს დარდობს,
ან როგორ ზიდა
სითბო ამდენი
გულმა თოვებში ჩაკარგულ გზიდან.
უკვე გატეხეს მტკვარზე ყინული,
საცაა გული
გასკდება მარტით,
ძველ ზღაპარს ართავს
თვალმილულული
თოვლში დაკარგულ მეგობრის დარდი.

ეხლა შენსავით სავსეა მტკვარი,
შენსავით ღელავს, შენსავით კრთება
და მთვარეს
ამდენ ალერსით დამდნარს
დასეტყვილივით აწყდება ფრთები.

მოდი, გავშალოთ შენი ფარდაგი,
მოვფინოთ მარტის ლილო-ჭრილოთი,
რადგან ზღაპარი დადის კარდაკარ,
რადგან ქარდაქარ,
რადგან ქარდაქარ
ქროლვამ დაღალა ფრთები პაწია
... და გაზაფხულმა,
მე რომ ველოდი,
ბოლოს შენამდეც ხომ მოაწია...

●

ახლა ისეთი დადგა ზამთარი
თეთრი სამთავრო —
გაქრა ქალაქი
და დათოვლილი აივანები
ქარმა აქა-იქ გადაალაგა.

ნუ დაიღლები თბილისის ძებნით,
იცხოვრე ჩემი ხეივნის ახლოს,
თბილისი გაქრა,
წავიდა ზეცად,
თბილისი ახლა ზღაპარში სახლობს.

ახლა ისეთი დადგა ზამთარი,
თოვლმა წალეკა მთელი მიდამო,
დავეძებ მზისკენ გაფრენილ ბილიკს,
რომ გაზაფხული ჩამოგიტანო.

ახლა ისეთი დადგა ზამთარი,
თეთრი სამთავრო —
გაქრა ქალაქი
და მალე თეთრი აივანები
თოვლის სიზმარში დაივანებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭადრაკო დაფასთან

თეთრებით შაქე თამაშობს. აცვია ძვირფასი, ადიდასის ფირმის სპორტული ტანსაცმელი, ხოლო ფეხებზე იტალიური თუ ბრაზილიური ბოტახები მოსავს.

პარკში ხაამო ნიავი ქრის. გრძელ მაგიდასთან ხეხედან პენსიონერები. ზოგი შაშს თამაშობს, ზოგი დომინოს, უმრავლესობა კი, რა თქმა უნდა, ჭადრაკს მისჯდომია, თუმცა მზე დასავლეთისკენ საკმაოზე მეტად გადახრილა, მისი თბილი და მოუსვენარი სხივები ხან შაქეს ზურგზე ახტება, ხან დაფაზე გადაინაცვლებს, ხანაც დაფშვნილი აგურით მოგებულ ბილიკზე დაეფინება.

მაგიდაზე გამართულ დაფებზე კი იდეათა ცხარე შეჯახებაა. აი, ბატონმა შაქემ, უკვე სამი წელი რომ სპასკიო პენსიაზეა, პაიკში კუ მოუგო ირგას და აღტაცებისაგან ტაშიც შემოკრა. მით უმეტეს, რომ პოზიციური უპირატესობა აშკარად მის მხარეზეა.

ოჰ, დამავიწყდა მეთქვა, რომ შაქე და ირგა თანაკლასელები იყვნენ, ერთად დაამთავრეს საშუალო სკოლა. ირგას მათემატიკა და, საერთოდ, ტექნიკური საგნები კარგად ესმოდა. შაქეს ამოცანების ამოსახსნელად თავი არასოდეს მოუკლავს. მოვიდოდა ცოტა ადრე ,ფილით და ირგას რვიულიდან საკუთარში უველაფერს გადაწერინებდა. ირგა მოწონავე მოწაფე იყო, შაქე — ისე, რა... სკოლის დამთავრებიდან მხოლოდ მესამე წელს ჩაბარა სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გამოცდები ირგამ. შაქეს წელიც არ გასცდენია —სამედიცინოზე ამოქყო თავი. ირგა რომ მეხუთე კურსზე იყო, შაქე რაიონის მთავარი მკურნალი შეიქნა. ირგა რომ რომელიღაც შორეული რაიონის ერთ-ერთ სოფელში აგრონომობდა, შაქე სამინისტროს აპარატში გადაიყვანეს...

— გახსოვს, — შეეხმიანა ირგა და პაიკი წინ წაწია, — სამინისტროში რომ გადაგიყვანეს, მაშინვე გეწვიე პირველად და გთხოვე, ჩემს რაიონში აგრონომის ადგილი გთხოვისუფლდა და დამეხმარე-მეთქი...

— რაღაც არ მახსოვს... — თქვა შაქემ და დაფას უფრო ყურადღებით დააცქერდა.

— აი, შენ რომ მითხარი, მაგაზე ადვილი რა არის, გაგიკეთებო...

— მართლა? — გამოცოცხლდა შაქე და მხედრით უკან დაიხია.

— შემპირდი კია, მაგრამ არაფერი გაგიკეთებია...

— კარგი ახლა, რა დროს ეგეებია...

— მეორედ ნამდვილად არ მინდოდა შენთან მოსვლა, — განაგრძო ირგამ და გრძელი როკი გააკეთა. — ეს მაშინ, მინისტრის პირველ მოადგილედ რომ გაჩალიჩდი, მაგრამ ვძლიე თავმოყვარეობას, პატარა გოგონა მყავდა ძალზე ავად, წამალი ვერსად ვიშოვე და შენ მოგაკითხე...

— მე ახე ვთამაშობ, — მიუგო შაქემ და ლაზიერისწინა პაიკი ორი უჯრედით წინ წამოსწია.

— თათბირს ატარებსო, შენმა მდივანმა მითხრა, — თქვა ღრმად ჩაფიქრებულმა ირგამ და მერე მეფის პაიკი ერთ უჯრაზე წასწია. — დილიდან შუადღემდე ვიჯექი მისაღებში, ბოლოს მარტო გამოხვედი, რომ დამინახე, მალე მოვალო, მითხარი და ხელიც არ ჩამოგირთმევია, ისე გამეცალე. მე კი, ბენტერა, საღამომდე გელოდე... არც გამოჩენილხარ...

— მერე, შინ ვერ მომაკითხე? — გაელიმა შაქეს და კუთხის პაიკი წასწია.

— ვიყავი შინაც, მაგრამ შენმა ცოლმა არც შემომიშვა ქმრის უცნობი ნაამხანაგარი, — მიუგო ირგამ და მხედარი პაიკებს დადაახტუნა, — ღამის პირველ საათზე შენც მოხვედი მანქანით, მთვრალი, და რომ დამინახე, წადი, შენია...

— ალბათ, ვიღაცაში შემეშალე, — განმარტა შაქემ და მოკლე როკი გააკეთა.

—მესაზეედ, უკვე დედაქალაქში გადმოსახლებული და გამწესების ბიუროში მომუშავე, — მოიგონა კვლავ ირგამ, — რაღაც ჯანდაბისთვის რომ გეწვიე, მინისტრი ბრძანდებოდი მაშინ. მისაღებში მე მოგასწარი და სამსახურში რომ მოხვედი, იქ დაგხვდი მდივან ქალთან ერთად. დიდის ამბით ჩამომართვი ხელი, ერთ წამს დადაელოდეო, მითხარი.

— მერე ხომ მიგიღე, — თვალები აუციმციმდა შაქეს და ლაზიერის წინ წაწევით თამაში მიტელმპალში გადაიყვანა.

— მიმიღე არა, ფლავი, შესვენებამდე გელოდე, მერე მდივანმა შემოიხედა და იქ ვერ გიპოვა... ალბათ, გვერდითა კარიდან გაიპარაო, ამიხსნა ჩუმად, — თქვა ირგამ და ეტლი წინ დაძრა.

შაქეს ან იცის, რომ ირგა შეესაბამება აგრონომი იყო. მაგრამ რად გინდა, საცა ბეჭითი და თავდადებული შრომიანი, უხვი მოსავალი მოიწია, ბრემია და ჯილდო კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა და მთავრობამ აგრონომებმა მიიღეს, ირგა კი პირში ბალგამოვლებული დარჩა. ბოლოს ერთმა ნიჭიერმა თანამდებობის კაცმა შენიშნა ირგას მუყაითობა და სამინისტროში გადმოაყვანინა. მაგრამ ის კაცი მალე დაბალ თანამდებობაზე ჩამოაქვეითეს და ირგამაც პატრონი დაკარგა... თუმცა რა დროს ეგაა, როცა თამაში უკვე ენდშპილია.

— აბა, შენ, — დაიძახა ცოტა არ იყოს გაბარებულმა შაქემ და ეტლი აიკვანა.

— ღმერთმა შეგარგოს, — მიუგო ყოჩაღად ირგამ და კუ აიღო.

„ო, როგორ მიდის ახალგაზრდობა, დაუცხრომელი სურვილი ლომის...“ — თქვა შაქემ და მეფე წინ წასწია.

„...და ყველაფერი როგორ ნაზდება, როცა ახლოა მზე შემოდგომის“, — მიუგო ირგამ და მხედრით ქიში გამოუცხადა.

მზის სხივებმა ახლა სხვა მხარეს გადაინაცვლეს.

ირგას ზუგდიდის ფაბრიკის გამოშვებული სპორტული პიჯამო აცვია, ბოლო ფეხზე ილაკის ფაბრიკის ქედები. გასაკვირი კი ისაა, ფულადი გამოსახულებით ოთხჯერ მეტი პენსია აქვს შაქეს, მაგრამ ირგა პოზიციას მაინც არ თმობს.

ძუკუ და ძაკი

ინ-ის იყო მსუბუქი სამგზავრო თვითმფრინავი, ცხუმი-ფაზისი, ჰაერში აიჭრა და კურსი ზღვის სანაპიროს გასწვრივ აიღო, რომ ცხვირის წვერზე ჩამოკიდებული ცივი ოფლი ცხვირახოცით მოვიწმინდე, შემდეგ აქეთ-იქეთ გადავხედე მგზავრებს, რომლებიც განაბულიყვნენ, ხოლო ზოგი მათგანი გაზეთსაც ჩასჩერებოდა. მოჩვენებითი უდარდელობის ნიღაბი აშკარად არ უხდებოდათ.

ეროიც ვნახოთ, ჩემს წინ სკამმა ჭრიალი მოიღო და ზედ წამოსკუბებული მწვანეკურთუკიანი მოქალაქე უდარდელად საზურგეზე გადმოესვენა, ნებივრად მოლიცა თვალები. სკამის საზურგე მუხლებზე მომაწვა და კინაღამ სიმწრის ცრემლები მაყრევინა.

— უკაცრავად, თუ შეიძლება, სკამი გაასწორეთ, მუხლებზე ძაან დამაწვა, — ვუჩურჩულე მგზავრს. წარბიც არ შეუხრია. მე ილუმინატორში გავიხედე და პლაჟი სავსე იყო დამსვენებლებით და დავინტერესდი, მაგრამ, რად გინდა, ტკივილმა კიდევე უფრო შემაწუხა.

— უკაცრავად, სკამი გაასწორეთ, ძალზე მაწვება, — ჩავძახე ყურში მგზავრს.

— მეც მაწვებოდა წინა სკამი, — ცალი თვალი გაახილა მოქალაქემ, — იმიტომ გადმოვწიე, თქვენც შეგიძლიათ ახე მოიქცეთ.. თქვა და ისევ დახუჭა თვალი.

დავწექი კნოპს, მაგრამ სკამი არ გადაიწინაქა. რამდენი არ ვუჭხიკინე, ლამაზი სტიუარდესაც მოვიხმარე, ლიმონათიან ჭიქებს რომ გვირიგებდა, არაფერი გამოვიდა. იძულებული ვიყავი, ფეხი კედლისკენ გამეწია და რაღაცნაირად მომერიდებინა სკამის საზურგესთვის.

უცებ ჩემი მწვალებლის მეზობლად მჯდომი კაცი გადმოიხარა და ეუბნება: — ძუკუ, შე კაცო, თუ ძილს აპირებ, გავცვალოთ ადგილები, ფანჯრისკენ მე დამსვი, პლაჟს მაინც დავათვალიერებ!

— არ მძინავს მე, ვფიქრობ, ამხანაგო ძაკი, — ცალი თვალი გაახილა და ისევ დახუჭა ძუკუმ.

თვითმფრინავი ღუღუნით მიჰყვება სანაპიროს, მისი ვეება ჩრდილი სწრაფად გადადის დამსვენებელთა ცხელ სხეულებზე, კოპწია სახლების სახურავებზე, ნაპირზე მიმსხდარულ, ქვთქვითა ტალღებზე.

— ძუკუ, ერთი რამე მაინტერესებს, ბრძენი კაცი ხარ, არ დამიმალო, ბოლოს და ბოლოს ერის მეზობლები ვართ, კაცო.. ჰო, იმას ვამბობდი, ასეთი შეკითხვა მაქვს, რატომაა ჩემი ცოლი მისდღემში რომ მეჩხუბება, არ დაგიმალავ, გაჯდებაც კი მინდოდა მისი, მაგრამ ბავშვები მეცოდება, შენ კი არასდროს გეჩხუბება შენი მარგალიტა, მაინც რაშია საქმე?.. ამ კითხვის მოცემა ბეჭრჯერ მინდოდა შენთვის, მაგრამ სულ არა მაქვს მოცლა, აბა...

ძუკუმ ცალი თვალი გაახილა და თვითმფრინავის ჭერს მიაპყრო.

— რა პროფესიის ბრძანდებით თქვენ, ძაკი? — იკითხა მან.

—რა და, დურგალი ვარ, არ იცი თუ? — იწყინა ძაკიმ.

— კარგი და პატიოსანი, მე რომ ფანჯრის ჩარჩოს გაკეთება გთხოვო ორ ადგილას, რამდენს გადამახდევინებენ?

— რამდენს და, ას მანეთს, — არ დაუმალა დურგალმა.

— აბა, მე რომ ახლა ცოლთან კეთილგანწყობის წამალი გასწავლო, რამდენს მომცემ?

— იკითხა ბატონმა ძუკუმ.

— რა, ფულს ითხოვ თუ? — კვლავ ეწყინა დურგალს.

— კაცო, შენ ჩემი რჩევა შენს ფანჯრის ჩარჩოებზე იფი გგონია? — ახლა მეორე თვალიც გაახილა ძუკუმ და იგიც ჭერს მიაბჯინა.

— ესი მანეთი გინდა მოგცე მაგ რჩევისათვის? — გაუკვირდა დურგალს.

— არ გინდა და კარგად იყავი... — ორივე თვალი დახუჭა ბრძენმა.

ჩვენმა კოტა ბელურა თვითმფრინავმა ზღვისკენ აიღო გეზი და წრიპინა თოლიების თავზე გადაფრინა. სტიუარდესამ კვლავ ჩამოატარა გორგოლაჭივანი მაგიდა. ერთის მაგივრად ორი ჭიქა გრილი ლიმონათი გადავხუზე. ასევე მოიქცა ძიკიც, ნაგრამ ძუკუ არ გაალვიძა.

დურგალმა ცოტა ხანი იფრიალა თავის სკამზე, მერე მუშტში ჩაახვევა და ჰკითხა ბრძენს:

— ის მაინც ვიცოდეთ, რა ღირს თქვენი რჩევა?

— ესი მანეთი, ისიც იმიტომ, რომ მეზობელი ხარ, — მიუგო ძუკუმ. დურგალმა თავი უკმაყოფილოდ გააქნია. ერთი-ორი წუთი კიდევ იყუჩა, მერე ქუდი მოიხადა, ქოჩორა თავი ენერგიულად მოიფხანა და გადაუგდო ბატონ ძუკუს:

—კეთილი, თანახმა ვარ, გვირჩიეთ, თუ შეიძლება!

— ანაზღაურებას წინასწარ ვიღებ, — თქვა ბრძენმა.

— ფაზისში რვა წუთში ვიქნებიო, შეიკარით ქამრებიო — ბრძანა სტიუარდესამ.

დურგალმა ქამარი კარგად მოიჭიმო წელზე (ბრძენი არც განძრეულა), მერე მშვიდად დადო თავი საზურგეზე, ბოლოს ჩაიყო ხელი მარჯვენა გულისჯიბეში, ამოიღო იქიდან ტკაცინა ასმანეთიანი და გაუწოდა მეზობელს:

— აიღეთ, თუ შეიძლება!

ბრძენმა ხელის ოსტატური მოძრაობით ჩამოართვა ხელიკისფერი ასიგნაცია და საკუთარ ჯიბეში უკრა თავი.

— დურგალო ძიკი კინტერაია, — დაიწყო მშვიდი ხმით ბრძენმა, — დაცქვიტეთ თქვენნი ლეღვისფოთლისხელა ყურები და ისმინეთ რჩევა ჩემი..., ბიჭო, თვეობით რომ იკარგები და ხად არ უკაკუნებ კვერს ხოლმე, წესიერი ვითარება გგონია მაგი შენ? კი, ბატონო, დაძვრები სიძვის ქალბატონებში, მერიდა, რატომ არ ფიქრობ შენ, რომ მეუღლე დედაკაცია და ალერსი და ტკბილი სიტყვა უნდა, ა? კი, ბატონო, შენი შრომით შოულობ ფულს, ალალი შრომით, მაგრამ რად გინდა, თვეობით არ ჩანხარ სახლში... შენი ცოლი კი, ეს ცისკარივით დედაკაცი, ნამდვილად ანგელოზია, თორემ ხმამაღალი სიტყვა კი არა, შენისთანა ქმარს სულ ცხელი პანღურით გააგდებდა შინიდან...

აი, შენი ცოლის შენთან კამათის მიზეზი, ძმაო, ეგ რომ ხმა ჯობს ქალი ოფლიანია, დაგადგამდა ქორბუდას სამკაულს თავზე, მაგრამ არ არის და ღმერთს მადლობა შესწირე ამისათვის...

თვითმფრინავმა მოკლე წრე შემოხაზა და ფაზისის აერსადგურისაკენ დაიშვა. ბრძენმა ინება და გაამწორა თავისი სკამი. ჩემმა დაბუღულმა მუხლებმაც შვება პოვეს.

ტრაპზე რომ ჩამოვდიოდით, ბატონ ძუკუს ხელი შეეშვეველე და ასფალტზე ფეხის დადგმისთანავე ეკითხე: — პატივცემულო, თქვენს გონივრულ რჩევას მეც მოკკარი ყური, მე შემდეგი მაინტერესებს: ეს ცოლს, სადრეთოდ, არ ეშორდები, დღისით და ღამით ერთად ვართ, და რატომ მეჩხუბება გაუთავებლად?

ბრძენმა დაკვირვებით შემომხედა სახეში, მერე თავი გადამიწია და ეროფილი შემომწმა, ბოლოს კეფაზე დამაკვერდა და მომიგო:

— თქვენ სხვანაირი კაცი ჩანხართო, ვიდრე ჩემი მეზობელი ძიკი. ცოლი იმიტომ გეჩხუბებაო, რომ არაფერს უთმობთ, ხომ მართალია? უნდა აღიგურვოთ მოთმინებით და ათი ვარიანტიდან ცხრა მაინც დაუთმოთ, უმთავრესად მეორეხარისხოვანი რაღაცები... მაგალითად, შენიშენა რომ მოგცეთ, უცებ დაეთანხმეთ, სასულელეც რომ იყოს... ვთქვათ, ნასვამი ბოხვედით, იმან დაგიწყოთ ლანძღვა-გინება, თქვენ არ ამყვეთ არავითარ შემოხვევაში, სულ მოიმთვრალეთ თავი, ნაბორძიკდით და წაიქეცით კიდეც სიფაფუნდზე. იგი ქოქოლას დაგაყრით, გვარსა და ტილაგს ამოგიწყვეტთ, ეს გულთან არავითარ შემოხვევაში არ მიიტანოთ. დაე, მან საწოლამდე მიგათრიოთ, ქიმუნჯეც წაგკრათ ერთი ორჯერ, არა უშავს, სამაგიეროდ მთელი კვირის მანძილზე ხმასაც არ ამოიღებს, რადგან წყენილია და გინების ყულაბა დაცლილი ეკნება, ააა...

— უკაცრავად, — გავაწყვეტინე შეფიქრიანებულმა, — მე ფული ცოტა მაქვს...

— არა უშავს, — ახლა მან გამაწყვეტინა, — თქვენმა მუხლებმა ვამოისყიდეს ყველაფერი, დაბეეული ბაქვთ, არა?

— ისე რა, გაიცვლის... — მივუგე უცებ.

— აი, ძიკის ხომ ხედავთ, — ბრძენმა წინ მიმავალ დურგლისკენ გაიშვირა თითი — მაგას შინ მისვლისას დავუბრუნებ თავის ფულს. გამოვართვი ეს იმიტომ, რომ ჩემი ნათქვამი კარგად დამახსოვრებოდა, ასე ვთქვათ, ფასი ჰქონოდა...

ბატონმა ძუკუმ თვალი ჩამიკრა და დურგალს ხელკავი გამოსწია.

ხარეისო ავტობუსიც ჩამოდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველაზე უცნაური ხალხი ფეხბურთზე დადის. მათში განსაკუთრებით ბუმარები სჯობრობენ ყველას, კი, გუშინწინ, მაგალითად...

— თქვენ მართალი ბრძანდით, — მითხრა თანამოსაუბრემ, ოდნავ შემთხვევლმა — დიახაც რომ გარეშეოება თუ გაგირბენია, რაც ვინდათ, ის დადარქვიო, ზოგჯერ ისეთ რამეს გაკისრებენებს, რამდენიმე წლის გავლის შემდეგ, ის, რაც ერთ დროს თავშესაქცევი ბუმრობა ეგონა, სირცხვილისაგან გაგაწითლებს კაცს. აი, მაგალითად... — თქვა მან, მაგრამ ცოტა შეყოვნდა, თითქოს თავის თავს ებრძვისო, მერე კი ისეე განაგრძო: — ჰო, ეს ჩემს ახალგაზრდობაში მოხდა. აბა, რა ვიცოდით, თუ ამას ჩავიდენდით... მე და ჩემი ცოლი ქირით ვიდექით კაკო ყაჩაღის ქუჩაზე, დაბალ, პურის საცხობი რომ, მის გვერდით. ექვსი თვის ზოგონა გვყავდა... ორიგენი ინსტიტუტში ვსწავლობდით...

— ნაყინი, ნაყინი!.. — დაიძახა უცებ ჩვენს გვერდით მენაყინემ. მეც ორი ნაყინი გამოვაერთვი — ჩემთვის და ახალგაცნობილისათვის. მატჩის დაწყებამდე ლაშის ნებეგარი საათი რჩებოდა და ჩაყურებელიც აქა-იქ იყდა. ეს დალოცვილი ფეხიც პირდაპირ თავზე გვაცხუნებდა ალმოსავლეთის ტრიბუნის შემო იარუსზე მსხდომთ. — კაი ნაყინია, — თქვა გვერდით მჯდომმა და განაგრძო: — ერთხელ, ბავშვი ძალზე ავად გაგვიხდა. გამოვიძახეთ სასწრაფო, მოვიდა ექიმი, რაღაც წამლები გამოიუწერა და წავიდა.

— არაფერი გამოვა, — თქვა ჩემმა ცოლმა და დაუმატა; — კერძო ექიმთან უნდა წავიყვანოთ, უსათუოდ უშველის. ფული არა გვქონდა. საგონებელში ჩავვარდით. ორივენი, დიახ სახლისიდან დაწყებული და, მეეზოვეთ დამთავრებული, ყველანი რაღაც გვემართა. ბავშვს სიცხემ ორმოცამდე აუწია. ცნობილი ექიმი ზევით ქუჩაზე ცხოვრობდა, ბავშვი მასთან უნდა მიგვეყვანა, ან, უკადურეს შემთხვევაში, ექიმი გამოგვეძახა შინ. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, გროშიც არ გვიქუთია ჯიბეში... — მართლა კაი ნაყინია... ჰო, რა ფქნათო, ალარ ვიცით, რა ვიღონოთ. ქალი, მოგეხსენებათ, ჩემო ბატონო, ეშმაკზე ერთი დღით ადრეა დახადებული. ადგა ის ჩემი მეორე ნახევარი, ოთახში მაიარ-გამოიარა, შედგა, თვალები გამისწორა, მერე კი, არც ცხელა, არც აცია და მომახალა: — გურგენ, ვიღაც უნდა გავძარცოთ!

მე ყურს არ ვუჯერებდი. ისინ კი, ჩემმა ქალბატონმა, ყოველ შემთხვევისათვის, განმარტა: — გავალთ ორიგენი ერთად და აქვე, ბაღრეტთან დადგებიმთ ვინმეს, მორჩა და გათავდა, იქ ბნელა, ვერავინ გვიცნობს... პატარას სიცხისაგან ბოდვის თავიც ალარა აქვს, გატრუნულია ბეჩავი აკვანში.

ცოლმა თავშალით შეიბურა სახე და წინ ფოცხვერვივით გავარდა, თან ნაცადი ბანდიტივით ქნლები დაიბერა ხელში. ვერც კი მოვასწარი რაზის მოსაზრება, რომ იატაკის ჭიდან ხელი დავაფლე და უკან მივყე გადარეულ ჭიას. თან გულში იმედი მაქვს, ჩემს თანამეცხედრეს შეეშინდება. სისულელეებს ეშეშვება-მეთქი. მიდის და მივსდევ უკან. ერთ დიდ ბაღარს ამოეფარა. მეც უკან დავუდექ. იქ გადადიო, მითხრა და ცოტა მოშორებით მდგარ ბუჩქებისკენ მიმითითა. თან დახმინა, — ვიწყებ მე, შენ მერე გამორჩდები...

სწორედ ამ დროს, რაღაც ბედის კანონით, ზემოდან ლიღინით მომავალი ბებუკი შევნიშნეთ: „სანება მარიას" მღეროდა. ბუჩქებს ჩაუარა თუ არა, დავინახე, როგორ გამოვიდა სამალავიდან ჩემი ცოლი და ბოხი ხმით შესძახა; — ეხლავე დაიჩოქე, ლაწირაკო! საოცარი ამბავი მოხდა, ახალგაზრდა პირქვე დაემხო. — ბანდიტებო, ერთი ჯიბეები ამოუქექეთ ამ ვიბანტონს! — დაიყვირა ცოლმა. მიეკარდი პირქვედამხობილს, რაც რამ საბუთები ჰქონდა, საფულე, საათი, თუ კისერზე ჩამოკიდებული ოქროს ჯვარი, ყველაფერი ათ წამში ავართვი... შემდეგ ცოლმა ისევ ბოხი ხმით უთხრა: — ახლა ადექი და ისე მოუსვი, უკან არ მოიხედო, თორემ ტყვიას შიგ თავში დაგახლი, დამპალლოო! ბიჭმა ისე მოიცალა, თვალი ვერ მოვკარით, საათ გადაუხვია, აბა, კაცო... ეს ბიჭი და, ჩვენც, ორიგენი, დაზაფრულები და აცახცეხებულები ისე მივყეთვით კვალში იმ ბიჭს, რომ ლაშის ასფალტზე ფეხს არ ვაღგამდით, აქლოშინებულები შევეცვივნეთ შინ. შუკი არც ავვინთია. ცოლმა სანთელს მოუკიდა, მიაშუქა პატარას. საცოდავი ძლივშესამჩნევად სუნთქავდა.

— ენა არ გადაეყლაპოს, — მითხრა ცოლმა და შეეცადა ბავშვისთვის პირი გაეღებინებინა. ენა თავის ადგილზე იყო. მერე ძმარში ამოვავლეთ წინდები და ფეხებზე წამოვაცვით.

— მიდი, დარეკე ექიმთან, — შემეშუდარა ცოლი.

— დარეკვა რად უნდა, აქვე არ ცხოვრობს? — ვუთხარი და თან რაც ჯიბეში მქონდა ნაძარცვი რაღაც-რაღაცები, იქვე, იატაკზე დავყარე... ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ჩვენს წინ, ფულების გარდა, სხვა არა აღმოჩნდა რა... ერთი სიტყვით, გამოველე კარი და გარეთ გამოველ თუ არა, რაღაც შიშმა შემიპყრო და ვარჩიე ტელეფონით დამერეკა იმ ცნობილი პედიატრისათვის. ავედი მეორე სართულზე, გავადაღე ბინის პატრონი, ბოდიში მოვუხადე და მკურნალს დავურეკე. მართლაც, თხუთმეტ წუთში მოვიდა მკურნალი, ისეთი რაღაცები გაუკეთა ბავშვს, რომ საცოდავმა ნახევარ საათში თვალები გაახილა და ექიმსაც

შესცინა. ჩვენც, გულმოცემულებმა, ჯიბეში ჩაკუდეთ კარგა მოზრდილი თანხა და დიდი ბოდიშ-მადლობებით გავსტუმრეთ... ხედავთ, რა არ ხდება გაკვირვების შედეგად?

— ნაუინი!... დაიძახა მორიახლო თეორხალათიანმა კაცმა.

— ჰეი, შენ, ორი ნაუინი მოგვეცი, — დავუძახე მე

— არა, ამჯერად მე ავიღებ, — დაიყვნა ახალგაცნობილმა.

ახა. რას ვიზამდი, კაცს პატივისცემის გადახდა სურდა...

— იმედი მაქვს, მსგავს რამეს აღარ გაიმეორებდით, — მივმართე უცნობს, რომელიც სუფთა ცხვირსახოცით სათვალეს წმენდდა.

— ჰო, როგორ არა, სულ სამჯერ მას მერე. პირველად, როცა ცოლს სამსახური არა ჰქონდა და ნაძარცვი ფული სკოლის დირექტორს ჩავუდე ჯიბეში, რა არის, ჩემი კნეინასათვის დაწუღინთ ეს ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველით პარკებსა თუ კინოებში, ეკსკურსიებსა თუ ღონისძიებებზე, სულ ერთად ვიყავით. ერთ წვიმიან დღეს ამხანაგთან წამიყვანა, ჭირით იდგა მაღლა გორაზე, გიტარაზე უკრავდა და ტკბილად მღეროდა. გერონტი თუ გრამიტონი ერქვა. ის ამხანაგი ცოტა ხანში ადგა და წავიდა. ჰოდა, მოვიდა პატიოსანმული თემურაზი, არც აცხელა, არც აცივა, დამეტაკა და საწოლზე გადამაქცია. ეგრე არ უნდა-მეთქი, კკარ მუშტი სიფათში და საწოლიდან გადმოვხტი. მერე ისიც წამოხტა, დამიწყო ბოდიშების ხდა და ხვეწნა-მუდარა, მაპატიე, ეგ რა მომივიდა, თავი სირცხვილით სადღა გამოვყოო. მერე ვითომ კრუნჩხვები მოუვიდა, იწყო იატაკზე ბოხნალი. ეგრევე მივატოვე მოხოხილე. გამოვიჯახუნე კარი და წამოველ. მას მერე არაფერი გაუბედავს. არც გამოსაუბრების უფლება მიმიცია არასოდეს.

— დაიცა, ქალო, ეგ ის არ იყო, კესო რო შეირთო, მაგა რო კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჰყავდა...

— ჰო, ეგაა. სწავლითაც ძლივს სწავლობდა. მაგამ მოაწყო ტექნიკუმში. ვერც ტან-ფეხით დაიკვეხნიდა, უბრალოდ, ფულიანი იყო...

— სიმამრმაც მალე „პობედა" უყიდა თემოს, როგორ იჯგიმებოდა ხოლმე მანქანაში. საწყალი კესო ორიოდეჯერ თუ იჯდა შიგ, მაგ აფერისტს სუ სიძვის ქალები დაჰყავდა...

— დაიცა, თალიკო, მერე გიგუშა არ იყო, კიდევ რომ მოგიტაცა, ეხლაც არ ვიცი, რამ შეუშალა ხელი. შენ ხომ მოგწონდა და მოგწონდა კიდეც. ის ბიჭი, სწავლით ხო სწავლობდა, მშობლებიც ინტელიგენტები ჰყავდა, ეგრე მახსოვს.

— კი, მოგვწონდა ერთმანეთი, თუმცა სიტყვით არაფერი გვითქვამს... მაგრამ ხო გაგიგონია, — ეშმას არ სძინავსო, და მისი სახით, ეთერა მომეფლინა, თუ გახსოვს, ჩემი ჯგუფელი იყო...

— არა, არ მახსოვს, ოცდაათი წლის ამბავია, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ქა.

— იცოდა მან ჩვენი სიყვარულის ამბავი. მერე, როგორც ჩემს გასატაცებლად დაკრავებული მანქანის შოფერს უთქვამს, თურმე ეთერა შეჰპირებია გიგუშას, მე დაგეხმარები თალიკოს გულის მოგებაშიო. ესე კი უთქვამს, მაგრამ ჩემი დახმარება გულშიდაც არ გაუვლია. თავის საქმეს აკვარახვინებდა. მარცვალ-მარცვალ, დღე-დღე, დო როდესაც მოვიდა ღამი ჩემი გატაცებისა, გიგუშას მხოლოდ თვითონ დახვდა დანიშნულ ალგას. ჰოდა, წაუტირნია გველაძუას, დიდი ხანია მიუკარხარ, თუ ცოლად არ წამიყვან, აემ მდინარეში გადავხტებიო. გიგუშას შინ მშობელ-ნათესავები ჰყოლია გაფრთხილებული, ამაღამ ცოლი მომყავს, მოემზადენითო. ორპოფობაში ჩავარდნილს სხვა გამოსავალი ვერ უნახავს, მიუყვანია შინ ეთერა...

— ეხლაც იტყვის ვინმე, ნამდვილი მამაკაცები კიდევ არიანო, ჰა? თავსლაფი დავახსნი გიგუშასა, მას რო ჯიგარი ჰქონოდა, ნისლკვეთილ-ბალიანი ამოიღებდა ის კუდიანსა... გულჩვილობა რო დაატეხ და გულდედლობა, იმიტომ მოჩანგალა კიდეც ეთერამა. მეზი კი დავაყარე კიბმამაკაცებს!

— ქალო, მე ვფიქრობდი, მარტო ქალაქშია კაცები დაჩიავებული მეთქი, ახლა სოფლელებსაც შეეყართ სიზანტე-უმაქნისობის სენი, რაღა ეშველებაა სოფელ-ქვეყანას, ჰა?

— თანდათან დედაკაცები არამეევენ ბამაკაცურ საქმეებს ახლანდელ ვაუბატონებს... ადრე ვინ გაბედადა, რომელი ქალი, შარვლის ჩაკმას ან ბაპაროსის მოწეკას, ახლა კი შუბედავ მამაკაცს, ღირსეული და წესიერი რო გგონია, გაიხედავ და, ასული მოეალერსება, შვილი მისი, შარვლიანი და ულირსად გამოპრანჭული. სულ უარესი, ცოლი თუ გაუშარვლიანდა. მა მაკაცი ეთქმის ეგეთსა? ვაი მაგის თავბედს.

— გიარყვნა ქვეყანა და საშველი კი არსადაა. წესიერს ეხლა უწესო ჰქვიან, გარყვნილ-გავარდნილსა კიდეე. თანამედროვე და გემოვნებიანი... ნეტა როდემდე გაგრძელდება ეგეთი რამეები...

— მე შენ გეტყვი და, ეგენი შეილებს გაა ჩენენ ან მათი აღზრდისთვის შეიწუხებენ თავს. არა და არა, ათასგზის არა. თავად უზრდელები, სხვას როგორ გაზრდიან, საყვარელია, ღმერთმანი.

— ეჰ, წავედით, სოფო, ჩვენ კი ვეღარ მოვეხსენებით ვერც ნამდვილსა თუ არანამდვილ მამაკაცებსა, მაგრამ მაინც არა მწყდება გული. თავი ხომ ისე შევინახეთ, როგორც სინდის-ნამუსს ეკადრება, დანარჩენი კი ბედის ნება იყო. არ გავუხოვდით, ალბათ, ეგრე იყო საჭირო...

— არა-მეთქი, თალიკო. მე ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან, მამაკაცი რა არის, არ შევიცნო. ერთხელ მოველ ამ ქვეყანაზე, იქნება შეცდომა იყო, ვინმეს რომ არ გაეყვე... აი, გუშინაც მეხტუმრა ერთი. ვიცი, ცოლიანია, მაგრამ თავს ვიკატუნებ, ხელსა მთხოვს, ერთგულებას მეფიცება. სოფლელია, ქალაქში ჩაწერა უნდა. ერთი სიტყვით, ვნახოთ, რა გამოვა. თუ ძაან შემეხვეწა, გაეყვე იქნება, რასა ვკარგავ ნისლიანი მოლოდინის მეტს...

— გფიცავ ყველაფერს, გამაცანი, იქნება გატეხუუბს...

— დაე, მომატყუოს. არ შემიძლია მეტის მოთმენა... მერე ყველაფერს მოგიყვები...

— არ მინდა არაფრის მოყოლა. ღმერთმა ხელი მოგიმართოს, რა ვქნა, თავს ვერ მოვიტყუუებ. წავედი, ისევ ჩემს საყვარელ წიგნებს გაღვიფურქცავ. კიდევ ერთხელ დავწუწუნებები მამაკაცთა მზაკვრობასა და უმერხმელობაში, კიდევ ერთხელ ვიძიებ შურს მათ უსუსურობაზე.

— კეთილი იყოს და სახელოვანი შურისგება შენი, ჩემო დობილო...

— შენც გაგმარჯვებოდეს, ჩემო დაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სევდიან ჰანგზე კვლავ ქვითინებს ჩემი მაესტრო,
შავი ნიღბებით დაიღალა თეთრი კაბარე.
ძმობის მეჯლისებს რადგან ბევრი ყალბად დაესწრო
მოგონებასაც ლეთეს ტალღა გადავაფარე.

ახლანდელ ღმერთებს ვერ მივანდე რწმენა ახალი,
მარაქათაგან ბევრი გაქრა, ბევრიც დამიწდა.
ვინც გადაკეთდა, აღარ შერჩა გული ალალი,
ვის კიდევ ძმობის თბილი მადლიც გადავიწყდა.

იაფ ღიმილში ჩაშლილია თმასავით შური,
მხრებსღი ვიჩეჩავ, ნუთუ მართლა დადგა დრო ცხარი.
ნაცნობ სახეებს გადაჰკვრიათ პიზა ბითური,
მადლობა უფალს, გაოცება მრჩება ცოცხალი.

●

რა მწუხარებაც განვიცადე უწყის არავინ.
მას შემდეგ გზა რომ გაიყარა და შენ წახველი.
გატეხილ გულში გულზე დიდი დამრჩა ნაღველი.
სადა ხარ? ლამის დამავიწყდა შენი სახელი,
უშენოდ ჩემი ჩაიშალა თეთრი კარავი.
რა მწუხარებაც განვიცადე უწყის არავინ.

ძახილის დროა, ვეგებები მწუხრით ალიონს,
ხსოვნის ცრემლები წარსულ დღეთა სოლოს მღერიან.
სევდის ქუჩაზე ძველ მეტრფეებს ისევ გველიან,
გადავიწყება, ღმერთო ჩემო, საშინელია,
შენზე ფიქრები რამ მოკლას და რამ გადალიოს,
ძახილის დროა, ვეგებები მწუხრით ალიონს.

გადავიღალე, მოლოდინის შემკრეს ხუნდებმა,
ამ გრძნობით მსურდა გაცივებულ დროსთან მედავა,
შენი ხელებით გული ჩემი დიდხანს მეკავა.
ძველი ფიქრები კვლავ მოჰქრიან წასალეკავად,
ოღონდ წარსული, ფრთაშეჭრილი აღარ ბრუნდება.
გადავიღალე, მოლოდინის შემკრეს ხუნდებმა.

ბედი ცბიერი გაჩენილა ჩვენდა საცილოდ,
შეაწყდა სიმი მომღერალი ლერწამის ღერებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულის დაფაზე ისევ ვხატავ მგლოვიარ ფერებს,
ჩვენი შეხვედრა კვლავ მოხდება არყოფნის მერეც,
მანამდე სევდა მუდმივ საგზლად გავინაწილოთ.
ბედი ცბიერი გაჩენილა ჩვენდა საცილოდ.

●

დროის გადაძოვნილ კორდებიდან,
ცრემლს რომ აუვსია გუბურები,
ყველა მოგონებას ვშორდები და
ყველა მოგონებას ვუბრუნდები.

ვიცი ახლა დარდი აუგია,
რადგან ქიმერაა ძველი ხატი.
თმენის ქარბორიოს წაუღია
ჩემი ოცდაექვსი წელიწადი.

რაიც სიკვდილივით მწამდა უწინ
ყველა გამხდარია საცნაური.

ყრმობის ბილიკებზე წამდაუწუმ
დავალ პოეზიის აზნაური.

მწარე ფიქრის ტყეებს წყენით ვუმზერ,
სადაც მეოცნებე ცა დამიწდა.
ვაი, ღიმილიან გაზაფხულზე
თეთრი ყვავილები დამავიწყდა.

სული მარტოობამ გადარია,
მღვრიე სიყვარულით ნატაცები,
აღარც შორეული ნანაია,
აღარც მეამბოხე ძმაკაცები...

●

კარს წარსულისას აძევს ლოდები,
გულს მოლოდინი სამარედ ექცა.
მთელი ცხოვრება გიახლოვდები,
მაგრამ დღეს შენგან მაშორებს ზეცა.

წვიმები დამღლელ ნოტებს მღერიან
და მე სევდიან ყოფას ვბარდები.
და დასანანად გადაფრენილან
წეროსფრთიანი წელიწადები.

დრომ მოგონების ლამაზი წუთი
ჩაუმქრალ ცეცხლად ააკიაფა.
მე სიყვარულმა დამადო ხუნდი
და მოთმინების კარზე მიმაბა.

ოცნების ფარდა ვინაც ასწია,
ის მუდამ ბორგავს ღამე ნათევი.
გული ჩიტივით არის პაწია,
მაგრამ ყველაფრის არის დამტევი.

მე ჩემი თავი მომპარეს ფრთებმა
და მისცეს ცისფერ ვარდების სურნელს.
ამურის ღმერთთან პირისპირ შებმა
რამხელა ომი ყოფილა თურმე.

და მაინც ჩემი ცრემლის წვიმები
აწყობენ მზეზე ნაცნობ სურათებს,
რომ შეინახოს გულმა იმედი
დასაწყისიდან დასასრულამდე.

გიორგი გიგაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტ **გიორგი გიგაურს** დაბადების 60 წელი შეუსრულდა, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

ნისლის სასთუმალი

ჭერხოში ჩუმად შემოდის ნისლი,
გულზე მაბიჯებს თეთრი ქოშებით,
ემშვიდდები,
ლოგინს ნისლისას ვიშლი,
ნისლის სასთუმალს დავემგოსნები.
და შენი ლანდიც გაკრთება უმალ,
ამამეტყველებს ღვთიურ მშვენებით, —
არც ჰო,
არც არა,
ბაგენი სდუმან,
არც მიბრაზდები,
არც მეფერები...
მოდი, შევხედოთ
ერთურთს სხვა თვალით,
ნისლის ფთილებიც გვქონდეს ზიარი,
ბავშვის გულივით ვიყოთ მართალი
და ყვავილივით ვიყოთ მზიანი.
შენს ერთგულებას ლამაზად შევძლებ,
სიყვარულს ახალ სიმს გავუმართავ
და გაზაფხულის სიმღერა შეძრავს
ნისლს მონანავეს ჩვენს სასთუმალთან.

●

არ გიგონებდე არ არის წამი,
არ მომენატრო არ არის წუთი,
ხარ ბალახებზე დაყრილი ნამი,
ფართქალა ბარტყი არწივის ბუდის.

უძირო ზეცა,
მიწა აყალო,
სიამის წყარო,
სულის ოცნება,
ჩემთვის კი, მართლაც, მთელი სამყარო,
უნდა მაცოცხლონ შენზე ლოცვებმა.

●

როს ფინიშამდე ცოტაღა დარჩა
და ჩემი წლები მდორედ მიდიან,
ვამოწმებ განვლილ გზასა და გარჯას,
სიხარულიც და სევდაც დიდია.
... თუმც ფინიშამდე ცოტაღა დარჩა,
ბლოღილისაკენ მიჭირავს თვალი,
ჯერ მის ბილიკზე სიკვდილი არ ჩანს.
იქნება შევძლო გადახდა ვალის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ ვამიწყრები

შემომეყარე გზის დასასრულთან,
შუადღის სიცხით
დამწვარ მინდორთან,
ოი, რამდენი ხანი გასულა,
დღეს შენი ცეცხლი რაღად მინდოდა.
მაინც ვეცდები, ამაღლდეს ძალა
ემაგ თვალების არ დავიწყების,
წმინდა ხატივით გილოცავ მარად,
ოღონდ ლოცვისთვის ნუ გამიწყრები.

სურათი

მტკვარზე ნისლი იწელება,
ბამბასავით იწეწება,
ნისლით ლექსი იწერება
და სხივებით იხვეწება.

ფერადი ტყის ათინათი
ციცინათელებად ნათობს,
ალამაზებ მთათა ქათიბს
ლიკანურო განთიადო.

შაშვი ფიჭვის ტოტზე გალობს,
შველი ხევ-ხევ მოცქრიალებს,
ბუერებში გარბის წყარო
ფანდურივით მოწკრიალე...

შემოდგომის განთიადი
შემოცურდა მტკვარზე ფრთხილად,
ნისლის ფთილა მთაზე ადის
და მწვერვალზე იდებს ბინას.

●

წყალი აკლია შენს ძირძველ წისქვილს,
არც სარეკელა რეკავს გაბედვით,
ეს არის გეზი წვისა და წინსვლის?
ჰა, მეწისქვილევ,
ხომ არ დაბერდი.

უნდა აუწყო ნაბიჯი ნაბიჯს,
გზა მისცე არაგვს მოვარდნილს
ბროლად,
ჩამოაშორო უსახო ქაჯი
ღარს და სარუეს,
ხვიმირს და დოლაბს...
და სათავისო წყალსაც მიხედე, —
წილკერძს სხვის ღარში ნულარ მიუშვებ,
იფარიკავე,
კიდეც იმხედრე
და გადმოჰკიდე ფარი ჭიუხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ ხოჭოლავა

უშენობის პირველი თოვლი

ო, დღეს უშენოდ მოვიდა თოვლი,
ათოვს ყველაფერს....
...ყველაფერი ირგვლივ მდუმარებს...
არ ათოვს მხოლდ ხსოვნას შენსას,
ჩემგან ასე სათუთად მოვლილს...

ო, დღეს უშენოდ მოვიდა თოვლი!

●

ვარ ზაფხულის სურნელით სავსე,
შენზე სურვილებს კვლავ ვიკლავ ასე
ლექსების წერით
და ბედისწერით...

●

არიან დღენი,
ბოროტს ვებრძვი, სიკეთეს ვნატრობ,
უშენოდ დილა თუ თენდება, თენდება
რატომ?

არიან დღენი,
სულს მიწამლავენ შხამით და გესლით
სიტურფეს ჩემსას წლები არ ინდობს,
ჩემი არ გესმის.

არიან დღენი
გულში მირევენ ორლესულ ხანჯლებს
ვიღაც თანდათან სიკვდილზე ფიქრებს
მაძალებს, მაჩვევს.

არიან დღენი
სიცოცხლე მზეობს და სული მღერის,
ზეიმობს მზე და ნაცნობი მზერა...
არიან დღენი.

ასე ცოტა ხნით
ზეიმს მზისას ვინ, ვინ უშველოს,
დავდივარ ქვეყნად გულმოკლული...
ისევ უშენოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედშრომა

იასონი ლოგინიდან წამოდგა, შუქი ჩართო და სკამის საზურგეზე გადაკიდებულ შარვალს მისწვდა.

— სად მიხვალ, შე კაცო, ამ დილაუთენიან? — ჰკითხა ცოლმა. იგი საწოლში წამომჯდარიყო და აჩეჩილ ჯადარა თმას ისწორებდა.

იასონი ამ დროს ტყავის მაღალყელიან ჩექმებს გულმოდგინედ ირგებდა.

— ძველ სამსახურს ვუბრუნდები, — კბილებში გამოსცრა მან. — უნდა დაველრიჯო უფროსს, იქნებ აღმადგინოს...

ცოლმა შეშფოთებით შეხედა. თავდაპირველად გაბუმრებაც კი დაეპირა, უნდოდა ეთქვა, ჭკუაზე ხარ, ხომ არ შეიშალეო? — მაგრამ დროულად შეიკავა თავი, იგრძნო, კაცის სიტყვებში სახუმარო რომ არაფერი იყო.

— კი მარა, ის საქმე დაამთავრე? რას იტყვის ი ხალხი, თავი მოგვეჭრება, სირცხვილია!..

— სიამლოვესაც ალარ გავეკარები იმ არემარეს! დანახვაც ალარ მინდა მათი! — მკვახედ მიუგო მან ცოლს.

ქალს ისევ მოადგა სათქმელი: „რა შეგძინა მა სამსახურმა? ოცდაათი წელია თავი შეაკალი!“ მაგრამ კვლავ დუმილი ამჯობინა, რადგან კაცი აფორიაქებული იყო და შეიძლებოდა მთელი ვარამი, რაც გულში ჰქონდა, მასზე გადმოენთხია.

იასონმა თავზე ქუდი ჩამოიფხატა და კარის სახელურს წაეტანა ხელი.

— მეცა, ადამიანო, წაუხემსებელი არ წახვიდე! — ქალი ლოგინიდან ადგა, მაგრამ ვიდრე თავსაფარს მოიძვედა, კაცმა ვიწრო დერეფანი გაიარა და კარი გაალო, სახლში სიცივე და თითქოს თოვლის სუნიც შემოიჭრა.

იასონი ეზოშში გავიდა. თოვლი მუხლებამდე სწვდებოდა. იანვარი იდგა. ყინავდა და დილის სუხი სახეს სწვავდა. თბილი, დაბამბული ქურთუკი ეცვა. მოლულშული მიაბიჯებდა; დაბალი, შავგვრემანი, ჯმუხი და მხრებგანიერი. დიდი თვალები და კეხიანი ცხვირი ჰქონდა. ულვაშები აქა-იქ შეეფერცლოდა. დაფაჩარული წარბები ზშირად უთამაშებდა... სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკს გასცდა და ავტობუსების სადგომისაკენ გაემართა. დღის ნათელმა იმატა; მთებს იქით, ნისლში, ამდგარეული, ღრმონისფერი მზე გამობრწყინდა. უეცრად იასონის წინ შავმა „ვოლგამ“ ჩაიქროლა და გზის პირას გაჩერდა. საიდანღაც უეცრად გამოჩნდა ქალი და მანქანისკენ გაეწართა. ფრთხილად, მოხდენილად მიიკვლევდა გზას ფხვიერ თოვლში, ტყავის პალტო და შინდისფერი ჩექმები ეცვა, მკეთრად მორკალული წვრილი წარბები ჰქონდა, ხანდამიანი პირისახე და თხელი ნესტოები. ჭუთუთოები და თვალის უპეები ლურჯად გაეღება, ტუჩებზე სისხლისფერი პომადა წაეცხო. ძძლოლმა მანქანის კარი სწრაფად შეუღო. ქალმა მალულად მიმოიხედა აქეთ-იქით, პალტოს გრძელი, ბეწვიანი კალთა მუხლამდე კოხტად აიკეცა და სწრაფად ჩაჯდა მანქანაში. იასონმა ბოლმით სავსე თვალებით გაგეხა ადგილიდან ელვისებურად მოწყვეტილ „ვოლგას“. მერე ჩამომდგარ ავტობუსში ავიდა და ფანჯარასთან დაჯდა...

●

იასონი სამშენებლო სამმართველოში მუშაობდა. ხნარს და ბეტონს ეზიდებოდა ჯინით, ხანდახან კალატოზებსაც შველოდა, გულით შეჰხაროდა, როცა აგური აგურს ეწყო სართული სართულს ემატებოდა. ქალაქში, — ბაგა-ბაღებს, სკოლებს, ფაბრიკებს, ქარხნებს, და მრავალსართულიანი სახლებს მშენებლობებში მისი მოკრძალებული წვლილიც ერია, გულმოდგინედ აკეთებდა თავის საქმეს. მართალია, მუშაკაცს ცხოვრების ბერ-ვარამი არ დაელევა, მაგრამ მისი წუწუნი არავის გაუგონია, ამხანაგებთან და უფროსებთან არასოდეს დაუჩივლია; სამი თვის წინ კი, ადგა და, სამსახური მიაბოლა. ყველაფერი ძალიან უბრალოდ მოხდა: იმ დღეს მისი ბრიგადა ავტოკარხნის ახალი კორპუსის მშენებლობაზე აგურის კედელს აწყობდა. ირგვლივ ყურისწამღები ხმაური იდგა. რახრახებდა ბულდოზერები, გუგუნებდა თვითმცლელი ავტომანქანები...

— ხსნარი შემოგვაკლდა, ხსნარი! — აქაკანდნენ კალატოზები. მათ მუქლურჯა წინსაფრები ეკეთათ და ცემენტის ხსნარში ჭაფჩებს მარჯვედ ატრიალებდნენ.

— ადე ზევით, ბიჭო, გეუოფა დასვენება. — დაუცაცხანა იასონმა აგურების გროვაზე ჩამომჯდარ ახალგაზრდა მუშას.

— კარაქვიათი ულაპავენ ხსნარს, ეგ ოჯახქორები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლაილაი არ იყოს, აბა, ყოჩაღად მოჭკიდე ხელი! — თქვა იასონმა და კირის ხსნარით სავსე ჯინთან ჩაიმუხლა. ცემენტში ამოგანგლული ბრეზენტის მოსასხამი და ყელიანი რეზინის ჩექმები ეცვა. თავზე უხეში ტილოს ქუდი ეხურა.

იასონი წინ მიდიოდა. ხელები ღონივრად ჩაეცალო ჯინის სახელურებისათვის. იდაყვებამდე სახელოებდაკაბიწებულს დაემიულ მაჯებზე ძარღვები ამობურცოდა, მძიმედ აბიჯა ფიცრებისაგან შეკრულ ქარგალზე, ხარაჩოზე დაჭანებულად რომ იყო აუუდებული.

ხარაჩოზე ინჟინერი აეიდა.

— მაინც არ გეუფრებათ ჩემი, — მკაცრად თქვა მან, როცა ნამუშევარი დაათვალიერა, — ხომ გითხარით, წუობა ყოველ მეხუთეზე გადაკეტეთ-მეოქი: ან, ეს განაწიბურებაა? როგორც შეასრულებთ სამუშაოს, ხელფასსაც იმნაირს გამოგიწერთ! — და ბარაზებული ის იყო დაბლა ჩასვლას აპირებდა, რომ უცებ რაღაც გაახსენდა, შედგა, ტაფვის ჯუბის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, იასონისკენ შებრუნდა და კილოშეცვლილი ხმით უთხრა:

— ჰო, მართლა, ბუღალტერმა დამაბარა, იასონის განაწესს არ გავუშვებო; საეკიმო კომისიას ერთი წლით მეორე ჯგუფში გადაუყვანიხარ.

იასონი შეკრთა, რატომღაც დაიბნა და სამუშაოთა მწარმოებელს უმწეო გამომეტყველებით მიაჩერდა.

— აბა, რა ვქნა, სად წავიდე, ინვალიდობის პენსია უშველის ჩემ გაჭირვებას? — შეეკითხა და ამბავიც ჰკედან დაიწყო.

— საშუალო თვიური გამომუშავება რამდენი გაქვს?

— სამასი მანეთი.

ინჟინერმა თავი უკმაყოფილოდ გააქნია.

— ჰო, ვერაა სახეირო ამბავი.

— წამაშველეთ ორი სიტყვა, ბატონო! გული ძველებურად მერჩის; ფეხს ვუმკურნალებ. ერთი ათი დღე ბიულეტენზე გავალ.

— ბუღალტერი არ იზამს; თვე არ გავა, რეკვიზიამ რომ არ შეამოწმოს! — ინჟინერმა სიგარეტი გააბოლა, თან მხრები აიჩეჩა, — წადი ხვალ დილით სამმართველოში, შედი უფროსთან, აუხსენი მდგომარეობა...

უფროსის სამუშაო ოთახის მოსაცდელში რამდენიმე მუშა იდგა; ლამაზი, ფაქიზად ჩაცმული ქალიშვილი საბეჭდ მანქანასთან საქმიანობდა. როცა უფროსი გათავისუფლდა, ახალგაზრდა მუშებმა იასონს რიგი დაუთმეს. მდივანმა ის კაბინეტში შეაცილა. ოთახში ერთმანეთზე მიდგმული ორი მაგიდა და რამდენიმე სკამი იდგა, უფროსი ტელეფონზე ლაპარაკობდა, იღიმებოდა და თეთრად მოჭიმული კბილები მოუჩანდა.

— გისმენთ, იასონ! — უთხრა მან მისალმების შემდეგ მაგიდასთან სკამზე ჩამომჯდარ მოხუცს და ყურმილი დადო.

— გაჭირვებამ მომიყვანა თქვენთან, უფროსო, გაჭირვებამ! ბუღალტერი განაწესზე ხელს არ მიწერს, რით ვირჩინო თავი!

უფროსმა ყურადღებით შეხედა იასონს, მერე ზარის ღილაკს თითი დააჭირა.

მდივანმა კარი შემოაღო.

— კადრების ინსპექტორს დამიძახე!

მალე ოთახში პირხმელი, ხნიერი კაცი შემოვიდა.

— დაბრძანდით, მიხეილ, — მიმართა მას უფროსმა.

ახლადმოსული იასონის მოპირდაპირე მხარეს დაჯდა.

— მიხეილ! თუ ხვდები რაშია საქმე?

— მგონი კი, ბატონო!

—მერე? კაცი ამდენი ხანია ჩვენს ორგანიზაციაში მუშაობს! უნდა დავეხმაროთ!

— მე რა შემიძლია, მეორე ჯგუფის ინვალიდია. სამედიცინო კომისიის დასკვნას ვინ შეცვლის! მძიმე საქმეზე ვერ ვამუშავებთ!

— იოლი საქმე მოვუნახოთ! კომისიის დასკვნაში მითითებული იქნება, სად შეიძლება მისი გამოყენება.

— მართალი ბრძანდებით! ნამდვილად ასეა! — თქვა კადრების ინსპექტორმა და ჩაფიქრდა. — ეგ, შეიძლება, საწყობში გაგგზავნოთ, შტატი გვაქვს ერთი, სულ იოლი საქმეა, გამგეც წაეხმარება, რა თუმანი ხელფასი ექნება...

— რას ამბობ, კაცო, რას! შენ მირჩენ ცოლშვილს?! — წამოხტა იასონი, — ას ოცდათორმეტი მანეთი მეყოფა თვეში? ცოლი... დედა... ორი შვილი... გოგოა და, აგერ სკოლას ამთავრებს, ბიჭი ცოლშვილიანია, მუშობს, მარა, ახლა ავადაა, საავადმყოფოში წევს, პატარეი იმასაც ხო უნდა მიხმარება... ამდენი სარჩენი... ყველაფერს ცეცხლი ეკიდება... რა წყალში ჩავვარდე? ისედაც ვალებში ვიხრჩობი; სახლი არ მივარგა და კარი, ხეირიანი სკამი არა მაქ...

სიჩუმე ჩამოვარდა.

— უხედური შემთხვევა წარმოებაშია მომხდარი? — იკითხა უფროსმა მცირე ხნის მერე.

— არა.

— ასაკის პენსია როდის ეკუთვნის?

— ორი წლის მერე.

— ჰო... გართულდა საქმე, — თქვა უფროსმა და იასონს შეხედა, — მეტი დახმარება ჩვენ არ შეგვიძლია, კანონი რომ დავარღვიოთ, პასუხს ადმინისტრაციას მოსთხოვენ.

— რახან ასეა, კარგად ბრძანდებოდეთ, კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გად ბრძანდებოდეთ, ბატონო, კარგად ბრძანდებოდეთ! — იასონმა აცახცახებული ხელით ქუდი თავზე ჩამოიფხატა, სკამი გასწია გვერდზე და გულმოსული ბუზღუნით გავიდა გარეთ.

შინ აღელვებული დაბრუნდა. ცოლი მაშინვე მიხვდა, რადაც ფათერაკი რომ იყო ქმრის თავს და მანამ არ მოეშვა, ვიდრე დაწვრილებით არ გამოჰკითხა ყველაფერი.

— ისეთ გეუბნებაზე ვარ, დანა რომ დამარტყა, სისხლი არ გამომივა, — ამოიხვნეშა ბოლოს იასონმა.

— ხომ გეუბნებოდი, მიანები თავი-თქვა! ხელობა არ გივარგა თუ? რო დაგეჯერებინა ჩემთვის, ა, ასე ეშონდი ფულს, — მან პატარა, ნაჯაფარი ხელი ყელთან გაისვ-გამოისვა.

— გაჩუმდი, მარიამ! თუ ქალი ხარ! შენი ბეუტერის თავი მაქ? — უკმაყოფილოდ მიუგო ცოლს და პირსაბანთან მივიდა, — დედაჩემი რავაა?

— რავა იქნება, მომკლა მაგისმა წუწუნმა, ახლა, გვერდები მტეხავსო... მაგი არაფერი, ლამარიე მოვარდა წედან გულამოგლეჯილი, ბუჭუტიეზა იმფერი წამალი გამოუწერია ექიმს, გადამყიდველებთან თუ იშოვიო, უთქვამთ. ფული არ მყოფნისო, — მითხრა; რა უნდა მექნა, გადავედი მეზობლებში...

— ამასაც თუ უფასო მკურნალობა ქვია და... — ჩაიბუზღუნა იასონმა და ხელი ჩაიქნია, — ე ფეხი მიანც რა ჯანდაბად შემომიჩნდა, დამწვარზე-მდუღარეო, ეგია!

ქალი აღარ გამოლაპარაკებია, ნაქარგი თავსაკრავი მაგრად წაიკრა თავი, გაზქურაზე, ჩაიდანი შემოდგა და ოთახი მიალაგ-მოალაგა; როცა კაცმა ხელ-პირი დაიბანა, სუფრა უკვე გაწყობილი იყო.

— მოდი, ისადილე! — გასძახა ქმარს.

კაცი სუფრას მიუჯდა, ღუმელში გაფიცხებული ჭადი აიღო და ამოლესილი ლობიოში ჩაფშვნა.

— ნუ იდარდებ მაგაზე, იასონ, იმკურნალებს, მალე კარგად იქნები, უიმედობა მტერს მიეცა, — ქალი ყველს ჭრიდა, თან დათბილული ხმით ელაპარაკებოდა ქმარს: — ხო იცი, რამდენი რამე სჭირდება ოჯახს! ცოტას მივდგებოდ-მოვდგებით, ხალხს ყბაში რატომ უნდა ჩავვარდეთ...

იასონმა ტუჩიან დოქს ჩაავლო ხელი და წყალგარეული ღვინით ჭიქა აავსო.

მარიამმა ყველი დაჭრა და იქვე, სკამზე, ფრთხილად ჩამოჯდა.

— საქმის მეტი რაა, შე კაცო? იხვეწება ხალხი მუშახელს, აგერ კუკურიე როა, გადაღმა ქუჩაზე რო ცხოვრობს, ხილის წყენებში მუშაობს, რავა არ გეცოდინება, მაგის გოგო ჩვენ ციცინოსთან სწავლობს. ერთ ჯგუფში არიან; პა-პა-პა, რა მდიდარია... ციცინოს ნათქვამს გეუბნები ახლა, ქალიშვილს „ლაიკის“ პლაშჩი და — „დუბლიონკაო“ ატარებს სკოლაშია...

— ძალიან აქებენ მა კუკურიეს ცოლს, ბოლო სიტყვა კბილებში გამოსცრა იასონმა, — დღესაც დავინახე, მანქანაში რომ ჩაუჯდა...

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, — ხი ტყვა გაიწყვეტინა მარიამმა ქმარს, — არაა მაი, შენი საქმე... ჰოდა, იმას გეუბნებოდი, რემონტი აქ კუკურიეს სახლში, წაუკარი ხელი, რა მოხდება; რა ხანია ციცინოს პირით შემოთვალა, — მომეხმაროს იასონიო; იმნაირი კაცია, ფულზე არ გალაპარაკებს.

... ორი თვე იმუშავა იასონმა კუკურის ოჯახში. ყველაფერი ცოლ-ქმრის გემოვნებით გააკეთა; აქაოდა, ჩეხური კაფელია ამობურცული და შეასწორეო; ანაზანაში გრანიტის ფილები ფაქიზად გააწყეო; მოკლედ, წელებზე ფეხს იდგამდა, რომ მათთვის ესიამოვნებინა. ბოლოს საქმეს თავი დაადგა და ერთ საღამოს ანგარიში გაასწორეს. იასონს ბე წინასწარ ჰქონდა აღებული. რაც, რა თქმა უნდა, საერთო თანხას გამოაკლეს. ფული ჯიბეში რომ ჩაიდო, იასონმა ოჯახი დალოცა, ერთი ჭიქა ღვინო დალია, ხელსაწყოებს თავი მოუყარა, ფუთაში გამოკრა, იღლიაში ამოიჩარა, მასპინძლებს დაემშვიდობა და კიბისკენ წავიდა. ის იყო ეზოდან გადადიოდა, რომ უეცრად მოაგონდა, სამზარეულოში, ბუხრის გავარზე ქაფრა რომ ჰქონდა შემოდებული და უკანვე შებრუნდა. აივანზე ავიდა თუ არა, ოთახის ღიად დარჩენილი კარიდან ხმადაბალი ლაპარაკი შემოესმა, საკუთარი სახელი გაიგონა და ამიტომ შეჩერდა. კუკურის ხმა იყო:

— ... ამოიჩემე, — იასონს გავაკეთებინოთო, მეზობელიაო... უცხოს მანეთში ოთხმოც კაპიკს ვუანგარიშებდი, რატო უნდა მეზარალა, ვეღარ შევეჯაჭრე. მაგათ ყბაში მტერი ჩავარდა... მთელ უბანს შემოყრიდა, კუკური მეწვრილმანეაო!..

— ნუ ბრაზობ, გენაცვალე! შემოგვლებია თაზე მა კაპიკები. ჩვენთვის ეს ზარალი ზღვაში წვეთია და მაგათ კი წაადგებათ, საწყალი გოგო მათხოვარივით დაუდის სკოლაში...

იასონს მოეჩვენა, თავში ერთბაშად ავარდნილმა სისხლმა საფეთქლები გაარღვიაო; თვალები ნაღვერდლებივით აენთო და მისდა უნებურად კარებს მიაწყდა.

—ვინ არი მათხოვარი? აჰა, თქვენი ნაოხრალი ფული; ფუ, შეგარცხვინათ ღმერთმა!..

ფული კარის ზღურბლზე მიუყარა და კიბეზე თავქვაღმა ფრენა დაეშვა;

— ის გირჩევნია, კუკურია, შენ კახპა ცოლს მოუარო, „ოლგებით“ რო დაგაფშვიალებენ

იაკობ პაპიაშვილი
ბელღურები

ალმა-დალმა! — ჭიშკარის გადალმიდან დაიძახა იასონმა და სახლისაკენ მოიცალა.

რასაკვირველია, ეს სიტყვები არავის გაუგონია.

●

... ავტომუსიდან ჭავჭავაძის პროსპექტზე, პიონერთა და მოსწავლეთა პარკთან გადმოვიდა. გზა პარკზე გადაჭრა, ჩაფიქრებული მიახრაშუნებდა გაუკვალავ თოვლს, არ იცოდა, როგორ შეხვდებოდნენ სამმართველოში, ერთხანს შედგა კიდეც, ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, წასულიყო თუ არა. დაიხარა, მუჭით თოვლი აიღო, შუბლი მოისრისა და იქაურობას თვალი მოავლო. ხეთა კენწეროების თავზე, ღრუბლებს შორის კრიალი გაჭქონდა ალაგ-ალაგ მოწმენდილ ცას. კედარის, კვიპაროსის, ფიჭვისა და ტუიას ტოტებში ბელურები შეყუჟულიყვნენ; დროდადრო ისინი ტოტებიდან აფრინდებოდნენ, ერთ-ერთ მოედებოდნენ მიდამოს, აქაიქ თოვლსაც ჩაუნისკარტებდნენ, უეცრად ერთი ბელურა იასონს მიეტანა, ხელზე ჩაუნისკარტა და იმწამსვე უკან აფრინდა. იასონს ჯერ გაუკვირდა. მერე უეცრად რაღაც აზრმა გაუელვა გონებაში, შებრუნდა და სირბილით გავარდა პარკიდან: რომ დაბრუნდა, ხელში მოზრდილი პური ეჭირა. პური დატეხა და ნაფშვნენები ხეების ირგვლივ ვერცხლისფრად მოელვარე თოვლზე მიმოაბნია. თვითონ შორიახლოს გადგა. მცირე ხნის შემდეგ ჯერ ერთი ბელურა ჩამოფრინდა, ფრთხილად დაჭკრა ნისკარტი ჩამოფრინდა, ფრთხილად დაჭკრა ნისკარტი ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და მალე თეთრი მდუმარება ბელურების ყივილ-ხივილმა გამოაფხიზლა. კარგა ხანს უსმენდა იასონი ხიდან-ხეზე მოფრთხილე ჩიტების გამაყრუებელ გნიასს და ფიქრობდა, რომ სულ ახლოს იგრძნობოდა გაზაფხულის ლბილი სუნთქვა...

აუჩქარებლად ჩაათავა გადანამქრული ხეივანი. თოვლით დაფარულ შემაღლებულ ქვაყრილზე ლიანდაგი გამოჩნდა. იასონი საოცრად გახალისებული იყო, იმედიანად გამოიყურებოდა. მსუბუქად გადავიდა ლიანდაგზე. მორკალულ გზაზე სატვირთო ავტომანქანები მოძრაობდნენ, პირდაპირ, ვრცელ ეზოში, ორსართულიანი შენობის გვერდით, მაღალი ხიდური ამწე მუშაობდა, ტვირთი გადაჭქონდა. აქ მისი სამშენებლო სამმართველო იყო.

იასონი კიბეზე ადიოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამბარალ ბობულოვი

(ყირგიზეთი)

პოეტის სიკვდილი

ალიყულ ოსმანოვს

მოკვდა პოეტი
    მეგობრების გასაოცებლად
და მან ჩახედა უდარდელად
    სიკვდილს თვალებში,
გამოუხურა კარი მრავალ
    ფიქრს და ოცნებას
და გაემგზავრა უცხო მხარეში...

მორჩა! — თქვა მისმა მეგობარმა, —
    უკვე დასრულდა
გრძელი ზღაპარი ტკბილად ნამღერი,

ის ვინც გიყვარდა სიდიადით,
    ჩვენგან წასულა,
არ ეშველება აღარაფერი...

მოკვდა პოეტი,
    (ასე ქრება წვიმაში ცეცხლი!)
ჩაქრა,
    ჩანავლდა, რაზეც სწუხდა,
        რაზეც ხარობდა,
და ახლა, როგორც
    გარდასული სხივი სიცოცხლის,
ისევ გვამხნევებს იმ სამყაროდან...

●

წინ მეგებება ქარიშხალი,
ნისლი და დელგმა
და ღამე ელვით გადასერილი;
მე თქვენ მახსოვხართ, ძვირფასო,
    ყველგან
და მახსოვს
    თქვენი მწარე წერილიც...

მანდ,
    სადაც ახლაც ჩიტებივით
        თავისუფლები

თრთიან ქედები
    ქარში შთენილი
და სადაც ზეცას
    ნაფლეთები მარტის ღრუბლების
ჩამოუწყვია მთებზე ფრთებივით

პირველყოფილი სიწმინდით და
სინათლით სავსე
ვიცი მომელის შენი აული,
როგორც ამ ბნელი ღამიდან დახსნა
და სიყვარულის დღესასწაული...

ალიყულ ოსმანოვი — ცნობილი ყირგიზი პოეტი, (1915-1950) შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის“ მთარგმნელი. ოსმანოვისეული თარგმანი ექვსჯერ გამოიცა ყირგიზეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმარი

ზოგჯერ შემზარავს უცხო სიზმარი, —
თითქოს მსოფლიო იწვის ხანძარში:
მთები,
კლდეები ქცეულან ფერფლად
და მათზე დარდი სულს მიწიოკებს...
ზზე ბინდს მოუცავს
და უკუნეთში
ძეხორციელს ვერავის ვხვდები,
ქვეყნიერებას ემუქრება
ქვესკნელში შთანთქმა...
უკვე ჩამქრალან ვარსკვლავებიც
და ბნელი ღამე
აგავს დახავსებულ სასაფლაოს,
სად სულიერი არასოდეს გაიჭაჭანებს...
დაშრეტილნი ოკეანენი,
მთები დაშლილან
და ბუღით მოცულ უდაბნოში
ზოგჯერ იელვებს მოწვივილე
ქვეწარმავალი...
ულრან ტყეებზე იკლაკნება
ცეცხლის ენები
და ველ-მინდვრებზე შავი კვამლი
წვება ბელტებად...
ნუთუ ეს არის აღსასრულის
მოახლოვება?
და შვილებზე,
მრავალტანჯული დედამიწის
შურისძიებაც?
თუ ყოველივე სიზმარია მხოლოდ და
მხოლოდ?!.

თარგმნა ბალათარ არაგულმა

გოდერძი გოდერძიშვილი

ისევ ფერეიდანი...

როცა პირველად ვნახე და სახეზე შევხედე — ჩემი სოფლელი, გიორგიწმინდელი მეგონა. ფერეიდნელიაო, მითხრეს. ავტოშემკეთებელ ქარხანაში ვმუშაობდით. მას შემდეგ კი თორმეტი წელი გავიდა.

როგორღაც მალე დავმეგობრდით. მერე მის მეზობლად მივიღე ბინა და ამან უფრო დაგვაახლოვა.

დღესაც მე და რამანა ერთად ვმუშაობთ ავტოსატრანსპორტო საწარმოში. თვითონ ბატონი რამანა იშვიათი პუნქტუალობითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევა, რამანას გაცდენილი სამუშაო დღე იშვიათად გაახსენდება ვინმეს; ისიც, თუ გააცდენს, წინა დღით საგანგებოდ ეწვევა საწარმოს რომელიმე ხელმძღვანელს და ეტყვის მიზეზს. მე მგონი, საერთოდ არ ყოფილა, რომ რამანამ სიტყვა არ შეასრულოს. ონიკაშვილია გვარად, იქ, ფერეიდანში, სოფელ მარტყოფში უცხოვრია.

იქნებ მისი წინაპრები ჩვენი მარტყოფიდანაც იყვნენ ან იქნებ, აქვე, სადღაც ახლოს ცხოვრობდნენ — სადაც დაბარუნა ბუნების ძალამ და ჩვენი ერის ხელმძღვანელთა მცდელობამ და ზრუნვამ.

რამანა ონიკაშვილი ელექტროშემდუღებლად მუშაობს საწარმოში.

ხანდახან ვიხუმრებ: სადაც ისეთი კაშკაშა სინათლეა, კაცი რომ თვალს ვერ გაუსწორებს, რამანა იქ არის-მეთქი. ეს ხუმრობა საფუძველს მოკლებული არც არის: იშვიათი სიმართლის და სიწმინდის კაცია ბატონი რამანა.

დღეს შაბათია. ხუსხიანი დილაა; მაგიდას ვუსხედვართ მე და რამანა. მაგიდაზე რვეულები, საქაღალდეები, კალმები, გაზეთები და საფერფლე აწყვია.

მე ვეკითხები — ბატონო რამან, ბოლო წლებში ჩვენთან თქვენი — ფერეიდელი ხალხის მიმართ, რაღაცნაირი უნდობლობა დაიბადა იმის გამო, რომ ფერეიდანიდან ჩამოსული რამდენიმე ოჯახი ისევ ირანში დაბრუნდა და როგორ ახსნი ამ მოვლენას, რა მოხდა, რაში საქმე და რა არის ძირითადი და მთავარი მიზეზები-მეთქი...

— ამათ წასლა, ვინც რო წაიდა, რო გითხრა სიმართლეე, პირველ მიზეზი და პირველ ამბავი ეს იყო — კაცი რო აიწეწოს და რო დაიწეწოს, სანამდე შეეგუოს — ძალიან ძნელია. ხოდა, მეორეც ისთე, რო აქა რწმენა იმდენად არა ჰქონდათ თავიან სამშობლოსი, ეტყობა, არ უყვარდათ სამშობლო. თუკი ჰყოფვებუოთ, როგორი ცუდიც რო იყოს — არ უნდა დაიმტოვო და წაიდე.

...აქაც მოხდა რაღაცა პატარა-პატარა შემოხვევები.

აი, მაგალითად — ზოგიერთ ადამიანი, თითო-ოროლა ადამიანები ამ ნამდვილ ქართველებს ეძახიან თათრებს. ამაზეც გული დაიჭწყდათ და ბევრი ეს მიზეზები შაიყარა, შამაიყარა და... გადაწყვიტეს წასლაა.

და თუ აქ რამე არ მაისწონდათ — პატარა, პატარა — მე მაგალითი მოვუტანე...

კაცს ოჯახი როო, კედელი რო გატყდეს, ან ჭერი რო გაიბზაროს და რემონტი მოუნდეს, ეს უნა გაარემონტოს თუ უნა გაიქცეს; უნა გაარემონტოს, არა? — მეკითხება. კი ბატონო-მეთქი — ვპასუხობ. — ხოდა, ამ ამბავზე აღარ იფიქრეს, რო ეს თავის ოჯახია, თავის სახლია, სამშობლო, დიდი ოჯახია და იგივე ოჯახია. ამას ფიქრი არა აქ. ხალხი თავის ოჯახის წვერია; ეხლა შეიძლება ზოგიერთიც მახინჯი გამოიდეს იმათში, არ არიი... გამორიცხული. სუ ყველგან ეგრეეა. ადამიანი საერთოდ ესეა.

ხოდა, ამით შეიჰცდეს, ბატონო გოდერძ, ნამდვილად შეიჰცდეს. ეხლაა, რაც დრო გავა... უფრო გაიგებენენ.

თავრომაა.. კარგი თავრობა არი. ყველაფერრჩი ხელი შეგვიწყო, ყველაფერრჩი ყურადღებას გუაქცევენ, მეტი რაა უნდა, მეტი რა გუნდოდა

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

მართალს ლაპარაკობდა ბატონი რამანა. დიდი ზრუნვა და ამაგი დასდეს ერის თავკაცებმა ფერეიდნელთა ოჯახებს.

სამწუხაროდ, ყველამ ვერ დააფასა.

წავედით ფიქრში ორივე.

ფანჯრიდან მოფუსფუსე სტუდენტები და ავტობუსები ჩანდა, იყო ხმაური და რთველის სადღესასწაულო განწყობილება.

რა იქნებოდა — ყოფილიყვნენ ისინიც აქ, ჩვენს გვერდით. მათ ჩამოსვლაზე რამდენი ენერგია, დრო, სახსრები, შრომა დაიხარჯა, რაც მთავარია, ნდობა დაიხარჯა და, სამწუხაროდ, ფუჭად...

რამანა კი განაგრძობს:

— ა ეხლაა, ჩვენ გარაჟში ხო ვმუშაოფ არაა, სუყველა ხოო მიცნობს, ხოდა, რანაირადა ვმუშაოფ, რანაირად ვიქცევი ხალხთან და როგორი ვარ მე, არავის არ ვაწყენინეფ, რა საქმეც უნდა, არ დამეზარება, ხოდა, რამდენჯერ მინახნია რო — რიის ქართველები, რაა ქართველები — თათრებიაო.

თქვენზე უთქვამთ? — შევაწყვეტინე.

ჰოო! არა... მინახნია კაცო!

სიჩუმე ჩამოვარდა და რამდენიმე წუთს — საათის წიკწიკი და მანქანების და ბავშვების ხმა იყო ჩვენი მოსასმენი. მერე დუმილი ისევ რამანამ დაარღვია.

— ხოდაა, იმ-რეზომაც თქო ამ თავის წასლებშია, შეეკითხეს, რაღაცეები შეეკითხეს, იმანაც კარგადა თქო, მაგრამ არ დაფიქრდა, შედეგს არ დაადაფიქრდა. იმანა თქო როო... მირჩევნიაო... ირანჩი გურჯი დამიძახონო და საქართველოჩი — თათარი არაო.

ხო, ამაჩი მე არ გავამტყუნეფ ამ კაცს, მაგრამ იმაჩი გავამტყუნეფ, რო არ დაფიქრდა, აბა, ვინ იყვნენ ის ხალხი, ვინც იმას თათარს დაიძახოდეს.

ხოო, კარგი ბატონო-მეთქი, ვერთვები ლაპარაკში, გასაგებია-მეთქი, ახლა ეს მითხარი, როდის გაიგე ფერეიდანში პირველად, რომ შენ ქართველი კაცი იყავი-მეთქი.

წავიდა ფიქრით ბავშვობაში.

— ესე იგი, ბატარობით როცა თვალი გავახილე და გრძნობა მემეცა და გაგება, გავიგე რო, ლაპარაკი გავიგეე, ენა რო ამოიდგი, მაშინ გავიგე, რო ქართველნი ვართ და საიდან ვართ.

ეხლა როგორ იყო... ღმერთმა აცხონოს ბაბუაჩემი, ძაან... კარგი ქალი იყო, ძალაზე ტკბილი ქალი და გემრიელი, ...ღმერთმა აცხონოს. ხოდა, ეს მეფერებოდა, ერთეულა შილი ვიყავ, მეფერებოდეს, უმამო, ობოლი და უფრო მეტად მანებიარებდეს.

ხოდა, ეგ რო მიმდეროდა, შვილოო, ჩვენ ქართველები ვართო და როცა იქიდან ხალხს მოიპრეკდესო, ჩიტი მოდის ამ უკან, ამ ხალხის უკანო და მღერისო, რო არ გაიმთათრდეთო.

ღმერთმა აცხონოს ბაბუა; აი ასეთი ჩაგონებები; აი, მაგალითად: იმ ბაბოსგან მე გამიგია: დილასაო ადრე ადექი, მზე უნდა ამოიდესო, ხოდა, მზეს უყურეო. ეს მზე საქართველოდან ამოდისო და ერთიაო, შენ რო ჰხედავო, იცოდეო, რო იმ დროს საქართველოს ხალხიც უყურებსო და მზე ერთია აქა და იქაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი იცოდეს ბებუაჩემმა ჩვენი ისტორია, ყველაფერი.

ხოდა, ერთ რამემაც ხელი შაუწყო ამ ხალხსა.

საქართველოდან, აქედან ორმოც წელჩია, ოც წელჩია, მაინც ერთი კაცი ჩამოდიოდა ფერეიდანჩი. ხოდა, ამის მაგალითია ლადო ალნიაშვილი: იმ კაცმა ისეთი საქმე გააკეთა, ისეთი დიდი საქმე გააკეთა, გმირული საქმე გააკეთა, რო ისეთი გაგრვებით ჩამოიდა, ...ფულით, ისე გაუჭირდა, უარაღებთან და თელი ამბავი გადაიარა თავზე და მაინც მიახწივა და მოიდა ფერეიდანჩი. ხოდა, მემრე წიგნი დაწერა, ხო იცით ის წიგნიც, ხო გაგებული გაჭთ.

ხოდა, ამის შემდეგ იუნეს, ბევრი ჩამოიდა, ცხონებული გურამ პატარაია-ამამ დიდ საქმე გააკეთა ქართველ ხალხსაო. საერთოდ, თავის ერსათი და უფრო მეტათ... ფერეიდნელ ხალხსაი.

ხოდა, ჩვენი ხალხი, ვინც იქ არი, ისეთი სიყვარული აქ საქართველოსი, ისეთი ლაპარაკი, ისეთი ამბავი და... აქ რო ჩემოედით — ამ ხალხმა რაღაც სხვანაირად გადაიქნა. ხო იცნოფ თითოოროლა ხალხსა.

კი ბატონო-მეთქი, ვპასუხობ.

ისევ აგრძელებს ლაპარაკს — უვარგისულად მოიქცეს.

— იქ როგორ იყვნენ აქაური ქართველების მიმართ განწყობილი — კარგათ, არა? — ვეკითხები.

— იქ ძალიან მაგრათ, იქ ძალიან მაგრათ. და საერთოდ, ირანის ხალხიც — გურჯს... პატისა ჰცემს. და საერთოთ, სოფლიოში გურჯის პატივსა ჰცემენ და გარეთ რო არიან, უფრო მეტათ მაგრებია.

და მე მგონია, რო ჩვენი წინაპრულ ამბავიც და წინაპრობა, აქაურ რო ვიყავით და შახ-აბაზის ლაშკარი და ის ლაშკარები რო დაგვეცეს ფაა... გადასახლება და ამბავი მოხდაა... ეს იყო რო, ერთგულნი ვერ ვიყავით. ერთიმეორესთან ვერ ვიყავით კარგათ.

ერთი სპარსულ ანდაზა არი. შხამიან გელი რო ხეს დეეხოს, რამდენი შხამიც რო დასხას, ამას ვერაფერს ვერ უზამს და პატარა ბოა რო თავის ფესვიდან გაჩნდება — ამ უზარმაზარ ხეს წააქცევს.

— გასაგებია. თავისი ფესვიდან, არა? — ვეკითხები.

— თავის ფესვიდან! — მტკიცედ მპასუხობს რამანა.

— თან აქ ეხლა, იცი, რა არი? — ისევ აგრძელებს ლაპარაკს — შეიძლება რო; აქ მე ეს რასაცა ვგრძნობ, ამას არც ერთი ქართველი არა ჰგრძნობდეს. იქ სუყელა უცხოა, ხოდა,

ერთი მუშა ქართველია, ამ ქართველმაც ერთი-მეორე არ შეიყვაროს და არ უყორდეს — არ გამუა; მე აქ რო ჩამოელ, ისე გახარებული ვარ, ისე გახარებული ვარ, რო სუყელა ქართულად ლაპარაკობს. ჩვენ ხო ეს არ გვინახნია. ეგეთი რამე არ გვინახნია.

მინისტრთან მიხვალ — ქართველი, რაიკომის მდივანი — ქართველი, დიდი — ქართველი, გლეხი ქართველი, პატარა ქართველი, აი სუყველა რო ქართველია და შოფერი, მაგალითად, რო გაილი ჭუჭაზე — ქართული ლაპარაკი, ისეთი გრძნობა, ისეთი სითბო აქ ამბავსა, რო მეტი არ შეიძლება.

ვუყურებ ამ ორმოცდათხუთმეტ წელს გადაცილებულ ფერეიდნელ ქართველს, და მისი თვალებიდან ერთდროულად გამოკრთის: სიმართლე, სიწმინდე, თავდადება და სიხარულის ნაპერწკალი — რომელსაც წამი უკლია და სიხარულის ცრემლად იქცევა. ორივე ფიქრებში წავედით. რამანამ სიგარეტი მოძებნა ჯიბეში; მტკიცე მოძრაობით ამოაძრო ერთი ღერი და მოუკიდა; ისე მოუკიდა, ჭუჭაში, ქარში და წვიმაში რო უკიდებს კაცი შუალამისას, გრძელი ნაფაზი გაუშვა ჭერისაკენ და ისევ დაიწყო:

— რა უნდა თქოს იქა, — იმან, იმ კაცმა, რო აქეთ გადავა, — რა უნდა თქოს... წაველ საქართველოჩი, ცუდი იყოო — ეს უნდა გადაიტანოს? შეიძლება ეგეთ ამბავის გადატანა? მითუმეტეს რო აქვ... არ არი ცუდი... ეხლაა რაც არი — ჩემია, კარგია თუ ცუდია — ჩემია. იქ რაა, რა უნდ უთხრა, ვის უნდ უთხრა. მაშინ მეც მითხრეს, შენაც წამოდიო. იმათ საელჩოს ბრძანება იყო და უნდოდა რო ბევრი ხალხი წავიდეს, ესე იგი, მოწყვიტოს ეს კავშირი და ჩაშალოს ეს გზა. ხოდაა, მე უთხარ რო, კი ბატონო, მეც მოალ-მეთქი, მაგრამ... ერთ რამე მასწავლეთ, ირანში რო გადავალთ — რა ვთქო-მეთქი, იმ ხალხს რა უთხრა, იმ სისხლთა მტერ ხალხს რა უთხრა—იმას რო გამოვქცევივარ, იმან რო მამა-პაპაა... — და აქ რამანამ ერთი გესლიანად, მწარედ ჩაიცინა თავისთვის უნებლიეთ, მერე ისევ გაგრძელა, — ჩემ მამა-პაპა დაჩაგრა — იმას რა უთხრა, უთხრა-მეთქი, რო საქართველო ცუდი იყო? თუკი ქართველი ვარ, როგორ ვიტყვი და როგორ წავალ. პატარა-პატარა ლაპარაკს ხო გაქცევა არ უნდა.

— სწორი კაცი ხარ-მეთქი, ძმაო, — ერთი ისთი ამოვიოხრე უნებლიეთ, — სიჩუმე რომ ჩამოვვარდა — ჩემი თავი შემეცოდა.

— მხოლოდ, — განაგრძობს რამანა, — ვინც ამათ თათრებს ეძახოდეს — ისინი ყველა მტერია. აეხლა მეე, რაღაც საქმეზე დავდივარ, პენსიის ამბავზე. ხოდა, ისეთი ხალხი შემხდეს, ისეთ ხალხებთან მოველ, როო... ძალიან დიიდი იმედი მამეცაა... ქართველობაზე-დაცა... პატიოსნებაზეეე... ზოგს როო ნამდვილი სისხლი უდგაა... გაუხარდება კაცსა.

ბატონო რამან-მეთქი. — კი ბატონო, გენერალო. — იქიდან წამოსულებს რამე ხომ არ დაგაბარათ იქაურმა ხალხმა, თუ გახსოვს-მეთქი. თვალები გამოუცოცხლდა, სკამზე შესწორდა: — ეეე... გამოსვლის დროს ჯერ იქა, ფერეიდანის სიღნაღში წაველით, ბატკანი დავკალით, ხოდა იქ ვიღაცები მოიდეს ახალგაზრდა ბიჭები და... მგონია მოგიყევ, არ მოგიყევ, არა? — არ მახსოვს კარგად-მეთქი. — ხოდა, იმათ შევეპატიჟეთო, ცოტა სასმელი გუქონდა, რაღაცეები და მივეპატიჟეთ. მოიდეს ეს ახალგაზრდა ბიჭები. თქვენაო, გურჯისტნელები ხართო? გურჯისტანში მდიხართო? — და კიო. ხოდა, ამით ჩვენზე ერთი ბებერი კაცი მოვიდა ჩვენთან, დაახლოებით სამოცდა ათის წლისა; გლეხი, დატანჯული, გამხდარი, შავი... ესეც მოვა ჩვენთან. ხოდა, ეხლა ეს კაცი უყურებს; ამ ახალგაზრდებმა თქეს, რო იქიდან ტრაქტორი გამოგვიგზავნეთ, რო ეს მიწები კარგად დავამუშაოთო. — ჩვენები არიან, არაა, იისნიც, ქართველები-მეთქი, — ვეკითხები. — ქართველები, აბა რაა... სიღნაღელები. ხოდა, მე ამ კაცს უთხარი: ბიძაა, რას გვაბარებ-მეთქი, სამშობლოჩი რო მივიდვართ-მეთქი. ამამ დაიწყო ტირილი... და — შვილოო, მეო, იმდენი სიცოცხლე აღარა მაქო, აღარ მიწერიაო, რო მე მგონიაო, რო მალე მოვკვდებიო, ვეღარ მოახწევ იქამდეო და აღარც ეკონომიური ძალა მაქო და ვიციო, რო ვეღარ მოალ იქაო; ესე ვიციო, მაგრამ თუ შეიძლებოდეს — ერთი მუშა მიწაო, იქაური მიწა გამომიგზავნეთო, რო სიკვდილის წინ გულზე დავიყაროო. ემაზე დიდი საჩუქარი და დიდი ამბავი არ იქნებაო.

მეორე სიგარეტი ამოაძვრინა კოლოფიდან რამანამ. მოიტა რა, ერთი, ძმურად, მეც მომაწევინე-მეთქი: კოლოფს მიწვდის, მერე ასანთსაც მიკიდებს .

გასაგებია, კარგი ბატონო-მეთქი ვეუბნები. ეს ხიდი ჩატყდა მორალურად. შევრცხვით ღმერთთანაც, ხალხთანაც და ერის თავგრობასთანაც-მეთქი. ახლა ეს ხიდი რომ გავაშრთელოო, რა არის ამისათვის საჭირო-მეთქი. რამანამ კერპად, ჯიუტად გაიღიმა და დაიწყო:— ეს ხიდი... არ ჩაწყდა, არ არი ჩაწყვეტილი. აი, ის ურწმუნოები რო ჩამოიდეს პირველად — ვინც მერე აქედან წაიდა — რო გადმოიდნენ— ხიდი დაიდეს. რაც ის ნაძირალებმა ილაპარაკონ — ეს ხიდი უფრო მაგრდება. ხალხი გადმოა აქა, ოღონდ ეხლა — თავგრობამ მიიღოს; მე ეხლა ვიცი, როო დაახლოებით ერთი ორახი ოჯახამდინ — დაახლოებით, მზად არიან რო გადმოიდნენ. თავგრია, დუგუჯეროს ერმა, ერის თავგრობამ, ხალხმა. ჩვენც შუგუკითხონ, ვინ მოდის იქიდან. ჩვენ ვიციო, ვინ არი იქ ჩვენი. საქართველოჩი ყველი იწევს, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ELIBRARY.GEO

რამ ნამდვილი სამშობლოს მორწმუნე ხალხი სჭირდება დღეევანდელ დღეს და მერე ზუალეს უფრო მეტად. — მტკიცედ, ჯიუტად აფერფლებს სიგარეტს და ისევ მივდევარით ფიქრებში ორივე.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. — აი, ოჯახის შექმნა როგორ ხდება? სიყვარულით ერთმანეთში თუუ... გარიგებით დაა... არ მასვენებს ღმერთი.

— არაა, სიყვარულით და დედ-მამის თანხმობით. აი, მაგალითად, ეხლა გოგო რო შემოყვარდა... ამ ჩემ დედ-მამა ხო უფრო კარგად იცნობს, ვინ არი, რა არი... თუკი დედ-მამამ თანხმობა არ მომცა — ამას ვერ მიიყვანს. ძალებურად, როგორც აქ ყოფილა. ხოდა, მერე ეს ნიშნობაც ესეთი, რო ექსი თვე აუცილებლად წინასწარ, ესს... ბალგა დაადგა...

— ბელგა, ხო?

— ხო, ბელგა. ხოდა, ეს ბიჭი და გოგო ერთიმეორესთან მივლენ, მოვლენ, მისლა, მოსლა, როგორც და-ძმა ჯეერ... ხოდა, მემრე თუ დათანხმდეეს, — კი ბატონო, ქორწილი ჩატარდება.

— ესე იგი, ექვსი თვე უყურებს ბიჭი.

— ხოო რაა, ნახვენ ერთი მეორის ხასიათს.

— ქორწილი როგორ არი?

— ქორწილი ჩვეულებრივად. როგორც აქ. დაიპპატიჟვენ ხალხს, ხოდა, ხალხი მოვა, მოგროვდებოს. ჯერ ნათესავები, ჯერ ხალხი და... ქორწილია... ხოდა, ეხლა ჩვენი, იქაურ ხარჯი ცოტა მეტია. ეხლა აქ... ერთ დღეზე წყდება საქმე. იქ ჯერ საუზმეზე დაიპპატიჟვენ ხალხს. სადილზე; ხოდა, ეტეკინ, რო დღეევანდელ მიზეზი ეს არიი... რო ეს ბიჭი და გოგო უნდა... გავარიგოთ, შევარიგოთ, დავაქორწილოთ. ხოდა, ამაღამ ქორწილია, მობძანდით სუყელაა... თან მიეპატიჟებიან, თანაც პურს ჭამენ.

ამ საღამოს წვალენ და გოგოს მაიყვანენ. ესენი დასხდებიან თავის ტახტზე, როგორც მეფე და დედოფალი, ხოდა, ამაღამ ქორწილი ჩატარდება; — ჩვეულებური, როგორიც აქა. ხვალ იქნება კიდე საუზმი. აოენებენ დილამდე. კიდე ერთიი, სადილსაც აძლევენ იმ ხალხს; სადილზე ვინც მოდის, საჩუქარი ამ მეორე დღეს მოდის ამ ქორწილ ღამეს არ მოდის საჩუქარი. ხო, ზოგი ფულით, ზოგი ტანსაცმელით, ზოგი რაღაცა-რაღაცას მიატანს. ხოდა, ამ მეორე ღამესაც ქორწილია, მაგრამ ხალხი აღარ მოდის იმდენად. დაღლილია ხალხი, ორ ღამეს ხოო... დასვენება უნდა.

— ქორწილში ღვინოს სვამენ?

— ღვინოსა სამეენ? ხომეენ ახალგაზრდები. ხნიერებს ცალკე ადგილი აქვთ. ისინი ტკბილეულს, ლიმონათს... ლაპარკობენ ისე ტკბილად...

— ღვინო არი, არა, ჩვეულებრივად? ვენახები გქონდათ?

— ეხლა ამ ბოლო დროს უგუკრძალეს დაწურვა.

— ჰომეინმა თუ შაბმა?

— შაბმა, კაცო! არა, ეხლა ჰომეინიმ ფულიან აკრძალა. სუუ...მთლიანად აკრძალა. მაშინ... სხოგან კეთდებოდა დაა... მაგალითად — მაღაზიიდან შეიძლებოდა იყიდო, შამაიტანო და დაიმლეივო. შახის დროს დაწურვას აღარ გიშვებდეს. აი, მაგალითად, მე მქონდა ბადაგის ქარხანა... ხოდა, ამ ქარხანაჩი რო ღამეში როო... ხუთჯერ, ექსჯერ არ დააკონტროლონ, ეს ქარხანა როო — ყურძენი იწურების და ვაკეთებდით იქ რაღაცეეებს — რო ეანდარმერიამ არ დაამოწმოს — არ შეიძლებოდა. ხუთჯერ, ექსჯერ მოდიოოდეს, ხან ოთხ საათზე, ხან ექს საათზე; რა ვიცი.

ხოოდა!.. ჩვენ არ გვიშვებდეს ღვინის დაწურვას. მაინც მე ვაკეთებდი, როგორც იყო, ვაკეთებდი.

კარგი... ახლა რა არი; ჩვენთან რომ ქორწილი დაიწყება, კაცო, ახალგაზრდები, ახალგაზრდებიო და ისე ხდება, რომ ხანში შესული ხალხი და მოხუცები თითქმის უადგილოდ რჩებიან. ფერეიდანში როგორ არის?

— არა! ფერეიდანში ეგრე არ არი! ფერეიდანში ჯერ მოხუცი ხალხი, ხნიერი ხალხი როა — უნდა დაბინავდეს. ესე იგი, თუ ადგილი არა გააქ, უნდა ახალგაზრდები ადგნენ. ახალგაზრდობასაც უფლებას არ აძლევენ, ერთ ხნიერთან დაჯდეს ან ისუმბრონ. ეგეთ რამე არ შეიძლება. ეხლა აქაა... — ჩაიცინა უნერვულად, — აქაა, რო მიხვალ, სავსეა ბავშვებით...

— ბავშვები, თორემ ახალგაზრდებს რა უჭირს, — ბავშვები ხხედან და ადგილი არ არი, რომ მიხვიდე და დაჯდე.

— აეხლა, ჩვენ ერთი ბიძა გვყავანდა... დურმიშხანი; ბიძაა... ძალიან მაგარი კაცი იყო. ცოტაა... ნერვიული იყო დაა... მაგარი კაცი იყო. ხოდა, ქორწილი სანამ დაიწყებოდა, — ეს ამ კარჩი იდგა. ჯერ უცხო უბნებიდან რო ხალხი მოდიოოდა — ისინი უფრო წინ უნდოდა დასხას; ეხლა ჩვენებური ხალხი, ჩვენი გვარის ხალხი რომ მოვიდოდა — ამასს აბინავებდა. ბავშვებს ცალკე ოთახი, ცალკე ადგილი დაა... სუ არ ირეოდეს ხალხი. ერთმანეთში, სუ არა.

— ქალები ხულ ცალკე? — ვეკითხები.

— ქალებიც არა; ქორწილჩი ერთად ვიყავით.

— ქალები სვამდნენ ღვინოს?

— ქალებიც თითოოოროლა. მეფე და დედოფლის სადღეგრძელოს.

— საქართველოს სადღეგრძელო ისმება ქორწილში? — ვეკითხები.

— აბაااა!?

— მერამდენე.

— ეხლა გეტყვი. სუ პირველად — ამ მეფეპატარძლისა; მეორე — შვიდობა; მესამე — ჩვენი წინაპრები, ვინცც... ეს დიდი გზა გადაიარა და გაუბედურდა; მეოთხე — საქართველოს სადღეგრძელო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თამადობა არის თუ, ვისაც რა სადღეგრძელო უნდა, იმას იტყვის?

— არა, თამადობა არი, მაგრამ იმ თამადობაჩიგაც უფლებას აძლევენ ხალხს. ვისაც რა უნდა — იტყვის.

— რამანა ძია, ფერეიდნელის ქორწილში არ შეიძლება რომ სპარსელებიც იყვნენ? — ეკითხება საუბარს შემომატებული თემური.

— კი, როგორ არა, მხოლოდ ისინი ღვინოს არა სმენ.

— ესეიგი ისეე... სმენ, რო ჩვენ არა ვნახოთ. თან სპარსელს ვინ დაიმპატიჟავს, კაცო!

— არა, შემთხვევით, ისე.

— ხო, შემთხვევით ეხლა ერთი-ორი რო დაჯდეს, შეიძლება. ეხლა აგე, ჩვენ თათრები გვყავს ძმაკაცები,აგე სომხებიცა გვყავს ძმაკაცები; ხო შეიძლება, რო იქაცა ძმაკაცობენ ქართველები იმ სპარსელებთან.

— ქართველის გარდა არავის ვპატიჟებდით, არა? — ჩაილაპარაკა რამანამ.

— ბატონო რამან... — ავწრიალდი მე.

— გისმენ, ბატონო.

— მე გამიგონია, რომ ერთმა ფერეიდნელმა ახალგაზრდა კაცმა, სპარსელი გოგო მოიყვანა ცოლად; ამ მიზეზით მამამ სახლში არ მიიღო და მერე მესამე დღეს ქალები გადაუხადაო; მართალია?

— ეხლაა... რა ვიცი, ესე ლაპარაკობდნენ და, ალბათ, ეს ამბავი მართალიც იყო და, თუ მართალი არ იყო, იმისთვის იყო მოგონილი, რო ფერეიდნელი ახალგაზრდმა გაფრთხილებულიყო.

— აბა, როგორ იყო, მოყევი მოკლეთ; შეგაწუხე კია.

— არა უშავ. მეცა მსიამოვნობს, რო თქვენ გაინტერესებთ იქაური ამბავი.., როგორ იყო. ბიჭი თურმე თეირანს მუშაობდა და იქაც ცხოვრობდა. ბინა ჰქონდა იქა. ხოდა, ერთი... სპარსელი გოგო შაიჰორვეებიყო და ამ გოგოს თანახმობით... მეეყვანა ეს გოგო ცოლათა. და ჩამოიდა ფერეიდანში მშობლებთან. მამამ რო ეს ამბავი გაიგო თუ რამე იყო ბიჭისა, დაბარგა და გაგზავნა უკან ეს თავის შვილი და უთხრა: მეტად აღარ მოხვიდე აქო, ფერეიდანშია; ნუ გამიმწარებ სიბერეს, ცოცხლად ნუ დამმარხავ და ემ ხალხთან, ემ ქართველ ხალხთან ნუ შემარცხვენო. წავიდა ეს ბიჭი, რაღას იზამდა; მეტი რა გზა ჰქონდა. მეორე, მესამე დღეს ამ მამამ ხალხს მეეპატიჟა. ხალხმა ხო არ იცოდა, რა უთხრა მამამ შვილსა და ამათაც იფიქრეს, რო ქორწილიაა. შამოუსხდეს სუფრას და ნახეს სუფრაზეეე... კორკოტი და რაღაცები მკვდრის წესზეგა. ატყდა ჩურჩული, მითქმა-მოთქმა, ციხვა-პასუხი და ემ მამამ გამოაცხადა რო — მე შვილი მამიკვდაა; აღარა მყავ ცოცხალი, სპარსელი გოგო მიიყვანა, აქაც აღარ მოვა და ეს იმის... ქალებიაო. ეს იყო რაა.

— საერთოდ, ქართველ კაცებს მოპუყავდაან სპარსელი ქალები ცოლად?

— საერთოდ, ირანჩი... ფერეიდანშიც და თვითონ ირანშიც, წესი არის — ქმარი არი ოჯახის უფროსი და როგორც ამას წმენა აქ და გაგება, აუცილებლად ეს ოჯახიც უნდა გადაკეთდეს ესებურად.

ქართველმა კაცმა რო სპარსელი გოგო მიიყვანოს ცოლად, გოგო სუ ივიწყებს თავის რჯულზედ ყველაფერსა და მეექცევის ამ ქმრის წმენაზე, გაგებაზე და წინაპრობაზე. ამის რჯულზე, ესე იგი.

თუ ქართველი გოგო სპარსელს გაიპყვა, ამამაც უნდა ესე გააკეთოს. ამიტომ იყო შემთხვევები, რო ჩვენებმა სპარსელები მიიყვანნეს ცოლად, მაგრამ ქართველი ქალი სუ არ მივეცით სპარსელსა, სუ არა.

...და სპარსელი ქალიც არ არი ცუდ ქალი. კულტურული, თავდაბალი, შეგნებული, ცოდომადლიანი და ადამიანი. რო გითხრა, სპარსელს ვინც მიიყვანს ცოლადა — დაისენებს მთელი სიცოცხლე... მაგრამ ჩვენ მაინც ვერიდებოდით ამ ამბავსა. რა ვიცი... ნაციონალისტობაც არ გვიყვარდა ჩვენა, მაგრამ არც შეეეთქიფებოდით არავის. ესე იგი, ვიყავით ჩვენთვინა რაა. ხოდა, სიყვარული, ერთგულება, ადამიანობა, გატანა, სიმტკიცე, პაპიოსნება და ყველაფერი, მაგარი და კარგი იცის სპარსელმა ქალმა.

სპარსელებიც, თითონ — არ არიან ცუდი ხალხი. იმ ძაღლსა, შახ-აბაზსა, თითონ სპარსელებიც აგინებდნენ და ჭწეკელდნენ. ის საფლავეძაღლიც ხო სპარსელი არ იყო. თურქი იყო, ყიზილბაჩი...

დაზამთრდა. რამანას სახლის საქმეები გაუტკბა. იშვიათადღა ამოდიოდა ჩემთან, სახლში. შაბათს საღამოს ზარი დაირეკა. გავაღე კარი, — რამანა. დავსხედით. არა ცივა გარეთ, მაგრამ შიგნით სითბო მაინც გატკბა. მიყეგვით, მოვყეეთი, ჩაი დავლიეთ. ბოლოს ისეე ფერეიდანში წავედით.

— ბატონო რამან, — ვეკითხები, — საიდან ჩაისახა თქვენი წამოსვლის აზრი აქეთ. აი, როდის დაიბადა იდეა, რომ შეიძლებოდა აქეთ წამოსვლა და იმ მზადებას აზრი ექნებოდა და შესაძლებელი გახდებოდა საქართველოში ჩამოსვლა. რანაირად მოხდა ეგა?

— ეს... აზრი და ფიქრი, რო გითხრაა, რო გადასული ჩვენი მამა-პაპა და იქ ძალიით დასახლებულა, ერთი სამასი, ოთხასი წელის წინ, — სუ ეს აზრი ყოფილა — დღემდე, სუუ სურვილი ჰქონია, რო როგორმე მოხდეს, — წაიდე სამშობლოში.

ხოდა, ამ აზრთან ერთათ, სტალინის დროს

იქ ჩამოიდა ერთიანი... ჯგუფი, დელეგაცია ქართველებისა. ქართველები იყნენ, რუსები იყნენ. ჩამოიდეს და წამაიარეს გარეშემო მთელი ფერეიდანი და სომხებიც... გაიცნეს. სომხების სოფლებიც გაიცნეს და ქართველებისაც.

ხოდა, სტალინი აპირებდა ამ ხალხის ერთნაირად აღებას და გადმოყვანას, იმ სოფლების გადმოტანას. აჰა. ფერეიდნელი ხალხი სუ უნდოდა, აქ დაასახლოს... სომხებიც უნდოდათ, მარტო ქართველები კი არა. ხოდა, მერე არ ვიცი, რა მოხდა, რო სომხები გადმოიყვანეს და ჩვენ არა. ჩვენ დავრჩით.

— სტალინის დროს მოასწრეს გადმოსვლა აქეთ?

— მააშ, კაცო!

— სომხებმა?

— ხო.

— და სტალინის დროს არც ერთი ქართველი არ გადმოსულა?

— არც ერთი ქართველი არ გადმოსულა.

— სომხები რამდენი კაცი გადმოვიდა დაახლოებით, ხომ არ გახსოვს?

— მაშინ?

— კი.

— მაშინ დაახლოებით ერთიი, ხუთი-ექვსი ათასი.

— კარგი, კაცო!...

— მაშ! ერთიი... გითხრა — მეტიცა.

— სომხებიც შაჰ-აბასის გადაყვანილები იყვნენ იქით?

— ამბობენ შახ-აბასის გადაყვანილნი ვართო და ჩვენნ... მე არ ვიცი იმათ ისტორია.

ხოდაა... აეს ხალხი რო გადმოვიდა, ჩვენ სუყველასა გვჯეროდა, რო შეიძლება ამ მიწიდან იმ მიწაზე გადასლა. ეს უკვეე... გავბედეთ ამის თქმა, რაც ეს სომხები ვნახეთ, რო გადავიდნენ. ამის შემდეგ ერთი თხუთმეტმა წელმა გაიარა და ეს ჩვენი ქართველი ხალღი სუ ლოდინში იყო, აბა, როდის იქნება და, აბა, როდის იქნება... და კიდეე ერთი ჯგუფი სომხები გადმოუშვეს.

— დაახლოებით რამდენი კაცი.

— ბევრი, ეხლაა... რა ვიცი. თეირანიდან მოდივოდა, თელი ირანიდან მოდიოვოდა. ფერეიდანიდან დაახლოებით ერთი ათიი, თხუთმეტი ოჯახი ერთჯერ გადმოუშეს.

— სომხები?

— სომხები. ესე იგი, სომხები დაახლოებითთთ... იმ სტალინის დროს დაწყობით აქამდი, რო გითხრაა, მგონი მილიონამდე ჩამოსულან ირანიდან.

— სომხეთში.

— მააშ, კაცო.

— კარგი, ბატონო, და აი, თქვენ, რომ დაიწყეთ, როდის დაიწყეთ და როგორ დაიწყეთ გადმოსვლისთვის მოქმედება.

— ეხლა ჩვენი გითხრა; როცა იქ წოგაუყვანეს ირანის მთავრობამ, გვაწვალეს. ისე გვაწვალეს, ისეთ დღეში ჩაგვაგდეს... ნუ მიიჭდეხართო. რაც გინდათ, მაითხოვეთ, ხელს გიწყობთო. პირობებს, ყველაფერს მოგცემთ დაა... ნუ წახვალთ იქაო. ხოდა, იმ დღეს რო წაგვიყვანეს იმ მთავრობის ხალხმა, — ძალზე ბევრი გვაწვალეს. გინება იყო, ლანძღვა, შეურაცყოფა, ცემა... ესე იგიე... ზამთარი იყო. სუფთა ყინვა. ოცდაბუთი იანვარი ისე წოგაუყვანეს, ისე წოგაუყვანეს, რო პალტო, ტანსაცმელი, არაფერი არ გუგეშუნს, რო ჩავიცოთ. ხოდა, ჩაგვყარეს ამ მანქანაში... კაცო, გუგეშით, ჩაიცოოთთ; ტანსაცმელი გუნდა, რაღაცა გუნდა. არაო, ესე წამოხვალთო და მალე გაგიშებთო. ერთი რაღაცას შეგეკითხებითო და ეგ არიო. ჩამოგაუყვანეს, რვა საათზე მივედით დარანს. დილით შეგაუყვანეს იქ, იმ ეზოჩი, ტერიტორიაზე შეგაუყვანეს... აუზი იყო დიდი, წყლისა და ისე გაყინულიყო, რო ნაოჭ-ნაოჭი ამოსულიყო ეს ყინულები, როგორც ძეგალი გააკეთო. ჩვენც კაცივ, კაცოო... არაფერი არ გვაცვია. ველოდებით ეხლა ამისს... უფროსი რო მოვა. უფროსიც მოიდა, ხალხი მოიდა, მოადგილეც მოიდა. შადიან, გადიან... ჩვენ არ გვეძახიან.

მერე რეზომა თქო, ონიკაშვილმა, რო, კაცო... აბა, რაზე დაგვიბარეთ, რა გინდათ... ამ სიცივეში რო ვიხოცებით, ადამიანები ხო ვარართო. წადიო, თქვენი დედაცო. თქვენ ესე უნდა იყნეთო. ხოდაა... როს და როს, ემ უფროსმაა, რეზო შაიყვანა. რეზო რო შაიყვანა, აქ... ყვირილ-კივილის ხმა გამოდიოდა, ამ ოთახიდან. ყური რო დუუგდეთ, ლანძღვდა. მაგრათ ლანძღავდა. დედას, ცოლს, რეზოს აგინებდა. მერე გამოიდა ძაან დაპატარავებული და აბუზული, საწყალი. რა არი, რაშია საქმეშეთქი და თქო... ძაან ცუდად იქცეგიან ეს გაფუჭებულნონო. ვთქი რო, ნუ გეშინიან. რაც უნდა ცუდათ მიეკენონ... ეგ დროებით არი. გაივლის ეს ამბავი და ყველაფერი ისე იქნება, ჩვენ რო გვინდა-მეთქი. ხოდა, ეხლა ის მეორე შაიყვანეს, მესამე შაიყვანეს... ლანძღვა, გინება, ცემა... ჩვენ გარეთა ვდგევართ და ეს ჩვენ კოლია, ცხონებული... პატარა მზე მოუნახავ, ღრუბლიდან გამამძვრალი და მიმდგარა იმ მზესთან, რო ცოტა გათბეს, საწყალი. გამოიდა უფროსის მოადგილე, ისეთი სილა გაარტყა... რისთი მდგებარ აქაო. წადი, ჩრდილში დადექი, ამ მზეჩი ნუ მდგებარო. მზეც რა მზე იყო, კაცო, ერთი პატარა, როგორც სანთლის შუქი.

ამ კაცმა ძაან შაწუხდა, ამ ჩენი კოლიამ. ხოდა, მერე კბილი აიმტკივდა და დაიწყო კნესა და მიდგომა-მოდგომა და წუხილი. უფროსმა გაიგო, გამოიდა და — რაშია საქმე, რა არიო. ეხლაა... ლაპარაკით კი არა, სუ გინებითა და ლანძღვითა. ხოდაა... კბილი მტკივაო. ასპირინი თუ გაგიგია, დამაწყნარებელია. ის მიიტანა ემ უფროსმა და მე მაძლევს, წაიკი-

თხეო. ესე იგი, ჩვენ ისეთი წამალს არ გაძლევთო, რო მაგნებელი იყოსო ან მოსაკლავად გაძლევდეთო, მემრეო შარი არ მოგვდვათო.

რა ვიცი ეხლაა... ათასნაირი ლაპარაკი წავიდა და ათასნაირი მიმუნობა. ცემა და უბედურება. დილის რვა საათზე რო შუგუეანეს და ამ ყინულზე დაგვაყენეს, ცხრა საათზე გაგვიშვეს ღამე.

საბლში რო შაველ, ეხლა, მე ჩემ თავს ხო არ ვუფურეფ, როგორა ვარ და რანაირად ვარ. თურმე რო მოშხედეს, ისეთი დღეში ვარ, ისეთი დღეში ვარ, რო სუ... კდარსა ვგეკვარ. „ბიჭო, შენა ხარო?“ დედაჩემმა. მა ვინა ვარ-მეთქი. რა მოგიფიდაო, სად იყავ, რა მოხდაო?

არაფერი-მეთქი. ხოდა, ჯერ დაიწყო ტირილი და ვთქი რო, რა არი, როგორ შეიძლება ტირილი, კაცსათი ყველაფერი ხდება-მეთქი. ვინაო, ეგ ვინ გაგაკეთაო და ვთქი, რომ ამ... შანინშახის მთავრობა-მეთქი და მაშინ მითხრა: შვილოო, თუ გინდაო, რო რზე, ჩემ რზე, რაც გაგჰამე, ალალი იყოს შენზეო, ამ გზას მიპხედე მაგრათი და ძიპყეეო. გადადი სამშობლოჩითო, რაკი ესე გაუმწარებიხარ ამ ოხრებთაო. მანამდე წინამდეგი იყო დედაჩემი ჩემი საქართველოში წამოსვლისა. მიდი, წადი შენ სამშობლოჩითო. მაშინ მიიპხდა, რო ისენი მტერნაა.

წამოელითი... მძიმე-მძიმეეთ...

ეხლაა, ბატონო გოდერძ, იცი, რა არი? ღმერთმა გვაშოროს სიკდილი, რო, კაცი როგორა კდებაა, როგორ დაიმლევს სუფლს, ამას მე მგონია, რო კაცი ვერ უპასუხებს ესეთ რამესა. აი, ზუსტადა, აი, ჩვენი წამოსვლა და ამ ოჯახსა და ხალხს რო ვშორდებით, აი, როგორც ზუსტად სიკდილი. როგორც კაცი კდებოდეს. იცოდეს, რო ხვალ უნდა მოკდეს ან ზეგ მოკდეს. ხოდა, ძალიან მძიმე, ძალიან... მტკივნეული გულითა და ძალიან უბედურათ გამოედით.

ამ მატარებლის სადგურზე იმდენი ხალხი მოიდა, ვეღარ გავიგეთ ნაცნობი და უცნობი. ზოგი ყირის, გვეძახის, ზოგი ხელს იწევს, რა ვიცი. ხოდა, სოფელშიც რო გამოედით, ავტობუსი... ისე იყო ეს ხალეი ამ ავტობუსის გარშემო, ძლივს მივედით ავტობუსთან და ძლივ-ძლივობით ავედით შიგა.

ხოდა, ტირილით, ზუსხილით, თელი ამბავით, ძალიან მძიმედ და ძნელად... გამოელითი, როგორც ოქნა.

ეხლაა... მატარებელში რა ხდება. აქ როო ამ ხალხსა ვტოვებთ და დაიწყო დაძვრა... რო გითხრა, ისეთი ძიმე დრო, ისეთი სიმწარე სიცოცხლეში ჯერ არ მიგრძვნია... ხოდა, დედაჩემს ამაიკიხსდომიან გერდებზე. მხრის ძირზე ამაიბდგომიან, ეცემის, ვეღარა ჰდგება. ერთ ოჯახსა კარგავს. მთელ ოჯახსა კარგავს. პატარა ამბავი ხო არ არი და მე ისეე... ისენაირად ვიყავ, რო... ვეღარ მივხედე. იმათ ვეღარ უყურე. რო გავიხედე და დავინახე, რომ ესეთი მდგომარეობაა და ესეთი ამბავია, სუ თავდახრილი და ტირილითღა შაველ... და დამ-თავრდა. წავედით.

ეხლა შამოელი, ამ ბავშვებს ვაწყნარებ. ესეა საკმე, არა უშავ. ჩვენ სამშობლოში მივდავართ. ისე, ახე... ხოდა, გამოელი, ერეკტორანი ჩვენდა ამ იმას, მატარებელს. იქ შეკეთა მივე, ერთ ქათამი და რაღაცები, ლიმუნათი, კონიაკი, რაღაცა მოგვიტანონ. შემოგვიტანა აქ, მაიტანეს ყველაფერი კუპეში. იქ დავიწყეთით ბამა და... ხათუნა პატარა იყო. თორმეტ საათი ხდება, ღამე. ხათუნა გავაღიძეთ, პური შაგამოს. მოერთაში დიდი უკვე. ჩიდმეტის წლისაა. გავაღიძეთ ხათუნა. აახლა თვალები და,— ბაბო მინდაო, დაიწყო ტირილი და ღრიალი, წვიელი დაა... ბაბო მინდაო. რა ვუყოთ ეხლა ამ ბავშვსა. უთხარ რო, ბაბო იქ დავტოვეთ დაა... დილაზე-მეთქი, ჩავათლთ იქა, მობრუნდების მატარებელი და მივალთ ბაბოსთან-მეთქი. არა, მე ეხლა მინდაო. თქვენ მატყუოლებთო. სადღაც მიიპდიხართო და ბაბო დაიპატოვეთო. კაცო, ეხლა, დაიცა, ეხლა ღამე არი, ბლეზა, არ შეიძლება ეხლა იქ მისლა, ეხლა ხო მივდივართ, გზაჩი ვართ. ამამ იტირა. იმდენი იტირა, როო ეს რაც შამაიტანეს, შავგამეი, დაა... როგორ შხამი, ისე დღეში ჩაგვგადა, ამ ბავშვმა. ხო, როგორც იყო, დავამინეთ ისიც. დამთავრდა.

დილაზე მოვედით თავრიძში, ერო მზე ამოიდა. იქა მყვანდა დეიდაშვილი, იქ... სწავლობდა. ამასთანაც ამბავი გვქონდა დატოვილი, რო ამ დროებში გამოელითი. ამათაც მეემზადათ ერთი დიდი კონა ვარდი, რაღაცეები, ტკბილეული და... გველოდებიან ამ სადგურზე ჩავედით ამათთანა. ტირილი, თელი ამბავი და... აქ ათი წუთი გაჩერდა ამ... ქალაქში. ეხლა ამათ გამოგვაცილეს. აი, როგორც ეს იარა მეორეთ გაასხლა... ჰოდა, წამოედით და... ძალიან ვერ ვიყავით კარგაად. ხუ შაკრულნი და გაუბედურებულები.

აქ რო ჩამოედით, ამ მატარებელმა რო ჯულფაში გაჩერდა, მეორე მატარებელში გადმოვსხედეთ. ჩვენი მატარებელი იყო, საბეგოთა კავშირისა. ერთი ახალგაზრდა ბიჭი ამოიდა, მილიციონერი. ხოდა, ეს ქართულად ლა პარაკობს. ვაიმე, როგორ გაგვიხარდა, ეს ქართული ლაპარაკი რო გავიგეთ. აი, როგორც მთელი ქვეყანა მეეცეს ჩემთვი, ისეთი გზნობაზე დავდექ. ხოდაა, დადხანაც არ ვიყავეთ, ერთი ათი წუთი, თხუთმეტი წუთი, ამ ხიდზე რო გადმოდიოდა, არაკსის ხიდზე ეხლა იქ დაგვიხვდა ხალხი, ჩვენი ხალხი. თავრიძიდან იყვნენ, ბატონი თენგიზი იყო. ღმერთმა აცხონოს — გურამ პატარაია. რა ვიცი, ბევრი ხალხი და... უკვე აღარ ვიგრძნეეთი იმდენად უბედურება. რაც იქ სიმწარე და უბედურება

elibrary.ge

გაჭონდა. აქ მეეფეერეს ჩვენ ბავშვებს, მეეფეერეს. ისეთი კარგი თოჯინა მიმცეს ხათუნას, რო შეეეცა ამას და ბაბო დაავიწყდა. მერე დოგსეს ამ ავტობუსზე, თითონაც ჩახხდნენ მანქანებში; ეკიმი ჩუვანდათ. ეკიმი გამეეყოლათ თბილისიდან, ეკიმი ქალი, ქალბატონი ლამარა. ამ ბავშვებსა და ჩვენ, სუუველას მოგვხედა — აბა, როგორა ვართ. კიდე ერთი ქალიც იყო, ქალბატონი ბაბულია, კოლმეურნეობის თავჯდომარე იყო თუ საბჭოს თავჯდომარე იყო. — ახაშენსა.

მოეიდით, ერთგან გაჩერდა ავტობუსი. გაჩერდა და... თქვეს, რო ჩამოდეთოო, დავახვეელოთ საქართველოს მიწა-წყალლი. ეხლა უნდა.. დავილოცოთ. ბოდა... გადმოეიდით ჩვენა. გადმოეიდით, კარგი დიდი ხეი, იქით მილეიცია დგა, აქეთ მილეიცია დგა. ხო, ეს გავიგეთ, რო უკვე ზონაა, ჩენი საქართველოაა. ხოდა, ქართული წერა-კითხვაც ხო ცოტა ვიცოდით. თითოოროლა სიტყვები. მურთაზს უფრო მეტად ეხწავლა ქართული წერა-კითხვა. და... მამაო, აი, საქართველო არი ესაო.

გადმოეიდინ, სუუელანი გადმოეიდით და ამ ხიდზე მივდივართ. ჯერ არ გადავსულვართ ამ ჩვენ მიწაზე. ხალხი იქითა... იყურებიან, ჩვენაც აქეთ მოვდივართ და აეს ხალხი რო დავინახეთ, დანახვა ამ ხალლისა ისე გოგუხარდა... სუუელამ დაიწყო ტირილი. ბავშვი, დიდი, პატარა, — სუუელა ტირის. რაღაცნაირი... აი, ღმერთიდან ის წამოიდა, სიხარულის ტირილი. იქით რო ვიეურებით, ის ხალხიც ტირის. ხოდა. ამაჩიგ... ღრუბელმა დაიწყო წვიმა.. ცამაც დაიწყო ტირილი.

გადმოეიდით, ჩვენ მიწას ვემთხვიეთ, ვაკოცეთ, დავლოცეთ. ღმერთმა ქნას, რო სუუველასთი იყოს დალოცვილი ესს, ჩვენი სამშობლო ვინც აქ გადმოა. ეხლა, ბატონო გოდერძ, ვინც აქ გადმოდის საძღვარგარეთიდან, დიდი იმედით გადმოდის და ღმერთმა, სუუელას იმიდი, როგორც აქ, შეუსრულოს.

— ეხლა ჩაი დავლოოთ. — ვთქვი ბოლოს.

— დავლოოთ! — დამეთანხმა რამანა.

დიდხანს გაგვანეგბივრა თბილმა ზამთარმა, ბოლოს მაინც მოვიდა დიდი თოვლი. სითბოსა და მყუდროებას ფასი მიეცა.

რამანამ შვებულება აიღო და უცებ დამაკლდა თვალში. რაღაც ისეთი დააკლდა საწარმოს, რაც აუცილებელი იყო ყოველდღიურად, ყველასათვის. ვიცოდი, სახლში იყო, მაგრამ მომძიმდა შეწუხება.

იანვრის თოვლიან კვირადღეს ჩავალაგე ვაშლები ცელოფანის პარკში და რამანას სახლისკენ მიმავალ გზას დავუყეენ.

მეორედ რომ დავიძახე, რამანამ გამომხედა და ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა.

— შეიძლება, ბატონო რამან? — შორიდან დავუძახე.

— მობზანდი, მობზანდი! — ხელი გალიმეტბულმა ჩამომართვა და სახლისკენ გამოძღვა. ყოველი შემთხვევისთვის ვკითხე: — ხტუმრები ხომ არა გყავთ?

— არა, არა, მობზანდი! — მიპასუხა რამანამ აჩქარებულად. სანამ სახლში შევიდოდი, გარედან მოვკარი თვალი, ქალბატონი ზეინაბი და ქეთინო სუფრას ალაგებდნენ: ოთახიდან ხამზარეულოში გაჭონდათ თეფშები.

ქალბატონი ზეინაბი ცოლია რამანისი, ზეინაბ-ხანუმ. ადრე ქალბატონ ზეინაბს ვეძახდი, ამ ბოლო დროს, ხანუმას ვეძახი, როგორც რამანა მიმართავს შინაურულად. ქეთინო შვილია რამანასი და ხანუმასი. აქ არი დაბადებული. აქაური ქართველია. მეექვსე კლასში სწავლობს.

ოსოოც სახლში დამხვდა, რამანას უმცროსი ბიჭი. წელს ამთავრებს სკოლას. ოსოოც აქ არის დაბადებული. ფიქრიანი, ჭკვიანი ბიჭია.

— როგორა ხართ, როგორ ბზანდებით, სახლში ხო კარგადა ხართ. დედა, მამა, ძმა. — მეკითხება ზეინაბი.

— გმადლობთ, ხანუმ, რა უჭირთ, ცოცხლები ვართ.

— კარგად უნდა იყნეთ, კაცო, კარგად. თქეს რო ადამიანი ბზანდებით, თქვენისთანა ხალღები, ყველა კარგად უნდა იეოს. მშობლებიც, ძმაც, კარგი ხალხი გაყავთ ყველა. მიიმდიხართ, მოიმდიხართ?

— ამ ბოლო დღეებში არ გვინახავს ერთმანეთი. ისე, მივდივართ, მოვდივართ. თქვენ როგორა ხართ, ხომ კარგადა ხართ ყველა.

— ჩვენც ვართ, ღვთის მადლითა და ჭკალობითა. ცოცხალნი ვართ. არა გვიშავ.

— თბილისელი შვილებისა რა ისმის, როგორ არიან?

— წინა კირას იყნეს: მურთაზი, ხათუნა და მაია.

— ხათუნა სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობს, ვიცი და, რა სპეციალობაზეა?

— პედიატრიულზე, ბავშვების ექიმი იქნების.

— კარგია. ძალიან კარგია. მაია?

— მაია უნივერსიტეტჩე არი, ქიმიურზე.

— ხო, ეგ ვიცოდი და ახლა გამახსენდა. მურთაზი უკვე კარგი ქირურგი გამმდარა, გავიგე.

— კიი. მურთაზი უკვე კაცია. — ახლა რამანა მპასუხობს.

— ისევ ისეთი კია, სახით, ხასიათით.

— ხო, ეხლა,.. მურთაზი ძალიან მოხალრებული ბიჭია, ბავშობიდგან.

— კი, კი, ტაქტიანი, ზრდილობიანი, კულტურული...

— იცოცხლედ. მადლობთ. — გაუხარდა ხანუმას.

ფანჯრის რაფაზე დადგმულმა ტელეფონმა დაიწკრიალა;

— გისმენთ! — ყურმილი ხოხომ აიღო.

— ხოო, გისმენ... ხოო. ქარხოულში ისევ ის

ხოო. — უხალისოდ დადო ყურმილი. წავიდა, დაჯდა ისევ თავის სკამზე და უაზროდ დაათვალ-ერა მაგიდაზე გადფარებულ მუშამბას.

— ცოტა მოწყენილება ხართ, გატყობთ მეზობლები არ მიდი-მოდიან?

— ვინა გვყავ მეზობელნი. ეხს... ქვევით ხო რეზონია. იცნობ, ხო, რეზოსა. ხოდა, კარგი ხალხნია, მაგრამ თბილისი არიან. ზაფხულში ერთ-ორი კირა ჩამოვლენ და ეგ არი ჩვენი მეზობლობა. ეს რეზო, ჩენი, მიქელაძე.

— კი ბატონო, ვიცნობ. რეზო ძმაა ჩვენი.

— დავრჩით მარტონი ემ ცასა და ქვეყანას შუა და მარტონიც არა ვართ... ღმერთი ხო მაინც ჩვენთან არი.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. რამანა ღრმა ფიქრებში წავიდა, რაღაცაზე ჩაეცინა.

— ხო, რა არის, ბატონო რამან, აბა, ერთი ჩვენც გვითხარი, — ველარ ვითმენ მე.

— რა არი და... ამ ბოლო წლებში სტუმარსაც აღარ ვეპატიჟებით სახლჩი. ვინც მოდიოდა ადრე... მარტო ლინოს სმენ, არ ლაპარაკობდეს. მარტო სადღეგრზელო და ლინო. დამთავრდაა... ამ ოთხ-ხუთი წელის წინ ერთი ჩვენი ფერეიდნელი ამბობს... ეხლა... საკირი არ არი, ვინ და სადა. ამბობს რო, სახერხზედა ვმუშობო.სადაც ემ... დიდ ხეებს ხერხავენ ფიცრებად. ხოდა, ეს საწყალნი, ვინც პატარა ხერხზე მუშაობენ, თითები აქთ ზოგ-ზოგი მოჭრილი და ვინც დიდ ხერხზე, ხელიო. ზოგს მარჯვენა და ზოგსაც მარცხენაო... უბედურნი, ისე ითრებიან თურმე. ...სასაცილო კი აღარ არი და... სატირალია. ნამდვილად სატირალი. გაუბედურებულა ხალხი. მთლიანად გაუბედურებულა...—თვალი თვალში გამიყარა რამანამ.

ამათ ისევ ის ძველი სული უდგათ-მეთქი, გავიფიქრე და, უნებლიეთ, ერთი ძველი ამბავი გამახსენდა. ოთხმოციანი წლები იყო. გურჯაანში ღონისძიება მოეწყო ფერეიდნელებისათვის, კინო-თეატრში. მეც მიმიპატიჟეს ჩემმა ფერეიდნელმა მეგობრებმა. ახალი წლის შემდეგი დღეები იყო. ასე, ორი, სამი რიცხვი. ქართული კინოფილმი, „ბაში-აჩუკი“ უნდა ეჩვენებინათ, და ფილმის დამთავრების შემდეგ კი საჩუქრებს დაურიგებდნენ ფერეიდნელ ბავშვებს.

კინო-თეატრში ბავშვებს გულმა წინა რიგებისაკენ გაუწიათ და დედებიც მათ მიჰყვნენ. კაცები მოშორებით, ცოტა ზევით, შორს დავსხედით და ორი რიგი შევავსეთ. დაიწყო ფილმი.

„ბაში-აჩუკი“ ადრეც ხომ მჭონდა ნანახი, ბავშობაშიც და დიდობაშიც, მაგრამ ახე დაძაბულად არასოდეს არ მიყურებია ამ ფილმისთვის. ფილმის დაწყებისათვისაც, ეკრანაირ, მოჭადოებულ წრეში აღმოვჩნდი. უმძიმესი ფსიქოლოგიური განცდების მოწმე გავხდი და. რაღა თქმა უნდა, მეც გადამედო; გარშემო ნსხდომი მაყურებლების, ფერეიდანელი ბაზოგადოების დაძაბულობა და სიმძიმე. არის ამ ფილმში ერთი ეპიზოდი: როდესაც ქართველი ტუკვეები ირანში მიჰყავთ, ერთ-ერთი ყინწილ-ბაშთაგანი ცხენს ზედ მიაგდებს ქართველ ტკვეს, ხოლო შემდეგ მათრახს გადაარტყამს. ამ კადრის ჩვენების დროს ვიღაცამ უნებლიეთ შეჰყვირა და შემდეგ იქ მყოფთ, ყველას აუვარდათ კაცური, თავშეკავებული, უხმო და უმძიმრაო ტირილი. ბუზნის გაფრენას გაიგონებდა კაცი. ხანდახან ცხვირსახოცს თუ მოიხვამდა ვინმე თვალებზე, მალულად. ტიროდა ყველა. ვტიროდი მეც. ტიროდნენ წინა რიგებში ქალები, ტიროდნენ მოზრდილი ბავშვები. ტიროდა რამანა ჩემს გვერდით. ტიროდა რეზო მიქელაძე — ჩემს მეორეგვერდით...

ფილმის დამთავრების შემდეგ ისეთი გრძნობა მჭონდა, თითქოს ამ დღეს მოვიანთლე ქართველად და ამ დღეს ჩავწვდი ჩემი ხალხის ეროვნულ, წარსულ და დღევანდელ ტკივილებს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ددახლლებით რვა-ათი წელი გავიდა. რამანა ისევ იმ რამანად დარჩა, მხოლოდ ეს არის, ერთი თმა აღარა აქვს თავზე შავი. ტირილით მას შემდეგ თითქმის აღარ გვიტირნია, მაგრამ ბევრჯერ აგვტკივებია ყელის ის ნაწილი, რომელიც თვალებიდან ცრემლის გადმოტუშვვას ემსახურება.

სატკივარს და საწუხარს რა დალევდა იმ დროში, როცა ყველაფერი თავდაყირა იდგა, იმ ყველაფერს ისიც ერთვოდა და დღემდეც გრძელდება, რომ მე და რამანას ცოტა გვიჭირს პრაქტიკული ცხოვრება, თორემ ისე, თეორიაში მაგრები ვართ ორივე. ერთხელ ვუთხარი: — ბატონო რამან, რა ვქნათ, კაცო, ახე როდემდე ვიყოთ, მე მაინც-რა მიჭირს მარტოკა კაცი ვარ, შენ როდემდე უნდა იყო ახე ღარიბად ხუთი შვილის მამა. მოდი, მოვიფიქროთ რამე, ან კოოპერატივი გავაკეთოთ, ან რაღაცა.. რა ვიცი. ჩაღუნა რამანამ თავი და ჩაიღიმა. აიხედა და მითხრა: — ბატონო გოდერძ, ერთი თქმულება არი, იქ ჩვენ ვიცოდით ესა და, თუ თავს არ შეგაწყენ, გეტყო.

— კი ბატონო; რას ქვია, თავს შემაწყენ. შენ ოღონდ ისეთი რამე მითხარი, რომ გამიხარდეს და სამი დღე მოგიხმენ, ღამეც არ დავიძინებ-მეთქი, — ვეუბნები.

— გახარებით... რა ვიცი ეხლა, მაგრამ... არ გეწყინება და მგონია, რო კიდეც გაგეხარდების. — აბა, გისმენ.

— ძელ დროში ერთი ღარიბი და უუბედური კაცი ყოფილა. ცოლს უთქმამ, ადე კაცო, გარეთ მაინც გადი, ქვეყანა დიდია, იქნება გზაჩი მაინც იპოვო რამეო. ამდგარა, გასულა ეს უბედური გარეთ და დაიმდგომია დილით ადრე გზასა. დაადგა ემ გზასა და იარა თავის ძიმე ფიქრში. ბევრი იარა,.. ერთ ალაგას, ტყის

პირზე წყარო იყო. დალივა ეს წყალი და ჩამოჯდა დასახენებლად. დავისენეფ ცოტახაო. მეეურივა ძილი. იფიქრა: აქ თუ დავიძინე, გზა ადგილია, მოვა ვიღაცა ყაჩაღი, ამ ძელებსაც გამხდის და სახლჩი ტიტელას გამიშებსო. იჯდობიაო, რო, რაც მაცია, ესეც არ დავკარგოო. შავა ტყეჩი და ავა ხეზე. ხეს ტოტები აქ ხშირი და წამოწვეების ამ ტოტებზე.

ცოტა ხანმა გაიარა და წყაროსთან ერთი ცხენიანი, დიდრულად ჩაცმული კაცი მოიდა. ხურჯინი აქ ცხენზე გადაკიდული, თოფი და იარაღი. გაჩერა ეს ცხენი, თითონაც წყალი დალივა, ცხენსაც დაალევინა.

ეს ჩენი საწყალი უყურებს.

ჩამოჯდა ეს დიდარი ცოტა ხან, რო დაისენოს. ტალახისაგან გაკეთა კაცი, შენაო იუდა ხარო, ხმამაღლა ეუბნების და რათ შენ ქრისტე გაიპყიდეო! დაარტყა ხელი და გააპტყელა. ეხლა მეორე გაკეთა. შენაო პილატე ხარო და რათ ემ ხალღისა და ღდელების ლაპარაკი დაიჯერეო და ვერ დაინახე, რო ქრისტე ვინ იყოო. მიუსაჯა ემასაც, ემ პილატეს სიკვდილი. დაარტყა და გააპტყელა. მოკლა. ეხლაა... გაკეთა მოსიქულები, ქრისტეს მოსწავლეები. ხოდა... ამათ ეუბნების, თქენ რათ იმდენი უფლება მიეცით იუდას, რო ისე გათავხედდების, — ქრისტეს გაიპყიდისო? რატო თქვენ ვერ გაიგეთ, ეს კაცი რა კაცი იყოო?! დაარტყა სათითოოდ და გააპტყელა სუყელა. ეხლაა... გაკეთა დიდი ღმერთი. შენაო, რატო იუდას იმდენი უფლება და ძალა მიეცეო, რო ქრისტეს გაიპყიდისო და ან იმ გაფუჭებულ ხალღებსაო, რო წმინდა კაცი ესე აწამესო?! ხოდა, შენც მოგეხაჯა სიკდილიო და აიპწია ხელი, რო უნდა დაარტყას და ემ ჩვენ საწყალმა დაუძახა ხმამაღლად, მაგრად: ემაგას ხელი არ ახლოო, ემაგას გაუშიო! გადავარდა ამ დაყორაებაზე ეს დიდარი კაცი და გაუსკდა გული. მოკდა, ჩამოიდა ხიდან ეს ჩენ საწყალი. ახა, წყალი დაასხა და, ახა აქეთ და ახა იქით. ვერ უშველა. მოკდა და მოკდა. რაღას იზამდა... ეს კაცი დამარხა, შაჯდა ემ ცხენზეგა და მოიდა თავის სახლჩი. თურმე ხურჯინი ოქროთია სამსე,

გამოიდა ცოლი. დაინახა ქმარი დიდრულ.. ცხენზე. ჩამოიდა ცხენიდან ეს კაცი, მოიპხსნა ხურჯინი, შაიტანა შინა, აიპხადა და... სუუ.. ოქროთია სამსე, მთლიანად. ხოდა, რო იჩკითხა ცოლმა, რო საიდან ეს ამდენი ოქროო... ღმერთი გადავარჩინე მოკვლასა და იმაში მაჩუქა ღმერთმაო, ესე უთხრა.

ხოდა, გადავარჩინოთ მე და შენაც ღმერთი მოკვლასა და მოგვცემს, რაღაცას მოგვცემს. — იცინის რამანა და ვიცინი მეც და გვჯერა, რომ ღმერთი მოგვცემს რაღაცას, ასე გადის კვირები, თვეები და წლები. რამანას ერთი შავი თმა აღარა აქვს თავზე და მეც გამოთეთრდა საფეთქლები. მიუხედავად ამისა, მაინც ახალგაზრდულად, წინანდებურად ვიბრძვით ღმერთის გადასარჩენად.

არჩილ ჯორჯაძე

დიმიტრი ყიფიანი

კარი XII.

დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობის მატიანე სრული არ იქნება, თუ არ აღვნიშნეთ ორი სამწუხარო გარემოება, რომელიც მას სრულიად მოულოდნელად თავს დაატყდა. ჯერ კიდევ მარშლობის დროს (1864-1869) თავდებად დაუდგა ოდესლაც შეძლებულ კახელ მემამულეს, თ-დ დიმიტრი აფხაზს, რომელსაც 30 000-დე ვალი დაედო ილარიონ ფორაქოვისა. დიმიტრი აფხაზის კარდენახული დიდი მამული უნდა გაყიდულიყო, თავდებად რომ არ დასდგომოდა თავად-აზნაურთა წინამძღოლი, დიმიტრი ყიფიანი. გულკეთილობით უარი აღარ უთხრა, ენდო მდიდარ მამულის პატრონს. საქმე კი ისე დატრიალდა, რომ რაკი აფხაზმა ვადაზედ არ დააკმაყოფილა ფორაქოვი, ამ უკანასკნელმა დიმიტრის მოსთხოვა ვალის გადახდა. დიმიტრის ნდობა ჰქონდა საზოგადოებაში, თორემ შეძლების პატრონი იგი არასოდეს არ ყოფილა, ასე რომ, დიდ გაჭირვებაში ჩავარდა ამ თავდებობის გამო. ფორაქოვმა უჩივლა. დიმიტრი ყიფიანს იმედი ჰქონდა გამართლებისა, რადგან უკანონოდ მიაჩნდა თავდების პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე, რომელსაც უდგება იგი თავდებად, გაკოტრებულ მოვალედ არ არის გამოცხადებული. მაგრამ სასამართლომ ფორაქოვის სასარგებლოდ გადაუწყვიტა დიმიტრი ყიფიანს 32 222 მ. გადახდა. ყიფიანმა თავის მხრივ აფხაზს უჩივლა 1 ნოემბ. 1869 წ. მაგრამ აფხაზის ქონება, 350 ათას მან. ღირებული, საჯაროდ გაიყიდა და დარჩა თ-დ ნაპოლეონ ამატუნის. ფულადაც ჰქონდა დიდი თანხები — ეს თანხაც, 120 ათასი მან. სოლომონ შაბუროვის ხელში გადავიდა. ძვირფასი ნივთებიც, ვინმე ალ. ტერ-ასატუროვთან დაგირავებული, იმასვე დარჩა. ერთის სიტყვით, დიმიტრის საჩივარი დაგვიანებული იყო, რადგან, სანამ მოახწრობდნენ აფხაზის ქონების გადარჩენას ეგრედ-წოდებული „Запрещение“-ს დადებით, ამ ქონებიდან აღარა დარჩა-რა. ახლა ფორაქოვს უჩივლა, მაგრამ სენატის საკასაციო დეპარტამენტმა 22 აპ. 1870 წ. წინანდელი განაჩენი დამტკიცა. კიდევ ერთი საშუალება იხმარა დიმიტრიმ. ხელმწიფეს მიმმართა თხოვნით. საქმე ის არის, რომ დ. ყიფიანს უკანონოდ მიაჩნდა უმაღლეს ინსტანციის გადაწყვეტილება. და თუმცა განსაჩივრება სენატის გადაწყვეტილებისა აღარ შეიძლებოდა, მაგრამ რადგან დიმიტრის თვალში ხელმწიფეს ისეთი სისრულე აქვს უფლებისა, რომ უკანასკნელი ინსტანცია სამართლისა სწორედ ამ უფლების სისრულეშია ამიტომ მიმმართა უკვეშვერდმილესის თხოვნით.

ამგვარი შეხედულება დამახასიათებელი თვისებაა დიმიტრის აზროვნებისა. მონარქიის თეორეტიკოსები იმის მტკიცებას ცდილობდნენ, რომ მონარქია მით განირჩევა დესპოტისაგანო, რომ მონარქი ექვემდებარება მის მიერ დამკვიდრებულ უფლებრივ წყობილებას, დესპოტი კი არაო. დიმიტრი ყიფიანისთვის კი, რომლის თვალში მონარქის უფლების სისრულე არავითარის ტერმინით განსაზღვრული არ არის, შესაძლებელი იყო განსაჩივრება საკასაციო დეპარტამენტის გადაწყვეტილებისა, მაშინ, როდესაც კანონი უფლებას არ აძლევდა ამგვარ განსაჩივრებისათვის. თხოვნით რომ მიმმართა ხელმწიფისათვის, წყალობა რომ ეთხოვნა, პატერიალური შემწეობა და სხვა რაიმე მსგავსი, ეგ სხვა იქნებოდა, მაგრამ დიმიტრიმ პროცესის გადასინჯვა ითხოვა. რუსეთში ეს ხშირად ხდება. მაგრამ ეს მხოლოდ იმისი მაჩვენებელია, რომ ან უფლებრივი რეჟიმი, რომელსაც სცემდა პატივს დიმიტრი, უტოპიაა, ან კიდევ უფლებრივი აზროვნება მძიმედ იკიდებს ფესვებს ასეთ წესწყობილებაში.

მაგრამ არც ამ თხოვნამ გასჭრა. თხოვნათა მიმღების კომისიამ იუსტიციის სამინისტროს

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 4, 5, 6, 7.

გაუგზავნა ეს ქაღალდი, ხოლო იუსტიციის სამინისტრომ აცნობა დ. ყიფიანს 17 დეკემბერს 1871 წ., რომ თქვენი თხოვნა უშედეგოდ დარჩაო. ერთის სიტყვით, დიდი ვალი დაედო დიმიტრი ყიფიანს. ეს ხომ ახე მოხდა, ახლა სხვა უსიამოვნება მიადგა კარებზე. მკითხველს ეხსომება, რომ სამეგრელოს „ოპეკის“ გამო ბევრი საჭმუნაარო ღღეები გამოუვლია დ?. ყიფიანს — შეტაკება მოხელეებთან, თვით თ. ბარიატინსკითან, დიდი ადგილის დაკარგვა, პეტერბურგში მოსაწყენი ლოდინი საქმის გამორკვევამდე და სხვა. და ახლა, ხაიდამაც არ მოელოდა, საფოთხე იქიდამ გამოუტყვრა. საქმეის აოის, 1867 წელს, როდესაც სამეგრელოს მთავარი სრულ-წელოვანი შეიქმნა და „ოპეკიც“ გაუქმებული იყო, დიმ. ყიფიანმა ჩააბარა ანგარიშები 1868 წ. და მადლობის მაგიერ, რომ ქონება გადაარჩინა დაქსაქსვისაგან და გაამრავლა კიდეც, დამნაშავეთა სკამზე ჩამოსაკუპეს. დიად, ამაზე მეტი უმადურობა შეუძლებელი იყო. მართლაც, „ოპეკუნობა“ რომ ჩაბარა, იმ წელიწადს მამულს შემოსავალი ჰქონდა 277 მ. რვა წლის განმავლობაში შემოსავალი აიწია 130 000 მანეთამდე, ე. ი. 17 000 მ. წელიწადში, და როდესაც ჩაბარა, იმ წელიწადს შემოსავალი ჰქონდა 80 000 მანეთი. მთავრის ცოლის ძნ. ეკატერინეს წერილებს რომ კითხულობთ, რომელთაც სწერდა იგი ამ ხნის განმავლობაში დიმიტრი ყიფიანს, რწმუნდებით, რომ კნეინა ძლიერ ემადლიერება დიმიტრის, და თითქმის თავისი ოჯახის მხსნელად მხახავდა მას. აი, რამდენიმე ნიმუში. 1862 წ. კნეინა სწერს დიმ. ყიფიანს პარიზიდან: „თქვენ აღფოთებული ხართ. გევედრებით, მოითმინეთ, დამშვიდდით. თუ ხელი აიღეთ „ოპეკუნობაზე“, ჩემი ბიკვდილი გინდათ. ჩემის აზრით, ისევ მთელი ჩვენი მამული დაიღუპოს, ვიდრე თქვენ ხელში არ იყოს“. 1863 წ. სწერს იქიდამვე: „რა მადლობელი ვარ, რომ ახე სცდილობთ ჩემი შვილებისათვის... მივიღე 5 000. დიდი მადლობა და გთხოვთ; რამდენიც შეხძლოთ, მალე კიდეე გამომიგზავნეთ“. იმავ წელს ბიარიცდან სწერდა: „გევედრებით ... ნუ სწუხდებით ... ყოველივე კარგად წავა ... ისეთი ნდობა მაქვს თქვენი, რომ კიდეე მოკვდეე, დამშვიდებული ვიქენი, რადგან თქვენა ხართ ჩემი შვილების მოსარჩლე“. ასეთი საჭირო კაცი იყო დიმიტრი, სანამ საქმე მის ხელში იყო. ხოლო 1870 წელს კი რწმუნებულის პოლტარაცკის შუამდგომლობით სასამართლოში უჩიოდნენ დიმიტრი ყიფიანს 112. 967 მან. 14 კაპ. — ვითამდა ანგარიშებიდამ არა სჩანს სად ჩაიყლაპა ეს ამოდენა ფულიო. კნეინასთან მოწერილ დიმიტრის წერილიდან სჩანს, თუ რა უსამართლოდ ედავებოდნენ, რასაც ედავებოდნენ. წინად, როდესაც საჭირო იყო დიმიტრის მისვლა პეტერბურგში, თუ პარიზში, დაუყოვნებლივ იბარებდნენ და თანაც ეუფლრებოდნენ, გთხოვთ ხარჯს ნუ მოერიდებითო. ახლა კი ამასაც წამოდავენ საზღვარ-გარედ მოგზაურობის დროს ბევრი დაგეხარჯაო. რა თქმა უნდა, ბევრი დაეხარჯებოდა. პარიზში 1866 წელს ყოფნის დროს კნეინას ხურვილით დიმიტრი დაბინავდა საუკეთესო სასტუმროში, Grande Hotel du Zouwre-ში, და რანაირად გინდათ, რომ ამ პირობებში კაცმა ყაირათობა გაახროს. „1859 წელს, — სწერს დიმიტრი, — თქვენ 10% დამინიშნეთ, მაგრამ მე არ მივიღე. იქნებ გაიხსენოთ რატომ არ მივიღე? იმიტომ, რომ თქვენ უფლება არა გქონდათ „ოპეკუნისთვის“ კანონიერ გასამრჯელოსათვის (5%) რაიმე მოგემატათ. მაგრამ თქვენ 1861 წ., როდესაც მთავარი კონტროლი „ოპეკუნობისა“ უკვე კანონით თქვენს ხელში იყო, 15% ჩემს განკარგულებაში დამითმეთ: წერილით (1 აპრ. 1861 წ.) ნება დამრთეთ მოულოდნელ ხარჯებზე 15% შემოსავლისა“. ამ 15% რომ 5% გასამრჯელოსათვის მიუმატოთ, გამოვა 20%. ანგარიშებში გადამწერის შეცდომით ცალ-ცალკე არ იყო აღნიშნული 15% და 5%. და ამასაც წამოდავენენ, გასამრჯელოს 20% ილებით, როდესაც უნდა აგიღოთ 5%-ო. ერთის სიტყვით, როდესაც კაცის გამტყუნება უნდათ, ფორმალურ მიზეზის გამონახა ძნელი არ არის, მეტადრე იმგვარს საქმეში, სადაც სრულის ნდობით აღმურვილი, სრულიად დამოუკიდებლად და დაუკითხავად მოქმედობდა დიმ. ყიფიანი. სასამართლომაც ისარგებლა ანგარიშის ფორმალურის მხარის სისუტით და მიუსაჯა დიმ. ყიფიანს 65 000 მან. გადახდა თ მენგრელსკის სასარგებლოდ.

ასე რომ, ეს ორი ზედი-ზედ მოყოლებული, სრულიად დაუმსახურებელი სასჯელი, ისეთის მძიმე ტვირთად დაადგა დიმიტრის კერძო ცხოვრებას, მის ოჯახურ მეუღლოებას და სულიერ ვითარებას, რომ სხვა ვინმე, სუსტი ბუნების და ხასიათის პატრონი, მთლად მოიდრეკებოდა და მოწყდებოდა ამ ამბების შემდეგ, მაგრამ დიმიტრი არ შედრკა, მიუსედავად იმისა, რომ პირადად დიდად შეწუხებული და აღშფოთებული იყო, თავი შეიმაგრა, არ შეიმჩნია და როდესაც საჭიროება მოვიდა, გაბედულად და ამაყად გამოვიდა საზოგადო სარბიელზე ბოროტ სულებთან საბრძოლველად.

1880 წ. მარტში დიმიტრი ყიფიანი პეტერბურგშია. აქ დიდი იმედი ჰქონდა ლორის-მელიქოვისა, რომელსაც მაშინ დიდი ძალა და გავლენა ჰქონდა მმართველთა წრეებში. ლორის-მელიქოვს დაახლოვებით იცნობდა დიმიტრი ყიფიანი. ყარსის აღების შემდეგს 1878 წელს, როდესაც ლორის-მელიქოვი პეტერბურგში მიემგზავრებოდა, სადაც დიდ თანამდებობას ჰპირდებოდნენ, დიმიტრის ეპატიჟებოდა, წამოდი ჩემთან, დამჭირდებიო. და აი, ეხლა დიმიტრის იმედი ჰქონდა ლორის-მელიქოვის დახმარებისა მის აწეწილ-დაწეწილ

საქმეებში. ლორის-მელიქოვს უთქვამთ თავისი გარეშოება. ლორის-მელიქოვი ჰპირდება, ისე დაგვბინავებ, რომ ქმაყოფილი დარჩებიო, ოღონდ ერთი-ორი თვე უნდა მოიცადოო. აქ ისევ დიმიტრის მემუარებს დაუგდოთ ყური:

— „თუ მოცდაზეა, მოვიცდი, — ეუბასუხე მე. — მაგრამ უნდა გითხრათ, რომ აქ სხვა კერძო და საზოგადო საქმეებიც მაქვს და სიტყვას გაძლევთ, თუ ჩვენს საზოგადო საქმეების გაკეთებას ლმობიერად მიბმენდავთ, ჩემს კერძო საქმეებზე ხმას აღარ ამოვიღებ.

— მაშ, ჯერ საზოგადო საქმეებზე მოვილაპარაკოთ.

— მე მხოლოდ ორ რამეს მოგახსენებთ: ერთი ესაა პრიკაზისადი თავად-აზნაურობის ვალს. მეორე წ. კითხვის საზოგადოებას.

— ხალხის განათლებისათვის მზად ვარ გემსახურო, მაგრამ ჯერ „პრიკაზის“ თაობაზე: რაკი ვალი გმართებთ, ხომ უნდა გადაიხადოთ.

— კიდეც ეს არის, რა პირობებში ავიღეთ ეს ვალი. თავდაპირველად უნდა მოგახსენოთ, რომ პატივსაცემი მიზეზიც რომ არ ყოფილიყო ამ ვალის (3 მილიონამდე) პატიებისა, ჩემზე უკეთ იცით, რომ ამგვარი წყალობა სავსებით დაიმსახურა ქართველმა თავად-აზნაურობამ.

— ამ სიტყვებით ვცნობ ჩვენს წინანდელ წინამძღოლს.

— არა, ხუმრობა იქით იყოს, თქვენ ხომ იცით, რომ ქართველები განუსაზღვრელად ერთგულნი არიან ტახტისა და მონარქის. წყალობის სახით ამგვარი საჩუქარი რომ მეიცეთ, სწორედ რომ კარგი იქნება, მით უმეტესად, რომ ამგვარ წყალობისათვის სერიოზული იერიდიული მოსაზრებაც არის.

— მოო? როგორ?

— ვალი აღებულია ბატონ-ყმობის დროს. „პრიკაზი“ სესხს აძლევდა გლეხთა კომლებში. ეს გიორგო (ყმები) დღეს აღარ არსებობს. და ამისი დამნაშავენი ხომ ფიულის მესესხეენი არ არიან. სესხის ხელშეკრულობის საფუძველი დაარღვია მესამე პირმა, საკანონმდებლო ძალამ. კავკასიის მმართველობამ უკვე აღძრა შუამდგომლობა კავკასიის კომიტეტში. საჭიროა, რომ მხარი მისცეთ ...

— მართლაც, მეც მაგონდება, რომ სესხს მიწების დაგირავებით კი არ აძლევდნენ, არამედ გლეხების. შეადგენეთ ამის შესახებ მოხსენება. მეც ვეცდები; სხვა საქმე რაღა არის?

— სხვა საქმე ესაა ქართველთა შორის წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას, რომლის დამფუძნებელთ წევრად თქვენც ბრძანდებით. გვინდა გამოვითხოვოთ თქვენი მფარველობა ამ საზოგადოებისადმი და აი, რასა გთხოვთ. თუ 3 მილიონი ვალი ეპატია თავად-აზნაურობას, ამითი წყალობა გავრცელდება თავად-აზნაურობის ერთ მესამედზე. და რათა დანარჩენი ორი მესამედიც გაზიარებული იყოს ამ წყალობაში, ისე მოახერხეთ, რომ ნაწილი ვალისა წაშლილი იყოს ანგარიშებიდან, ხოლო დანარჩენი ნაწილი მიეცეს წ. კ. საზოგადოებას.

— კარგი აზრია. ამის შესახებაც ქაღალდია საჭირო. მაგრამ ერთ მოხსენებას შეადგენთ. როგორც ყოფილი წინამძღოლი. მეორე მოხსენებას კი?

— როგორც თავმჯდომარე საზოგადოებისა.

— კეთილი. ხვალ შეიძლება?

— უსათუოდ ხვალ მოგართმევთ. — და წარუდგენთ კიდევაც. კერძო საქმეებზე ხმა აღარ ამოვიღე. მაგრამ არც საზოგადო საქმე გაკეთდა. ერთი იმიტომ, რომ გრაფ ლორის-მელიქოვს „კავკასიის კომიტეტის“ სხდომაზე დაუგვიანდა და იქ უკვე გადახწყვიტეს ეს საქმე, კარგად გადახწყვიტეს, რადგან გლეხთა რეფორმის დროიდან შეგროვილი პროცენტი და ჯარიმა მოხსნეს. მეორე ვერ გაკეთდა, რადგან ვარშავაში ვიღაც გიეს plus royal que le roi-ს რაღაც სიხულელე ჩაუდენია და ამიტომ ახლა მოუხერხებელიაო ქართველთა განათლებაზე ლაპარაკი. ღმერთო ჩემო! რა აქვს საერთო საქართველოს პოლონეთთან?“

ამ ნაწყვეტიდან სჩანს, რომ დიმიტრის სულიერ ვითარების ძველი მოტივები ცოცხალნი არიან მის გულში. მაგრამ ისინი ხომ არასდროს არ მომკვდებიან. ეს არის, რომ თავად-აზნაურული წოდებრივი აზროვნება, გარემოებათა ზეგავლენით, დაირღვევა. გულს შეაშუქებს წარმტაცი სურათი ფართო და განიერ ცხოვრებისა და იქნება ბომენტი, როდესაც ყოველივე ამ გულში დამონებული იქნება ერთის აზრით, ერთის გრძნობით, ერთის მოვალეობის აღსრულების საკრძალოებით. დიმიტრის პეტერბურგში ყოფნის დროს იმდენს ეცადნენ, რომ კიდევ ჩაითრიეს სამეგრელოს საქმეებში. ახლა „ოტკა“ აღარ არის. თ. ნიკოლოზ დადიანი სრულწლოვანია. სრულწლოვანმა მთავარმა ხელი აიღო სამეგრელოს ტახტზე და უმაღლეს წრეებში იხეკ ყურადღებით ეპყრობიან. და მზად არიან, მადლობის ნიშნად, კიდევ გაუწიონ მფარველობა მის ქონებას. აზრად აქვთ მაიორატად გამოაცხადონ მამულები, რომელიც პირადად თ. მენგრელსკის ეკუთვნოდა. ყველა ამ საქმეების მოწესრიგებისათვის დაარსებული იყო „უმაღლესი კომისია“. რომლის თავმჯდომარედ იყო მინისტრი ო. ლევენი, წევრებად კლუშინი, სტარიცკი (კავკასიაში ნამსახური) და სმირ-

პარნალ ჯორჯაძე
დიმიტრი ყიფიანი

ნოვი. და აი ამ კომისიაში უნდოდათ დიმიტრი ყიფიანის შეყვანა, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ამ საქმის ერთად-ერთი მცოდნე დიმიტრი ყიფიანი იყო.

„უმაღლესი კომისია“ დანიშნული იყო იმ განზრახვით, რომ პატრონობა გაეწიათ თ. მენგრელსკის მამულისათვის იმ დროამდე, სანამ ის, რეფორმის შემდეგ, თვითონ არ ჩაიბარებდა მას.

დიმიტრი ყიფიანს არ უნდოდა ამ საქმეებში გარევა, მაგრამ ალარ მოეშვნენ, ლორის-მელიქოვი ძალიან სთხოვდა. ამ საქმესთან დაკავშირებული იყო ჯამაგირიან ადგილის შოვნაც, რაც ეხლა ახე საჭირო იყო დიმიტრისათვის. ლორის-მელიქოვთან ამის გამო ახეთი საუბარი ჰქონდა:

„ — კარგი, თანახმა ვარ, ხოლო ნებას მომცემთ ჩემი სურვილებიც გამოვთქვა?

— ე. ი. პირობები? უსათოდ.

— მაშ, აი, რა. ჩემი სამსახური შეწყდა თ. მინგრელსკის საქმეების გამო. საჭიროა, რომ აღმიდგენონ ჩემი სამსახურის უფლებანი, ე. ი. ჩამითვალონ სამსახურში დრო, რომელიც სამსახურს გარეშე დავყავი. მაგალითები ყოფილა. ეს ძნელი არ არის.

— მო, ძნელი არ არის.

— საჭიროა, რომ ჩემსა და თ. მინგრელსკის შორის არავითარი ანგარიშები არ არსებობდეს. ჩემი გულის-წყრომა ვერ დამიმშვიდებია იმის გამო, რომ ახე უსამართლოდ მომექცნენ. ამ ბასიათის გრძნობა ხელს შეუშლის ჩემს მუშაობასაც.

— რასაკვირველია, ამაზე ლაპარაკიც მეტია.

— გარდა ამისა, რაკი სამსახურში შევდივარ, ჯამაგირიც უნდა მქონდეს.

— ჯამაგირი ათასი თუმანი გექნება.

— თუ მენგრელსკის ჯიბიდან, ბეერია. უამისოდაც მყვლეფენ. შვიდი ათასი საკმარისია.

გამიშტერა თავისი საკვირველი თვალები, რომელნიც თითქოს ამბობდნენ: მო, მო, გიცანით, გიცანითო.

— მაშ ინახულეთ ხვალ ნიკო და მერე მიამბეთ ყოველივე.

მიველ ნიკოსთან. გადამეხვია, თითქოს არაფერიაო და მეუბნება:

— ცუდად მიდის ჩემი საქმე, დიმიტრი ივანიჩ, უნდა დამეხმაროთ.

— ვიცი დ, რაც იყო, იყო. გულწრფელად მინდა დაგეხმაროთ.

— მადლობელი ვარ, მადლობელი!.“

ერთის სიტყვით, დაინიშნა უმაღლეს კომისიის წევრად. დროებით ჩარიცხეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში. შეუდგა მუშაობას. ჯამაგირი კი არ ეძლეოდა. საჭირო სახელოების მოსატანად კავკასიაშიც გაგზავნეს. იყო, მოიტანა. მუშაობას განაგრძობდა, ჯამაგირი კი არ-ად იყო. დიდ გაკვირვებას განიცდიდა დიმიტრი. იმ დროის პატარა დღიური დარჩა, დიმიტრის ხელით ჭარხოლად დაწერილი. აი, რა დაწერილა:

„1882 წ. იანვარი 23, შაბათი. მთელ დღეს შინ ვიჯექ, 4 საათზედ წავედი სმირნოვთან. სადილად იქ ვიყავ. ფული ალარა მაქვს-მეთქი გამოვუცხადე. ხვალ ხომ კვირაა და ორშაბათს გამოვიტან და მოვიტანო. ორნივ ერთმანეთს შეეწუწუნებოდით, რომ ამრიგებულად უმადურს საქმეს ვადგიარო, მაგრამ — მახლახ! დღეხვალ უნდა გამოირკვეს ჩვენი მდგომარეობა.

25 იანვარი, ორშაბათი. დღეს რვა დღეა, რაც აქა ვარ. ჩემი ბაზინა დავითვალე და დახლში მჭონია სულ რვა ანაზი და 5 კაპ. ვნახოთ სმირნოვი როგორ გამამდიდრებს.

26, სამშაბათი. დღეს დილას ა. ცაგარელი იყო და ხვალ საუზმედ დამპატიჟა, 11 საათზედ. მერე სმირნოვი მოვიდა და ათი თუმანი მომიტანა ...

12 მარტს, პარასკევს, კომისიის სხდომა იყო. განცხადება შევიტანე, რომ ამდენ ხანს ჯამაგირი არა მაქვს. გაიკვირვეს და გადასწყვიტეს, რომ კომისიამ იშუამდგომლოს სახელმწიფო რჩევის წინაშე.

17 აპრილი, შაბათი. დღეს დილის 11 საათზედ ვიყავი ფინანსთა მინისტრთან... თანამდებობას თურმე ველით და როგორ? რასაო? კი არ ველი, მაქვს-მეთქი. ხელმწიფის ბრძანებით ჩ-ენად ვარ მეთქი 1180-ში დანიშნული უმაღლეს კომისიისა და ჯამაგირი კი დღესაც არ დაუნიშნავთ-მეთქი.

— ჩემს დოკლადს აუცილებლად წარვუდგენ ველ. ენაზსთ.

19 აპრილი, ორშაბათი. ნიჩკას (ცოლს) გავუგზავნე, ისაიას სახელმოით, 85 მან. სხვასაც მალე მოგაშველებ მეთქი, თუ ჩემმა დარბაისელმა სმირნოვმა არ მომატყუა.

5 მაისი, ოთხშ... [illegible]ნგნი დავუგდე (სმირნოვს), რადგან ლაპარაკი გვექნება, მაშინ მოგაგონებ და შენ იმათ მოაგონე, რა პირობითაც შემომიყვანეს მენგრელსკის საქმეში და რა ამისრულეს მეთქი.

24, ორშაბ. Оборвалось! არ მინდოდა ბატონოვის ნახვა, მაგრამ მიხ. ტარ. (ლორის-მელიქოვი) სიტყვა არ გავუტეხე ... რომ შევედი, ცივად მკითხა: რა გნებავთო? — მე მინდოდა გრ. მიხეილ ტარიელოვიჩის ჩამოსვლითი მესარგებლა და შემთხვევა მომეცა თქვენთვის, შეგემოწმებინათ ჩემი პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც თქვენი სახელით სმირნოვმა მომცა.

— რა არის? სმირნოვმა თქვენის სახელით მკითხა, ვინ მომცა ის დაპირებანი, რომელთა შესახებ იძულებული ვიყავი ჩემს მახთან მოწერილ წერილში მელაპარაკნა. H-ei! ლორის მელიქოვმა მოგცათ? — ზოგი იმან, ზოგი თქვენ.

— ვერ დაგპირდებოდით იმას, რაც ჩემზედ არ არის დამოკიდებული. — თქვენ მეუბნებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით ... — ეს მე კი არ მეკითხება, თ. მენგრელსკის. მასთან არავითარი შეთანხმება არა მქონდა. — მაშ, მე ვერც ვერას დაგპირდებოდით, და არც დაგპირვებილვარ. — მაშ, ბოდიშს ვითხოვ, უკაცრავად, შევცდი ...“

ერთის ხუთეთი, მოთმინების ფიალა იავსო. 10 ივნ. 1882 წ. დიმ. ყიფიანმა დავით ჩუბინაშვილს გამოართვა ხესხად 800 მანეთი და 12 ივნისს თავი მიანება ბაკურბურგს, სადაც ამუშავებდნენ და ლამაზი ხიტყვით მკვეხავდნენ ორი წლის განმავლობაში. სამშობლოში დაბრუნების უმალ დიმიტრიმ ოფიციალური ქაღალდი გაუგზავნა ალნაშნულ კომისიას, რომ თუმცა კომისიის წევრად ვარიცხები, ხოლო ამ თანამდებობის აღსრულება შემიძლიან მხოლოდ საკუთარ ჭერ-ქვეშ ყოფნის დროს. ამიტომ მხოლოდ იმ ქაღალდებზე შემიძლიან პასუხის გაცემა, რომლებსაც იქ გამომგზავნიანო. ამითი გათავდა ეს უცნაური სამსახურიც. ნეტავეი გამაგებინა, — ეკითხება დიმიტრი თავის თავს მოგონებებში, — ყველას ემპირთება ამგვარი რამ, ყველას ეპყრობიან ასე, თუ მარტო ჩვენ, ქართველებს. მაგრამ ისიც კი არის, რომ მომთმენნი და მორჩილნი ჩვენა ვართო“.

სამშობლოში ჩამოსვლისას ისევ მძიმე ტვირთად დაადგა ზურგსა ვალების გასტყორცნის თამაშება. პენსიიდამ ურიცხავდნენ დიდ ნაწილს. რამდენიმე მამული გაეყიდა. მუდამ უსიამოვნებასა და ფულის შოვნის ფიქრში იყო. კიდევ კარგი, ვალის გადახდას ერთბაშად არ აკისრებდნენ. ახე ვაივაგლახით ახერხებდა ხაქმეების მოწესრიგებასა.

იმ ხანებში ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლად აირჩიეს. და შემდეგ წერილს სწერდა ილია ჭავჭავაძე:

„მოწყალეო ბატონო, დიმიტრი ივანეს ძეო, სიხარულით მომილოცნია თქვენი მარშალად დამტკიცება. მომილოცნია მარტო თქვენთვის კი არა, იმერეთისათვის ცალკე და ჩვენის ქვეყნისთვის საერთოდ. ღმერთმა მოგიმართოთ ხელი, რომ თქვენი ხურვილნი ისე აღსრულდენ, როგორც თქვენ და ჩვენც თქვენთან ერთად ვსასოებთ და ვნატრულობთ, თქვენი არჩევანი იმერეთში დიდი ი

რცელი", რომელიც შენს საკუთრებაში გადადგება. შენს თვალში ამგვარი საქციელი უუგანალეტულობის თავადობა, იმდენად კეთილშობილია და შენთვის და შენი შვილებისთვის იმდენად დაუფასებელია, რომ შესაფერ სიტყვას ვერ ჰპოულობ მადლობის სათქმელად. ეუბნები, რომ მადლობელი ხარ, მადლობელი გულწრფელად და ღრმად, რომ სიბერის დროს ასეთი ნუგეში მოგცეს. აი, მსგავსი ამისა მისწერე რამე, ხოლო ჩემ სახელს ნუ ახსენებ. მე უკვე ჩემ მხრივ მივსწერე".

ამგვარად თ. მეგრელსკიმ სავსებით გამოიხატა თავისი დანაშაულით და შესამჩნევი სამსახური გაუწია დიმიტრის გაჯირვების დღეებში.

მაგრამ რას მოქვიან გაჯირვება, როდესაც ცხოვრება სამოქმედოთ იწვევს ადამიანს, როდესაც მომწიფებული ყანა მომკელს ელის და მომკელიც ზეზეა, ნამგალა ხელსავს და ძმიმე საქმისათვის გამზადებულია!..

ქარი XIII

ამდვრეულ გუნებაზე დაბრუნდა დიმიტრი ყიფიანი პეტერბურგიდან 1882 წელს. სამშობლოშიაც საქმე ისე დატრიალდა, რომ ადამიანი დაშვიდებულად თავს ვეღარ გრძნობდა. 1881 წელს მოიხსენ „ნამეტნეობა". ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠ-ᲛᲐᲠᲗᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲬᲘᲡᲚᲘ Ⲧ.ᲓᲝᲜᲔᲚᲬᲘᲙᲘ-ᲥᲝᲠᲜᲐᲚᲘᲙᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲑᲔᲯᲘᲜᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲕᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝᲗ ᲛᲐᲡᲐᲓᲐᲑᲔᲚᲒᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐᲑᲠᲘᲕᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ. დიმიტრი ყიფიანი გაოცებული დაჰყურებდა მკვიდრად დაფუძნებულ ახალ რეჟიმს და თანდათან რწმუნდებოდა, რომ ის, რაც მის პოლიტიკურ შეგნებით შეუძლებელი იყო, შესაძლებელი გახდა. ქართველობა აითვალისწუნეს, ქართველობას აღარავინ არაფრად აგდებდა და ეს აშკარა გახდა არა მარტო უკვე გამწესებულ ნაციონალურ საკითხთა ფარგალში, არამედ ცხოვრების ყოველ დარგში.

დიმიტრი დაბინავდა თავის მამულში, ქვეშეთში. წელიწადსაც არ გაუვლია და მის თვალწინ გადაიშალა უნუგეშო ყოფა-ცხოვრება ბოძკოშის ხეობის გლეხ-კაცობისა. ხუთი სოფლის საზოგადოება, რომელნიც დიდ მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მამულში ცხოვრობდნენ, დიდად იყვნენ შევიწროვებულნი მამულის მოურავისა და წვრილ აგენტების მიერ. რომ ვეღარა გაეწყვეს რა და ვერ დაადწიეს თავი უდვთო ექსპლოატაციისაგან, დიმიტრი ყიფიანს მიადგნენ და სთხოვეს, მეზობელი ხარ და გზვლენაც გაქვსო, ეგენ გვიშველო და ამ ტანჯულ ცხოვრებიდან დაგვიხსნაო. დიმიტრი დასთანხმდა. 186 კაცის მიერ ხელმოწერილი არზა წარუდგინეს და რწმუნებულებაც გადასცეს ამ საქმის საწარმოებლად. ამ არზაში აი, რას ჩიოდნენ გლეხები. როდესაც დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე დამკვიდრდა ბოძკოშის მამულში, დაპპირდა თურმე გლეხებს, „მეფეო, ფილებით იქნებით, მზრუნველობას არ მოგაკლებთ და, თუ ვინაცობაა ვინმემ შეგავიწროვოთ, პირდაპირ მე მომმართეთ თხოვნითაო. მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა. მოურავები სასტიკად ეკიდებოდნენ გლეხებს. აი, ახლად დანიშნულ მოურავს ვახილეს ერთი ორად აუწევია ბაეის ფული. — „ერთ დღიურ მიწის სარგებლობისათვის — სჩიოდნენ გლეხები, — 1 მან. 50 კ. გვახდევინებს, ერთი ძირი თივის დადგმისათვის იმას გვახდევინებენ, რასაც მოინდომებენ. შეშაში 3 მან. კომლზე„ ბოსლის ახაშენებელ მასალაში ვერშოკში — 20 კ. უნდა ვაძლიოთ, ბოსლის გასათბობად 3 მან. საკონლენში სულ 25 კაპ. გვართმევენ. ხოლო ტყეებსა და მინდვრებში თუ ვაძოვებინეთ, კიდევ 25 კ. გვართმევენ. თითო ღორში და ცხვარშიაც 10 კ. ჩვენი ცხოვრების ერთად-ერთი ხასხარი ტყის გაზიდვაა. ჩვენ მიერ მოჭრილ ტყის გაყიდვის უფლებას გვართმევენ. ჩამოგვაკანონებს მტკვრის „ტივის" სადგურზე და ჩვენ ხე-ტყეს თვითონ ყიდის, ჩვენ კი, თუ ტივის ფასი 100-200 მანეთია, 15-60 მანეთს გვარგუნებს. შეშასაც ძალად გვაზიდვინებს და აგრეთვე თივას ბაკურიანიდან ვა ციხისჯვარიდან, ხოლო დაწესებულ ფასს არ გვაძლევს გადმოტანაში, არამედ რასაც მოინდომებს". ᲩᲘᲝᲛᲝᲜᲔᲑᲘ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘ. „ᲛᲝᲜᲘᲪᲘᲠᲘᲪᲘᲒᲑᲘ", რომელნიც ქრთამებს და საჩუქრებს ახდევინებდნენ გლეხებს, უდანაშაულოდ სცემდნენ და ხშირად იარაღითაც დასჭიდნენ ხოლმე. დიდ მთავართან ვინ მიგვიშვებსო, სჩიოდნენ გლეხები. მოხსელეებმა კი გაგვაბეზღეს. ჩვენი თხოვნა ის არის, რომ გადასახადია თუ ბაეი, ერთიანელ და სამუდამოდ გადაკვეთილი იყოს, რომ როგორმე თვითნებობას დავაბეწოთო თავეო. აგრეთვე ამბავი ვთხოვთ, რომ პრაუტყვეთნასაგან ნუ გვეკაცეკვიან და ცემა-ტყეპა აღარ იყოსო.

აი, ამგვარი ქაღალდი 186 კაცის ხელით მოწერილი მიუტანეს დიმიტრი ყიფიანს. დიმიტრის მორიგებით უნდოდა საქმის გათავება და ამ განზრახვით მოურავს მისწერა შემდეგი წერილი: „შემთხვევა გეძლევათ ერთ კეთილის საქმეს გაკეთება, ამის გამო არ დავინარებდი თქვენთან მოსვლას და მეზობლურად სიამოვნებით გაცნობას, მაგრამ სიბერის უძლურება ნებას არ მაძლევს სახლიდამ გასვლას, და მხოლოდ ამიტომ ნებას ვაძლევ თავს ვიფიქრო, რომ გულკეთილობას გამოიჩენთ და მობრძანდებითო გავლით ჩემს მამულში, სადაც სასურველი და ძვირფასი სტუმარი იქნებით, დროს გამორჩევა თქვენზეა დამოკიდებული, ხოლო ერთს მოგახსენებენ — რადგან კეთილის საქმის მოწესრიგება მოგვეცალა, რაც უფრო მალე მობრძანდებით, ემჯობინება". ამ-

აზედ მოურავმა უპასუხა: თქვენი გაცნობა დიდი ხანია გულში მედგო და ის „კეთილი საქმე“ რომ არ ყოფილიყო, ამ დღეებში გიახლებოდით კიდეცა, მაგრამ ეჭვი მეხადება, რა საქმის თაობაზე უნდა მელაპარაკოთ, ამიტომ თქვენთან ვეღარ მოვალ. უმჯობესი იქნება ხტანეიზე ვნახოთ ერთმანეთი და მოველაპარაკოთ. აი, მარტო გავდილი იქ ვიქნები და თქვენც იქ მობრძანდით. მოლაპარაკება „აუცილებლად საჭიროა. ამ ათი დღის უკან გავიგე, რომ ოთხი კაცი დადის სოფელ-სოფელ და რაღაც ქაღალდზე ფარულად და ალალად აწერინებს ხელს ხალხსაო“. „სხვა რამესაც წეკრს ლაპარაკობენ, რასაც პირადად მოგახსენებთ: ღმერთს გეფიცებით, არა მჯერა, რადგან ვიცი, როგორ უყვარხთ გლეხებს ყაენი და ერთმანეთში მითქმა-მოთქმა. აი, რატომ ვამბობ ამ წერილის დასაწყისში, რომ ვიცი, რა კეთილი საქმეა ის საქმე. სწორედ ამიტომ უსათუოდ უნდა ვინახულოთ ერთმანეთი. საჭიროა რომ თქვენს ხახელს არ რეკდნენ ამ საქმეში. და სხვა. ამაზე დიმიტრიმ უპასუხა მოურავს: „თქვენ მიმიხვდით, რა კეთილი საქმის თაობაზე მინდოდა თქვენთან ლაპარაკი. მოურავსა და გლეხებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. მოგეხსენებათ, დიდი ნაწილი უსიამოვნებათა წარმოსდგება ერთმანეთის გაუგებრობისაგან. ამ გარემოებამ განსაზღვრა ჩემი როლიც ამ საქმეში. მშვიდობიანობის და თანხმობის სიტყვით მოგმართავთ, თუ გამოვა რამე, კმაყოფილი ვიქნები, თუ არა — შევწუხდები. ჩემს ძველ მეზობლებს გლეხებს მხოლოდ ეს დავპირდი.' ამ განზრახვით მოგმართეთ თქვენ. მაგრამ ჩემთან ხხვადასხვა მიზეზების გამო, რომელთაც პატივს ვცემ, მოსვლა თურმე არ შეგიძლიანთ. მე კი ოთახიდან არ გავდივარ. ახე რომ შეთანხმებით საქმეს სამწუხაროდ ხელს ვერ შეუწყობ...“

ახე რომ, როცა მოურავთან შეთანხმების იმედი გადაუწყდა, დიმიტრი ყიფიანმა მიმართა ოთოვნიერ დიდ მთავარს, რომელსაც წერდა „გაჭირვებულისათვის ხელის არ მომართვა სინდისის საწინააღმდეგო საქმეა. ამით ვიმართლებ თავს თქვენს წინაშე, რომ ვეხმარები ჩემს მახლობელ მეზობლებს და მათს გაჭირვებას გაუწყეთო. თქვენი უმაღლესობა არაერთხელ გულკეთილობას იჩენდა თქვენს მამულში დასახლებულ ხალხისადმი და გამოიცხადებიათ კიდეცა, რომ თავიანთ საჭიროებათა პირდაპირ თქვენს უმაღლესობას მიმართონ ხოლმე. მაგრამ თქვენ აქ ყოფნის დროს ვერ გაბმიდეს და ვერ შეგატყობინეს რა. ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში კი მათი მდგომარეობა იმდენად შეიცვალა, რომ იძულებულნი არიან თქვენს წყალობას მიმმართონ. ამ მდგომარეობაში მე მომმართეს როგორც მათ მეზობელს და თქვენს წინაშე თარჯიმნობა და შუამავლობა მთხოვეს“. ამ თხოვნასთან დამიტრომ წარადგინა ფაქტიური მასალაც, საქმის ქაღალდები და თავისი მიზეზები მოწერაც მოურავთან. ამ საქმის თაობაზე დიმიტრი აღნიშნავს თავის მოგონებებში: „მწამს რუსული ანდაზა: **спорь до слез, а объ-заклад не бейся** (ადავე რამდენიც გინდა, ხოლო ნუ დაჰნაძლეგდები), მაგრამ ეხლა მზად ვარ დავნაძლეგდე, რომ მკითხველი ვერ გამოიცნობს რაგვარი განაჩენი დაედეს ამ საქმეს, ხუთი სოფლის საზოგადოების სურვილი უყურადღებოდ დასტოვეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქაღალდი ჩემ მიერ იყო შემოტანილი და არა მოურავის მიერ“.

დიმიტრი ყიფიანისათვის, მის ერთგულების გრძნობისათვის, მწარე სამსალახავი იყო ასეთი მარცხი. მაგრამ ის ხანაში „ბარცხი“ კანონად გაუხდა ქართველების მოკმედებას. ამ გარემოებას დიმიტრი ვერ ურჩგდებოდა. მის რწმენას და მსოფლმხედველობას თითქოს ძირი ეცლებოდა. ამას კი უბრძოლველად ვერ ვის დაუთმობდა დიმიტრი ყიფიანი. და რაკი სახრძოლველად იწვევდნენ, უკან არ დაეხია, ფეხს არ მოუნაცვლა, შემაგრდა და როდესაც განსაცდელის ზარის ხმა მოესმა, წინ წასდგა და, გულის სიღრმეში ღირსეული სიტყვა მოჰნახა ალვირ-აყრილ ახალგაზგადგომ.

ამ დროის ვითარება ნათელი უნდა იყოს ჩვენთვის. საკუთრადღებოა, რომ საზოგადოების და მთავრობის მოურიგებლობა თავდაპირველად და ყველაზე მეტად სამშობლო ენის გარეშემო ტრიალეს. ეს ახლაც უნდა ყოფილიყო. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ეროვნული თვითშეგნებაც თავის განვითარების პირველ საფეხურზე ყველგან და ყოველთვის ენის დაცვის საბჭიროებაზე დგება. ჩვენის ზოგადოებრივობის პირველ ნაბიჯების დროს, ეორონცოვის ხანაში, ენას ორა ხდებენდნენ სკოლებისა და ეკლესიებიდან, თორემ საზოგადოებრივ დაწესებულებებიდან ხომ საბოლოოთ იყო იგი განდეგნილი. მაგრამ ამის წინააღმდეგ პრატესტს არავინ აცხადებდა, ახე შორს ეროვნული შემეცნების მოთხოვნა არ მიდიოდა. და ამის გამო იყო თანხმობა მთავრობისა და ნორჩ ქართულ საზოგადოებრივ აზრევნების შუა. ჩვენში აზვიადებენ ჩვეულებრივად ეთორცნოვის კოლონიკის მნიშვნელობას. ეოოთოვენი, შეეფუნარადელი და ზურგ-მეკვეთელი იყოთო. არ უნდა გავიწყდებოდეს, რომ დიდი გმირობა არ იყო შეწუნარება იმ ფრთიან-შეკვეცილ სურვილებისა, რომლითაც იყვნენ გამსჭვალულნი ინ დროს მოწინავე ქართველები. მოთხოვნა ისეთი მცირედი იყო, პრეტენზიები ისეთი ზომიერი, ხოლო წყურვილი თავგანწირვისა ისეთი დიდი და უზომო, რომ გონიერ ადმინისტრაციისათვის ეჭვი აღარ იბადება იმის შესახებ, თუ რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსის და მიმართულების უნდა ყოფილიყო მთავრობის პოლიტიკა. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ მთავრობას ჩვენში პირდაპირი დამოკიდებულება და საქმე მხოლოდ თავად-აზნაურობასთან ჰქონდა. ამ მხრივ მთავრობის პოლიტიკა უმწვავესადესად არისტოკრატიული ხასიათისაა. თავად-აზნაურობას უწევდნენ ეკონომიურ დახმარებას, პრიკაზი დაუარსეს, სადაც ყმეს აგარავებდნენ და არა მიწებს. ყმეთის გირაოთი კი თანხა ჩაიყალაპა აზნაურობის მიერ. მატერიალურ შემწეობას აძლევდნენ სამსახურში გაწესებით. შვილებს უზრდიდნენ გიმნაზიებში და ინსტიტუტებში. და რაკი ქართულ ენასაც არ ავიწყებინებდნენ, იდილია მთავრობის მზრუნველობისა სრული იყო, ყველანი ქმაყოფილნი იყვნენ.

დროთა მსვლელობაში დგება მეორე ხანაც. გვიჩნდება ინტელიგენცია, იბადება ჟურნალ-გაზეთობა, არსდება თეატრი და ფეხს იდგამს ახალი სტუდა-კაზმული მწერლობა. ამიერიდან გამოლვიძებულ ეროვნულ თვითშემეცნებას ლიტერატურული გამოსახულება ეძლევა, ამიერიდან ეროვნული „სული“ მწყრ ეულსავით უბინაო აღარ არის. თეატრსა, ჟურნალისტიკა-მწერლობაში და საზოგადოებრივ წრეებში ბბინადდრობს იგი. აქ იზრდება, ცნობიერებას იკრეფავს. აქ ახალი მოთხოვნა არ არის წამოყენებული, ხოლო ძველი მოთხოვნა კი საფუძვლიანად არის დასაბუთებული-დამკვიდრებული. და როდესაც მეოთხმოციან წლებში, პოლიტიკური კურსი შეცვალა, რადიკალურად და აშკარად დაუწყეს დევნა ქართულ ენას, ჩვენი თავად-აზნაურული ინტელიგენცია იმდენად შეიარაღებულია, რომ უკვე მეცნიერულის არგუმენტებით შეუძლია თავისი მოთხოვნის დაცვა. ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა აზნაურობის შუამდგომლობანი იმ დროის, როდესაც რეაქციამ განიზრახა 1881 წლის სასკოლო გეგმის გაუქმება. აღნიშნული შუამდგომლობანი, რომელთა შესახებ უფრო ვრცლად სხვაგან მქონდა ლაპარაკი, მიუხედავად თავიანთი გულუბრყვილო ხასიათისა, ვრცლად ეხებიან სასკოლო საქმეს ჩვენში და მთავრობის საყურადღებოდ არდგენენ არა მარტო სახალხო სკოლების პროგრამას, არამედ საშუალოსაც, როგორც საერო, ისე სასულიერო უწესებისას. პრაქტიკულად ამ შუამდგომლობიდან, რასაკვირველია, არაფერი გამოდიოდა. საზოგადოება მხოლოდ რწმენდებოდა, რომ უუქვეშევრდომილესი შუამდგომლობის ძალით გარემოება ოდნავადაც არ იცვლებოდა.

რაკომ ხდებოდა ეს? ვინ იყო დამნაშავე? დამნაშავე, რასაკვირველია, მოხელე იყო. მოხელეს უნდა მოეთხოვოს ანგარიში, მოხელემ უნდა გაგვიცეს პასუხი თავის უკანონო მოქმედებაშია. ყველა კარგი, ხოლო მოხელეს ვიღა მოსთხოვს ანგარიშებს, ვინ იქნება ის გაბედული, თავზე-ხელაღებული ადამიანი, რომ შეებრძოლოს მთავარ-მართებლისთანა, ან ეგ ბოსისთანა მოხელეს? თავად-აზნაურობა? თავად-აზნაურობა თუ რასმე ითხოვს. უუქვეშევრდომილეს თხოვნის ფორმით ითხოვს, პირისპირ იგი არავის შეეტაკება. არც გაბედულება აქვს ამისი, არც ტრადიციები, არც უნარი, არც ღირსება. ინტელიგენცია? არა, ინტელიგენციის ძალა ჯერ მომწიფებული არ არის. ინტელიგენცია ჯერ დაშორებული ხალხს. მას უფრო თავადაზნაურობასთან აქვს კავშირი და ისიც ქმაყოფილდება იმ მოხსენებით, რომელთაც სთხოვს თავად-აზნაურობა მოხელეთა ბოროტმოქმედების ასალაგმავად. ხალხი? ხალხს ჯერ თავისი სიტყვა არ უთქვამს და ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დადუმებული. მაშ, ვინ? ვინ არის ხმის გამცემი? შერცხვენილ და შეურაცყოფის დროს ხმას ვინ აღიმაღლებს, ვინ დაამშვიდებს აღშფოთებულ ნინდისს გაბედულის სიტყვით და ვინ ჩანერგავს აღშფოთებულ გულში იმედს და სიხარულს? ეს არის დიმიტრი ყიფიანი.

დიმიტრი ყიფიანი? დიმიტრი ყიფიანი ზომ ლოიალიზმით გამსჭვალული, ზომიერი აზროვნების ადამიანია. იგი ზომ ორმოცი წელიწადი სახელმწიფო სამსახურში იწვრთნებოდა და კარგად იცის „ხუბორდინაციის“ ფასი და მნიშვნელობა. დიმიტრი ზომ დაჯილდოვებულია ორდენებით, მაღალ ხარისხით, წოდეს ლენტით, რომელიც ასე ლამაზად ამშვენებდა მის მკერდს სადღესასწაულო დღეებში. დიმიტრი ზომ საპატიო მზრუნველადაც იყო, წინამძღოლადაც, ქალაქის თავადაც და ახლა ზომ იგი სამოცდაათი წლის მოხუცია, ჭაღარით მორთული. და ეგეც არ იყოს, დიმიტრი არ იყო, რომ აი, ეხლანდეს რამდენი პირადი მწუხარება, დამცირება და გაჭირვება აიტანა? და ნუ თუ ეს დამსახურებული, მოხუცებული და დინჯი ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად მყუდრო და უშფოთველი სიბერე ეკუთვნოდა, ნუ თუ ეს კაცია ის მეომარი, ის მებრძოლი, რომელმაც ახალგაზრდასავით, თავდავიწყებამდე, საკვეყნო საქმე უნდა იდვას კისერზე და ამ საკვეყნო საქმის გულისთვის ზიფათს და განსაცდელს მისცეს თავი? დიაღ, ეს არის დიმიტრი ყიფიანი.

და სწორედ ამ ამბავის მოთხრობას შეუდგებით ამჟამად. და უნდა ვეცადოთ, რომ აქ ყოველივე გაშუქებული იყოს, ბუნდოვანნი, გამოურკვეველი არა დარჩეს-რა. ვამბობთ ამას, რადგან ჯერ ხნობით ეს საგანი საკმარისად ნათელი არ არის, არ არის ნათელი ასე ვთქვათ ფსიხოლოგიურადაც. ფაქტები ვიცით, ხოლო მათი განმარტება ვერ მოგვიხერხებია. ადვილი სათქმელია, ვსთქვათ: ვაშა მოხუცს გაბედულების და ვაჟკაცობისათვის, ხოლო ადვილი გაგებენი არ არის, როგორ, რანაირად მოხდა, რომ მეცხრამეტე საუკუნეში, გადაგვარების და მორჩილების ხანაში, ადამიანს აღმოაჩნდეს

თვისებები ძველ გმირისა, უწინდელ მამულისშვილისა, თავისუფლების და ბრძოლის ატმოსფერაში აღზრდილისა? ადვილი სათქმელია, დიმიტრი ყიფიანმა გვასახელა, ხოლო ადვილი გასაგები არ არის, საიდან, როგორ აღმოაჩნდა დიმიტრი ყიფიანს „დიმიტრი თავდადებულის“ სახიათი და თვისებები? აი, სად არის სიძნელე ამ პრობლემისა, აი, რა უნდა იყოს გარკვეულ-გაშუქებული, ვისაც უნდა ამ პრობლემის გადაწყვეტა...

მაგრამ თეორიული მსჯელობით მიზანს ვერ მივაღწევთ. მოქმედების აზრი თვით მოქმედებიდანვე გამოსჭვერტს. თუ დრამატული მოქმედება ნათელს არა ჰყოფს, მასში ჩართულ აზრს, დრამა გაუგებარი დარჩება ჩვენთვის, რამდენიც გინდა მეცრმეტყველი მონოლოგი ჩაქერთო შიგა და შიგ. ცხოვრების დრამაც ამგვარია. მომქმედნი პირნი მოქმედებენ და არც კი მგრძნობენ, რა დრამატაზმით აღსავსეა მათი მოქმედება, მკვლევარი კი, მანძილზე დაშორებული, გრძნობს ამ დრამას, ამ სტიქიური შეხლას სხვა-და-სხვა ძალთა, რომელთა შეგნება ხშირად არც კი აქვთ მომქმედ პირთ. დიმიტრი ყიფიანის ცხოვრების დრამაც მხოლოდ მის მოქმედებიდან, მის ნებისყოფის ამოძრავებიდან გამოსჭვერეტს. მაშ, მოუბრუნდეთ ფაქტებს.

1885 წ. როგორც ვიცით, დიმიტრი ყიფიანი ორჩეულ იქნა წინამძღოლად იმერეთის თავად-აზნაურთის მიერ. ჩვენ უკვე ვიცით, დიმიტრის რა მხურვალედ მიუღია ამის გამო ილია ჭავჭავაძე, თითქოს მგრძნობდა, რომ დიმიტრი ხელისწერას ადვილად არ დაემორჩილება და აღსასრულს თავდან არ აიცილებდა. იმავე ხანებში საქართველოში ჩამოვიდა ყოფილი ნამეხტნიკი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. საზოგადოება, რეკ(ციის მძვინვარებით შეწუხებული, დაჭანტოდა დიდი მთავრის ნამეხტნიკის დროს, და ეხლა მთავრის ჩამოსვლით ისარგებლა და აგრძნობინა დიდ მთავარსაც და თ. დონდუკოვსაც, რომ ბინი სიმპატიები პირველის მხარეზეა, დონდუკოვის პოლიტიკას კი იგი ბგმობს, ყოველივე ეს გამოირკვა იმ საადღესასწაულო დახვედრაში, რომელითაც მიეგებნენ ამერ-იმერლის თავად-აზნაურობა დიდ მთავარს. თ. დონდუკოვი თითქოს განმარტოებული დარჩა, — ყველანი გარს ეხვევნენ და ელოლიავებოდნენ ძვირფას სტუმარს. დიმიტრი ყიფიანიც ზნეობრივად იხეკ გამოცოცხლდა. ნეტარხსენებული წარსული ილუზიები და იდილიები თითქოს ისევ გამოცოცხლდნენ და გულს იმედით ავსებდნენ. მაგრამ სტუმარ-მასპინძლობა ხომ გულის გასაკარვებელი დროს გატარებაა. სინამდვილე კი, მრისხანე და სასტიკი, უფრო მიუკარებელი და წარბშეკრულია. საადღესასწაულო სიტყვები, რომელთაც ერთ დიდ გვამს ეუბნებოდნენ, მეორე დიდ გვამის გულს ისარივით ერეკობოდნენ. ქებათა-ჭქება, შესხმა და სიხარული, რომელთაც ერთს ეგებებოდნენ, მეორეს შავ და ბოროტ ფიქრებს უდგენიენდა, ამ ბოროტ ფიქრებში თითქოს წინასწარ ყოველივე აწონდაწონილი იყო და შემზადებული შურისძიების გეგმა. მართლაც, არ გასულა დიდი ხანი ამ ამბების შემდეგ და თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა მოსთხოვა დიმიტრი ყიფიანს ანგარში მისი მოქმედებისა, მოაგონა ძველი ამბებიც, დიმიტრის შეტაკება ოლქის მზრუნველ იანოვსკისთან და სახრალმდებელო ოქმი შეუყენა. დიმიტრიმ პასუხი არ დაუგვიანა თ. დონდუკოვს. ხოლო სანამ ჩვენ ამ პასუხს განვიხილავთ, უნდა აღვნიშნოთ 1884 წელს ახალი ეგზარხოსის, პავლეს ჩამოსვლა საქართველოში. ამ ეგზარხოსს ვიგონებთ იმიტომ, რომ მის ჩამოსვლით იანოვსკის და დონდუკოვის „დუუმვირატს“ მიეცა ეგზარხოსიც და ამრიგად შესდგა ძლიერი ბოროტი ძალა ქართულ ეროვნულ იდეის აღმოსაფხვრელად.

ეგზარხოსის ჩამოსვლის დღეს მას სიტყვით მიმმართა დიმიტრი ყიფიანმა და ჩვეულებრივი მისალმებისა და ოვერთა ეკლესიის დამსახურების აღნიშვნის შემდეგ, უთხრა შემდეგი: „სენინარიაში მცირე ადგილი აქვს დათმობილი ქართულ ენას, ახე რომ სენინარიაში კურსდამთავრებული მღვდელი ხშირად არც კი იცნობს ქართული ეკლესიის ისტორიას და უპირველ კიდეც კითხვა ქართულ ლოცვებისა და საეკლესიო წიგნებისა... ალარ ვამბობ იმას, რომ არ არსებობს ქადაგება, რაიცა ახე შვილის სარწმუნოების განმტკიცებას, მწყემსის საბჭოსთან სულიერ დაკავშირებას. ვაძლევ თავს ნებას და ვაწუხებ თქვენს მწყემს მთავრულ ყურადღებას იმ ცხადი ჭეშმარიტების მიხედვით, რომ ხალხს, რომელსაც აქვს მრავალ-საუკუნეთა სახელოვანი წარსული, არ შეიძლება მოეთხოვოს დავიწყება იმის, რადგან ანდერძი ჩვენთა მამა-პაპათა, ჩვენი ისტორიისა არის — ერთგულება ღვთისა, ქვეშევრდომობა ხელმწიფე იმპერატორისა და სამშობლოსათვის თავდადება. ჩვენ, ეხლანდელი შთამომავალნი იმ ხალხისა, მოსულნი თქვენთან, როგორც ჩვენს მწყემსმთავართან, ჩრომ მოგიღოცოთ მშვიდობით მობრძანება და მივიღოთ თქვენი მეუფეობისაგან ლოცვა-კურთხევა, ვთხოვთ, დაგვიახლოვოთ, გაგვიცნოთ, გიოგოთ ჩვენი ჭირ-ვარამი და ლმობიერად მოეკეცეთ ჩვენს სისუსტეს და ნაკლოვანებას. ჩვენც ჩვენის მხრით ავასრულებთ თქვენს დარიგებას, რადგან ღრმად გვწამს, რომ მამამთუელი იქნება ქართველი ხალხის სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად“.

ამგვარად დიმიტრი ყიფიანი კიდეე ერთხელ იგონებს ამ ისტორიულ ფორმულას, რომელშიც ისახებოდა პოლიტიკური აზროვნება ქართველ თავად-აზნაურობისა: ერთგულება ღვთისა, ქვეშევრდომობა იმპერატორისა და სამ-

შობლოსათვის თავდადება. დიმიტრის ღრმად სწამდა, რომ ამ ფორმულის ელემენტებს შორის სრული ჰარმონია და თანხმობაა. ქვეშევრდომობა არ ეწინააღმდეგება სამშობლოსათვის თავგანწირვას. საქართველო და რუსეთის თვითმპყრობელობა ერთმანეთს აძლევენ ხელს და ურთიერთის საფუძვლად ისახებიანო. აი, ამ აზრამვნების ალიარებაშია კვანძი დიმიტრი ყიფიანის სიცოცხლის ტრაგედიისა. რომ აღმოჩნდეს აღნიშნული ფორმულის ელემენტთა შორის წინააღმდეგობა და მოურიგებლობა, მაშინ რაღა? რუსეთის ნაციონალიზმიც ხომ აღიარებს ამ ტრიადას? ხოლო ამ ნაციონალიზმს ხომ რუსეთის ეკლესია აჭვს ხახში და რუსეთის ხალხი და სამშობლო. ღვთის სიყვარული და სამშობლოსათვის თავდადება ხომ რუსეთის ნაციონალურის ფერადებით აჭვს შეღებილი! მეორეს მხრივ, აშკარაა, როდესაც დიმიტრი ყიფიანი სემინარიებისა, ქართულ ენისა და წირვა-ლოცვის შესახებ ელაპარაკებოდა ეჭზარხოსს, მას ქართული ეკლესია ჰქონდა სახეში და თავდადებაზეც ალაპ იტყოდა, თუ სახეში არა ჰქონოდა საქართველო და მისი ხვედრედი. ამგვარად, შეუძლებელია არსებითი შინაგანი წინააღმდეგობის დაფარვა, რომელიც არსებობს სახელმწიფოებრივ ნაციონალიზმის და ქართულ ეროვნულ ინტერესთა შორის. და სწორედ ამ წინააღმდეგობის ალიარებიდან წარმოიშვა შეშფოთება, ჩვენს დროში, მოთხოვნა განსაკუთრებულ ეროვნულ ორგანიზაციის დაფუძნებისა ქართულ ეროვნების დასაცავად. მაგრამ ეს წინააღმდეგობა გასაგები, მიუცილებელი და აშკარა გახდა ჩვენთვის, ხოლო არ იყო აშკარა ქართულ ეროვნულ შემეცნების განვითარების იმ ხანაში, როდესაც სამშობლო ენის საკითხი იყო თავი და ბოლო ეროვნულის პროგრამისა. ეროვნულ-უფლებრივ დაწესებულებათა საკითხი არ იყო არც მომწიფებული, არც წამოყენებული, და ამიტომ ზემოადნიშნული წინააღმდეგობა იმ თვალსაზრისით არც კი სჩანდა. არ სჩანდა, რადგან ჩვენი მოღვაწენი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თვითმპყრობელობის რეჟიმსაც შეეძლო შეწყნარება ქართველთა მარტივ მოთხოვნილებებისა, რომელიც ორ საგანს შეადგენდა: ქართული ღვთის მსახურებას ეკლესიებში და ქართულ ენას სკოლებში. წინად ამ მარტივ მოთხოვნას იწყნარებდნენ, მაშასადამე, ახლაც შეეძლოთ შეწყნარებაო. და თუ არ იწყნარებენ, ეს პოლიტიკური რეჟიმის ბრალი კი არ არის, არამედ ამ რეჟიმის ბოროტ და დაბრმავებულ მსახურ-მოხელეებისაო. აი, დიმიტრი ყიფიანის პოზიცია იანოვსკისთან კამათის ღრმს, ეჭზარხოსთან ლაპარაკის, თუ დონდუკოვ-კორსაკოვთან მიწერ-მოწერის დროს, მაგრამ დიმ. ყიფიანს ეხედველოდაც მიღებული აქვს ჭეშმარიტება, რომ სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმი და ბატონებულ ერისა აუცილებლივ უნდა შეეჯაჭოს ამ სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა სუსტ ერებს, რომ ეს კანონი და თვისება მეზრძოლ ნაციონალიზმისაა. ხოლო ამ ნაციონალიზმის მძვინვარების წინააღმდეგ არსებობს ერთი საშუალება — პატარა ერთა ცხოვრების ჩაყენება განსაზღვრულ დაწესებულებათა ჩარჩოში, რომელიც მათ დაფარავდა ძალმომრეობისაგან. ახე რომ ისევ ეროვნულ-უფლებრივ დაწესებულებათა საკითხი იბადება. ამ საკითხის წამოყენების საჭიროება კი არ ეგუებოდა არც იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას, არც ქართველ საზოგადოების ეროვნულ შემეცნების განვითარების საფეხურს. ახე რომ დიმიტრი ყიფიანისათვის ლოღიკურად შეუძლებელი იყო დაძლევა იმ წინააღმდეგობისა, რომლის შეუმეცნებლობა და შეუვნებლობა მთავარი მოტივი დიმიტრის სიცოცხლის და მოღვაწეობის ტრაგედიისა. მაგრამ ამ ტრაგედიაში სხვა დიდმნიშვნელოვანი მომენტებიც არის, რაიც ჩვენთვის მხოლოდ თანდათან გამოირკვევა, რადგან იმ ამბების მსვლელობაში ბევრი რამ ალრის მოულოდნელი. და ჯერ კიდევ გამოურკვეველი.

როგორც ვთქვი, 1885 წელს დიდი მთავრის მიხეილის ყოფნის დროს საკრთველოში, დიმიტრი ყიფიანმა შესჩივლა, სუსხიანი დრო დაგვიდგაო, ალარ გვეხლდობიან, გვდევნიან, ჩვენ ენას არ იწყნარებენო და სხვა. დიდ მთავარს, რასაკვირველია, დაუმშვიდებია დმიტრი ყიფიანი, თავად-აზნაურობას გადაეცითო, რომ ხელმწიფე იმპერატორი სრულის ნდობით გიყურებთ და ქართველებს რუსებისაგან არ ანჩეგვსო. „შეატყობინეთ ეს ჩემი სიტყვა ყველასაო". „როდესაც დაბრუნდა ქუთაისში, — ვკითხულობთ ნ. ყიფიანის წერილში „დიმ. ყიფიანის უკანასკნელი დღეები" დიდი მთავრის ბრძანების აღსასრულებლად (შეატყობინეთ ყველასაო), დიმიტრი ყიფიანმა დასწერა თავისი ნალაპარაკევი დიდ მთავართან, გადაასწერინა ორასიოდე ეგზემპლიარი და დაურიგა თავად-აზნაურებს". ეს გარეშოეება ეკლად შეეჩეჩო დონდუკოვ-კორსაკოვს და თავის უფლებით რომ ქედი ვერ მოაღრეკინა დიმიტრის, უმაღლეს წრეებს შესჩივლა და დიმიტრი ყიფიანი მავნებელ აგიტატორად დაბასახა. და არ გახსენა დიდი ხანი და დონდუკოვს უკვე ხელში ეჭირა ისეთი ქაღალდი, რომელიც ჭლახვადა დიმიტრი ყიფიანის ღირსებასა. შინაგან საჭმეთა მინისტრი სწერდა თ. დონდუკოვს:

„მოწყალეო ხელმწიფევ თ. ალექსანდრე მიხეილის ძევ ..

ხელმწიფე იმპერატორმა წაიკითხა თქვენი ბრწყინვალების მოახსენება მის იმპერატორობით აღმატებულების დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ამა შემოდგომაზე კოფნის შე-

სახეებ კავკასიაში, ბრძანა, რომ დიდ მთავარს სრულიად საფუძვლიანად უთქვამს ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის, რომ ხელმწიფე-იმპერატორი დარწმუნებულია ქართველების ერთგულებაში ტახტისადმი და რომ, თავის მამის და პაპის მსგავსად, არ მოაკლებს მათ თავის წყალობას, და რაკი ეს ასეა, დიდ მთავარს სრული უფლება ჰქონდა დაეგალებინა მისთვის ყველასათვის საყურადღებოდ გადაეცა ეს, მაგრამ დიდ მთავრის მიერ თქმული სიტყვები სრულიად არ ავალებდნენ ბ-ნ ყიფიანს ჩაწერას იმ სიტყვებისას, რომელნიც კერძო ლაპარაკში იყვნენ გამოთქმულნი ბორჯომში, არ ავალებდნენ ამ სიტყვების წერილობით ოფიციალურად გადაცემას დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიაში. ხელმწიფე იმპერატორი, სცნობს რა ბ-ნ ყიფიანის ამგვარ მოქმედებას უადგილოდ, თქვენს ბრწყინვალესას ავალებს გამოუცხადოს მას შესაფერი გაკიცხვა.

მიიღეთ და სხვა გრაფი ლ. ტოლსტოი.

13 დეკემბერი. 1985 წ".

ამგვარად, დიმიტრი ყიფიანს ბრძოლა დაუწყეს მისივე იარაღით. ხელმწიფე გაკიცხვას უთვლიდა. უმაღლესის ავტორიტეტის ფრთეთა ქვეშ შეუფარებიათ თავი ბოროტ ადმინისტრატორებს. და ის ძალა, რომელსაც ეყრდნობოდა დიმიტრის მსოფლმხედველობა, მის წინააღმდეგ აამხედრეს. დიმიტრის გული დაიკოდა და მისი მწუხარება მეტად მწვავე უნდა ყოფილიყო. თუ მაგრეა, იქნებ იარაღის დაყრა იყო საჭირო, იქნებ ბრძოლას აღარ ჰქონდა აზრი და მნიშვნელობა? თუ სიტყვიერად გავრცელება დიდი მთავრის ნალაპარაკევის კარგი და სასურველი იყო, წერილობითი გავრცელება ამ ნალაპარაკევისა რაღად უნდა გამხდარიყო გასაკიცხი და მავნებელი? განა კარგი სიტყვის რაც შეიძლება ვრცლად გავრცელება ცუდი საქმეა? თორმე ცუდი რამ ყოფილა. თუ მაგრეა, ალბათ, სულაც არ იყო სასურველი ამ სიტყვის გავრცელება. ამას პირდაპირ არ ამბობდნენ, ფორმას აეკვიატნენ, არსებით კი სიტყვის გავრცელებისათვის გაკიცხეს. მაშ, დიდდუკოვის პოლიტიკა მართალი ყოფილა? მას თითქოს უმაღლესი სანქცია ეძლეოდა! ნუ თუ შესაძლებელია, ნუ თუ საქმე ასეა? მაგრამ იქნებ შეცდომაში შეიყვანეს იმპერატორი, სხვანაირად აუხსნეს და განუმარტეს საქმის მდგომარეობა? ესაც შესაძლებელია, არა, შესაძლებელი კი არა, სწორედ ასე უნდა ყოფილიყო. და დიმიტრი ისევ გულს იკეთებს, ისევ ღრმად არის დარწმუნებული, რომ თავი და თავი ბოროტება უმაღლეს ადმინისტრაციის წარმომადგენლებია. მაშ, თუ ასეა, ჯერ კიდევ ვნახოთ, გამარჯვებული ვინ იქნება! და დიმიტრის ისევ ამაყად უჭირავს თავი და იგი ელის მხოლოდ მომენტს, რომ გაორკეცებულის მხურვალებით დაეძგეროს ბოროტ ძალას.

თ-დ დონდუკოვ-კორსაკოვი, ჩაიგდო რა ხელში ალენშნული წერილი შინაგან საქმეთა მინისტრისა, [გათამამებული და ზურგ-გამაგრებული]ა. და იგი ანგარიშსა სთხოვს დიმიტრი ყიფიანს, ამიხსენით, რამ გაიძულათ დიდ მთავარს რომ შესჩივლეთო. ამაზე დიმიტრი ყიფიანი სწერდა:

„თ-დ დონდუკოვ-კორსაკოვს! 17 დეკემბრის შეკითხვით თქვენმა ბრწყინვალებამ მიბრძანა, დაწერილებით მომეხსენებინა თქვენთვის, თუ რაგ მაიძულა დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს რომ მოვახსენე ის, რაც მოვახსენე. ამიტომ 30 ნოემბრის ჩემი მოხსენების შესავსებლად მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მაშინ მე ორგვარი ფაქტი მქონდა ხედველობაში 1. დაბრკოლებანი სახელმწიფო სამსახურის დროს და 2. სახალხო განათლების საქმეში უცნაური მოვლენანი. ის, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებებში ძართლაც ახდენდნენ შეუფერებელ განკარგულებებს, ეს თქვენმა ბრწყინვალებამ თითონ კეთილ ინება და მითხრა ლაპარაკის დროს 23 ოქტომბერს ტფილისში. ხოლო შემდეგ სავსებით გამორკვა, რომ ეს განკარგულებანი საკუთრივ ქართველებს არ ეხებოდნენ, ამიტომ ამ ფაქტების შესახებ კითხვა, განსაკურებით თქვენი შეკითხვის შემდეგ, სავსებით უაზრდებულად მიმაჩნია. და თუ ვიახლენებ ამყამად, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ მიბრძანეთ ამის გამო განმარტება მოგახსენოთ. — სხვანაირია მეორე კატეგორიის ფაქტები. ამის შესახებ მე ვწერდი 11 ოქტომბერს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს და ეს ჩემი წერილი თქვენს ბრწყინვალებას მიაჩნია „უსაფუძვლო წერილად და არა შესაფერ ოფიციალურ მიწერ-მოწერაში და შემლახველად იმ პირის ღირსებისა, რომელთანაც იგი მიწერილია. მაგრამ ვბედავ და მოვახსენებ თქვენს ბრწყინვალებას, კანონით განსაზღვრული ჩემი თანამდებობის ღირსების დაცვის გულისათვის: ბ-ნმა მზრუნველმა თითონ მომმართა და მთხოვა განმარტება იმ საკითხის გამო, რომლის შესახებ მისთვის ჩემზე მიუწერიათ და განმარტება მთხოვა ისეთი კილოთი, რა კილოთითაც თავად-აზნაურთა წინამძღოლს გარდა სენატისა, არავის არა აქვს უფლება, ელაპარაკოს. ჩვენი ურთიერთის სამსახურის მდგომარეობა კი ინანირია, რომ იგი არ გულისხმობს ერთის დამოკიდებულებას ან ხელქვეითობას მეორისაგან. თუ რომ მე ამაში ვცდები და სწორედ არ მესმის ჩემი თანამდებობის ღირსება — თუმცა არა მგონია, რომ ეს ასე არ იყოს — არის სხვა მიზეზიც, რის გამო პასუხი არ გამეცია ბ-ნ მზრუნველისათვის. მე საჩივარით კი არ მომმართეს, რომელსაც არც კი განვიხილავდი, არამედ იმგვარ ცნობებით, რომელთა გამო (9 ტომის კან. კრებ. 10 არ. 293 სტ. მიხედვით) უყურადღებობა არ უნდა გამოეჩინა. ცნობები ამგვარია: ა) 1881

წელს იანვარში, ყოფილ კოკასიის ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული იყო სამოსწავლო გეგმა, რომლის ძალით სახალხო სკოლებში სწავლა ორი წლის განმავლობაში სამშობლო ენაზე უნდა ყოფილიყო მოწყობილი. მაგრამ 1885 წელს ეს გეგმა გაუქმებულ იქნა, არა იმ პირის მიერ, ვისაც ნამესტნიკის შემდეგ ჰქონდა ჩაბარებული მმართველობის უფლება, არამედ ადგილობრივ სამოსწავლო დაწესებულებების მიერ. ბ) 1885 წელს ივნისში სამაზრო პოლიციის გაკვრგულებით, რომელიც იმავე სამოსწავლო მმართველობიდან მომდინარეობდა, სოფლის საზოგადოებათ გამოუცხადეს, რომ ვისაც სურს თავისი შვილი სოფლის ნორმალურ სკოლაში მიიბაროს, სამშობლო ენაზე წერა-კითხვა წინდაწინვე სახლში უნდა ასწავლონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი სკოლაში მიღებული არ იქნებაო. გ) ერთ სასწავლებელში, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთათვის იყო დაარსებული, ამ მკვიდრთა შვილებს 15 აგვისტოდან აღარ იღებენ. იღებენ კი იქ ჩრდილოეთ კავკასიიდან და სტავროპოლის გუბერნიიდან და გზის ხარჯსაც თვით მასწავლებელი იხდის. დ) ერთ საშუალო სასწავლებელს შუამდგომლობა ალუძრავს, რომ ამ სასწავლებლის პანსიონში, რომელიც თავად-აზნაურობის შვილებისათვის იყო დაარსებული, მიიღონ სამსახურ გათავებული სალდათის შვილები. — ყველა ამ ცნობების შემოწმება იყო საჭირო. უამისოდ მათ მე ვერავითარ მსალეთობას ვერ მივცემდი. მაშასადამდე, დავალებული არ ვიყავი მეცნობებინა სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის. ეხლა კი, როდესაც ყველა ამ ხასიათის საკითხს ეჭვიანობით უყურებენ, შემოწმების იმედი სრულიად დამეკარგა — თქვენი ბრწყინვალების საყურადღებოდ ვახსენებ ყველა ამას მხოლოდ თქვენი ბრძანების მიხედვით, ხოლო ჩემს თავზე არ ვიღებ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ ყოველივე ეს ბეშმარიტება. მაგრამ შეიძლება მოგახსენოთ ერთი შეურყეველი და ახალი ფაქტი, რომლიც იმას გვეუბნება, რომ არსებობს მიდრეკილება ქართულ ენის დევნისა. — მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და კულტურული ენა სამეგრელოში. იქ ყველას ესმის ეს ენა. ამ უამად კი იქ ახალ კულტურას ჰნერგავენ — მეგრელ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშუალებით. ასე რომ გავუვეთ, შეიძლება შეიქმნას ახალი კულტურა ეჭარლებისა, ფშავ-ხევსურებისა, იმერლებისა, მთიულებისა და სხვათათვის. სასარგებლო კი იქნება ყოველივე ეს იმ მთავრობისათვის, რომელმაც თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა მრავალტანჯული მართლმადიდებელი საქართველო, რისთვისაც უსაზღვრო მადლობა და ერთგულება დაიმსახურა — მე ჩემს წმინდა მოვალეობად ვსთვლი მუდამ ამ მადლობის და ერთგულების გრძნობაზე ვიდგე და სწორედ რომ არ მესმის, რატომ მიწყრებიან ამის გულისათვის. ქუთ. გუბერ. თავადაზნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ყიფიანი — ეს დოკუმენტი საკმაოდ ასურათებს ამ დროინდელ ვითარებას. გარემოება გართულდა. უკანონობა კანონად გადაიქცა 1881 წლის სამოსწავლო გეგმის გაუქმებით. სამსახურში ადგილობრივ მცხოვრებლებს აღარ იღებენ, სამეგრელოს აშორებენ დანარჩენ საქართველოს, თავად-აზნაურთა წინამძღოლის ღირსებას არაფრად აგდებენ. და თავის საპასუხო წერილში დიმიტრი ყიფიანმა ყოველივე ეს თამამად ჩამოსთვალა და გაახსენა თ დონდფოკუს. და ყველასათვის აშკარა იყო, რომ დიმიტრი ყიფიანი ასე ადვილად თავს არავის დაიჩაგვრინებს და არც ერთ ბოროტებას, ადმინისტრაციის მიერ ჩადენილს, გაუკიცხავს არ დაადგებს. ეს გარემოება, რა თქმა უნდა საზოგადო პოლიტიკის მიმართულებას არა სცვლიდა. ბოროტება ბოროტებადვე რჩებოდა. ერთი ნუგეშიღა იყო: ბოროტების მედგარი მხილველი და მდევნელი გაუჩნდა ქართველ საზოგადოებას. ამაში იყო მცირედი ზნეობრივი დაკმაყოფილება. ასე რომ, პირის-პირ იდგა ორი ძალა: ერთი ძალა გამაპარტავნებული და გაკადნიერებული იყო სახელმწიფოებრივის უზარმაზარის მექანიზმის ხელში ტრიალით. მეორე ძალა მხოლოდ ზნეობრივის სიმტკიცით და შეურყეველობით მაგარი. ამ ორ ძალთა შეჯახების დროს გამარჯვება, რა თქმა უნდა, გაკადნიერებულთა მხარეზე იქნებოდა.

სანამ ამ ხასიათის მიწერ-მოწერაში არიან ადმინისტრაციისა და საზოგადოების უმაღლესს ხარისხზედ მდგარნი პირნი, ტფილისის სასულიერო სემინარიაში ოფიციალურ-დაწესებული ამბავი ხდება. 24 მაისს 1886 წელს სემინარიის რექტორი ჩუდეცკი მოკლულ იქმნა მესამე კლასიდან გამორიცხულ შეგირდის იოსეტ ლაღიაშვილის მიერ. იმავე წელის 10 ივნისს სამხედრო სასამართლოში გაარჩიეს ეგ საქმე. და აქ გამოირკვა ბევრი რამ საყურადღებო. მოგვეყავს ზოგიერთი ცნობები იმ დროინდელ „ივერიის" „სასამართლოს მატიანედან":

„სემინარიის ინსპექტორმა იაკობ სტეფანეს ძე სტეფანოვმა აჩვენა, რომ პედაგოგიურის კრების ოქრნალისაებრ 9 დეკემბერს 1885 წელს, რომელიც დამტკიცებულ იქმნა საქართველოს ეპარხოსის მიერ, მესამე კლასის შეგირდს იოსეტ ლაღიაშვილს მოესპო სახელმწიფო ხარჯი, რადგანაც უპოვეს დღიური, რომელშიაც ისეთი რამ წერია, რომ ამტკიცებდა შეგირდის შეუწყნარებელ მიმართულებასა. ეს მიმართულება იმითი აღმოჩნდა, რომ ლაღიაშვილი არაფრად აგდებდა სასულიერო მოძღვრებათა და სასულიერო პირთა, აგრეთვე, მძულვარებით ლაპარაკობდა თავის დღიურში ერთ-ერთს მასწავლებელზე და დასახსრულ მონაწილეობას იღებდა საიდუმლო ხელნაწერ გაზეთში, რომელსაც ქართულად სწერდნენ და რო-

მელსაც სახელი აქვს „ეკავილი“. სრულს სახარჯოს მაგირ, ლაღიაშვილს 6 მანეთის ძღევა დაუწყეს თვეში. ამ ღონემ მაინც თავისი არ დაიშლევინა ლაღიაშვილს. 12 მარტს, როდესაც სტეფანოვი მივიდა იმის სახლში, ლაღიაშვილმა თავისი წიგნები და რვეულები არ აჩვენა იმ მიზეზით, რომ ყველა წიგნები მე არ მეკუთვნისო და ჩემს წიგნებში სხვისაც ურევიაო. როდესაც წიგნები გაუსინჯეს, უპოვეს ერთი მოზრდილი წიგნი „Отечественные записки“-ხა და წიგნში ‘რვეული შემდეგის ეკიბრაფით: „ცოდნა — სინათლეა, თავისუფლებას აძლევს კაცს. თუ ცოდნა არა გაქვს, არც თავისუფალი ხარ“. როდესაც ლაღიაშვილს ეს წიგნი სთხოვეს, ლაღიაშვილმა უპასუხა, რომ—ჭკვენ ‘ნება არა გაქვთ, წიგნები წაიღოთო“. მეორე დღესაც ბევრი შეურაცხყოფა მიაყენა სტეფანოვს, რომელმაც სემინარიის მმართველობაში უჩივლა. რექტორმა სთხოვა, რომ გასვლის თხოვნა შემოეტანა. თხოვნის თანახმად, ლაღიაშვილი დათხოვნილი იქმნა 18 მარტს და ყოფა-ქცევის ნიშანი 4 დაუსვეს...“

ჩვენების ჩამორთმევის დროს ლაღიაშვილმა სთქვა: „ჯერ სემინარიაში ვცხოვრობდი, ხოლო დეკემბერში 1885 წელს, როდესაც „დღიური“ წარმართეს და მის გამო სახელმწიფო სახარჯო მომისპეს და მაგირად თვეში 6 მანეთის ძღევა დამიწყეს, ცალკე ოთახი დავიჭირავეო. 1886 წ. იანვარში გაკვეთილები ვიშვნენ. ვასწავლიდი აქაურის კამანდის ვალდებულის შაპოვალოვის შვილებს — გემნაზიელებს, გასამრჯელოს სადგომსა და სადილს მაძლევდნენო და იმათთან ვცხოვრობდი უკანასკნელ დრომდეო. მარტში ჩემსას იყო ინსპექტორი ზედამხედველი— და წიგნთა შუა მიპოვნეს პისემსკის თხზულება: „მორმოცე წელთა მოღაწენენ“ და რვეული, რომელშიაც ჩემს თავგადასავალსა ვწერდი. ინსპექტორს, არ ვიცი კი რად, ეს წიგნი „Отечественные записки“ ეგონა და წიგნი და რვეული მომთხოვა. ხოლო მე არ მიგეცი და ამის გამო ძალ-მომრეობით გასვლის თხოვნა მიმაცემინეს სემინარიიდან დათხოვნისა. დამითხოვეს და ყოფა-ქცევის ნიშნად 4 დამიფეს. ამ ნიშნით მე არსად არ შემეძლო შესვლა და ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიყავი მით უფრო, რომ ივნისში ფელდფებელთან გაკვეთილები აღარ მეჭნებოდა და სრულიად უშემწეოდ ვრჩებოდი. რამდენჯერმე მივედი რექტორთან და ვთხოვე, გადამისწორე ყოფა-ქცევის ნიშანი ა-ზე, მაგრამ რექტორი ყოველთვის უარს მეუბნებოდა; ბოლო დროს ვთხოვე სასწავლებლის მოწმობა მაინც მომეცით, მაგრამ ამისიც უარი მითხრეს, შეძრწუნებულმა რექტორის ამგვარი მოქმედებით და ჩაკარდნილმა უკიდურესს მდგომარეობაში, გადავსწყვიტე რექტორის მოკვლა. ეს აზრი მე მომივიდა 24 მაისზედ ორი კვირის წინ. სწორედ ამ დროს მომიხდა ვერის ხიდზე გასვლა, აქ ვიყიდე როგორი ოსისაგან ხანჯალი. ხამ მანეთად. ეს ხანჯალი მაშინვე წავიღე პეტრე პავლეს სასაფლაოზე და დავმალე ბალახებში. ერთის კვირის წინ მკვლელობამდის მე ეგზარხოსთან ვიყავი და ვთხოვე მთავრის ადგილი, მაგრამ ამაზე ეგზარხოსმა მითხრა, რომ ჯერ „პრიჩეტნიკად“ უნდა დაჰყო რამდენიმე ხანიო. ამის გამო მე დავწერე თხოვნა „პრიჩეტნიკის“ ადგილის შესახებ და 23-ს ხელ-ახლად მივედი ეგზარხოსთან. მაგრამ ეგზარხოსმა, რაღაც მიზეზისა გამო, არ მიმიღო. ეს ის თხოვნაა, რომელიც მე პალატის ჯიბეში მინახავს. ამის შემდეგ მე კიდევ მივედი რექტორთან და ვსთხოვე ყოფა-ქცევის ნიშნის გამოცვლა, მაგრამ კიდევ უარი მივიღე. მაშინ მე 24 მაისს, დილას, რაკი ჩინ-ადგილიე, წავედი სასაფლაოზე, ვიპოვე ხანჯალი და ჩამოვიკიდე ქამარზე პალტის ქვეშ იმ ფალასით, რომელიც ზედა მჭონდა. სემინარიაში შევედი წინა კარით და მაშინვე გავეგზავნე რექტორის სადგომისაკენ და აქ რექტორის მეუღლე დავინახე. რამდენსამე ხნის შემდეგ გამოვიდა თითონ რექტორი. მე მივართვი თხოვნა მოწმობის შესახებ, მაგრამ რექტორმა უარი განაცხადა თხოვნაზე. მე გამოვედი ოთახიდან, მაგრამ მალე კვლავ უკან დავბრუნდი იმ აზრით, რომ ეგება რექტორმა შემიბრალოსო, რექტორი მაშინ იდგა წინა ოთახის ახლოს. მე განვიმეორე ჩემი თხოვნა, მაგრამ რექტორმა კვლავაც უარი მითხრა, მაშინ კი გამოვედი მოთმინებიდან და ხანჯალი დავეცი რექტორსაო...“ ფელდფებელმა სტეფანე შაპოვალოვმა და მისმა მეუღლემ მარიამ დიმიტრის ასულმა (ვისთანაც იდგა ლაღიაშვილი) აჩვენეს, რომ ლაღიაშვილი, რომელიც ასწავლიდა მათ ყმაწვილებს, სცხოვრობდა ძლიერ ღარიბად, როდესაც დაითხოვეს სემინარიიდან, იგი ყველაზე უფრო სჯავრობდა ინსპექტორზე და ამბობდა, იმან დამაბეზღაო. რექტორზე კი ცუდად არასოდეს არ ულაპარაკნია. სემინარიიდან დათხოვნის შემდეგ იგი უფრო გულს-მდგინეულ მოეკიდა სწავლასა და ამბობდა, რომ ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტში უნდა შევიდეო. მერმე გაბოგვიცხადა, რომ იმ ყოფა-ქცევის ნიშნით, რომელიც მე მომცა სემინარიის მთავრობამაო, ინსტიტუტშიაც არ მიმიღებენო და როდესაც ჩვენ ვურჩიეთ, რომ სთხოვე რექტორს ეგებ გადაგიწყროსოო, მან გვიპასუხა: „ვსთხოვე, მაგრამ არა გამოვიდა-რაო. მე, ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, წავალ გორს და იქ შევალ სასწავლებელშიო. გორის სასულიერო სასწავლებლიდან გამოვიტან მოწმობას, ეგ ხომ ნ მაქვს ყოფა-ქცევაშიო“. ამას მარიამ შაპოვალოვისამ დაუმატა, რომ როდესაც ლაღიაშვილმა არ მისცა წიგნი ინსპექტორს, ჩვენ ვურჩიეთ, რომ ბოდიში ნოეთხოვამ, მაგრამ მან გვიპასუხა: „ვთხოვე, მაგრამ ეურიც არ მათხოვესო“. გარდა ამისა, ნინა მახარაშვილისამ, მისმა შვილებმა, ნათესავებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აგრეთვე ზედამხედველმა და მასწავლებელმა გორის სასულიერო სასწავლებლისამ, როგორც სჩანს, ტფილისის საგუბერნიო ყანდარმების უფროსის თანაშემწესაგან შეკრებილ ცნობებიდან, აჩვენეს, რომ იოსებ ლალიაშვილი ცნობილი იყო როგორც ძლიერ კარგი ყოფაქცევის ყმაწვილი, ტკბილის ხასიათისა, ჩუმი, წყნარი, მორჩილი, პატივის-მცემელი, მომთმენი და არაფერს ცუდში შენიშნული არ ყოფილაო".

„დღიურში", რომელიც უნახეს ლალიაშვილს, შემდეგს სიტყვებს შეხვდებით:

8 ოქტ. 1885 წ. 8 კლასის სემინარიის მოსწავლეებმა დააარსეს ქართული ფურნალი „ყვავილი", — 12 ოქტ. 8 კლასის მოწაფეებმა არ მოიტანეს სამოკალაკო ისტორიის თხზულებანი, რის გამოც ინსპექტორმა ყოფა-ცქვეის ნიშანს თითო რიცხვი მოუკლო". — „საკვირველო ძმაო დავით, გთხოვ, რომ შენი შრომა ფურნალ „ყვავილში" არ მოსპო." — „1885 წ. ოქტ.21-ს სემინარიელებმა კიეინნი დასცეს ახალ ზედამხედველს დიმიტრი ნიკოლოზის ძეს იმის გამო, რომ მან უქმად იცის ხოლმე ტანტალი. შეგირდების ხმენლ ოთახში დღესასწაულ დღეებში". — „21 ოქტომბერს მასწავლებელმა ფორდანიამ გამოუცხადა შეგირდებს, რომ ამის შემდეგ დავითს ნაგაკითხები ქართული ენაზედ ხოლმე, ზეპირად შეგასწავლით საეკლესიო საგალობლებსაო და სხვა-და-სხვა იეზუიტურს საგნებსაო". „ინსპექტორი იაკობ სტეპანიჩი სადილის უკან შემოდის ხოლმე (ნ საათზე) კლასებში, თუ ცოტა შექეფიფანებულია". — „ყველა ჯაშუშადა და ქეციან ძალლადა სთვლის და ამბტომაც არ იკარების ფენიევს, ინსპექტორის დემფურჩ-ოღლის პირველს ჯაშუშს". — „1885 წ. 9 ნოემბ. მე მთხოვა ბ-ნ №, რომ ყოველდღე ვიაროთ იმ წრეში, რომელიც სემინარიელთაგან შესდგებოდა. ამ წრეებმა უნდა ალწარდონ ახალი თაობა, მტკიცეს ხასიათით და კეთილ-გონიერებით სავსე ნამდვილი მოღვაწეები მსურს, იოსები". — „ინსპექტორმა გაჩხრიკა მე-2 კლასის შეგირდები და რვეული და ერთი ქართული წიგნი გამოართო". — მე, შ-ი, ჩ-ძე. მე-ი, ხ-ი და უ-ძე ვიყავით კრებაზე კუკიაში, იოსები". „ამ წრეში კეთრაში ორჯელ უნდა ვიაროთ, ხამშაბათობით და პარასკეობით", — „ალმოჩნდა, რომ რექტორი დამ-ღამობით დადის და შეგირდების ხასწავლო ყუთებში წიგნებს დაეძებს". გარდა ამისა, მკვლელობის შემდეგ ლალიაშვილს უპოვნეს ჯიბეში რამდენიმე ქაღალდი. ერთზე იყო დაწერილი: „მიეწეოს ყოველსა ღირებულებისამებრ მისისა".

სასამართლოს განაჩენის შესახებ „ივერიაში" (ამავე ნომრის ახალ ამბებში) ვკითხულობთ: „ორშაბათს 16 ივნისს არჩევდნენ სამხედრო სასამართლოში რექტორის მკვლელის იოსებ ლალიაშვილის საქმეს. დილიდან მოყოლებული საღამოს 11 საათამდე ქუჩა ხალხით იყო სავსე და სასამართლოს სადგომს გარშემო ერტყა. საათნახევრის რჩევის შემდეგ 10 ს. დ. 10 კაკ. სამხედ. ოლქის სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოიტანა. ჩამოერთვას ლალიაშვილს ყოველივე ღირსება და ოცი წლის ვადით კატორღაში გაიგზავნოს რექტორის ჩუდეცკის მკვლელობის გამო".

აი, პირველი ნაყოფი იმ დროინდელ პოლიტიკისა. დედა-მიწის ზურგზე ერთ კუთხეს ვერ ნახავთ, სადაც, რეპრესიებით შეხუთულ საზოგადოებაში, მსგავსი მოვლენა არ მომხდარიყოს და ყველგან ყოველთვის ამ შეხუთულ ჰაერის მსხვერპლად ახალგაზრდობა ხდება, რომელიც თავის პირდაპირობით და გრძნობიერებით იწყალებს შემბორკელ პირობებს. ჰქვიც „Отечественные записки"-ის და უმნიშვნელო „დღიურის" გულისთვის ქუჩაში უკრეს თავი 18 წლის ჭაბუკს. შეუკრეს ყოველი გზა ცხოვრებისა და ბოლოს, უსახსროს, სასოწარკვეთეს, ჩაადენინეს მკვლელობა და კატორგაში დაჰკარგეს, მკვლელობას არავინ არ ამართლებდა, მკვლელობა თავის თავად საზარელი საქციელია, მაგრამ როდესაც საქმის გარჩევის დროს სასამართლომ გადაუშალა საზოგადოებას საქმის გარემოება, სემინარიაში არსებულ რეჟიმსაც ნათელი მოეფინა, ყველა აღშფოთდა და შეშფოთდა . განაჩენის გამოტანის დღეს, დილიდან ღამის 11 საათამდე, ქუჩა სასამართლოს წინაშე ხალხით იყო გაჭედილი და ყველანი მოუთმენლად ელოდნენ განაჩენს.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური მკვლელობის მსგავსი რამ მოხდა ჩვენშიაც. მაგრამ საქმე აქ არ შესდგა. მას მოჰყვა სხვა შედეგიც, კიდევ უფრო სამწუხარო, კიდევ უფრო გულსაკლავი და სავალალო.

ჩუდეცკის დამარხვის დროს ეკზარხოსმა პავლემ წარმოსთქვა იმგვარი სიტყვა, რომლის დაბეჭდვა ვერ გაბედა გაზეთ „კავკაზმაც" კი. სიტყვა დაბეჭდა იმ ადგილის გამოკლებით, რომელიც მსმენელთა მოწმობით წარმოთქმული იყო დაკრძალვის დღეს. „ხმა გავარდა, რომ მსმენელნი განცვიფრებულნი იყვნენ ეგზარხოსის ლაპარაკითა. ამბობენ ვითომც ეთქვას: **ღმერთმანი, საკუდამიდ შენი ძალავიცა და ის ოჯახიცა, რომელმაც შობა იგი, რომელმაც დაბადა ეს ის ქვეყანა, რომელმაც გამოზარდა შენი მკვლელიო.**

ხაზოგადოების აღშფოთება უმალეს ხარისხამდის ავიდა. მაგრამ, რას იზამ? ვინ არის გამბედავი და მოსაბრალე? საზოგადოება ხომ უძლურია, შეუკავშირებელი, დაქსაქსული. ვინ იქნება ისეთი, რომ ეგზარხოსის ავტორიტეტს, ძალას და ძალეკა მოსილობას არ შეუშინდეს და პასუხი მოსთხოვოს ქვეყნის შეურაცხყოფისათვის, ვინაიდგან განა იმაზე მეტი შეურაცხყოფა იქნება, **რომ ქრისტეს მოციქულმა შეარჩენოს და დასწყევლოს** მთელი ქვეყანა ერთი კაცის გუ-

ლისათვის, რაც გინდა დანაშაული ყოფილიყო ის კაცი? ამ ფაქტის წინააღმდეგ ხმის ამაღლება ადვილი საქმე არ იყო იმ დროში, როდესაც ამგვარ გაბედულებას არავის აპატიებდნენ, რაც გინდ დიდი ხარისხის პატრონი ყოფილიყო ეს გაბედული. ამგვარად, ყველასათვის აშკარა იყო, რომ თუ ვინმე იყო ხმის ამომღები, მას თავისიც უნდა გაეწირა. უმსხვერპლოდ მამულის ღირსების დაცვა შეუძლებელი იყო.

დიმიტრი ყიფიანსაც კარგად ესმოდა ეს, მაგრამ შეპყრობილი განრისხებით, მას ერთი სურვილიღა ჰქონდა: საჭირო იყო ეგზარხოსის გმობა, საჭირო იყო შეგინებულ ღირსების აღდგენა. ეს აზრი და ეს გრძნობა ბაგონოობდნენ მის გულში, სადაც იმ დროს არც ერთ ეგოისტურ, თავის გამოზოგვის ფიქრი არ ეკარებოდა. ᲫᲚᲘᲠᲘᲜ ᲜᲔᲑᲐ, ᲛᲘᲜ ᲒᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲜᲔᲒᲠᲘᲚᲘᲐ, — ᲜᲔᲑᲐ, ᲨᲔᲛᲘᲪᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲠᲘᲚ ᲒᲐᲓᲐᲚᲛᲐ ᲛᲧᲝᲤᲘ, ᲘᲡᲔᲗ ᲐᲛᲘᲜᲐᲠᲐᲒᲓ. ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲬᲘᲜ ᲗᲔᲠᲐ ᲓᲐᲣᲓᲒᲔᲒᲛᲝᲓᲐ-ᲠᲐ.

დიაღ, საკვირველია ადამიანი. იგი წყაროა საიდუმლო ძალისა, რომელიც ისე ამოქმედებს, როგორადაც ადამიანი ვერ იმოქმედებდა ცარიელი გონებით რომ ეხელმძღვანელა. ეს ძალა შეუმეცნებელი, თითქოს სტიქიური, ძალა, რომელთანაც დანაფიქრებულნი არიან ნება, ინსტინქტი და ინტუიცია, სასწაულთმოქმედი ძალაა, რადგან როდესაც იგი ძალა შემეცნების წრეში აღმოჩნდება, ადამიანს ალაპარაკებს და ამოქმედებს ისე, როგორადაც იგი ჩვეულებრივად არ ლაპარაკობს და არ მოქმედებს.

ამ ფსიხიურ თვისებაზე, რომელიც შეადგენს კაცის „მე“-ს, განწრახ ვაქცევ მკითხველის ყურადღებას, რადგან უამისოდ გაუგებარი იქნება ჩვენთვის ის გარემოება, რომ თავადაზნაურთა მარშალმა და „დეიტკეტელნი სტატკაო სოეტენიკმა“ „მეამბოხეს“ თანამდებობა იდვა თავზედა და მისწერა ეგზარხოსს წერილი ამგვარის შინაარსისა:

თქვენო მეუფეებავ!

მიიღეთ ჩემზე მწყემსი-მთავრული მოწყალეობა და თუ გატაცებულნი დაჯერებულის ხმებით, ვცოდავ, შემინდეთ ჩემი დიდი შეცდომა, მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომლის სამწყსოდ ხართ მოწოდებული და რომელიც მარტოოდენ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენელისაგან. — იგივე ხმები არ ქმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურაცხყოფით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონდეთ ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უცოდველესის სიტყვების გამო, რომელნიც ვითომ წარმოსთქვით. — თუ ყოველივე ეს, მეუფეო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შემრცხყოფელი ადამიანი შეურაცხყოფილ ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქნას გასული. ამას მოგახსენებთ წრფელის გულით, თქვენი სამწყოსოსა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდან აიცილოს ქვეყანას ახალი დიდი შეცოდება.

თქვენი მეუფების მორჩილი მსახური დიმიტრი ყიფიანი.

8 ივნისს 1886 წელს, სადგური მიხაილოვო“.

როგორც გინდათ დააფასეთ და გასინჯეთ ეს წერილი. ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲛᲔ ᲐᲛ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲝᲗᲐᲑᲐᲜᲡ ᲗᲔᲡᲔᲑᲘ, სადაც ძველს დროში, ისე მჭერო�tვეულურად, ახე სადაც, გამარჯვებულად აღიბეჭდებოდა ხოლმე სამშობლოს სახელის, პატივის და ღირსების დამცველთა გმირთა სიტყვები. ეს დოკუმენტი გმირულ საუკუნისა თითქოს შეცდომით აღმოჩნდა მე-XIX საუკუნეში, სადაც ყოველივე გაზმოვილია, აწონ-დაწონილი, ზომიერი, ქედმოხრილი, და მორჩილია. — „თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენაო მხოლოდ იმითი ღა შეიძლება, რომ შეურაცხმყოფელი ადამიანი შეურაცხყოფილ ქვეყნიდან იქნას გასულიო“. ქართველ თავად-აზნაურთა წინამძღოლი მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში უთვლის ამ ბრძანებას საქართველოს ეგზარხოსს. და დიმიტრი ყიფიანი, რომელსაც ამ სიტყვებს ამბობდა, იქნებ ᲗᲔᲣᲪᲜᲝᲑᲔᲚᲐᲓᲐᲪᲐ ᲔᲖᲘᲐᲠᲘᲗᲔᲑᲝᲓᲐ სულით ძველ გმირებს. მის ნებისყოფის და წარსულის შორის სწრაფად გაიბა საიდუმლო კავშირი. შეწყვეტილი ძაფები გამთელდნენ, საუკუნეობით შეჩერებული ამბები ერთმანეთს გადაებმენ, ისტორიული წარსული თავის კულტურით გამომთელდა და გამომთელებული დაუკავშირდა აწმყოს, აწმყოში მყოფ ერთი ადამიანის. ნებისყოფაზს. და თითქოს აღსრულდა ამ სახით საიდუმლოება ერის განუყოფლობისა და უკვდავებისა! ᲔᲖᲒᲐᲠᲮᲝᲡᲗᲐ ᲰᲐᲪᲚᲘᲗ მეორე დღესვე მისცა პასუხი დიმიტრი ყიფიანს.

„მოწყალეო ხელმწიფევ, დიმიტრი ივანეს ძევ!

თქვენი აღმატებლუებისაგან ჩემდამი 8. ამა ივნისს მოწერილი უცნაური წერილის გამო საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ ჩემი სიტყვა, წარმოთქმული დეკანოზ ჩუდეეცის გახვენების დროს, დაბეჭდილია გაზ. „კავკაზში“, №199. რაც შეეხება უგუნურ ხმებს, რომლებსაც თქვენს წერილში იხსენიებთ, ჩემ ღირსების დამამცირებლად მიმაჩნია მოგახსენოთ რაიმე განმარტება.

თქვენი აღმატებულების მორჩილი მსახური, პავლე არქიეპისკოპოსი, საქართველოს ეგზარხოსი. 9 ივნისს 1886 წელს“.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲒᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲗ ᲘᲧᲝᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲘ ᲐᲠ ᲐᲛᲮᲔᲚᲓᲐ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ. დიმიტრი ყიფიანის ბედი კი უკვე გადწყვეტილი იყო. ეხლა ისღა დაგვრჩა, რომ ეს უკანასკნელი ამბავიც გავუზიარით ჩვენს მკითხველს და სიმწარის ფიალაც შევასვათ ძირამდე.

ბევრი რამ სათქმელი აღარა გვაქვს-რა. ადამიანის სიცოცხლე ცხოვრების სარბიელზე ხომ მძიმე ნაბიჯით მიღოღავს. მაგრამ დგება დრო და ყოველივე აჩქარებულის და გაქანებულის იერით სიცოცხლის უკანასკნელ საზღვრამდე მიექანება. დასცვნას წინ არა ეღობება-რა, თუ სიცოცხლის კვანძი შუაზეა გაპობილი... ასე მოხდა აქაც. როცა, ხანგრძლივ მოღვაწეობისა და მოკმედების შემდეგ, დიდმა მოხუცმა სავსებით ჰპოვა თავისი თავი და სთქვა საკაროდ, რაც გულში ედვა, საშინელის დისონანსით გახმაურდა ეს მისი სიტყვა იმ ფფერებში, სადაც მოხერ ქედ-მოდრეკილობას იყვნენ ჩვეულნი. და დიმიტრი ყიფიანს გადახასლება გადაუწყვეტია. არსებული პოლიტიკური წესი თავის წინააღმდეგი იქნებოდა, ახე რომ არ მოქცეულიყო. ამგვარ გაბედულებას და უშიშრობას ძლიერთა წინაშე ძლიერნი ამა ქვეყნისანი არავის აპატიებდნენ. არ აპატიეს არც დიმიტრი ყიფიანს და ცივ და სუსხიან შემოდგომის ყამს, 72 წლის მოხუცი როგორც არაადამიანი პირი და დანშაშავე, გახიზნეს საცხოვრებლად ჩრდილოეთ კავკასიაში, ქ. სტავროპოლში.

საზოგადოებამ? რას ᲒᲬᲘᲥᲠᲝᲒᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲐ ᲒᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ?

მაგრამ ძნელი გამოსაცნობი არ არის, რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო საზოგადოება. ჯერ ეხლა რა ძალას წარმოადგენს იგი, და ამა იმ დროს რა უნდა ყოფილიყო? ერთმანეთში მწარე მოთქმა-მოთქმა, ჩივილი და გოდება და ნაღვლიანი დუმილი. მაგრამ ერთი ფაქტი მაინც აღსანიშნავია, პასიურ პროტესტის ფაქტი. მცხეთაში ასაფლავებდნენ იმ ხანებში თ. ივანე მუხრან-ბატონის მეუღლეს... ᲒᲘᲠᲘᲡᲣᲤᲐᲚᲛᲐ ᲔᲥᲐᲠᲐᲠᲗᲣᲚᲘ მოიწვია, რადგან მუხრან-ბატონის მეუღლეს შეჰფეროდა ამგვარი პატივი. ტფილისიდან დიდი საზოგადოება იყო მისული. და როგორც მოწმობს ნიკ. ყიფიანი „ᲗᲔᲛᲘᲗ“ დაბეჭდილ და ჩვენ მიერ ᲧᲐᲜᲘᲡᲔᲑᲘᲗ წერილში, დაიწყო რა ექსარხოსმა ქადაგება, საზოგადოების დიდმა ნაწილმა მიანება თავი სოფორს და გარეთ გამოვიდა. ის მაინც იყო აშკარა, რომ მომხდარ ამბებს არავინ იწყინარებდა და ჰკიცხავდა ისე, როგორადაც ეხერხებოდა.

ბევრად უფრო საყურადღებოა ახალგაზრდობის გამოხმაურება ამ ამბების გამო. მოსკოველმა ქართველმა სტუდენტებმა შემდეგი წერილი მისწერეს დიმიტრი ყიფიანს:

ᲓᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲪᲘᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ!

ჩვენს ყოფილად ᲫᲐᲜᲔᲑᲘᲗ და ᲡᲐᲡᲢᲙᲘ დროზი, როცა ასეთს იშვიათ მოვლენას წარმოადგენს მოქალაქეობრივი ვაჟკაცობის გამოჩენა და პიროვნული გაბედული სიტყვა, სიხარულით და იმედით შესცქერის ყოველი ქართველი იმ ადამიანს საქებარსა და პატიოსან თავ-გამოდებას, რომელიც გამოიჩინეთ ეგზარხოს პავლესადმი მიმართულ წერილში. ამ შემთხვევაში ᲧᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲠᲘᲡᲣᲚᲐᲓ აღასრულეთ თქვენი კაცური ᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲣᲚᲝᲑᲐ, ვითარცა საქართველოს ერთი კუთხისაგან რჩეულმა წინამძღვარმა და დაუფარავად გამოსთქვით მთელი ქართველობის დაფარული გრძნობა. თუმცა, მართალია, პირველის შეხედვით, თქვენნა სიტყვამ ვერ მიაღწია სასურველ შედეგს და დიდი უსიამოვნებაც შეგამოხვიათ, მაგრამ თვით ის, რაც მოხდა, ამტკიცებს, რომ სამართლიანად აღელვებულის გრძნობით განაკუორცნი ისარი არ ასცდენია მიზანს. თქვენი ᲙᲘᲪᲮᲐ ამშვენებს თქვენს ᲙᲐᲚᲐᲠᲐ გვირგვინს და სრულს ნებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ ის ᲙᲕᲔᲧᲐᲜᲐ, რომელსაც ᲯᲔᲠ არ გამომლეკია თქვენისთანა მოხუცი, არ მომკვდარა, გვაქვს პატივი მოგახსენოთ ჩვენი უგულითადესი თანაგრძნობა.

დავშთებით მოწიწებით და ულრმესად
თქვენი პატივისმცემელი მოსკოვში
მოსწავლე ქართველი.
ᲙᲐ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.

სასიამოვნო რამ არის ეს წერილი. ახალგაზრდობამ დაადასტა ნამდვილის თვალით გარეშოება და შესაფერი სიტყვებიც მონახა მის დასახასიათებისათვის. ეს დიდი ნუგეშია უბედურების დროს. ჩვენც ვინუგეშოთ თავი იმ იმედით, რომ ეს ᲙᲕᲔᲧᲐᲜᲐ მართლაც არ მომკვდარა და რომ მას სახო არ წარკვეთია. ჩვენი საზოგადოების ახალი დროის ისტორიაც ხომ ამისი თავდებია. მაგრამ ეხლა ჩვენ ამ საგნის განხილვაში არ შევდივართ. მივბეჭდოთ ჩვენს მოხუცს, გადასვეწილს ცივ და სუსხიან მხარეში. გონების თვალით მაინც ნუ მოვშორდებით მარტოობაში.

სტავროპოლში მისვლისთანავე დიმიტრის ავადმყოფობა დასჩენიდა. ᲞᲐᲘᲠᲚ ᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲔᲓᲐ, მაგრამ აშკარა იყო, რომ თავი და თავი მისი სატკივარი ნერვიული ხასიათის იყო. „ᲔᲮᲚᲐ ᲣᲙᲔᲗ ᲕᲐᲠ, — ᲬᲔᲠᲡ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ თავისიანებს (ერთ წერილს ერთად — ᲪᲝᲚᲡ, ᲕᲘᲜᲚᲘ და რძალს), მაგრამ ახე დიდხანს, როგორც ახლა, არასდროს ᲧᲣᲛᲝᲤᲝᲚᲕᲐᲠ ავად. ხანდისხან მივლის ჩემი ნათლული ᲜᲘᲜᲝᲩᲙᲐ“. სტავროპოლში რამდენიმე ნაცნობი ოჯახი აღმოუჩნდა დიმიტრი ყიფიანს — სალმენები, მაგალითად, რომლებთანაც ᲮᲨᲘᲠᲐᲓ დაიარებოდა, აგრეთვე, გამომძიებელი ტარსაიძე და ექიმი გრ. ელიავა, რომელიც ᲑᲔᲯᲘᲗᲐᲓ სწამლობდა დიმიტრის. „ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲘᲪᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ, ᲕᲘᲜ ᲛᲘᲛᲚᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ? — ᲬᲔᲠᲓᲐ ᲕᲘᲜᲚᲘ ᲙᲘᲢᲠᲘᲡ 3 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ, — ᲐᲠᲐᲕᲘᲜ, ᲩᲘᲛᲘ ᲙᲐᲠᲒᲝ. ᲑᲔᲯᲜᲘᲠᲘ ᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲩᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ, ᲩᲘᲛᲘ ᲜᲐᲗᲚᲣᲚᲘᲪᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲓᲘᲓ. ᲛᲝᲕᲓᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲛᲘᲛᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲕᲐᲠ, ᲮᲝᲚᲡᲛ ᲡᲐᲛᲘ ᲣᲩᲘᲜᲐᲠᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲛᲐᲫᲚᲘ ᲒᲣᲚᲡᲘ: ᲛᲝᲛᲝᲛᲘᲜᲔᲑᲐ,

მორჩილება და იმედი. მაგრამ ერთხელ ამ საქმეს ძალიანაც მიმატოვა".

თავის რძალს ნინოს სწერს: „გაცილებით უკეთ ვარ. მაგრამ მაგიდასთან ჯდომა და წერილის წერა მაინც მიძნელდება, მკითხავ, ხომ არ გესაჭიროებითო, რომ ვინმე ჩვენგანი წამოვიდეს. ძალიანაც მესაჭიროებით, მაგრამ აქეთ ეხლა თქვენი წამოსვლა შეუძლებელია".

თავის „საქმესაც" ხშირად ეხება დიმიტრი თავის წერილებში. „მკითხავთ, როდის მოვალო, — სწერს თავისიანებს (ცოლს, შვილს, რძალს), — ერთი რამ ვიცი — ღმერთმა იცის კიდევ, მისმა მიწიერმა წარმომადგენელმა, მე, რა თქმა უნდა, იმედი მაქვს, რომ მალე დავბრუნდები. მაგრამ ძალიან მეშინიან, რომ ვეღარ მოვითმენ იმ დრომდე, სანამ წმინდა ეკუმარიტება თავისთავად გამოაშკარავდება. საქმეს ბევრნი ებრკოლებენ და მეც რომ ძალა დავკარგავ, ადვილად შესაძლებელია, რომ დღევანდელ პირობებში უფრო შორსაც მიკრან თავი. ასე რომ თავს ვიმაგრებ, სანამ შემიძლია". მეორე წერილში (ისევ კოლექტიურში) ეკითხულობთ (ქართულად): „მანამდისინ საქმე არ აიხსნება და მათემატიკურად არ დამტკიცდება, რომ ერთ მთავარს სიცრუის მოახსენება გაუბედეს, ვის რა ეთქმის; ამ დამტკიცებას ორი გზის მეტი არა აქვს: ერთი საზოგადოებისაგან მიმავალი და მეორე — პირადად ჩემგან. ორივე გზით სიარული ერთსა და იმავე დროს რომ არ შეიძლება, ამიტომ ვაცილ პირველს გზაზედ მოძრაობას". საქმე ის არის, რომ დიმიტრის ცოლმა მთავარმართველის თანაშემწესთან, გენ. შერემეტიევთან შუამდგომლობა აღძრა საქმის გამოსარკვევად. შერემეტიევისგან მან შემდეგი პასუხი მიიღო:

11 ივლ. 1887 წ., № 6391

მოწყალეო ხელმწიფეო, ნინო იაგოროვნა!

თქვენი წერილის საპასუხოდ მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ დიდად თანაგიგრძნობთ თქვენს მდგომარეობაში, არ გირჩევთ ახლა შუამდგომლობის აღძვრას თქვენი ქმრის დაბრუნების თაობაზე სტავროპოლიდან, რადგან მგონია, რომ ამ შუამდგომლობას არ შეიწყნარებენ. ყოველ შემთხვევაში, თქვენი ქმრის პატიების შესახებ თხოვნა პირდაპირ მთავარ-მართველს თ. დონდუკოვს რომ მიართვათ, ყველას ემჯობინება.

იყავით დარწმუნებული ჩემს თქვენდამი პატივცემაში და ერთგულებაში.

ხ. შერემეტიევი".

დიმიტრი ყიფიანი გაეცნო-რა ამ პასუხს, სწერდა თავის ცოლს: „მაშ საქმე ამაზე დადგა. იმედი კი მაქვს, რომ არსად, არასდროს არავითარი ლაპარაკი არ უნდა იყოს პატიების შესახებ, რადგან პატიებას — ღმერთისადმი ვედრების გარეშე — მხოლოდ დამნაშავენი ითხოვენ". „არა, — ამბობს დიმიტრი სხვა წერილში, — მე თითონ უნდა მოვიფიქრო ნაო�lები ამ საქმეზე. მე უნდა ვსთქვა ეკუმარიტება, რაც უნდა მწარე იყოს იგი. ამას ჩემს მეტი ვერავინ იკისრებს". ამასთანავე ტფილისის უმაღლეს წრეებში ცვლილება მოხდა. ამის გამო დიმიტრი სწერდა თავის შვილს კოტეს: „ჩემი საქმეც ღვთით კარგად მიდის. ჯერ ერთი გადაამბანენს, მერე მეორე. იმედია, რომ მესაჭიროებ თან მიაყოლებენ და მაშინ გაწმენდილი იქნება ჩემარი". ამ საქმეში დიმიტრი მაგულისხმობდა — ექსარხოსს, თ. დონდუკოვს და იანოვსკის. ერთ წერილში თავის ცოლს სწერდა: „რას იზამ! აი, კაცი არხეინად მიდის ქუჩაში. ამ დროს ჭარი ჩამოაგდებს აგურს, რომელიც თავზე დაეცემა. უნდა მივიღოთ რაიმე ზომები სისხლის შესაჩერებლად, თავის შესახვევად. ამ კაცს უნდა მოვუაროთ. ამგვარი უგუნური შემთხვევა, ხაუბედუროდ, ხშირია ადამიანის სიცოცხლეში. მაგრამ რას იზამ, როგორც შეგვიძლიან და ღონე შეგვწევს, ვმოკმედობთ ამის წინააღმდეგ".

ამ მიწერ-მოწერაში დიმიტრი, ასე ვთქვათ, თავის შემცენების წრეშია. ძველი რწმენა და პოლიტიკური მსოფლმხედველობა ისევ ბატონობს მასში. ხელმწიფე შეცდომაში შეუყვანიათ, რომ არ შეეყვანათ, საქმე ასე არ იქნებოდა. ახლა ამითი მეშველება, რომ ეკუმარიტება უნდა ვამბილო. ბევრს არ ესიამოვნება, მაგრამ უმაღლესად საქმე ამ ეკუმარიტების მიხედვით გადაწყდება, რომ ბოროტ მოხელეს გადაიყვანენ და ჰაერი გაიწმინდებაო და სხვა. ამ იმედებით იკეთებდა გულს დიმიტრი და ამ იმედებით იგერიებდა მწარე ფიქრებს, რომელნიც მოესხეოდნენ ხა გულს სიმშვიდეს აცლიდნენ.

საუბედუროდ, აქ გვაკლდება ცნობები. არც წერილები გვაქვს, არც „დღიურები", რომელიც უწერია ამ ხანაში. უმაღლეს სახელმაზე ქაღალდიც არსად ჩანს და ერთბაშად თითქოს ჭარება სინათლე და ყოველივეს წყვდიადი ეფენება. ახე ვართ იმ დრომდე, სანამ ტფილისში მოვა საზარელი ამბავი — დიმიტრი უწყალოდ მოჰკლესო. და ეს ამბავი გლოვის ზარივით მოეცო მთელ საქართველოს, ერთ წამს თითქოს კიდევ მეტად ჩამობნელდა და თითქოს მთელი ქვეყანა გაეხვია შავ სუდარაში... ბოლოს მივხვდით და გავიგეთ, რაშიაც იყო საქმე.

სტავროპოლიდან გამოგზავნილ დეპეშაში ნათქვამი იყო: „დიმიტრი ყიფიანი მოჰკლეს ღამე 24 ოქტომბერს, მძინარე. თავში დაუცია ხასწორი ქვა". „ივერიას" ატყობინებდნენ: „გამოძიება ერთს საოცარ ამბავს მიაღგა... დიმიტრისთან ხშირად დაიარებოდა უკანასკნელს დროს ერთი საეჭვო კაცი. ნაცრის ფერის პალტო ეცვა. ეს კაცი გადაეკიდა დიმიტრის და მოსხვენებას აღარ აძლევდა მოხუცს". მკვლელობის შემდეგ ეს საეჭვო კაცი სადღაც გაქრა, ამასთან ისიც გამორკვა, რომ უკანასკნელ

დროს დიმიტრის ხაკმე კარგად დატრიალდა. დიდი მთავარი კიდევ ჩამოსულა თავის მამულში. ბორჯომში. ამ შემთხვევით უხარგებლიათ დიმიტრის ცოლს და მის ქალიშვილს ელენეს, თ. ანტონ ლორთქიფანიძის მეუღლეს. მისულან ბორჯომში და თვალცრემლიანებმა შეხჩიენეს დიდ მთავარს თავისი მწუხარება. დიდ მთავარს აღუთქვამს, ვეცდები პეტერბურგზე დაბრუნებისას და იმედი მაქვს, თქვენს მოხუცს უკანვე დავაბრუნებო. და მართლაც, მალე საქმეც მოუხერხებია და დღე-დღეობით ელოდნენ დიმიტრის ჩამოსვლას. მაგრამ მისმა მტრებმა სხვანაირად განსაჯეს. ვალერიან გუნია თავის „მოგონებებში“ ასე მოგვითხრობს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ამ ამბავს მოუხდენია ტფილისში: „სწორედ კვირას, 25 ოქტომბერს, როცა თეატრში გაცხარებული მუშაობა იყო, გავრცელდა ზარ-დამცემი ხმა დიმიტრი ყიფიანის მოკვლისა. ვანო მაჩაბელი მთლად გაფითრებული და ხელებაკანკალებული, ნერვიულად წამ-და-უწუმ გაიძახოდა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!“ ნიკა დიასამიძე გარინდული, გაშტერებული და თვალებდაცქვეტილი ხმას ვერ იღებდა, თითქოს სული შეეზუთაო... ბოლოს, ვანო მაჩაბელი ბანკისკენ გაეკანა. ჩვენც გავყევით. მაშინვე კაცი აფრინა ილია ჭავჭავაძესთან, რომელიც იქვე იდგა ბანკის ახლო, ფრეილინის ქუჩაზე, სადაც მისი გაზეთის „ივერიის“ რედაქციაც იმყოფებოდა. მალე მოვიდა თითონ ილიაც წარბ-შეკრული და პირ-მოკუმული... ვანო მაჩაბელს ნერვიული ქვითინი აუვარდა. ილიას ჯერ ქვეშო ტუჩმა დაუწყო თრთოლვა და მერე გაწითლებულ თვალთაგან ცრემლები წამოსწდა... მე არასოდეს არ მინახავს ასეთი ჩუმი, მუნჯი და იმავე დროს უმაღლესად მეტყველი მწუხარება“. „ხალხის გულის წყრომას, — განაგრძობს ვ. გუნია, — მის აღშფოთებულ სინდისს და აფორიაქებულ მღელვარებას საზღვარი არ ჰქონდა. მთელი საქართველო სდუღდა სამართლიანის გულის წყროფით და არსება მისი აღვსილი იყო მართებულის შურთხ-ძიებით“.

და ამ სიტყვებში გაზვიადებული არა არისრა. ამ სტრიქონების დამწერს, მაშინ გიმნაზიის მეორე კლასის შეგირდს, კარგად ახსოვს დიმიტრი ყიფიანის დასაფლავების დღე. დიდებულ ცერემონიებს ახლა ჩვეულნი ვართ, მაგრამ იმ დროისათვის ის ზღვა ხალხი, საქართველოს ყველა კუთხიდან შეგროვილი, ეროვნული გრძნობის აპრიალება და საზოგადოებრივი ხოლიდარობის გამტკიცება, დიდებული, ჯერ კიდევ უნახავი პოლიტიკურ-ეროვნული დემონსტრაცია იყო. და სიკვდილი ის არის, რომ ყველანი, უზომო მწუხარებასთან ერთად, განიცდიდნენ რაღაც სევდიან სიხარულს, რომელიც საერთო უბედურებად ისადგურებს ხოლმე ხალხის გულში. ისადგურებს იმიტომ, რომ ამ დროს საკვირველის სიცხადით იღვიძებს გრძნობა საერთო ნათესაობისა, მამლიშვილობისა, ერთობისა. და სწორედ ამისთანა გრძნობით იყო შეპყრობილი ქართველი საზოგადოება დიმიტ. ყიფიანის დაკრძალვის დღეს. ამიტომაც არის, რომ ეს დღე ქართულ ეროვნულ თვით შემეცნების ისტორიაში ისტორიულ დღედ დარჩება.

დიმიტრი დასაფლავებულია მთაწმინდაზე, — ივ, სადაც ილია განისვენებს ამ ეამად. ეს ორი მოღვაწე, სხვა და სხვა გზით მოსიარულე, ერთ შესაფარში მეზობლად დაუბინავა ქართველმა ერმა. და ეს შემთხვევით არ მოხდა ასე, ამას დიდი და ღრმა აზრი უდევს საფუძვლად. ორი-ვენი საკართველოს გენიის სხვა და სხვა სახით გამომსახველნი იყვნენ. ილია თითქოს ფიქვნია და ფიქრის სიმგიმლოა, დიმიტრი სიმბოლო ნებისა და მოქმედებისა. ილია პოლიტიკურ აზროვნების მხრივ ახალი დროის კაცი იყო, თუმცა ძველი დროის და ნაზარეთის კვალი მის გულში არ წაშლილა. დიმიტრი ამ მხრივ სავსებით ძველი ეპოქის კაცი იყო. სამაგიეროდ მასში ამ ეპოქის ძლიერი ნების-ყოფა იყო ჩანერგილი, რომელიც ამოძრავებდა მის მოღვაწეობას, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანში. ილია, თუმცა არსებითად ობიექტივისტი, რეფლექსიით იყო შეგროვილი, და მის მოქმედებას მთლიანობა და პირდაპირობა აკლდა. დიმიტრი მთელი, მაგარი და მთლიანი იყო, როგორც ბუნების წიალში ნაპოვნი ტინი და მის ყოველ გადაწყვეტილებას შეურეველობის სიმაგრე ჰქონდა... დიადი, შემთხვევით არ არიან დიმიტრი და ილია იმ მშვენიერ მაღლობზე, საიდანაც ეს ძველისძველი ტაძაკული, ხოლო გულ-გაფაცხავი დედაქალაქი ასე ლამაზად იშლება მთების დაკანებულ ფერდობზე და დაბლა ნელად მღელვარე მტკვრის ორივე ნაპირებზე...

ჭეშმარიტება და სიმართლე მწუხარებასა და ტანჯვაში იშვებიანო, რომ ამბობენ, სწორედ ჩვენზე და ჩვენს პირობებში მყოფ ერებზეა ნათქვამი. მწუხარებამ შეგვძინა ახალი ძალა, ახალი შემეცნება, ახალი პოლიტიკური მსოფლმხედველობა. მწუხარებამ ჭეშმარიტების და სიმართლის გრძნობა გააკაკვა ჩვენს გულში და ეს ხომ ისეთი სიმდიდრეა, ისეთი ბედნიერება, რომ აღარა გვეფიქრება-რა. ეს შევიგენით ჩვენ, ხოლო ჩვენმა მტრებმაც შეიგნეს ჩვენი ამ შეგნების გზაზე დადგომა, მოელოდნენ ამგვარ ნაყოფს, ხოლო, რიდანაც დღესავით ნათელი გახდა ყოველივე, ეშვმა და შიშმა შეიპყრო. ჯერ იყო და, პირველ გიმნაზიის ეკლესიაში დანიშნული პანაშვიდი აკრძალული იქნა. დასაფლავების დროს ათასგვარი ბაზრკოლება იხადებოდა — ეს სასაბლის წინ კუბოს გატარება არ შეიძლებაო, სიტყვების წარმოთქმა აკრძალულია, ეკლესიის გალავანში ყველას არ შეესვლებაო და სხვა, მაგრამ ამ განკარგულებას

ყურადღებას არავინ აქცევდა. სამგლოვიარო პროცესია სასახლის წინ გაატარეს, სიტყვებიც წარმოთქვეს და გალავნის კარებიც ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ გაანგრიეს. ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ: ხალხიც, რომ დაინახა და ინგრძნო შეერთების ძალის აზრი, ადმინისტრაციაც, რომელიც მოუმზადებელი აღმოჩნდა ამგვარ ამბების წინაშე. საქმე იქამდის მივიდა, რომ „ივერიის" რედაქციას დაამრალეს, შენ თითონ სთხზავ აუარებელ სამძიმრის დეპეშებსა. წინაადმდეგ შემთხვევაში გაუგებარია ამგვარი აზვირთება საზოგადოების აღშფოთებისათ. დიდად საყურადღებოა ამ საგნის ნათელსაყოფად ვალერიან გუნიას წერილი, კოტე ყიფიანთან მიწერილი. კოტე ყიფიანი გვირგვინების ლენტებს სთხოვდა გუნიას. გუნია სწერდა: „ილია ჭავჭავაძემ გადმომცა გუშინ ეს ლენტები და თან მთხოვა, რომ შენი წერილის პასუხიც მიმეცა. რაც შეეხება ტელეგრამებს და სხვა მრავალ წერილებს, ილიას ჯერ არ შეუძლიან ჩაგაბაროს, რადგან საქმე ძლიერ გამწვავდა. „ივერიის" რედაქციას ამტკუნებენენ, შენ თითონ სთხზავდი ტელეგრამებს და წერილებსო. ამიტომ ილიას ჯერჯერობით დასჭირდება, როგორც გასამართლებელი. საბუთი. ეხლა პეტერბურგიდან მიწერ-მოწერა აქვს გამართული აქაურს ცენზურას და ჯერ უნდა მოითმინო... მე ვაპირებდი, — განაგრძობს გუნია, — გამომეცა დიდი წიგნი სახსოვრად განსვენებული დიმიტრისა, მაგრამ ეხლა სულ აღგვიკრძალეს კრინტის ამოღება და „კალენდარშიაც" ნებას არ მაძლევენ ორიოდე სიტყვა ვსთქვა. 1887 წ. XI-18".

აი, იმ დროის ნამდვილი პოლიტიკური ვითარება. ერთი საფეხურით წინ წავდექით, ჩვენდა მოულოდნელად ერთად ვიგრძნევთ ჩვენი თავი, თვით-შემცნე და თვით-შემგნე ერად. ეს სასწაული დიდის ხნოვით მზადდეგოდა. ოთხმოცდა შვიდი წელიწადიც კი მანძილია მიძინებულ შემეცნების გამოფიზიზლებისათვის, მით უფრო, რომ ძილიც არ იყო მაგარი და წინადაც, სხვა და სხვა მომენტებში. მცონარენი შევკრთებოდით ხოლმე. ილიას, კის და სხვათა ძახილზე რიდაცის მოლოდინში გაოცებულის სიხარულით დავყურებდით ამ ჩვენს დამშვენებულ ქვეყანას. და ეხლა ის მოზღუცის წყალოგბით, მთაწმინდაზე რომ მიწას აბარია, გადაბარით და საპუდაკოდ გამოვეკრავიეთ ძილისა და ბურანისაგან. მაშ, განისვენე მშვიდობიანო და დიდო მოზუცო, შენი სახელი კი აღბეჭდილია ქართულ ეროვნულ შემეცნების ისტორიაში.

ბიბლიოგრაფია

(დამატება)

მე ვსარგებლობდი, უმეტეს შემთხვევაში, იმ წყაროებით, რომელნიც ვსოვე დიმიტრი ყიფიანის ქაღალდებში. ეს არქივი შესდგება დაუბეჭდავ ხელნაწერებიდან — მემუარებიდან, მოხსენებებიდან, ოფიციალურ დოკუმენტებიდან და კერძო წერილებიდან — ამ მასალიდან გამოვარჩიე ის დოკუმენტები, რომელნიც მესაბიოგრაფიდნენ მუშაობის დროს. ეს დოკუმენტები ცალკე მოვაქციე და ზედ დავწერე — საბიოგრაფიო მასალა. ამ საბიოგრაფიო მასალის ტექსტში ჩაყოლება მოუხერხებელი იყო, რადგან ქაღალდები გაფანტულ ფურცლებს წარმოადგენენ, რომელთაც ცალ-ცალკე აღნიშვნა შეუძლებელი იყო. ამის გამო უმჯობესად დავინახე ბიბლიოგრაფიის დაბეჭდვა ცალკე, ნაწერების ბოლოში. აქ აღნიშნულია თითოეული კარისათვის ცალ-ცალკე, ყველა ის წყაროები, რომლებითაც ვხელმძღვანელობდი წერის დროს. წინდაწინვე უნდა ვსთქვა, რომ ტექსტში „მემუარებს" და „მოგონებებს" რომ ვიხსენებ, სახეში მაქვს ავტობიოგრაფიული ნაწერები: «Казарменное дело» და «Школа духа» თავის დამატებით: «Из общественной жизни» ნაწილი «Школа духа» დაიბეჭდა «Русск. Старина»-ში 1886г. № 2.

ქეთევან გიორგობიანი

წამების გზა შეცდომიდან მონანიებამდე

ადამიანი და საზოგადოება, ადამიანი და მართლმსაჯულება, ადამიანი — პასუხისმგებელი საკუთარი შეცოდებისა გამო მთელი საზოგადოების წინაშე და ადამიანი — ამ საზოგადოების მსაჯული — მსგავს პრობლემებს წამოჭრის ჯემალ ქარჩხაძის ვრცელი მოთხრობა „ანტონიო და დავითი", რომელსაც მკითხველი ეურნალ „ცისკრის" ფურცლებიდან გაეცნო. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები ანტონიო და დავითი საკუთარ სულში ღრმად ჩახედვის შემდეგ ზნეობრივი კათარზისისკენ მიმავალ გზას, გოლგოთის გზას ადგებიან.

ანტონიო ტრაგიკული და უცნაური ბედის მქონე ადამიანია. იგი გაუფდგა ადრინდელ რწმენას, განუდგა საზოგადოებას, განუდგა საკუთარ თავსაც, რამაც წარუშლელი კვალი დაჩნია მის სულს. სასიკვდილო განაჩენის გაუქმება, ბედის არნახული წყალობა ანტონიოს სულიერი ტანჯვის დასაწყისი გახდა. რადგან ასეთი მკაცრი სასჯელი გადაუწყვიტეს. ჩანს, ანტონიოს დანაშაული არც თუ ისე უმნიშვნელო ყოფილა. ჩვენი შემდგომი მსჯელობისთვის აუცილებელია. გავერკვეთ ამ პერსონაჟის დანაშაულის არსში. საკმარისია ვთქვათ, რომ განაჩენი ჯემალ ქარჩხაძის გმირს წმინდა ინკვიზიციამ დაუდგინა, და ბევრი რამ გასაგები გახდება, უპირველესად კი ის, თუ რაში დასდებდა ბრალს ინკვიზიცია თავის „მსხვერპლს". ეს სიტყვა აქ შემთხვევით არ გვიხმარია, რადგან ვინ მოთვლის რამდენი ადამიანი, მათ შორის სრულიად უდანაშაულონიც კი შეეწირნენ ე. წ. წმინდა ხამსაჯროს, ბუნებრივია, გვინდება აზრი, იქნებ ანტონიოც მხოლოდ და მხოლოდ კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა პოზიციიდანაა დამნაშავე. მართლაც, მამა სებასტიანეს სიტყვები ნათელს ხდის ანტონიოსთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის საფუძველს: „ღვთისმგმობია და მკრეხელი. გვამში ეშმაკეული უზის. თავად წარწყმედილია და სხვათა ცდუნებასაც ლამობს". ანტონიო თავისუფალი აზროვნების მომხრეა. სანამ სწამდა ის, რასაც მრევლს უქადაგებდა, ყველაფერს ისე აკეთებდა, რომ ფანატიკოსი სამღვდელოება ბრალს ვერაფერში დასდებდა, მაგრამ შემდეგ, როდესაც მის გონებაში საწინააღმდეგო შეხედულებებმა იმძლავრა, თავისი აზრები ხმამაღლა გამოთქვა, თუმცა მათი სხვებისთვის თავზე მოხვევა არასოდეს უცდია. არ ამბატიეს ანტონიოს რელიგიური დოგმების უარყოფა. ამიტომაცაა მწარე ნაღველით აღსავსე მისი სიტყვები: „ტანჯვაა... ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც შენს აზრს თავისუფლად არ გათქმევინებენ... აზრიც ღვთითა გვაქვს და განსასჯელად მოგვეცა. ისინი კი გვაიძულებენ ჩვენი აზრი ჩავიხშოთ და მათი აზრის კვალობაზე ვსაჯოთ... სხვის რწმენას ვერ შეეგუები და ვერ დაემორჩილები, თუ იგი შენიც არ არის".

ანტონიოს შეხედულებები სხვებმაც გაიზიარეს, მაგრამ, როდესაც საქმე მათ სიკვდილ-სიცოცხლეს შეეხო, უმრავლესობამ თავი დანაშაულად აღიარა, რათა სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. როდესაც ის ადამიანები, რომლებიც ანტონიოს მიემხრნენ, და ეს მოხდა თავისუფალი არჩევანით, სიკვდილის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, თავის გადარჩენის ინსტინქტმა საკუთარი თავის მოღალატეებად აქცია ისინი. მხოლოდ ოთხმა კაცმა, ანტონიოს ჩათვლით, გამოიჩინა სულის სიმტკიცე და სამს მათ შორის მოწამებრივი სიკვდილი ერგო. სიცოცხლის დათმობა ამჯობინეს უბადრუკ არსებობას, სავუთარი თავისგან განდგომას, რადგან იცოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სულიერ კრიზისს ვეღარ დააღწევდნენ თავს და ბოლოს მაინც გაიზიარებდნენ რწმენისთვის წამებულთა ხვედრს, რომელთა რიცხვი არც თუ ისე მცირეა. მხატვრული ლიტერატურიდანაც მრავალი პერსონაჟის მოხმობა შეგვიძლია, თუნდაც ურიელ აკოსტა (კარლ გუცკოვის გმირი), რომელიც მოაზროვნე ადამიანია, ამიტომ დაშტამპული დოგმების გაუცნობიერებლად მიღება არ ძალუძს და როდესაც იძულებულია უახლოეს ადამიანთა გამო, მათი ბედნიერებისთვის საკუთარი თავი დაივიწყოს, აღიაროს ის მცდარად, რაც ჭეშმარიტებად მიიჩნია, დრო-

ებით, მაგრამ მაინც ულალატოს საკუთარ მრწამსს, უსასტიკესი სულიერი ტკივილით ზღავს, ბოლოს კი თავისუფლებისმოყვარე, უშიშარი და უდრეკი სული დამარცხებულისა და შერცხვენილის მანტიას ვერ ირგებს და ფრა--ელი პირში მიახლის მთელ სიმართლეს რაბინთა ხროვას, ისევე მტკიცედ, როგორც ჯორდანო ბრუნო უცხადებს ინკვიზიციის წარმომადგენლებს სასიკვდილო განაჩენის აღსრულების წინ „ის მაინც ბრწყვავს". ეს ერთი პატარა წინადადება მეამბოხე სულის გამარჯვების დასტურია.

კვლავ დავუბრუნდეთ ანტონიოს, ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობის მთავარ პერსონაჟს. ანტონიომ არაფერი მოინანია, მაშასადამე, მას თანამოაზრეთა ბედი უნდა გაეზიარებინა, მაგრამ ასე არ ხდება, დიდგვაროვნებისა და გავლენიანი მეგობრების წყალობით ანტონიო სიცოცხლეს ინარჩუნებს, რასაც ვერასოდეს ამბობენ საკუთარ თავს. ანტონიოს შეეძლო შეწყალებაზე უარის თქმა, მაგრამ თავის გადარჩენის ბუნებრივმა ინსტინქტმა იმძლავრა მის არსებაში. ანტონიომ არა მარტო მიიღო შეწყალება, არამედ იმასაც შეეცადა, სხვებსაც გაემართლებინათ მისი მოქმედება, ეს სხვები კი ისინი იყვნენ, რომელთაც ულმობელი სასჯელი ელოდათ. კათოლიკურ ეკლესიას არაფერი წაუგია იმით, რომ ანტონიოს შენდობა უწყალობა, სიცოცხლე აჩუქა, შეგინებული და შერცხვენილი სიცოცხლე, მით უმეტეს, რომ განადგურებული და დამარცხებული ანტონიო ბრძოლის გაგრძელებას ვეღარ შეძლებდა, ეს კაცი მათთვის საშიში აღარ იყო. „ასე დავრწმუნდი, რომ პატიება ყველაზე მძიმე სასჯელი ყოფილა" — აღიარებს ანტონიო. აქ კიდევ ერთი საყურადღებო პრობლემაა წამოჭრილი — პატიებისა და სასჯელის იდენტურობის საკითხი. ამგვარი შესაძლებლობის დაშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც ვაღიარებთ ორგვარი სასჯელის არსებობას: ფიზიკურისას და ზნეობრივისას. პატიება ფიზიკური სასჯელის ეფარდება, მაშინ, როდესაც სულიერ, ზნეობრივ სასჯელს უმეტესწილად კიდევ უფრო ამწვავებს და ძნელად ასატანს ხდის. სიტყვაჯაზმულ მწერლობაში ამის დამადასტურებელი უამრავი მაგალითი არსებობს. აკაკის — „გამზრდელში" ბათუმ შეუნდო საფარ-ბეგს, ძიძიშვილსა და მეგობარს სამარცხვინო შეეცოდება, ფიზიკურ ანგარიშსწორებას არ მიმართა მის მიმართ, მაგრამ ეს პატიება ნამდვილ ზნეობრივ სასჯელად იქცა საფარისთვის. უნდა ითქვას, რომ წრფელი გულით შენდობაზე ან შემთხვევაში ლაპარაკი არ შეიძლება, აკი ბიტკოვიც გაგზავნა ბათუმ „მორდუობის გამტეხი და ჩვეულების გადამდგე" საფარ-ბეგი გამზრდელთან, კაცთან. სადაც იგი საკადრის პასუხს მიიღებდა, ვინაიდან მაჯი-უსუბს მართალისა და მტკუნის გარჩევა ვერავინ ასწავლიდა, ვაჟკაცობის და ერთგულების ფასიც კარგად იცოდა და პირიბ-გამტეხისა და მოღალატის საქციელის გონივრულად განსჯაც ხელეწიფებოდა. გამზრდელის განაჩენი შეუძლებელია საფარს მთელი ცხოვრების მანძილზე უმძიმეს მოგონებად არ გაჰყოლოდა. მიხეილ ჯავახიშვილის საინტერესო მოთხრობაშიც „ორი ბანაჩენი" დაახლოებით მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე (რა თქმა უნდა, აქ სიუჟეტური მსგავსება არ იგულისხმება). სასამართლომ შესაძლებლად ცნო ლაზარე ჩიჩიანაშვილის, ძმის უნებლიე მკვლელის, გამართლება. მაგრამ პატიება ყოველგვარ სასჯელზე მძიმე გამოდგა ლაზარესთვის და მან საკუთარ თავს თავად გამოუტანა განაჩენი. ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაშიც პატიება ანტონიოსთვის საკუთარი სულმოყლეობისა და ლაჩრობის შეგებვას დაუკავშირდა, მას უკვე აღარ ეშინია სიკვდილის, თუმცა არც თვითმკვლელობა უცდია, რადგან ამას საკუთარ თავთან ანგარიშის გასწორების იოლ გზად მიიჩნევს, მან ჯერ უნდა მოინანიოს წუთიერი სისუსტე, რომელიც საბედისწერო გამოდგა, ღირსი უნდა გახდეს იმისა, რომ შეუერთდეს წამებულ თანამოძმეთა წმინდა აჩრდილებს. თავად ანტონიო ასე ხსნის კოლხეთში გამგზავრების მიზეზს: „აკ არავინ მიცნობს. არავინ იცის ჩემი არარაობის ამბავი, იქნება უცხო ქვეყანაში ღირსეული სიკვდილი ვპოვო". კოლხეთში იგი ბედმა თუ შემთხვევამ დავითს შეახვედრა, რამაც შეაძლებინა მიახლოვებოდა სანუკვარ მიზანს, ღირსეული აღსასრულისთვის მოამზადებულიყო. ანტონიომ დავითის სულის ხსნა განიზრახა. დავითის საქმეში ჩარევა, მის რისხვადატეხილ ადამიანების გამოსარჩლება თავდაპირველად ძვირად დაუჯდა ანტონიოს, ცოდვის ცოდვაზე მიმატების საფრთხე შეიქმნა. „მამაზეციერმა გაგამწაროთ ჩემი გამწარებისთვის!.. რა გინდოდა? რას მერჩოდი? ვინ გეკითხებოდა სხვის საქმეში ჩარევას? რატომ დამლუპე? როგორც აქამდე მომივლია ჩემი საქმისთვის, ახლაც ისე მოვუვლიდი... იმ დანამ გაგიპოს გული, რა დანითაც ის თოკი გადაჭერი!.. განვედ, სატანავ! განვედ, უკეთურო! განვედ, ტარტაროზის მოციქულო!" — ასე მიმართა ღვდელმა თავის მსხნელსა და ქომაგს, ერთადერთ ადამიანს, რომელიც დავითის რისხვას არ შეუშინდა და მამა ეფრემს მფარველად მოეკლინა. ეს ადამიანი ანტონიო იყო. ასე დაიწყო თანამოძმეთა გაკეთილშობილებისკენ მიმართული მოღვაწეობის პირველი ეტაპი. ამ ეპიზოდმა შესაძლოა დათა თუთაშხია გაგვახსენოს, გაჭირვებულთა და მოტყუებულთა დახმარებისთვის არაერთხელ საკვედური და დაკვედრება რომ მიუღია მადლიერების სანაცვლოდ, ადამიანთა სულიერი აღორძინების ნაცვლად მათი დაკნინებისა და მორალურ-

ზნეობრივი განადგურების მოწმე რომ გამხდარა, სხვათა საკეთილდღეოდ დაუღალავი მოღვაწეობის შედეგი რომ ვერ უხილავს, ადამიანთა უმადურობას შემდეგ დასკვნამდე რომ მიუყვანია „არც ერთი კაცი არაა ქვეყანაზე მისთანა, სხვისი ჩარევას და დახმარების ღირსი რომ იყოს". დათა დაეკვდა თავისი საქმიანობის გონივრულობაში, ასეთივე აზრამდა გაუელვა ანტონოსაც, რამაც ბართლომეოსთან საუბარში სიტყვიერი გამოხატულებაც ჰპოვა: „მე თვითონ მწარედ ვნანობ ჩემს საქციელს. გრძნობამ ამიყოლია და ბჭკუით ვერ გავზომე". მაგრამ ისევე როგორც დათას არ ძალუძს გაჭირვებაში მყოფი ადამიანის გულგრილად მზერა, რის გამოც ბოლომდე ვერ ანხორციელებს სხვის საქმეში ჩაურევლობის პრინციპს, ანტონოსაც, დროებითი განწყობილება ვერ შეაცვლევინებს გადაწყვეტილებას: „ბედისა და ჩვენი თავადისგან განწირულები უნდა ვიხსნაო". ანტონიომ იერიში დავითის სულზე მიიტანა, რადგან მასში ღრმად ჩამარხული, ბედის უკუღმართობის გამო ჩამკვდარი, დავიწყების ფერფლწაყრილი ადამიანური ბუნების არსებობა გაწვრიტა. დავითს უნდა ეგრძნო ამოოება თავისი ცხოვრების წესისა. თავისი ყოფის უაზრობა. როდესაც ადამიანური ბუნების კეთილი საწყისი წინ წამოიწევდა, დავითის გამოფიზლებული სული წინანდელ ცხოვრებას ველარ იგუებდა, წარსულში ჩადენილი ცოდვების მონანიებას შეეცდებოდა. დავითის ბოროტმოქმედება შიშის გავლენას დაუკავშირა ანტონიომ „კაცი სიავეს მხოლოდ იმიტომ სჩადის, რომ ეშინია. ბოროტებას ბოროტი კაციც ისევე თვლის უსამართლობად, როგორც კეთილი, და არც ჩაიდენდა, შიშს რომ ლაჩრად არ ექცია... ჩვენ ყველანი მშიშრებად კი ვიბადებით, მაგრამ ყველანი ლაჩრები არა ვართ. შენ ლაჩარი გამოდექი, და შიშის დაძლევას შიშის დამალვა ამჯობინე, რადგან შიშის დამალვა უფრო ადვილია, ვიდრე შიშის დაძლევა, მოკვლა უფრო ადვილია, ვიდრე გადარჩენა, გაძარცვა უფრო ადვილია, ვიდრე დახმარება, წაქცევა უფრო ადვილია, ვიდრე წამოყენება, სიძულვილი უფრო ადვილია, ვიდრე სიყვარული. შენ შენს თანდაყოლილ შიშს ვერ გაუძელი, ლაჩრად იქეცი, და იოლი გზა აირჩიე, შენ ცდილობ, ყველა მონად გაიხადო, თავად კი საკუთარი შიშის მონა ხარ და მუდამ იმას აკეთებ, რასაც შიში გიბრძანებს". სიკეთის სამსახურს, დაჩაგრულთა და მაშვრალთა დასახმარებლად მუდმივ მზადყოფნას, მოყვასთა მიმართ სიყვარულის შენარჩუნებას ნებისმიერ სიტუაციაში უფრო საძნელო საქმედ მიიჩნევს ანტონიო და ალბათ ავტორიც, რადგან იგი აქ, ვფიქრობთ, პერსონაჟის პირით საკუთარ სათქმელს გვიმეორებს, საკუთარ კრედოს გვთავაზობს: უსამართლობასთან, ბოროტებასთან შერკინებაა, რაიმე ფასეულის შექმნა, ჩანფიქრის ბოლომდე ხორცშესხმაა რთული, თორემ ყურის წაყრუება, დანგრევა ადვილია: „სიკეთე ბევრს გვავალებს, დაუნდობლობა, პირიქით გვთავისუფლებს. უმეტესობას ეზარება დავალებულის აღსრულება, აქედან გამომდინარე ურჩევნიათ თავი შეაფარონ დაუნდობლობას. იქმნება ამ უკანასკნელთა პოლოგიაც".[2] დავითმა ოიული გზა ირჩია, ბოროტების, სხვათა ტანჯვის ვერდანახვის გზა.

მაინც ვინაა ეს თავზეხელაღებული, გზაკვალაბნეული, შეუბრალებელი კაცი? ნაწარმოებში იგი ჩვენს წინაშე წარმოდგება. როგორც ყარაღების გუნდის მეთაური, დაუნდობელი, მრისხანე ადამიანი, საზარელი საქმიანობისთვის რომ მიუყვია ხელი, შემდეგ ავტორი მის წარსულს დადგავშლის თვალწინ და ვიგებთ, რომ დავითი ცოდვის ზვინი ყოფილა თურმე, ცოდვა კი უკვალოდ არასოდეს ქრება, იგი შთამომავლობას გადაეცემა, ოდესმე კი მოაწევს მისი გამოსყიდვის ჟამი და შურისძიების საათიც დაკრავს, მაგრამ მანამდე თაობიდან თაობაზე გადასული ცოდვა უამრავ ბოროტებას ჩაადენინებს ადამიანებს. დავითი თავადის უკანონო შვილია, ცოდვის საფუძვლის ჩაყრა აქედან უნდა ვივარაუდოთ, მალე ცოდვას ცოდვა მოჰყვა, თავადის მეუღლემ მოახლე ქალი, დავითის დედა და თავად დავითი, პირველი ცოდვის ბედკრული ნაყოფი, ავაზაკებს მოატაცებინა და სტამბოლის ბაზარზე გაიყიდინა. დავითს ფაქტიურად არ ჰქონია ბავშვობა, სამაგიეროდ არ დაჰკლებია შიშილი, სიცივე, შეურაცხყოფა, დედაც სიძულვილს უდვივებდა და შურისძიებას მოითხოვდა მისგან, დავითს შესძულდა მთელი კაცობრიობა, ადამიანური სახე დაკარგა, ბოლოს ბედმა სამშობლოში დაბრუნა კვლავ. უმანკო, უცოდველ ბავშვს დაატოვებინეს მშობლიური ქვეყნის სამნანები, საქართველოს ზღვრებს კი გადამოაბიჯა ჩამოყალიბებულმა ბოროტმოქმედმა, ზნედაცემულმა, საშიშმა და ყველასთვის საძულველმა, ნადირივით ფრთხილმა და მოუხელთებელმა ადამიანმა. ამრიგად, პირველჩასახულმა ცოდვამ უამრავი მსხვერპლი მოითხოვა და მიიღო კიდეც, დანაშაული დანაშაულს წარმოშობს ხოლმე. ოთარ ჭილაძის რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან" ცოდვა, ოდესღაც ჩადენილი ქაბოხსრო მაკაბელის მიერ, ოჯახის ყველა წევრს მოუშორებელი სატკივარივით დაემგზავრა, მათი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მეტნაკლებად გამოვლინდა. ცოდვას მონანიება

---

[2] რ. ინანიშვილი, სამაგიდო რვეულებიდან, „ცისკარი", 1986, № 9, გვ. 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძღვენება ხოლმე. მაგრამ ეს მოხდება გარკვეული დროის გავლის შემდეგ. მონანიება და აღსარება ცოდვის ბოლო მსხვერპლის ძვირად უჯდება, ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც კი. არცთუ იშვიათად მამათა შეცოდებაზე პასუხს შვილები აგებენ და საკმაოდ მკაცრადაც. თენგიზ აბულაძის ბოლოდროინდელი სურათი „მონანიება", რომელმაც უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა, ამის მაგალითად გამოგვადგება. ვინ ჩამოთვლის იმ ცოდვებს, ვარლამ არავიძის სინდისს რომ აწევს უდიდეს ტვირთად, თუმცა ვარლამი სიცოცხლის მიწურულამდე ვერც ტვირთს გრძნობს და ვერც სიმძიმეს. სიწმინდისა და სილამაზის ფეხქვეშ გათელვა, მეგობრობის, პატიოსნების, სიყვარულის, ნიჭის, სიყვარულის იგნორირება, ადამიანის ფიზიკური და სულიერი განადგურებისთვის ყოველგვარი პირობების შექმნა, სულიერი გახრწნილების, დემაგოგიის აპოლოგია — აი, ვარლამის მოღვაწეობის შედეგი. აბელი, ვარლამის ვაჟი, ერთი შეხედვით, მამისგან განსხვავებულ პიროვნებად გვევლინება იმდენად, რამდენადაც მისი შინაგანი ბუნება შენილღუნია, გამოჩნდება მაშინ, როდესაც აბელი მოპოვებული კეთილდღეობის დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ცოდვა მამიდან შვილს, ვარლამიდან აბელს გადაეცა, ამ უკანასკნელსაც ჰყავს ვაჟი, რომელზედაც უნდა გადავიდეს შემდგომში ცოდვა, მაგრამ თორნიკეს განგება სულ სხვა მისიას აკისრებს, მან უნდა მოინანიოს ბაბუისა და მშობლების ცოდვა და ამას საკუთარი სიცოცხლის ხარჯზე აღწევს. თუმცა ფილმში ეს ყველაფერი რეალურად არ ხდება, ცოდვის ერთ-ერთი მსხვერპლის შთამომავლის ქეთი ბარათელის წარმოსახვაში გაიელვებს მხოლოდ, მაგრამ ჩვენთვის აშკარად ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რამეთუ ცოდვის ბოლო ეტაპი, ბოლო საფეხური სწორედ ასეთი შეიძლება იყოს, ცოდვილთა მოდგმაში ყველაზე უკეთესი, ყველაზე დადებითი ინდივიდის თვითშეწირვით, მსხვერპლად მიტანით იწყება მონანიების გრძელი გზა.

ანტონიომ მოახერხა გადაგვარებულ არსებაში ადამიანი გაეღვიძებინა. დავითი გადაწყვეტს დარჩენილი სიცოცხლე ცოდვების გამოსყიდვას მოანდომოს. აქ, გარკვეული თვალსაზრისით, ამ ორი პერსონაჟის ბედის მსგავსება შეინიშნება, დავითი, ანტონიოს მსგავსად, ზნეობრივი კათარზისისკენ მიმავალ ეკალ-ბარდებით სავსე ბილიკს შეუყვება, მაგრამ ძნელი ყოფილა ადამიანობა, სინდისის ხმის ყურის-გდება. დავითს დღითი-დღე ემატება სულიერი ტანჯვა, რადგან თავის ნამოქმედარს უფრო და უფრო ღრმად გააღწევრებს, ამიტომაც აღიარებს იგი: „ძნელი ყოფილა გამოღვიძება... ახლა ვხედავ, [illegible] რომ სიკვდილი ყველაზე უარესი არ ყოფილა იმ სიძნელეთა შორის, რაც სიცოცხლეში შეიძლება შეგემოხვეს კაცს".

ანტონიომ თითოსდა აღასრულა თავისი ვალი, მხეკი მოათვინიერა, [illegible]ცაცად აქცია, ახალი ადამიანი შექმნა, მკვლელის, ავაზაკის, მძარცველის ნაცვლად მონანიე ადამიანი, მაგრამ იქვე ახალი მოკალეობაც იტვირთა, პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე იგრძნო. მან თავის ქმნილებაზე ბოლომდე უნდა აგოს პასუხი, უბრალოდ, არ აქვს მორალური უფლება მანამდე მიატოვოს ბოროტების ჭაობს გამორიდებული ადამიანი, სანამ არ დარწმუნდება, რომ ამ უკანასკნელს ეყოფა ძალა დაუნდობელად გაუმკლავდეს ყოველგვარ ცდუნებას, სხვის ჩაურევლად, თავად გაერკვეს ამა თუ იმ სიტუაციაში და მართებული გადაწყვეტილება მიიღოს. ადამიანს ყოველთვის სხვა ვერ მიანიშნებს, თუ რა უნდა მოიმოქმედოს, ფუჭ ზმანებათა და უნაყოფო ილუზიათა ბუნუსიდან თავდაღწეულს, გამოფხიზლებულს ეს არც სჭირდება, აკი დავითიც იმ აზრისაა, რომ „თვალხილულმა კაცმა თავის თავს თვითონ უნდა მიხედოს და თავისი ბედი თვითონ გადაწყვიტოს". და გადაწყვეტა კიდევ, ზნეობრივი სასჯელი არ იკმარა და ფიზიკური სასჯელიც დაკისრა საკუთარ თავს, ვინაიდან ჩათვალა, რომ სულის ხსნა ფიზიკური წამებითაც უნდა დაემსახურებინა. აქ კიდევ ერთი საკითხი წამოიჭრება, რომელიც ისევ და ისევ ცოდვას უკავშირდება. ბოროტება, ცოდვა იოლად როდი ყრის ფარ-ხმალს, იგი გამძლეა, არც იმის შესაძლებლობას გაუშვებს ხელიდან, ახალი მსხვერპლი მოიგდოს ბრეკულებში. ცოდვა არა მარტო მემკვიდრეობით გადაეცემა, არამედ გადამდებებიცაა იგი. დავითმა დასძლია ცოდვის ზეგავლენა, გაემიჯნა მას, სამაგიეროდ ცოდვამ ნაწილობრივ იმ ადამიანებზე გადაინაცვლა, რომლებმაც დავითის გასამართლება იდვეს თავს. ვიდრე დავითი ძლიერი და დაუნდობელი იყო, ვინ გაბედავდა აუგი რამ გაეკეთო მის მიმართ გულში, მისი სახელის ხსენებაც კი შიშის, ძრწოლვის მომგვრელი იყო, მაგრამ მონანიე დავითი იხილეს თუ არა, შურისძიების გრძნობა აღეძრათ, ცოდვის ჩადენა განაზრახეს უფლის სახელით, ეკლესიის ეზოში, ღმერთის საუფლოში ჩაჭოლვა დაუპირეს დავითს და ანტონიო და ბართოლომეო რომ არა, აასრულებდნენ კიდეც ჩანაფიქრს. არადა განა დავითზე ბევრად უკეთესნი იყვნენ ის ადამიანები, მსაჯულთა და განაჩენის აღმასრულებელთა როლი რომ იკისრეს. განა მათი სილაჩრისა და სულმოკლეობის ბრალიც არ იყო დავითის თავშეებული პარპაში, მათ ვერაფერი დაუპირისპირეს გულგრილობასა და ძალმომრეობას, და რადგან სამართლიანობამ მათ ჩაურევლად გაიმარჯვა, დაითრგუნა ბოროტება, უფლება არ ჰქონდათ მოსამართლეებად ქცეულიყვნენ. ანტონიომ (ბართოლომეოსთან ერთად) იხსნა დავითი და მასთან ერთად მისი მსაჯულნიც გადაარჩინა, ცოდვა აარიდა მათ, კიდევ ერთი

სამსახური გაუწია ზნეობას და იგრძნო ანტონიომ, რომ უკვე შეუძლია პირნათლად წარსდგეს წამებული ამხანაგების წინაშე. მან შესარულა თავისი მისია და ახლა ანტონიო მზადაა უდრტვინველად მიიღოს სწორედ ის სასჯელი, რაც ერთ დროს თავიდან აირიდა. რაც შეეხება მონანიების მძიმე ჯვრის მტვირთველ დავითს, იგი, ბუნებრივია, სულის მხსნელის ბედის მიმართ გულგრილი ვერ იქნება, ანტონიომ მისი სული გადაარჩინა, დავითი კი ქეთილსმყოფელის ფიზიკურ გადარჩენაზე იზრუნებს. მით უმეტეს, რომ ანტონიოსთვის ხელმეორედ განარჩენს გამოტანაში დავითის, ერთ დროს ყაჩაღისა და ბოროტმოქმედის მიმართ კეთილგანწყობამ და მფარველობამაც ითამაშა გარკვეული როლი. იურიდიული სამართალი ამ შემთხვევაში თავის უფლებებს იცავს და ზნეობრივ სამართალს უპირისპირდება. კონკრეტულ ვითარებაში მათი ჰარმონიული შეთანხმება ვერ ხორციელდება. მიუხედავად ამისა, მართალნი არიან ისინიც, ვინც იურიდიული სამართლის მიხედვით სჯიან და ისინიც, ვინც ზნეობრივი სამართლის კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ.

ანტონიომ ამჯერად სძლია სიკვდილის შიშს, აღასრულა კოლხეთში გამოგზავნილ მისიონერთა კოალიციის მეთაურის, მამა სებასტიანეს სურვილი და უოყომანოდ გამოსცალა. საწამლავით სავსე ფიალა. მართლოლმეო ამ ფაქტს ამით ხსნის, რომ ანტონიომ თავისი სიკვდილით დავითი იხსნა ახალი ცოდვისაგან, მაგრამ ამავე შემთხვევამ დავითს შურისძიების დაუოკებელი სურვილი აღუძრა: „ამ ქვეყნად ცოდველს ისე არ დევნიან, როგორც უცოდველს... შურისძიება მოვალეობაა, ადამიანი ტანჯვის ღირსი ყოფილა, თანაგრძნობის კი არა“ —ამგვარ დასკვნამდე მიიყვანა. მის აღშფოთებულსა და ამბოხებულ არსებას შურისძიების მეტი ვეღარაფერი დაამშვიდებდა. ეს ყაჩაღისა და მძაღლადის სულის გამოფიზიწლებას როდი ნიშნავდა, კი, უბრალოდ, ადამიანის პროტესტი იყო მოუწესრიგებელი ყოფის, გულგრილობის, განურჩევლობის წინააღმდეგ. დავითმა უსამართლოდ მიიჩნია ანტონიოს მსგავსი ადამიანის სასიკვდილოდ გაწირვა, უბადრუკი ბრალდებებით მისი ღირსების შელახვა და ამაში დამნაშავეთათვის კუთვნილის მიზღვა თავის მოვალეობად ჩათვალა. ასეც მოიქცა. დავითმა მოთმინება კი ისწავლა ანტონიოსგან, მაგრამ ბრმა მორჩილება მას არ ძალუძს, ამჯერად თავად იქცა მსაჯულად, განარჩენიც თავად აღასრულა. თავადაა და მოვდელს ახალ-ციხის ბაზარზე უკრა თავი, მათში აღებული შუელით კი უმწეო დედა-შვილი გამოისყიდა. ცოდვილი სულების ნაცვლად უმანკო სულები გადაარჩინა.

აქ სრულდება დავითის ამბავი, ავტორი მის შემდგომ ბედზე აღარაფერს გვამცნობს, ალბათ, გან მისი სულიერი კათარზისი უკვე შედგა და ავტორისთვის მთავარი სწორედ ესაა, მაგრამ, ჩვენი აზრით, საინტერესო იქნებოდა ბოლომდე გვედევნებინა თვალი დავითის ცხოვრებისთვის, რათა უფრო ხარწმუნო ყოფილიყო მისი ზნეობრივი გარდაქმნა. დავითის სულმა ანტონიოს თავდაუზოგავი მცდელობით ძლიერი დაწოლა განიცადა, ამიტომ გადასხვაფერდა იგი, მაგრამ მომავალში შესაძლებელი იყო ასეთივე ძლიერი ზეგავლენა საწინააღმდეგო მიმართულებით. თუკი ახეთ ცდუნებას გაუძლებს წარსულის უარმყოფელი ადამიანი, მაშინ ვირწმენებთ სრულად მის საბოლოო შემობრუნებას.

ჯ. ქარჩხაძის პერსონაჟები სულიერი განწმენდისკენ სხვადასხვა გზით მიდიან, ერთი კია, ყოველი გზა ამ მიზნისკენ მიმართული, ეკლიანია, დაკლაკნილი, ძნელად სავალი, დიდ ძალისხმევასა და მოთმინების უნარს მოითხოვს. კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ უურადღება, ანტონიო და დავითი სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან, ვფიქრობ, ეს ავტორს დასჭირდა კიდევ ერთხელ იმ ფაქტის ხაზგასასმელად, რომ არსებობს პრობლემები, რომელიც საერთოა ყველა ადამიანისთვის, ეს ეთიკურ-ზნეობრივი პრობლემებია.

ჯ. ქარჩხაძის მოთხრობა სევდანარევ გრძნობას გვტოვებს, ჩაგვიფიქრებს, გაანალიზების სურვილს აღგვიძრავს. მოთხრობა გულგრილს არ ტოვებს მკითხველს. შემოქმედება და მისი ნამოღვაწარის შემფასებელთა შორის ურთიერთგაგებისა და ურთიერთნდობის ძაფები იბმება. მწერალი უარყოფითის ნაბაკარაზე გამოტანით მის აღმოსაფხვრელ საშუალებათა მიგნებას ისახავს მიზნად, ეს საშუალებები მან მკითხველთან ერთად უნდა ეძებოს, ამიტომ თავდაპირველად სწორედ მკითხველის კეთილგანწყობა უნდა მოიპოვოს, ეს კი, ჩვენი აზრით, სავსებით მიღწეულია, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ნებისმიერი მწერლისთვის, რომელსაც უამრავ მოთხოვნებს უყენებს ჩვენი რეალი და დაძაბული ეპოქა და რომელიც, ყველაფრის მიუხედავად „უნდა წაადგადეს მწირს, რომელიც ბრძოლის ველზე დადის და წყლულებს უხვევს დაჭრილებს. ეს მწირი, თვითონ გადამტანი ათასგვარი ჭირ-ვარამისა, თავისი სიმშვიდით ნუგეშს უნდა უნერგავდეს სულატკივებულებს, ათბობდეს შეცივებულთ, აწყნარებდეს, მიწისკენ ეწოოდეს აღზევებულთ, აპარპაშებულთ“.[1]

---

[1] რ. ინანიშვილი, სამგზიდო რეიულებიდან, „ცისკარი“, 1986, № 9, გვ. 56).

რა სჯობს ლექსისთვის...

გამომცემლობა „მერანმა“ 1985 წელს გამოსცა ახალგაზრდა პოეტის, ლალი თოთაძის ლექსების პირველი კრებული. ერეკლე საღლიანის ლექსებთან ერთად. ამ წიგნის შესახებ ლიტერატურულ პერიოდიკაში არაფერი თქმულა. წელს კი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ ლ. თოთაძის ლექსების ახალი კრებული დასტამბა. ახლა უკვე შესაძლებელია მთლიანობაში გავანალიზით ახალგაზრდა პოეტის ნაწარმოებები.

პირველ ზიარკრებულში ლ. თოთაძის 27 ლექსია დაბეჭდილი. მეორე წიგნში „ჭეშტილი ბანზე“ კი — 28. შეიძლება ითქვას, რომ ამ ლექსების ავტორი, როგორც წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ, მართლაც „მძაფრი პოეტური ვნებათა ღელვის, გარემომცველი სინამდვილის სისხლხორცეული განცდის“ შემოქმედი. თუმცა ზოგად მსჯელობას სჯობს შევადგიოთ ლ. თოთაძის პოეტურ სამყაროში, ჩავწვდეთ მის სულიერ მღელვარებას, გავითვისოთ, პოეტის განწყობილებები.

პირველი კრებული იხსნება ლექსით „სიზმარში ხედავს“. ამ ლექსზე უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ, რადგან იგი სხვა ლექსების ერთგვარი პოეტური გასაღებია. და რადგან ყველა ლექსის ანალიზი ერთ სარეცენზიო წერილში შეუძლებელია, გვინდა მივანიშნოთ მკითხველს, რომ კრებულებში დაბეჭდილ დანარჩენ ლექსებშიც ასევე ვლინდება პოეტური სიღრმე, ავტორისეული ოსტატობა.

და როცა ღამის სიფითრე მოდის,
მარტოობს სევდა ძველი და სანდო,
ამ მარტოობის ტკივილი და ლოდინს
ჩემი მღელვარე სხეული დარდობს.
ჩემში კაშკაშა და ცხელი მზეა
ჩამოხეთქილი და მორღვეული,
შეუცნობლობის მწვავე პოეზია
და მძულს სიწმინდე ჩემი სხეულის...

ლექსის ექსპოზიციურ ნაწილში სუბიექტური საწყისი ფუნქციონალურია, ხოლო გარემო, მატერიალისტური რეალობა განწყობილების ფონად გვევლინება. თითქოს ხელშესახებად იგრძნობა სულის ინტიმური მოძრაობა, ყველა ფრაზა მეტაფორულია.

მომდევნო ტაეპში მარტოობის, მიუსაფრობის სუბიექტურ განცდას ეწყვილება პოეტური შთაგონება, „შეუცნობლობის“ იდუმალება. სუბიექტური საწყისი და ობიექტური სინამდვილე ერთმანეთს ერწყმის, ზავდება და ემოციურ მთლიანობას ქმნის. კაშკაშა, ცხელი მზე შემოქმედებითი წვის და მაღალი იდეალების მეტაფორად წარმოგვიდგება, მაგრამ პოეტისაგან დისჰარმონიულად არის აღქმული — (სინტაგმი — „ჩამოხეთქილი და მორღვეული“ მზე).

ზოგადქალურშიც სუბიექტური განცდა დაპირისპირებულია მარტოსულობით გამოწვეულ დაწყვლილების დიდ სურვილთან:

მათ სძინავთ ახლა ვიღაცის გვერდით,
ამ ღამაზ ზღაპრებს არავინ არ ზლის.
და ჩემს სარკმელთან მთრთოლვარე ელდით
თეთრი საზღვარი ქანაობს ქარში.

თუმცა უბიწო, სპეტაკია ეს მარტოობა (სიმბოლო „თეთრი“), მაგრამ სულიც და სხეულიც ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას, წინააღმდეგობებს ებრძვის (მეტაფორა — „ქარი“). ამიტომ მომავალი გაუთვითცნობიერებელია, იგი არის „ზმანება ან დანაპირი“. და პოეტი სვამს კითხვას: რა სჯობს პოეზიისთვის? (სინტაგმა — „ლექსი“), წინააღმდეგობათა წინაშე ქედმოხრა, თუ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დგომა?

აი, როგორ იძერწება მთლიანობაში ეს ტაეპი:

ო, მე არ ვიცი იქით რა არის,
არის ზმანება ან დანაპირი?
რა სჯობს ლექსისთვის: მონობა ქარის,
თუ სიქალწულის თეთრი ნაპირი?

პოეტის აზრით, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება ადამიანის ბედს ზოგჯერ თვითონვე წარმართავს, პირადი ბედნიერება კი ლამაზ, სიზმარეულ ოცნებად (სიმბოლო — „სისხლისფერი ვარდები“) რჩება:

მაგრამ ამ კითხვას არაფრად აგდებს
ქარი ხეებზე ჩამოხეული
და ვნებით დამწვარ სისხლისფერ ვარდებს
სიზმარში ხედავს ჩემი სხეული.

საოცარი პოეტური ხილვებით არის გაშუქებული ლექსი „ჩემი დაბადების დღე“, რომელშიც თითქოს პოეტი ქალის ავტოპორტრეტი იხატება. ლექსში ვლინდება პოეტის დიდი შინაგანი, სულიერი პოტენციალ, სუბიექტური განცდა კი მხატვრულად განზოგადებულია, ფსიქოლოგიური ნიუანსებითაა გადმოცემული ლირიკული გმირის ხასიათი, რომელსაც დაბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებიდან დაჰყვა „კაცის იმედი, მოთმენა ძალლის“ და, რომელიც ეწევა უამურ ქალურ ცხოვრებას:

და მარტი, როგორც ჯოელი პერანგი,
ისე მაცია დამზრალ სხეულზე.

ცხოვრება კი, რომელიც სავსეა ცრემლით, იმედით, შუქით, ეჭვებით, სიმწრით და სიამით, ბუნდოვანია, რძისფერი ნისლის სადარია. ამ ცხოვრების მდინარებაში მიდიან წლები:

ჩამოდის წვიმა ცით და იჭვებით,
ათას სურნელით და განათებით
და რძისფერ ნისლში, როგორც ჩიტები
მიჰქრიან ჩემი წელიწადები.

ლექსის ბოლო ტაეპში კიდევ უფრო გაღრმავებულია სულიერი ტკივილის განცდა, სანგნებისა და მოვლენების ლოგიკური ურთიერთკავშირით დახატულია უშუალო განწყობილება:

ჩამოდის ზეცა. სხვენზე მოწყენით
ფლეთენ კატები დაგუბულ ნაღველს
და მარტი — ჩემი დედამშობელი
ოხვრით მიკერავს სუსხის პერანგებს.

ავტოპორტრეტული ლექსები ხშირია ლ. თოთაძის კრებულებში. იგი სხვადასხვა რაკურსით წარმოაჩენს პირადულ „მე“-ს ერთ-ერთ უსათაურო ლექსში ავტორს ნათლად გვიჩვენებს თავის დამოკიდებულებას ობიექტურ სამყაროსთან:

მე ის ვარ, ყელზე მიწა რომ მენთო,
შავ თილისმაზე ცა რომ მეკიდა
და მთვარე თავის უკვდავი ფერით
გადმომყიოდა მოჭრილ ნეკიდან.

პოეტის გზა უსასრულო აღსავლია „მზის ქურუმისაკენ“, რომელიც „გაღიმებული მიქნევს სატევარს“. მაინც სწამს პოეტს, რომ „მზესთან ერთად“ შეერთვება მარადისობას, ლექსის დასკვნით ნაწილში ლალი თოთაძე თავისივე ნააზრევის პერიფრაზირებით ახალ პოეტურ სახეს ხატავს:

მე ის ვარ, თქვენი ძველი მხეკალი,
შავ თილისმაზე ცა რომ მეკიდა
და მთვარის ძველი ყვითელი სისხლი
გადმომდიოდა მოჭრილ ნეკიდან.

„პოეტის „მე“ სულ სხვა კუთხითაა წარმოდგენილი ლექსში „ჯეჯილი ბანზე“:

მე ვარ იმედი და ზეცა დამმზერს,
სანამ ვშრიალებ და სული მიდგას,
ვარ ამოსული ჯეჯილი ბანზე
ბავშვის ცრემლიან და კულულიან.

სუბიექტური განწყობილების ლექსების ციკლს მიეკუთვნება: „თქვენს ბაგეებზე“, „მე არა მშურდა“, „ნუ მაცილავებთ“, „ხარკესთან“, „მე როგორ დავთმო“, „დამცავდა“ და სხვა.

ასოციაციური აზროვნების შესანიშნავი ნიმუშია ლექსი „თთვარის ცხენები“. თავის ვიზუალური ხედვის არეში გვაქცევს პოეტი, სამყაროს იდუმალ, მარადიულ ძალებთან შეხმიანებით მოგვიყოლიებს, პოეტური ხილვებით გვიტაცებს და გვიმორჩილებს:

შავი ცხენებით სავსეა მთვარე,
შავი ფერისას სძოვენ ბალახებს,
რომ მშობლიური მიწის მთა-ველი
საკუთარ ტანში თრთოლვით დამარხონ...

ლექსში იმდენი სიმბოლური მეტაფორული სახეა, ისე ნათელია ტროპული აზროვნება, რომ შეუძლებელია აღფრთოვანება დაფარო:

სანამ ზამთარი მოვა ხველებით,
ყინულის ჰანგით და სიმღერებით,
უკანასკნელი შავი ცხენები
მთვარეში ლამაზ ყელს იღერებენ...

ნიშანდობლივია, რომ ლალი თოთაძის პოეზიის სათავე უფრო მეტად ტკივილია, ვიდრე, სიხარულით გამოწვეული აღფრთოვანება. მისი ლექსების მეტი წილი ლირიკულ-მონოლოგურია, მაგრამ არა შიშველი მედიტაციური მსჯელობით, არამედ პოეტის სამყაროს წარმოჩენით. ზოგი ლექსი აღსარებაა, ზოგიც ლოცვა ან განუზორციელებელი ოცნების სევდა; თითქოს იდუმალებით მოსილი, მაგრამ მაინც გამოდაგნებული სინამდვილეა, უშუალობით აღქმული რეალური საგნები და მოვლენები მუდამ ურთიერთკავშირშია სუბიექტურ განცდებთან და ლექსის დედაზარი რეტროსპექტრულ განზოგადებას პოულობს.

ამ ასპექტში უნდა განვიხილოთ ლექსები: „ცა გამოჩნდება“, „...დადუმდნენ უკვე ხმები მძვინვარე“. „...ახლა ვინმე ანთებული კვარით“, „ნაღველთან მეწვის“, „დახოვრ ზეცა“, „ხამუდამოდ“, „წვიმების შემდეგ“, „შეხვედრა“, „ყველგან ვბრენდები“, „დამკიდე ტოტზე“, „მე არა მშურდა“, „ვინ აღმინშნა“, „ბეგარად მადევს“, „სადაც ძვლებიდან ამოზრდილი ყვავილი მღერის“ და სხვა, რომელთა პოეტური ჩანაფიქრის ძირითადი ღერძია: ადამიანმა იხსნას ყოველივე ადამიანური, შეიცნოს თავი თვისი და ამ მისიის შესრულებაში გზა პოეზიამ — სულის გასპეტაკებისა და გამშვენიერების უდიდესმა ძალამ გაუნათოს. პოეტს სწამს, რომ:

ცა გამოჩნდება სხვანაირი, იელვებს წამით,
დახატავს ვიღაც სხვანაირი ცხოვრების
რუკას...

ისტორიული თემატიკა კრებულებში სამოდე ლექსითაა წარმოდგენილი, მაგრამ პოეტის პოზიცია აქტუალურია: ერის ჭერო�ული წარსულიდან გამოხმობილი გმირთა ყიფინა სადღესაო მოწოდებად ისმის. ამის დასტურია პირობითობითა და სიმბოლურ-ალეგორიული ფორმით გააზრებული ლექსები: „ცოფნე“, „არაგვთან ახლოს“ და „დამმახებელი არ არის“. პოეტი არ იზიარებს მავანთა და მავანთა აზრს, რომ ქართველები „სმა-ჭამას გადაყვნენ“, ერი პასიური გახდა და ბრძოლისუნარიანობა დაკარგა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხია ქონგურზე შემდგარი იმედი
გეზეერავს მაღლიდან,
არავის დაჩლუნგებია მზეში
ნაჭედი მახვილი...

პოეტი დარწმუნებულია, რომ ქართველი ხალხი, საკერპოებისაებრ, წინაპრების მაგალითით აღსდგება ქვეყნად სიკეთისა და სიმართლის, სუფთა და ნათელი ცხოვრების დასამკვიდრებლად. სასიკეთო საქმისათვის წინამძღოლიც გამოჩნდება:

ბახტრიონ გალავანზედა, მაღალზე
მაღალ მთაზედა,
გაფრინდაულია გვარისა, ისევ გადიფრენს
ზეზვია...

ყოფნა-არყოფნის მარადიულ დარდსა და მწუხარებაზე დაფიქრებული პოეტი პოულობს მხატვრულ ფერებს, რომ უშუალობით, განცდათა სიღრმით გამოხატოს სათქმელი:

ეი. ასეთი ყოფილა ყოფნა,
გათავდა თოხის უკუნისოვა,
თრთის სამოთხის ხე ქარვის ნაყოფით,
მე ადამი ვარ, მე კიდევ — ევა...

ყოფნა-არყოფნის იდეა მხატვრულად ხორცშესხმულია აგრეთვე ლექსში „წვეთავს თაფლივით“.

ქანაობს ხეზე ადამის ჩონჩხი,
კიდევ წუთები შიშით დათვლილი
და თითებიდან გამდნარი ხორცი
ევას კაბაზე წვეთავს თაფლივით.

პოეტის წარმოსახვაში ბუნება ჯადოსნური პალიტრაა, რომელზეც შემოქმედის ხილვები და ფერები სიტყვიერ საღებავად იღვრება და მხატვრულ სახეებად გარდაიქმნება.

ქალბატონია ყაყაჩო მინდვრის,
ქარი შეურხევს გიშრის საყურეს,
იქვე ჯიუტად პოეტი — შინდი
ტოტებს არხევს და ზეცას აჰყურებს...

„მიწა წარსულის წვიმით ნაშენი“ პოეტის შემეცნებაში შემოდის როგორც ყოფიერების სახე-სიმბოლო, ხოლო ადამიანი — ყოველდღიური საზრუნავით დამძიმებული, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ნიადაგ მდგომი, ცხოვრებისეული წინააღმდეგობებით დაკირთული მიჰყვება ჟამთა ხვლას:

აღწკარუნა აპრილმა ზარი,
ჩაიღიღინა: „ასე სულ ვივლი“,
გადააშავეს ბოსტანში კვალი,
ჩაღრმავდა მიწა კაცის სულივით...

ლ. თოთაძის ლექსებში პოეტური სული მუდამ მოძრაობაშია, ხან ზეციხაკენ მიილტვის, სპეტაკდება და სხივოსნდება, ხან კი მიწიერ ყოფიერებას უბრუნდება:

და შეღამების ნაღველით მეწვის
გვიმრის ფოთლებში ნაპარები ტანი...

შესაბამისად მონაცვლეობს აზრი, განწყობილება და ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია პოეტი და სივრცე:

ზეცის ეკოანი იმეორებს ნაცხობ მირაჟებს...

პოეტი და სამყარო:

ელვარე ღამემ, ელვარე ცამ, ღმერთის
ინაზემ,
გსურდა თუ არა, მარნე ჩემთან
გამოგიძახა...

პოეტი და წარმავლობა:

ნეტავი რაღა დარჩება ჩემგან,
ზეცის ბილიკზე სახეტიალოდ...

პოეტი და მარადისობა:

მე უსათუოდ დღეს წვალ საღმე
ლურჯი მდინარით....

მზისა და მთვარის სახე პოეტის ლექსებში მეტაფორული მნიშვნელობითაა გააზრებული, მიუწვდომლობის, ზემაღალი, მარადიული იდეალების, გაუხუნარ ოცნებათა სიმბოლოდ გვეხატება.

სიყვარულის განცდას ტკბილ-მწარე ტკივილად შეიცნობს პოეტი, „სიყვარულის და აღტაცების უსაზღვროდ მდომი დახურავს ზეცას“, მაგრამ:

სიყვარული რომ დაბერდება, მერე,
მშვიდობით,
არავის ეტყვი რას დაეძებ, რა გსურს,
რა გინდა,
ძოაჩუქურთმებს აღტაცებას ჩრდილი და
ობი
და „ყვავილები ჩამოცვივა შენი კაბიდან.

ლ. თოთაძის ლექსებში თვალნათლივ ჩანს დახვეწილი ხელოვანის ოსტატობა და თვითმყოფადობა. მისი პოეტური ფრაზა მოქნილია, ელასტიური, სიტყვის ფაქტურა ლბილია, გამჭვირვალე:

... შენ კი მოგავდი იმ გამოცდილ
მოხუც მეთევზეს,
რომელსაც ისე ეშინია გაწბილებისა,
რომ საყვარელ წყალს
უვლის შორიდან
და მიკარებაც ვერ გაუბედავს.

პოეტის „სული იდუმალი, როგორც ეგვიპტე, გამოხმობილი უძველესი სარკოფაგიდან“ მუდამ დამუხტულია შთაგონებითა და მღელვარებით, სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილით:

ვკვდები, ვცოცხლდები, მიყვარდება და
ვმეორდები.

მისი მხსნელი ისევ პოეზიაა, ღვთიური და ზემაღალი, მაგრამ მიწიური ყოფით ნასაზრდოები:

ხსნა — ხატავს ცაზე მოელვარე უფლის
მარჯვენა,
ხსნა — ვწერ მიწაზე საიდუმლო ორგიის
კვამლით.

ლალი თოთაძე — ეს მართლაც შესანიშნავი, ახალგაზრდა პოეტი, ბათუმში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისი დიდი იმედის მომცემია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შენც წახდი, მეც წამახდინე“

აკაკი წერეთლის ისტორიულ ნოველაში „რაჭის ერისთავი როსტომ“ მოთხრობილია როსტომ ერისთავისა და მისი ერთგული ჯაფარ ჯაფარიძის უბედური თავგადასავალი. უბედურების მიზეზად იქცა უნდობლობა და შური, რომელიც ერისთავის გულში აღძრეს მათი გათიშვის მოწადინე ადამიანებმა. ჩვენი სიტყვებით მოყოლას აჯობებს, მთლიანად მოვიყვანოთ ამ ნოველის ექსპოზიცია, სადაც სულ ათიოდე სტრიქონით მწერალი ახერხებს ვრცელი ინფორმაცია მოგვაწოდოს და ერობაშად შეგვიყვანოს მოვლენათა შუაგულში:

„როსტომ ერისთავი მის დროში გამოჩენილი და სახელოვანი კაცი იყო. „ორმოში დამალულ კაცს კატაც ვერ დაესჩხავლებს, მაგრამ ხეზე გასულს კი ძაღლებიც უყეფენ“ და, რასაკვირველია, ცხოვრების მაღალ საფეხურზე მდგარ ერისთავსაც ბევრი შეჰყეფდა, ბევრი მტერი ჰყავდა, მაგრამ ვერავინ კი რას აკლებდა, სანამ მისი ერთგული და მისთვის თავდადებული ჯაფარ ჯაფარიძე თან ახლდა. მოინდომეს მტრებმა მათი დაშორება, მაგრამ მტროობით რომ ვერა მოახერხეს რა, მოყვრობით შეეპარენ ერისთავს, სცდილობდნენ შეეესმინათ ჯაფარაზე. ეუბნებოდნენ: ეს კაცი ამისთანა-იმისთანაეო, ნუ ენდობიო! რათ გინდა? შენ სახელშიაც კი წილი უძევს: სადაც შენს ქება-დიდებას ამბობენ, იქ ერთად ჯაფარასაც ახსენებენ ხოლმე და „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელეიაო“ და სხვანი“.

ლაკონიური და მაღალინფორმაციული ექსპოზიციებით განსაკუთრებით მაინრიხ ფონ კლაისტია ცნობილი. აკაკის კი ექსპოზიცია არაფრით ჩამოუვარდება კლაისტისას, თუმცა ერთნაირ მიზანს ეს ორი მწერალი განსხვავებული სტილისტური საშუალებებით აღწევს (ამ საშუალებების შედარებითი დახასიათება ძალიან საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ახლა ამის გამო სიტყვას ვერ გავაგრძელებთ). თხრობა შემდეგაც ძალიან სხარტად და შუამბეჭდავად მიმდინარეობს:

„შეურყეველ გული ჯაფარაზე ერისთავს, გაწირვინეს ერთგული შინაყმა. აუკრიფა მიზეზი ბატონმა ყმას და უდანაშაულო ჯაფარას თავლები დასთხარა თავმოყვარეობით თვითონაც თვალდამდგარმა როსტომ ერისთავმა და, რასაკვირველია, იმავე დროს თავისი მარჯვენაც გაიგდებინა“.

ერთგული ჯაფარა გვერდით რომ აღარ ჰყავდა, მტრებმა იოლად დაამარცხეს როსტომიც. სოლომონ პირველმა მასაც თვალები დასთხარა და მის მოსისხლე მტერს პაპუნა წერეთელს გადაუღოცა ტყვე...

და, აი, კარგა ხნის შემდეგ, ერთ აღდგომა დილას, ორი ბრმა — როსტომი და ჯაფარა — ერთმანეთს ეკლესიის ეზოში ხვდებიან:

— „ვიცანი შენი ხმა, როსტომ ერისთავო! ქრისტე აღსდგა!“ — მიმართავს მოხუცებული ჯაფარა თავის ყოფილ ბატონს.

— „ვინა ხარ შენ? — უპასუხა შემკრთალმა ერისთავმა.

— ვეღარ გამიხსენე? შენც წახდი, მეც წამახდინე... ქრისტე აღსდგა!

— ჯაფარა?! — დაიბნიღინა ერისთავმა: — მეც წავხდი, შენც წაგახდინე... ქრისტე აღსდგა, გიხაროდეს!“

მაგრამ ეს ნაგვიანევი სინანულია.

„შენც წახდი, მეც წამახდინე“ ის ფორმულაა, რომლითაც შეიძლება მრავალმა ქართველმა მიმართოს ერთმანეთს... და ასე გრძელდება საუკუნეების განმავლობაში. სინანული იმ დროს მოდის, როცა უკვე ამაოა თითზე კბენანი. თითქოს მართლდება ერთი ბრძენის სკეპტიკური ნათქვამი: „ისტორია მხოლოდ იმას გვასწავლის, რომ ისტორიისაგან ჭკუის სწავლა შეუძლებელია“.

აკაკი წერეთელმა კიდევ რამდენიმე შესანიშნავი ნოველა მიუძღვნა ქართველთა უძველეს ეროვნულ ჭირს — ერთმანეთის გაუტანლობას, ძმათა შორის შურს, შუღლსა და ჭიშპს. უნდა ითქვას, რომ ამ სატკივარის ჩენს მწერლობაში ყურადღება არასოდეს მოჰკლებია. სამართლიანად წერს პროფ. რ. სირაძე წიგნში „ქართული აგიოგრაფია“ („ნაკადული“, 1987), რომ უკვე „შუშანიკის წამებაში“ დაუნდობლადაა ნაჩვენები, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს ქართველთა გამყიდველობა, ღალატი ერისა, რწმენისა და ოჯახისა და რომ ეს არ არის კერძოობითი მნიშვნელობის ფაქტი: ერთი პიროვნების დაცემა (ამ შემთხვევაში ვარსქენისა) ან ერთი ოჯახის ტრაგედია, ესაა საერთო-საქ-

ვეუნო უბედურება, თანამდევარი ჩვენი ცხოვრებისა“ (გვ. 39-40).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ის კი აღარ არის სწორი, რასაც ამავე წიგნში, მე-16 გვერდზე ვკითხულობთ: „მთელს ჩვენს ლიტერატურაში საკმაოდ იშვიათია ეროვნულ ნაკლოვანებათა მხილება“ და მთელს ჩვენს მწერლობაში „დადებითი გმირები გაცილებით მრავალფეროვანია, რომელთაც ტოლს ვერ უდებს უარყოფით პერსონაჟთა სახეებიო“.

საბედნიეროდ, ასე არ არის. საბედნიეროდ იმიტომ, რომ აბა რა ლიტერატურაა ის ლიტერატურა, რომელიც ეროვნულ ნაკლოვანებათა მხილებას გვერდს უვლის და ვერ ახერხებს შთამბეჭდავი უარყოფითი პერსონაჟების შექმნას. მართებულად აღნიშნავს თამაზ ვასაძე ნ. ბარათაშვილზე დაწერილ სტატიაში (საიდანაც შემდეგ კიდევ ერთ ადგილს დავიმოწმებთ), რომ „თავისი თავისადმი მკაცრი, უშეღავათო დამოკიდებულება ერის, ისევე როგორც პიროვნების, კულტურის ნიშანია, მის გონით სიმწიფეს მოწმობს“.

„შუშანიკის წამების“ შემდეგ, სადაც ვარსკვნის სახით, მართლაც, მეტად შთამბეჭდავი უარყოფითი პერსონაჟია დახატული, ეროვნული ნაკლოვანებების კრიტიკა ჩვენს მწერლობაში სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა. განსაკუთრებით მკაცრად გმობდნენ ჩვენი მწერლები ძმათა შორის შურსა და შუღლს, რამეთუ მათ კარგად იცოდნენ, რომ ნაკლოვანებების, მათ შორის ხასიათისმიერი ნაკლოვანებების, აღმოფხვრის ყველაზე საიმედო გზა მათი გაცნობიერება. გაანალიზება და მხილებაა.

ზემოთ დასახელებულ წიგნში რ. სარაძე, როდესაც იგი გიორგი ათონელის თხზულების („ცხოვრება იოანესა და ეკვთიმესი“) იმ პასაჟებს ეხება, სადაც აგრეთვე, ქართველთა ეროვნულ ნაკლოვანებებზეა საუბარი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის, დიდი მწერლისა და მამულიშვილის, სიტყვებსაც იხსენებს: „ნათესავი ქართველთა ორგულ-ბუნება არს პირველითგან თვისთა უფალთა, რამეთუ რაჟამს განმდიდრდნენ, განსუქდეს, მშვიდობა პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისაი“.

ასევე მკაცრად აკრიტიკებს მშობელ ხალხში ფესვგამდგარ შურსა და გაუტანლობას ყამთაღმწერლის სახელით ცნობილი დიდი მწერალი და პატრიოტი მემატიანე. აი, ერი ამგვარი ადგილი მისი თხზულებიდან: „ვითარ დაეახლნეს წინამბრძოლნი და სულტანი, აქა დაიპყრა ფერხი ივანე ათაბაგმან, იტყვიან შურითა ყო ახალციხელთა შალვა და ივანესითა. ჰოჰ, შური, ყოველთა ბოროტთა დასაბამი და ძვირად მომწყუედელი ნათესავისა კაცთასა და ყოველთა ნათესავისა მწყალველი!“

არჩილ მეფის სიტყვებიც გავიხსენოთ: „ასრე სჯირს საქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა, აზვავდებიან, იტყვიან: „უჩენომოთ ვინმე იმდერეთა“.

დავით გურამიშვილიც, როცა ქართლის ჭირზე საუბრობს, გულისტკივილით აღნიშნავს: „მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდგა ძმასა ყისტი“ და „კახელების ალმა ხნულნი ქართველებმა დაღმა ფარცხეს... ძმამ ძმას სახრე გარდუუჭირა, მტერთ კომბალი თავში დასცხეს, ორნივ ერთად შეხრინკულნი დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს!“

თამაზ ვასაძის ზემოთ ნახსენებ წერილში ვკითხულობთ: „ახალ დროში ბარათაშვილმა პირველმა აქცია კრიტიკული ფიქრის საგნად ეროვნული ფსიქოლოგიის ნაკლოვანი მხარეები ერთ წერილში იგი გულისტკივილით მიანიშნებს ინ „სნეულებაზე“, „რომლისგამიც ქართველი თავისიანს არ გამოადგება..“ სხვაგან მწარედ კითხულობს: „განა ქართველებში არის მეგობრული და ნათესავებრივი გრძნობა?“ ასეთი კრიტიკული თვალსაზრისი შემდეგ მძლავრი შემტევი პათოსით გამოვლინდა ილია ჭავჭავაძის და მისი თანამოაზრეების შემოქმედებაში“ („ლიტ. საქ.“., 1988, № 10).

ხომ არ ვაკვირდებთ, როცა შურსა და გაუტანლობას ჩვენს ეროვნულ ნაკლად მივიჩნევთ? განა არსებობს ისეთი ერი ან საზოგადოება, სადაც არავის არავისი შურს და ძმა ძმას არ ექიშპება? რა თქმა უნდა, ასეთი ერი ან საზოგადოება არ არსებობს. ის კი არა და, შური, თუ იგი ნორმალურის ფარგლებს არ სცილდება, პროგრესის, წინსვლის, განვითარების სტიმულიც არის. არსენი გულიგა ასე გადმოგვცემს კანტის თვალსაზრისს ამ საკითხზე: „არკადიელი მწყემსების ცხოვრების პირობებში, ეროსულობენების, ზომიერებისა და ურთიერთსიყვარულის ვითარებაში, ნიჭი ვერ გამოვლინდებოდა და ცხრებივით თვინერი ადამიანები ღირსებით შინაური ცხოველების დონეზე დარჩებოდნენ. ამიტომ დაილოცოს ბუნება იმისათვის, რომ არსებობს ურჩობა, შურით აღვსილი მეტოქეობა, მოხვეჭისა და ბატონობის ენინ. ადამიანს სურს თანხმობა, მაგრამ ბუნებამ უკეთ იცის, რა სჯობს მისი მოდგმისათვის, და განხეთქილების გზით ატარებს მას!“ (ა. გულიგა, კანტი, „ნაკადული“, 1986, გვ. 154).

ეს კი ასეა, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ქართველი მწერლები (და ბევრი სხვაც, ვინც არ დაგვიხასიათებია) თავის თანამემამულეებს ამჩნევენ შურის რაღაც არანორმალურ გამოვლინებას, რაც შურის აღმძვრელი პიროვნების დაუყოვნებლივ და სრულ განადგურებას, ხოლო განადგურების საშუალებებად ყველაზე მზაკვრული და ვერაგული ხერხების გამოყენებას გულისხმობს. თუ ნორმალურ ვითარებაში უარიანია კაცი ასე მსჯელობდეს: „რომ აღარ მშურდეს, ამიტომ იმაზე უკეთესი უნდა გავხდე,

ვისიც მშურს", ქართველი თითქოს ასე ფიქრობს: „რომ აღარ მშურდეს, უნდა მოვსპო ის, ვისიც მშურს". ისე ჩანს, თითქოს რა გინდა რა ნიჭით შემკობილი ქართველი თვითდამკვიდრების ერთადერთ საშუალებას მოუვასის დათრგუნვაში ხედავს, მაშინ გრძნობს თავს კაცად, როცა ახლობელს გაანადგურებს.

ცხადია, ამ დროს მოშურნე თავის თავსაც ვნებს, შური შიგნიდან ღრღნის მას, ამოროტებს და ყოველნაირად ასუსტებს. შური საშინელი დაავადებაა. აქ შეიძლებოდა დაგვემოწმებინა მრავალი ბრძენკაცის გამონათქვამი და ცხოვრებისეული გამოცდილება, მაგრამ ერთადერთ ციტატას მოვიხმობ ამ ცოტა ხნის წინ გაზეთ „თბილისში" გამოქვეყნებული ინტერვიუდან, ეს არის საუბარი ზურაბ ანჯაფარიძესთან. „მომღერალი არ შეიძლება იყოს შურიანი, — ამბობს ბაგონი ზურაბი, — არ უნდა აწუხებდეს სხვისი წარმატება. თორემ, სხვა თუ არაფერი... უსათუოდ დაკარგავს ხმას".

ამას შეიძლება დავუმატოთ მხოლოდ ის, რომ მომღერალი ხმას დაკარგავს, მწერალი წერის, მშენებელი შენების უნარს და ა. შ.

გარდა ამისა, მოშურნე ვერ ამჩნევს, რომ ახლობლის სიკეთე ნორმალურ ვითარებაში მისი სიკეთეც არის, ახლობლის სიძლიერე მისი სიძლიერეც არის. ამის დაუნახაობაში, როგორც ისტორია და დღევანდელობაც მოწმობს, ჩვენ ნამდვილად ცოტა ვინმე თუ შეგვეღრება ქვეყნად.

ახლა ვნახოთ ამ თემაზე დაწერილი აკაკის კიდევ ერთი ჩინებული ნოველა „გრიგოლ წერეთლის ირემი". ეს ნაწარმოები სულ ოთხნახევარი გვერდია (საშუალო ფორმატის წიგნისა). ვიდრე სათაურად გატანილი ამბის თხრობა დაიწყებოდეს, მანამდე ნოველის ნახევარი სხვა, ძირითადი სათქმელისაგან ერთი შეხედვით დიდად დაშორებულ თემაზე საუბარს უჭირავს. ეს არის მთხრობელისა და გზად შემხვედრი მოხუცის დიალოგი. თავიდან იგი შესავლივით აღიქმება, ხოლო როგორც შესავალი, გაჭიანურებული ჩანს. მართლაც, როცა მთელი ნაწარმოების ნახევარი შესავალს წარმოადგენს, ეს უდავო კომპოზიციური ნაკლია. მხოლოდ ნოველის ბოლომდე ჩაკითხვისა და მისი მთლიანობაში გააზრების შემდეგ ვხედებით, რომ ის, რაც თავიდან შესავალი გვეგონა, ნოველის ისეთივე ძირითადი შემადგენელი ნაწილი ყოფილა, როგორც გრიგოლ წერეთლის ირმის ამბავი, საქმე გვაქვს ორ პარალელურ და თავისი არსით მსგავს ამბავთან, რომელთაგან ერთი აწმყოში ხდება, მეორე — წარსულში. და ეს პარალელური ამბები ერთმანეთს განმარტავენ, ერთმანეთის გამო არსებობენ გვერდიგვერდ ნოველაში.

სად მიდიხარო, — ეკითხება მთხრობელი მოხუცს. სუდში გეახლებიო, — მიუგო მოხუცმა. „ის დვთისრისხვა ჩემი სახლეკაცი მყავს გადადმტერებული და ალარ მასვენებს: ცოცა ფული, შემაგულა... ორიოდე ფარა მაქვს სამარხად გადადებული.. ჯერ, ბაგონო, მოციქულები შემომიჩინა, მაგრამ მოყვრობით და სიამტკბილობით რომ ვერას გახდა, ვითომ ძალა დაამარა (...) და ბოლოს ამ ახალ კანონს დაადგა!.. „ცარიელ კაცს საბაჟოზე მიუხაროდაო" ტყუილა კი არ არის ნათქვამი. ახლანდელი კაცები ასე გარბიან სუდში, თითქოს კაი თემში მიდიოდნენო... ჩემი სახლეკაცის ხელობაც ის არის, დღე ერთია და მისი საჩივარი ათი... ყოველ საქმეში, ბრალიანია თუ უბრალო, მოწმედ მე მწიშნავს... უნდა რომ ამ თრევეში სული ამომხადოს. გავხედავ, მომდის „უუყეება". თუ არ წავედი „სწრაფს" მახდევინებენ, და თუ წავედი — ვარ ამ დილიდან საღამომდე ატუზული სასამართლოს კარებზე (...) რაცა იქნება დამიძახებენ... დამიწყებენ დაცინებასავით აქეთურს, იქითურს და ბოლოს მეტყვიან, „ამა და ამ საქმის რა იცით". მეც მოვახსენებ: „არაფერი-თქო" და დამანებებენ თავს. ი ჩემი სახლეკაცი ღრეჭას მოყვება და მე კი გულზე ვსკდები".

ამ საუბარში მაღლობზე წამოდგმულ ერთ სახლს მიუახლოვდნენ და მოხუცმა იკითხა, ვისია, ბატონო, ეს სახლიო. ჩამადანოვისო, უპასუხებს მთხრობელი. კი მაგრამ, ეს გრიგოლ წერეთლის სახლი არ იყოო, გაიოცა მოხუცმა. „იყო და აღარ არის! ახლა გადამთიელს უჭირავს ხელში", — ეუბნება თანამგზავრი.

ამაზე მოხუცის რეაქცია ასეთია: „დიდება შენს სამართალს, ღმერთოო! „ცანი და ქვეყანანი წარხდენ, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა წარხდენო!" — თქვა სასოებით, მოიხადა ქუდი და მოუხშირა პირჯვრის წერას. „აი, ბეჩა, რისი მნახველი ვარ და რას მოვესწარი?! ერთმა ირემმა ამოაგდო ეგ ოჯახი!.. არც ქვეყანას დაეყარა ხეირი, მაგრამ ის დიდებული ოჯახიც კი ამოფხვრა".

როგორ თუ ირემმაო, გაიოცა მთხრობელმა და ახლა იწყება ამბავი, რომელიც თავისი ხაბედისწერო იდუმალებით დიდი ევროპელი რომანტიკოსების ქმნილებებს მოგვაგონებს.

„ირემი იყო თავდაპირველი მიზეზი ქვეყნის არევ-დარევის", — წარმოთქვამს მოხუცი ამ უცნაურ ფრაზას და განაგრძობს:

„ბოლო დროს გრიგოლ წერეთელი ასე გაძლიერდა, იმაზე უფროსი ჩვენში აღარავინ ყოფილა (...) მძლავრობდა და ბაგონობდა... ავსილი ჰქონდა ოჯახი, რას არ ნახავდით მის სახლში? (...) სხვათა შორის, ერთი ქორბუდიანი ირემი მყავდა გაშინაურებული... იმაზე უმშვენიერესი აღარა ნახულა რა!.. მაგრამ რად გინდა? ეშმაკის გაზვრთნილი იყო... ნავარდი უყვარდა, მაგრამ ხალხს კი კარგად არ უხდებოდა მისი ნავარდი — ბევრი მარცხი ხდებოდა! ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც კი დაინახავდა, არ დაზოგავდა... აიღებდა რქებით და აბურთავებდა... ბევრი ცოდვა ჩაიდინა, მაგრამ ვინ რას ჰკადრებდა? ვინ გამოიღებდა ხმას გრიგოლ წერეთლის შიშით?!"

ერთხელ ირემს ბეჟან წერეთლის გუთნისდედა წამოუცვამს რქებზე. ამ დროს გამოუვლია თედორე ჭიღლაძეს, ბეჟან წერეთლის საყვარელ გლეხს, გადმოუღია თოფი, უკრავს ტყვია და ძირს გაუგორებია გაბორტყბული ცხოველი.

ირმის სიკვდილი რომ გაუგია გრიგოლს, შეუთვლია თავისი სახლიკაცის ბეჟან წერეთლისათვის: ეგ შენი ყმა, ჩემი ირმის მკვლელი, შეჭკარი და გამომგზავნე, თორემ ჩვენი მოყვრობა აღარ ივარგებსო.

მაშ, გრიგოლი და ბეჟანი სახლიკაცები ყოფილან („სახლიკაცი" ასეა განმარტებული ლექსიკონში: „მამაკაცი, რომელიც იმავე ოჯახს ან გვარს ეკუთვნის — ძმა, ბიძაშვილი, მოგვარე"). ახლა გავიხსენოთ, აღრე მოხუცმა რომ თქვა „ჩემი სახლიკაცი მყავს გადამტერებული". ამით ნოველის ორივე ნაწილს შორის გაიბმება ძაფი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების დედააზრის ამოსაცნობად.

ბეჟანი უარზე დამდგარა, ვერ გაუმეტებია საყვარელი ყმა. და მოხუცი შეუდგა მძლავრი გრიგოლ წერეთლის მიერ თავის ნათესავთა ტოტალური დაწოიკების ამბის თხრობას. საშინელება დაუტრიალებია გამძვინვარებულ გრიგოლს: „არა თუ მარტო ბეჟანს დაუწყო დევნა, მის მახლობლებსა და მოყვეებსაც აღარ ზოგავდა. ჩაბეზღებული ბეჟანი დიდხანს იმალებოდა ორღულის ტყეში... გადავარდნილი იყო და სახლს ვეღარ ეკარებოდა. ქუთათელი მისი ბიძა იყო და ვიცით რაც დღე დაატანა. გენთალიც ,თან მიაყოლეს!.. რადაი ერთხელვე გაიგერშა გრიგოლ წერეთელი, გაუგემრიელდა საშოვარი და სხვებსაც მიჰყო ხელი: დიდი ივანე აბაშიძე აიკლეს და ახალციხეში მოიკლა... წულუკიძეები ააოხრეს... ნიკარაძეები დაიგირეს და სხვანი... სხვების დამცირება წერეთელს უფრო და უფრო ამაღლებდა. იყო დიდ საშოვარში და დღითი დღე ძლიერდებოდა მისი ოჯახი. სხვები რომ ტიროდნენ, ის იყო ერთ ლხინსა და შექცევაში".

რა უნდა მოჰყოლოდა ნათესავების ხარჯზე გრიგოლ წერეთლის უსამართლოდ გაძლიერებას? ცხადია, პირველ რიგში ქვეყნის დასუსტება (არც ქვეყანას დაადგა ხეირიო, ხომ თქვა აღრე მოხუცმა), ხოლო საბოლოოდ თვით გრიგოლ წერეთლის გაუბედურებაც. როცა იგი თავისი ხელით ანადგურებს თავის მოყვრებს და მოკეთეებს, ამით თვითონვე ითხრის ძირს.

ნოველაში არის პერსონაჟი, ვინც ამას ხვდება, მაგრამ ძალა არ შესწევს წინ აღუდგეს საყოველთაო გაპარტახებას. ეს არის წინამძღვარი დიმიტრი აბრამიშვილი.

ახლა იწყება ბრწყინვალე ფინალი, რომელსაც შეიძლება „წინამძღვრის წინასწარმეტყველება" ვუწოდოთ:

„ერთხელ, მხიარულ გულზე, გრიგოლმა, ივანე წერეთელმა და პეტრე არხიმანდრიტმა ჩამოაგდეს საუბარი ფილოსოფიაზე. ზოგი ეს თქვეს და ზოგი ის. დიმიტრი წინამძღვარი, აბრამიშვილი, აქვე ჯდა და ყურს უგდებდა. „რატომ შენ არას ამბობო?" ჰკითხა გრიგოლმა.

„მე რა უნდა მოგახსენოთო?" — მიუგო წინამძღვარმა, — „მე ქვეყნის კი არა, ჩემი თავისაც ვერა გამივიგია-რაოს.. ჩემი ფილოსოფია ყმანი და დავითნია, სადაც წერია: „უკეთუმცა უფალმა არა აღაშენოს სახლი, ცუდად შრომენ მაშენებელნი მისნი".

დავაკვირდეთ ამ რეპლიკას! გრიგოლ წერეთლის უშუალო კრიტიკა დავითნიდან მოხმობილ ამ სენტენციაში არ ჩანს. მეტიც, როცა წინამძღვარმა ეს სიტყვები წარმოთქვა, იმ დროს გრიგოლზე არც იყო საუბარი, მან ორაკულიერად წარმოისროლა ფრაზა, რომლის გაგებაც სხვადასხვანაირად შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, დაბეჟითებით ვერ ვიტყვით, რომ უსათუოდ გრიგოლ წერეთელია ეს „ცუდად დამაშვრალი მაშენებელი". და მაინც ერთი შეხედვით უცნაური რამ ხდება: ეს ნათქვამი რატომღაც ყველამ ერთმნიშვნელოვნად გაიგო. ვნახოთ, როგორი იყო მსმენელთა რეაქცია: „ყველას გაეცინა, მაგრამ ივანე მიუბრუნდა გრიგოლს და უთხრა: „ეგ ბერი შენზე წინასწარმეტყველებს, და ფრთხილად, გრიგოლ, რომ სახლი არ დაგენგრესო".

რატომ გაშიფრეს ასე ერთმნიშვნელოვნად წინამძღვრის სიტყვები? იმიტომ, რომ გულისხმიერ ყველა გრძნობს — მათი მასპინძელი უსამართლოდ და ვერაგულად იქცევა; გრძნობენ, რომ პრინციპი „შენც ჭახდი, მეც წამახდინე" ამ შემთხვევაშიც უტყუარად ამოქმედდება, ამოქმედდება, იმიტომ, რომ გრიგოლსაც და მის სახლიკაცებსაც ერთი საერთო მტერი ჰყავთ — ჩამადაფავი, რომელიც მხოლოდ იმას ელოდება, რომ მოყვრებმა ერთმანეთი დაამბეზღონონ, რათა თვითონ დაეუფლოს მათ ავლადიდებას. როგორც დ. გურამიშვილი ამბობს: „ძმამ ძმას სახრე გარდუტეხა, მტერი კომბალი თავშა დასცხეს, ორნიკ ერთად შეხრინკულნი დასცეს ქვეყნად, დაანარცხეს!"

და ბოლოს ისევ ირემი. მოხუცი განაგრძობს: „ბას აქეთ ჯერ საუკუნეც არ გასულა და, აი, როგორ ახდა ის სიტყვა!.. დაიქცა დიდებული ოჯახი და გადამთელი დაეკაპრონა. ეს უბედურება სულ იმ ერთს ირემს მოჰყვა. ქვეყანაც დაიღუპა და ის ირმის პაპრონიც!.."

ადვილი შესამჩნევია, რომ გულუბრყვილო გლეხი საბამს მიზეზად მიიჩნევს, შემთხვევითს — არსებითად, მისი მზერა მოვლენების ზედაპირზე რჩება და ღრმად ვერ სწვდება ვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებას. მხატვრულობის თვალსაზრისით აქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ავტორი არ ერევა მოხუცის მსჯელობაში და არ უსწორებს შეცდომას. ეს არ არის საჭირო. თვით მოხუცის ნაამბობიდან და მისივე პირადი გასაჭირიდანაც აშკარაა, რომ ძმათა შური, შუღლი და გაუტანლობა ღუპავს ყველას და ყველაფერს და ირემი არაფერ შუაშია, უფრო სწორად, ირემი მხოლოდ საბაბია, სამწუხარო აუცილებლობის გამოვლენის შემთხვევითი ფორმაა.

ზემოთ მტრად მოკიდებული სახლეკაცების საერთო მტერი ჩამადანოვი ვახსენეთ. უფრო ალბ ისიც ვთქვით, რომ არ არსებობს ისეთი ერი ან საზოგადოება, სადაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, სათანადო დოზით ძმათა შორის შუღლს არ ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ნორმალურ ვითარებაში ასე ხდება: როგორც კი საერთო მტერი წამოყოფს თავს, ძმები შეწყვეტენ ერთმანეთთან ჭიშპობას და მთელ ძალებს ამ საერთო მტრის წინააღმდეგ მიმართავენ. სულხან-საბა ორბელიანს ამაზე იგავიც აქვს — „ძაღლები და მგელი". ძაღლები ერთმანეთს ეჩხუბებიან — ლეში ვერ გაუყვიათ, მაგრამ როგორც კი მგელი გამოჩნდება, მაშინვე ერთიანდებიან მასთან საბრძოლველად. ასე რომ, გარეშე მტერი შინაურთა შორის მტრობის შემასუსტებელი და მომძეთა შემაკავშირებელი ძლავრი სტიმულია. მაგრამ საოცარი ის არის, რომ ეს მექანიზმი ჩვენში რატომღაც არ მოქმედებს. ამ პრობლემას მიუძღვნა აკაკი წერეთელმა აგრეთვე მეტად საინტერესო ნაწარმოები „დათუნა გოცირიძე".

ეს ნოველაც სხარტი, ლაკონიური და მაღალინფორმაციული ექსპოზიციით გამოირჩევა და ბარემ მთლიანად გადმოვიწერ მის შესავალსაც:

„რაკველი აზნაური დათუნა გოცირიძე მის დროში განთქმული ვაჟკაცი იყო მთელს იმერეთში. ხმალს უქებდნენ და პირველობაც აგვირგვინებდა, სანამ საყვარელი დისწული, მისივე გაზრდილი, ივანე კვიტაშვილი არ წამოეზარდა. სახელოვანი მოწაფე გვერდში ამოუდგა სახელგანთქმულ მოძღვარს... რაღა სჯობია ამ ნეტარებას?! მაგრამ ტკბილად კი არ არის ნათქვამი: „ჩამავალი მზე ამომავალ მთვარეს განზე უყურებსო". თავმოყვარეობის სიხარბემ შური შეაპარა ორივეს და მათი გმირული ზენაოყვარობა საკვენაო მტერ-მოყვარობად შეიცვალა. მაგრამ მაინც მათი ცალყბა მეგობრობა სხვების ორფენ მოყვარობაზე უკეთესი იყო, სანამ ყმაწვილურმა, აშვებულმა თავხედობამ ხმალი არ შეურცხვინა დამჯდარ, დინჯ მოხუცებულობას".

აი, როგორ მოხდა ეს. დადიანმა მეფეს საუცხოო გაგარეულებული ნენიერი (დასაკლავად გამზადებული ხარი) მიართვა. მეფემ იკითხა, ნეტავ, თუ ვინმე მოახერხებს ხმლის ერთი დაკვრით გააგდებინოს ამას თავიო. დათუნას მეტი ვერავინ შეძლებსო, თქვა სარდალმა წერეთელმა. ვერც იმისი დისწული? იკითხეს კარისკაცებმა. ვერც ისო, დაასკვნეს და დაიბარეს დათუნა. ამან გაანაწყენა კვიტაშვილი და ბოლმა ჩაიდო გულში. ღამით მიეპარა ბიძას, ხმალი ამოაცალა ქარქაშიდან და პირი დაუბლაგვა. მეორე დილით თავისებური კორიდა გაიმართა. დათუნა წრეში შევიდა, ხარი მისკენ გამოიქანა. მოუქნია ხმალი ნენიერს და თუმცა კისრის ძვლები ერთიანად დაუღეწა, მაგრამ თავი ვერ წააგდებინა. დახედა ხმალს — დაბლაგვებულია. „ეს ულვაში ნუდა მსხმია, თუ ეს შევარჩინო ამის მჭმნელსო", — დაიფიცა.

ვეღარ მოხერხდა ბიძა-დისწულის შერიგება. კვიტაშვილი იძულებული გახდა მიეტოვებინა რაჭა და იმერეთში გადასულიყო. დათუნას ორგვარი წუხილი სტანჯავს: ერთი მხრივ, არ შეუძლია ფიცი გატეხოს, მეორე მხრივ, ენანება თავისი გაზრდილის დაკარგვა. ბოლოს იფიქრა, საამქვეყნოდ რაღა გამოსადეგი ვარო და ბერად შედგომა გადაწყვიტა. ამისთვის მეფისა და გენათელის თანხმობა იყო საჭირო და ვარციხისაკენ გაეშურა.

აჯამეთის ტყეში რომ მიდიოდა, დაინახა ხის ძირას ვიღაცას ძინავს. დაკვირდა — ივანეა. წაივლო ხმალზე ხელი, მაგრამ გადაიფიქრა: ასე ქურდულად ხომ არ მოვკლავ, გავადვიძებ და ისე შევებრძოლებიო. არც ეს მოეწონა: ძალით გაღვიძებული გუნებაზე ვერ იქნებაო და მასთან ბრძოლა მაინც ლაჩრობად ჩამეთვლებაო. მოვიცდი, გამოიძინოს და მერე გავსწორდებითო. ამოეფარა ხეს და დაელოდა.

იმ დროს დაღესტნიდან ლეკები იყვნენ გადმოსულნი და იმერეთის ტყეებში დაყაჩაღობდნენ. უცებ დათუნას ყღღრტტული მოესმა. მიიხედა — ლეკებს ნიშანში ამოეღოთ მძინარე. ისკუპა სამალავიდან, უტაცა ლეკს თოფზე ხელი, იტაცა შაშხანამ და მარცხენა ხელისაგული გაუხვრიტა გოცირიძეს. მარჯვენათი ეშმუშვლა ხმალი და დასჭეოვლა მტერს. გამოეღვიძა ივანესნაც და ისიც ხმალამოწვდილი გადაეშვა იქით, საიდანაც ხმაური მოესმა. დაფრთხნენ ლეკები და გაიქცნენ. შერჩა ერთმანეთს პირისპირ მოსისხლე ბიძა და დისწული...

„აი, აქ უნდა გამოიცადოს მწერლის ტალანტი. სიტუაცია ისეთია, რომ მცირეოდენ სიყალბესაც ვერ იგუებს. ყოველ სიტყვას, ყოველ ეპიზოდს და მოძრაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ვნახოთ, როგორ გადაწყვეტს ამ რთულ მხატვრულ ამოცანას აკაკი წერეთელი:

„დიდხანს ხმა ვეღარ ამოიღეს, ბოლოს, როგორც იქნა, შეეკითხა ახალგაზრდა:

— შენა ხარ, ბიძაჩემო? აქ რას მოუყვანიხარ?..

— შენს სიგლახეს, — უპასუხა მოხუცმა..."

„შენს სიგლახესო", რომ წავიკითხავთ, ბუნებრივია ვიფიქრებთ, ამ სიგლახეში ის ვერა-

გობა იგულისხმება, რაც დისწულმა ბიძის მიმართ ჩაიდინა. ამასვე გაიფიქრებდა ივანეც და, ცხადია, სათანადოდაც განეწყობოდა. მაგრამ მისი განწყობა ელვისებურად შეიცვლება, რადგან, რასაც ახლა დათუნა იტყვის, მოლოდინის სრულიად საპირისპიროა:

„ბეღს ვაუკაცობა მოუცია შენთვის, მაგრამ ღმერთს კი ჭკუა წაურთმევია... უადგილო ადგილას რომ ძილს მინდობიხარ, ხომ ღორივით გადაგაგორებდნენ, რომ მე არ წამოგსწრებოდი და მტერს წინ არ გადავღობებოდიო“.

ივანე კვიტაშვილს რაღა დარჩენია? რა უნდა ქნას ამ ვითარებაში? მხოლოდ ის, რასაც ნოველაში ვკითხულობთ: „ახალგაზრდა უსიტყვოდ დაეშვა მუხლის თავებზე და მოეხვია მოხუცს“. ივანეს ეს რეაქცია, სრულიად წარმოუდგენელი ცოტა ხნის წინ, სულ ორიოდე ფრაზით ფსიქოლოგიურად არა თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც გახადა მწერალმა.

და, აი, ფინალიც: „მოხუცმა წამოაყენა, ჩაიკრა გულში და უთხრა: „შენ ჩემთან დამნაშავე ხარ და მე კი ქვეყნის წინაშე: სანამ გარეშე მტერი არ მოგვიგერიებია, შინაური მტრობა რჯულის უარისყოფაა და ორივეს ღმერთმა შეგვინდოსო!“

მისცეს მხარი მხარს, დაიძახეს: „მდევარიო!“ და ერთად გამოუდგნენ მტერს...“

ფინალი, როგორც ვხედავთ, პროპაგანდისტულია, მაგრამ ეს არ ამდაბლებს ნოველის მხატვრულ ღირსებებს, რადგან ამ ფინალამდე ძალზე ბუნებრივად მივდივართ, პერსონაჟთა ყოველი მოქმედება ფსიქოლოგიურად მოტივირებული და დამაჯერებელია, ისე რომ, სხვაგვარი დასასრული ვერც კი წარმოგვიდგენია.

ფინალში აკაკიმ გამოხატა თავისი ნატვრა, ოცნება, რასაც იგი არასასურველ სინამდვილეს უპირისპირებს ამ სინამდვილის გარდაქმნის წადილით. მაგრამ ნოველის ბოლოს კიდევ არის ერთი ფრაზა, რიტორიკული შეკითხვა, საიდანაც იგრძნობა — მწერალს მაინცდამაინც დიდი იმედი არა აქვს, რომ ამ მხრივ უახლოეს მომავალში რამე სასიკეთოდ შეიცვალოს. აი, ეს ბოლო ფრაზაც: „ნეტავ თუ ახლანდელი ქართველებიც ასე დასთმობენ პირად უსიამოვნებას და განხეთქილებას საზოგადო საქმისათვის??“

ეს ნოველა აკაკიმ ჩვენი საუკუნის დამდეგს დაწერა. უფრო სწორად, სათანადოდ გადაკეთა ამავე სათაურით ადრე გამოქვეყნებული სულ სხვა იდეური ჩანაფიქრის მქონე ნაწარმოები და „რაჭის ერისთავ როსტომთან“ ერთად ცალკე წიგნაკად გამოსცა 1903 წელს. ეს ის ხანაა, როცა საქართველოს ციებ-ცხელებასავით მოედო ჯგუფობრიობა, დასობანა და ამ ჯგუფებაა და დასებს შორის დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. ამ ნოველის დაწერიდან ხუთი წლის შემდეგ აკაკი მოესწრება ძმათა შორის შუღლის ყველაზე ამაზრზენ შედეგს ამ შედეგთა შორის, რაც კი ჩვენმა ისტორიამ იცის: მოესწრება ილია ჭავჭავაძის ვერაგულ მკვლელობას.

„თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია...“ — მიმართა მოხუცმა მგოსანმა თავისი დიდი თანამებრძოლის ცხედარს. ყველას კარგად გვახსოვს, როგორ გრძელდება ეს ფრაზა. თავს უფლებას მივცემ დავესესხო აკაკი წერეთელს ფრაზის დასაწყისს და შემდეგ სხვანაირად გავაგრძელო:

თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ ქართველმა, ჯერ ერთი, როგორმე უნდა ისწავლოს მოყვასის სიკეთით გახარება, და მეორეც — ითქმედოს სულხან-საბას იმ ოვალის მორალის მიხედვით, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, — ამ დასკვნამდე მივყავართ ჩვენს მიერ განხილული ნოველების ანალიზს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ნაოსნობა

წერილობით წყაროებში საქართველოს წარსულის ზღვასთან სიახლოვე ფრაგმენტულადაა ასახული, ცნობების სიმწირე, ბუნებრივია, მრავალი არსებითი პრობლემის გადაჭრას ართულებს. ამის მიუხედავად, თანამედროვე მკვლევარები, უცხოელი ავტორების მოშველიებით, ახერხებენ ბურუსით მოცულ საკითხთა აღდგენას და საყურადღებო დასკვნების გამოტანას.

შავ ზღვაზე ნაოსნობას გეოგრაფიული ფაქტორი განსაზღვრავდა. იგი ჩაკეტილი ზღვაა და გარე სამყაროს ვიწრო სრუტეებით უკავშირდება. ურთიერთობა უცხო ქვეყნებთან არჩევნის უფლებას მოკლებულია. ისტორიულად ევქსინის პონტზე ბატონობა მას ეკუთვნოდა, ვის ხელშიც ბოსფორი და დარდანელი იყო. შავი ზღვის ეს თავისებურება უნდა გავითვალისწინოთ ქართული ზღვაოსნობის კვლევის დროსაც, მაგრამ ზღვის ჩაკეტილობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ისტორიის გარკვეული მონაკვეთი ზღვასთან არ ყოფილა დაკავშირებული.

ცნობილია, რომ ნანაპირზე მცხოვრები ხალხების პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვან წილად ზღვასთან იყო დაკავშირებული. ზღვა კულტურის გავრცელების მხრივაც თვალსაჩინო როლს ასრულებდა. ძველი ხალხების ურთიერთობა და ურთიერთზემოქმედებაც ძირითადად ზღვით ხორციელდება.

საქართველოს ისტორიაში ზღვის როლის გარკვევას თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი, მაგრამ საერთო დონეს მნიშვნელოვნად ჩამორჩება ნაოსნობასა და ნავმშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა. მისი ზოგადი სახე, კერძოდ, მდინარე,. როგორც სატრანსპორტი საშუალება, ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დანიშნულებისათვის, კვლევის ობიექტად არავის გაუხდია. საქართველოს ისტორიის ამ თეორ ლაქას ავსებს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ზ. კუტალეიშვილის წიგნი „ნაოსნობა საქართველოში“.

წიგნის ქრონოლოგიური ჩარჩოები ვრცელია. ავტორს რთული და ხშირ შემთხვევაში, შეუსწავლელი საკითხები აქვს გამოკვლეული. ყურადღება გამახვილებულია თითქმის უცნობ ეთნოგრაფიულ მასალებზე, რაც წიგნს ღირს მეცნიერულ სახეს აძლევს. ნაშრომში თანაბარი ძალით არის ჩართული როგორც წერილობითი წყაროები (ქართული და უცხოური, ძირითადად ანტიკური), ისე არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაპოვრები. განსაკუთრებით საყურადღებოა ეთნოგრაფიული ჩანაწერების მაღალ პროფესიულ დონეზე დალაგება და მათი ჩართვა წმინდა მეცნიერულ მსჯელობებში, როგორც საკვლევი პრობლემის შემავსებელი და გამამდიდრებელი ვარიანტი. ავტორს მიუკვლევია ხანდაზმული მთხრობელებისათვის, რომელთაც ჯერ კიდევ ახსოვდათ ნაოსნობის ტრადიციული წესები. მათი გადმოცემების ჩართვით წიგნის შინაარსს მეტი მიმზიდველობა მიენიჭა. დროთა განმავლობაში, როდესაც ძველ საიდუმლოებათა მფლობელნი თუ მხილველნი ამქვეყნად აღარ იქნებიან, ზ. კუტალეიშვილის ნაშრომს პირველწყაროს როლი დაეკისრება. დღეისათვის, ჩვენს მდინარეებსა და ზღვაზე, ადგილობრივი წესებით ნაოსნობა თითქმის გამქრალია. უპირატესობა, სავსებით კანონზომიერად, მინიჭებული აქვთ თანამედროვე ტექნიკურ მიღწევებს. ნაშრომი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ავტორმა მოახდინა ქართული ტრადიციული ნაოსნობის გარკვეული დონის ფიქსაცია. წიგნმა გააცოცხლა ხმარებიდან ამოღებული და დავიწყების ბურუსით მოცული, წარსულის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო.

ზ. კუტალეიშვილის წიგნში თავმოყრილია ქართული ნაოსნობის შესახებ ადრე გამოთქმული მოსაზრებანი და შესაძლებლობის ფარგლებში დადგენილია მისი განვითარების ეტაპები. ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემების შეჯერების საფუძველზე ნაჩვენებია ის როლი, რომელსაც ასრულებდა ნაოსნობა საქართველოს წარსულში.

ქართული საზღვაო თუ სამდინარო საშუალებების შესწავლას ბოლო დრომდე უმნიშვნელო ყურადღება ექცეოდა. კმაყოფილდებოდნენ ცალკეულ ეპიკასთან დაკავშირებული საკითხების კვლევით. მაგრამ ორი სერიოზული ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ საინტერესო კუთხით განათდა ძველი ქართველების საქმიანობის ერთ-ერთი დარგი (სარეცენზიო ნაშრომის გვერდით. მხედველობაში გვაქვს თ. ბერაძის წიგნი, „ნაოსნობა ძველ საქართველოში“, 1981).

ზ. კუტალიშვილი ვრცლად იკვლევს შავ ზღვასა და საქართველოს მდინარეებზე ნაოსნობის განვითარებასა და გავრცელებას. თვალისწინებს, თითქოს მეორეხარისხოვან, მაგრამ პრობლემის გაშუქებისათვის მრავალ აუცილებელ კომპონენტს. წიგნის განსაკუთრებულ ღირსებად უნდა ჩაითვალოს, ნაოსნობის, როგორც სამეურნეო დარგის, გაფართოებული სახით წარმოდგენა და კვლევის ეთნოგრაფიული მხრის წინ წამოწევა. ავტორი ავალებს გაბედულ პარალელებს მსოფლიოს სხვა რეგიონებში გავრცელებულ საზღვაო-სამდინარო მიმოსვლის საშუალებებთან. ამ კუთხითაც ნაშრომი, საქართველოს სინამდვილეში, პირველი საუურადღებო გამოკვლევაა. ამავე დროს საკმაოდ დაზღვეულია შეუხსაბამო და ნაძალადევ მსჯელობათაგან. ავტორის ყოველი მოსაზრება ხანგრძლივი განსჯისა და ფიქრის შედეგია, რამაც კეთილშეუფიელი გავლენა მოახდინა წიგნის, როგორც შინაარსზე, ისე მის საერთო აღნაგობაზე.

საინტერესოა წიგნის არქიტექტონიკა. თხრობა აგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც ნაშრომის ფართო შემეცნებითი დანიშნულების გარკვეული წინაპირობაა. ისტორიკოსებს გარდა, წიგნი დიდ სარგებლობას მოუტანს ქართული ეკონომიკის ისტორიის სპეციალისტებსა და გეოგრაფებს. მას შეუძლია სამსახური გაუწიოს მწერლობას და საერთოდ, ზღვაოსნობის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პროფესიის მკითხველს.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ნავმშენებლობის ხალხური წესების აღწერას. დახასიათებულია ნავსაშენი იარაღები, ხამშენებლო მასალა და ამ მასალის დამზადების ტრადიციები. ეთნოგრაფიული ჩანაწერების კარგ კომბინაციას წარმოადგენს სანავე ხეების შერჩევა-მოჭრის შრომატევადი საქმიანობის გაგნილება. ჩამოთვლილია ხეთა ჯიშები, რომელთაც ძველი ქართველი ხელოსნები წლების განმავლობაში არჩევდნენ, რომ მსუბუქი და გამძლე ნავი დაემზადებინათ. ნაშრომის ეს მონაკვეთი ძირითადად მთხრობელთა გადმოცემას ეყრდნობა. ზ. კუტალიშვილს ფრაგმენტული მონაცემები დალაგებული და განმარტებული აქვს საკვლევი საკითხის ინტერესების შესაბამისად. ნაშრომი გარკვევით მიუთითებს, რომ ზღვისა და მდინარეთა ნაპირებზე მცხოვრები ძველი ქართველების საქმიანობა, უმეტესად წყალთან იყო დაკავშირებული. ეს ფაქტი უბიძგებდა მათ გარკვეული უურადღება დაეთმოთ სანაოსნო საშუალებების გაუჯობესებისათვის, რამაც ხელი შეუწყო ნაოსანთა კატეგორიის წარმოშობას. ცალკეული პირები დაეუფლნენ ნავმშენებლობისა და ნაოსნობის რთულ ხელობას და, რაც მთავარია, პროფესიონალი დაინტერესება თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მაგრამ ამ საკითხების კვლევისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნაოსნობა საარსებო საშუალებათა მოპოვების უნივერსალური დარგი არ ყოფილა, ნავმშენებლობა და მენავის ხელობას მისდევდა ზღვისა და მდინარეების სანაპიროზე მცხოვრებთა ნაწილი. მოსახლეობის ძირითადი მასა სხვა საქმიანობით იყო დაკავებული, მაგრამ მთლიანობაზე, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება, ცალკეული რაიონების ურთიერთობა, ნაოსნობის გარეშე წარმოუდგენელია. უკანასკნელ ხანებამდე თვალსაჩინოდ ჩანდა ეს მდ. რიონის გაყოლებით. საუკუნეთა სიღრმიდან მოყოლებული, რიონის ნაპირებზე მცხოვრებნი ერთმანეთს მხოლოდ ნავებით უკავშირდებოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მენავეობა იშვიათი გამონაკლისის გარდა დამხმარე ხელობა იყო.

წიგნში მოცემულია საქართველოში გავრცელებული ნავების კლასიფიკაცია. იგი ყველაზე მარტივი ტიპით, ცალფა ნავით იწყება. მის შექმნას ავტორი ნეოლითი-ენეოლითის ხანაში ვარაუდობს. ცალფა ნავი ერთი ხისგანაა გამოკვეთილი მისი გამოყენება მხოლოდ მდინარეებში შეიძლება. ნავის უფრო რთულ სახეობას წარმოადგენს რამდენიმე ფიცრისაგან შეკრული, დაკეთილი ნავი. იგი მოცულობითაც დიდი იყო და უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციებიც ეკისრებოდა. საქართველოს მდინარეები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან წყალუხვობითა და სიღრმით. ამ თავისებურებამ გავლენა მოახდინა ნავების კონსტრუქციებზე. ნაშრომში კარგადაა მითითებული სხვადასხვა მდინარის აუზში, განსხვავებული ტიპის ნავების შექმნის აუცილებლობასა და გავრცელებაზე. სამდინარო ტრანსპორტის გვერდით, საფუძველიანადაა განხილული, შავ ზღვაზე გამოყენებული მოზრდილი ნავებისა და იალქნიანი გემების შექმნის სურათი. ნავმშენებლობისა და ნავიგაციის ხალხური წესების დეტალურ აღწერასთან ერთად, წიგნში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტის როლის განსაზღვრას ქართველი ხალხის ყოფაში.

ხალხური ნაოსნობის დონე მეჩიდრად იყო დაკავშირებული მეთევზეობის განვითარებასთან. ნაჩვენებია დაოსტატების ის გზა, რომელიც უნდა გაევლო მეთევზე-მენავის ხელობას, ნაპირიდან ჯერ მდინარეში, ხოლო შემდეგ ზღვაზე გასვლის საქმეში.

სამდინარო და საზღვაო ნაოსნობას განსაზღვრავდნენ სავაჭრო ურთიერთობანი. საკითხის გასარკვევად მოხმობილია ვრცელი ლიტერატურა. თხრობა იწყება ანტიკური ეპოქიდან და მთავრდება უკანასკნელი საუკუნეების ჩანაწერებით. ვაჭრობა დასავლეთის ქვეყნებთან მხოლოდ ზღვით ხორციელდებოდა. ამდენად შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრანი ქავთარია
ქართული ნაოსნობა

ძლებელია, რომ ამ პროცესს არსებითი გავლენა არ მოეხდინა ძველი კოლხების ხანაგიგაციო ტექნიკის განვითარებაზე. იხვეწებოდა როგორც ვაჭრობის არეალი, ისე გემმშენებლობის პრაქტიკული მხარეც. ხაისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ ნაოსნობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა კავკასიის ტრაგედიად ქცეულ ტუვეთა ხუდვაში. ვაჭრებს ძირითადად ზღვით გადაპყავდათ ტუვეები თურქეთის ბაზრებზე. სავარაუდოა, რომ ამ ეროვნულ უბედურებაში, თურქების გვერდით, ქართველი ზღვაოსნებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.

ქართული ნაოსნობის განვითარებას გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა შავ ზღვაზე თურქთა გაბატონებამ. შედეგი მეტად უარყოფითი იყო. ამასთან დაკავშირებით, ზ. კუტალიშვილი წერს, „გამბამბადიანების სიშიშროების გამო, ზღვის ხანაპირზე ქართულმა მოსახლეობამ მკვეთრად იკლო". ზღვის ხანაპირის მიტოვებასთან ერთად, ადრინდელი საზღვაო ცოდნა-გამოცდილება დავიწყებას მიეცა. დაიკარგა ნაოსნობასთან დაკავშირებული ქართული ტერმინოლოგია, მისი ადგილი თურქულმა დაიკავა.

ნაშრომში ნაჩვენებია ნაოსნობის დონის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორის, ნავსადგურების ფართო ქსელის არსებობაც. საქართველოს ზღვისპირეთი უძველესი დროიდანვე იქცევდა ყურადღებას. ხანაპიროს თავისებურება აძლევდაა ნავსადგურების მოწყობას. მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მოითხოვდა ამ დაბრკოლების დაძლევას. ხაშნარი და ხაგარეი ინტერესების გაერთიანების შედეგად საქართველოს ზღვისპირეთში მრავალი ქალაქი აღმოცენდა, რომელთაგან ზოგიერთმა კოლხეთის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულა.

ანტიკურ ხანაში წარმოქმნილმა ნავსადგურებმა, ფეოდალიზმის დროსაც შეინარჩუნეს თავიანთი ფუნქციები. ავტორის მითითებით, ეს ქალაქები, თურქთა ბატონობის დამყარების შემდეგაც თვალსაჩინო როლს ასრულებენ ადგილობრივი მოსახლეობის გარე სამყაროსთან ურთიერთობის საქმეში.

ქართული ნაოსნობის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანტიკური ავტორების ცნობები. ბერძნულ-რომაულ წყაროებზე დაყრდნობით, თამამად შეიძლება მსჯელობა, კოლხების, როგორც ზღვაოსანი ხალხის შესახებ. ზ. კუტალიშვილის წიგნში ეს საკითხი საკმაოდ ვრცლადაა განხილული. მაგრამ აღნიშნულია ისიც, რომ ანტიკური ავტორები, ძველი კოლხების ნაოსნობის მხოლოდ ერთ დარგზე, მეკობრეობაზე ამახვილებენ ყურადღებას, ავტორი ხაზგასმით განმარტავს, რომ ცნობები აშკარად ტენდენციურია და კოლხების ზღვასთან ურთიერთობა მარტოოდენ მეკობრეობით არ ამოიწურებოდა. ბერძენ-რომაელი მეკობრეობის გადმოცემით, კოლხური ნავი, კამარა, თავისი გამოცდილი ზღვაოსნებით, საკმაოდ სერიოზულ როლს ასრულებდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. არ უნდა დავიწყოთ, რომ კამარას თავისუფლად შეეძლო მშვიდობიანი მისიის შესრულებაც. ანტიკური ავტორები სხვა დანაშაულებიან მის გამოყენებაზე დუმან. კამარების გამოყენების შესახებ მსჯელობისას გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. რომაული ეპოქის მწერლები, ადგილობრივი მოსახლეობის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას განიხილავდნენ როგორც ყაჩაღობას, ამიტომაც არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ კამარების აკანეულები ზღვაოსნები კორნელიუს ტაციტუსმა მეკობრეებად გამოაცხადა. წიგნის ავტორის არგუმენტაციით, არ შეიძლებოდა კამარა მხოლოდ მეკობრეთა სატრანსპორტო საშუალება ყოფილიყო.

ორიგინალური ტიპის ნავის, კამარის, არსებობა მიუთითებს კოლხეთის მიერ გარკვეულ სიტუაციაში თავდაცვისა და შეტევის მიზნებისათვის აუცილებელი საზღვაო საშუალებების გაუმჯობესებას. ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ კამარები, რომლებიც სამხედრო ხომალდებთან შედარებით, ხაოცარი მოქნილობით გამოირჩეოდნენ. ყოველივე ეს ადასტურებს კოლხების მაღალ საზღვაოსნო ტრადიციებს, რაც, მართალია, ტენდენციურად, მაგრამ მაინც აისახა ანტიკურ ავტორებთან.

წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ნაოსნობასთან დაკავშირებული კულტურულ-ისტორიული საკითხების კვლევას. გაანალიზებულია ნაოსნობის წარმოშობისა და ევოლუციის პრობლემები. ავტორი ვრცელ და დამაჯერებელ მსჯელობას გვთავაზობს იმის შესახებ, თუ როგორ აისახა ნაოსნობა ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში.

საგანგებო ხაზგასმას იმსახურებს წიგნის თვალსაჩინოებითი მხარე. თხრობას ახლავს ცალკეული ტიპის ნავთა ნახაზები და ნახატები, რუკა, რომელზედაც სიზუსტეთაა ნაჩვენები საქართველოს ზღვისპირეთსა და მდინარეებზე ნაოსნობის გავრცელების ზონები.

წიგნი როგორც შინაარსით, ისე არქიტექტონიკით წმინდა მეცნიერულია ერთვის რეზიუმე რუსულ და ფრანგულ ენებზე, პიროვნებათა, ეთნიკურ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი, ზომისა და წონის ერთეულების ახსნა, ნახაზების აღწერილობა.

ზ. კუტალიშვილის წიგნი მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული, მაგრამ გვხვდება რამდენიმე საკამათო ადგილი, რომლის თავიდან აცილება თავისუფლად შეიძლებოდა, რადგანაც მათი უმრავლესობა სხვა ავტორების ნაშრომებიდანაა ნასესხები. ამის გამო, ზ. კუტა-

ლეიშვილს, მეცნიერებაში გამოთქმული ბევრი სიკეთეა ჰიპოლეზა ეეშმარიტებად აქვს მიჩნეული. მაგალითად, მსჯელობა იმის შესახებ, თითქოს კარიელები, შავი ზღვის აოვისეაში ბერძენთა წინამორბედები იყვნენ. ფ. ბილაბელის ვარაუდი, რომელსაც იგი უეთითებს, რეალურ საფუძველს მოკლებულია, რა ცნობები გაგვაჩნია კარიელების ზღვაოსნობის შესახებ? ანტიკური ტრადიციის ფრაგმენტები მინიშნებით ვიცით, რომ ისინი, ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის ბოლოს დორიელებმა ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან და ხანაპიროდანაც განდევნეს. კარიელები ზღვას საერთოდ მოწყდნენ. ხოლო დორიელთა გამოჩენამდე, მათ ხაზღვაო ექსპედიციებს ტრადიცია არ იცნობს. კარიელები არ მიაჩნიათ შავი ზღვის აოვისების პიონერებად.

ბერძნული კოლონიზაციის გამომწვევი მიზეზებისა და მიზნების გათვალისწინების გარეშე, ძველი კოლხეთის ქალაქების შესახებ მსჯელობა, შეუძლებელია სრულყოფილი იყოს.

ლეგენდა არგონავტების შესახებ პოპულარული თემაა. ავტორიც ერთგულად მიჰყვება თითქოს დაკანონებულ ფაქტებსა და მოვლენებს, მაგრამ მის მსჯელობას დამაჯერებლობა აკლია. გადმოცემა არგონავტების შესახებ განკუთვნება მითოლოგიის სფეროს, ხოლო მითოლოგიის წყაროდ გამოცხადება საკითხის გარკვევას სამსახურს ვერ გაუწევს. „არგონავტიკის“ პოეტური აღწერები სინამდვილეს დაშორებულია.

არგონავტების ლეგენდაზე დაყრდნობით, ქართული ზღვაოსნობის მდგომარეობას ვერ განსაზღვრავთ. ჩვენ მიახლოებითაც კი არ ვიცით, არა თუ ქართული, არამედ იმდროინდელი ბერძნული ზღვაოსნობა რა დონეზე იდგა. ამ პერიოდის შესახებ არსებული გადმოცემები მითოლოგიურ სამოსელშია გახვეული. თქმულებაში აიეტის, მედეას, იაზონის და „არგონავტიკის“ სხვა პერსონაჟების არსებობა, გვიანდელ ეპოქის ჩანამატია. თუ მითოლოგიის დაკვირდებას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გავყვებით, ასეთ ხურთას ვიხილავთ: ბერძნული ტრადიციის ყველაზე ადრინდელი წყარო, ჰომეროსის პოემები, არგონავტიკის გმირთა მხოლოდ ნაწილს მოიხსენიებს. ჰომეროსი მედეას, კოლხეთსა და ოქროს საწმისს არ იცნობდა. მომდევნო ხანის პოეტი ჰესიოდე, ახსენებს მდინარე ფასისს, მაგრამ დუმს კოლხეთისა და ოქროს საწმისის შესახებ. კოლხეთს პირველად ვხვდებით ესქ

მანანა პატარაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი რეცენზიები ქართულ თეატრზე

XIX საუკუნის 40-იანი წლები საქართველოსათვის საკმაოდ ნაყოფიერი და ინტენსიური კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრებით აღინიშნა. მთავარმართებლის ნაცვლად საქართველოში მეფისნაცვალის მიხეილ ვორონცოვის გამოგზავნა ფაქტიურად იმას ნიშნავდა, რომ არსებული სამხედრო მმართველობა ქვეყანაში იცვლებოდა სამოქალაქო ხასიათის მართვა-გამგებლობით, ცარიზმი შეეცადა ქართველი ხალხის ყურადღება მიემართა მშვიდობიანი საქმიანობაკენ, მოეგო არისტოკრატიის გული და მისი სახით საიმედო დასაყრდენი შეეძინა ამ რეგიონში. თავის მხრივ ამგვარი ცვალებადობა არც ქართველი ინტელიგენციისათვის იყო მიუღებელი. შექმნილმა მდგომარეობამ, კულტურული ცხოვრების აღორძინებამ, მათ იმედი ჩაუსახა. მოწინავე არისტოკრატიამ დროულად შენიშნა, რომ დადგა ყველაზე შესაფერისი მომენტი ქართული თეატრისა და ჟურნალის დაარსებისათვის, ამ დიდი ხნის ეროვნული ოცნების განხორციელებისათვის.

ქართული თეატრისა და ჟურნალის დაარსების იდეა ძირითადად მანანა ორბელიანის სალონში ჩამოყალიბდა და მანვე, როგორც ვორონცოვთან დაახლოებულმა პირმა, წარუდგინა მეფისნაცვალს ქართველი ინტელიგენციის მიერ თეატრისა და ჟურნალის ხელმძღვანელად დასახელებული კანდიდატი გიორგი ერისთავი. ქართველთა სურვილები დამთხვა ვორონცოვის შეხედულებებს, რომელსაც მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო ქართულ სცენაზე ქართველივე მსახიობების მონაწილეობით მშობლიურ ენაზე განხორციელებულიყო ორიგინალური პიესები.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ერისთავის თეატრმა სულ რამოდენიმე წელი იარსება (1850-1855 წ. წ.), მან უადრესად დიდი როლი შეასრულა ქართული თეატრალური ხელოვნების, საერთოდ ჩვენი კულტურის განვითარებაში. იგი ის ლამპარი გახლდათ, რომლის სუსტ, მაგრამ ჭეშმარიტად წრფელ სინათლეს უნდა გაენათებინა გზა მომავალი წარმატებებისაკენ. თავისთავად ცხადია, რომ იმდროინდელ პრესას ყურადღების გარეშე არ დაჩრჩენია ქართული თეატრალური ხელოვნება, და საკმაოდ ვრცელი რეცენზიებიც იბეჭდებოდა გიორგი ერისთავის სპექტაკლებზე.

გაზეთები „ცავკაზი" და „ზაკავკაზსკი ვესტნიკი", რომლებიც იმ პერიოდში რუსულ ენაზე გამოდიოდა საქართველოში, გარდა ოფიციალური ნაწილისა, მკითხველებისათვის ერთგვარად განმანათლებლურ მისიასაც ასრულებდნენ. აქ ქვეყნდებოდა სხვადასხვა სახის სამეცნიერო თუ კულტურული ცხოვრების ინფორმაციები და მათ შორის, უდაოდ, ყველაზე საყურადღებო გიორგი ერისთავის თეატრის შესახებ გამოქვეყნებული თეატრალური რეცენზიები გახლდათ.

თეატრალური რეცენზია ეს მხოლოდ წარმოდგენილი სპექტაკლის უბრალოდ განხილვა და ზერელე დახასიათებაა, არამედ ეს არის სერიოზული და საფუძვლიანი ანალიზი. რეცენზენტმა სპექტაკლი უნდა განიხილოს როგორც განუყოფელი, მთლიანი ნაწარმოები, თეატრალურმა რეცენზიამ ხელი უნდა შეუწყოს თეატრალური ხელოვნების ისეთი გზით განვითარებას, რომ თეატრი მასების სულიერი აღზრდის სკოლად იქცეს. XIX საუკუნის 50-იანი წლების მაყურებელს ალბათ ყველაზე მეტად ასეთი სწორი, რეალისტური და ღრმა რეცენზიები სჭირდებოდა. რეცენზენტი თეატრსა და მაყურებელს შორის ნამდვილი შუამავალი უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ კი „ზაკავკაზსკი ვესტნიკი" და „ცავკაზი" იმდროინდელ საქართველოში თამამად შეიძლება ჩავთვალოთ თეატრის ჭეშმარიტ პროპაგანდისტებად.

სულ 1850-1855 წლებში საქართველოში არსებულ რუსულ პრესაში გიორგი ერისთავის თეატრზე გამოქვეყნებული ცხრა რეცენზია შეგვხვდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არცთუ ის მცირეა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისინი იბეჭდებოდა ოფიციალურ რუსულ გამოცემებში, სადაც არც თუ ისე ბევრი ქართველი მოღვაწე იყო, რომელიც ხელს მოპკიდებდა ქართული თეატრის შესახებ რეცენზიების წერას. რაც შეეხება არაქართველ რეცენზენტებს, როგორც ვრაფი სოლოგუბები აღნიშნავდა: „საბწუხაროდ, მე არ შემიძლია ვიმსჯელო იმაზე, რაზედ ლაპარაკობენ, არამედ, მხოლოდ იმაზე, რაც ხდება მათთან სცენაზე" (იგულისხმება ქართული თეატრი — მ. პ.).

იმ პერიოდში საქართველოში მოღვაწე რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლთა შორის ერთ-

ერთი ყველაზე საინტერესო და კოლორიტული ფიგურა გახლდათ რუსი პოეტი და-შემოქმედი ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, ი. პოლონსკი. იგი არა მხოლოდ ქართველი ინტელიგენციის დიდი მეგობარი იყო, არამედ საქართველოში ეროვნული თეატრის იდეის შექმნის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერიც გახლდათ. თავისთავად ცხადია, ი. პოლონსკი დიდი სიმპატიით გამოეხმაურა ქართული თეატრის სცენაზე 1850 წელს გიორგი ერისთავის „გაყრის“ წარმოდგენას.

1850 წლის გაზეთ „ზაკავზსკი ვესტნიკის“ №-19, 22-ე და 24-ე ნომრებში მოთავსებულია ი. პოლონსკის ვრცელი რეცენზია ამ სპექტაკლზე. პოლონსკი თავდაზვე აღნიშნავდა, რომ კომედია „გაყრამ“ არა მხოლოდ დაკმაყოფილა ქართველი საზოგადოებრიობის მოთხოვნა, ეხილა სცენაზე ქართული პიესა, არამედ მან გადააჭარბა ყველა მოლოდინს. მისი აზრით, ქართველებს შესწევდათ ჭეშმარიტი უნარი შეექმნათ დიდი ლიტერატურა და ამას ამტკიცებს თამარის ეპოქა. მაგრამ აქვე ერთი რამეც უნდა აღინიშნოს. ი. პოლონსკი საკმაოდ ხუსტად იცნობს ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებს და გულუბრყვილოდ ფიქრობს, რომ ისტორიულ უბედურებათა მიზეზით აქ ვერ მოხერხდა ისეთი მწერლობის შექმნა, რომელშიც აისახებოდა ადგილობრივი ყოფა, გამოჩნდებოდა ერის სულიერი სახე, ქართული ლიტერატურის მკვეთრი დამახასიათებელი ნიშნები. „მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში იყო პოეზია, იყო მატიანეები და სიგელები, იყო დამწერლობა, მაგრამ ლიტერატურა არა, — და თუ იყო, მისგან არავითარი კვალი არ დარჩენილა“, „ამიტომ, — აცხადებს რეცენზენტი, — მე ვუწოდებ გ. ერისთავის „გაყრას“ პირველ ლიტერატურულ ნაწარმოებს საქართველოში იმ აზრით, რომ მისი შინაარსი აღებულია თანამედროვე ქართული ცხოვრებიდან, რაც მას აყენებს მაღლა გარითმულსა და გაურითმავ ზღაპარზე. რომლებითაც ალტაცებულნი არიან ქართველები თქმულებისადმი სიყვარულის გამო“. (ამაში კი ნამდვილად სცდება რეცენზენტი, რადგან საქართველოს უდიდესი კულტურული წარსული სავსებით ნოყიერ და რეალურ საფუძველს იძლეოდა, რომ მის ნიადაგზე აღმოცენებულიყო ნამდვილად დიდებული ნერგი. ამასთანავე, ჩვენი აზრით, ჭეშმარიტი ქართული ლიტერატურა ყოველთვის გაცილებით უფრო მაღლა იდგა იმ პერიოდთან შედარებით, როცა იგი თავიდან „აღმოჩინა“ რუსმა ინტელიგენციამ. ჩვენ ამით სრულებით არ უარვყოფთ გ. ერისთავის ღვაწლს ქართულ ლიტერატურაში. პირიქით, მიგვაჩნია, რომ ის მართლაც უდაოდ ნიჭიერი და უალრესად ნაყოფიერი მწერალი იყო, უბრალოდ, ჩვენ აღვნიშნავთ კიდევ ერთხელ იმ ფაქტს, რომ თვით მოწონავე, პროგრესულად მოაზროვნე, საქართველოსადმი კეთილად განწყობილი რუსი ინტელიგენციაც არ იცნობდა. ვერ ხედავდა ამ დიდებულ, უძველეს ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებს, რომლებიც საქართველოს შორეული საუკუნეებიდან დაუმკვიდრდა.

ი. პოლონსკი თავის ვრცელ რეცენზიაში თითქმის დეტალურად ახასიათებს კომედიის გმირებს. იგი აღნიშნავს, რომ კომედიის ტიპები უშუალოდ აღებულია სინამდვილიდან და ამიტომ მსახიობებსაც არ გაუჭირდებოდათ თამაში. რეცენზენტი გ. ერისთავის „გაყრას“, როგორ ლიტერატურულ ნაწარმოებს, დადებითად აფასებს და აღნიშნავს; „კომედია „გაყრის“ ავტორისაგან საქართველოს უფლება აქვს, მოელოდეს მხატვრულად სრულყოფილ კომედიას, ღრმა შინაარსით, უზადოს — შესრულების მხრივ. კომედიას, რომელიც განაცვიფრებს არა მხოლოდ წუთიერი წარმატებისათვის“. ი. პოლონსკი აღნიშნული რეცენზიით (არა მხოლოდ ამ რეცენზიით — მ. ჯ.) საკმაოდ, გულთხმიერ კრიტიკოსად გვევლინება. მან სრულად, ყველა დეტალის გათვალისწინებით გააჩინა პირველი ქართული სპექტაკლი (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით — პიესა, რადგან მსახიობების პროფესიულობაზე, ნაწარმოების დრამატურგიულ ღირსებებზე მას განსაკუთრებული ყურადღება არ შეუჩერებია — მ. ჯ.). მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ი. პოლონსკის აღნიშნული რეცენზია ქართული თეატრისათვის პირველი გზის დალოცვაა.

„როგორ გაოცდებოდნენ 50 წლის წინანდელი ქართველები, როგორ უცნაურად მოეჩვენებოდათ, რომ ქართველმა თავადმა დატოვა თავადი სასახლე, დათმო ცრურწმენა და შექმნა პიესა“, — აღნიშნავს 1851 წლის გაზეთ „კავკაზის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულ რეცენზიაში გაზეთის რედაქტორი ი. ხლივიცკი. რეცენზენტი ცდილობს დაანახოს მკითხველს ის ძვრა და სიახლე, რაც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოხდა. „ეროპიზაცია“ საკმაოდ სწრაფი და საჭირო მოვლენაა, მითუმეტეს რომ ქართველებს არავინ აიძულებს ჩოხის გახდას და ფრაკის ჩაცმას. ამას ისინი თვითონ აკეთებენ. „თეატრი ეს იმ კიბის ერთ-ერთი საფეხურია, რომელსაც ცივილიზაცია ხალხს სთავაზობს, რათა ის ავიდეს ზევით, სადაც მისი ცხოვრების გონებრივი ჰორიზონტი უფრო ვრცელი, ნათელი იქნება“, აღნიშნავს ი. ხლივიცკი და იქვე დასძენს, „ჩვენ არ დავცინით წინასაარსა ჩვეულებებს, მაგრამ ვაჩვენებთ ახლის უპირატესობას. ველით, რომ ქართველები თვითონვე ამოძრავდებიან“. სწორედ ამ გამოცოცხლებისათვის აუცილებელ ბიძგად მიაჩნია კრიტიკოსს, რომ 1850 წელს თბილისის თეატრის სცენაზე „გათამაშებულ იქნა თავად ერისთავის კომედია „გაყრა“. ეს თითქოს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე იმაშია, რომ თამაშობდნენ ქართველი მსახიობები, თამაშობდნენ ქართულ

ენაზე, თამაშობდნენ ქართველის მიერ დაწერილ პიესას".

ამრიგად, როგორც სწორად აღნიშნავს ი. სლივიცკი, გონებრივად „მოშიებულ" ქართველ ახალგაზდობას დამაკმაყოფილებლად მოევლინა გიორგი ერისთავის თეატრი. რეცენზენტი თავს იკავებს „გაყრის", როგორც მხატვრული ნაწარმოების შეფასებისაგან. ამასთანავე ცდილობს არც თუ ისე მკაცრად განსაჯოს ქართველი მსახიობების თამაში. „არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი ჯერ კიდევ ბავშვები არიან სცენაზე, — წერს ი. სლივიცკი, — ამყამად საქმე იმაში კი არ არის, როგორ ასრულებენ, არამედ იმაში, რომ შეიქმნა ქართველ მსახიობთა დასი, რამაც დათესა მარცვალი, რომელიც დროთა განმავლობაში ყვავილსა და ნაყოფს გამოიტანს". რა შეიძლება ითქვას ამ რეცენზიაზე? ჩვენი აზრით, ი. სლივიცკის სრულიადაც არ დაუსახავს მიზნად გიორგი ერისთავის „გაყრის" რეცენზირება, იგი შეეცადა, რაც შეიძლება დახვეწილ ფორმებში გადმოეცა ძირითადი აზრი, რომ რუსეთთან შეერთებამ საქართველოს მისცა კულტურის აღორძინების, განვითარების ფართო შესაძლებლობა, და ამ შემთხვევაში თეატრი მართლაც ერთ-ერთი ის საფეხური აღმოჩნდა, რომელიც ი. სლივიცკიმ გამოიყენა ქართველების ამგვარი „ამაღლების" (ჩვენ, რა თქმა უნდა, ირონიული გაგებით არ ვხმარობთ ამ სიტყვას — მ. პ.) საჩვენებლად. ფაქტი ერთია, როგორც თავად სლივიცკიმაც საკმაოდ ლაკონურად აღნიშნა, „ერისთავის კომედია დროულად გამოჩნდა, ის, ასე ვთქვათ, ტაქტში მოხვდა".

ერთი საერთო სენი ახასიათებს 50-იანი წლების თითქმის ყველა რეცენზიას. მათი უმეტესი ნაწილი გაკვრით, ან საკმაოდ ფილტანტურად აფასებს ქართული დასის რომელიმე ერთ გარკვეულ სპექტაკლს, და იწყება თავიდან მსჯელობა იმაზე, რომ მართალია, თეატრს აკლია დახვეწილობა, მაგრამ მთავარია მისი არსებობის ფაქტი. დახვეწილობა მოვა დროთა განმავლობაში. ან ადგილი აქვს გაუთავებელ წუწუნს ორგანულური დრამატურგიის თითქმის არარსებობაზე, მაყურებლის გადაუჭრელ პრობლემებზე, ავტორები თითქმის შეგნებულად ერიდებიან ნაკლზე ლაპარაკს, საფუძვლიან ანალიზს. ეს მაშინ, როდესაც საჭირო, საჭირო კი არა, აუცილებელი იყო ყველა რეცენზენტს გაემახვილებინა ყურადღება შეცდომებზე, ჩავარდნებზე. მხოლოდ ეს ყველაფერი უაღრესად ფაქიზად, სიყვარულითა და საქმისადმი გულისხმიერი მიდგომით უნდა გადაეწყვეტათ.

ამ მხრივ მართლაც რომ ყველაზე სრულფასოვან და საფუძვლიან რეცენზიებად გვევლინება 1852 წლის გაზეთ „კავკაზის" მე-10 და მე-11 ნომრებში გამოქვეყნებული თეატრალური რეცენზიები, უფრო სწორად რეცენზიების მთელი ციკლი, რომელიც ეკუთვნის პირველი ქართველი თეატრალური კრიტიკოსის მიზეზელ თუმანიშვილის კალამს. თავის პირველსავე წერილში „ქართული თეატრი" ავტორი „გადმოგვცემს პროფესიული ქართული დასის ჩამოყალიბების ისტორიას და ხაზს უსვამს გიორგი ერისთავის დამსახურებას. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მ. თუმანიშვილი ქართული თეატრის რეპერტუარს და მიუთითებს ამ სფეროში გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, გ. დვანაძის და სხვათა ღვაწლზე. მაგრამ მ. თუმანიშვილის წერილში ჩვენ ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მისი მსჯელობა ქართული თეატრის რეპერტუარის ხასიათზე. იგი კატეგორიულად წინააღმდეგია უცხოური რეპერტუარისა, ილაშქრებს „სესხების" წინააღმდეგ და თვლის, რომ ქართული თეატრის რეპერტუარი ამ გზით ვერ აღორძინდება. უნდა ითქვას, რომ მიხეილ თუმანიშვილი პირველი ქართველი თეატრალური კრიტიკოსია, რომელსაც სავსებით შეგნებულად და ჩამოყალიბებული აქვს ეროვნული დრამატურგიის ხასიათი და მნიშვნელობა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნული თემატიკის გარეშე ეროვნული მწერლობა, კერძოდ კი, დრამატურგია, ვერ განვითარდება. ჭეშმარიტი მამულიშვილური გულისტკივილი ამოძრავებს რეცენზენტს, როდესაც ის საგანგებოდ გამოაყოფს ქართული სპექტაკლის ნაკლოვან მხარეებს, დეტალურად ახასიათებს მათ, და ერთგვარად სახავს აღმოფხვრის გზებსაც.

კვლავ მწვავედ დაადასტურა მ. თუმანიშვილმა ქართული რეპერტუარის საკითხი მომდევნო წერილშიც „ისევ ქართული თეატრის შესახებ", რომელიც 1855 წელს „კავკაზის" მე-11 ნომერში გამოქვეყნდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართულ თეატრს (და არა მხოლოდ ქართულს — მ. პ.) მოაკლდა მაყურებელი. ამის უპირველეს მიზეზს კრიტიკოსი ისევ და ისევ რეპერტუარის სიმწირეში ხედავს და თავის რეცენზიას ქართველი მწერლებისადმი მიმართვით ამთავრებს: „თქვენ უპატივცემულესო ქართველო მწერლებო, და თუკი მოიპოვებით, მწერალო ქალებო, თქვენ შეგდაღადებთ ნორჩი ქართული სცენა: წარმართეთ თქვენი ცოდნისმოყვარული მისწრაფებანი მისდა სასარგებლოდ, უწილადეთ მას თქვენი ნაყოფიერი მოცალილობის ნაწილი, დაასაჩუქრეთ იგი პიესებით".

თითქმის ამავე პრობლემას, მაყურებლის სიმცირეს ეხებინან გაზეთ „კავკაზის" სხვა რეცენზენტებიც. წერილში „თბილისის თეატრი 1853-54 წლებში" (რომელიც გამოქვეყნდა „კავკაზის" 1854 წლის 48-ე ნომერში) რეცენზენტმა არსებითი შეკითხვა დასვა: რა იწვევს იმას, რომ პარტერი და ლოჟები წარმოდგენის დროს თითქმის ცარიელია, რა არის ამის მიზეზი — „მაყურებლის გემოვნებისათვის და აზროვნებისათვის მისადები პიესების სიმცირე, მაყურებ-

ლის განუვითარებლობა თუ, ბოლოს, მსახიობთა არადამაკმაყოფილებელი თამაში?" ალბათ, სამივე ჩამოთვლილი მიზეზი სავსებით ბუნებრივია, განსაკუთრებით კი პირველი. უცხო მაყურებელს დიდხანს მოსწონდა აღმოსავლური გარემო, ზურნა, ლეზგინკა, სიმღერები, მაგრამ „დიდხანს", ჯერ კიდევ არ ნიშნავს ყოველთვის, და „უნდა ვაღიაროთ, ამ სანახაობებს ერთფეროვნების მუქი ფარდა ჩემთვის მალე ჩამოეფარა". აი, სად ჩანს თავი ერთფეროვნებამდა, თუ გნებავთ, ახალჩამოყალიბებული თეატრის თავის დროზე არც თუ ისე ძლიერმა კრიტიკამ. ის, რაც მისაღები და საპატიებელი იყო ქართული თეატრისათვის ადრე, მოგვიანებით უკვე საკმაოდ დიდ ნაკლად მოგვეკლინა.

შემდეგ „ეკეკაზი" უბრუნდება რეპერტუარის საკითხს და აღნიშნავს: „მე ვფიქრობ, რომ კარგად მოიქცევიან ნიჭიერი ქართველი მწერლები, თუ დროებით შეწყვეტენ მოლიერისა და გრიბოედოვის კომედიების ქართულ ენაზე თარგმნას და მიმართავენ თავიანთ კეთილშობილურ მისწრაფებებს საკუთარი ერის ინტერესების, ჩვეულებების ასახვისაკენ". დაახლოებით იგივე საკითხზე მსჯელობს გაზეთი „ეკეკაზი" თავის ერთ-ერთ წერილში „ძველი თეატრალის წერილი თბილისის თეატრზე", რომელიც გამოქვეყნდა 1855 წლის 98-ე ნომერში. „ქართულ თეატრში მთელი მისი პირველყოფილი უბრალოებისა და სიმწირის მიუხედავად შეუძლია და უნდა დადიოდეს ყველა, ვინც ეძებს სიახლესა და ორიგინალურობას, ვინც მაყურებლის თანაგრძნობაში გულწრფელობას უფრთხილდება, ვინც პატიჯს სცემს მსახიობებში კეთილსინდისიერებას, რომელსაც თან ახლავს ხელოვნებისადმი წმინდა სიყვარული და თავისი საქმისადმი თუ სრულყოფილი არა, გულმოდგინე დამოკიდებულება მაინც". რეცენზენტი ანვითარებს თეორიას იმაზე, რომ მიუხედავად მრავალი ნაკლისა, ქართული დასი ჯერ ახალი ჩამოყალიბებულია, ჯერ ყველაფერი წინა აქვს. თუმცა აქაც გამოთქმულია შიში ქართული თეატრის რეპერტუარის სიმცირის გამო. წერილში სავსებით სამართლიანად აღნიშნულია ქართული თეატრის უმრავი ტექნიკურად გაუმართავი წვრილმანი: დამტვრეული ჭაღი, მოშლილი ფარდა, უამრავი შეცდომა აფიშებში: „ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, წვრილმანებია, — აღნიშნავს რეცენზენტი, — მაგრამ ერთის მხრივ ისინი ამხილებენ დაუდევრობას, მეორეს მხრივ კი გვაიძულებენ ვიბრძოლოთ იმ დაწესებულების მტკიცე არსებობისათვის, რომელიც ხალხისათვის უდაოდ სასარგებლოც არის და ამას თანავე, ერთგვარად სიამაყის საგანს წარმოადგენს ადგილმრავი თანამედროვე თაობისათვის..."

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კეთილი სურვილები გახლდათ, მაგრამ სამწუხაროდ ისინი ვერ გამართლდა. 1854-1855 წლები ქართული თეატრისათვის ბოლო სეზონი იყო. იგი დაიხურა ობიექტური მიზეზების გამო და აღნიშნული რეცენზიაც უკანასკნელი გახლდათ.

რა შეიძლება ითქვას განხილულ რეცენზიებზე, მათ ავტორებზე? უნდა აღვნიშნოთ, რომ წერილებს ქართული თეატრის შესახებ წერდა ამ თეატრის ბედ-იღბლით მართლაც დაინტერესებული ხალხი. ზოგიერთისათვის თეატრი ეროვნული სულის გამოხატულება იყო, ზოგისათვის იმის მაჩვენებელი, თუ რა საიმედო მფარველი ჰყავდა საქართველოს „რუსული არწივის" სახით, დანარჩენისათვის — პროპაგანდის შესანიშნავი საშუალება. ერთი რამ კი ცხადია, ყველა რეცენზიაში განსაკუთრებით მწვავედ დგას რეპერტუარის საკითხი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მთავარი, თუმცაღა ამ პრობლემას ყველა რეცენზენტი განსხვავებული კუთხით მიუდგა.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ყველა რეცენზია ერთნაირად მართებული, საინტერესო და მნიშვნელოვანია. მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ ქართულ თეატრს რეპერტუარის, კარგი მსახიობების, განათლებული მაყურებლების გარდა უდაოდ სჭირდებოდა საქმიანი, სერიოზული, დროული კრიტიკული წერილები. აღნიშნული პერიოდის რეცენზიებიდან კი ზოგიერთი მათგანი იწერებოდა არა თეატრისათვის, მისი განვითარებისა და მისთვის გზის ჩვენებისათვის, არამედ ისე, თავისთავად, ხშირ შემთხვევაში, ავტორისათვის ხელსაყრელი, სასურველი იდეების წინ წამოსაწევად. თუმცაღა განხილულ რეცენზიებზე ვერ ვიტყვით, რომ ისინი ურიგოა ან დაბალი დონის გახლავთ, მაგრამ მათ ძირითადად მაინც აკლია ის მთავარი, რომლითაც ი. პოლოსნკიმ თუ მ. თუმანიშვილმა ასე ოსტატურად დააკავშირა თეატრი, მაყურებელი და გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით პაიჭაძე

ვენეცია-ოსმალეთის ომი და საქართველო

(XV ს. 70-იანი წლები)

კონსტანტინოპოლის ოსმალთა ხელში ჩავარდნამ (1453 წ. 29 მაისი) ევროპაში დიდი შეშფოთება გამოიწვია. რაღა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, შეძრწუნებულნი იყვნენ ბიზანტიის უახლოესი მეზობელი პატარა სახელმწიფოები.

შიშის ზარი დაეცა მთელ არქიპელაგს, დღედღეზე ელოდნენ მეჰმედ II-ს თავისი იანიჩარებითა და ფლოტით, მაგრამ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ სულთანი თავის რეზიდენციაში — ადრიანოპოლში დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, ბიზანტიის მეზობელ პატარა სახელმწიფოთა მდგომარეობა არ გამოსწორებულა, ვინაიდან დიდ დამპყრობელს ნებისმიერ დროს შეეძლო გაეწვდინა მათკენ ხარბი ხელი. ასეთ ვითარებაში არსებობის დღეთა გახანგრძლივების ერთადერთი საშუალება ხარკის გადახდა იყო და ადრიანოპოლში ჩასული სულთნის წინაშე მილოცვებით წარსდგნენ შეშფოთებული მმართველების ელჩები. მეჰმედ II, რაღა თქმა უნდა, მილოცვები მიიღო და „მადლიერების ნიშნად“ მათ ხარკი დაკისრა.

თურქეთის მოხარკენი ვახდნენ: ქიოსი, ლესბოსი, სერბია და ტრაპეზონი.

სულთანთან მოლაპარაკება არჩიეს გენუელებმაც, რომელთათვის პერას დაკარგვა დიდი მატერიალური ზარალი იყო. ამ მიზნით ოსმალეთში მიავლინეს ლუკიანო სპინოლა და ბალთასარ მარუფო, მაგრამ ამ მისიამ შედეგი არ გამოიღო. საფიქრებელია, რომ სულთანმა კაფასათვის გადასახადი მოითხოვა, რაზედაც ელჩებს უფლებამოსილება არ გააჩნდათ.

ბიზანტიის დაცემა მძიმე დარტყმა იყო ვენეციის რესპუბლიკისთვისაც. ვენეციელ ვაჭრებს ბიზანტიის ტერიტორიაზე გაცხოველებული და ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობანი ჰქონდათ. ოსმალებმა კი კონსტანტინოპოლელი ბაილო მოკლეს და დაატყვევეს ხუთასზე მეტი ვენეციელი მოქალაქე. სულ უფრო და უფრო იზრდებოდა იმის საშიშროებაც, რომ მტერი, რომელმაც საკმაოდ ძლიერი ფლოტი შექმნა, დახარბდებოდა ვენეციის სამფლობელოებს საბერძნეთში და მისი მფარველობის ქვეშ მყოფ პოლიტიკურ ერთეულებს.

სენატის სხდომაზე ვენეციის დოჟმა ფრანჩესკო ფოსკარიმ წამოაყენა წინადადება, ოსმალთა შემდგომი აგრესიისათვის დაუყოვნებელი შეტევა დაეპირისპირებინათ და ომის დაწყებისათვის საკმაო საბაბად კონსტანტინოპოლელი ბაილოს მკვლელობა მიიჩნია. მაგრამ სხდომაზე სხვა აზრიც არსებობდა: კონსტანტინოპოლის დაცვის მონაწილემ ადმირალმა ჯაკოპო ლორედანომ მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და დიპლომატიური ლავირების გზა არჩია. სხდომაზე ამ აზრმა გაიმარჯვა.

გადაწყდა, გაეგზავნათ ელჩი, რომელიც ტუვეების გამეფებულ ფლობელობაზე იზრუნებდა ამით გამოაშკარავდებოდა ოსმალეთის დამოკიდებულება სან-მარკოს რესპუბლიკისადმი. ელჩად აირჩიეს დიპლომატი ბარტოლომეო მარჩელო. ჯაკოპო ლორედანოს გაეგზავნა ბრძანება 12 ხომალდით გაემგზავნინა ნეგროპონტე.

სენატის ამ გადაწყვეტილებაში დიდი წვლილი მიუძღვის იმ გარემოებას, რომ იმ დროს სინიორია აწარმოებდა ომს მილანის ჰერცოგ ფრანჩესკო სფორცასთან (ეს ომი ვენეციელებს უკვე 550 000 დუკატი დაუჯდათ და, ამდენად, მათთვის მატერიალურად ძნელი იქნებოდა ორ ფრონტზე ბრძოლა (g. w. Zinkeisen Cescichte des osmanischen Reiches in Europa, Bd. 2. Cotha 1854, S. S. 20. 37).

მარჩელო ადრიანოპოლში ჩავიდა და მუშაობას შეუდგა. უკვე 1454 წ. პირველსავე დღეებში მან სულთანთან ერთად შეიმუშავა საზავო პირობები, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი პუნქტი ვენეციელ ტუვეებს ეხებოდა. სულთანი თანხმდებოდა მათ განთავისუფლებაზე იმ შემთხვევაში, თუ გამოსასყიდს მიიღებდა. 1454 წ.

18 აპრილის კონსტანტინოპოლში დაიდო ზავი, რომელიც განსაზღვრავდა დამოკიდებულებებს სან-მარკოს რესპუბლიკასა და „ბრწყინვალე პორტას" შორის (ხელშეკრულების ორიგინალი მოყვანილი აქვს (Marino Sanuto, Vite dei Dogi P. 1154-1158).

ზავის ძირითად პირობებთან ერთად, იყო 16 დამატებითი მუხლი, რომლებითაც ვენეციელებს თავიანთი სავაჭრო უფლებების დაკონკრეტება სურდათ. დამატებითი პირობების უმთავრესი მუხლი იყო ის, რომ ვენეციელები და თურქები არ უნდა მიმხრობოდნენ ერთმანეთის მტრებს და არ დახმარებოდნენ მათ სახსრებით ერთმანეთის წინააღმდეგ. ამ მუხლის შეტანა სულთანმა მოითხოვა.

ვენეციელებმა მიიღეს უფლება, კონსტანტინოპოლში ბაილო ჰყოლოდათ.

ვენეციელებს ეკრძალებოდათ მუსლიმანი მონებით ვაჭრობა, თუ მათ მუსლიმან მონას უპოვიდნენ, მონა თავისუფლდებოდა, ვაჭარი კი არავითარ ანაზღაურებას არ ღებულობდა.

აი, ზოგიერთი ის დამატებითი მუხლი, რაც ნათელს ჰფენს ვენეციისა და ოსმალეთის იმდროინდელ ურთიერთობას.

ოსმალთა გამუდმებული ომები ართულებდა მათთან ვაჭრობას, ხოლო მეჰმედ II-ის დაუოკებელი დამპყრობლური სურვილები აღრე თუ გვიან განმეორებით კონფლიქტამდე მიიყვანდა საქმეს. გარდაუვალი ხდებოდა გადამწყვეტი ბრძოლა ევროპის უძლიერეს საზღვაო ძალასა და „ბრწყინვალე პორტას" შორის, ვინაიდან ამ უკანასკნელს არ აკმაყოფილებდა ხმელეთზე მიღწეული გამარჯვებები და არქიპელაგსა და პონტოზე საზღვაო ბატონობაზე ოცნებობდა. მეჰმედ II ყოველ ღონეს ახმარდა ახალი, ძლიერი ფლოტის შექმნას. ამისათვის მან ხელსაყრელი ადგილი მოძებნა გალიპოლის ახლოს და ევროპელებისაგან დასაცავად ქალაქის მისადგომები დარდანელის ზღუდეებით ჩაკეტა, სადაც ყველა გემს ამოწმებდნენ.

სინიორიამ ფლოტის შექმნის მისია პაპ კალიქსტ III გადაუბარა. ამ ფლოტს სარდლობდა აკუილეას პატრიარქი ლუდოვიკო სკრამპი. ფლოტი არქიპელაგში შევიდა და თურქებს საკმაო ზიანი მიაყენა, რის შედეგადაც კუნძულები თასოსი, სამოთრაკე და ლემნოსი კვლავ ქრისტიანებს დაუქვემდებარდნენ (1456). საერთო წარმატებებზე ლაპარაკი ჯერ აღრე იყო. კუნძულების ადგილობრივი (ბერძნული) მოსახლეობა ლათინების მიმართ მტრულად იყო განწყობილი, ისინი თურქებს მორჩილებას უცხადებდნენ და დაეხმარნენ კიდეც პაპის ლეგატების მიერ დატყვევებული გარნიზონების განდევნაში. ოსმალებმა დაიმორჩილეს თითქმის მთელი არქიპელაგი და ბოლოს ხელი ვენეციელთა სამფლობელოებზე გაიშვირეს მორეაში.

1460 წ. ოსმალებმა დაიპყრეს ათენის საჰერცოგო. ამავე დროს, ბოლო მოუღეს პალეოლოგების დინასტიას პელოპონესში (მორეაში). მორეის დესპოტები თომა და დემეტრიუსი იმდენად იყვნენ გართულნი შინაური ჭიშპით, რომ მეჰმედ II რაიმე სერიოზული წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწიეს. ბერძნების მიერ მიტოვებული ქვეყნიდან სინიორიას მხოლოდ მონენბაზია (მალვაზია) ერგო, რომლის მცხოვრებლებმა 1459 წ. მას მფარველობა სთხოვეს.

თურქებმა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე მიიტაცეს ვენეციელთა გავლენის სფეროები, ამიერიდან სან-მარკოს რესპუბლიკისათვის ვაჭრობა ნაკლებად ხელსაყრელი გახდა. ათენის საჰერცოგოსა და პელოპონესის დაპყრობით კი თურქები უშუალოდ დაუმეზობლდნენ ვენეციელთა ლევანტის კოლონიების მარგალიტს ნეგროპონტეს (ევბეა) და ვის შეეძლო იმის გარანტირება, რომ მეჰმედ ფათეის (დამპყრობელი) დამპყრობლური მადა სწორედ აქ შეჩერდებოდა?

კონფლიქტი გარდაუვალი გახდა.

აშკარა მტრული დამოკიდებულება ვენეციის სინიორიასა და ბრწყინვალე პორტას შორის 1463 წლის შემოდგომაზე დაიწყო.

ათენის ფაშას მონამ 100.000 ასპერი მოპარა და კორონში გაიქცა (კორონი მაშინ ვენეციას ეკუთვნოდა). იქაურმა მთავრობის მრჩეველმა ჯიროლამო ბალარესომ მონა შეიფარა, რისთვისაც ამ უკანასკნელმა მას ფული გაუწაწილა. ფაშამ ლტოლვილის გაცემა მოითხოვა, მაგრამ მას უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ მონა გაქრისტიანდა.

განრისხებულმა ფაშამ 1463 წლის 3 აპრილს შეუტია სიმაგრე არგოსს; დაიწყო თექვსმეტწლიანი ომი (1463-1479) ვენეციასა და ოსმალეთს შორის. ოსმალებმა ციხე აიღეს.

ვენეციელთა ფლოტის მთავარსარდალს გენერალ-კაპიტან ლუიჯი ლორედანოს მხოლოდ 19 ხომალდი ჰყავდა. მან მიიღო ბრძანება დაელაშქრა არგოსი, რაზედაც უარი განაცხადა რაზმის მცირერიცხოვნების გამო და მოითხოვა 20 000 კაცი ლენსოსის დასაპყრობად.

ასეთ ვითარებაში საბჭოს წინაშე სერიოზულად დადგა საკითხი ომის დაწყების შესახებ. რა თქმა უნდა, სენატში ყველა ერთი აზრისა არ იქნებოდა. ძლიერი იყო მშვიდობის მომხრეთა პარტია, მაგრამ საბოლოოდ გაიმარჯვა ომის დაწყების აზრმა. ამ პარტიას ხელმძღვანელობდა ვიტორე კაპელო.

ამრიგად, სენატის საბჭოზე გადაწყდა მეჰმედ მეორისათვის ომი გამოეცხადებინათ. ვენეციის სასმელეთო ჯარის სარდლად დაინიშნა ბერტოლდო დ' ესტე. მალე მისი ჯარის ნაწილები მორეაში გადასხეს, ვინაიდან პელოპონესის დაბრუნება ვენეციელთა უპირველესი ამოცანა იყო. 1 აგვისტოს ლორედანო თავისი ხომალდებით ნაუპლიას მიადგა, სადაც უკვე ბერტო-

ლდო დ' ესტე ელოდებოდა. აქედან ვენეციელები მიადგნენ არგოსს და აიღეს იგი. ამ წარმატებამ ვენეციაში დიდი სიხარული გამოიწვია. დიდი თუ პატარა შემართული იყო ოსმალთა წინააღმდეგ. ვენეციაში სან-მარკოს მოედანზე შესაწირავებისთვის დიდი ყუთი დადგეს, შესაწირავებმა 700.000 დუკატი შეადგინა.

აგვისტოს ბოლოს დ' ესტემ შეუტია კორინთს; ხოლო ლორედანო ზღვიდან შემოადგა მას. 25 სექტემბერს კორინთეს დასაცავად დაიძრა ოსმარ-ფაშა 10.000 მებრძოლით. სისხლისმღვრელ ბრძოლაში ბერტოლდო დ' ესტე მოკლეს, რის შემდეგაც ვენეციელთა ჯარის ნაწილებმა უკან დახევა დაიწყეს და კორინთე დატოვეს.

დ' ესტეს სიკვდილის შემდეგ სარდლად დაინიშნა ბეტინო და კალცინა. მალე ვენეციის ჯარის ნაწილებმა ცნობა მიიღეს, რომ ჩრდილოეთიდან ოსმარ ფაშასთან შესაერთებლად დაიძრა 80.000 კორპუსი. ვენეციელთა სარდლობამ „უაზრო" სისხლისღვრას პელოპონესის დატოვება არჩია. ჯარმა მთელი თავისი ბარგით ნაუპლიაში დაიხია. ვენეციელთა ამ მხდლობამ გადაწყვეტა პელოპონესის ბედი.

იმავე საღამოს გამოჩნდა ოსმალთა ევროპული ლაშქრის ძირითადი ნაწილი დიდვეზირის მაჰმუდის მეთაურობით. მან აიღო და გაანადგურა არგოსი. შემდეგ ოსმალებმა შეტევა მიიტანეს ნაუპლიაზე, სადაც 5000 ვენეციელი იდგა. მაჰმუდმა ქალაქი ვერ აიღო და დიდი ზარალით დაბრუნდა უკან კორინთში.

ამის შემდეგ მაჰმუდმა ომარ-ფაშას 20.000 მხედარი მისცა ვენეციელთა ტერიტორიების დასარბევად. ომარ-ფაშამ დალაშქრა მოდონი და კორონი, მაგრამ მკაცრმა ზამთარმა საომარი ოპერაციები შეაწყვეტინა.

ამ მარცხით დასრულდა ვენეციელთა ბატონობა ლევანტში. სინიორია ძალებს იკრებდა, რათა გაზაფხულისათვის სერიოზული ბრძოლებისათვის მომზადებულიყო, ამიტომ 1463 წ. 17 დეკემბერს მათ ზავი დადეს ტრიესტასთან, რომელთანაც ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომი ჰქონდათ.

ზამთრის განმავლობაში ლუიჯი ლორედანომ დალაშქრა კუნძული დემნოსი, რომელიც ნაწილობრივ დაიკავა კიდეც. ასეთ ვითარებაში ვენეციელებმა გადაწყვიტეს ფლოტის გაძლიერება, რომელსაც შეემატა ფერარას სამარკოზის, კარდინალების (კონკლავის), ქალაქების ბოლონიასა და ლუკას გალერები. 1464 წ. გაზაფხულზე გენერალ-კაპიტნად დაინიშნა ორზატო ჯუსტინიანი (ვენეციის ელჩი მანტუაში 1459 წ.). სახმელეთო ლაშქრის წინამძღოლობა კი გადაეცა სიჯიზმონდო მალატესტას.

1464 წ. აპრილში ჯუსტინიანი მიადგა კუნძულ ლესბოსს და ალყა შემოარტყა ქ. მითილენს, მაგრამ თურქული ესკადრის გამოჩენისთანავე უკან დაიხია. მხოლოდ 300 ტყვე თურქი და მრავალი განთავისუფლებული ბერძენი ... ამ ექსპედიციის შედეგები. ივნისში ჯუსტინიანმა კვლავ მიადგა კუნძულს და კვლავ უშედეგოდ. ამის შემდეგ იგი დაბრუნდა მოდონზე, სადაც გარდაიცვალა (19 ივლისს).

სახმელეთო ოპერაციებიც არ გამოირჩეოდა დიდი წარმატებებით. ' მალატესტა დაძრწოდა მთელს მორეაში, მართალია, ალაგ-ალაგ თურქებს საკმაო შიანს აყენებდა, მაგრამ გენერალურ ბრძოლას თავს არიდებდა, ამას გარდა, მისტრასთან ბრძოლაში დაკარგა თითქმის მთელი თავისი ლაშქარი, რის შემდეგაც იტალიაში დაბრუნდა.

1465 წ. ოსმალეთმა სკანდერბეგის შუამავლობით წმ. მარკოს რესპუბლიკას ზავი შესთავაზა, რაზედაც ამ უკანასკნელმა უარით უპასუხა. ვენეციელებს ახალი კოალიციის შექმნის იმედი ჰქონდათ. ახალი პაპი პავლე II (პიეტრო ბარბო) ვენეციელი იყო და გულმოდგინებით შეუდგა ქრისტიანი მთავრების დარაზმვას.

პავლე II-მ შექმნა კომისია, რომელიც შეეცადა, შეეკავშირებინა ევროპელი ხელისუფალნი და გარკვეული გადასახადიც დაეკისრა მათ, მაგრამ დაპირებები დაპირებებად დარჩა. მიუხედავად ამისა, პაპმა მოახერხა, შეეგროვებინა 300.000 დუკატი ვენეციელებისათვის და პირობა მოსთხოვა, რომ თურქებს არ დაუზავდებოდნენ, რაზედაც მიიღო პასუხი, რომ ზავის დადებას არავინ აპირებდა, მაგრამ არც ძალა შესწევდათ ომი თვითონ გაეგრძელებინათ (ვენეციელები აქ პირველ რიგში სკანდერბეგს გულისხმობდნენ, რომელიც სულთანთან ბრძოლაში ისე დასუსტდა, რომ ვენეციელთა მფარველობა ითხოვა და მათ კროია და სკუტარი გადასცა).

მეგზმედ II კარგად იყო ინფორმირებული ევროპელ ხელისუფალთა „ერთიანობით", ამიტომ სცადა გადაებირებინა ფერდინანდ ნეაპოლელი და მილანის ჰერცოგი.

1466 წლის დასაწყისში სამარი მოკმედებები განაახლდა. ლორედანოს ნაცვლად ფლოტის გენერალ-კაპიტნად დაინიშნა ვიტორე კაპელო (თურქებთან ომის დაწყების მომხრეთა პარტიის ლიდერი სენატში). მან 25 ხომალდით დალაშქრა კუნძულები: იმბროსი, თასოსი, სამოთრაკე, აიღო ათენი, მაგრამ ვერ შეინარჩუნა, რადგანაც აკროპოლი თურქების ხელში რჩებოდა.

სახმელეთო ოპერაციები იმ წელიწადს უშედეგოდ დამთავრდა. მორეის პროვედიტორმა ჯაკოპო ბარბარიგომ მგიღო ჯარის სარდლობა. მან მთელი ძალებით მიიტანა იერიში პატრასზე, მაგრამ მის წინააღმდეგ დაიძრა ოსმარ-ფაშა 12.000 კაცით. ვენეციელები სასტიკად დამარცხდნენ. თვით ბარბარიგო ტყვედ ჩავარდა, იგი პატრასში წაიყვანეს და იქ თურქული წესისა-

მებრ ძელზე დასვეს. კაპელოს შურისძიება სურდა. ამ მიზნით მან დესანტი გადასხა და შეტევაზე გადავიდა, მაგრამ ეს ძვირად დაუჯდა: ძლივს გადაარჩინა მცირე რაზმი და იძულებული გახდა ნეგროპონტში დაბრუნებულიყო, სადაც მალე გარდაიცვალა კიდეც.

ყოველივე ამის შემდეგ ვენეციელები ზავზე თანახმანი იყვნენ. ამ მისიით მათ ოსმალეთში მიავლინეს ჯოვანო კაპელო, მაგრამ სულთანმა იგი ცივად გამოისტუმრა.

მალე ადმირალად დაინიშნა ნეგროპონტეს ყოფილი ბაილო ნიკოლო და კანალე.

მან 20 ხომალდით დალაშქრა მაკედონიის სანაპირო, გადაწვა სალონიკის მიდამოები. შემდეგ თავისი ესკადრა ლემნოსი და იმბროსი. ამის შემდეგ შეუტია ენოსს, ქალაქში შეიჭრა, მოსახლეობა გაულტა და, ვინაიდან ქალაქს ვერ შეინარჩუნებდა, გადაწვა იგი. ნადავლთან ერთად კანალემ ნეგროპონტში 2000 ტყვე ჩაიყვანა.

ასევე მოიქცა ახალ ფოკეაში მაშინ, როდესაც ამაოდ ცდილობდა ძველი ფოკეას აღებას, ბოლოს ნიკოლო და კანალემ აიღო პატრასიც.

ვენეციელთა ასეთმა წარმატებამ მეჰმედ II გააცოფა. მან შეიკრიბა დაახლოებით 300 ხომალდი, 70.000 კაცით. ფლოტს მაჰმუდ-ფაშა უსარდლა და ნეგროპონტისაკენ გაუყენა, თვითონ კი საბერძნეთიდან დაიძრა 120. 000, ზოგი მონაცემებით კი 200.000 კაცით.

კანალეს მხოლოდ 35 ხომალდი ჰყავდა, მაგრამ კუნძული კარგად იყო გამაგრებული, მის დაცვას ხელმძღვანელობდა ახალი ბაილო პაოლო ერიცო.

ოსმალებმა საბრძოლო ოპერაციები იმით დაიწყეს, რომ კუნძულსა და ხმელეთს შორის, სადაც სულთანი თავისი ლაშქრით იდგა, ხომალდების ხიდი გადაეგმეს, რომელზედაც ოსმალთა ლაშქარმა თავისუფლად გაიარა და კუნძულს შეუტია. იერიში დაიწყო 1470 წლის 25 ივნისს, მაგრამ 12 ივლისამდე ოსმალები ქალაქში ვერ შევიდნენ. პირველი შეტევისას მათ 30.000 ზე მეტი კაცი დაკარგეს.

საბოლოოდ ნეგროპონტეს (ევბეა) დაცვაში გადამწყვეტი როლი დალატმა შეასრულა, ერთ-ერთმა ოფიცერმა ფიორინი და ნარდონემ ოსმალებს ციხის სუსტი ადგილი მიუთითა. 12 ივლისს ოსმალები ქალაქში შეიჭრნენ. მეზობელი ფტელეონიც მეფგარ წინააღმდეგობას უწევდა თურქებს, მაგრამ 14 ივლისს ოსმალებმა ისიც აიღეს. გაგულისებულმა მეჰმედ II-მ ახალი ნაუპლიასაც შეუტია, მაგრამ უშედეგოდ.

ნეგროპონტის დაკარგვის შემდეგ სინიორია იძულებული იყო ომი გაეგრძელებინა; მიუხედავად ამისა, რომ ეს მას წელიწადში 1. 200. 000 დუკატი უღირდა. სახმელეთო ბრძოლებმა, რამდენიმე წლის შემდეგ ჩრდილოეთით ალბანეთისა და ფრიაულისაკენ გადაინაცვლეს, ვენეციელთა ფლოტი კი მცირეაზიელ საზღვაო ქალაქების: სმირნის, სათალიის, სეჰუონის, ალანიის, კოსისა და სელეუკის დასჯას შეუდგა.

ხაომარი მოქმედების მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროზე გადატანას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. ვენეციამ დასავლეთის ქვეყნებისაგან დროებითი და არასაკმარისი დახმარება მიიღო და იმედი დაამყარა უზუნ-ჰასანთან კავშირზე, აყ-ყოიუნლუს (თეთრბატკანინათა) სახელმწიფო იყო ის ერთადერთი რეალური ძალა, რომელსაც შეეძლო და სურდა დაპირისპირებოდა მეჰმედ II-ს აღმოსავლეთში. სწორედ უზუნ-ჰასანისათვის ვენეციელთა ფლოტის ძალის დემონსტრაციის აზრამ მიიყვანა ისინი მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროსთან.

როგორც ზემოთ ითქვა, კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ოსმალთა მოხარკე გახდა ტრაპიზონიც, მაგრამ კეისარ კალოიოჰანესს (იოანე IV კომნენოსი) მშვენივრად ესმოდა, რომ ამგვარად დამოუკიდებლობას დიდი ხნით ვერ შეინარჩუნებდა, ამიტომაც მეჰმედ II-ის მოწინააღმდეგეების შეკავშირებას შეუდგა. ესენი იყვნენ: სინოპის ბატონი, ისფენდიარის გვარის კასტამუნელი მთავარი ისმაილები, ყარამანის ბატონი იბრაჰიმი და თეთრბატკანინათა ირანის მბრძანებელი უზუნ (გრძელი) — ჰასანი; აქვე უნდა ითქვას, რომ არა გვაქვს არავითარი პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, შედიოდა თუ არა საქართველო ამ კავშირში, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ გარკვეული მნიშვნელობა ამ კავშირში ქართველ მეფე-მთავრებსაც ენიჭებოდათ. ჭერ ერთი, იმიტომ, რომ ტრაპიზონის საკეისროს დაცვა-მფარველობა და მეგობრული დამოკიდებულება ბერძნებთან ქართველ მეფე-მთავართა ტრადიციული პოლიტიკა იყო და მეორეც, ოსმალთა აგრესია ხომ საქართველოსათვისაც საშიშროებას წარმოადგენდა.

ტრაპიზონის აღების შემდეგ ოსმალები სინოპს მიადგნენ და ისიც აიღეს. ასე, რომ აზიის ქვეყნების კავშირს უკვე ორი სახელმწიფო გამოაკლდა. ჩვენი აზრით ყარამანიის ბატონი იბრაჰიმბეგი ევროპელთა (ამ შემთხვევაში ვენეციელთა) პოტენციური მოკავშირე იყო.

გარდა ამისა, იბრაჰიმს სულთანთან 1459 წ. ზავი დაუდია, რომლის მიხედვით ბრწყინვალე პორტას ვასალი იყო.

იბრაჰიმბეგი გარდაიცვალა 1463 წელს და ატყდა ბრძოლა ტახტისათვის მის შვილ შვილს შორის (მეშვიდე ვაჟი ეშაყი მას მონა ქალისაგან ჰყავდა). თავიდან ძალაუფლება ფირ-ახმედმა ჩაიგდო ხელში. შემდეგ კი ისარგებლა რა ძმათაშორისი ბრძოლით, ყარამანია მე-მედ II დაიპყრა.

1468 წელს ვენეციის რესპუბლიკამ ფირ-ახმედსა და უზუნ-ჰასანთან ელჩად მიავლინა ანდრეა კორნარო. მას თავისი მისია ყარამანიაში წარმატებით შეუსრულებია. 1464 წ. 13 მარტს

ვენეციაში ჩავიდა უზუნ-ჰასანის ელჩი ვინმე მამეტანასაბი (Mametanazab) და ფირ-ახმედის წარმომადგენელი. ამის საპასუხოდ უზუნ-ჰასანის კარზე ვენეციელებმა ახალი მისია შეადგინეს ამჯერად ლაზარო კვერინის მეთაურობით (Marino Sanuto, დასახ. ნაშრ. 1182. ე. მამისთვალაშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში, თბ., 1981, გვ. 57).

ამრიგად, ლაზარო კვერინი ვენეციის პირველი წარმომადგენელია უზუნ-ჰასანის კარზე. კვერინის მისია იმაში მდგომარეობდა, რომ უზუნ-ჰასანი ომისათვის წაექეზებინა, მაგრამ აუყოიონელეს სახელმწიფომ ბრძოლა მხოლოდ 1470 წლიდან დაიწყო, იქამდე კი უზუნ-ჰასანს სხვა საქმეები ჰქონდა. იგი აღსასრულს უმზადდება ყარა-ყოიონლეს (შავბატკანიანთა) სახელმწიფოს.

1465 წ. ვენეციაში ჩავიდა უზუნ-ჰასანის მეორე ელჩი, რომლის მისიაც რესპუბლიკასთან კავშირის განმტკიცება იყო.

უზუნ-ჰასანი მხოლოდ 1470 წლიდან გააქტიურდა. მაშინ, როდესაც ოსმალებმა ძირითადი ძალები ნეგროპონტისაკენ მიმართეს ყარამანიაში იბრაჰიმის ერთ-ერთმა ვაჟმა ყასიმბეგმა აჯანყება დაიწყო, მაგრამ სულთანმა მისკენ პირი იბრუნა და სასტიკად დაამარცხა, უფლისწულები გაიქცნენ, ერთ-ერთმა ეშაყმა უზუნ-ჰასანის კარზე შეაფარა თავი.

დაახლოებით ამ დრის, 1471 წლის დასაწყისში, ვენეციაში ჩასულა ქართლის მეფის კონსტანტინეს ელჩი, რომელსაც განუცხადებია, რომ მისი სენიორი კავშირშია თავის ნათესავ უზუნ-ჰასანთან, რომ ქართველი მეფე 30.000 ცხენოსნითა და თურქმანთა ბატონი დიდი ლაშქრით აპირებენ თურქების წინააღმდეგ ლაშქრობას (ლ. ტარდი, ვენეციის როლი უნგრეთთან საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობაში, ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები. ტ. II, თბ., 1978). ვენეციის რესპუბლიკას თანხმობა განუცხადებია, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოში ერთი ელჩობა საკმარისად არ მიუჩნევიათ და იმავე წლის გაზაფხულზე ვენეციაში ახალ ელჩობას ვხედავთ, ამჯერად უზუნ-ჰასანის წარმომადგენლებთან ერთად, როგორც ჩანს, საქართველოს წარმომადგენელი ამ შემთხვევაში ალექსანდრე კახთა მეფის სახელით ლაპარაკობდა (E. Cornet, Sa guerra dei veneti nell'Asia, – vienna 1856. 1. 23-24-30). ამ ელჩობის შემადგენლობა ასეთი იყო: აზიმამეტი ანუ ჰაჯი-მაჰმადი — უზუნ-ჰასანის წარმომადგენელი, ვინმე ნიკოლო — სავარაუდოა, ეს ქართველი მეფის ელჩი იყო, ამასთან, არ არის გამორიცხული, ვივარაუდოთ, რომ ეს სწორედ ის ნიკოლოზი იყო, რომელმაც 1459-1461 წლებში მოიარა ევროპა, გიორგი VIII-ის სახელით.

ერთი შეხედვით საოცარია ისიც, რომ ერთი წლის მანძილზე იტალიაში ორი ქართველი მეფის ელჩი გამოჩნდა. ეს ფაქტი შედარებით ადვილად აიხსნება: მას შემდეგ, რაც ყვარყვარე ათაბაგმა გიორგი VIII დაატყვევა (1465 წ.) სამეფო ტახტს ორი პრეტენდენტი ჰყავს. ერთია ბაგრატი (იმერეთის ერისთავი), მეორე კი გიორგი VIII-ის ძმისშვილი კონსტანტინე დიმიტრის ძე. საბოლოოდ გამეფდა ბაგრატ VI (1467-78). ბაგრატს და კონსტანტინეს შორის შეთანხმება მოხდა, ბაგრატი მეფეთ-მეფედ იწოდებოდა, კონსტანტინე კი მეფედ. მალე ყვარყვარემ გაათავისუფლა თავისი გვირგვინოსანი ტყვე, მაგრამ გიორგიმ ქართული ველარ დაიპირა და საფუძველი ჩაუყარა კახეთის დამოუკიდებელ სამეფოს, იგი კახეთის მეფეა 1486-76 წლებში. 1470 წელს კონსტანტინემ ბაგრატის მორჩილებიდან თავი გაინთავისუფლა და 1471 წ. მეფედაც ეკურთხა, თუმცაღა ბაგრატიც მეფობს; ამრიგად, 1471 წლიდან ქართლის ორი მეფე ჰყავს. ისტორიოგრაფიაში იგი კახეთის მეფედ (ანუ დამოუკიდებელ მმართველად) 1476 წლიდან იხსენიება. ის ფაქტი, რომ ვენეციის არქივებში დაცულ ოფიციალურ დოკუმენტებში იბერთა მეფე ალექსანდრე იხსენიება (ვენეციის სენატის მიერ პაპ სიქსტუს IV-სადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: «illustrissimi et serenissimi Alexandri regis Iberie" საქართველოში ორ კიდევ ერთი ალექსანდრე, ბაგრატ VI ვაჟი, მაგრამ ნაკლებად საფიქრებელია, რომ აქ მასზე იყოს ლაპარაკი, ვინაიდან მას არასდროს ქონია ისეთი ავტორიტეტი, რომ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა მამის სიცოცხლეში და მეორეც, იბერიას ხომ ეკუთვნოდენ აღმოსავლეთ საქართველოს ეერთხდნენ), ჩვენი აზრით, იმაზე მიგვითითებს, რომ ალექსანდრე ან მამის სიცოცხლეშივე ახორციელებდა დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, ანდა მისი გამეფების თარიღი გადასინჯვას საჭიროებს.

დღემდე დაუდგენელია კიდევ ორი ელჩის ვინაობა, ესენი იყვნენ ვინმე მორატი და ჩეფარსა.

და ბოლოს, ექიმი ისაკი (natione Hispanus fide autem Hebremus) ეროვნებით ესპანელი, სარწმუნოებით ებრაელი — სფარადიტი. იგი უზუნ-ჰასანის კარის მთავარი ექიმი ყოფილა. როგორც ჩანს, ბევი ისაკი იტალიაში ლაზარო კვერინისთან ერთად ჩასულა.

შეკმნილ ვითარებაში ვენეციის სენატმა საპასუხო ზომები მიიღო და თავისი ინტერესების დამცველად „გრძელი" ჰასანის კარზე კატერინო ძენო აირჩია, როგორც უზუნ-ჰასანის ცოლის დესპინე ხათუნის (თეოდორას) ახლო ნათესავი (დისშვილის ქმარი). გარდა ამისა, კატერინო ძენოსათვის მიუციათ სარეკომენდაციო წერილი საქართველოს მეფისათვის გადასაცემად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატერინო ძენოს დღიური ამ მოგზაურობის შესახებ გამოსცა მისმა შთამომავალმა ნიკოლო ძენომ (ქართულად თარგმნა ე. მამისთვალაშვილმა, ე. მამისთვალაშვილი, XVI ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, „საქართველოს ისტორიის წყაროები", ტ. 26, თბ., 1981). ამ თხზულების მიხედვით აზიმამეტი ვენეციაში დარჩენილა, ხოლო დანარჩენი სამნი გაემგზავრნენ რომის პაპსა და ნეაპოლის მეფესთან.

სხვა მონაცემებით: „მერე მონკასტროს გზით პოლოფესსა და გეორმანიაზე გავლით მოდიან ორნი, ერთი ზემოხსენებული სენიორის (უუზუნ-ჰასანი — დ. ბ.) და მეორე კი საქართველოს მეფის სახელით" (E. Cornet დასახ. ნაშრომი, გვ. 31) და ეს ორნი წასულან რომში პაპთან, რომელმაც ისინი საკმაოდ კარგად მიიღო და თავისი ელჩი ვინმე ფრანცისკანელი ბერი Persona molta inteligente) გააყოლა. ეს ელჩები უკან დაბრუნებულან ზღვით, ალექსანდრიისა და კვიპროსის გავლით ყარამანიაში, იქიდან კი სპარსეთსა და საქართველოში. ამრიგად, ასე თუ ისე, ჰაჯი-მამმადი ვენეციაში დარჩენილა, რომში კი როგორც ჩანს ბეი ისააკი ნიკოლოზ თბილელი გაემგზავრნენ.

აქედანვე ჩანს, რომ პაპს თავისი პირადი ელჩიც გაუყოლებია მათთვის, ფრანცისკანელი ბერი. ე. მამისთვალაშვილი ვარაუდობს, რომ ეს ლუდოვიკო ბოლონიელი უნდა ყოფილიყო.

პაპის მიერ თავისი წარმომადგენლის დამატებასთან ამ კავშირშა „სამრთო", ანუ, თუ გნებავთ, „ჯვაროსნული" ხასიათი მიიღო. თითქოს ყველაფერი რიგზე უნდა ყოფილიყო, კავშირს, როგორც ვხედავთ პაპის „რეზოლუციაც" კი მიუღია, მაგრამ ვენეციის მოქმედი დიპლომატები ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა მაქსიმალურად გამოეყენებინათ აღმოსავლეთის ანტიოსმალური ძალები და მათი საშუალებით განეხორციელებინათ რესპუბლიკის ინტერესები.

როგორც ჩანს, კატერიგო ძენოს მისიაც ამაში მდგომარეობდა. მას უნდა დაეიმედებინა უუზუნ-ჰასანი და დაეჩქარებინა მისი საომარი განწყობა. ეს მან მოახერხა კიდეც. უუზუნ-ჰასანმა წერილი მისწერა ყვარყვარე ათაბაგს, რათა მასაც დაეწყო ომი სულთნის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ამ დროისათვის ყვარყვარეს ანტიოსმალური ენთუზიაზმი ჩამქრალი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას თურქმანი მთავრის „დაპატიჟება" არ უნდა დასჭირვებოდა, ათაბაგისა და ბეღიანის პოზიცია ამ დროისათვის საკმაოდ დამაჯერებლად აქვს ახსნილი ე. მამისთვალაშვილს (ე. მამისთვალაშვილი, საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. 70-იან წლებში. გვ. 82-86). ასე, რომ ჩვენ ამ გარემოებაზე აღარ შეეჩერდებით.

როგორც ზემოთ ითქვა, 1470 წლიდან მეჰმედ II-სა და უუზუნ-ჰასანს შორის კონფლიქტი მწიფდებოდა და 1471 წელს ჰასან-ბეგმა ომი დაიწყო. იგი შეიპრა ტრაპიზონში, თუმცა ალექსანდრა ლაჩის ალება ვერ მოახერხა.

ყარამანიის თურქმანების ხელში ჩავარდნამ მეჰმედ II განარისხა და მან უბრძანა თავის ვაუს, მუსტაფას, შეეჩერებინა თურქმანების შეტევა. 1471 წლის 18 აგვისტოს ტბა კორალისთან მუსტაფამ გაანადგურა ყარამანიის პრინცები, ფირაზმედი გაიქცა უუზუნ-ჰასანთან, ყასიმბეგი კი სელევკაში, საიდანაც დახმარებისათვის პიეტრო მოჩენიგოს მიმართა. ამის შემდეგ მუსტაფამ კუნიასთან დაამარცხა უუზუნ-ჰასანიც. განარისხებული თურქმანი მთავარი იმავე წელს აწყობს დამსჯელ ექსპედიციას სამცხეში (ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 478-479).

მთელი ზამთრის განმავლობაში სულთანიცა და უუზუნ-ჰასანიც გამალებულ მზადებაში იყვნენ და მაინც სულთანს თურქმანებისათვის ზავი შეუთავაზებია, მაგრამ კატერინო ძენოსა და დესპინე ხათუნის აქტიური ჩარევით მოლაპარაკება ჩაიშალა.

ამან ვენეციელები შეაშფოთა და აიძულა რეალურ მოქმედებაზე გადასულიყვნენ. 1473 წლის 11 იანვარს სენატმა მიიღო დადგენილება აქტიური დახმარება გაეწიათ უუზუნ-ჰასანისათვის.

დადგენილების მიხედვით ახალ ელჩად დაინიშნა ჯოსაფატ ბარბარო, რომელსაც ყარამანიის ნაპირზე ცეცხლმსროლელი იარაღი უნდა გადაეცა უუზუნ-ჰასანისათვის. 1473 წლის 29 მარტს იგი მივიდა კვიპროსზე ფამაგუსტაში და თეთრბაკანიანთა მთავარს წერილი მისწერა, ამით აღფრთოვანებულმა უუზუნ-ჰასანმა დიდძალი ლაშქარი შეჰყარა და ყარამანიისაკენ გაემართა, მის ლაშქარში ქართველებიც იყვნენ (ე. მამისთვალაშვილი, XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოზე, გვ. 29).

1 აგვისტოს უუზუნ-ჰასანისა და მეჰმედ II-ის ჯარები პირისპირ აღმოჩნდნენ მდ. ევფრატის პირას მალათიასთან. დიდი ბრძოლა თურქმანების გამარჯვებით დამთავრდა. მეჰმედ II-მ უკან დაიხია და წავიდა ტრაპიზონის მიმართულებით. უუზუნ-ჰასანმა აიარჩია 40.000 მეომარი და დაედევნა ოსმალებს, დანარჩენი ლაშქარი, მათ შორის ქართველები, თავისი ვაუის, ხადილის მეთაურობით აღალის დასაცავად დატოვა.

მალე ოსმალებმა პირი იბრუნეს, გამეორებითი ბრძოლა მოხდა 1473 წლის 10 აგვისტოს მდ. თერჯანასთან, სადაც აყ-ყოიუნლუს ლაშქარმა სრული მარცხი განიცადა.

მიუხედავად მოწინააღმდეგის დამარცხებისა, სულთანი ბრძოლის გაგრძელებას მორიდებია, ვინაიდან ცნობა მიუღია, რომ უუზუნ-ჰასანი სასწრაფოდ ახალ ჯარს აგროვებდა, რათა მისთვის გზა გადაეღობა. მეჰმედ II ტოგატში დაბრუნებულა, სადაც უნგრეთის მეფის ელჩი დახვედრია, რომელიც მას ზავს სთავაზობდა მატიაშ

კორვინთან. სულთანმა ეს წინადადება უარჰყო.

როგორც ჩანს, უზუნ-ჰასანი დარწმუნდა მოკავშირის გარეშე შემმედ II ომის უპერსპექტივობაში, ვინაიდან კატერინო ძენო და ორი ელჩი პოლონელი და უნგრელი ევროპაში გაგზავნა დახმარების სათხოვნელად. ელჩებმა თავრიზი 1474 წ. გაზაფხულზე დატოვეს, გაიარეს სამცხეში, სადაც ძენოს მისი მხლებლები დაუტოვებია. აქედან მას გეზი სოხუმისაკენ აუღია და, უნდა ვიფიქროთ, ბედიანთანაც მისულა, რადგანაც მოგვიანებით პოლონეთში ყოფნის დროს შეხვედრია ვენეციის დესპანს, თავრიზში მიმავალ პაოლო ონობენეს და მისთვის წერილები გამოუტანებია ბედიანთან და ათაბაგთან.

საინტერესოა, რომ უნგრეთში ყოფნისას მატიაშ კორვინს ძენოსათვის რაინდის წოდება უბოძებია.

ამავე დროს, უნდა ვიფიქროთ, რომ უზუნ-ჰასანს საკმარისად არ მიუჩნევია ევროპაში მხოლოდ ძენოს გაგზავნა, ვინაიდან 1474 წ. ვენეციაში კვლავ საქართველოსა და თურქმანი მთავრის ელჩებს ვხედავთ. სამწუხაროდ, ამ მისიის შესახებ სხვა არაფითარი ცნობა არ მოგვეპოვება, ვიცით მხოლოდ, რომ კაფაზე გავლით წასულან. ვენეციაში 19 ივლისს ჩასულან ძენოსთან ერთად და უმოგზაურიათ რომსა და ნეაპოლში.

1474 წელს თავრიზში ჩავიდა ჯოსაფატ ბარბაროკ, რომელსაც ახლდა თურქმანი აზიმამეტი, მაგრამ მისიაზე ქურთების თავდასხმის შედეგად იგი დაიღუპა (**З. Авалов, Забытая вариация на знакомую тему из истории восточного вопроса в XV в. (S. z.), (S. D), стр. 241-252**).

ბარბაროს მოხსენებაში გარკვეული ადგილი ეკავა შემდეგი ამბის თხრობას: ბეი ისაააკმა ვენეციის დოჟის სრული თანხმობით მოინახულა უნგრეთის მეფე, რათა ხელახლა დაერწმუნებინა, მიეღო მონაწილეობა საერთო მტრის წინააღმდეგ ომში, რის შემდეგაც მატიაშ კორვინს ბრძანება გაუცია, აეოხრებინათ თურქების მიერ დაკავებული სერბიის ტერიტორია, რაც შესრულდა კიდეკაც. ყოველივე ამის საფუძველზე დოჟს დაუბარებია ბარბაროსათვის მეფეს-ინტრიგანების მიერ დაყრილი ხმები, თთქოს-და უნგრეთის მეფე სულთანთან ზავის დადებას აპირებდა, მოკლებული იყო ყოველგვარ საფუძველს (**E. Cornet**, დასახ. ნაშრომი, გვ. 72).

ბარბაროს ჩასვლისთანავე, პაოლო ონობენემ თავისი მისია დაამთავრა შეთანხმებით: აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო ოსმალეთთან ომის დაწყებას 1475 წელს კისრულობდა. ონობენე ვენეციაში დაბრუნდა 1475 წ. 17 თებერვალს.

დაახლოებით ამ დროს სპარსეთში იმყოფებოდა ვენეციელი დიპლომატი ამბრიჯო კონტარინიც.

1475 წლიდან მოლაპარაკებები დაღმავალი გზით წავიდა, უზუნ-ჰასანმა საომარი მოქმედებების დაწყება 1475 წ. გაზაფხულამდე გადასწია. მაგრამ საბოლოოდ ვერც ეს განახორციელა, მისი სიცოცხლის ბოლო წლებში აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო შინაურმა აშლილობამ მოიცვა, ვენეციამ კი 1479 წ. ზავი დადო ოსმალეთთან კონსტანტინოპოლში, რომლის მიხედვითაც თავი დამარცხებულად სცნო.

თერჯანასთან განცდილი მარცხის შემდეგ კი უზუნ-ჰასანმა გადაწყვიტა მცირეოდენი კომპენსაცია მაინც მიეღო და 1477 წელს 40.000 მეომრით ქართლში შეიჭრა და გორი და თბილისი უბრძოლველად დაიპირა. მან ქართველ მეფე-მთავრებს (მათ შორის სამცხის ათაბაგსაც) 16.000 დუკატი გადაახდევინა კონტრიბუციის სახით და უკან დაბრუნდა. მხოლოდ თბილისში დატოვა გარნიზონი ხალილ-ბეგ-ბეგთაშის მეთაურობით (რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის მეორე ნახევარში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI, თბ., 1964, გვ. 119-123).

უზუნ-ჰასანს საქართველოდან გაბრუნებისას „სასიკუდილე სენი“ შეყრია და „მოკუდა ყაენი, დაადგეს თათართა თბილისი და დაიპირა მეფემან ბაგრატ, ჩაუცდეს ბარათიანნი დაიფოროაქეს ცელი და დაცოცეს მრავალი თათარი ყეენისაგან შეწყალებული“.

ჯეინ ოსტინის ცხოვრებაზე ცოტა რამ ვიცით. მწერლის გარდაცვალებიდან მალე მისმა დამ კასანდრამ მოსპო წერილების დიდი ნაწილი. ცხადია, მაშინ კასანდრა ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ჯეინს ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსად აღიარებდნენ, რომ მის შემოქმედებასა და ცხოვრებაზე დაიწერებოდა ასობით სტატია და ათობით წიგნი, რომ მისი ბიოგრაფები დაინტერესდებოდნენ ყველაფრით, რაც მის შემოქმედებასა და ცხოვრებას შეეხებოდა. სიცოცხლეში კი ჯეინის რომანები დიდი გაჭირვებით იბეჭდებოდა, ასევე გულგრილად იღებდა მას მკითხველი. არადა კასანდრამ ყველაფერი იცოდა, დები ხომ მეგობრებიც იყვნენ.

როგორც ჯეინ ოსტანის ახლობლები და მეგობრები იხსენებდნენ, იგი მართალია ლამაზი იყო, მაგრამ გონება, თანდაყოლილი იუმორის გრძნობა მას მომხიბვლელს ხდიდა. ზოგიერთი ბიოგრაფის ცნობით, მან ბოლომდე უერთგულა თავის გარდაცვლილ საქმროს. თვლიან, ეს იყო ახალგაზრდა საზღვაო ოფიცერი, უილიამ ვორდსვორტის ძმა.

იმდენად ფიდია ჯეინ ოსტინით დაინტერესება, რომ ათასგვარ ხერხს მიმართავენ. ზოგი ცდილობს რომანის ფურცლებზე ამოიკითხოს მისი ცხოვრების ჯზა, ზოგი მის დაუმთავრებელ ნაწარმოებს ამთავრებს, მიმართავს დიალოგის ხერხს, დანარჩენიც მასთან „ინტერვიუს" გვთავაზობს.

ასე შეიქმნა მრავალი „ბიოგრაფიული" ნაწარმოები, მათ შორის ვხვდებით ორიგინალურ ნაშრომებს, ფანტასტიურ წინადადებებს. ასეთია წიგნი „ჯეინ ოსტინი ავსტრალიაში".

ვინც ცოტათი მაინც იცნობს ჯეინ ოსტინის ცხოვრებასა და შემოქმედებას, იცის, რომ ჯეინ ოსტინმა მთელი თავისი ხანმოკლე ცხოვრება ინგლისის პროვინციაში გაატარა, ლონდონშიც ორჯერ ან სამჯერ თუა ნამყოფი. ასე, რომ მისი ვიზიტი ავსტრალიაში სინამდვილეს არ შეესაბამება.

რომანის ავტორის ბარბარა კერ უილსონის ქალაქს ოცზე მეტი საბავშვო წიგნი ეკუთვნის, იგი კარგად იცნობს ავსტრალიურ ფოლკლორს და ეროვნულ ისტორიას. „ჯეინ ოსტინი ავსტრალიაში" პირველი წიგნია, რომელიც მწერალმა ქალმა მოწრდილებს მიუძღვნა.

მან კარგად შეისწავლა ჯეინ ოსტინის რომანები და ბიოგრაფია. ამდენად, მოგზაურობის დროც ლოგიკურად შერჩეული. თითქმის არაფერი ვიცით ჯეინ ოსტინის ცხოვრებაზე 1801 წლის მაისიდან 1804 წლის დეკემბრამდე. უფრო მეტიც, არც ერთი წერილი არ არის შემორჩენილი, რომელიც ამ წლითაა დათარიღებული. ცნობილია, რომ ჯეინ ოსტინი ოჯახთან ერთად იყო ლაიმ-რეგიზში, დეიდასთან, რომელიც გალანტერიის დახლის მფლობლის წვრილმანური შანტაჟის მსხვერპლი გახდა. მას ცილი დასწამეს ქურდობაში, ინგლისური კანონის თანახმად დამნაშავე უნდა დაეპატიმრებინათ და დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში გაეგზავნინათ ავსტრალიაში, კოლონია ბოტანი-ბეიში. შანტაჟისტი იმედოვნებდა, რომ ჯეინ ლი პეროტი არ დაიმცირებდა თავს და ფულით გაჩუმებდა მომჩივანს. მაგრამ ჯეინ ლი პეროტი უფრთხილდებოდა თავის რეპუტაციას. მას მორალურმა პრინციპებმა გადაატანინა საშინელი განსაცდელი — თითქმის ნახევარ წელს დაჰყო საპატიმროში, წარსდგა სამსჯაროს წინაშე და ბოლოს პატივცემული ლედი გაამართლეს.

რომანის ეს ნაწილი ფაქტობრივ მასალას ეყრდნობა, შემდეგ კი იწყება წმინდაწყლის მონაგონი. მისტერ ლი პეროტი დარწმუნებული იმაში, რომ მის მეუღლეს არ გაამართლებდნენ, ბოტანი-ბეიში საცხოვრებლად ემზადებოდა. იგი იმედოვნებდა გაიტაცა ამ კუთხის ფლორისა და ფაუნის შესწავლამ, რომ მისი მეუღლის გამართლებით, ცოტა იმედიც კი გაუცრუვდა. ამიტომ მან მეუღლე ხანგრძლივ და სახიფათო მოგზაურობაზე დაითანხმა. მისის ლი პეროტიმ კომპანიონად ჯეინ ოსტინი აირჩია, რაზეც ჯეინი სიხარულით დაეთანხმა. მოგზაურობა მას განსაცდელსაც დაავიწყებდა. საქმე იმაში იყო, რომ რეგიზში ჩასვლისას ჯეინი გაეცნო მისტერ ელიოტ ფორდვიქს. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. მისტერ ფორდვიქსი საქმეების გამო მოულოდნელად იძულებული გახდა გამგზავრებულიყო, სულ მალე ჯეინი სატრფოს ძმისგან შეიტყობს მისი დაღუპვის ამბავს.

შეიძლება მკითხველს გაუჩნდეს შეკითხვა, კი მაგრამ, რატომ არაფერი შემოგვრჩა ლი პეროტის ოჯახის ავსტრალიაში მოგზაურობის შესახებ? ბარბარა კერ უილსონს ამაზეც აქვს პასუხი. ჯეინ ოსტინს 1803-1804 წლებში ხომ არავინ იცნობდა. მისი პირველი რომანი „განსჯა და მგრძნობიარობა" ხომ მხოლოდ 1811 წელს გამოქვეყნდა და ისიც ანონიმურად...

ყოველივე ამის მიუხედავად მწერლის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ, როცა წიგნს კითხულობ მონათხრობის მართლა გჯერა, რომანი საინტერესო და შემეცნებითია ეთნოგრაფიული და ისტორიული თვალსაზრისითაც, თუმცა რომანის დამსახურებად მაინც

ჯეინ ოსტინის სულიერი სამყაროს გადმოცემა ითვლება.

ბარბარა კერ უილსონის წიგნი იმ დროის ფსიქოლოგიურ პორტრეტს წარმოადგენს, ვხვდებით ხელოვნურად ჩართულ დეტექტურ სიუჟეტსაც. ჯეინი შემთხვევით ხვდება უკვე ქარგა ხნის დატირებულ სატრფოს ელიოტ ფორდვიქს...

წიგნის მშვენებაა ჯეინ ოსტინის ცოცხალი, გონებამახვილური, დაკვირვებული, მამაცი, მომხიბვლელი, ოჯახურ ბედნიერებაზე მეოცნებე ადამიანის სახე. თუმცა, რა ვიცით, იქნებ ჯეინ ოსტინი ცოლად რომ გაპყოლოდა იმ ახალგარდა მამაკაცს, ვინი სახელიც საფლავში ჩაიტანა, აღარც მის რომანებს ვიხილავდით.

ბარბარა კერ უილსონის რომანის ყანრზე გარკვევით ვერაფერს ვიტყვით. ნაწარმოებს ჩავთვლით ისტორიულად, რადგან მასში მოთხრობილი ამბავი ნამდვილი არ არის. იგი არც ბიოგრაფიულ ყანრად ჩაითვლება, რადგან ავტორის მონათხრობი სცილდება წმინდა ბიოგრაფიას...

ამ ბოლო წლებში ასეთი რომანები პოპულარული გახდა. იქმნება მემუარები ბაირონის, თეკერეის „მიხედვით", გამოდის წერილები, იბეჭდება უოლსტონკ რაფტის, დიკენსის დღიურები. ალბათ, ეს დროის თავისებურებით აიხსნება, დიდია ინტერესი ისტორიისადმი, ეს კი მწერლისგან ღრმა ცოდნასა და წარმოსახვით უნარს მოითხოვს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32. პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35 პროზის — 72-26-30, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 8. 06. 88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 08. 88 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საღრ. საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 1512 უე 01452 ტირაჟი 70.800.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი
დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства
ЦК КП Грузии, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ